

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

100

— 7961 —

10

# ენათობი

საქართველო  
საბჭოთა კავშირი

საქართველო ლიტერატურულ-მხატვრული  
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 10

ოქტომბერი 1964 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მიხეილ ლერმონტოვი — ლექსები, თარგმანი თამაზ ჩხენკელისა	3
უკრაინული ლიტერატურის დეკადა	6
ქაილო ტიჩინა — ქარი უკრაინიდან, ლექსი, თარგმანი ალიო შირცხულაეასი	7
მაქსიმ ჩილსკი — შუადღე, ლექსი, თარგმანი არჩილ სულაქაურისა	7
მიკოლა ბაენი — ბიგ-ბენ, ლექსი, თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა	8
ანდრე მალიშვო — ლექსი, თარგმანი რევაზ შარვაიანისა	9
მიხაილ სტელმახი — ჩემს სათაყვანო მხარეში, ლექსი, თარგმანი ოთარ შალამბერიძისა	9
პლატონ ვარონკო — ლექსები, თარგმანი შ. ნიშნიანიძისა	10
დმიტრო პავლიჩო — ვრანიტის ჭლი, ლექსი, თარგმანი ალექო შენგელიასი	10
ოლეს გონჩარო — მესობლები, მოთხრობა, თარგმანი გ. ჩიქოვანისა	11
იური ზბანაეცო — ვითანდილი, ნამდვილი ამბავი, თარგმანი უკრაინულიდან გ. ნაშო-რაძისა	18

მიხეილ მრევლიშვილი — საბედისწერო მოსახვევი, რომანი.	26
გრიგოლ ცეცხლაძე — გქონდა გული — ოქროს ჩანგი, ლექსი	61
<b>ვიქტორ ვაბესკირია</b> — ლექსები	62
ივანე თარბა — ცნობილი კაცო, რომანი, თარგმანი შამია ასათიანისა	54
რევაზ ჭავჭავაძე — ბუნებადის სამრეკლო, ვაგრძელუბა	76

### 1914 მიხეილ ლერმონტოვი 1964

ზიონ ჩიქოვანი — ახალი ცხოვრების თანამგზავრი	126
გ. შარგველაშვილი — რისთვის, წაყის და იმედის პოეზია	129
ივ. ვნიკოლოშვილი — „პაი-აბრეკის“ და „იზმაილ-ბეის“ პირველწყაროების შესახებ	144

### უკრაინული ლიტერატურის დეკადა

ერემია ქარელიშვილი — მიკოლა ბაენი	152
ოთარ ლორთქიანიძე — ოლეს გონჩარის რომანი „ტრონკა“	160







წარსულიდან

როინ მებრეველი — დავით აღმაშენებლის ზოგიერთი საბელმწიფოებრივი რეფორმის შესახებ . . . . . 182

წიგნების მიმოხილვა

ნიმონ არველაძე — აღამიანი შიღის წინ . . . . .	188
ფილიპე ბერიძე — წიგნი კ. სტანისლავსკიზე . . . . .	189
ვალერიან შაქარაძე — მოლდავეური პოემა ქართულად . . . . .	190
ახალი წიგნები . . . . .	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ა კ ო ლ ე გ ი ა :

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,  
 ე. მაღრაძე, ბ. ფლენტი, ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,  
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63. ტელეფონი 7-18-42; 7-11-66.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29/IX-64 წ. ქალაქის ზომა 70 × 108. ინაწეობის ზომა 71/4 × 121/2. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. ში 12012, ტირაჟი 6.100, შეკვეთა 2351

საქ. კბ ც-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი  
 თბილისი, ლენინის ქ. № 14

Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии  
 Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს  
საქართველოს



მ. ი. ლაშქარაშვილი

## მისივე ლაგონი

### ქ ა რ ა ვ ი

ღამეს ათევედა ნისლი ოჭოვანი,  
ბრგე და გოლიათი ქარაფის გულზე,  
დილით მიატოვა კბოდე ახოვანი  
და გიემაჲ წიავექარს გადაჰყვა უცემ.

მაგრამ კლდის ნაპრალში ჩარჩა უნებურად  
გრილი ნატამალი. ბებერი კბოდე  
დგას ახლა მარტოკა, ღრმად ჩაფიქრებულა  
და ვრცელ უდაბნოში უჩუმრად ჰგოდებს.

### ს ა ლ ა მ ო

როდესაც არეს ეცემა ბინდი  
და შორეთიდან ზეცა გვეუქერის,  
როდესაც ველთა ცისღვრი კიდით  
მიიპარება დღე აღისფერი —

მეწვევა ხოლმე ფიქრი მღუმარი,  
ზაოადისა და ტრფობის-იერი,  
და ჩამჩურჩულებს ხმა ოდუმალი,  
არ იქნებოი კვლავ ბედნიერი.

მორჩილი გულით ეს შევიცანი,  
ცათა მიმართ რომ ვფეხდი იმედებს,  
სასწაულებით ბრწყინავდნენ ცანი,  
მაგრამ ჩვენთვის კი არ გაიმეტეს.

არცა შლეგისთვის, ვისთვისაც შენი  
შემოხედვა და თვალთა იერი  
მუდამ იენება უფრორე მწვენი,  
ვიდრე ცით მაღლის ხმა მმეენიერი.



უყვარდათ დიდხანს ერთმანეთი—ნაზი, ფარული,  
წმლე და უსიტყვო იყო მათი ღრმა სიყვარული.

მაგრამ მტრებზევით გაურბოდნენ ერთმანეთს მუდამ  
და უცარი შებეღდრისას ორივე დუმდა.

ამ სიამაყით შეჩუხებულნი დაშორდნენ ბოლოს  
და აგრე, სიზმრად ნახულობდნენ ერთმანეთს მხოლოდ.

კვლავ შეიყარნენ. როს სიკვდილის მოდგა ზმანეთი,  
მაგრამ იმ ქვეყნად ველარ იცნეს მათ ერთმანეთი.

## რ ი ს თ ვ ი ს



მისთვის ელონდები, რომ უსაზღვროდ მიყვარხარ შენა  
და ვიცი: შენი ყვავილობის უებრო ლხენს.  
შურით მღვეარი და მუხთალი დრო არ დაინდოს.  
განა იქნება — შევების ქანი არ გადაბინდოს  
და ცრეულებით არ მიითვალოს ცბიერმა ბედმა.  
ელონდები, რადგან მხიარულს და უზრუნველს გხედავ.

\*\*\*

ჩრდილოეთ მხარეში ბექობზე ობოლი  
და მიუსაფარი ნაძვია.  
ირწევა მთელმხარე და თოვლის ფანტელის  
ელვარე სამ-სი აცვია.

და ესიზმრება, რომ შორს უდაბნოში  
მზეთა აღმოსავლის მხარისკენ —  
მარტოკა შთენილი კლდეზე ნაღელიანად  
შრიალებს კენარი ალვის ხე.

\*\*\*

წინათ სული რომ მქონდა მზიანი,  
მიყვარდა მეცა — დღითა და ღამით  
ბუნება მძლე და ქარიშხლიანი  
და ბობოქარი ვნებათა ქამი.

იმა იღუპალ დღეთა ჩვენება  
შევიცანი და გყავ საცნაური,  
და მე მომწყინდა მათი მშვეცნება,  
მათი შფოთი და აურზაური.

ახლა მიყვარს და ვტკბები ამითი,  
რომ გავიშალე ზღვად ნაგუბარი —  
ღილით ამო და წყნარი ამინდი,  
მიმწუხრზე მშვიდი ხმით საუბარი.

## რ მ მ ა ნ ს ი

შენ ვნებათაგან ღრმა სიმძიმელი  
არ განგიცდია, ყრმობის ქამი განვლე უქაროდ,  
და, მეგობარო, შეგიძლია მშვიდი ღიმილით  
თქვა: ბედნიერი ვიყავ, უფალო!

ვინც კი უყამოდ გადაბუჯა ვნებამ ფიცხელმა,  
მას თვალზე ცრემლით, უხმოდ, უბრალოდ  
ოდესმე მაინც ათქმევინებს თავდავიწყება:  
ო, ბედნიერი ვიყავ, უფალო!



მე წუთისოფლის ბრუნვამ წამართვა  
 გული წ-ფელი და სიყვარული ძალუმად მფეთქი  
 და როგორღა ვთქვა, მეგობარო, ლაღად, თამამად:  
 მე ბედნიერი ვიყავი მეთქი!

\* \* \*

აღარ მიყვარხარ! იმა დღეთა გიმონთება  
 გასრულდა, როგორც სიზმარი ღამის.  
 მაგრამ ჩენს გულში მაინც ცოცხლობს შენი ხატება,  
 ვით გარდასული სიყვარულის ნათელი ჟამი.

როდესაც მარყვევს დღე ვნებათა დაუდგრომლობით,  
 მე იგი მახსოვს. გულს ჩამრჩა რაიც,  
 აგრე, ბომონი დაქცეული— მაინც ბომონი  
 და შეწუსერილი იგი კერპი ღმერთთა მაინც.

\* \* \*

აღსრულდა! ტრფობის ყოველი წამი  
 გადაიბინდა მძიმე გლოვითა.  
 განმორების და ვაების ქაზიც  
 მოვა და ცრემლებს უხვად მოიტანს.

ო, არ მეგონა, დღითა და ღამით  
 შენი მშერთ რომ გული კრთებოდა,  
 გამოთხოვების სასტიკი ჟამი  
 ასე უეცრად თუ მოდგებოდა.

აღსრულდა! უტკბეს ხმათა სიამე  
 აწ არასოდეს იტვირთოს გულმა,  
 განფერიდები სოფლის ჭრიამულს,  
 მოგიგონებ და ვიტირებ ჩუმიად.

### მ ა დ ლ ო გ ა

მე ყველაფრისთვის, ყველაფრისთვის ვარ მადლობელი—  
 გმადლობა: ვნება რომ გადამეტქვა ტანჯვა-წინებად,  
 რომ შენი თასით მხამი შევსვი დამათრობელი,  
 რომ მოვიხვეჭე მეგობართა ცილისწამება,  
 ცრემლი რომ ვღვარე, რომ ჩანოქრა სული მზიანი,  
 რომ ასე უღვთოდ გამიცუდდა წუთისოფელი—  
 აწ ამასა ვთხოვ, ნუ იქნები მიზეზიანი,  
 მოაწყე ისე—აღარ ვიყო კვლავ მადლობელი.

თარგმნა თამაზ ჩხინკელიძე



## უკრაინული ლიტერატურის დეკადი

ოქტომბრის დამდეგს ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყო უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის დეკადი. ამასთან დაკავშირებით ქართველმა ხალხმა ძველი გრძნობით მოიპატრვა და ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღო უკრაინელი მწერლები. ქართველ ხალხს წრფელი სიყვარულით უყვარს უკრაინა, მისი ვაზრე და მამაიკი ხალხი, მისი წარმატებული ბუნება, მისი მდიდარი ლიტერატურა, მუსიკა, მხატვრობა, ჭოროგოგრაფია, მთელი უკრაინული კულტურა. უყვარს იმით, რომ მან წარმოშვა პოეზიის ისეთი ბუმბერაზი, როგორც გახლავთ ტარას შევჩენკო, პოეტური სიტყვის უდიდესი ოსტატი, რომელმაც უმღერა შრომას, მშრომელ ადამიანს, უკრაინელი ხალხის ბრძოლას სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის, უმღერა ისეთი ზალით და პათოსით, რომ მისი პოეზია ვახდა არა მარტო უკრაინის, არამედ ყველა ჩაგრული ერის სოციალურ-ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის შთამოგონებელი. დიდი ტარასის ტრადიცია განაგრძებს: ივ. ფრანკო, მ. კოციუბინსკი, პ. გრამოვსკი, ლესია უკრაინკა და უკრაინელი მწერლების მთელმა პლეადამ, რომელმაც, მიუხედავად ცარიზმის მიერ უკრაინელი ხალხის და მისი ენის უსასტიკესი დევნისა, შექმნა ღრმად იდეური, მაღალ-მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დღეს უკრაინელი ხალხის ეროვნულ სიამაყეს და საკაცობრიო კულტურაში შეტანილ უძვირფასეს განძს წარმოადგენს. თავიანთი სახელოვანი წინაპრების ღირსეული მემკვიდრეები და მათი უცვლადი საქმის გამგრძელებლები იყვნენ და არიან ამჟამინდელი უკრაინელი მწერლები — მ. რილსკი და პ. ტიჩინა, ვ. სოსიურა და მ. ბაიანი, ალ. კორნეიჩუკი და ა. დოვგენკო, პ. ვორონკო და ლ. დმიტრუკო, ა. მალიშკო და დ. პავლიჩკო, იანოვსკი და სპოლინი, თ. ვონჩარო და ი. ვალანო, ნ. რიბაკი, მ. სტელმახი, ი. ზბანაკი და მრავალი სხვა, რომელთაც ღრმად ასახეს რა უკრაინელი ხალხის აწმყო და წარსული, უკრაინის სოციალისტური სინამდვილე, ახალ მაღალ საფეხურზე აიყვანეს თანამედროვე უკრაინული ლიტერატურა. არ არის უკრაინის პოლიტიკურ-სოციალური ცხოვრების და კულტურის განვითარების არც ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, რომელსაც თავისი ღრმა გამოხატულება არ ეპოვოს უკრაინულ ლირიკულ და ეპიკურ პოეზიაში, პროზაში და დრამატურგიაში. უკრაინელმა მწერლებმა გვიჩვენეს ახალი უკრაინელი ადამიანი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა სამოქალაქო ომების ფრონტზე საბჭოთა წუობილების დამკვიდრებისათვის. ადამიანი, რომელიც აშენებდა და აგებდა სოციალისტურ ინდუსტრიას, ახალ სოციალისტურ სოფელს; უკრაინელი ადამიანი, რომელმაც მოძვე სოციალისტური ერების შვილებთან ერთად გაინადგურა რა ფაშიზმი, კვლავ დაუბრუნდა მშვიდობიან შემოქმედებით შრომას, აღადგინა დანგრეული მეურნეობა, ააგო ახალი სოციალისტური ქალაქები და სოფლები, ისე ააყვავა თავისი სამშობლოს ეკონომიკა და კულტურა, რომ საბჭოთა უკრაინა ვახდა ყოველმხრივ სანიშნუი მოწინავე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირში და მის ვარეთ. უკრაინელმა სიტყვის ოსტატებმა მგზნებარე შთამოგონებელი სიტყვით უმღერეს და უმღერაინ ხალხთა ძველ მეგობრობას და მილიონთა ბრძოლას საყოველთაო მშვიდობისა და დემოკრატიისათვის მთელს მსოფლიოში.

უკრაინული ლიტერატურის დეკადი იქცა ჩვენი ორი ხალხის, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხების ძმობისა და ურღვევი მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად.

## პავლო შიჩინა

### ქარი უკრაინიდან

შე არაფერი არ მიყვარს ისე,  
როგორც მშფოთვარე ქროლვა ქარისა,

დაუღეგარი, წყუული ქარი!

ერთს მოიქნევს და: უცებ ატყდება  
სტვენა, ღრიალი, ოროშტრიალი,  
ხან შარშანდელი რტო გადატყდება,  
ხან ქარი ფოთლებს არბნებს ტიალი.

ხან ლიანდაგზე დასძრავს ვაგონებს,  
უდიდეს გამწევ ძალას ვაგონებს,  
ველზე, ალვები თავს რომ იხრიან,  
უპ, ვაგონები როგორ მიჰქრიაან?

დაუღეგარი, წყუული ქარი!

დასაფლეთი კი თვალებს აშტერებს:  
ეს ურდოა თუ მხეცების ჯარი?  
ხარხარებს ქარი უკრაინიდან,  
უკრაინიდან ამღგარი ქარი.

დაუღეგარი, წყუული ქარი!

იგი დნებრიდან ისევ აღდება,—  
პანებს კარგი დღე არ დაადგებათ...

აჰ, არაფერი არ მიყვარს ისე,  
როგორც მშფოთვარე ქროლვა ქარისა,  
მისი ხმა, სუნთქვა დაღუზობელი...  
და დედა მიწა, ჩემი მშობელი!

თარგმნა ალიო შიჩინა

## მაქსიმ კილსკი

### შ უ ა დ ლ ე

ძირკაეას წითელ ყვავილებიდან  
ფუჩკარმა თაფლი წაიღო ჩუმად,  
მაგრამ გაქუჩდი, მოუსმინე, ნათელი სივრცე  
რა-რიგ საესეა შუადლის ხმებით.

მოითქვი სული, დაეყრდენი ბარს და უსმინე,  
თანაც გახედე და არ გაოცდე.  
შენ გაქეულხარ ამ მიწაზე და შენ დაღვრილხარ  
მწვანე ფერებად, უსასრულო მწვანე ფერებად.  
კომიტებიდან რომ მოგესმის ფუტკრის ზუზუნი,  
ეს შენი ხმაა, შენი სულია.  
ეს შენ ხარ,  
შენ ხარ, რომ ასახლებ ადამიანებს  
და უფსკრულიდან უფსკრულამდე  
რომ ისერი მაღალ გამჭვირვალ ხიდებს.

მდინარეებზე სძინავთ ნავეებს, ქარხნებსაც სძინავთ,  
ჰაერს ჰკიდია მტყვანივით ფუტკრის ნაყარი



და მზეც დამწიფდა ნაყოფივით...

მხოლოდ შენ ერთი

არ მისცემიხარ მოსვენების შუა დღის თვლემას,

თავს დაგდგომია—მოსუსვენარი დაი შენი,—

პოეზია რომელსაც ჰქვია.

თარგმნა ა. სულაბაშვილი



## მიჟორა ბაქანი

### გ ი გ გ ე ნ \*

ტემზაზე ნისლი წევს, ძახილი  
ყრუდ ისმის მანქანის სირუნის  
და მოჩანს შუბივით აწვდილი  
წყვედიადში აჭრილი ბიგ ბენი.

გუშაგი მიმოდის ტაატით,  
დარაჯობს ძველთაძველ პალატებს,  
და კოშკზე ვეება საათი  
ღამეში ბრწყინაევს და ანათებს.

და კოშკზე სულ შუქი კიაფებს,  
შუქურა ჩამქრალი რო დია,  
თუმც ზღვაში ვერ ხედავს იაღქნებს,  
ნიშნზე მისკენ არ მოდიან.

ამ კოშკის საათის მიხედვით  
დღეს ვინზე თუ ითვლის საათებს,  
ის ბრძაა და ნუ აქვს იზედი,  
რომ შუქი მისთვისაც ანათებს.

გრანიტში ნაკვეთი პალატის  
გუშაგი უხმოდ დგას, ბნელდება,  
მაგრამ შიგ კვლავ ცხარე კამათი  
და შეხლა-შემოხლა გრძელდება.

ერთმანეთს მუჭარით ერთვებიან,  
ჩხუბია ორივე პალატის,  
ლორდი და ნთავრობა ერთია,  
ორივე—ომი და ღალატი.

ძველ მებრძოლს სმენა აქვს მახვილი  
და ხედება ახმახი ბიგ-ბენი,  
რომ არის სულ წყალში ჩაყრილი  
ჩხუბი და კანათი იწდენი.

რომ მხოლოდ თამაშობს თავნებას  
ჯენტლმენი—მოლაყებ მაცდურად,  
თორემ რა იანკის ბრძანება  
„ოკეის“ თხოულობს დასტურად.

—მე რა ვქნა,—ბიგ ბენი თავს იღებს,—  
უნდა ვთქვა, მეტი რა ღონეა,  
დღეს ჩვენი მეფე რომ გვარიგებს,  
კარნახით ნათქვამი შგონია.

ამბობენ თურმე თელის პატრიად.  
გზა დაგმოს ხარჯების მატების  
და რადგან ჩვენიც ვართ ი შტატი ვართ,  
შემვირდეს პალატის შტატები.

და სჯერა უოლ-სტრიტს, ყავლგასულს  
ჩვენს კუნძულს სახელიც არ ჰქვია  
და ბრიტს თუ მონია არა სურს,  
ნებას რთავს, რომ გახდეს ლაქია.

ოღონდ ლორდს კვლავ წერჩეს დიდება,  
დრო ისე ავი და მკარია,  
ის უჯობს, ვინც ოქროს პირდება,  
ოქროზე მთელ კუნძულს გაცვლიან.

ოქრო სჭრის ათთან და ას კაცთან,  
მთელ ხალხს ვერ იყიდი დოლარად,  
ხალხს დღემდე „ოკეი“ არ დასცდა.  
ბიგ ბენი იძახის „ო, არას“

ჩამკვდარა სისახლე, დაღლილა,  
დიდების ძველი დრო სად არის,  
შფოთის და ყიყინის ადგილას  
შიგ სუფევს ფერფლი და ნაყარი.

\* ბიგ-ბენი—დიდი, გრძელი ბენი—ლონდონის პარლამენტის შენობასთან მდგარ კოშკს  
წოდება.





და ითვლის ბივ ბენი საათებს,  
მაგრამ დრომ, ვაი თუ, გარიყოს,  
გუშავი მოუხსნან პალატებს,  
დარაჯი სავირო არ იყოს,

დგას ისევ ძველ დროზე ნორთული  
ბივ ბენი, დრო არ სწამს ახალი,  
მეჩქნებ დამჯდარი გოთური  
ხომალდის ჩონჩხივით მაღალი.

დე, დარჩი, ახვახო, განზდარო,  
გუშავად ყავლგაი ულ პალატის,  
რომ ცოდვა ბოლომდის ატარო  
სიცრუის, გაცემის, ლალატის.

შეირყა ბივ ბენი დალილი  
და ჩრდილი ნისლშივე შინჩინისა,  
შივ გულში თუ ნოხვდა ნახვილი  
ბერიკაცს ორივე ისრისა.

და ბანი გაისმა მქუხარე,  
ბივ ბენი რეკავს და ანათებს  
და ითვლის კვლავ თავის წწუხარე,  
გარდასულ დიდების საათებს.

მზის მხარეს კი ელავს ცისკარი  
და ცეცხლი მიიწვენს სულ ცისკენ,  
დროს მიჰყუე, იჩქარე, იჩქარე,  
ბივ ბენი, ბივ ბენ, ბივ ბენ!

თარგმნა გრიგოლ აბაშიძემ

### ანტიპი პალიუმო

• • •

ბლის კენწეროს დაფრთხილებს  
ჩიტი, გვრიტი მარგალიტი.  
დედა, თავშალმოფრიალე  
სიყვარულით ვაქთან მიდის.

— სად, იყავი, როგელ მხარეს,  
გაჭირვება ნახე დიდი?  
როცა ბრძოლა იყო ცხარე  
ქოჩორს რითი ივარცხნიდი?

— დონეციდან მოქჩრი, დედი,  
როგორც ხედავ არ ვარ ავად,  
ბედნიერი ჩამოვედ  
ჩემი მშობლის სანახავად.

რომ მეცოცხლა ბრძანა ბრძოლამ,  
ძილეფხიზლობდით მე და ზეცა,  
ზარბაზანმა გამაქროლა  
ვერაგების დასაღწვად.

გვივარცხნიდა ქოჩორს ტყვია  
იღმოდელ დენტის კვანძში,  
ჩემს მეკრდს სისხლი დაუღვრია  
და ცოცხალი მისთვის დაგორი.

მეგობრებო, სად ხართ ნეტავ?  
დავუბრუნდი მშობელ მხარეს,  
გამარჯობა, ჩემო დედავ,  
ჩემი ქვეყნის მზევ და მზე რეე!

თარგმნა კავაზ მარანიძემ

### მინაილო სკაღმანი

#### ჩემს სათაყვანო მხარეში

ჩემს სამშობლოში რა მოღვს  
ფიქრებს, მუხებს და მალნარებს,  
ერთხელ ნეწვიე, მამული  
კაცივით თავს შეგაყვარებს.

წყლის გაღმა ფოთლოვანი ტყე  
იზრდება პურის ყანებში;  
ის ქანჭრობები განილტენენ,  
ღამე რომ ეპყრათ ბრჭყალეში.

ნუ მეკითხები, დაიცა,  
დავუბრუნდი და იხილე:  
მალნარის ქარმა რაიე თქვა,  
სოფელი ჩაილიღინებს.

შენც უბასუხე სიმღერით,  
ფიქრი ხალისით ვალესე;  
იმღერე მთელი სიმხვევით  
ჩემს სათაყვანო მხარეზე!

თარგმნა ოტარ შალაგზანიძემ

## პიროვნული პორტრეტი

\* \* \*

ბარტყი ყორნისა თვინიერად თვალებს აცეცებს,  
ხელისგულიდან ხარბად კენკავს პურის ნაშტეცებს,  
მადლიერებას გამოხატავს ფრთების ფრტილით...  
... მაგრამ ბრძოლაში რომ დავეცე მკერდნატყვიარი,  
ყორანი ველარ გაიხსენებს ჩემს ძველ სიკეთეს  
და... გამამეტებს.

\* \* \*

თუ მკედელი გამოკვერავს სახნისებს,—  
მიწას დავხნავთ, ხნულებს გაეხალისებთ.

თუკი სახლი აშენდება ახალი,—  
ნადინს ბანი დამმეგრდება მაღალი.

გაზაფხულზე თუკი ჰყვავის ბაღები,—  
ვერ აუვალ ჭირხახულის ალებს.

თუ გვექნება მეგობრობის შეგნება,—  
ჩვენს სიცოცხლეს მეტი ფასი ექნება.

თარგმნა შ. ნიშნიანიძე

## დმიჯნობის პორტრეტი

### გრანტის ქალი

ვით მწოლიარე, მკერდსავსე ქალი,  
ჩემს წინ გრანტი ჯის კლდეა მაღალი.  
ის საკნის მსგავსი, მდუმარე თვალით  
ზღვის ლავეარდოვან სივრცეს დაჰხარის.

ლურჯ საფეთქელთან ძარღვებიც უჩანს,  
ვგრინობ ცივ გრანტიში სიცოცხლის  
სიბუბოს...

წამოზრდილი აქვს სხეული უჩინად,  
შვილს ელოდება ქვის ქალი თითქოს.

ტანზე იფარებს ხასხასა ლეჩაქს,  
მისი ლეჩაქი ხავსია ბწვანე.  
თითქოს ტკივილიც აწვალებს ბეჩავს  
და მძიმედ ითვლის დარჩენილ წამებს.

მშობიარობა დაღუპავს, იცის,  
უცდის აღსარულს თავგადადებით.  
სწამს, მისი პირმშოს სიცოცხლის  
ციმციმს  
ჯვარს გადასწერენ ქვის ოსტატები.

უკანასკნელად შეკვივლებს მაშინ,  
ჩამოეპლება მკერდზე ნაწნავი...  
დაიბადება გრანტის ბავშვი  
და მოქანდაკე დგომას ასწავლის.

ასწავლის დგომას მაღალ კვარცხლბეკზე  
და მას შრომანით შეამკოს ხალხი.  
ივლის ქანდაკე შორეულ გზებზე,  
ქალაქს რომ ღამის მოიცავს თაღბი...

კლდეო, გვაჩუქე შვილი დღეგრძელი,  
კას ვით დიდი შთაბერე სული,  
სიბრძნით რომ ჰგავდეს ვლადიმერ  
ლენინს  
და ფიდელ კასტროს—მამაცი გულით.

ვინდ ლერწამივით შემორჩეს ტანი,  
ვინდ გოლიათურ მხრებით იაროს,  
ოღონდაც იყოს მარად უკვდავა  
და უკვდავებას შენც გაზიაროს!

არ მინდა იშვას შენგან რობოტი,  
ჯალათის გულით, სისხლიან ხელით.  
შენს ღრმა წიაღში მიმავალ ბიროტს  
საშვილიშვილო ანდერძით ვწყევლი.

სქელ დაღლებში—ქვის ლბილ გიშერში  
სიბღერის ქანგებს ვიბლანდავს ქარი.  
გრანტის ქალი, ცრულებს გიმზრალე  
შენს მოლოდინთან იმედით მდგარი.

თარგმნა ალექს. შინაძე

ოქს მონაკი

## მეზობლები

მოთხრობა

1

„ჩერვონი ლანის“ კოლმეურნეებს დღემდე ახსოვთ, თუ როგორ ქუხდა შარშან ტრიბუნაზე მათი თავმჯდომარე ანისიმ არტემოვიჩი.

— არ მიეცემ! არ მიეცემ, სანამ თვითონ არ წაველ მათთან, სანამ თვითონ არ გავსინჯავ მათ მაჩვენებლებს!..

მაგრამ კომისია უკვე მაგიდას უსხდა, მაჩვენებლები თვითველ მათგანისათვის კარგად იყო ცნობილი და ანისიმ არტემოვიჩი მაინც იმტლებული იყო, დროშა მიეცა... დროშა მიიღო თადარიგის ოფიცერმა, ტანადმა, მკვირცხლმა ჰაბუკმა, „დნიპრელსტანის“ თავმჯდომარემ პეტრო გასანჩუკმა. უნდა გენახათ, გამარჯვებულის რა სიამაყით გაატარა მან ეს დროშა მთელ კლუბში სცენიდან კარამდე. კობტა, მკვეთრი ნაბიჯით მიუძღოდა თავის ბრიგადირებს და მერგოლურებს. და რა თვალთ აცილებდა მათ ანისიმ არტემოვიჩი! იგი სვავერით მობუზული იდგა და ორივე ხელით ტრიბუნას მძიმედ დაყრდნობოდა.

„დნიპრელსტანში“ ანისიმ არტემოვიჩი არ წასულა, თუმცა ის მეზობლად იყო: კოლმეურნეობათა მიწები ერთმანეთის გვერდით იყო გაშლილი. პეტრო გასანჩუკი თვითონ ეწვია მას მორაევერ. იგი ტანანკით მოვიდა. ტანანკას რეზინის საბურავები ჰქონდა. მზიარული და თამამი, ორდენებით და მედლებით მკერდდაჯინჯული შემოვი-

და კანტორაში. ხელში თეთრი ტომსიკა ეჭირა.

— გამარჯობა, ანისიმ არტემოვიჩ! ანისიმ არტემოვიჩმა შებლზე ქული ჩამოიწია.

— ვაგიმარჯოს!

— აი, საჩუქარი მოგიტანეთ, — გასანჩუკმა ყალმქარის ტომსიკა შუა მაგიდაზე დადო. — თუ არ ეცდები, თქვენ ამ კულტურას ჯერ არ იწევთ, ჩვენთან კი, ლელიანში, კარგად გაიხარა. ვიფიქრე, მოდი, წაველებ მეზობელს, ფლავს მოხარშავს-მეთქი.

გასანჩუკმა ენერგიული, ზუსტი მოძრაობით ტომსიკას ზონარი მოხსნა.

— ბრინჯი!

ანისიმ არტემოვიჩი შურისაგან კინალამ გაიგუდა.

კანტორის მოსამსახურენი იღებდნენ თოვლივით თეთრ მარცვლებს, კბილით სინჯავდნენ და უსირცხვილოდ აქებდნენ.

მა. აქეთ ანისიმ არტემოვიჩს პირივით შესძულდა ბრინჯის ფაფა.

— არ ვიცი, რა დაემართა ჩემს ანისიმს, — შესჩიოდა რამდენიმე თვის შემდეგ თავმჯდომარის ცოლი მეზობლებს. — ამ დღით მაგიდაზე ფაფა დავუდგი, არ დაიჯერებთ — ზედაც არ შეხება. კოვზი მაგიდაზე დანარცხა, დამუღლრულივით წამოვარდა და ისე გაიქრა გარეთ, სიტყვა არ უთქვამს. ფაფა კი ბრინჯისა იყო, თოვლივით თეთრი.

გაზაფხულზე „ჩერვონი ლანის“ ლელიანში ბრინჯის პლანტაციების გაშე-

ნებას შეუდგენენ. ანისიმ არტემოვიჩმა, რომელსაც საერთოდ ბუნებასთან საკმაოდ აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდა, გადაწყვიტა, მისგან ამჯერადაც ორმაგი სარგებლობა მიეღო: წყლით სავსე ბრინჯის პლანტაციის თხრილებში სარკისებრი კობრი ჩაუშვა.

გასანჩუქმა შეიტყო თუ არა ასეთი რაციონალიზაციის ამბავი, ქარივით მიიჭრა „ჩერვონი ლანის“ ბრინჯის პლანტაციაში.

ანისიმ არტემოვიჩი სწორედ იქ დაუხვდა. წელამდე სველი, წყლიდან ამოვიდა გაწითლებული და კმაყოფილი.

— ახლა კი ვატყურომამდე ასვით! — უყვიროდა ანისიმ არტემოვიჩი სარწყავ საბუხარზე მომღშავე ქალებს. — მიეცით ღნებრის ანკარა წყალი. მაგას ეგ უყვარს... საუხმედ კი — მზე, მზე და მზე!

ანისიმ არტემოვიჩის შემყურე იფიქრებდით, რომ მას არა მარტო კოლმეურნეობის წყალსატუმბი ემორჩილებოდა, არამედ თვით ცის მნათობიც.

ეტყობოდა, „დნიპრელტანის“ თავმჯდომარე დღეს ყველაზე კარგი სურვილებით მოვიდა. ამას თუნდაც იაიცი მოწმობდა, რომ მან თავისი ტაჩანკა შორს, ტირიფებში დატოვა და ანისიმ არტემოვიჩთან ქვეითად მივიდა. გასანჩუქმა კარგად იცოდა, რომ მეზობელი მის ტაჩანკას ვერ იტანდა.

— აი, სემინარზე მოვედი თქვენთან, ანისიმ არტემოვიჩ, — უთხრა გასანჩუქმა მისალმების შემდეგ. — შინდა თქვენგან ზოგი რამ გადავიღო და ჩვენს კოლმეურნეობაში დავნერგო. ეს ხომ იდეაა, ნამდვილი იდეა!

— რა იდეებზე მოლაპარაკებენ?! — შეაწყვეტინა სიტყვა ანისიმ არტემოვიჩმა, — უფრო კონკრეტულად თქვი!

— თითქოს ვერ ხვდებით, რაზე გელაპარაკებთ!.. გვინდა ჩვენც მოვაშენოთ კობრი...

— აჰა, აი თურმე რა! გესმით? — მიუბრუნდა ანისიმ არტემოვიჩი თავის კოლმეურნეებს, — კურსანტები მოვიდნენ! ერთი ამით ლეკცია წაუკითხეთ!

ასწავლეთ, როგორ უნდა გააკეთონ ბრინჯის ფაფა კი არა, სუნეზინს!

— საიდან მოვიდნენ ეს კურსანტები? — გესლიანად ეკითხებოდნენ თავმჯდომარეს ქალები. ისინი თითქოს მართლა ვერ სცნობდნენ პეტრე გასანჩუქს.

— მეზობლები არიან, ჩვენი დნიპრელტანელები, — მკვირცხლად მიუგო მათ ანისიმ არტემოვიჩმა, მერე ზურგი შეაქცია გასანჩუქს და იდაყვებამდე ლამით მოსვრილი ხელებით სიგარის შეხვევას შეუდგა.

## 2

ბრინჯი ორივე კოლმეურნეობისათვის ჯერ პირველი ცდა პირველი მოსინჯვა იყო. მისი პატარა პლანტაციები შორცხვად ეკვროდნენ ლელიანებს. პლანტაციები თითქმის არ ჩანდა ხორბლის ძლიერ, თქროსფერ მასივებში, რომელიც ზღვასავით იყო გადაშლილი ჰორიზონტამდე.

ხორბლის ამ ყანების გამო ანისიმ არტემოვიჩი საბოლოოდ წაეკიდა გასანჩუქს. ეს გუშინ ღამის ორ საათზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში თათბირის დამთავრების შემდეგ მოხდა. უნდა ითქვას, რომ თუ რომელიმე თათბირზე ანისიმ არტემოვიჩი არ გამოცხადდებოდა, ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოაწყენდა. განსაკუთრებით ისინი დადონდებოდნენ, ვისაც უყვარდა დარინვისა და ხუმრობის საშინო თვალწინ ჰყოლოდა. ანისიმ არტემოვიჩის მოთმინებიდან გამოყვანა ძნელი საქმე არ იყო. ამისათვის საკმარისი გახლდათ, გაგვიკრიტიკებინათ მისი ძველი, გაქონილი კარტუზი სწორედ ის, რომლითაც ეს ორი წელიწადია ანისიმ არტემოვიჩი ასე რიგად კოწიიაობს ყველა თათბირზე და შეკრებებზე. კარტუზის შემდეგ ხუმრობა შარშანდელ გარგარზე გადადიოდა. ეს ნამდვილი ამბავი იყო. მისი უარყოფა თვით ანისიმ არტემოვიჩსაც არ შეეძლო. დიახ, მოხდა ასეთი რამ!

შარშან ყანაში ანისიმ არტემოვიჩს რაიკომის მდივანი ეწვია. მანქანიდან გარგარით სავსე პარკი გადმოიღო და მას და მის მეგობრებს გაუმასპინძლდა.

— აი, — უთხრა მან, — ბალებს ჩავეუარე და ქალებმა მომართვეს ეს გარგარი.

— ვისმა ქალებმა? — დაინტერესდნენ კოლმეურნეები.

— დნიპრელსტანელების, — უპასუხა მათ რაიკომის მდივანმა.

გაიგონა თუ არა ეს ანისიმ არტემოვიჩმა, გადააფურთხა:

— ეს რა ხილია! მკავეა. ეშმაკს დაახვლებს!

თავმჯდომარეს ბრიგადირები და მეზღოლურებიც აპყვენენ:

— ჩვენი ბაღის გარგართან ვერ მოვა.

— ჩვენი ჯობია!

— უფრო ტუპილია!

— აი, სწორედ თქვენი გარგარიცა მაქვს. — უთხრა უცებ ანისიმ არტემოვიჩს რაიკომის მდივანმა და შოფერს დაუძახა: — იაშკო, აბა, ერთი ის მომეცი „ჩერგონი ლანის“ მებაღემ რომ გამომატანა.

— აი, ეს კი მესმის! — კმაყოფილებით ჩაკბინა ანისიმ არტემოვიჩმა მეორე პარკიდან ამოღებული გარგარი. — მაშინვე იგრძნობ, რომ საქმე კულტურულ ხილთანა გვაქვს და არა რაღაც გარეთულ ხილთან.

კოლმეურნეებმაც გასინჯეს თავიანთი ბაღის გარგარი და ყველამ ერთხმად დაუწყო ქება. ამ დროს მანქანას მოდარებული შოფერი სიცილისაგან იფხრიწებოდა. „რა აციენებს ნეტა!“ — შიშით გაიფიქრა თავმჯდომარემ. რაიკომის მდივანი კი დინჯად იჯდა, უსმენდა კოლმეურნეების ქებას და კვერს უტრავდა. როცა გარგარის ჭამა მოათავეს, მდივანმა გაიცინა.

— ერთი არასასიამოვნო ამბავი უნდა ვითხრათ, ანისიმ არტემოვიჩ. აი ეს-ესაა ქამდით და აქედლით „დნიპრელსტანურ“ გარგარს. პირველი გარგარი კი, რომელსაც ავიწებდით, თქვენი სა-

კუთარი ბაღისაა... რომ არ შეგველოდა, პარკებს იაშკომ სათანადო ნიშნები გაუქეთა...

მას აქეთ, როგორც კი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები თავს მოიყრიდნენ, მაშინვე გარგარზე ჩამოაგდებდნენ ლაპარაკს: „ეს რა ხილია! მკავეა ეშმაკს დაახვლებს! საქირთა ოკუპირება, ჯიშის გაუმჯობესება!“ გასაგებია, რომ ასეთი ლაპარაკის კილოს მიმცემი გასანჩუკი იყო. ამით იგი გულს იფხანდა.

სამაგიეროდ გუშინ ანისიმ არტემოვიჩმა მოიფხანა გული.

მტს-დან გვიან ღამით დაბრუნდა, მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა. დიას! მისი ცოლი რომანოვნა, შვალიც — გრიშა ტრაქტორისტი, და ქალიშვილი ოლიანკა, ძმასთან რომ მუშაობს გადაამბეულად ყველა გააღვიძა, ყველას უნდა გაეგო, როგორ წაართვა გასანჩუკს კომბაინი. ვაშშობდა და ტრაბახობდა:

— კომბაინი წავართვი!.. ადგეს ახლა და პირველი გამოშვების „კომუნარით“ ფხიკოს!.. ვნახოთ, როგორ შეასრულებს დაპირებას, ხუთ დღეში როგორ მომიცის პურს! ეჰ, გასანჩუკ, კიდევ დიდხანს დაგჯირღება შენს ყანაში კალიების დევნა, სანამ მკას მოათავებ!

— პეტრო სათიბ-სამკლებს გაუშვებს, — დაუძახა თავის ლოგინიდან გრიშამ, — მას მთელი ბატარეა ჰყავს გამზადებული.

— იძინე მანდ! — დაუტატანა ანისიმ არტემოვიჩმა, — შენ არავინ გეკითხება.

— აბა, ვის ეკითხება? — ჩაიკისკისა ქალიშვილმა ბალიშში, — გაგვადვიძე ყველა და ახლა აღარ გეკითხება! ახლა გავჩუშდეთ?

— ჰო, გაჩუშდი და უსმინე! თქვენ არ მოგმართავთ. ძლიერ ჰკვიანები გახდით ყველანი... რასაკვირველია, ჩვენ ისეთი სწავლულები და გამოკვლელები არა ვართ, როგორც გასანჩუკი. ჩვენთან ყველას შეუძლია ლაქლაქი. ოფიცრული დისციპლინა არა გვაქვს, არც კაბინეტები, ჩვენთან კარზე დაუკა-

კუნებლად შემოდინან. არა, ერთი თქვენ მის ხელში ჩაგაგდოთ, — გაჩვენებდათ სერიას!

— ეჰ, დაიწყო ისევ! — თქვა ოლიანკამ და გააზმორა. — გათენებამდე სლოკინში იქნება ამაღამ პეტრო.

— უყურე, ვის იცოდებს! — შესჩივლა ცოლს განაწყენებულმა ანისიმ არტემოვიჩმა, — იქნებ კომბაინიც დავუბრუნოთ, რომ მალე მოათავოს მკა. რომ პური პირველმა ჩააბაროს სახელმწიფოს და მამაშენს ჩამორჩენილებში ამოაყოფინოს თავი! ამასაც მოვესწარი, რომ ჩემს ოჯახში მაკრიტიკებენ და მერე ვინ? შეილები... მაშ, იმისთვისაც გამაკრიტიკეთ, რომ ტაჩანკითა და ორთვლით არ დავსერირობ, იმიტომ რომ ჩემი ცხენები ყანაში მუშაობენ. გამაკრიტიკეთ იმისთვისაც, რომ გავჯღარავდი და გამოვხუნდი თოთხმეტი წელიწადი „ჩერკონი ლანის“ თავმჯდომარედ ყოფნაში. ყველაფრისთვის გამაკრიტიკეთ! იმისათვისაც, რომ სულ გამოუძინებელი ვარ, ქვას ძღომაზე ვერ ვასწრებ. იმისათვისაც, რომ ჩვენს არტელს წელს მილიონერს გავხდი. გასანჩუქს როგორ ვავუტოლდება! მას ყველაფერი უკეთესი აქვს! მას ორდენებიც უკეთესი აქვს, ვიდრე მე, და — მედლებიც!..

— სწორედ მედლები ერთნაირი გაქვთ, — შენიშნა ოლიანკამ, — პეტროსაც „ვარშავის განთავისუფლები-სათვის“ აქვს.

ანისიმ არტემოვიჩი ისე გაცხარდა, რომ ძნელი იყო მისი დამშვიდება.

— ოფიცერი, გვარდიელი! მე ვინა ვარ? მესანჯრე. ორი ნიშანი მაქვს. ხიდებს ვუგებდი მას და მეტი არაფერი. მღინარეზე გადასასვლელებს ვუმართავადი და ეს იყო. იგი ახლაც წითელი კანტებით ბრწყინავს, ყოველდღე ახალსაყელოებს იკეთებს. „მე კი კარტუზის საყიდლად ვერ მოვიცალე... გაქონილი, ომამდელი ქუდი მახურავს... არ ვღაობ, ომამდელია ჩემი კარტუზი, მაგრამ ჩვენს ყანაში რომ გადავავდო,

თავთავზე დაეკიდება. გასანჩუქს — ყანაში კი მიწაზე გაერთხმევა თავთავი... —

— თქვენ, მამილო, დრდნ ნანია, რაც მისი ყანა ნახეთ? — ჰკითხა ოლიანკამ. იგი სახნის ქვეშ იცინოდა.

— მე ვიცი, რასაც ვამბობ. ახლავე შემიძლია ვთქვა, რაჟღენი ცენტერი შოვა თვითელ მის ჰექტარზე.

— მისი შემოდგომის ნათესი ჩვენსას არ ჩაპოუვარდება. — დარწმუნებით თქვა ოლიანკამ. — იქიდან საშუალოდ ოცდაათი ცენტერს მოიწვევენ.

— უსათუოდ მოიწვევენ, — მხარი დაუჭირა დას გრიშამ.

ანისიმ არტემოვიჩი რამდენიმე ხანს ჩუმად იჯდა. შემდეგ წამოდგა თმაბურძენული, გამწყრალი და მრისხანედ შეხედა ცოლს. ქალს ისე შეეშინდა, რომ ღუშელისკენ დაიხია.

— შენ იცი, მოტრია, რატომ მოუვიდა მას წელს ასეთი მოსაყალი. ჩვენმა დარგულმა ტყემ თოვლი შეუჩერა. გასაგებია? ყველა ქარს ჩვენი ტყე ავაგებდა.

განა „დნიპრელსტანის“ ტყის ნარგავმა არ დაიცვა ჩვენი ჰეავი? უნდოდა ეთქვა ცოლს, მაგრამ ანისიმ არტემოვიჩის მიმე სუნთქვა შეესმა და გაჩუმება აშჯობინა.

## 3

ქარები...

რაღენიმე დღეა მძვინვარებენ ქარები. მეთევზეები დნებრზე აფრების მაგივრად ნავებზე მწვანე ტოტებს დგამენ და ეს საკმარისია, რომ ნავი მალა ტალღებში სწრაფად გაცურდეს. სამკალი მანქანები, რომლებმაც თავისი საქმე მოათავეს და მოშავალ წლამდე დასასვენებლად იღვნენ, ახლა თვითონ აქნევდნენ ფრთებს კოლმეურნეობის ეზოში, ფრთები ცხელი ქარის შემოტევისგან მალალი ხმით გუგუნებდა. მტვერი მშრალ ღრუბლებად ადგა მინდვრებს. ველის ფრანველები გაქალარავდნენ მტკრისაგან. ქარი ბუღუღებიდან ოქოსფერ ქულებს გლეჯდა და მონამკალზე მიაგორებდა.



პირქარს მორიდებული ანისიმ არტემოვიჩი წელში მოხრილი კალოზე მიიჩქაროდა. უფერული და მკრთალი მზე ნელა ჩადიოდა, ეტყობოდა ხვალ პაპანაქება იქნებოდა.

კალოდან მოშორებით ტრაქტორები მუშაობდნენ. ტრაქტორებს ფართო არე ჰქონდათ. მოსაბრუნებლად და მათი ძლიერი გუთნები ღრმად ხნავდნენ. ანისიმ არტემოვიჩის მიერ სტაციონარზე დაყენებული კომბაინი დღე და ღამე ლეწავდა პტრს. ყოველდღე სულ უფრო მეტი და მეტი ფართობი თავისუფლდებოდა ძნებისაგან.

ახლა რატომღაც არც ერთი ტრაქტორი არ მუშაობდა.

„რა დაემართათ? ეს რა მიტინგი გაუმართავთ?“ ფიქრობდა შემფოთებული ანისიმ არტემოვიჩი და ტრაქტორებს უახლოვდებოდა. ტრაქტორისტებს აგრეგატი გაუჩერებიათ მოსახვევში და გადამბმელებთან ერთად მაღალ ყორღანზე ხის ქვეშ კოშკურთან შეგროვილიყვნენ. სამხრეთისკენ იცქირებოდნენ და რაღაცაზე შემფოთებით კამათობდნენ, ხელებს აქნევდნენ. მათი ხმა ქარს მიჰქონდა და ანისიმ არტემოვიჩამდე არ აღწევდა. ტრაქტორისტებში აღუვებელი ოლიანკა იდგა, ხელში თავისი წითელი თავსაფარი ეჭირა. გრიშამ მამა დაინახა და მოუთმენლად დაუწყო ძახილი.

ფხვიერ ნახვავზე ანისიმ არტემოვიჩი გრძელი, ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. ავიდა ყორღანზე, რომელიც უკვე ყოველი მხრიდან გადახნული იყო.

სამხრეთით რაღაცას ცეცხლი ეკიდა.

ტალღისებური ცეცხლის ზოლი ნელა ლივლივებდა დაბნელებულ ჰორიზონტზე. იგი ხან მიწას გაეკვროდა, ხან ცეცხლის ფაფრად ყალყზე დგებოდა და ალაგ-ალაგ შემზარავად ამოიბურცებოდა ცეცხლის დიდ ბულულებად. ტრაქტორისტები და გადამბმელები სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ. მაგრამ თითქმის ყველა ასკვნიდა, რომ ცეცხლი კოლმეურნეობა „ხუთწლედ-

ში“ ან საბჭოთა მეურნეობა „ავანგარდში“ იყო.

—ალბათ, ისევ ნაწვერალს წვავენ. მათ კომბაინებმა წელს შალდა გადაამკეს.

—იტყვი, რაღა! ასეთ ქარში ნაწვერალს ვინ წაუცილებს!

—აბა რა არის ასე განუწყვეტლად რომ ბრიალებს?!

—კომბაინის მიერ მოტოვებული ნამჭა იქნება. ისინი ნამჭას ადგილზე წვავენ.

—გახსოვს, ასე იწვოდა ორმოცდერთში დნეპრის გაღმა, როცა ნოვოკამენელები თავის ყანას წვაავდნენ.

—შეხედე, თითქოს ნელდება ცეცხლი.

—არა, ისევ გაძლიერდა.

—ნამჭაა.

ყველას უნდოდა ცეცხლი შორს ყოფილიყო და ნამჭას ჰკიდებოდა. მაგრამ შემფოთება, შიში თანდათან მატულობდა. ვაითუ, ცეცხლი ნამჭას არ უკიდიდა და ბულულები იწვისო.

ანისიმ არტემოვიჩი წარბებშეკრული გასცქეროდა ცეცხლს.

—დიდი ხანია იწვის?—იკითხა მან.

—არ ვიცი, ჩვენ ახლახან შევნიშნეთ.

—აბა, გრიშა, გაიხადე ფეხზე და კოშკურაზე ადი!—უბრძანა ანისიმ არტემოვიჩმა შვილს,—სწრაფად!

გრიშამ ხმისამოუღებლად გაიძრო ჯარისკაცის გამტვერიანებული ფეხსაცმელები, ამხანაგების მხრებზე შედგა და კატასავით ახოხდა მაღლა. ქვევით ყველა გაჩუმდა. იდგნენ თავაწეულები და მთელი გულისყურით შესცქეროდნენ გრიშას.

—აბა!

—მგონი, „დნიპრელსტანშია“ ცეცხლი.

—პეტროსთან!—შეჰკივლა ოლიანკამ და თავზარდაცემულმა მამას შეხედა.

ანისიმ არტემოვიჩმა ყურადღება არ მიაქცია ქალიშვილს და გააფთრებულმა გრიშას ასძახა:

—კარგად დაუკვირდი, სადაა ცეცხლი!

—მლაშე ხევის იქით... მხოლოდ ვერ ვარჩევ, იქ, სადაც კომბაინი მუშაობდა, თუ მარცხნივ, მეორე ბრიგადაში... აჰ, მეორე ბრიგადაშია ცეცხლი!

ანისიმ არტემოვიჩი ისე შექანდა, თითქოს უბიძგესო.

—რას უღვახართ?! — მიუბრუნდა ტრაქტორისტებს, თავის ქალიშვილს, ყველას, — დაყრუვდით?! მეორე ბრიგადაში მათ პური ჯერ კიდევ ძნებად უღდათ.

ტრაქტორისტები დუმდნენ, თითქოს თვითონ იყვნენ დამნაშავენი ხანძრის გაჩენაში. კოშკურიდან ჩამოსულ გრიშას ფეხსაცმელები ეჭირა ხელში და მძიმედ სუნთქავდა.

—მამა!..

—ჩემიდა!.. აგრეგატებზე! — მუშტები მოკეშა და მთელი ხმით შეჰყვირა ანისიმ არტემოვიჩმა.

ხუთი წუთიც კი არ იყო გასული, რომ ტრაქტორები გუთნებიანად მიგრუხუნებდნენ მძვინვარე ხანძრისკენ.

წინა ტრაქტორი გრიშას მიჰყავდა. მის უკან მამა და ოლიანკა იდგნენ. მათ შეუბრალებლად ანჭლრევდა ტრაქტორი. ტრაქტორები მაქსიმალური სისწრაფით მიდიოდნენ, მაგრამ ახლა ანისიმ არტემოვიჩს ყოველგვარი სისწრაფე არასაკმარისად ეჩვენებოდა. ქარს რომ არ წაეგლეჯა, კარტუზი ხელში ეჭირა და გრიშას ზედ ყურთან ჩასძახოდა:

—მოუმატე, მოუმატე გაზს! მაგრად დააწევი პედალს!

მის უკან მტერის კორიანტელში გრუხუნით ხტოდნენ გამშავებული გუთნები.

#### 4

ნარგავებმა მყის გზა მისცეს, მიჩნები გაქრა. არა მარტო თავის არტელის მიწა, რომელიც ტყის ნარგავს აქეთა მხარეს თავდებოდა, „დნიპრელსტანის“ მიწებიც; „ხუთწლედის“ და „ავანგარდის“ მიწებიც ანისიმ არტემოვიჩის წინ იდო, როგორც რაღაც მშობლიური, ახ-

ლობელი, თავისი. მეზობელ ყანებში დატრიალებული საშიშროება, როგორც აერთიანებდა მათ და აჩქარებდა არტემოვიჩს მათ დამცველად და მფარველად ხლიდა. თავი უცებ მთელი ველის ბატონ-პატრონად და დარაჯად იგრძნო.

ტრაქტორები როგორც კი ტყის ნარგავს გასცდნენ და „დნიპრელსტანელების“ მინდვრებზე გაიჭრნენ, ყველაფერი ნათელი გახდა. ქარისაგან აბრიალებული ცეცხლი დაკლაკნილი, გრძელი კვალივით მოიწვედა მახლობელ ფერდობიდან. იქ, სადაც ცეცხლი გაივლიდა, სიბნელე ეფინებოდა მიწას, შავი უღაბნო რჩებოდა უკან, რომელზედაც აქა-იქ მიფერფლილი ცეცხლის ლაქებილა ჩანდა.

ხალხი ხელდახელ ებრძოდა ცეცხლს. ალის ფონზე ნათლად მოჩანდა, როგორ უტევდნენ კოლმეურნეები, ცოცხალი ჯავივით გაქმულნი, როგორ აცხრებოდნენ ცეცხლს მკერდით, რომელზედაც ნაპერწკლები ეყრებოდათ. ხმარობდნენ ნიჩბებს, ფიწლებს, ფოცხებს, ტომრებს, ბრეხენტის ნაჭრებს. ქარი კი სულ უფრო და უფრო აბრიალებდა ალს; ცეცხლის ენები გველებივით ძვრებოდნენ აღამიანთა შორის, წინ მიიწვედნენ, სწრაფად ერთდებოდნენ და გააფთრებული აცხრებოდნენ ნაწვეარალს, რომელიც თითქოს თვითონ ეგებებოდა სიკვდილს. ჯერ მხოლოდ მოშკილი მინდორი იწვოდა, იფერფლებოდა ნამწვა, მაგრამ ზვინები უკვე ახლოს იყო. ასობით იდგნენ ისინი, მძიმენი, უმწეონი, ცეცხლის ალით განათებულნი, გავარჯარებულ ჰაერის ნაკადში გახვეულნი.

ცეცხლი გასაოცარი სისწრაფით უახლოვდებოდათ. ხანდახან ალი უზარმაზარ ბოლქვებად გაიჭრებოდა წინ და ცეცხლის ახალ-ახალ კერებს აჩენდა. ახლა უკვე ხევის მთელ ფერდობს ეკიდა ცეცხლი. მარცხნივ ძნები იყო. მანქანებს, რომლებითაც „დნიპრელსტანელები“ კალოდან მოვიდნენ, ცეცხლი



ემუქრებოდა და შოფრებს ისინი შორს მიჰყავდათ.

უცებ ყურთასმენისწამლები, ფრინველისებური კივილი გაისმა მთელ ველზე. კიოდა ფეხშიშველა, მთლად გაწეწილი გოგონა, იგი ძნიდან გამოვარდა და ხელში აბრიალებული ბულული ეკაეა.

ცეცხლი პურს მოედო.

ამ დროს ანისიმ არტემოვიჩი თავისი ტრაქტორებით ხევის ფერდობზე ჩამოვიდა და ბრძანა, არ გაეჩერებინათ ტრაქტორები და ისე ჩაეშვათ მიწაში გუთნები. ტრაქტორები ერთიმეორეს გაპყენენ, რომ ცეცხლისთვის გზა გადაეჭრათ. ახლად მოხსული მიწის ფართო ზოლი დარჩა მათ უკან.

წინა ტრაქტორზე მდგომი ანისიმ არტემოვიჩი უთითებდა შვილს, საით გაევილო კვალი.

რადიატორებში წყალი აღუღდა, აგლიჯა საცობები და ამოხეთქა.

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას! — სულ შეგუბებით შესძახა ტრაქტორისტებს ანისიმ არტემოვიჩმა, — გასწით!

ტრაქტორისტებს თავისი აგრეგატები ძნების გასწერივ მიჰყავდათ. ახლად გადახსულ მიწის დაკლანკილი ზღუდე ცეცხლის წინ წევებოდა და გზას უჭრიდა. ტრაქტორისტებს აქაიქ აბრიალებულ ძნებისთვის უნდა შემოევილოთ და მაშინ დამწვარი ხორბლის სუნზე ანისიმ არტემოვიჩს ბრაზი ერეოდა, შვილს საყულოში ჩაავლებდა ხელს, მზად იყო, სული ამოეხადა მისთვის.

— იჩქარე!.. გუებნები, ვაინძერიმეთქი!

ანისიმ არტემოვიჩს დაავიწყდა, რომ დნიპრესტანელების მიწაზე, გასანჩუკის მიწაზე იდგა. ეს მხოლოდ მაშინ გაახსენდა, როდესაც წინ გასანჩუკის ტრაქტორები შეეფეთნენ. ისინი მეორე მხრიდან მოდიოდნენ, რომ ცეცხლისთვის გზა გადაეჭრათ.

მოტორების შეწყობილი გუგუნით აგრეგატები თანდათან უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს გაუთანასწორდნენ. ანისიმ არტემოვიჩმა, გასანჩუკი რომ შეიცნო, ხმაშალა შეიგვი-

ნა. გასანჩუკი წინა ტრაქტორზე იდგა და ბრინჯივით თეთრ კბილებს ეღვებებოდა, რაღაცას უძახდა ანისიმ არტემოვიჩს. ალბათ, მადლობას უხდოდა. არ უნდა გადაეხადა მადლობა თუ?

გადახსულ მიწის ფართო სარტყელმა გზა გადაუჭრა ცეცხლს. მხოლოდ რამდენიმე ძნა დაიწვა.

ტრაქტორებმა ერთმანეთს ჩაუარეს და ცოტა წინ წაიწიეს, ვიდრე ანისიმ არტემოვიჩი გონს არ მოეგო:

— კმარა! — შესძახა მან, — ჩვენ რა, აქ იმისთვის მოვედით, რომ მზრალად მოვუხსნათ მიწა?! ჩვენი სამუშაოც გვეყოფა. შემოაბრუნე! — უბრძანა შვილს.

ქარი შენეულდა. ცეცხლს მრავალჯან გადაეღობა ხსულები და სწრაფად ინავლებოდა. კოლმეურნეები ფეხით აქრობდნენ, ტანისამოსს იფერთხავდნენ.

როცა მეორედ ჩაუარა ანისიმ არტემოვიჩმა გასანჩუკს, ტრაქტორიდან ჩამოუსვლელოდ პროკურორის კილოზე ჰკითხა ცეცხლის გაჩენის მიზეზი.

— ამბობენ, მწყემსები გზის პირზე ღორის ქონის ქადას აცხობდნენო, — აუხსნა გასანჩუკმა მეზობელა. — ქარს ცეცხლი მოუტაცნია...

— თქვენ ხომ ყველაფერი მოუწესრიგებელი გაქვთ, — საყვედურით შენიშნა ანისიმ არტემოვიჩმა, — საქმეს მიხედვა უნდა! — თქვა ეს თავმჯდომარემ და ზურგი შეაქცია გასანჩუკს, — წავიდეთ! — უბრძანა თავისიანებს.

გრიშას ისე აუძაგაგადა ხელში შტურვალი, როგორც ვახურებულნი ტყვიამფრქვევი.

მამის უკან მდგომი ოლიანკა ალერსიანად ულიმოდა გასანჩუკს. ქალიშვილი თავით ფეხებამდე გასანჩუკის ტრაქტორის შუქით იყო განათებული.

დამშვიდებული ანისიმ არტემოვიჩი კმაყოფილებით შესეკტროდა მეზობლების ძნებს, რომლებიც მოჩანდნენ მოლურჯო ბინდში ვარსკვლავებით მოქედნილ ცის ფონზე. ისინი ჰორიზონტამდე გაქიმულიყვნენ, როგორც გოლანთების უზარმაზარი მუზარადები.

თარგმნა ბრ. ჩიკოვაძე.

ივრი ზბანასკი

## ა ვ თ ა ნ დ ი დ ი

ნამდვილი ამბავი

რამდენადაც ნაკლები იყო ციხის სა-  
უშუალოდ, იმდენად უფრო ზეიმიითა და ყუ-  
რადღებით იყო ორგანიზებული. საკნის  
შუაში, პირდაპირ იატაკზე მოაპირქვე-  
ვებდნენ ხოლმე ჯერ ისევე ცხელი, გაუფ-  
ცქვენილი კარტოფილით სავსე გარუჯულ  
ბაკს. ცხვირში გვემდა მისი ორთქლი,  
ნესტოებს გვიღიზიანებდა, სიღამის  
სუნი კუჭს გვიფორიაქებდა.

გვშია. უღმერთოდ გვშია. მშიერი  
ძაღლებივით თვალებით ვნთქავთ კარ-  
ტოფილს, ხელს კი ვერცერთი ჩვენგანი  
ვერ ახლებს. სანამ ამ უზადრუკ საუზმეს  
შევედგებოდეთ, მთელი რიტუალი უნ-  
და ჩავატაროთ.

რწმუნებული — მხოლოდ მასა აქვს  
უფლება სატუსალო ულუფა გაყოს —  
გულმოდგინედ, აუჩქარებლივ, ტუსაღე-  
ბის ექვიანი მზერით გარემოცული, ხელ-  
ში სწონის ყოველ კარტოფილს, ერთი-  
მეორესთან აწყობს ჰადრაკულად,  
თითქოს კვალზე სთესავსო. ყოველ  
ჩვენგანს ორი კარტოფილი უნდა შეხ-  
ვდეს, არც მეტი, არც ნაკლები. ძალიან  
იშვიათად მოხდება ხოლმე შეცდომა.  
ბედნიერებაა, თუ ზედმეტი გადმოაყო-  
ლეს. უფრო ცუდია, როცა დაგაკლდება,  
მას ვეღარ დაიბრუნებ, რადგან ისინი,  
ვინც არიგებენ, უკვე შორს არიან, მე-  
დერეფნეს კი, რა თავი შესტკივა. აი,  
უკვე გაცივდა კარტოფილი, განაწილდა  
ერთნაირ ულუფებად, ისე რომ, მეტად  
მიზეზიანი, კრიტიკული თვალის კი სა-  
წინააღმდეგოს ვერაფერს ნახავს. და  
დგება სადღესასწაულო წუთი, წუთი  
საუზმის მიღებისა.

ერთ-ერთი ტუსალი მიდის კუთხეში,  
თვალებსაც კი ხუჭავს, რომ ღმერთი არ  
გაუწყრეს და არ დაინახოს, რომელ კარ-  
ტოფილის გროვას დაადო ხელი რწმუ-  
ნებულმა.

რწმუნებული, ჩვეულებრივ, პირ-  
ველად ხელს ადებს საუკეთესო  
წილს და ყველამ წინასწარ იცის, რომ  
შეკითხვაზე — „ეს ვისა?“ კუთხიდან  
უპასუხებენ:

— ექიმს.

საკანში ამ ადამიანს ძალიან პატივსა  
სცემდნენ. და ამგვარად მაინც, შეუძინე-  
ვლად, უნდოდათ მისდამი სიყვარული  
და ზრუნვა გამოეჩინათ.

შემდეგ ყველანი მიიღებდნენ იმისდა  
მიხედვით, როგორც კუთხიდან იტყო-  
დნენ, და არავინ არ მიეკარებოდა საუზ-  
მეს, სანამ უკანასკნელს არ დაასახლებ-  
დნენ:

— პან პოლიციელს.

ეს პოლიციელი ჩვენს საკანში ოთხი-  
ხუთი დღის წინ შემოადგეს. ადვილად  
ვერ შეეგუა დაპატიმრებას, დიდ-  
ხანს დაწრიალებდა საკანში გამწარე-  
ბული მგელივით, შუბლს ქვემოდან ავი  
თვალით იყურებოდა, ვერავის ამჩნე-  
და. ტუსაღები ინტერესით უცქეროდ-  
ნენ.

— რაო, პანე უფროსო, შენც არ აგ-  
ცდა? ჯერ მგელმა და მერე მგელიცაო?  
პოლიციელმა მხოლოდ ახლა შეანათა  
თვალები ტუსაღებს, დაიბღვირა.

— არყით ხომ გაძებნით, მრუშობითაც  
გული იჯერეთ!

პოლიციელს კისერი ჰარხლისფერი

გაუხდა. თვალები ავაზაყურად დაატრი-  
ალა.

— სხვებს უთხრიდი ორმოს და შენვე  
ჩაეარდი?

ჩემად დაბორილებდა პოლიციელი  
საკანში, ყველას ფეხებში ედებოდა,  
უფროდაუფრო მფოთიანად ისროდა  
მზერას იმ კუთხისაკენ, სადაც მის მიერ  
ციხეში ჩაგდებული ახალგაზრდა ბიჭი  
იჯდა. ვერ გაუძლო მის ცივ გამოხედვას.  
საკანში შემზარავი სიჩუმე იდგა. პოლი-  
ციელი ნადირისებური ხახტომით კარ-  
თახ გაჩნდა და მძიმე მუშტები დაუშინა:

— გააღეთ!

მედერეფენემ, თითქოს კართან ყარა-  
ულობდა, საკვრეტი გახსნა მაშინვე.

— რას აბრაზუნებ?

— გამიშვი... უფროსთან წამიყვანე.  
ხმაში ვედრებაც იყო, ბრძანებაც, მო-  
ფერებაც და სასოწარკვეთილებაც.

— ნუ სულელობ, სანამ კბილები არ  
ჩაუშტვრევიან, — უპასუხა ცივმა ხმამ.  
პასუხი იმდენად გულგრილი იყო, პო-  
ლიციელმა მაშინვე იგრძნო, რომ ამოა  
ბრაზუნე; მან თავი დახარა, მოუსვენრად  
გაიარა საკანი, ყრუ კუთხე აირჩია და  
იქ დაჯდა.

ამჭერად კარტოფილის უკანასკნელი  
ულუფა მას ეკუთვნოდა და იგი უნდა  
დაესახელებინათ, მაგრამ ვერ მოასწრეს.  
კარებს იქით გაისმა მძიმე ფეხისხმა.

საზარლად გაიტკაცუნა გასაღებმა,  
დაიღრპილა დაქანგებულმა ურდულმა.  
ტუსალების მზერა კარს მიებჯინა: —  
შემოიყვანენ ახალს, თუ წაიყვანენ?

გაილო კარი და ზღურბლზე გამოჩნდა  
ბუმბერაზი კაცი. მედერეფენე მასთან  
ჭუჭად მოსჩანდა.

ორიოდე წუთით იგი ზღურბლზე  
შედგა. თავი კარის წირთხლს მიაბჯინა.  
შემდეგ ნელა შემოვიდა საკანში. კარი  
საჩქაროდ დახურეს. ის კი იდგა, დაბნე-  
ულად ათვალეირებდა საკანს და ნაძა-  
ლადევი ღიმილით ღრეცდა ტუჩებს.

აქამდის ამოდენა ადამიანი არ მენახა,  
სიმალით ორ მეტრზე მეტი იქნებოდა.  
მზრების სიგანე წელთან ვიწროვდებო-  
და და, თუმცა რაღაც ძონძები ეკიდა,

მის ათლეტურ ფიგურას მაინც ეტყობო-  
და არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალა.  
მაშინვე ვიცახი, რომ ქართველი იყო.  
რაღაც საკვირველად ნაცნობი მეჩვენა  
ეს მარმარილოსებრ ფერმკრთალი, სწო-  
რი ხაზებით გამოძეოწილი სახე, შავი  
წარბები, შავი მწველი თვალები; ბიბ-  
ლიური სილამაზე ჰქონდა: სწორი ცხვი-  
რი, მაგრად მოკუმული, წყურვილით  
დამწვარი მოხატული ბაგენი და ხშირი,  
დახუჭუჭებული, ანტრაციტივით შავი  
თმა, საიდანაც ვარდისფრად გამოიყუ-  
რებოდა ყურის ბიბილოები, ნებისყო-  
ფიანი, დიდხინის უქმელობით დაწერი-  
ლებული ნიკაბი. ყველაფრით სრულ-  
ქმნილი, ნატიფი, იგი თითქოს ცოცხალი  
ადამიანი კი არა, ვიღაც გენიალური  
მხატვრის ტილოდან იყო გადმოსული.

— ავთანდილი! — უნებურად წამოვი-  
ძახე საკნის სიჩუმეში.

მან ჩემსკენ მოიხედა. ახლა უფრო კარ-  
გად გავსინჯე. უეჭველია, სამხედრო  
იყო. დაფლეთილ ხალხის კიდევ ეტყო-  
ბოდა ხაკისფერი. შარვალსაც, თუმცა  
მთლად დასერილი და დახეული იყო.  
მხოლოდ წაღები ან ჭარისკაცის ფეხსაც-  
მელი კი არ ეცვა, არამედ რაღაც რეზი-  
ნისა, შინაურულად შეკერილ ავტოსა-  
ბურავისაგან. მაგრამ ყველაზე უფრო  
გამაკვირვა მისმა ბუშლატმა. სამხედრო  
ბუშლატი იყო, ეტყობა, მის ბეჭებზე  
გაწყობილი, მაგრამ ნატარები და დაფ-  
ლეთილი. ბუშლატის, თითქოს განგებ  
გაკეთებული, მრავალი ნახვრეტიდან  
მოჩანდა რუხი, უსუფთაო ბამბის ნაფ-  
ლეთები.

რუსთაველის გმირის ხსენება ესი-  
ამოვნა ახალმოსულს. დაკვირვებით  
მოათვალეირა მიბნელებული საკნის  
მცხოვრებნი, სასიამოვნოდ გაიღიმა, მო-  
მიახლოვდა და კავკასიელის დამახასი-  
ათებელი აქცენტით მკითხა:

— ავთანდილი გაგიგონიათ?

ტუსალები ლილიპუტებივით შემოეხ-  
ვივნენ. მოურიდებლად ათვალეირებდ-  
ნენ, თითქოს არ სჯეროდათ, რომ ჩვეუ-  
ლებრივი ადამიანი იყო და არა მოჩვე-  
ნება.

კუთხეში პოლიციელი შეიშუშნა. თავი აიღო, გაკვირვებული დააცქერდა ახალმოსულს და უცერად წამოდგა ჩვენ გვეგონა, რომ პოლიციელს თავისი კარტოფილი მოაგონდა.

მაგრამ ის მიუახლოვდა ავთანდილს, და უცხად ისე გამოიცვალა, ვეღარ იცნობდით. მოთელილი, წითური მატყლისმაგვარი წვერით შემოსილ სახეზე მხეცური სიხარული აენტო, თვალეზი უბრწყინავდა, ტუჩები კი გამარჯვებულივით გამოზურცოდა.

— ა, მაინც დაგიპირეს, მტრედო!

ავთანდილი შეერთა, მაგრამ სწრაფად შეიკავა თავი და წყნარად შეაქცია ზურგი პოლიციელს, თითქოს მას არაფერი ეხებოდა.

პოლიციელი გამარჯვებულად გრძნობდა თავს. ახლა აღარავისი ეშინოდა, თავს სტუმრად თვლიდა და არა ჩვენი საკნის მცხოვრებად.

— აი, აილე შენი კარტოფილი... — უთხრა ვილაძამ.

პოლიციელმა გაიცინა. სატუსალოს მცირე ულუფას თვალი გაუჩერა, ერთ წუთს უცქირა და... ფეხბურთელივით გაისროლა ის კარტოფილი. რუხ კედელს დიდი ლაქა დაეტყო. თრთოლივით აღესილი თვალეზით გაკვირვებით მიაშტერდა მას. სატუსალოში საკმლის ასე გადაგდება დიდ ცოდვად ითვლებოდა ტუსალები უნებურად ფეხზე წამოიჭრნენ.

— თვითონა ხეტოქეთ დამპალი, — უპასუხა გაბღენძილმა პოლიციელმა და უკვე დაქადებით თქვა:

— სულერთია, ყველანი აქ ამოწყდებით!

ირობად ვაიღიმა და კარისკენ გაემართა.

ტუსალებმა რაღაც ავი იგრძნეს და თავიანთი გამხდარი სხეულებით გზა გადაუღობეს.

— ჭკუაზე შეიშალა, — წამოიძახა ვილაძამ.

მისი ჭკუაზე შეშლა არავის არა სწყენია.

— წადი, აბა, შენს კუთხეში დაჯექი! — შეუტიეს მას.

— ჩემი ვადა მორჩა, ზემოდან თვალი ჩაუკრა პოლიციელმა, — გამოცხადდა ის, ვინც სახრჩობელას მონატრებია. — თქვა და ავთანდილისაკენ მიიხედა.

ავთანდილმა მხრები აიჩეჩა.

— არა, მართლა შეშლილია, — კვლავ წარმოსთქვა ვილაძამ.

— გამატარეთ!

მის წინ მრისხანე კედელი აღიმართა.

— წადი და დაჯექი! — უბრძანეს კედევ. — დაბმული ძალღვივით ყველასა ჰკებენ.

— გამიშვით, თორემ ვიყვირებ.

— იყვირე, ჭიპი მაინც გაგზურდება.

გამწარებულმა პოლიციელმა თავისი მკვრივი მხარი წინ გასწია და ძალით მიაწვა ადამიანთა კედელს. კედელი შეინძრა, მაგრამ კარისკენ კი არ წავიდა, პოლიციელს მოაწვა. საკანში საზარელი სიჩუმე ჩამოვდა.

ეტყობა, ბოლოს მოაგონდა, რომ კედელს შუბლით ვერ გააარღვევდა, და პოლიციელმა ნაბიჯით უკან დაიხია, აღშფოთებულმა წარმოთქვა:

— თქვენ პასუხს აგებთ... იმასთან ერთად აგებთ პასუხს.

და კვლავ მრავალმნიშვნელოვნად მიიხედა ავთანდილისკენ.

— ეს ბანდიტია! მაგის გულისათვის ჩამსვეს ციხეში. მაგან ორი პოლიციელი მომიკლა.

ყველა ავთანდილს შესცქეროდა. ის კი მხრებს იჩეჩავდა, თვალეზს მალავდა.

— პირველად ვხედავ ამ ტიპს...

— პირველად? მაშ ვინ გავგზავნე სარაიონო პოლიციაში? ვინ შეახეტქა შუბლებით ერთმანეთს ჩემი პოლიციელები იქვე რომ დაიხოცნენ? ვინ?

პოლიციელი აენტო უტრევდა ქართველს. ეტყობოდა, ფიქრობდა, რომ ჩვენც თანაუფერძნობდით მას:

— გერმანელები არ გაპატიებენ, მაგისტვის — ახრჩობენ.

ავთანდილი ჩუმად იყო, თავი დახარა, ნერვულად იკვნეტდა ტუჩებს.

— აი, ასე იყო, ძმებო, — მოარგვალა პოლიციელმა და კიდევ კარისკენ გაიწია.

— დაჯექი შენს ადგილას!

პოლიციელმა ენა ჩაყლაპა. ბოროტად მიმოიხედა.

— ყველას დაგაბეზლებთ.

— დაჯექი!

— ვიყვირებ!

— ხახაში ჩაჯჩრით.

რამდენიმე წუთი ფეხის წვერებზე იდგა პოლიციელი, მრისხანედ ქმინავდა, ანთებული თვალები მიანათა მათ, ვინც კარის გზას არ აძლევდა, და კბილებში გასცრა:

— მოუტყალოთ შემოწმებას.

მობრუნდა, მივიდა კუთხეში, დაჯდა იატაკზე და თავი ხელებში ჩარგო. დიდი ხნით გაქევადა.

ტუსალები თანდათან სხდებოდნენ თავიანთ ადგილებზე. ახალი ტუსადის ირგვლივ ჭკუფუად შეიკრიბნენ. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილმაც მოიშორა მხრებიდან თავისი არაჩვეულებრივი ბეშლატი, დაუდევრად დააგდო საკნის შუაგულში და ზედ წამოწვა, თითქოს გორამ გაყო შუაზე ჩვენი საკანი. მართლაც, ბუმბერაზი იყო ეს ახალი პატი-მარი.

ნელ-ნელა დაიწყო ბაასი. კარგად მაინც ვერ მიდიოდა. ეტყობოდა, თავის დაუძინებელ მტერთან მოულოდნელმა შეხვედრამ შეაშფოთა ქართველი და თავდაპირველად ლაპარაკობდა. ჩვენიც ეს გვაფერხებდა. თუმცა პოლიციელს კართან მისვლის ნება არ მისცეს, საღამოს შემოწმებაზე ის თავისას გაიტანდა. მართალია, დღე მხოლოდ ახლა დაიწყო, მაგრამ ჩვენ უკვე მოსვენებას არ გვაძლევდა საღამოს ბინდი. რომელსაც ბევრი უსიამოვნება შეეძლო მოეტანა, არამც თუ ავთანდილისათვის, მთელი საკნისათვისაც.

— გარემოცვაში მოხვდი?

— ყაზარმიდან მოვდივარ...

— შემოფლეთილხარ, — თანაუგრძნო

ვილაყამ, ტანისამოსს რომ უტყუროდა...

— მე თვითონ დავგლიჯე, რომ არ გაეხადათ. იმათ უყვართ ამისთანა რამე...

— დაგიკირებს?

— საშვი მქონდა... მაინც დამიკირებს... მივდიოდი, დამიკირებს.

საუბარი შეწყდა... პირველი ინტერესი მოიკლეს. და თუმცა ყველას უნდოდა გაეგო, რა მოხდა ქართველსა და პოლიციელს შორის, მაინც არავინა ჰკითხა.

ამის შემდეგ, კარგი იყო თუ ცუდი, შუადღისას გაიღო კარი:

— ჰეი, შენ, ილია მურომეც, გამოდი! მედერეფნის უკან გულგრილად იდგა გესტაპოელი.

ავთანდილი ნელა წამოდგა, მხრებზე მოიგდო დაკმუტნილი ბეშლატი. მოჯადოებულებით აცილებდა მას მთელი საკანი, და ვერ გაიგეს, როდის წამოხტა პოლიციელი, ადამიანებს გადაასტა და კართან მიიჭრა.

კარი ცხვირწინ ჩაუტეტეს.

პოლიციელი სასოწარკვეთილებით სცემდა მუშტებს კარზე.

— ბატონო მედერეფნე! მაგას მე ვიცნობ! მე დავუმტკიცებ.

გაიწია საჭკურტი.

— კარცერში მოგინდა?

— მე დავუმტკიცებ...

— უშენოდაც გაარჩევენ, — მშრალად მოუჭრა მედერეფნემ და ჩამოსწია საჭკურტი.

ჯავრით გაბოროტებული, ფეხარეულად დაბრუნდა პოლიციელი თავის კუნძულში, დაწვა, სიბრაზით დააღრჭი-აილა კბილები.

საღამოს შემოწმება ახლოვდებოდა, ჩუმად ისხდნენ ტუსალები. ფიქრობდნენ, მხოლოდ ერთ კუთხეში, პოლიციელის ახლოს, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ ბიჭები, საექვოდ ანათებდა მათი თვალები.

ანაზღად საკანში რაღაც გაუგებრობა მოხდა. პოლიციელის კუთხეში აქამდის რომ მშვიდობიანად ისხდნენ, ახლა როგორღაც ვერ მორიგდნენ ერთმანეთთან ახალგაზრდები. კუთხე ორად გაიყო,

ერთიმეორეს მწარე სიტყვებს ესროდნენ, ილანძღებოდნენ, რაღაც ცოდვებს აბრალებდნენ ერთმანეთს. ჩქარა იქამდე მივიდა საქმე, რომ ორი მათგანი წაიჩხუბა, მამლაყინწებვიით ერთმა მეორეს ხელი ჰკრა, ის ვერ გამაგრდა ფეხზე, წაიქცა და პირდაპირ პოლიციელს დაეცა, პოლიციელი ისეც გაბოროტებული იყო, ეშმაკივით, ახლა კი სულ ცეცხლი მოეკიდა. ეტყობოდა, დაავიწყდა, რომ საკანში იჯდა, თავი საპოლიციოში ეგონა — წამოხტა და დამნაშავეს კისერში წაუთაქა.

მერე, ჩხუბი რომ ჰქონდათ, თავიანთი დაავიწყდათ და ეცნენ პოლიციელს.

— შენ აქ ცემასაც გვიწყებ, პოლიციელო ძაღლო!

საკანში ალაპარაკდნენ, ახმაურდნენ, რომ მედერეფნეს ყურადღება არ მიექცია. ჩვენი ოჯახური საქმე რად გახშირდეს, რა ვუყოთ, მიტყუავენ ერთიმეორეს, მერე შერიგდებიან. განა საჭიროა ახლა მედერეფნე ჩაერიოს? მაშინ ხომ ვისმე კარცერიც არ აცდება.

ჩქარა დერეფანში შემოწმებაც დაიწყო. მედერეფნე შემოწმებელს უკვე ხმამაღლა უპატაკებდა. ჩვენები კი კუთხეში რაღაცას წვალბოდნენ. მძიმედ ჰქმინავდნენ. ჩვენი საკანი უკანასკნელი იყო დერეფანში, ჯერ კიდევ დრო ჰქონდათ.

ამოწმებდა სატუსალოს უფროსის მოადგილე — ლოთი. უწორო ღობედ გაიქიმნენ ტუსალები იმის წინ. საკნის უფროსი პატაკს სხაპა-სხუპით აძლევდა: ყველანი ადგილზეა, მწყრივში დგანან, მხოლოდ ერთი მძიმე ავადმყოფია და არა დგას რიგში.

— რა დამართა?

— ვინ იცის... იქნებ გაგიყდა. იატაკს თავს ურტყამს. სიცხე აქვს. რაღაცას ბოდავს...

— გაიწიეთ!

ტუსალებმა გზა დაუთმეს. შემოწმებელმა უგულოდ გაიხედა კუთხეში, თავი დაიქნია, ჩვენ დაგვთვალა...

დაიხურა კარი. ტუსალები. დაიშალნენ, ალაპარაკდნენ.

— რა დამართა?

— ცოტა რამ უნდა ადამიანს...

— ჰო, ახალი მყრ... ნეტრეულმა სისტემამ ვერ გაუძლო.

— მართალია. სატუსალოში ნერვული სისტემა თანამასავით მაგარი უნდა გქონდეს.

— ყოველნაირი მწუხარებისაგან გონება გერევა.

— მაშ, რა იქნება?

დაიწყო ციხის გაუთავებელი, ერთი იმ საღამოთაგანი, რომელსაც, გგონია, ბოლო არ უჩანს. თუმცა ასეთ დროს იშვიათად ვაპყავდათ, მაგრამ, სულერთი იყო, ყოველი საათი საბედისწერო გეჩვენებოდა. შეიძლება, ყველაფერი გეფიქრა, ყველაფერი გეტქვა. მძიმე ფიქრები არ შორდებოდა ტუსალს სიზმარშიაც კი. ამ დღის ამბები ისე წავიდა, რომ ფიქრის დროც არ გქონდა. როდის-როდის, შემოწმების შემდეგ საკანში შემოვიდნენ ტუსალი სანიტრები, ხმამაღლებლივ დადეს პოლიციელი პარუსინის საკაცეზე და ნელა წაიღეს ავადმყოფი სატუსალო იზოლატორში. დაე, ნუ ავრცელებს სენს საკანში, გულცივად უკეპროდა ყველაფერ ამას მედერეფნე. კენესოდა ავადმყოფი. როგორც შეეფერება. მას ნადვლიანი რეპლიკა მისდევდა.

— რა დამართა, ნეტა?...

— ადამიანი ბუზივით არის...

— ოჰო, ჰო, ყველაფერი ღვთისგან არის, ოჰ, ოჰ...

— არა უშავს. უმკურნალებენ, ფეხზე დააყენებენ, მაშ რად არის მედიცინა...

მხოლოდ კარები რომ დაიკეტა, საკანში თავისუფლად ამოისუნთქეს.

— ახლა იქ, ალბათ, ღმერთი მონადირეს გაუგზავნის, — დალოცა ვილაც მხამალა.

ტუსალებმა ერთმანეთს გადახედეს და დიდი ხნით გაჩუმდნენ. მონადირის მხოლოდ მოგონებაც კი ყველას შიშსა და ცახცახს გვრიდა. ეს მონადირე, მხეცი გესტაპოელი, თითქმის ყოველდღე მოდიოდა ციხის ჭუნგლებში. ბევ-



რის ჯაფა საჭირო არ იყო, რომ თავისი მსხვერპლი ეპოვა, მეტადრე თუ იზო-  
ლატორი თავისუფალი არ იყო, და ნა-  
ღირობდა იმაზე ციხის ეზოში, ყველას  
თვალწინ.

იმ საღამოსაც მოვიდა იგი სატუსა-  
ლოს ეზოში.

— იღბალი მოუვიდა ილია მურო-  
მეცს...

ეს იყო ერთადერთი ფრაზა, რაც  
გაისმა საკანში მონადირის სროლის  
შემდეგ. იღბალი ჰქონია ადამიანს. დე,  
დაუძაღლოს ბიჭებს, რომ მოაშორეს  
პოლიციელი.

უანგინი კარის ჭრიჭინმა და მძიმე  
ჩეჭმების ბრახუნმა გამომაღვიძა.

ჯერ ისევ საზარელი სიზმარი მეგონა,  
მაგრამ კარგად რომ გვახილვე თვალე-  
ბი, დავინახე, სატუსალოს მსახურებმა  
საკანში შემოათრიეს რაღაც მძიმე, უფ-  
ორმო და იატაკზე დააგდეს.

საკანში საცოდავად ეგდო ავთანდი-  
ლი. ყრუდ კენესოდა, კბილებს აკრა-  
ჭუნებდა, სახით იატაკს ეხახუნებოდა,  
ხეუჭუხა თმა საეჭვოდ უბზინავდა, მარ-  
ჯვენა ფეხი გვერდზე არახუნებრივად  
ჰქონდა მოხრილი, მხრებზე სისხლით  
მოსვრილი ბუშლატი ესხა.

ავთანდილს უნდოდა ბუშლატი მხრე-  
ბიდან მოეშორებინა. ვილაც ფიცხლავ  
დაეხშარა.

მან კბილები გააღრჭიალა და ყრუდ  
დაიკენესა. ჩვენს თვალწინ საზარელი  
სურათი წარმოგვა: ადამიანის ზურგი  
ცოცხალ ლეშად იყო ქცეული. ტუსა-  
ლების თვალი შეჩვეული იყო ბევრ  
საშინელებას. მაგრამ ისინიც კი შეკრ-  
თნენ, გაბიჯდნენ; მხოლოდ ერთი, ჭა-  
ლარა, დარბაისელი ქირურგი, რომე-  
ლიც პარტიზანებთან კავშირის გამო  
იყო დაპატიმრებული, დაიხარა ტან-  
ჯულთან. ისიც შეზარა ავთანდილის  
ზურგის დანახვამ.

ამისთანა მდგომარეობაში ადამიანს  
თითქოს მოძრაობის უნარიც აღარ უნ-  
და ჰქონდეს, მაგრამ, ჩვენს ვასაკვირ-  
ვად, ავთანდილი ჯერ ხელებს დაეყრ-

დნო და მერე იატაკზე დაჯდა. სასოწარ-  
კვეთილებით უცქეროდა თავის ფეხს.

ექიმი მაშინვე მიხვდა. რა აუწყებ-  
და. ფრთხილად შეეხო ფეხს, და, თით-  
ქოს ელექტროდენმა დაჰკრაო, კბილებ-  
მა კვლავ დაიჭახუნეს და მტკივნეული  
კივილი ყელში შეახმა ქართველს.

— უნდა გაიჭრას, — უთხრა ექიმ-  
მა.

საკანში დანისა და სამართების  
ხსენებაც კი არ შეიძლებოდა: ხშირად  
მათი გულისათვის ადამიანს სიცოცხ-  
ლეს უსპობდნენ, მაგრამ, ვინაიდან აქ  
სიცოცხლე მეტად იაფად ფასობდა, ზო-  
გიერთი ამ კატეგორიულ აკრძალვას არ-  
ად აგდებდა, არ უნდოდა ეს კერძო სა-  
კუთრება მოეშორებინა. სამართების  
ნამტვრევები, პატარა დანები ინახებო-  
და საკანში ისე, რომ ეშმაკიც ვერ იპ-  
ოვნებდა. ერთი ამისთანა დანით გაუჭრა  
ექიმმა ავთანდილს შარვლის ტორი,  
დამპალი და დაძველებული. აუწია  
მუხლამდე, მაშინ ყველამ დაინახა  
დასისხლიანებული და გასიებული ფე-  
ხი, საიდანაც ყოველმხრივ ეკლებივით  
გამოჩრილიყო დამტვრეული ძვლები.

ექიმი ჩაფაჩრებული ათვალეებდა  
საშინლად დამტვრეულ ფეხს.

— ექიმი ბრძანდებით? — მძაფრი  
სუნთქვით შეეკითხა ქართველი.

ქირურგმა თავი დაუქნია.

— გამოსწორეთ ფეხი! — გაჯავრე-  
ბით უბრძანა ექიმს.

— ეს ძნელია, — უთხრა ექიმმა, —  
უანესთეზიოდ გერ გაუძლებ.

— გაეუძლებ, — დააკრაქუნა კბილე-  
ბი ავთანდილმა, — ყველაფერს გავუ-  
ძლებ.

ექიმმა ხმაამოუღებლივ დაიწყო ფე-  
ხის გასინჯვა. გამოჩნდნენ მოხა-  
ლისნიიც, ესმარებოდნენ ექიმს. უფ-  
რო მშობრები კი შეჯგუფდნენ კუ-  
თხივში. თვალეები დაბლა დახარეს,  
ყურებში თითები დაიკვეს, რომ არ გაე-  
გონათ არაადამიანური კენესა. ქართვე-  
ლი წარმოუდგინელ ტანჯვას იტანდა,  
რომ ექიმი ოდნავ არ დაიჭრებულყო,  
არ შეეჩერებინა თავისი მუშაობა.

— გააკეთეთ თქვენი საქმე, გენაცვალე, გააკეთეთ, გთხოვთ, — ეუბნებოდა ექიმს.

ოპერაციას, გეგონებოდათ, ბოლო არ უჩანდა.

ბოლოს ფეხი გაუმართეს, შეუხვიეს რაღაც ჩერებით, შეუტარეს კიდევ პრიმიტიული არტაშინით. ამისათვის გამოადგათ არყის ტოტების ცოცხი, რომელიც დაუყოვნებლივ შეეწირა მედიცინას.

— დაასველეთ ბუშლატი, — გვთხოვა ქართველმა.

დაასველეს და ზურგზე დაადეს.

— გამაღობთ, კეთილო ხალხო, — მსუბუქად ამოიყენესა მან.

დილაზე თვალი არავის მოუხუჭავს. მის გვერდით ისხდნენ, ხანგამოშვევით მის საშინელ ჭრილობებს ადებდნენ ბუშლატს ხან ერთი მხრიდან, ხან მეორიდან.

იმისათვის არავის არაფერი უკითხავს.

განთიადის წინ მან თვითონ დაიწყო ლაპარაკი.

— უიღბლო ვარ, — უჩიოდა თავის ბედს, — სრულებით უიღბლო.

— რა გქვიათ? — დაინტერესდა ვილაც.

— იაკობი...

— იაშა...

მან გვარიც თქვა, ქართულად იგი ლამაზი და წვრილა იყო, მაგრამ ჩემი ყურისათვის უჩვეულო, და ანტიკომ ვერ დავიხსოვებ.

— შეიძვერ გავიქეცი... — გვიამბობდა იაშა ყრუ ჩივილით, თითქოს თავის თავს უყვებოდა. — შევადვერ დამიჭირეს... დიდი ტანი, მშვიდობიან დროს არ გიშლის, მაგრამ ომში არ ვარგა. გაიქცევი, — ვერ დაიმალები, ყოველ მხრიდან გხედავენ, დაწეები — მაინც ჩანხარ...

— ტყვედ წამიყვანეს... ყაზარმაში ვიჭექი, დიდი ხანი ვიჭექი, არ გვაქმევდნენ, შიმშილით სულ დავსუსტდი. მერე ყველა კავკასიელი ერთ ადგილას შეგვყარეს, კეება დაგვიწყეს.

გვიკვირდა, საიდან ეს პატივისცემა? გავიხსენებ კომენდატურაში. „გინდათ

გერმანიის ემსახუროთ?“ — „ფიცი მაქვს მიცემული“; დიდხანს მელაპარაკუნენ, მე კი ჩემსას ვაფხვინებდი. მერე მითხრეს: „კონცხანაკში ჭკუაზე მოხვალ“. ხოლო ენდარაშმა რომ წამიყვანა, გზაში ვუთაქე. გათავდა...

იაშა გაჩუმდა, ფეხს მისწვდა, ნაზად გადაუსვა ხელი.

— აი ამით... ფოლადისაა, მაგრამ ვერ გაუძლო...

მწუხარედ გაიქნია თავი და განაგრძო:

— ერთი კვირა ვიარე. — არაფერი, მერე სოფელში შევედი, ქაშა მინდოდა. აქ პოლიციელი დამხვდა. პოლიციელებისაგან თავის დაღწევა ადვილია. პოლიციელები მუდამ მთვრალეები არიან. მათი შუბლებით შეხლაც ადვილია, შეიძლება მუშტითაც მისწვდე. შეიძვერ გავიქეცი...

რკინის ხარიხებში მტრედის ფერი დილა დაიძრა.

— დამიჭერენ, მაშინვე ოქროს მთებს მპირდებიან. „ჩქარა კავკასიაში შევალთ, კნიაზი იქნები“. ჩემი თვალტანადობა მოსწონდათ — თავადად გაგზდიოთ, ოღონდ შენთანები კარგა ჩამოახრჩეო...

— შენი ნაცნობი ჩვენ გავგზავნეთ...

იაშამ, ეტყობა, ვერ გაიგო რაზე იყო საუბარი...

— ნაცნობი?

— პოლიციელი.

— ახლა სულ ერთია, — ამოიხზრა იაშამ. — ახლა სულ... — გვთხოვა ბუშლატი გადაგვეფარებინა.

— როგორი საღამო იყო... ცა მთლად გაწითლდა... როგორც საქართველოშია ხოლმე. და ისე მომინდა სახლში ყოფნა... გესტაპოელი კი პასუხს ელის. თარჯიმანიც. ჩვენთან იყო, ქართველი. რევოლუციის დროს გაქცეულა სალახანა, ფაშისტად იქცა. ოქროს მთებს მპირდებოდა. ფანჯრის იქით კი ნანგრევებია. ერთი იქ გაეჩნდე როგორმე. მობეზრდა ფაშისტს ჩემი ერის შეიშლის ყურისგდება. „თანახმა ხარ სპეცბატალიონში იმსახურო? — მიყვირის. „რატომაც არა, ვიმსახურებ“. კმაყოფილი არიან. მე კი ჩემსას ვეფქობ.



სიგარეტს მთავაზობენ, თარჯიმანს ასანთი მოაქვს. აქ კი ვიხელთე და მუშტი დავატრიალე.

ზურგი რომ არა ჰქონოდა დასისხლიანებული და ფეხი დამტვრეული, შეიძლება გეფიქრა ზღაპრებს გვიამბობსო.

— შემდეგ კარები გადავკეტე, გასაღები იქ იყო. ფანჯარა გავაღე და გადავხტი. და კვლავ ბედმა მიღალატა. ერთი ფეხი მიწაში ჩამჩხა. მეორე ასფალტს მოხვდა, ვერ გაუძლო. ფოლადისაა, მაგრამ გაიბზარა... დამღუპა...

საკანში ყველამ ამოიოხრა. საწყენი და დასანანი გახდა ყველა ტუსაღისათვის, რომ ასე შეეშალა ხელი.

— ნანგრევებში შევქვერი, სადღაც მიწის ქვეშ მოვხვდი. მაგრამ კვალზე ძაღლები მომყვნენ, იყნოსეს ძაღლებმა... აბა, მერე... — მან ოდნავ მხრები შეიშმუნა. ყველაფერი გასაგები იყო, თქმა აღარ იყო საჭირო.

— ამბობენ. რომ ფაშისტი მოვკალი. თითო ფაშისტი თითოზე და გამარჯვება უზრუნველყოფილიაო, მე არა ერთი მოვკალი. ახლა ყველაფერი უკვე...

და გაჩუმდა. თითქოს თვლიდა. ყრუდ კენესოდა. ხან წყალსა თხოულობდა, ხან ბუშლატის გადაბრუნებას და, როცა ფანჯრის იქით დღემ გაიმარჯვა, ბოდვას მოჰყვა, რაღაცას ყვიროდა, ხელებით იატაკს უაღერსებდა, ხან თავის მძიმე, გასიებულ მუშტებს კუმშავდა, ხან შლიდა. ტუსაღები ჩუმად იყვნენ, როგორც მიცვალებულთან, მძიმედ ჩაეჭინდრათ თავები, იატაკს ჩასცქეროდნენ აწითლებული უძილო თვალებით, ფიქრობდნენ თავის დაუსრულებელ ტუსაღის ფიქრს.

იმ დროისათვის, როცა კარტოფილი უნდა მოეტანათ, ანაზღად დერეფანში გაისმა ნერვული შეძახილები და ჩვენ

ყველანი უნებურად ფეხზე წამოვდექით. მხოლოდ ავთანდილი იწვა იატაკზე, როგორც ვეფხის ტყავეში გზნველური ზღაპრული დევი.

კარმა დაიჭრაქუნა, მთლიანად გილო. გამზადებული ავტომატებით დერეფანში შეყრილიყო მრავალი პოლიციელი და ფაშისტი. უფროსი მრისხანე თვალებით ჩააცქერდა მწოლარეს, და პოლიციელებს უბრძანა:

— წაიღეთ!

პოლიციელები შემოვიდნენ საკანში, მაგრამ იაშამ თავი ასწია, მხრებს დაეყრდნო.

— მე თვითონ წამოვალ, — ყრუდ ჩაილაპარაკა.

პოლიციელები შეჩერდნენ. ფერმკრთალსახეებიანი ტუსაღები გახევდნენ. ფაშისტებმა ერთმანეთს გადახედეს გაუგებრად. მედერეფნეს კი ნერვულად დაღრეცოდა ტუჩები.

ავთანდილი ფეხზე წამოდგა. თამამად შეხედა მტრებს, მწუხარებითა და ტანჯვით გადახედა ტუსაღებს. მისი გამოხედვა დამამახსოვრდა მთელ სიცოცხლეში. ოდნავ შესამჩნევად, მადლობით დაგვიკრა თავი და გაემართა უღმობელი ბედის შესახვედრად.

დიდხანს, წარმოუდგენლად დიდხანს, ეძაღებოდა საკნის შეაგულიდან ზღურბლამდე მისვლას ავთანდილი. ქვასავით გაჩუმებულიყვნენ ტუსაღები. მოთმინებით, ჩუმად ელოდნენ ქალათები. ის კი ზედაშიანური დაძაბვით სძლედა ამ მანძალს, ამაყად ეჭირა ლაპაზი თავი, თავი ავთანდილისა, ზღაპრული გამირისა, რომელიც ყველა თაობისათვის მაგალითი გახდა სწორუპოვარი სილამაზისა და უზომო მამაცობისა.

და მან დასძლია იგი.

უკრაინულიდან თარგმნა **გიორგი ნამორაძე**



## მიხეილ შარვაშიანი

# საბედისწერო მოსახვევი

რომანი

ამ რომანის ავტორს — ცნობილ ბელეტრისტს, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ შარვაშიანს ახლახანს დაბადების სამოცი წლისთავი შეუსრულდა. ეს თარიღი აღნიშნა საკავშირო და საქართველოს მწერალთა საზოგადოებრივმა, რესპუბლიკურმა და პერიოდულმა პრესამ. მ. შარვაშიანმა პირველი ნაწარმოებითვე მიიქცია ყურადღება, ეს იყო რომანი „ინონი“, რომელიც 1926 წ. გამოქვეყნდა „მხატობში“. ამ რომანს მოყვა მოთხრობები და ნოველები, მათ შორის „ობობა“, „სემიდა“, „მიში“, „ხავსმოდებული ნაფოტები“. განსაკუთრებული პოპულარობა მოუხვეჭა მ. შარვაშიანს მოთხრობამ „ხარატანთ კრა“, რომელიც ასახავს რა ომის შემდგომ სოფელს, რელიგიატური სიმატლით და ფსიქოლოგიური სიღრმით ვერძენებს მწეავე კონფლიქტს ახალი და ძველი მორალის ადამიანებს შორის. გასცენიერებული იგივე ნაწარმოები დიდძალ მაყურებელს იზიდავდა მრავალი წლის მანძილზე. ძველი ყოფაცხოვრების და მორალის გადმონათქვამთან ბრძოლის თემაზე არის დაწერილი მ. შარვაშიანის „ზავი“, რომელიც თავისი რომანტიკულ-მონუმენტური, კოლორიტული სახეებით და დამაბული დრამატიზმით ქართული საბჭოთა დრამატურგიის შენაძენს წარმოადგენს, რომელსაც მუდამ შეუწელებელი ინტერესით ხედებოდა მაყურებელი.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის იდეურ-ინტელექტუალური ცხოვრების, იმდროინდელი ეთიკური პრობლემებისა და სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გახსნის უტყუარი ნიჭი გამოამჟღავნა მ. შარვაშიანმა ორ ისტორიულ დრამაში — „ბარათაშვილსა“ და „მგზნებარე მეოცნებში“, რომლებიც დიდხანს შერჩა ჩვენი ორი წამყვანი თეატრის — რუსთაველის და გრიბოედოვის თეატრების სცენას. მ. შარვაშიანი ავტორია სიმატლითა და საკთხების საფუძვლიანი ცოდნით აღბეჭდილი მრავალი მხატვრული ნარკვევისა, პუბლიცისტური და ლიტერატურული სტატიისა. მას, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეს თვალსაჩინო წვლილი აქვს შეტანილი ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში. იგი იყო და არის საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, დრამატურგთა სექციის ბიუროს თავმჯდომარე, თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო ამჟამად შერჩა „ლიტერატურაზე გრუზიას“ რედაქტორი.

დიდსა და ჭერმაღალ სვეტებიან დარბაზში ნახევრად ბნელოდა. დამის სტუმრები ჯერ კიდევ არ წვეოდნენ სახელგანთქმულ რესტორანს, ხოლო დღით მომლხენნი უკვე ამთავრებდნენ ნადიმს და პურობას.

ცალკე მაგიდებთან მოკალათებულ თანამესუფრეთა ოდნავ წახრილი ჩრდილები აქა-იქ მბეუტავი ლამპიონების შუქში დნებოდნენ. ესტრადაზე — მუ-

სიკოსთა დასტა განსაკუთრებული გულგრილობითა ცდილობდა ჯაზბანდური ჰანგების შეკოწიწებას.

თეთრ კიტელებში გამოწყობილი ოფიციანტები ოსტატურად და ფრთხილად მიანანავებდნენ სასმელ-საჭმელით დატვირთულ სინებს. მხოლოდ ერთი მათგანი ატუზულიყო სვეტთან, არაფრისმთქმელი გამოხედვა მაგიდებისათვის მიეპყრო და ათასში ერთხელ

მუსიკაში ამოქნარებდა. „რა დროს ამოქნარება...“ — გაიფიქრა შორიას-ლოს მდგომარეობა მამალივით გაფხორილ-მა მეტრადოტელმა და დიდი ჭაღების ან-თება ბრძანა.

კაშკაშა შექმა წამით თვალი მოსჭ-რა სვეტებთან დარბაზში მსხდომთ. მუ-სიკოსთა დასტის ლოტბარმა ხელი ას-წია და ჩუმად წაიშლერა. ორკესტრი აპ-ყვა. ანთებული ჭაღების ლივლივა შე-ქი ამ ორკესტრის ხმიანობაში, მადის-მომგვრელ კერძის სურნელებაში, და-ლეული ღვინის ოხშივარში და თამბა-ქოს ბოლში გაღებდა.

მაგიდებთან მსხდომმა სტუმრებმა თვალი გაახილეს და ყველაფერი ჩვეუ-ლებრივად ეჩვენათ.

ესტრადაზე მიკროფონთან მდგომი მსახიობი ქალი მონდომებით მღეროდა ტირილოურ სიმღერას — „მე შენ ველარ გნახავ“.

სვეტთან ატუხულმა ოფიციალტმა ახ-ლა სალოკი თითი ცხვირისკენ წაიღო, მაგრამ ხელი რატომღაც ჰაერში გაიყინა და მერე მორცხვად ქვევით დაეშვა.

„უნდა მოვხსნა“, — გადასწყვეტა გა-ჯავრებულმა მეტრმა და ზრდილობიანი ღიმილით ჩაუარა დარბაზს. გზად მიმა-ვალმა მოჭეიფე ახალგაზრდებს აღმაცე-რად გადაჰხედა და მორცხვი მასპინძე-ლივით თავდახრილი გაუჩინარდა.

ვაკაცებს რამდენიმე მაგიდა ერთად მიედგათ, ღვინო და სანოვაგე სუფრა-ზე ბლომად დაეხვედებინათ და ახლა, კარგად შეზარბოშებულნი „გრძელ სუფრულს“ მღეროდნენ. ტირილოური სიმღერა ვერ ეხამებოდა სუფრულს და მომღერლები ვერ უწყობდნენ ერთმა-ნეთს ხმებს.

ახალგაზრდებს სიმღერა არ გამოუ-ვიდათ და წუთით მიუხრდნენ. მაგიდის თავში მჯდომმა წაბლისფერთმიანმა თა-მადამ სუფრა და მწვანილის თეფშზე დაყრილი, ბოლოკში არეული, ქათმის ძვლები შეათვალიერა, სვეტთან უწნო ქანდაკებასავით ატუხულ კერძის მომ-

ტანს ჩუმად მოუხმო და ანგარიში მო-სთხოვა.

წაბლისფერთმიანის გვერდით მჯდომმა ქოჩორა ახალგაზრდამ შენიშნა ესა და უბისკენ წაღებულ მეგობრის ხელს დაებლაუჭა.

— ოთარ, აქ მე უნდა გადავიხადო! — მუდარით შესძახა მან.

— სულერთია, გაიოზ — მშვიდად ჩაილაპარაკა ოთარმა ისე, რომ სხვების ყურადღება არ მიეპყრო, ხელი გაინთა-ვისუფლა და ოფიციალტს ფული მიუთ-ვალა.

— დღეს ჩემი დაბადების დღეა, ბი-ჭო, შემარცხვინე, არა? — დანანებით წაილულულა გაიოზმა და უმწეოდ გააყოლა თვალი ფულს, რომელიც კერ-ძის მომტანის ჯიბეში გააქრა.

— სულერთია-მეთქი, აცი ვითხარი! — იმავე კილოთი გაიმეორა წაბლის-ფერთმიანმა და ფეხზე წამოდგა.

წამოიშალნენ სხვებიც.

თამადის გასწვრივ მდგომმა, პირ-ხმელმა და ვეება სათვალთანმა ჭაბუკმა უქანასკნელი სიტყვა ითხოვა და უქა-ნასკნელი სასმისი შეავსო.

ორკესტრმა ვილაციის დაკვეთით „სამ-შობლო“ დაუკრა.

ჭაბუკმა სათვალე შეინწორა, სუფ-რას აღმაცერად გადაჰხედა, ალიცილი-ცებული სასმისი ხელში შეათამაშა და გაპყვიანი ხმით დაიწყო.

მსმენელნი ძნელად თუ ხვდებოდნენ, რას ლაპარაკობდა პირხმელი ჭაბუკი. ეტყობოდა ძალიან ცდილობდა ლამა-ხად ეთქვა და არ გამოსდებოდა. ის მე-ტად ლირიულად ჰყვებოდა გრუნა-თმიანი გაიოზის ბიოგრაფიას. სიტყვაში ხანდახან რუსთაველის აფორიზმებს იშველიებდა. ქართული პოეტებისად-მი მიძღვნილ ესენინის ლექსებს ზეპი-რად კითხულობდა. მშობლებს იგო-

ნებდა და დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის მშვიდობიან სრბოლას სამყაროში, რატომღაც, სულ გაიზნის ვაეკაცობას უკავშირებდა.

საათნახევრიანმა სიტყვამ ყველანი მოქანცა. მაგიდას მკიდროდ შემორტყმული მოჭეფეთა რკალი თანდათან შეთხელდა და ბოლოს სულ გაჭრა.

ტაბლას ობლად შემორჩენილი პირხმელი ახალგაზრდა მაინც არ ცხრებოდა. ის ახლა კასპში გათხოვილი დის ბეულსა სტიროდა და გრძნობით დამდნარი, ახმაზ ოფიციატს ტუნებში ჰკოცნიდა.

მამალივით გაფხორილმა მეტრმა ვედარ გაუძლო ყოველივე ამას და ახალგაზრდას ზრდილობიანად მიმართა:

— გაგაცილოთ ყმაწვილო?

პირხმელმა აღმაცერად აპხედ-დაპხედა მომღიმარ უცნობს, მერე მაგიდას გადაავლო თვალი და როცა იქ თავისიანი ველარავინ შენიშნა, საშინლად გაუკვირდა, ბოღიში მოხადა და სადარბაზო გასასვლელს მიაშურა.

რუსთაველის პროსპექტზე, ნაზად მოშრიალე ჰადრებთან, ახალგაზრდები ორჭოფობდნენ. მათ თითქო ენანებოდათ ერთმანეთთან დაშორება და იმ თბილი განწყობილების დარღვევა, რომელსაც ერთად ყოფნა, ღვინო და სიჭაბუკე ჰქმენის.

ამას მაისის ღამეც უწყობდა ხელს. ვიდრე ისინი ქეიფობდნენ, ქალაქში წვიმა მოსულიყო. შხაპუნას გადაებანა დასიცხული ქუნები და გარემო მაგრილობელი ჰაერით აევსო. ჰადრის ფოთლებზე ჩამოკიდებული წვიმის წვეთები ღამპიონების შეჭზე ციმციმებდნენ. მანქანების დაუსრულებელი წყება ჩუმში. შემპარავი სრიალით მისდევდა ფარებიდან სველ ასფალტზე გადმოღვრილ თავისავე ანარეკლს. სასიგნალო

შეტები მარჯნის კრილოსნებევით ელავდნენ გამჭვირვალე ჰაერში.

მოულოდნელ აღდარს ქა-ჩქ თავშეფარებული მგზავრები, გამოდარებისას ფილაქანზე გამოშლილიყვენენ და შინისკენ მიიჩქაროდნენ.

მთაწმინდაზე ჯერ კიდევ ელავდა და ჰქუხდა.

ჰადრებთან თავმოყრილ ახალგაზრდებს ოთარი რესტორან „ბეთანიას“ და თავის მანქანას სთავაზობდა. მომხიბლავი წინადადება იყო... წვიმა... დუდუკი... ბეთანია..

სწორედ ამ დროს რესტორნიდან ბარბაციტ გამოსულმა პირხმელმა ქაბუკმა თანამოსუფრენი შენიშნა და პირდაპირ მათეენ გაემართა.

— „კიდევ ერთი სადღეგრძელო დაგერჩა დაუღეველი!“ — გრძნობით შესძახა მან მიახლოვებისთანავე და იქვე მდგომი ოთარის მკლავს ჩაებლაქა.

წრეში თავშეკავებული სიცილი გაისმა. ამან განწყობილება ერთბაშად შესცვალა.

— თქვენი არ ვიცი და, მე კი შაბაში! — მტყიცედ ჩაილაპარაკა ერთმა ახალგაზრდათაგანმა და მეგობრებს დაემშვიდობა.

ამ გადაწყვეტილებამ და უფრო კი ვაეკაცურმა სიმტყიცემ კილოში, რომლითაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი. ერთბაშად გაჭანტა „წვიმიანი ბეთანიის“ წარმტაცი მიმზიდველობა.

წუთიც და, ახალგაზრდების ფრიამული ქუნის ხმიანობას შეუერთდა. პირხმელი ჰაბუკი თავისუფალ ტაქსის აეტორლიალა და გაურკვევი მიმართულებით გასწია.

— ლაწირაკები! — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ოთარმა. იქვე ქუნის პირას ჩამოყენებულ, წვიმის წვეთებით მორ-

თულსა და ლამპიონების შუქზე ალაპ-  
ლაპებულ ღიმიუზინს გადახედა მუყაი-  
თი პატრონის თვალით, გარს შემოუარა  
მანქანას, მძღოლის კაბინის კარი გამოა-  
ღო და შორი-ახლო მდგომ გაიოხს ვას-  
ძახა:

— მოდი, გაიოხ, რაკი აგრეა ჩვენ  
ორნი წავიდეთ!

გაიოხმა უხერხულობა იგრძნო. წას-  
ვლა არ უნდოდა, მაგრამ როგორ გაქ-  
ცეოდა მეგობარს, რომელმაც პატივი  
დასდო და მისი დაბადების დღე ასეთი  
გულისხმიერებით აღნიშნა.

გაიოხი ყოყმანით მიუახლოვდა მან-  
ქანას.

— მოდი, ჩაჯექი, რაღას უციდი?—მო-  
ესმა მას მანქანიდან მეგობრის ხმა.

— შენ, მეონი, ოპერაში აპირებდი  
დღეს... — ფრთხილად შეახსენა გაიოხ-  
მა მეგობარს.

— რა დროს ოპერაა ცხრას შვიდი აკ-  
ლია! — აუხსნა ოთარმა და ძრავა ჩარ-  
თო. მანქანა მწყობრად აგუგუნდა.

— მაია?... — მობოდიშებით იკითხა  
გაიოხმა და შეკრთა, თითქო აკრძა-  
ლულს შეეხო.

— იცის... შენი დაბადების დღეა! —  
ყრუდ ჩაილაპარაკა მოთმინებიდან გა-  
მოსულმა ოთარმა.

მანქანასთან მდგომმა გაიოხმა ხელი  
ჩაიჭნია, თითქო რაღაც აბეზარი ფიქ-  
რები მოიშორაო თავიდან, და კაბინა-  
ში ოთარის გვერდით მოკალათდა.

წუთიც და, ნორჩი მღელღელისფერი  
„ვოლგა“ მანქანების საერთო ნაკადს  
შეუერთდა.

ერთ ხანს მეგობრები სდუმდნენ. უხ-  
მოდ ჩაუტროლეს ოპერის ჩუქურთმე-  
ბიან აივანს, „იმელ“-ის მარმარილოს  
სვეტებს, რუსთაველის ძეგლს და ლე-  
ნინის ქუჩით გმირთა მოედანზე გავიდ-  
ნენ.

— საით, ოთარ? — იკითხა გაიოხმა,  
როცა დაინახა, რომ მანქანამ გუგუნი  
ქართველოს სამხედრო გზისაკენ მიიღრა.

— გრილი ღამეა, მაისის ღამე, ნაწვი-  
მარზე ქალაქგარედ კარგია გავლა. გარ-  
და მაგისა ახალ რესტორანს გვიქებენ  
მცხეთაში, უნდა ვნახოთ, უნდა ვაქურ-  
თხოთ, დღეს შენი დაბადების დღეა. —  
აუხსნა ოთარმა და სტარტერს დააწვა.

ღიმიუზინმა დიღმის შარაზე მერცხა-  
ლივით კამარა ჰკრა. ოთარი სდუმდა  
ის მთლიანად მანქანის სარბოლას მის-  
ცემოდა. კმაყოფილებით გრძნობდა,  
როგორ ემორჩილებოდა ჰკვიანი მანქანა  
მის ნებისყოფასა და სურვილს. პირ-  
მოკრიალებულ ასფალტზე ამრიალებუ-  
ლი ბორბლების შიშინი სიამოვნებით  
აესებდა მთელ მის არსებას. ძრავას გუ-  
ლისცემა მის გულისცემას შეერთებო-  
და და მანქანა თუ ადამიანი ერთქმნი-  
ლიყო ფარების შუქზე ამოზიდული  
საგნები უცნაურ ელფერს იღებდნენ და  
გზის გადაღმა უზარმაზარ ჩრდილებად  
წვებოდნენ. ეს ჩრდილები საღდაც  
მთვარის შუქში დნებოდნენ და უსახლ-  
ვროებაში იკარგებოდნენ.

ქარსაფარის შუშას ნიავე სხვაგვად  
და მძღოლს შუბლზე გადმოყრილ ქო-  
ჩორს უწეწავდა. დღეს ეს ნიავეც სია-  
მოვნებას ჰგვრიდა ოთარს. ბავშვური  
გატაცებით ადევნებდა თვალყურს ლა-  
მის სიბნელეში ამობრიალებულ, შემზ-  
ვედრი მანქანების ფარებს, ღიმილით  
შეჰყურებდა, როგორ ჰუტავდნენ ისინი  
შორიდანვე, გამოცდილი არშიყებივით  
თვალებს და კმაყოფილებით უსმენდა,  
როგორი შხუილით უვლიდა შემხვედურთ  
გვერდს მისი ფრთებშესხმული „ვოლ-  
გა“.

სდუმდა გაიოხიც კაბინის კუთხეში  
მიყუყული და ღია ფანჯრის ზუღდეს  
იდაყვდაყრდნობილი ვაჟკაცი მოუსვე-

ნარ ფიქრებს მისცემოდა. მას არ ხიბლავდა არც ეს თავშეუყავებელი ქროლვა მანქანისა და არც დათქმული ვახშაში მცხეთაში. მან მშვენიერად იგრძნო, რომ ოთარმა იცრუა და ეს აწუხებდა.

„საერთოდ, მათი მეგობრობა ყოველგვარ საზღვარს გადასცდა და ამას ბოლო უნდა მოედოს. უხერხულია მაიასთანაც რა შეაშია აქ გაიოზის დაბადების დღე. გაიოზი ფარია და სხვა არაფერი. მაია კი...“

მანქანა მიჰქროდა სპიდომეტრის ისარი ასთან კანკალებდა.

მეგობრებმა შურდულივით ჩაუქროლეს ზაქესის საგენერატორო შენობის ვეება ფანჯრებს. საგუბართან აღმართულ ლენინის ხელგაშლილ ძეგლს. ცაში აზიდულ ჭვარის მონასტრის განათებულ სილუეტს და ღამის ბინდში გახვეულ სვეტიცხოვლის ტაძარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მანქანა მცხეთის ახალ რესტორანთან გაჩერდა.

• • •

რვას ათი წუთი აკლდა, როცა მაია ოპერის თეატრთან მივიდა. მან ოდნავ დაბურუსებული ხედვით, როგორც ეს ახლომხედველთ სჩვევიათ, მოავლო თვალი თეატრის სადარბაზო შესასვლელს და იქვე სარეკლამო დაფასთან შეჩერდა.

საკვირველი იყო, რომ ოთარი ჯერ არ ჩანდა. მათ სწორედ აქ დათქვეს შეხვედრა ამ საღამოს და „ოტელოს“ ნახვა. მაიას კარგა ხანია უნდოდა ამ უკვე საქვეყნოდ განთქმული საბალეტო დადგმის ნახვა და ჩვენი დროის ბრწყინვალე ოსტატის, ვახტანგ ჭაბუკიანის ხილვა მგზნებარე მავრის როლში.

ამიტომ იყო, რომ ოთარის უბრალოდ გამოთქმულ სურვილს მაია სიხარულით

შეხვდა, არც თუ ისე იოლად საშოვნო ბილეთების ძებნას შეუდგა. მბლლოს, როგორც იქნა, ნანატრი მიღებები ხელთ იგდო, ოთარს წინასწარ შეუთანხმდა და ახლა გულისფანჯრით უცდიდა თავის ერთადერთსა და შეუღლებელ რაინდს.

„რად იგვიანებს ნეტა?“ — გაიფიქრა ახალგაზრდა ქალმა და ადგილი ინაცვლა მას მოეჩვენა, რომ მეორე დაფა უფრო განათებული იყო და იქ უფრო ადვილად შეამჩნევდა ოთარი.

თეატრის შესასვლელთან ხალხი ირიოდა. დაუსრულებელი ნაკადი მაყურებლებისა კარებს იერიშით აწყდებოდა და გაჩირალდნებული შენობის ხვეულებში იფანტებოდა. ნაირფერადი მანქანები წამიწუთ ჩერდებოდნენ ოპერის წინ და სადარბაზოდ მორთული მგზავრები ვესტიბიულისკენ მიიჩქაროდნენ.

რვას ხუთი წუთი-ღა აკლდა.

ოთარი არ ჩანდა.

მაია ხელის ჩანთაში იქეჭებოდა და მეთედ სინჯავდა ბილეთებს, ხომ არ დაეკარგე, ან შინ ხომ არ დამივიწყდაო. ერთ ხანს არწმუნებდა თავის თავს, ჩვენ პემანი აქ კი არა, საათთან დავთქვითო.

მივიდა საათთან, მაგრამ რაკი ოთარი არც იქ დაუხვდა უმალვე უკან გამობრუნდა, შეეშინდა — ვაი თუ სარეკლამო დაფასთან მივიდეს, მე იქ არ დავხვდე და ერთმანეთს ავცდეთო.

საათის ისარი რვას მიუახლოვდა, წუთის ისარი თორმეტიდან ქვევით დაეშვა. გაჩირალდნებული შენობის ფანჯრებში სინათლემ საგრძნობლად იკლო. ეტყობოდა წარმოდგენა დაიწყო. სადარბაზო შესასვლელთან ხალხი თანდათან შეთხელდა, მერე ქუჩის ნაკადს შეერია და შეუმჩნევლად მიმოიფანტა. ახლა დაგვიანებული მაყურებელია



თუ მიიჩქაროდა თეატრისაკენ, ისიც კანტი-კუნტად და თითო-ოროლად.

გარინდული და ბავშვივით გაბუტული მიაა ოპერის წინ იდგა და ქუჩის ჩვეულებრივ ქოთქოთს აზრმოუცემლად მინდობოდა, წინათ ოთარი ადრე მოდიოდა პავმანზე და მოთმინებით უცდიდა მიაის, ახლა კი...

ქალი თავს შეურაცხყოფილად გრძობდა. მართალია, მიაამ არ იცოდა ოთარის დაგვიანების ნამდვილი მიზეზი, მაგრამ იყო, მისი აზრით, რაღაც დამამცირებელი ამ მოლოდინში.

ასე იდგა მიაა თეატრის წინ. ფიქრობდა, ჯავრობდა და მაინც უცდიდა. ეტყობოდა, მას იმედის პატარა ნაპერწკალი კიდევ უღვივოდა გულში და ეს იყო, რომ ადგილიდან ფეხს არ აცვლევინებდა.

ერთხელ მოჩვენა კიდევ ღიმილით მისკენ მომავალი ოთარი, გახარებულმა მიაამ რამდენიმე ნაბიჯიც კი წასდგა წინ თავისი გმირის შესახვედრად, მაგრამ მოჩვენება უცნობი მოქალაქე აღმოჩნდა და გატრინავებულმა მიაამ უკან დაიხია.

ცხრის თხუთმეტ წუთზე ვიღაც დარბაისელი კაცი მიუახლოვდა სვეტთან მომოლოდინე ქალს და ზრდილობიანად ჰკითხა:

— უკაცრავად, იქნება, ზედმეტი ბილეთი გაქვთ?

— არა! — ცივად მოუპრა მიაამ და ზურგი შეაქცია უცნობს.

ცხრის ოცდახუთ წუთზე მიაამ ტკბილად მოჰქუქუქე წყვილი გააჩერა და თითონ შესთავაზა თავისუფალი ბილეთები მათ. გახარებულმა ქაბუქმა ბილეთები ჩამოართვა და ხელი უბისაკენ წაიღო, მიაა ცივად შეტრიალდა და უხმოდ გაშორდა გაკვირებულ წყვილს.

ამის შემდეგ ცდაც უმიზნო იყო, მაგრამ მოულოდნელად წვიმა წამოვიდა, გაზაფხულის ჩვეულებრივი შხაპუნა წვიმა. ელვამ მორკალა ცის ტატნობი

და ქარიშხალმა მამადავითს გადაუქროლა.

მიაა ოპერის შესასვლელთან შეეფერა წვიმას. ერთის მხრივ გაუხარდა კიდევ:

— აქ უსაქმოდ დგომისთვის და უკვე აშკარად უიმედო ლოდინისათვის კარგი საბაზი არისო, — გაიფიქრა გაწბილებულმა.

ნაღვლიანად დასცქეროდა იმედგაცრუებული ქალი ასფალტზე აცკვებულ წვიმის წვეთებს, ფილაქანზე გამდგარ გუბებებს, აედრის ლიბრში ამოტუზულ, იშვიათი მგზავრების ლანდებს და უიმედოდ, მაგრამ მაინც უცდიდა.

წვიმამ ისევე მოულოდნელად გადაიღო, როგორც დაიწყო.

ცხრა სრულდებოდა, როცა მიაა გატეხილი ნაბიჯით ქუჩის გადასასვლელს მიუახლოვდა და შესდგა. შექნიშანის წითელი სიბივი და მანქანების ნაკადი გზას უღობავდა მგზავრებს. მიაამ ხელჩანთიდან სათვალე ამოიღო და თვალებზე მოირგო. არ უყვარდა სათვალე, მაგრამ ამ ღამის ნისლში თითქმის ველარაფერს ველარ ხედავდა და გარდა ამისა, საკვლეუცოც აღარაფერი ჰქონდა.

ქალი აზრმოუცემლად შეჰყურებდა მანქანებს და ერთს-ლა ფიქრობდა: — „რა მოუვიდა ოთარს, რა შეემთხვა ისეთი, რომ ასე გადაუდგა სიტყვას“.

მიაამ გადასწყვიტა შინ მისვლისთანავე დაერეკა ოთარის მამისთვის და გაეგო რამე.

უცბად იმედიაშია ღიმილმა შექცოპოფინა ქალის სახეს. მანქანების უწყვეტ ნაკადში ნაცნობ ღიმიუხინს მოჰკრა თვალი- ლამპიონების ფერმკრთალ შექუხე საყესთან მჯდარი ოთარის სახეც გააჩნია, იქვე, გვერდით თითქო გაიოზსაც შეავლო თვალი. გახარებულმა მიაამ რამდენიმე ნაბიჯი წადგა წინ და თავისდაუნებურად შესძახა:

— ოთარ!

ძახილი სუსტი აღმოჩნდა და საბურავების შრიალში შთაინთქა. მანქანამ უხმოდ ჩაუარა ქალს.

გაქრა სიზარულის ეამიერი წამი. გზა გაიხსნა და მომლოდინე მგზავრები ქუჩის მეორე მხარეზე გადავიდნენ.

შინ მისული მაია ექვმა შეიპყრო: „იქნებ, ოთარის მანქანა არ იყო და შემცდა“, — გაიფიქრა მან და უმალ ოთარის მამასთან დარეკა.

— აა, ეს შენა ხარ, ჩემო მშვენიერო სარძლო? — მოესმა ყურმილში ნაცნობი და ალერსიანი ხმა. ამ მოშობლიურმა კილომ კინაღამ ცრემლები არ მოჰკვავრა თვალზე იმ დღით გაწამებულ ქალს.

— დაგეკარგა?... არა უშავს, არა, ფიქრი ნუ გაქვს, თვითონ მოგნახავს! — განაგრძობდა იმედიანი ხმა. — ჰო, გამასხენდა, დღეს გაიოზის დაბადების დღეა. ეტყობა, შეპყვენენ სადილსა, და ნასცამმა ველარ გაბედა შენთან მოსვლა... როგორ?... ცუდლუტობს ამ ბოლო დროს?... ეგ, მე მგონია, ქალური ექვია... უთუოდ... შენ ეს მითხარი, დისერტაცია დაამთავრე?... მაია, გეთაყვა, ნულარ გადადებ ძალიან შორს, ძლიერ მეჩქარება... გესმის?... მეჩქარება, როგორც შენს მამამთილს, და რაც მთავარია, როგორც შენს პროფესორს... აბა, შენ იცი, მი უხოლოდ შენი იმედი მაქვს... რაც შეეგება ოთარის ოინებს, დიდ ყურადღებას ნუ მიაქევე. რაც უფრო მკაცრად მოექცევი, მით უფრო მეტად დაგაფასებს... დიახ, დიახ, ასეთია ჩვენი ბუნება! — ჩაიცინა შორეულმა ხმამ, მამაშვილურად დაემშვიდობა მაიას და ყურმილი დაჰკიდა.

სამამამთილოს გამამხნევებელმა კილომ ცოტა დაამშვიდა აფორიაქებული ქალი. მართალია, სარიდანის სიტყვებმა საბოლოოდ დაუდასტურა, რომ ქუჩაში ნანახი მოჩვენება არ იყო, მაგრამ მაია კარგად იცნობდა ძველი მეგობრების ურთიერთდამოკიდებულებას და გაიოზის დაბადების დღე ერთგვარ გამართლებას აძლევდა ოთარის გაუმართლებელ საქციელს.

ფიქრებში წასული მაია ტელეფონის მაგიდას გაშორდა, აღმაცერად მოაგლო თვალი გემოვნებით და სადად

მორთულ მარტოხელა ქალის ოთახს და ტანისამოსის გახდას შეუდგა.

შეუდგა  
შეუდგა

• • •

პროფესორი სარიდან ნოზაძე საწერ მაგიდაზე დახვევებულ წერილების დასატას მიუჭდა.

უყვარდა პროფესორს მის სახელზე მოსული ბარათების გადათვალეირება და პასუხის გაცემა. ამ საქმეს ის არც ასისტენტს ავალბედა და არც მდივანს. სამუშაო კვირის განმავლობაში სარიდანი მუდამ პოულობდა დროს პირადად გასცნობოდა სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ წერილებს, პირადად გაეცა პასუხი შეკითხვებზე და ამით უშუალო კავშირი დაემყარებინა იმ ხალხთან, რომლის ყურადღებასაც ის იპყრობდა.

ყურადღების მომპყრობნი რომ ბევრნი იყვნენ ქვეყნად, ამას დღევანდელი ფოსტაც ადასტურებდა. იყო აქ წერილები მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, სქელტანიანი კონვერტები კიევიდან და სომხეთიდან, ბარათები ბულგარეთიდან და ჩინეთიდან, ფოტოპირები პარიზიდან, გრაგნილები კალკუტის უნივერსიტეტის შტამპით და მრავალი სხვა, რაც გადასინჯავს. გულისყურით წაკითხვას, შესწავლას და აუცილებელ პასუხს მოითხოვდა. ეს მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კორესპონდენცია შემთხვევითი არ იყო არც ადრესატი სათვის და არც ადრესანტათვის.

საბჭოთა ბიოლოგიური მეცნიერების გამოჩენილ წარმომადგენელს, სარიდან ვალერიანის ძე ნოზაძეს კარგად იცნობდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული კოლეგები, იმ საინტერესო შრომების წყალობით, რომელნიც მან თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე გამოაქვეყნა და რომელთა შემკვობითაც განსწავლული ბიოლოგების ყურადღება მიიპყრო.

სარიდანმა მორიგი წერილის კითხვა დაამთავრა და ჩაფიქრდა. იყო რაღაც საერთო და მჭიდრასვით შემაკავშირებელი დედამიწის ზურგზე გაფანტულ,



ერთმანეთისთვის თითქმის უცხო ადამიანთა შორის. მათი გულისცემა ერთ აზრს დამორჩილებოდა. ყველა მათგანი ოქრომჭედელივით ჩაპკირკიტებდა ბუნების წიაღში გაფანტულ, სიცოცხლის მამოძრავებელ საიდუმლოებათა ამომხსნელ მარგალიტებს და ყველა მათგანი გულდასმით ათვალიერებდა, შორეული თანამოაზრის მიერ, ამ მარგალიტებისგან აკინძულ მძივს.

ბუღავეშტიდან გამოგზავნილ ბარათში, ახალგაზრდა, ჯერ კიდევ უცნობი მეცნიერი, ხელოვნური ფერმენტების წარმოქმნის საკითხს ეხებოდა და მეცნიერებაში ოცნების ხელშესახებ ზღვარს ეძებდა

სარიდანმა ფანჯარას გახსნა. ფანჯარის გადაღმა წვიმით დანაშული ჭადრის ფოთლები შრიალებდნენ. ღრუბლებიდან თავდალწეული მთვარე ნაწვიმარის წვეთებში ამტვრევდა სხივს.

„ენი იცის, რასა იქმს ეს სხივი ამ წვეთში?“. ჩვენ ვხსნიით ერთ საიდუმლოებას, ჩემო უცნობო მეგობარო, რომ მეორეს წააფყდეთ, ჩვენ ვიცით და, რაც ვიცით, მცირეა. ჩვენ ვიცით და მაინც „ტაბულა რაზა“, — გაიფიქრა პროფესორმა, ფანჯარი მოიმარჯვა და რომ არ დაევიწყებოდა, ბარათს კუთხეში მიაწერა:

„უსაზღვროა არე ჩვენი დაკვირვებისა და, მასასაღამე, უფლებამოსილია ჩვენი ოცნებაც“. — მერე ბარათი გვერდზე გადასდო და ახალი კონვერტის გახსნას შეუდგა.

ამ დროს ტელეფონის ზარმა დარეკა. დარეკა უსიამოვნოდ და გაბმით. პროფესორმა ისე წაიღო ყურმილისაკენ ხელი, რომ ბარათისათვის თვალი არ მოუშორებია.

— დიახ! — მოკლედ შეეხმაურა უხილავ მობაასეს.

ტელეფონში ახალგაზრდა ქალის სანდომიანი ხმა მოისმა, ოდნავ დაბურუსებული მანძილითა და შორეული ღელვით.

მოხუცის კეთილშობილ სახეზე სათნო ღიმილი ათამაშდა. მან წერტილების

დასტა გვერდზე მისწია და მთლიანად ყურმილს მიენდო.

ლაპარაკობდა პროფესორის საყვარელი მოწაფე და სარძლო, მისივე კათედრის ასპირანტი, მაია კეზელი.

მაია დაკარგულ ოთარს ეძებდა და იმისთვის შეაწუხა პატივცემული პროფესორი. ოპერაში უნდა წასულიყვნენ დღეს და დიავიანა. არა, უკეთ რომ ვთქვათ, სულაც არ მოვიდა. მაიამ წვიმიანში თითქმის ერთი საათი უცადა და რაკი არ მოვიდა, ძალიან შეეშინდა. მართალია, ოთარმა ამ ბოლო დროს ცუდლუტობა დაიწყო, მაგრამ ეს ისევ, მხოლოდ და მხოლოდ მაიას ბრალია, დისერტაციაზე მუშაობას უამრავი დრო მიაქვს და ოთარმა ცოტა მოიწყინა.

ლაპარაკი კარგა ხანს გაგრძელდა. სარიდანმა დაამშვიდა აღელვებული ქალი და ყურმილი დასდო. სახეზე ღიმილი თანდათან გაჰქრა. პროფესორი ჩაფიქრდა.

„ოთარმა ამ ბოლო დროს ცუდლუტობა დაიწყო...“ — გაახსენდა სარიდანს მაიას სიტყვები და უნებლიედ ამოიოხრა.

ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ოთარის უპასუხისმგებლო საქციელი მაიაზე უფრო მოხუცმა იწყინა. — როგორ გაბედა და საცოლეს ქუჩაში ერთი საათი აცდევინაო, — გაიფიქრა გაჯავრებულმა მამამ. თან იცნო სარიდანმა შვილი და შეკრთა.

პროფესორი უკმაყოფილო იყო საერთოდ ოთარის ცხოვრებითა და ოთარის მიერვე გამოქედლი ბედით. სარიდანს განსაკუთრებით უყვარდა თავისი ერთადერთი შვილი და მაინც უკმაყოფილო იყო. ან კი, როგორ არ იქნებოდა უკმაყოფილო. ზემო იმერეთიდან წამოსულმა, მოქველმა გლეხის ბიჭმა, საბჭოთა მეცნიერის ბრწყინვალე სახელს მიაღწია და შვილმა კი ყოველივე ეს აბუჩად აუგდო.

აღელვებულმა პროფესორმა სინათლე გამორთო. მას აღარ აინტერესებდა

და აღარ ახარებდა ახლა მაგიდაზე დაყრილი წერილების დასტა-

ოთახი მთვარის ფერმიხდილი შუქით აივსო. სარიდანმა მაგიდაზე ჩამოდებული თავისავე ხელს დაჰხედა და შეკრთა.

საკუთარი ხელის ფერმა სარიდანს ამ წუთის სასთუმალზე მისვენებული, კარგა ხნის მიცვალებული მეუღლის სახე გაახსენა. იყო შერჩენილი ამ წერილმანებამდე ნაცნობ ნაკეთებში იერი სათნოებისა. მაგრამ ეს სათნოება მიუწვდომელი გულგრილობის საფარში იჭდა და კვლობის შემაზრხენი სიცივე წუთის წინ უახლოესს — უცხოთა და მიუყარებელს ხდიდა. იქნებ ეს იმქვეყნიური სიცივე იყო მიზეზი ყველაფრისა. იქნებ სწორედ მაშინ მოეყინა ზოგი რამ ფესვი ყლორტს.

პროფესორმა ხელი მაგიდას უნებლიეთ მოაშორა და ხალათში დამალა-

სარიდან ნოზაძემ გვიან შეირთო ცოლი და აღრე დაკარგა. მამა-შვილმა მძიმედ გადაიტანეს ეს დანაკლისი და სიცივე სრობლისა კარგა ხანს აწუხებდა მათ. მართალია, სარიდანის გაუთხოვარი და, თვალზე ცრემლშეუშრობელი ნენე, გულთ სცდილობდა გაეთხო გამოციებული კერა, მაგრამ ვინ შესცვლის შვილისთვის დედის აღერსსა და მეუღლისთვის — მეგობრის სიბოძოს.

გავიდა დრო, და ნოზაძეების ყოფაროვორდაც აეწყო. მამა ყოვლისშემძლე „უჯრდებით“ შემოიფარგლა და „ნიეთიერებათა ცვლის“ პროცესს მიუძღვნა თავისი ცხოვრება. შვილი შინაბერა ნენე-მამიდას ამარა დარჩა და, ალბათ, იმავე ნიეთიერებათა ცვლის ჭერ კიდევ დაუღვენი კანონის ძალით თავის თავში ჩაიკეტა და გაგარეულდა.

როდის დაიწყო მაინც მამა-შვილის გათიშვა, სარიდანს არ ახსოვს. პროფესორის აზრით, ყველაფერი მისდევდა დადგენილ კალაპოტს. ეს იყო ისევე ფერმენტები, უჯრდები, ბიოლოგიური კატალიზატორები, ლაბორატორია, ცდები, დაკვირვებანი, ლექციები, სტუდენტობა პატივი, სიყვარული, სახელი,

კონგრესები, სიმპოზიუმები, მოგზაურობა და ამ თავბრულამქვევე ტრანსპორტში პატარა, ხუჭუჭუნად მოგზაურობა ბიჭუნა, რომელსაც მონატრებული მამის მუხლებზე ჯდომა და დაუსრულებელი ტიტინი უყვარდა. კიდევ უყვარდა ზღაპრები, ზოპარკი, ცირკი და თოჯინების თეატრი. მერე იყო მოსწავლის კოხტად მორგებულ შარვალ-ხალათში გამოწყობილი ყმაწვილი, პიონერის ყელსახვევით მკერდზე და წარჩინების ნიშნებით ხელში. მერე ვაივაგლანით დამთავრება სკოლისა და ზღუდე გათიშვისა. ასე დაჰკარგეს ერთმანეთი მამა-შვილმა რომელიღაც საბედისწერო მოსახვევში.

მას შემდეგ ოთარი ფაქულტეტიდან ფაქულტეტზე გადადის, იცვლის უმაღლეს სასწავლებლებს, მიდის ჩუსეთში, ირთავს ცოლს, ბრუნდება უდიდლომოდ და უცოლოდ. მერე საექვო მეგობრები. ქეფი-სილაღე და, რაც მთავარია, გულგრილობა ყოვლისადმი და უქმყოფილება ყოველით.

მამა-შვილი იშვიათად ლაპარაკობდნენ გულახდილად, სადად და თბილად. სარიდანმა სცადა ჩატეხილის გამოთლება, მაგრამ ამაოდ. ოთარი სექტიკურად უყურებს მეცნიერებას, მამის სახელს და ცხოვრების დანარჩენ ყოველივე წერილმანს. მას მოსწონს თავზე ზეინწამოდგმული გოგოები, მხოლოდ ამერიკული კინოსურათები, ნორჩი მდელოსფერი მანქანა და ყველაფრის გაკილება.

სარიდანს უძრავად იჭდა მაგიდასთან. ქადრის ფოთლებზე კვლავ ბრჭყვიალებდა ნამი ნაწვიმარისა. ბარათების დასტაცე განზე ეყარა, აღარა იყო რა სანუგეშო მათშიც. — უცნაურია, ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნისათვის ვიღწვი და საკუთარი შვილის ბუნებისა არა მესმის-რა.— გაიფიქრა მოხუცმა სიმწრით.

— ...არა, ნამდვილად შეეღა სპირდება ოთარს. რაკი მამამ ვერ შესძლო, „სხვა“ სპირდებოდა შვილს. ეს „სხვა“ ხელს ჩაჰკიდებდა და საიძედო ნაპირზე

გაიყვანდა. მეგობარი სკირდებოდა, რომელიც ალერსითა და სითბოთი მოათვინიერებდა, გეზს მისცემდა და დააშოშმინებდა...

მართალია, იყო კიდევ მეგობრების წრე, რამდენადაც მამამ იცოდა, მეტად ცვალებადი, ოთარით ფუქსავატი და შემთხვევითი. ერთადერთი სიყრმის მეგობარი შელია-ლა შემორჩა ოთარსა და ისიც, მგონი, ჩამოიშორა.

სარიდანი ცას დაეწია სიხარულით, როცა იმავე გაიოზისაგან ოთარისა და მათს დაახლოვების ამბავი გაიგო.

პროფესორი ადრევე იცნობდა მათან ასპირანტურაში მომუშავე მათა კეზელს. მასწავლებელი მოხიბლული იყო მოწიფის ნიჭითა და შრომისუნარიანობით, მათს თითქმის ვაქეკური ნებისყოფითა და ქალური სიფაქიზე-სინაზით, რაც ასე იშვიათად ეხამება ხოლმე ბუნებაში ერთმანეთს.

საიდუმლოების გამქლავებისა და ქალთან მამა-შვილური დაახლოების შემდეგ, სარიდანი მათს ოთარის მხსნელად სთვლიდა და ამას არცა მალავდა სარძლოს წინაშე. ხშირად ესაუბრებოდა მათს შვილის ბედობაზე, სასტიკად ჰკიცხავდა ვაჟის ხასიათის ზოგიერთ ნაკლს, რათა მომავალ მეუღლეს თავიდანვე მიექცია ყურადღება ყოველივე წვრილმანისათვის.

მართალია, საქმეებით გადატვირთული მეცნიერი არა ფიქრობდა იმაზე, თუ რაოდენ ღრმად გაიღვა ფესვები ქალვაჟის დაახლოებამ, მაგრამ საბოლოოდ ყოველივე ეს პროფესორისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო. მთავარია, რომ ოთარის მხსნელი გამოუჩნდა და კულაბზიკა ვაჟის გულისყური რჩეულმა ქალიშვილმა მიიპყრო. არცთუ საქმის გაქიანურების მომხრე იყო სარიდანი. ის ყოველმხრივ ხელს უწყობდა მათ დაახლოებას და ქორწილსაც მოუთმენლად ელოდა. ეგ არის, რომ თვითონ მათა არა ჩქარობდა და ყველაფერს დისერტაციის დამთავრებას უკავშირებდა.

გულგატეხილი მშობელი კი უკანასკ

ნელ იმედს სწორედ მათაზე ამყარებდა და სულ იმის მოლოდინში იყავდა, თუ როდის დაუბრუნებდა ქალს. და ალერსი მამას შეილსა და ოქანს მენეკვიდრეს.

და აი, დღეს კვლავ შეერყა რწმენა სარიდანს. ეს ეჭვი მას ადრევე ჩაესახა გულში. დღევანდელი უკანასკნელმგებლო საქციელი ოთარისა მხოლოდ დადასტურება იყო ამ ეჭვისა. ეს იყო, რომ ახალ საგონებელში ჩააგდო მშობელი. უკანასკნელი იმედი ეცლებოდა ხელიდან.

გაპყურებდა პროფესორი მათის ლამეს, ლიბრაკრულ მთვარეს, უწყსრივოდ აქარავნებულ ღრუბლებს, ამ მარადყოფილ მყუდროებას და არც იცოდა, რა უფრო მიუწყვდომელი იყო მისთვის: პირველი ბზარის გამომწვევი მიზეზი უახლოესთა შორის, თუ პირველი ამოსუნთქვის შემქმნელი პირობები ამ ჩვენ ცოდვილ დედამიწაზე.

• • •

მეგობრებმა რესტორანის ღია აივანზე ბინად თავისუფალი მაგიდა დაიდეს. ოთარმა კერძის მომტანს მოუხმო და სუფრის გაშლა უბრძანა.

— ცოტა რამ საუზმე და ორი ბოთლი ნაფარეული! — დაუკვთა ჩვეული კილოთი აივანის სიღრმიდან ლანდივით ამიზიდულ მსახურს, მერე სკამზე გადაიხარა და გაიოზს შინაურულად ჰკითხა. — რა შევაწვევინოთ, სუკი თუ ბატყანი?

— რა საჭიროა, სუფრიდან ახლა არ ავღუქოთ? — შეესიტყვა გაიოზი მეგობარს.

— ძალიან კარგი, რაკი აგრეა, სუკი იყოს! — გადასჭრა ოთარმა ბრძნულად და მსახური გაუშვა.

— უცნაური ხარ სწორედ! — წაიბუზღუნა გაიოზმა.

ოთარმა ყურადღება აღარ მიაქცია მეგობრის საყვედურს. აბოლებული პაპროსი თითით ეზოში გასტყორცნა და თვალი გააყოლა ნამწვს. ნამწვმა სიბ-

ნელეში ნახევარკალი მოხაზა და სად-  
ლაც ნაპერწყლებად დაიმსხვრა.

აივანზე იმათ მეტი არავინ იყო. ღამის თეთრ სიჩუმეს არა არღვევდა რა ირგვლივ, მხოლოდ რესტორანის დიდ დარბაზში მყოფ მოქეიფეთა ქრიაშული მოისმოდა ხანდახან და ისიც ძალიან ყრუდ.

— კარგია აქ, — თავისთვის ჩაილაპარაკა ოთარმა და ღამეს გაჰხედა.

მაისის მთვარე ვერცხლითა ფერავდა არაგვის ხეობას. გარემო არ ჩანდა, ბუნ-  
დად იგრძნობოდა მხოლოდ.

— სადღაც აქ სერაფიტას სძინავს, არა, გაიოზ? — ისევ დაარღვია სიჩუმე ოთარმა.

— ეძინა ოდესღაც, — უგულოდ მიუგო გაიოზმა მეგობარს.

— ჰო, მართალია, მიცვალებულთაც არ ასვენებს ჩვენი ეპოქა იმათაც უნდა თავისი სთქვან, — იხუმრა ნოზაქემ.

გაიოზი არ აპყვა მეგობრის ხუმრობას, მოაჯირს უდარდელად მიყრდნობილ ოთარს თვალი შეავლო მხოლოდ და თავის ფიქრს მიეცა.

„ღამეინის, თორემ, რა საკითხავია ვიღაც სერაფიტა, ან და თუ ღირს ღამის ათ საათზე ქალაქიდან მცხეთაში ამოსვლა და ამ ფარღალალა აივანზე ჯდომა. არა, ან სულ გამოსულელდა, ან არა და მე მასულელებს!“

უკმაყოფილებამ კიდევ უფრო იმატა, როცა ფიქრსმიცემულ გაიოზს თეფშების ჩხრიალი და დანა-ჩანგლის ჩხაკუნი ჩაესმა ყურთ.

ღამეწვარი ხახვისა და ქონის სუნით გაქლენთილი მსახური აივანზე სუფრასა შლიდა. მისი ჩვეული და აუჩქარებელი მოძრაობა ისეთივე გულგრილი იყო, როგორც ის ღამე არმაზის ბინდში.

სადილად დალეულმა ღვინის ძალამ თანდათან იკლო და გაიოზი ფეხზე წამოდგა. ამ წუთში მას ყველაფერი აუტანლად ეჩვენა.

— წავიდეთ ოთარ, თუ ძმა ხარ, წავიდეთ! — თითქმის ხვეწნით მიმართა მეგობარს.

ოთარმა მხრები აიჩეჩა.

— როგორ-თუ წავიდეთ?! არ დაგავიწყდეს, დღეს შენი დაბადების დღეა, მე უნდა გეხევეწებოდე? — იკითხა შეგობარმა ცივი გაკვირვებით და იქვე გაშლილ სუფრას მიუჯდა.

— საბაბს თუ ეძებ, არ ვიცი და... — არ დაამთავრა გაიოზმა სათქმელი და შანქანისაკენ წასვლა დააპირა.

— გაიოზ! — შეაჩერა ოთარის მკვახე შეძახილმა.

— რა გინდა, სთქვი, — ყრუდ ჩაილაპარაკა ოდნავ შემობრუნებულმა გაიოზმა და გაშლილ მაგიდას ზიზლით გადახედა.

— არ დაგავიწყდეს, იქ არ დაგანებე, მაგრამ... აქ შენ უნდა გადაიხადო! — დამკინავე კილოთი მოუჭრა ნოზაქემ და ჭიქები ღვინით შეავსო.

ეს უკვე მეტის-მეტი იყო ოთარი არავითარ ანგარიშს არ უწყევდა გაიოზის განწყობილებას.

— მე შემძლია გადავიხადო და წავიდე, თუ ასე ესურს!..

— არა, მე მსურს ჩემთან ერთად ღრღნა ეს მთვარიანი ღამე, გესმის, გაიოზ.

— საჭეიფოდ არა მცალია, დილით ადრე ვარ ასადგომი.

წაბლისფერი, ლამაზი თვალები ბრიალით შეანათა თანამობაასეს. სახეზე დამკინავემა ღიმილმა გადაურბინა.

— ვიცი, ყველაფერი ვიცი. მეორე გვირაბი ვადაზე ადრე უნდა ჩააბარო. ცემენტი და ხრეში გჭირდება. ტრანსპორტი არ გყოფნის და თავი უნდა ახალო ქვეს. პირველ საათზე რაიკომის მდივანი გაგლანძღავს და გაგათახსირებს. ორ საათზე მშენებლობის უფროსთან სხდომაა, და შენ კიდევ არ იცი, რა უნდა სთქვა და როგორ უნდა იმართლო თავი. სამ საათზე სამმართველოდან კომისიას ელი. ხუთზე გვირაბების ორი წვერი ერთმანეთს უნდა შეხვდეს და ამ ისტორიული მოვლენის გამო ექვსზე მიტინგი მოიწვიე, თუმცა, ვინ იცის, შეხვდება თუ არა ორი გვირაბის ორი წვერი ერთმანეთს, მაგრამ

მიტინგი მაინც საჭიროა... მითხარი, გაიოზ, თუ ძმა ხარ, მითხარი, არ მოგწყინდა ეს აბრაკადაბრა?

— სისულელეებსა როშავ და სხვა არაფერი! — აღღებებით შესძახა მოთმინებიდან გამოსულმა გაიოზმა.

— დაჯექი, ვთქვამთ, სისულელეებს ეროშავ, მაგრამ შენ მაინც მითხარი, არ მოგწყინდა ერთი და იგივე?

— სამუშაო გასართობი გოგონა როდია. მოგწყინდეს და გამოიცვალო-გარდა მაგისა. შენ რა ხელი გაქვს გვირახებთან. ეგ ყველაფერი გაიოზ შელიას ბიოგრაფიის ნაწილია, არ შეიძლება ცოტა ფრთხილად?

— უკაცრავად, არ მეგონა, გეწყინებოდა.

— ჰო და აგრე, ნუ იღრინები ყველაფერზე.

ამ სიტყვების გაგონებაზე ოთარმა უნდოდ ჩაიცინა.

— შენ ძალიან პრიმიტიული კაცი ხარ, გაიოზ, ორ გვირაბს შორის მანძილის გამოშვებული კაცი. ინიენერი, რომელსაც მეტი არაფერი მოეთხოვება და რომელსაც მეტისთვის სჯიან. აი, წელან, საინტერესო სადღეგრძელო შემოგთავაზე, სერაფიტას შესანდობარი. მოდი, დაჯექი, შეუერთდი ჩემს სადღეგრძელოს, დალიე შენც და განვაგრძოთ სმა!

— დავჯდები მაგრამ, ამას თუ ამიხსნი, ოთარ, რა უკეთესია... აი, ეს მაგინა თავისი გაქონილი სუფრით, ღვინით სახე ტლანქი ჭიქებით, რომლებსაც პირუტყვიც კი არ დააკარებს პირს, სმისაგან გამოლენჩებული მეგობრის ლანდით და ყალბი სადღეგრძელოებით, თუ ის, რასაც შენ წელან აბრაკადაბრა უწოდებ?

— ამ საკითხზე რესტორანში არა მსჯელობენ და ისიც ასე სულელურად, — მოკლედ მოუჭრა ოთარმა და ღვინო მოსვა.

— არა, ნუ მიგდებ სიტყვას ბანზე! სტევი, ვინ უფრო პრიმიტივია, ის, ვინცა ქმნის და ამ შექმნილით ჩვენ ცხო-

ვრებაში კვალსა სტოვებს, თუ ის, ვინც ამ შექმნილს აბრაკადაბრას უწოდებს და საკუთარ უნიათობას ცეცხლდენის კლობის ნილაბში ჰხვევს! — არა ცხრებოდა გაიოზი.

ოთარმა ქვეშ-ქვეშ გაჰხედა მეგობარს და აბუჩადამგდები კილოთი მოუჭრა:

— დაჯექი-მეთქი, გეუბნები, ყბედობას თავი დაანებე!

— კარგი, ოთარ, რაკი აგრეა, ვრჩები და ვსვამთ, მხოლოდ იცოდე, ყველაფერს გეტყვი: რაც გულზე ბოლმად დამწოლია.

— მემუქრები?

— არა, რათა, მხოლოდ გაფრთხილებ!

— ჩვენი ბაასის დღის წესრიგი?

— ამ ღამის ღრუნა, როგორც შენ თქვი, სერაფიტას შესანდობარი და ცოტა რამ შენივე გულისთვის, — დააბოლოვა გაიოზმა და მაგიდასთან უგულოდ ჩამოჯდა.

— და ცოტა რამ ჩემივე გულისთვის... საინტერესოა... — გაიმეორა ოთარმა და ჩაფიქრდა. სურდა თითქოს ნათქვამს ჩახვეჯროდა.

— ჰო, ცოტა რამ, — დაუდასტურა მეგობარმა.

ოთარმა ხელი ჩაიქნია, თითქო ბუზი მოიშორაო.

— მომწყინდა ეგეც ძალიან მომწყინდა.

— რა მოგწყინდა?

— პილპილმოყრილი მზრუნველობა.

— რაც არ მოგწყინდა, იმაზე ვთქვამთ, — დაუყვავა შელიამ მეგობარს. ოთარმა თავი უნდოდ გადახარა.

— რაც უნდა იყოს, სულერთია, მე ბრალდებული გამოვალ და შენ ბრალმდებელი, — ირონიულად შენიშნა მან.

— რათა ვითომ?

— იმიტომ, რომ მანძილსა სთვლი ორ გვირაბს შორის, უფლება გაქვს.

— ხელს ვინ გიშლის, შენც მოიპოვე ეგ უფლება.

— არა, გაიოზ, არ გამოვა. ბავშვობიდანვე მეჭაერებოდა ოფლის სუნი. — აქ ოთარი წუთით შეჩერდა, თითქოს

ძალა მოიკრიფაო და მერე ისევ იმავე მენტორული კილოთი განაგრძო. — გარდა ამისა, კაცმა ცხოვრება იოლადა უნდა გაატაროს, უდარდელად, როგორც ჩიტმა ხის კენწეროზე.

ამ სიტყვების გაგონებაზე გაიოზმა მწარედ ჩაიკინა.

— ვისი ოფლით? — გესლიანად იკითხა მან.

ოთარის სახეს ზიზღი აყვა.

— ოფლი აქ რა მოსატანია, სერაფიტა ერთხელ ცხოვრობდა ქვეყანაზე.

— სერაფიტა პიტახნის ასული იყო! — სიტყვა მოუჭრა გაიოზმა.

— ნუ შევეხებით მამა-შვილის ურთიერთობას, მათი პირადი ჩვენი უფლების გარეშეა.

— მხოლოდ მაშინ, თუ ერთ-ერთი მსხვერპლი არ ხდება შეცდომისა!

— იცი, გაიოზ, კაცი ცოდვილი სხვის ცოდოს ნუ განსჯის.

— ეგ, როგორც ვიცი, ქრისტეს უთქვამს...

— მართალი უთქვამს. ჰოდა, მეც აი, ქრისტესავეთ არავის განსჯას არ მოვიტხოვ, რადგან სუყველა ცოდვილია ამ ქვეყანაზე. ნურც მე განმსჯით, არა მჭირდება — ცივად დაასკვნა ოთარმა და ახალ პაპიროსს მოუკიდა. ასანთის ნამწვის მკრთალმა აღმა ხაზი გაუსვა შებლზე ღარივით გაჭრილ ნაოქსს.

— ეგ განდგომაა, ჩემო ოთარ, სხვა არაფერი, — დაუყვავა ისევ შელიამ.

— იყოს განდგომა! უფლება არა აქვს ადამიანს ტყეში წაივდეს, იქ იცხოვროს, ჭამოს სოკო, პეშეთა სევას ნაგუბარში ჩამდგარი წყალი, ადამივით ღვინის ფოთლებით შეიმოსოს. არ შეიძლება?.. მიპასუხე! — არა ცხრებოდა ოთარი და თამბაქოს ბოლს ხარბად ჭაჩაღდა.

— შენ რომ ეგეც არ შევიძლია, — გესლმორეული თანაგრძნობით ჩაიჩურჩულა შელიამ.

ამ გესლნარევმა თანაგრძნობამ ოთარს გუნება ატრია.

— რატომ, ვითომ? — წარბაწევით იკითხა მან.

— მერე მანქანა, აბაზანა, სუფთა საცვლები, დილის ყავა? — ჩამოსმუწამა გაიოზმა.

— ყველაფერს დაეთმობ, ოღონდ თქვენ არ მეხიდებოდეთ.

— ვინ ჩვენ, ოთარ?

— ყველა მზრუნველი მეგობრები, არამკითხე ქონდრისკაცები. ერთი სიტყვით, ვისაც კი გასურთ ჩემს სულში ხელი აფათუროთ. გამოთვალთ ჩემი ხანმოკლე ღლის განრიგი. გამომტყუოთ, რასა ვფიქრობ, რა მესიზმრა, როგორ მეძინა. ყველაფერს ამას მზრუნველობის საფენში ჰხვევთ. თურმე ნუ იტყვი, ჩემზე ფიქრი აღარ გასვენებთ. მაგრამ ვიცი, ამ ფიქრის იქით შურის მეტი არა არის რა-რათა „ვოლგა“, რათა ყავა, რათა საცვლები?.. რათა?.. რათა?.. და ამ რათას ბოლო არ უჩანს. მე კი, აი... ფეხებზე მკიდილი, რას ფიქრობ შენ, როგორ მუშაობს შენი კუჭი, როგორ აწენებ გვირაბებს და რად გლანძღვენ უფროსები!

გაიოზი გამშრალი უსმენდა წონასწორობადაკარგული მეგობრის მწარე სიტყვებსა და ბოლმა აღჩობდა. ბოლოს ველარ მოითმინა, ფეხზე წამოიჭრა, ოთარს მკლავში ხელი ჩაჰკიდა და შეაჯანჯლარა.

— აი, თურმე სადამდე მისულხარი!.. ვინდა შენი უნიათობა მე დამაბრალე. სუფთა, მეგობრულ მზრუნველობას შური შეარქვა. რა უნდა მშურდეს, ბიჭო, შენი... მეშინაური კეთილდღეობა თუ პირშიველი ეგოიზმი, მითხარი რა?

ოთარმა მკლავი გაითავისუფლა შელიას ხელისაგან ზიზღითა და მხარის უბრალო მოძრაობით.

— მეშინაობა იქ მოიკითხე, სადაც ლუქმას პირში გითვლიან, — უკვე დამშვიდებული და მისთვის ჩვეული ცივი კილოთი ჩაილაპარაკა მან.

— შენ ამ ლუქმის ფასი არ იცი და იმიტომ.

— არც მინდა ვიცოდე.

— ფრთხილად, ოთარ, ეგ გულგრილობა და განდგომა უძლურების სამოსელია!



— ნუ მაშინებ!

— აგრე იყოს. მე მიტყვამს და ახლა შენ იცი...— ისევე დაუთმო გაიოზმა.

— ჰოდა, იყოს. ტყუილად რად ვხარჯავთ სიტყვებსა და რად ვცდივთ ერთმანეთს. სულერთია, ერთმანეთისას ვერ გავიგებთ, ამიტომ ისევე სიჩუმე სჯობს. დუმილი და მხოლოდ დუმილი, — დაეთანხმა ოთარი შელიას.

ორივენი აზრმიტყემლად ისევ მაგიდას მიუბრუნდნენ. მოსუფრალთ შორის, მართლაც, სიჩუმე ჩამოვარდა, არატრის მიტყმელი და ლოდვივით მჩიე.

ოთარ ნოზაძე თედშს დასცქეროდა. უაზროდ ატრიალებდა ხელში ბლავგ ჩანგალსა და უგემურად ღეჭავდა გაცივებული სუკის ნაჭერს.

გაიოზ შელია გარემოს გაჰყურებდა, თვალთ თითქო დასაყრდენს ეძებდა, მაგრამ ვერაფერს პოულობდა მთვარიანი ღამის დაბურუსებულ სიყვითლესში.

საგნებს დაჰკარგოდათ თავისი იერი და განზომილება. ყველაფერი ლივლივებდა და დნებოდა შექ-ჩრდილთა კრთომაში. ხეობა ახლა უსასრულო უდაბნოს ჰგავდა. თვალი შორს ვერ იცქირებოდა და რასაც კი შეაღებდა მხერას, ნაჭარიშხლევი იალქანივით იძირებოდა ცთომილთა შექის ლივლივში და შუალამის მყუდროებაში. მხოლოდ შორს, ამ უდაბნოს გადაღმა, მძლავრი შექფარებით განათებული ჯვარის მონასტერი ძვირფასი თვლებით შემკული ბეჭედივით ბრწყინავდა ცისა და ღედამიწის დაკარგულ საზღვარზე.

მეგობრები ისხდნენ და უმძრახებივით სდუმდნენ. ამ დუმილში გადიოდა დრო. ავსებდნენ ჰიქებს, უსიტყვოდ სვამდნენ და ისევე ავსებდნენ.

\*\*\*

მაია სარკესთან იდგა და თავის ორეულს შეჰყურებდა. ვერაგინ იტყოდა, რომ ეს ორეული კალმით დახატული სილაშხისა ყოფილიყოს. ის უფრო მოცეკვავე გოგონას ჰგავდა, ძალიან მოქნილსა და სუფთას.

ახლა მას საყინძეგახსნილი შავი ქსოვილის კაბა მხრებზე გადაჰქედვდა და გულმკერდს შემოსალტვლდა. იმწიფმა ატმისფერი კანი ისეთი სიფრიფანა სჩანდა, რომ ძაფთა ლურჯი ხვეულები სათითაოდ დაითვლებოდა შიგ.

როცა ახალგაზრდა ქალმა კაბა გაიძრო და პერანგის ამარა დარჩა, ოთახი მთენთავი სითბოთი აივსო. ეს მაიაშაც იგრძნო და კიდევ ერთხელ შეაელო თვალი თავის ანარეკლს. შეაელო ისე, როგორც ამას მხატვრები სჩადიან უყანასენელი ყალმის მოსმისას, სურათის დამთავრების წინ.

ციე მინაზე ასახულ ორეულს თხელი. ვარდისფერი ქსოვილი მკიდროდ შემოჰკეროდა ტანზე. ჩამოქნილ წვივებზე თავისუფლად დაყრდნობილი, ჯერ კიდევ ქალაბიჭურა ტანი საფხე იყო მაღული თრთოლვით. მხრებზე უწყსრიგოდ გადმოყრილი თმა ხაზს უსვამდა ამაყად მოღერებულ ყელს და ყურის ბიბილოებთან მიმაღულ ალერსს.

ყოველივე ეს, მაიას წარმოდგენით, ამ ცივი მინის მიღმა რჩებოდა. სარკე თითქოს ამხელდა ქალის ბუნებისთვის უცხო და ზედმეტ საღებავებს. იქნებ, ეს ქალის ნათურებიდან გადმოღვრილი სინათლის ბრალი იყო და სხვა არაფერი.

„და, ეს, მართლაც, ფაიფურივით სუფთა არსება თითქოს არასოდეს არ უნდა გამხდარიყო ვენების საბაბი. აქ ვენება შეიძლება შედეგი ყოფილიყო თავდაფიწყებისა და არა თვითმიზანი ბიწიერებისა“. — მოაგონდა მაიას ოდესღაც წაკითხული თუ ანაზღად განილი ვიღაც უცნობი მწერლის, მართლაც, ფაიფურივით გაკრიალებული სიტყვები და ეშმაკურად ჩაიციინა. მერე ეს ღიმილი უცბად გაუწყდა და ასე გაწყვეტილი მიეციინა სახეზე. მოულოდნელად თავბრუ დაეხვა, სუნთქვა შეეკრა, წამოანათა წუთით.

ჩქარა ისევ გადაურა უგუნებობამ. „ღღვეანდელი ნერვულობის ბრალია“, — გაიფიქრა ქალმა და გული გაიმაგრა. საფარეშო მაგიდასთან ფარ-

ჩაგადაკრულ დაბალ სკამზე ჩამოჯდა და მკერდზე ტალღებად ჩამოღვრილი თმის ვარცხნას შეუღდა.

სამამამთილოსთან ტელეფონით ბაისის შემდეგ, მართალია, ცოტა დაწყნარდა მაია. მაგრამ გულს მოწოლილი სევდა მაინც არ ანებებდა თავს და ფიქრი წამდაუწყუმ დღევანდელ საღამოსა და ოთარს უბრუნდებოდა.

ფიქრებაშიღლიმა მაიამ საშინელი მოთენთილობა იგრძნო და თმას ხელი შეუშვა.

კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებით არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა დღეს, მაგრამ რაღა სწორედ ახლა დაკარგა ყველაფერმა თავისი იერი და მიწვიდევლობა.

აი, რა ცივად გადმოჰყურებდა კაკლის ხის ჩარჩოში ჩასმული ბეზია დარეჯანის სურათი შვილიშვილს.

გაოცდა მაია. ამ გამოხედვაში წინათ სითბო იყო მხოლოდ, ახლა ეს სითბო გაეციხვით შესცვლოდა და კოპი შეჰკეროდა მოხუცს. ასე იცოდა დარეჯანმა, როცა მაია გააჯავრებდა.

— საკვირველია... იქნებ, მტვერი დაედვა ფერებში შესრულებულ ტილოსა და ნირი შეუცვალა. იქნებ ეს მტვერი საღებავის მაგივრობას ასრულებს. თორემ, აბა, რად უნდა განაწყენებოდა საყვარელი ბებო თავის ერთადერთ ნუგეშს?..

მაია კეზელის ოცი წელი ოცდასამიდან დარეჯანის ალერსიან კალთაში ჩაღდა. ჯერ სამი წლისაც არ იყო პატარა გოგონა, როცა მშობლები დაკარგა. აღარა შერჩა რა ამ წარსულიდან ბალის მეხსიერებას. ბებიას ნაამბობის და რამდენიმე გამოხუნებული ფოტოსურათის გარდა.

ჭირთამთმენი და გამოცდილი პედაგოგი იყო თუშმანიშვილის ქვრივი. დედამამის ალერსს მოკლებულ ობოლს არც სითბო დააკლო და არც აღზრდა. ეგ იყო მხოლოდ, რომ არ დასცალდა საბრალოდ დარეჯანს ბოლომდე მიეყვანა საქმე და შვილიშვილი დაბინავებული და გზაზე დამდგარი ენახა.

ბიოლოგიური ფაკულტეტის შესამეკურსზე გადადიოდა მაია, როცა წყალმანკით დაუადებულ სუბკარდელ დამიანი ხელიდან გამოეცალა და მას შემდეგ ცხოვრებაში თავისით იკვლევდა გზას.

რა სათქმელია, ღარიბი ბიოგრაფია ჰქონდა მაიას და ეს თითონაც კარგად იცოდა. სამაგიეროდ, ამ ბიოგრაფიაში ბებია დარეჯანის შემდეგ პირველი ადგილი მის საყვარელ პროფესორს სარიდან ნოზაძეს ჰქონდა დამოზიბილი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწორედ სარიდან ნოზაძემ მიიწვია ასპირანტურაში და თავისივე ზედამხედველობის საფარქვეშ დასტოვა.

ამ მფარველობამ საოცნებო ხელშესახებზე მიუახლოვა. მაიას წინაშე იმედინი მომავალი გადაიშალა. ქალმა ცხოვრების ახალი მაჯისცემა იგრძნო და თუ ხანდახან, გავლილი დღე უფერულად ეჩვენებოდა, ეს ბუნებრივი სევდა იყო ახალგაზრდა ქალიშვილის ოცდასამი გაზაფხულისა.

ღარწმუნებით თითონ მაიამაც არ იცოდა, საიდან და როგორ დაიწყო ყველაფერი.

რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ ოთარ ნოზაძე მაიას ინკინერმა გაიოზ შელიამ გააცნო შემთხვევით. კეზელის ქალი ჯერ ვაჟკაცის თვალტანადობამ მიიზიდა, მერე ოთარის გულისხმიერმა ყურადღებამ და მერე... გულიც აღარ ეკითხებოდა.

იმხანად მაია ვერც კი წარმოიდგებდა, რომ ეს ახალგაზრდა და მოხდენილად შეკრული ვაჟკაცი მისი სათაყვანებელი პროფესორისა და მფარველის. სარიდან ნოზაძის ერთადერთი შვილი და ნუგეში აღმოჩნდებოდა.

ამ უცაბედმა დამთხვევამ და მოულოდნელმა დაბრკოლებამ ერთხანობას პატარა ზღუდეც კი აღმართა მაიას და ოთარს შორის. თავმოყვარე ქალს შეეშინდა — ანგარებდად არ ჩამოთვალონ ნოზაძის შვილთან მეგობრობა, ჩირქი არ მოსცხონ უვიცებმა ჩემს გულუბრყვილო გატაცებას, არ შეურაცხყონ ობოლი

ქალის გრძნობებით და ამის გამო, ვიდრე დრო იყო, განზე გადავომა დააპირა, მაგრამ არა გამოვიდარა, რადგან წერტილის დასმის ძალა არც ერთს იყო და არც მეორეს. გარდა ამისა, ქალ-ვაჟის დაახლოებით გახარებული სარიდანი ისეთი მზრუნველობით დასტრიალებდა სარძლოს და ისე დაჰხაროდა მას, რომ უკან დახევაზე ფიქრი, ძალაც რომ ეპოვა მაიას, შეუძლებელი იყო.

ერთი სიტყვით, ამ ამბავში არ იყო-რა უჩვეულო, ერთის გარდა ოთარის სიყრმის მეგობარი, მაიას ნაცნობი ბავშვობიდან, ინკინური გაიოზ შელია, ეს უნებლიე შუამავალი მათი ერთობის, ამ ამბის შემდეგ განზე გადავა.

ეს განდგომა იმხანად არც მაიას შეუმჩნევეს და არც ოთარს. ალბათ, აქ დაუწერელი კანონი, შევიდა ძალაში და მესამე მათ შორის ბუნებრივად ზედმეტი აღმოჩნდა.

აი, ღღეს კი, ძველი მეგობრები ისევ ერთად იყვნენ და სვამდნენ...

შფოთიანი ღამით გაწამებულმა მაია ერთხელ კიდევ უსაყვედურა თავის თავს უმიზეზო უგუნებობა და გადასწყვიტა, არაფერზე აღარ ეფიქრა.

ანდა რა ჰქონდა საფიქრალი. მომავალი ისეთი წარმტაცი და მიმზიდველი იყო, ის ისე მკაფიოდ გრძნობდა ამ წუთს ოთარის სიახლოვეს, მის სუნთქვას, მის ალერსს. მის იმედინასა და ვეკაცურ სახეს, რომ წელანდელი ეჭვი ამ იმედში გაღბვა.

მართლაც-და, ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. მოხდა კი ეს სწორედ ამ ერთი წლის წინათ, შარშანდელი გაზაფხულის ვარდობის თვეში, როცა იასამინი ყვავის და ახალგაზრდა გულს სიყვარული უნდა.

ის საღამოც ჩვეულებრივი იყო. სადღაც ჩამავალი მზეც, ამ მზის სხივებით განათებული ქაღრის კენწეროებიც და ხალხმრავალი ქუჩაც თავისი გაბმული ხმაურითა და ფუსფუსით.

იმ საღამოს მაიას ოთახი ნაირფერი ყვავილებით აივსო. კარში ამინდი მათ სობდა და ღია ფანჯრებში ვარსკვლავ-

ბი იყურებოდნენ, ჩვეულებრივი ვარსკვლავები, მაგრამ ოდნავ უფრო კიდე-ვიდრე სხვა დროს.

აი ამ პატარა მაგიდას უსხდნენ ორნი. მაია და ოთარი. მათ გარდა, სამყაროში აღარავინ არა სუფევდა. ქაშანურის ქოთანში იასამინი ჰყვაროდა და ფიფურის გაბზარულ თეფშზე შოკოლადის რამდენიმე ნატეხი ეგდო.

ბაასი ციბრტყვიით ხტოდა საგნიდან საგანზე და არაფერი გულს არ ეკარებოდა.

მაია ლელავდა.

საკვირველია, რამდენი მამაკაცი შეხვედრია ცხოვრებაში მაიას და თავის დღეში წონასწორობა არ დაუკარგავს. ის მუდამ თავაზიანი იყო ყველას მიმართ და ეს კდემამოსილი თავაზიანობა საზღვრის გადმოლახვის უფლებას არავის აძლევდა. მაგრამ მოვიდა ოთარი და იგრძნო მაიამ, რომ მისი ქალური ნებისყოფა დადნა, დადნა შარშანდელი თოვლივით და სხვა არაფერი. მერე კიდევ დიდხანს ებრძოდა თავის თავის ამ უცნაურ განიარაღებას ახალგაზრდა ქალი, მაგრამ ამოად.

მაია ძლივს მოსწყუდა ოთარის ტუჩებს და მთრთოლვარე ხმით წაიჭურჩულა:

— ოთარ, მესამე საათია, უნდა წახვიდე...

— მე აქ ვრჩები, მაია სამუდამოდ შენთან ვრჩები, — ერთნატელმოკვრელი ნითბოთი ჩაილაპარაკა ოთარმა, ხელი მოხვია მაიას, თავისკენ მიიზიდა და გულში ჩაიკრა.

— ოთარ, გენაცვალე, ნუ... — შეპვედრა ნებაწართმეულმა მაიამ.

მილულულ თვალეებში ჩაჰხედა ოთარმა და შუქი გამორთო...

\* \* \*

მაგიდასთან მოკალათებულმა სარიდანმა ფანჯარასთან გადაინაცვლა. მანძილს საწერ მაგიდიდან ფანჯრამდე არც თუ ასე იოლად დასაძლევია აღმოჩნდა. გზად სარიდანს შეიძლება ფეხი წამოეკრა იატაკზე გაშლილი ნოხისთვის და

ეურნალ-გაზეთების დაბალ ტაბლაზე წამოდგმული ვიღაც უცნობი ოსტატის მიერ, ოდესღაც გულმოდგინედ ნაქედი, წოწოლა სურა ძირს გადმოეგდო. ეგ კიდევ არაფერია, სპილენძის ელრიანი მეზობელ ოთახში წინდისჩხირებზე მითვლემილ ნენეს გააღვიძებდა. შეაშინებდა და ატყუებოდა ალიაქოთი ამ უპირო მყუდროებაში.

ბოლოს, კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, სარიდანმა ისე გადალახა ეს მანძილი ორ წერტილს შორის, რომ არც ნოხისთვის წამოუკრავს ფეხი და არც სურა გადმოეგდია.

ამ მოგზაურობით აფორიაქებული პროფესორი ფანჯრის რაფას დაეყრდნო და მაისის მავრილებელ ნიავს შუბლი შეუშვირა.

სდუმდა ქუჩა. ფანჯრის მიღმა, მეზობლის სახლის ყრუ კედელზე, ხის შტოებში შემოპარული მთვარის შუქი არშეიბს ქსოვდა ბინდის თარგზე. ეგ იყო და სხვა არაფერი.

არა, ეგ არ იყო მხოლოდ!.. იყო კიდევ სარიდანი თავისი მოუსვენარი ფიქრებით და ჭმუნვით. მაისთან ტელეფონით ბაასის შემდეგ, ეკვი გამჭაფრდა. მართალია, ისეთი არა თქმულა რა მათ შორის, რომ საბაბი გამხდარიყო დარდთა აშლისა, მაგრამ ფიქრი ფიქრს მიჰყვა, და ადამიანი თავისივე კაეშნის ტყვეობაში მოექცა.

„რევოლუციათა ქარცეცხლში გამოზრძმედილმა და ახალი ქვეყნის მშენებლობაში გაჰადარავებულმა კაცმა სადავე ვერ დაუჭირე შენს ნაშიერსა და სამოცდახუთი წლის გამოჩერჩეტებული მოხუცი კიდევ ბიოლოგიურ გარდაქმნებზე ოცნებობ!“ ისევ გადაჰკრა სარიდანმა თავის თავს მათრახი და გაბეზრებული ქუჩას მიენდო.

მიწყნარებული ქუჩის მყუდროება, აგერ როდის, უცაბედმა ყმუილმა გასტკრა. მოპირდაპირე ფილაქანზე ძუქნამ ძენძელთ ჩაირბინა.

სარიდანმა უსიამოვნოდ შეათამაშა მხრები და თვალთ უნებლიეთ მიჰყვა კედელზე აფარფატებულ ნაგავის

ჩრდილს. ძუქნამ მოსახვევში კიდევ ერთხელ შეჰყმუელა მთვარესი და სადაც შეუკაში მიიშალა. ძალღუპის მცდელობას კივილიც ღამემ წაიღო უგზო-უკვლოდ. სარიდანმა გაწყვეტილ აზრს საბაბი უპოვა და წაეპოტინა.

„ვინ რა იცის, რად შეჰყმუელა ძუქნამ მთვარეს და რა შესჩივლა ღამის მნათობს. იქნებ, გაუნდო დაკარგული ლეკვის ძებნით განაწამები, ამ ღამეში წოწილით ქანცმილეული, მშობლის დარდი, ან იქნებ არ მოუწონა უკუდმართობა სოფლისა და ძალღური ხვედრი სულდგმულისა ამ ქვეყანაზე“, — გაიფიქრა სარიდანმა და ნაფიქრს უნდოდ გაუღიმა.

ოთახში რალაც გახმაურდა. სარიდანი შემოტრიალდა. ფანჯრის მოპირდაპირე კარი ფრთხილად გაიღო და მთვარით განათებულ კედელზე ქალის ლანდი ატორღილდა. პროფესორი ლანდს დააცქერდა.

— შენა, ნენე? — იკითხა სარიდანმა მხოლოდ იმიტომ, რომ საპირო იყო რალაცის თქმა.

შავ თავშალმოსხმული მანდილოსანი, მნათობის ლიბრ სიფერწყრთალეში ბავშვობისას სოფლად ნახულ მონაზონს ჰგავდა.

— რა მოხდა, სარიდან, რას აკეთებ ამ სიბნელეში? — კითხვითვე უპასუხა მანდილოსანმა ძმას.

— დაწოწილობ ამ ოთახში, — აუგლო სიტყვა სარიდანმა.

— რა დროს წოწილია ახლა, სარიდანს ენაცვალოს ნენე?!

— ყველას ზომ თაისი მიზიზი აქვს, ყმუილს და ღამღამობით წოწილს ამ ქვეყანაზე, როგორც იმ ძალს... შენ რას იტყვი, ნენე-ბატონო? — ისევ იხუმრა სარიდანმა.

— ვინ ძალს, ბოშო, არ გადამრიო! — გაიკვირვა ნენე-მამილამ.

— შენ არ იცი...

— ჰო და, აბა, გეყოფა ახლა ღამის ტეხვა. გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას, — დაუყვავა ნენემ სარიდანს.

რამდენი სითბო იყო ამ გაუხარებელი

ადამიანის ხმაში. სარიდანმა სიბრალოლი იგრძნო. ძმას იშვიათად, მაგრამ მაინც აკვირებდა დის იმთავითვე მოუწესრიგებელი ბედი. მუდამ სხვაზე მზრუნველი ქალი თითონ უზრუნავი დარჩა. თითქო არაფერი არ აკლდა ნენეს, არც თვალწარბი და არც ტანადობა, მაგრამ ისე ჩაიწვა შორეულ კუთხეში მბეჭეტავი სანთელივით, რომ იმის ალზე ღამის პეპელასაც არ შეუტრუსავს ფრთა. საერთოდ, ბუნებით მორცხვი და მორიდებული ნენე მუდამ შეუმჩნეველი რჩებოდა ყველგან, და თუ ვინმე არ გაიხსენებდა შემთხვევით, თითონ არავის გაახსენებდა თავს. ასე გადაგორდა კიდევ ერთი ადამიანის ცხოვრება და ახლა შინაბერა ქალი დაქვრივებული ძმის ოჯახს უვლიდა.

ნენე-მამიდა ღამღამობით, დროს მოსაკლავად, საყვარელი ძმისწულისათვის საბაკრიანო წინდებსა ქსოვდა. წელიწადში ორჯერ დიდუბეში მიიპარებოდა უჩუმრად და ღვთისმშობლის ხატს სანთლებს უნთებდა. მისი სათაყვანებელი ამ ქვეყნად ძმა და ძმისწული-ღა იყო. იმათ თავს ავედრებდა ღმერთსა და დედური სიყვარულის ეინს ამით იკლავდა. სარიდანს აფორიაქდა. ხელი მოხვია დას. მიუალერსა, სავარძელში ჩასვა, თითონაც გვერდით მოუჯდა და თან შეუტია კიდევ:

— მე რომ მეუბნები ძილზე, შენ რათა ფხიზლობ, თქვი, ვითომ რა კვაწილა მყავხარ, ჰა?

— ვქსოვდი, სარიდან ჩემო, იმ ბიჭს ვუცდიდი და ვქსოვდი. — მორცხვად ჩაილაპარაკა ნენემ და დაკვირვებით შეაფალიერა უჩვეულოდ აფორიაქებული ძმა.

ნენე არ იყო განებივრებული სარიდანის ყურადღებით და თავის საქმეებში ჩაფლული მეცნიერი იშვიათად თუ წყალობდა ღვიძლს, ისიც მაშინ, როცა ნაოქს შეამჩნევდა ახლად გაუთოვებული პერანგის საყელოზე, ან შარვალზე აწყვეტილი ღილის დაკერება თუ დასპირდებოდა შემთხვევით. დღეს კი, აი, გულზე მიიხუტა და სავარძელში

ჩასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა და ღიმილით გაათბო. მერე მოიღუპა უცებ, თითქოს რაღაც გაახსენდოდა. გულნატკენმა წაიბურღლუნა:

— იმ შენს ძმისწულს, ღამის თვეაკი არა, მათრახები უნდა!

— რატომ, სარიდან, რატომ? — შეიცხადა ნენემ.

— იმიტომ, რომ ამ ქვეყნისა არა ესმის რა!

— აუსხენი. შე კაცო, მერე. სხვებს უხსნი და შენ შეიღს ვერ აუხსნი ვითამ? — ურჩია გულბრყვილოდ ნენემ.

— იცი, ნენე, ცხოვრებაში ხშირად ხდება, არც თქმის უფლება გაქვს კაცს და არც უთქმელობისა. ხარ ასე ყოველმხრივ უფლებააყრილი.

— შეილთან უთქმელობა რა მოსატანიია. რას ამბობ, სარიდან, რას?

— რას ვამბობ და ჩენ სიდუხჭირეს.

— ავს ნუ აყვები, უხიშნოს ნუ იხიშნებ. რა გაქვს სადუხჭირო ვითომ ამისთანა სახელის პატრონს?

სარიდანს წელში გასწორდა, გაუხარდა, მობაასე ვიშოვეო და დარღს ყულფი მოხსნა:

— ჩემი პირადი ამოუხსნელ რებუსსა ჰგავს, — შესჩივლა სარიდანმა დას.

— ღმერთმა არ გიწყინოს, ღმერთმა! — წაიღულუნა შემინებულმა ქალმა და პირჯვარი გადაისხა.

— გეუბნები, თუ დამიჯერებ!.. აი ნახე, მე წარმოშობით გლეხი ვარ და სურვილი გამრავლებისა ისევე ძლიერია ჩემში, როგორც ღვთისა ნაყოფისა ნიდაგისადმი. მე კი აი, თითქმის უნაყოფოდ ვრჩები..

— გამაგიყვებს ეს კაცი დღეს! — ისევ შეიცხადა ნენემ.

— არა, ნენე, აბა ერთი ყური დამიგდე... არც კი ვიცი, როგორ გამოვთქვა გესაგებად.. ჰო, აი, ვთქვათ, ნაყოფი ხისა მარტო იმიტომ კი არ ინასკება კვირტში და იმიტომ კი არა მწიფდება მზზე, რომ მხოლოდ ტაბლა დაამშვენოს კაცთა. არა, დაო, ეგ მთავარი სულაც არ არი. ნაყოფი იმად ინასკება და იმად მწიფდება, რომ თბლად ქცე-

ულმა ახალი ნაყოფი შეას. ამის გარე-  
შე, ნენე, ღედამიწა უდაბნოდ იქცეოდა  
და ქვეყანა — უკაცურ ტრამალად. და  
რადგან პირველთაგან იყო ლტოლვა  
თესლისა, ის ოდითგან დასაბამი გახდა  
სიცოცხლის ჩასახვისა ამ ქვეყანაზე.  
და, მას შემდეგ, აქეთ, გარეშე ამ ლტო-  
ლვისა, არა ხარობდა ყანა სიყვარული-  
სა და არა ღვივდებოდა კერა. ახლა კი...

— ღმერთო, მარიაჲ ღვთისმშობელო,  
გადმოგვცხედე წყალობის თვალით, —  
შეჰვედრა შეშინებულმა ქალმა.

სარიდანნი არც კი უყურებდა მსმენელს.  
ეგ არის, რომ ნენეს სიახლოვე თავის  
თავთან ხმამალა ფიქრის უფლებას აძ-  
ლევდა და ისიც მწვევარით კვალდაკ-  
ვალ მისდევდა უთავბოლო ფიქრების  
აწყვეტილ ქარავანს. რა და რისთვის,  
ეს სარიდანმა არ იცოდა. იყო მხოლოდ  
შინაგანი ტკივილი და ამ ტკივილით ნა-  
კარნახევი სურვილი აზრთა განდობისა  
და აღსარებისა.

— შენ კარგად იცი, ნენე, — განაგრ-  
ძო ისევ სარიდანმა, — როგორ მინდო-  
და ოჯახი შემექმნა. მრავალრიცხოვანი  
და თბილი კერა. აი, თუ გინდა იანეთივე  
როგორიც ბაბუაჩემს ამბროსის ჰქონდა.  
გახსოვს, ნენე, როგორ შემოვუსხდებო-  
დით ხოლმე შუაღუცხლს. იმ ჩვენ ფარ-  
დალალა ქოხში. გახსოვს, თეთრად გა-  
დაპენტლი ბაბუა ამბროსი, თავშალაქ-  
რული ბეზია ეფროსინე, ახალუხის კალ-  
თებაეცილი მამაჩემი ვალერიანე, მუ-  
დამ მუცელგამობერილი დედაჩემი პე-  
ლაგიათი და ჩვენ, ერთმანეთის მომ-  
დევნო შვიდი ქალ-ვაჟი. გახსოვს, რო-  
გორ ვანაწილებდით ოჯახის წევრები  
ცივ ჭაღსა და ქოთანში შემოარჩენილ  
გულშინდელ სირსვალს, როგორ შევც-  
ქეროდით ერთმანეთს თვალებში და რო-  
გორ ვაწესრიგებდით შრომას, დიდი  
თუ პატარა.

— მახსოვს, სარიდან. მახსოვს, —  
დაუყვავა გულაჩუყებულმა ნენემ.

სარიდანმა ოთახი შეათვალიერა და  
ხელით ჰაერი მოჰწრა.

— ახლა კი, აი, ფართო და ყოველი-  
ვე სიკეთით სავსე ბინა. საქვეყნო სახე-

ლი. დიდება. პარტიისცემა და აქვე სი-  
ცივე და სიცარიელე გარეშე... გაციე-  
ბული კერა. უმიზნოდ... უსანდოდ...  
ყველაფრის აბუჩად ამგდება შეილი.  
გულცივი და მიუყარებელი, დამცინავი  
და გამკილავი. სხვათა არარაობის გამ-  
კიცხავი და თვით სათავე არარაობისა  
და უნიათობისა ამ ქვეყნად...

ნენე გრძნობდა, რა აწუხებდა სარი-  
დანს და რა ჭია უღრღნიდა გულს, მაგ-  
რამ თქმას როგორ გაბედავდა დღემდე.  
ახლა კი ველარ მოითმინა და რაკი სი-  
ტყვემ მოიტანა, ფრთხილად ჩაურთო  
ლაპარაკში:

— ადრე უნდა გვეფიქრა მაგაზე, სა-  
რიდან, ადრე! მტრულად გაზრდილი  
მოყვრულად გამოგადგებო, არ ვაგი-  
გია?

— ვიცი, მაგრამ აბა მითხარი, როდის  
და როგორ გამომეკეტა კარი სავსე  
ოჯახისა ერთადერთი იმედისათვის. რო-  
გორ გამეწირა თვითონ მაძლარს, შეილი  
საშინშილოდ? როგორ დამედო ბინა ქუ-  
ჩაში, თვითონ პალატებს მქონეს? რო-  
დის გამეწყვიტა ძაფი მამა-შვილური  
მზრუნველობისა და როგორ დამეგდო  
ხმალოლებულ ცხოვრებასთან პირის-  
პირ ჩემი ერთადერთი პირშო ისე, რომ  
შვილს არ ეგრძნო მამის საიმედო მხა-  
რი, არა ჰქონოდა უკან დასახევი გზა და  
მხოლოდ ოფლითა თვისითა განკუთვ-  
ნოდა ლუკმა საარსებო.

სარიდანმა აქ გაწყვიტა აზრი, ფეხზე  
წამოდგა და ფანჯრის სვეტს მიეყარნო.

ნენე სიბრალულით შეჰყურებდა ძმას.  
უნდოდა ეთქვა დასამშვიდებელი და სა-  
ნუგეშო რამე, მაგრამ სწორედ ახლა  
ვაუსკდა მიწა სიტყვებს და ერთიანად  
ჩაიტანა ყველა უფესკრულში.

სარიდანმა მძიმედ სუნთქავდა. ამ სუნ-  
თქვას შინაგანი თრთოლვა ამოჰქონდა  
გულიდან და სადღაც ხიხინებდა ხორ-  
ხში.

— დამშვიდდი, სარიდან, დამშვიდდი.  
ნენე გენაცვალოს, ნუ იფორიაქებ  
სულს! — ძლივს წაიღულულა ნენემ.

სარიდანმა შემოტრიალდა. ნენეს დაა-



ექერდა. შებლზე გადაისვა ხელი. ხელისგულს ოფლის ნამი აპყვა:

— კარგად თქვი, ვიფორიაქებ სულს და სხვა არაფერი, — დაუკრა კვერი ძმამ.

— პო და, დაანებე თავი...

— ვის დავანებო თავი, მამას თუ შეილს?

— ავ ფიქრებს დაანებე თავი...

— ადვილი სათქმელია ეგ!

— ადვილი რომ არაა, ვიცო...

სარიდანი ერთ ხანს გაჩუმდა და მერე ისევ თავისთვის განაგრძო:

— არა, მაინც რა ჯანაბაა ეს?

— რაზე ამბობ?

— მიზეზი ვერ მინახავს და სათავე ვერ მიპოვია ამ განდგომის და ყველაფრის უარყოფისა...

ნენე ჩაფიქრდა და კარგა ხნის დუმილის შემდეგ მოკრძალებით ჩაიდუღუნა:

— სენი ხომ არ არი მაგ, ოღლაც უჩივის შეილს, გულს ვერაფერს ველარ უღებსო!

სარიდანმა მხარზე დაადო ხელი დას და თავისაკენ შემოაბრუნა:

— რა თქვი, ნენე?

ნენეს შერცხვა, წამოანათა.

— არა, სარიდან, ისე... სულელურად... ჩემთვის — წაიჩურჩულა დარცხენილმა.

დის უცაბედად ნაკარნახევს წყალწაღებული სარიდანი როგორც ზავს, ისე ჩაეჭიდა:

— ნამდვილად სენია, და ოთარიც ამ სენის მსხვერპლია, იცოდე! — დარწმუნებით წამოიძახა სარიდანმა და იქვე განაგრძო. — იქნება, ეს ავადმყოფობაც პერში გაფანტული ბაცილებით ვრცელდება და, ეს ბაცილები კი — ავკაცობით დაღვრილი სისხლისა, ნგრევის კორიანტელისა და უდანაშაულოდ დაღუპული მილიონების გვამთა ხრწნის შედეგად ჩნდება, ვინ რა იცის!.. მერე კი, როცა ჰირი მოედება ქვეყანას, დამნაშავეს და უდანაშაულოს ორივეს დააღრჩობს.

— რა ვიცო, სარიდან, რა ვიცო... --

ჩაიწუწუნა ძმის ბოლმით გაბოროტებულმა ნენემ.

— მე შენ გეუბნები. გახსოვს, მოგიყვები კიდევ, — არა ცხრებოდა სარიდანს, — ნინო ჰაეჰავაძე, ეს უფაქიზესი ქალი მეცხრამეტე საუკუნისა, ხოლერამ იმსხვერპლა და იმიტომ კი არა, რომ გაურეცხავსა სქამდა, ეს მხოლოდ იმად, რომ მსხვერპლი გახდა ქვეყნად მოდებული სენისა.

ძმის მსჯელობა ნენესთვის უკვე მიუწვდომი და გაუგებარი ხდებოდა. ქალი უმწეოდ ასავსავებდა ხელებს და ამღვრეული სარიდანის დაშოშინებაზე-ღა ზრუნავდა:

— კარგი, შე კაცო, რატო არ გამიხმაენა! მე რალაცა სისულელე წამომცდა, ამაზე არც ღირს ლაპარაკი.

— არა, ნენე, შველში სწორედ ამ ბაცილებს უნდა ვეძებდეთ. მათი არსი და ბუნება ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია. ეს ბაცილები რწმენას ღრღნიან, ყოვლის შემძლე სიყვარულის ფესვებს ახმობენ და დაცარიელებულ, გამოფიტულ სხეულს მიუკარებელ გულგრილობის ბალამით ავსებენ.

— რა ხდება სამავისო, ბოშო! — ველარ მოითმინა ნენემ და ხმას აუწია.

— რა ხდება და, დადის ასეთი მანიაკი ჩვენ დღისულზე და ქვეყანას გვირცხვენს. არის მახლობლებში და არავინ არ უყვარს. იღწვის; თუ იღწვის და არაფრის არ სჯერა. ასეთი კაცი ყაჩაღზე უფრო უარესია. ყაჩაღი ჰკლავს და ნასისხლარს ითვისებს, ის კი სენის ვადამდება, სენის, რომელიც სულს ამრობს და ლეშს სტოვებს მხოლოდ. უსულო ლეში კი ხრწნის დასაწყისია, ნენე, ხრწნის!

სარიდანი გაჩუმდა. და რაფას დაეყრდნო. ნენე წამოდგა, მიუახლოვდა ძმას და მხარზე დაადო ხელი.

— რა მოხდა ამისთანა, ვთქვათ. მაჭარია ის ბიჭი, შე კაცო, დაღუღდება და დაიწმინდება. არა და, დაუძახე ერთხელ. მე რო გეუბნები ამ გაუგებარს, იმას უთხარი, არ ჯობია? გაგიგებს და ჩაუყვირდება თავის საქმეს. რათ გაურბინარ

შვილთან ბაასს და ლაპარაკს. რათ გაუ-  
შვი ბაღნობიდან აღვირახსნილი. არა, სა-  
რიდან, შენ რო შემოასკდე გულს ამ ჩა-  
კტილში ასე, ძმაო, თქვენგან სიკეთე არ  
გამოვა. უნდა უთხრა. უნდა აუხსნა. ცო-  
ტაც უნდა შეაფუტებუნო. აბა, რავე გინ-  
და ისე. მე ჩემი ჰქუთი ეს მითქვამს, და  
ახლა შენ იცი.

დააშოშინა სარიდანი დის აღერსია-  
ნმა კილომ. ბრძნული სიმშვიდე და სით-  
ბო ნენეს სიტყვებისა მალამოსავით მო-  
ედო გულს. უბრალოდ იყო ნათქვამი და,  
აღბათ. იმიტომ.

„მართლაც, რა მოხდა ისეთი, რომ  
ასე გაამატარაბა თავისი თავიცა და შეი-  
ლიც. რაები მოწმება სარიდანმა ამ გულ-  
კეთილ ადამიანთან და რა ღობე-ყორეს  
არ მოედო სისულელეა სწორედ.“

წელში გასწორდა ფანჯრის რაფას  
დაყრდნობილი სარიდანი და გვერდით  
მდგომ დას მიუბრუნდა. აღერსიანად  
გაუღიმა და დარცხვენილმა ჩაილაპარა-  
კა:

— კარგი, ნენე, უსათუოდ მოველაპა-  
რაკები იმ ბიჭს. შენ კი ახლა, ერთი, ლო-  
გინი გამიშალე.

ისევე აფარფატდა ლანდი კედელზე და  
კარს იქით გაქრა.

• • •

კერძის მომტანმა მეორედ გააფრთხი-  
ლა აივანზე მსხდომი მეგობრები. რეს-  
ტორანი იკეტებოდა და მსახური ჩქა-  
რობდა.

— გესმის, გაიოზ?.. — უკმაყოფი-  
ლოდ ჩაილაპარაკა კარგა შეზარხოშე-  
ბულმა ოთარმა.

— გეფრთხილდებიან, — მოკლედ  
ჩაურთო გაიოზმა.

ამ სიტყვებზე ოთარმა ცივად ჩაიცი-  
ნა, მარტოობით თავგაბეზრებული კა-  
ციის ხედვა აივანს მოავლო და შემთხვე-  
ვით, ჩუქურთმიანი სვეტის თავში, იქ,  
სადაც ზოძი კოქს ებჯინებოდა, მერცხ-  
ლების ბუდე შეამჩნია. დააკვირდა. ბუ-  
დიდან კვერცხებზე მჯდომი თუ კვერ-  
ცხის მდებელი მერცხლის მაკრატელა

კუდი მოჩანდა. შორიასლო ბოძზე მყო-  
რე მერცხალი მიყუქუქულიყო და სთვლ-  
მდა.

— აი, გაიოზ, ოჯახური იდილიის  
პრიმიტიული საფეხური, — საცილით  
ჩაილაპარაკა ნოზაძემ და მეგობარს ბუ-  
დეზე მიუთითა.

— თავი დაანებე მაგათ. თვითონ  
იციან თავისი საქმისა! — მკვებედ მოუჭ-  
რა შელიამ, ღვინის ბოთლს დასწვდა,  
ჭიქები შეავსო, სკამზე უღარდელად  
გადაბრილ თანამოსუფრეს მიუბრუნდა  
და შემპარავი კილოთი იკითხა:

— შეიძლება, ოთარ, მეგობრები  
სუფრასთან ისხდნენ და სათქმელი არა  
ჰქონდეთ რა?

— რატომაც არა, თუ ყველაფერი ნა-  
თქვამია...

— და თუ ყველაფერი ნათქვამი არ  
არის?

ოთარმა ბუდეს მხერა მოსწყვიტა:

— შენ, გაიოზ, რალაც გაწუხებს, გი-  
ნდა მითხრა და ვერ მეუბნები!

— არა, მე მინდოდა ჩვეულებრივი  
სადღეგრძელო მეთქვა, სადღეგრძელო  
მე და შენი მეგობრობისა, მაგრამ... —  
არ დაამთავრა გაიოზმა.

— რა გიშლის ხელს? — იკითხა ოთა-  
რმა.

— მეშინია სადღეგრძელო შესანდო-  
ბარს არ დაემგვანოს!..

— ნუ გეშინია, შენ შენი სთქვი!

სადაც მოსახვევში მანქანა გამოჩ-  
ნდა. შექის ორმა კონამ წუთით გაანათა  
აივანზე მსხდომთა დამაბული სახეები  
და ისევე ჩაქრა. ახლა მობაასეთ უფრო  
უმწეოდ ეჩვენათ მაგიდის გასწვრივ გა-  
დმობრილი ობოლი ლამპიონის მბეჭ-  
ტავე სინათლე.

— იცი, ოთარ, ჩვენი მეგობრობა ჩა-  
ლის ფასად აღარა ღირს! — განავრძო  
ისევე გაიოზმა.

— რათა, ვითომ? — გაიკვირვა ოთა-  
რმა.

— მეგობრობას რალაც უნდა აკავში-  
რებდეს.

— რა, შენის აზრით, ბრძოლის ქარ-  
ციცხლი თუ შედეგი გამარჯვებისა? —

დამცინავი კილოთი ივითბა ხოზაძემ.

— არც ეგ არის გამორიცხული..

— მე კი მგონია, აღამიანთა სიახლოვეს წინასწარი საზღვრების დათქმა მხოლოდ აგნებს, სხვა არაფერი!

— აქ საზღვრები არაფერი მოსატანია. მთავარია რწმენა შემოგტრჩეს მეგობრისა. მთავარია მგელს არ ხედავდე კაცის ტყავში.

ოთარი გაფითრდა. ჭიქა აიღო, დასცალა და მერე უნდოდ ჩაიხრიალა:

— ფრთხილად, გაიოზ!

ამ შეძახილზე გაიოზ შეღია აიღუწა:

— ნუ მაფრთხილებ, არა მჭირდება!

ოთარმა ხელი ჩაიქნია, თითქო უნდა მოიშოროსო:

— წადი, შენ გვირახს მოუარე, ვერა ხედავ, არ გეცილები არც სახელში, არც უფლებამში, — გესლიანად მოუქრა მან.

— ნეტა შეგეძლოს შემეცალო, მაგრამ, აბა, რა შეგიძლია. არარაობა ვის რათ უნდა... აი, შენი აბრაკადარა!

— გაიოზ! — შეღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა ოთარმა და მუშტი სუფრას ისე დაჰკრა, რომ ჭიქები გადაყირავდნენ. ღვინო წურწურით დაეშვა იატაკზე და გუბებზე აღივლიდა.

წუთით თვალებით ზვერაგდნენ ერთმანეთს.

ლოდივით აყუდებულ და უძრავსიჭმეს არა არღვევდა რა ირგვლივ. ისევ ის პირმცინარი მთვარე გულგრილად დაეხეტებოდა ცაზე და იმავე არაგვის ხეობას უსასრულობაში ნთქავდა.

ოთარმა კადვე ერთხელ გაბურღა გაიოზი თავისი მხერთა და უკან დახევა სცადა:

— დაითვერ და სისულელებსა როზე! — ცოვად დაასკვნა მან.

გაიოზი ოთარის კილოს მიენდო და მოკლედ მოსწყვიტა:

— გინდოდა ჩემი აღსარება და მიიღე!..

— შენ, გაიოზ, ჩვალი ბავშვივით უფიცი ხარ, ისიც არ გესმის, რომ თანშერდელი მეგობრები უხმოდ უგებენ ერთმანეთს და წარამარა არა ჩხუბობენ.

— ჰო, იქ, სადაც ჭეშმარიტი მეგობრობაა! — მოუქრა ისევ გაფრთხილებული.

ოთარმა არა უპასუხა, რადგან მგელის, მაგიდიდან პურის ნამცეცეი აიღო და თითებზე სრესა დაუწყო. მერე ერთბაშად, ღვინისაგან უცბად მოღუნთილი, სუფრას იდაყვით დაეყრდნო და მოტეხილი ალულლულდა:

— მართალია, რის მეგობარი და რა მეგობარი! აღამიანი დედიშობილა იბადება და დედიშობილა კვდება. ამ მანძილს ის შეცდომებითა სტანჯავს და მერე ზღაპარივით ჰქრება... იყო და არა იყო რა... აი, შენც მეგობრობაზე ყბელობ და მეგობრობისა არაფერი გესმის. არარად მხდი-და ჩემი არარაობის სათავეს არ ეძებ. მგლობსაა მწაშებ და განდგომით მაშინებ. ეგა, გგონია, მეგობრობა. აბა, რა გიმგლე, სოჭვი, ამიხსენი რა გიმგლე-მეთქი?!

გაიოზმა იგრძნო, რომ ოთარი ერთბაშად მოტყდა. ეს ნაფლეთები სიტყვებისა უკვე წონასწორობა დაკარგული, ჰარბად ნასვამი აღამიანის ისტერაას ჰგავდა. აქ თითქო წერტილის დასმა იყო საჭირო, მაგრამ თითონაც ღვინომორეული ანგარიშს ვერ აძლევდა თავს და გულსმოწოლილი ბოლმის დანთხევის ლამობდა:

— უნდა იღწვოდე ჩვენ დროში, რომ მგელი არ გახდეს, დაიხსომე! — თავშეკავებით ჩაუბრუნა შელიამ.

— სად ვიღწვოდე, როგორ ვიღწვოდე!.. მოძღვრება და ღმერთი არა მწამს. „მამულო საყვარელო“ სუფრაზე თუ მომაგონდება. კუთხე არ არის, მიზიდავდეს. კაცი არ არის, პატივს ვცემდე!..

— მეც მაგას ვჩივი. ეგ არის სწორედ სავალალო!

— მაგრამ, მაინც, მე არავისთვის არ მიმგლია!

— იცი, ოთარ, — დაყვავებით დაიწყო შელიამ, — უნდა სჭირდებოდე მოყვასთ, რომ ზედმეტი არ აღმოჩნდე მათში. თუ ჭეყანას არ დასჭირდები, მგლობა-და შეგტრება ხელთ.

— შეისმინე, გული ვერ გაეთბე, ბიჭო, აზრი არაფერს ეცილება, არაფერზე

არ ჩერდება. გესმის, გაიოზ, არაფერზე არ ჩერდება... — შეკენესა ოთარმა და მაგიდაზე დაემხო..

გაიოზმა ხუმრობა სცადა:

— შენ ისევ განდგომაზე ფიქრობ. ეგ არ გამოგავა, ოთარ, კოსმოსურ ხანაში განდგომისა და წისქვილების მიშხიდველი პოეზია გაპქრა. გაპქრა, რადგან თვითონ წისქვილებიც გაპქრა თავისი ღარებით და ხავსით. განდგომა თუ გინდა, მთვარეზე შეიძლება მხოლოდ.

გაიოზმა იგრძნო, არ გამოუვიდა ხუმრობა და ტუჩზე იკბინა.

მაგიდაზე დამხობილი ოთარი ისევ თავისას ლულულულებდა და თრთოდა:

— შენ ვერ გამოიგებ, ვერ გამოიგებ... არაფერზე არ ჩერდება...

ასეთი გულახდილი და ადამიანური ოთარი გაიოზს არასდროს არ უნახავს.

გაიოზი დაჰყურებდა მეგობარს და ახლა უკვე ცხადად გრძნობდა, რომ მათ შორის ზიდი, დიდი ხანია, ჩატეხილი იყო. კარგად იცოდა ისიც, რომ ოთარს არ მოსწონდა გაიოზის მუდამ განზომილი და საათივით აწყობილი ცხოვრება. ის სიყრმის მეგობრის ამქვეყნიურ ფუსფუსს აშაობდად სთვლიდა და გულში მას კაცუნას უძახდა. თვითონ გაიოზიც ვერ იტანდა ოთარის უქმ არსებობას ამ ქვეყანაზე. წონასწორობას ჰკარგავდა, როცა მეგობარი ამ მცონარობას რაღაც, ვითომდა, ცხოვრებისაგან განდგომით ხსნიდა. ყველაფერს აბუჩად იგდებდა, ყველას ზევიდან დაჰყურებდა და ყოველივე ეს გმირობად მიიჩნდა.

მაგრამ ამ უთანხმოების გარდა, იყო კიდევ რაღაც მტკივნეული, რაც გაიოზს ასე აწუხებდა და კრიჭას უკრავდა. იყო ეს „რაღაც“ ამ ღამესავეთ ლივლივით და ფერდაკარგული, მაგრამ თანაც ხელშეხახები და მყარი.

კარგა ხანია უნდოდა გაიოზს მეგობართან გულახდილი ბაასი, საბაბს ვერ პოულობდა მხოლოდ და ამიტომ სდუმდა. ოთარიც გულმანით გრძნობდა თითქო მეგობრის განწყობილებას და გულახდილ ბაასს თავს არიდებდა. ახლა კი აი, ამაყი და გულცივი ოთარი მაგიდა-

ზე დამხობილი უძღურად თრთოდა და თავისთავს ებრძოდა.

გაიოზი წამოდგა, მეგობარს მხრებზე დასვა, მხარზე ხელი დაადო და დასამშვიდებლად უთხრა:

— დაწყნარდი, ოთარი!

ამ ხელის შეხებაზე ოთარი ფეხზე წამოიქრა. ამღვრეული თვალებით შეაკერდა მეგობარს, მერე თითქო რაღაც განზრახვისგან თავი შეიკავაო, მაგიდას მიუბრუნდა და ღვინით სავსე ჭიქას დასწვდა:

— ხელაც იმ ბუდეს, გინდა იმ ბუდის სადღეგრძელო შევსვათ?..

გაიოზმა ჭიქა ჩამოართვა ოთარს და ისევ მაგიდაზე დადგა.

— თავი დაანებე სმას, საჭესთან ზიხარ და არ ღირს. არც ეგ სადღეგრძელო გინდა, შენ ბუდისა არა გესმის-რა!

— მაშ, რათა მწამებ ცილს, რა გიმგლე, სთქვი! — ჭირვეულად გაიმეორა ოთარმა და კბილები გააკრაჭუნა.

— ჩემთვის გემგლო, არ ვინაღლებდი!

— მაშ, მითხარი, ვისა გულისხმობ?

— მე რათ გითხრა, შენ თვითონ მიხვდი.

— მაინც?..

— ვინ გააწბილე გუშინ, ვის აცდევინე წვიმიანში?

— შენი რა საქმეა ეგ, მოციქულად ვინ დაგაყენა?

— ჩვენმა წარსულმა მეგობრობამ, — მოკლედ მოუქრა გაიოზმა.

— ჰოო?.. — შეტოკდა ოთარი, — თუ კი აგრეა, მაიას სადღეგრძელო შევსვათ! — წაეპოტინა ნათქვამსა და ხელი დაატანა ჭიქას.

გაიოზმა სასმისი ისევ აარიდა. ხელი დაუჭირა. უკან დასწია.

— თავი დაანებე მაიას! შენ იმისი ღირსი არა ხარ! — თქვა ესა და თავისუფლად ამოისუნთქა...

ამ სიტყვების გაგონებაზე ოთარმა ცივად ჩაიციინა.

— ფრთხილად, გაიოზ! არამკითხე მოამბეო, არ ვაგვიცია?! — მუქარით შესძა-

ხა მან და მაჯა გაინთავისუფლა გაიოზის ხელისგან.

შელია არ შერხეულა, ისე მიიღო გამოწვევა.

— ნუ მემუქრები, — იმავე კილოთი განაგრძო მან, — მე რაცა მწამდა, ისა ვთქვი და იმასვე გავიმეორებ. დიდი ხანია, თქმა მინდოდა და მერიდებოდა. ეს სისუსტეა ჩემი. ახლა კი დროა, პირში გითხრა, თავი დაანებე მაიას. ის ღირსია სხვანაირი მოწიწებისა. ის სუფთაა, სუფთა და ანკარა. შენ კი, აბა, რას გაუგებ ამ სისუფთავეს? სიყვარული თავდაიწყების სამსხვერპლოა. შენ ვერც მსხვერპლს გაიღებ და სამსხვერპლოსაც ვერ დააფასებ. შენ ერთი, ბუდიდან ამოვარდნილი, ბედის ნებეირი ბარტყი ხარ, ამ ქვეყნად შენი სიამოვნებისთვის ცხოვრობ და ვერც კი მიმხვდარხარ. შენი ცხოვრების ამ ოცდაშვიდი წლის მანძილზე, რომ სიყვარული უპირველესად ღვთაება სულთა ერთობისა და არა მხოლოდ სარეცელი. როგორც დღეს უსირცხვილოდ უწოდებთ მას და რომელსაც ჩვენ გულმოდგინედ ვლოცავთ ყველა ქუჩის გზაჯვარედინზე. პოდა, თავი დაანებე მაიას. ნუ მოატყუებ და ნუ მოსცებ ჩირქს. ის შეცდა შენში და შენც გულაყრილი ხარ უკვე და რაღად გინდა გზა აღზნო!.. მართალია, თავდაიწყებით უყვარხარ და თვითონ ვერა გრძობს ამ შეცდომას, მაგრამ აქ უნდა ივაკეციო, თვითონ გადგე, ამ განდგომით გამოათხიზლო... დამიჯერე. ოთარ, დამიჯერე, ასე აჯობებს!..

ლაპარაკობდა და ლამაზი იყო. ლაპარაკობდა და გულწრფელობის შინაგანი ცეცხლი ათბობდა. გაჩუმდა და მოიღვენთა ერთბაშად. ამბობდა სათქმელს და მთერალი არ იყო, გაჩუმდა და ღვიწმომ დარია უცბად ხელი.

გაფთხობული ოთარი უხმოდ ისმენდა მეგობრის განაჩენს. არაგვის მიბინდულ ხეობას გადაყურებდა და დილის შემაზრუნენი სიცივე იპყრობდა. კარგა ხანს იდგა ასე გარინდული, მერე ერთბაშად წელში გასწორდა, იქვე მდგომ შელიას საყელოში ხელი ჩაავლო. შეა-

ჩანჯლარა. თვალბში ჩაპხედა და ცივი ხმით ჰკითხა:

— გიყვარს მაია?

თავზარდაცემული გაიოზი შეკრთა. მთვარეს აპხედა და ვერ დაინახა, ღობრი გადაჰკროდა თვალბს.

ოთარმა უფრო ახლო მიიზიდა შელია და გესლიანი ხმით ჩასჩურჩულა:

— დაგითვობდი, მაგრამ დაიგვიანე, სამწუხაროდ. გმირი ხარ და ცოლად არ წაიყვან სხვისთან ნაცხოვრებ ქალს!

თქვა ესა და ხელი ჰკრა მეგობარს. წონასწორობადაკარგული გაიოზი სკამზე დაეშვა.

ოთარმა რატომღაც ხელსახოცით ხელი გაიწმინდა, სუფრას გაშორდა, აივანი გადასჭრა და ეზოში ჩავიდა.

\* \* \*

მაგიდის კუთხეში მიყუჩებული გაიოზის მოღუენებული ყურადღება აეტომანქანის გუგუნშა მიიპყრო. ამ ხმაურზე უნებურად გადაიხედა ეზოში და მხერა მანქანის სასიგნალო შექტარების ციმციმს აზრმიუცემლად დააშტერა.

მანქანა დაიძრა.

მარჯნის სხივების სუსტი კრთომა თანდათან ჩამოდნა რიყრაქის თრთოლვაში.

გაიოზ შელია მიშინ-ლა მოვიდა აზრზე, როცა მანქანა შარაზე გავიდა.

ელდანაცემივით წამოიჭრა ვაკეცი ფეხზე, მაგრამ სისწრაფისაგან წონასწორობა დაჰკარგა, წაბარბაცდა და ორივე ხელით აივნის მოაჯირს დაეყრდნო.

მანქანის შუქმა კიდევ ერთხელ ამოატეგტივა საგნები სიღრმიდან. წუთით წინ გაიგდო ტოტებდაკლანკილი ხეების ჩრდილები და მოსახვევში მიიშალა.

— ოთარ!.. — ცივი და გაუბედავი ხმით შესძახა გაიოზმა ცარიელ სივრცეს.

ამ ხმამ და ძახილმა თვითონვე შეაყრთო. დარცხენილმა მიმოიხედა. შორიბლოს ლანდი შეამჩნია. ამ ლანდში

კერძის მომტანი შეიცნო და მიუახლოვდა.

— შენი სახელი, მეგობარო? — მიმართა გაიოზმა სვეტის ჩრდილთან ატუზულ ლანდს.

— იპოლიტე, ბატონო!

— ძალიან კარგი, იპოლიტე, სად წავიდა ჩემი მეგობარი?

— რა ვიცი, ბატონო, — მოკლედ მოუქრა ლამენათევმა იპოლიტემ სტუმარს.

— ნასვამი იყო, არ უნდა გაგეშვა! — აფეთქდა უცხად გაიოზი.

— რა ვიცი, ბატონო, ეს თქვენ უკეთ უნდა გცოდნოდათ. მე იმასთან ჭერღვინო არ დამიღვევია! — ნიშნის მოგვებით უბასუხა კერძის მომტანმა და ჰურჭლის ალაგებას შეუდგა.

„თავხედობსო“, გაიფიქრა გაიოზმა, მაგრამ აღარ გამოედევნა ნათქვამს, მაგინდა შეათვალიერა მხოლოდ, ხელი უბისკენ წაიღო და შემარჩებელი კოლოთი იკითხა:

— რამდენი გერგება ჩვენგან, იპოლიტე?

— გადახდილია, ბატონო, სულ! — წაიბურტყუნა ჰუჭყიანი საინებით გართულმა იპოლიტემ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო.

— უსინდისო! — შეპყვირა გაცეცხლებულმა გაიოზმა.

იპოლიტე გაკვირვებით დააცქერდა სტუმარს.

— ვინა, ბატონო? — გაუბედავად იკითხა მან.

სტუმარი გაანჩხლდა.

— ვინა და ის, ვინც მე აქ დამტოვა და შენ ანგარიში გაგისწორა. რა ზრდილობაა, ვითომ, რა ვაქცაცობაა სთქვი!

— რა მოგახსენოთ. ეს კია, რომ ცოტა ვერ იყო გუნებაზე. თქვენზე ვუთხარი და ხელი ჩაიჭნია. ჩვენ ერთი გზით არ მივდივართო, — ასე მიპასუხა, ბატონო, და წავიდა.

— უსინდისო! — გაიმეორა შელიამ და ბორჯომს დასწვდა.

— რა ვუყოთ, ბატონო, არ უნდა გეწყინოთ. ღვინომ იცის. გამოიძინებს და

გაუელის. შეიძლება ინანოს კიდევ — დამშვიდა კერძისმომტანმა სტუმარი და თეფშების ხროვა ხელში ერთყვანა.

— დაიცადე, — გააჩერა შელიამ, საშვარეულოსკენ მიმავალი იპოლიტე — აქ ახლომახლო ტელეფონი არ გეგულეზა? ტაქსის მაინც გამოვუძახებ!

— არა, ბატონო, ტაქსი რად გინდათ, საცა არის მანქანები გამოჩნდებიან. თუ არა და, სადგურში ჩადით, ახლოა აქ, ფოთს ან მახარაძეს გაჰყვებით თბილისში, — ურჩია იპოლიტემ მგზავრს და აივანზე მარტო დასტოვა.

გაიოზ შელია ნამდვილად უცნაურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აგერ—როდის შეირხა მოაჯირს მიყრდნობილი და ფიქრებში წასული ვაქცაცი. უგულოდ და შეშვარავად მოათვალიერა ვარიერაჟის სითალზეში გახვეული გარემო და სადღაც თრიალეთის მთებისკენ გადაგორებული, უკვე ფერმახდილი მთვარე. ხარბად მოყნოსა დახეთქილი კოკრების სურნელებით გაელენთილი გაზაფხულის დილის ჰაერი, ქურდული ფეხაკრეფით დასტოვა აივანი და შარაზე გავიდა.

ორმხრივ მიდიოდა გზა და ორივე წვერი საბურავებით გადასიბული ასფალტისა, ბინდისა და ცისკრის უსასრულობაში იქარგებოდა. არა არღვევდა რა ირგვლივ ჭერ კიდევ უფერული ვარიერაჟის სიჩუმეს. ბუჩქებში მხოლოდ ბულბული მღეროდა თავისას, სადღაც ორლობეში მამლები ყიოდნენ და ნიავს ხანდახან წვიმებისაგან აღიდებულო არაგვის ტალღების გუგუნი მოჰქონდა.

მარტონელა მგზავრი აუჩქარებლად დაადგა შარას. მიდიოდა ნელა. ზშირად ჩერდებოდა, იცქირებოდა უკან და სმენადამბული ადრიანად ამგზავრებულ მანქანებს უცდიდა... არა ჩანდა რა გზაზე, თბილისში კანტიკუნტად მიმავალი სანოვაგით სავსე ტვირთმზიდავების და კუთხეში მიუყუებული ვეება სატკეპნების გარდა.

მართალია, ღვინის ძალა ჭერ კიდევ არ გამოწელებოდა ლამენათევ გაიოზს და სხეულიც მოთენთილი ჰქონდა, მაგ-



რამ არაგვის ხეობის სიო და გაზაფხულის სურნელება თანდათან სწმენდნენ გუნებას და აკოწიწებდნენ დაფლეთილ ფიქრებს.

საკვირველია, რაც უფრო იწმინდებოდა გონება ნაღვინევას ოხშივარისაგან, რაც უფრო ჯდებოდა ბუდეში გული, მით უფრო იზრდებოდა ბოლმა, მით უფრო დამამცირებლად ეღერდნენ ოთარის უკანასკნელი სიტყვები და მოუსვენრად მისდევდნენ თან ბურუსიან შარაზე მარტოდმარტო მიმავალ მგზავრს.

— გიყვარს მათა? — მკაფიოდ ჩაესმა შელიას დამცინავი ჩურჩული ყურთ და მონაქროლმა უფსკრულს მიმდგარივით ერთ ადგილს მიბაძა. ერთბაშად უკან დაიხია. უნებურად ზურგით ხეს მიეყარნო. მიმოიხედა. ისევ ის სიჩუმე იდგა. მხოლოდ საკუთარი გულის ზაგაბუგი ესმოდა მას და ისიც ძალიან ყრუდ

— დაგიმობდი, მაგრამ დაიგვიანებ... — ჩაესმა კვლავ და წამოანათა. რა იყო ეს... შეურაცხყოფა, დაცინვა, თუ...

„რა სისულელეა... ვანა მე თვითონ არ გავდექი ვანზე, როცა ოთარისა და მათს ნაცნობობა უბრალო მეგობრობის საზღვრებს გადასცდა. ვანა მაშინვე არ ამოვეფარე ჩრდილს, როცა ქალის თანაგრძნობა მეგობრისკენ გადაიხარა. ან ვის აინტერესებდა მაშინ მიზეზი ჩემი განდგომისა, ან რა საბაბი ჰქონდა ოთარს ამ უღიერი ბრალდებისთვის?“

შხელით ჩაუარა ხეს მიყრდნობილ მგზავრს თბილისისაკენ მიმავალმა თეთრმა ცისტერნამ და ფიქრები ვაჭმანტა. ცისტერნას კიდევ რამდენიმე დარტყვითული მანქანა მიჰყვა და ისევ მიწუნარდა ყველაფერი.

შელიამ გაკვირვებით მოათვალიერა გარემო, თითქო ვაიოცა კიდევ, საიდან აღმოეჩნდით აქ და ვატეხილი ნაბიჯით განაგრძო გზა. შარაზე მიმავალს წყნარი ლიკიცი შემოესმა. ღობის გადაღმა წყალი ჩხრიალებდა რუში. გაიოზმა

წყურვილი იგრძნო, მაგრამ დაეზარა ღობეზე გადასვლა.

ამ გარიჟრაჟში სევდის მტკიცე-აჩრდილურა. ამ სევდის საბაბი არც მხოლოდ ღვინო იყო, ალბათ, და არც ოთარის ქურდული ვაპარვა. საერთოდ, „წუხანდელი“ უსიამოვნო სიზმარივით აძყვა განთიადზე გამოფხიზლებას. თითქმის ბავშვობიდან ნალოლიაეები მეგობრობა ნაპრალს მიადგა და ამ ნაპრალში გადაიჩნხა. ახლა კი, აი, ეს ბაცი სიფერმკრთალე მომაკვდავი ღამის, ეს უგზო-უკვლოდ მიმავალი შარა და ნაადრევი დილის ერთკლით გათოშალი მგზავრი ამ შარაზე უკმაყოფილებით შხამავდა ყველაფერს.

ეს უკმაყოფილება გაიოზმა ოთარის მანქანაში ჩაჯდომის პირველი წუთიდანვე იგრძნო. მას შემდეგ უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა, თანდათან დამკვირვდა და ბოლოს ყინულის ნატეხივით ხელშესახები გახდა. ცივი და მიუკარებელი. ახლა ეს ნატეხი განთიადთან ერთად მოგორავდა ზევაივით და გაიოზ შელიას გათელვას უქადდა.

ისე კი, თითქო ყველაფერი თავის კვალს მისდევდა. ღამის თაღი თანდათან ღვებოდა. ბაცი ედებოდა მთის გაღმევ ცას. რუში ჩურჩულებდა წყალი და მგზავრი მწყურვალე ისევ გზას მიჰყავდა.

ეგ იყო, რომ ფიქრი თავისას არ იშლიდა. წამდაუწუმ იღრინებოდა და გულმოდგინედ ჭეჭავდა წუხანდელს. ის უკმაყოფილო იყო გაიოზის მცხეთაში მგზავრობით. ფუჭად და სულელურად გატეხილი ღამით. ოთართან უქმი ლაყბობით და, რაც მთავარია, თვითონ შელიათი.

ჰოდა, მართალია, საბაბს უარყოფდა და საბაბი მისცა. ვერ გაიოზა. დაავიწყდა, რომ სათქმელს თავისი ადგილი აქვს. სიტყვას თავისი გუნება და განწყობილება. ამიტომ მოხდა, რომ უადგილო ადგილას ნათქვამს ოთარმა ვერა გაუგო რა და ყველაფერი თავისებურად ახსნა.

ანდა რა მოხდა, ნასვამი მეგობრის

აბუჩადამგდებმა აღსარებამ თავზარი რად დასცა და კრიჭა რად შეუკრა. ბოლოს და ბოლოს მოულოდნელი რ. გაუნდო ოთარმა მას. სარიდანის თანხმობის შემდეგ, ახალგაზრდების ბედი გადაწყვეტილი იყო და, თუ რამ აყოვნებდა მათ ერთად ცხოვრებას, მხოლოდ და მხოლოდ მაიას სიჯიუტე. თავმოყვარე ქალი დამოუკიდებელ გზაზე გასვლას ლამობდა შეუღლებამდე და სხვა არაფერი. ეს შელიამ კარგად იცოდა და ამართლებდა კიდევ მაიას, რადგან არა სჯეროდა სადღაც ოთარის დაუდგრომელი ბუნებისა და არ უნდოდა, რომ ქალი ამ დაუდგრომლობის უსუსური მსხვერპლი გამხდარიყო.

მსხვერპლი!..

სწორედ ეს წინათგონობა იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ განზე გამდგარი გაიოზი თავისდაუნებურად შორიდან უთვალთვალებდა წყვილს. ან იქნებ... უღრანია ადამიანის გული და, ვინ რა იცის, რომელ კუნჭულში რას ჩამარხავს. მაგრამ რა საჭიროა ეს, ან ვის რა საქმე აქვს ოდესღაც და უნებურად ნაოცნებართან...

გაიოზმა ნაბიჯს აუჩქარა, ფიქრს გაურბოდა, ალბათ.

აღმოსავლეთით ცის კამარას ბაცი მოწითალო ფერი დაედო. ჯვრის მონასტერზე სინათლე გამორთეს.

მსხვერპლი, — ისევ მიჰყვა ფიქრი თავისას და ახლა პირდაპირ ეკვეთა გაიოზს. — შენ ვინა გკითხა განსჯა? განა სულერთი არ იყო შენთვის, რა მოუვიდოდა მაიას მას შემდეგ, რაც ქალის არჩევანი უყოყმანოდ მიიღე, განებივრებულს სანებივრო უბრალოვლად დაუთმე და ვაჟაკურად განზე გადექი. ან იქნებ, ეს შენი კეთილშობილება მოჩვენებითი იყო. იქნებ, არ გეგონა, რომ მათი სიახლოვე კდემამოსილობის საზღვარს გადასცდებოდა და ქალს უკან დასახვევი გზა არ ექნებოდა. იქნებ, არ გეგონა და თავს იტყუებდი?.. თუ ასეა, მაშ მიდი და ცეცხლს ნავთი დაასხი, ახლა ხელსაყრელი დრო გაქვს!.. თუ არა და, თავი დაანებე უარყოფილი მა-

მაკაცის ოხვრა-ცდუნებას. არ გეკადრება. დაგამცირებს. ახლა სჭირდება მაიას შევლა და ოთარს შექმნის!.. მძღო და ორივეს შენებურად გაუწოდე ხელი. მაია გამხნევე, ოთარს აპატიე და მთვრალის ახირებას ვულთან ნუ მიიტან, არ დაგავიწყდეს, რომ შენც დამნაშავე იყავ. ჰოდა, მადი!.. მიდი, გაიოზ, ადამიანებს ადამიანური მიუზღე და ნუ დაკარგავ უძვირფასესს, — შენი თავის პატივისცემას!..

ამ გადაწყვეტილებამ შელია დაამშვიდა. ნაბახუსევი ბურუსი გაპფანტა და გარემოში ჩვეულებრივი ელფერი მიიღო. ყველაფერი ისევ თავის ბუდეში ჩაქდა.

მცხეთის შარაზე ლამპიონები ჩაექროთ და მხოლოდ რაიმალის ვიტრინებში-ლა ენთო სინათლე. ჯერ კიდევ ტყბილად ეძინა მტკვრისა და არაგვის დუღუნში მითვლემილ საქართველოს ძველ დედაქალაქს. სვეტიცხოველის ნომარ ტაძარს და ნაირფერადი ვარდების სურნელებით დაბორიანებულ ქოთნების ნამტვრევებს მამულაშვილის ბაღში.

მაისის ნაიდრევი დილა თავის დაკანონებულ განრიგში ჯდებოდა. მთებს გადაღმა ცა წითლად იწოდა და მზის სხივები უცნაურს ხატავდნენ. ლასტზე თავმოშრონდ წამობოტებული მამალი ყელმოღერებული ზვერაგდა თავის აკანებულ სამწყსოს და დროგამოშვებით ჭეყანას დილის მობრძანებას ამცნობდა. დია ფანჯარასთან ჩამომჯდარი დედა ამაყად დაჰყურებდა მკერდზე მიწეებულ ბაღლს და ათასში ერთხელ ძუძუზე მოთათუნე პაწია ხელს ნეტარი ღიმილით ჰკოცნიდა. თეთრწვერა მოხუც ბაღში, ტალავების ბოძთან კიბე მიედგა, ზედ ასულიცო და ვაზის ყლორტებს ულოლიავებდა. ფეხშიშველი ბიჭი ეზოში აკუნტრუშებულ ბოჩოლას დასდევდა და ეზო-ყურეს ჟივილ-ხივილით ავსებდა სადღაც რადიო დუღუნებდა.

გზა გამოცოცხლდა და დილის მაცისცემას აპყვა. ახლა უფრო მკაფიოდ ის-

მოდა მანქანების გუგუნი და მოგუდუ-  
ლი საყვირების ხმა.

განთადით გართულ გაიოზს უც-  
ხად გაასწენდა, რომ დღეს დღლით ად-  
რიან მარკშიდერებთან თათბირი აქვს.  
ვარდა მაგისა, კიდევ, ნიადაგქვეშა ნა-  
კადები უჭირებენ საქმეს. შეჰპირდა, ამ  
დღლით ნიადაგის გასაყინი აპარატურა  
უნდა გასინჯოს, ჩაიბაროს და ხელი-  
დან უკვე ფენების გაყინვის თადარიგს  
შეუდგეს. აი რამდენი საქმეა და იმას კი  
ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. შეიძლება  
ახლა მიაღს მკლავზე ტკბილად სძი-  
ნავს და სიზმარში ვიღაც სერაფიტას  
ჰხედავს.

გაიოზმა ნერვულად შეათამაშა მხრე-  
ბი. ნაბიჯს აუჩქარა და გზას უკან გა-  
ხედა. შარახე თბილისისაკენ მიმავალი  
მანქანების ახალი ქარავანი გამოჩნდა.  
შელიამ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა  
შუა გზისკენ და გაუბედავად აუწია ხე-  
ლი წინა მანქანის მძღოლს. ხალხით გა-  
დატვირთულმა პატარა ავტობუსმა მზუ-  
ილით აუქცია გვერდი და მწირივით  
ხელაპყრობილი მგზავრი გადამუშავე-  
ბული საწვავის შავ კვამლში გახვია. ქა-  
რავანის დანარჩენი წყება ჯართით დატ-  
ვირთული მანქანები აღმოჩნდა. გაიოზ-  
მა გულიანად შეიგინა და ისევ ფეხით  
განავრძო გზა.

ავერ-როდის გამოაფხიზლა ფიქრს მი-  
ნდობილი გაიოზი დილის სიჩუმეში  
ერთბაშად შემოჭრილმა მწივანა ხმამ.

მიმოიხედა და მიხვდა. მცხეთის ხიდ-  
ზე მიაბიჯებდა. დალილმა მგზავრმა  
სიამოვნებით გადახედა მტკვრის ატბო-  
რებულ ტალღებს.

ისარივით ჩაუჭროლა შელიას ამ  
დროს სასწრაფო დახმარების მანქანამ,  
წივილივით გადასჭრა პატარა მოე-  
დანი და გეზი ზაპესისაკენ აიღო.

ლაშენათევმა და ქანცმილეულმა გა-  
იოზმა გვერდი აუარა მოედანს, რკინი-  
გზის სადგურზე გავიდა და ბაქანთან ჩა-  
მომდგარ, თბილისისაკენ მიმავალ მატა-  
რებელში ჩაჯდა.

ღია კუბეში მოკალათებული შელია  
ფანჯრის რაფას მიეყრდნო და დალი-

ლი გამოხედვა გარემოს მოაგლო. <sup>კარ-</sup>  
გად გათენებულიყო უკვე. კონად შეკ-  
რული მზის სხივები ჯვრის მონასტრის  
გუმბათის წვერს უაღერსებდნენ.

მატარებელი დაიძრა. კედლის სა-  
თის ენასავით ატოკდა ჩანთა მოპირდა-  
პირე საკიდურზე. გაიოზმა თვალები  
მილულა.

მეზობელ კუბეში რაღაცას ჰყვებოდ-  
ნენ.

ვიწვიშებდნენ დედაკაცები.

გაიოზს თვალების გახელა უნდოდა  
და ვერ შესძლო. ძილმა დაჩია ხელი.

მატარებელმა უმატა სვლას.

\* \* \*

პირველ სართულზე რაღაც მოწყვე-  
ტიტ გახმაურდა. მიაა შეერთა. მოგონე-  
ბა ხმაურმა შეაფრთხო. მიმოიხედა.  
ოთახში ისევ ის უთვისტომო სიჩუმე  
იდგა. „წყვეულები, კარის დახურვაც არ  
იციან...“ — წყრომით გაიფიქრა და  
ისევ მიყუჩება სცადა, მაგრამ ამაოდ.  
მოუსვენრობა თავისას შეებოდა:

„რა სულელი ვარ! არა, რად დავუ-  
რეკე იმ ადამიანს და რად შევაწუხე, რა  
საბაბი მქონდა ვითომ...“ — უსაყვედუ-  
რა თავის თავს მიაამ სარიღანთან ტე-  
ლეფონით ბაასის გამო,

რა საბაბი მქონდა, მართლაც, დღემ-  
დე ოთარისა და მიაას მეგობრობა და  
სიხსლოვე იმდენად მყარი იყო და  
მტკიცე, რომ არც თვითონ და არც  
მათი კეთილისმსურველები აღარ ფიქ-  
რობდნენ ახალგაზრდების ეკვიპოტა-  
ნელ მომავალზე.

აი, მხოლოდ დღეს, საოპერო თეატ-  
რის შესასვლელთან ობლად ატუზულმა  
მიაამ პირველად იგრძნო შეურაცხყოფა  
და შიში. უცაბედად მოვარდნილი კო-  
კისპირული წვიმის თქეში ისეთის გამე-  
ტებით სხეავდა ჰადრებს, ცაზე ისეთი  
მრისხანებით იკლავებოდა ელვა, ქარი  
ისეთი გაშმაგებით აწყდებოდა ხის კენ-  
წეროებს, რომ ყველაფერი ერთად თი-  
თქო განგებ ამეტყველებულიყო მარ-

ტოხელა ქალის შესაშინებლად და გასაფრთხილებლად.

შეკრთა მიაი. მეხსიერებაში წვრილმანები ამოიზიდნენ... „ოთარმა ამ ბოლო დროს ცუდლუტობა დაიწყო“ — ჩასწვდა მას იდუმალი ხმა, თითქოს ვიღაც შორეული იმეორებდა მის მიერვე ნათქვამ სიტყვებს. მერე ხმა უფრო დაბობდა და მიუახლოვდა. ახლა მხოლოდ ჩურჩული და ისმოდა ამ შინაგანი ხმისა. — „იქნებ ეს თქვენ ურთიერთობაში შემოჭრილი ბზარის უხილავი ნაკვალევია. ყურთასმენისთვის ოდნავ გასაგონი, ძალიან შორეული გრგვინვა. პირველი ღრუბელი თქვენს მოწმენდილ ცაზე, რომელსაც ყურადღებას არავინ არ აქცევს და, ვინ იცის, როდის ედება ღრუბელი ცას, როდის ისახება ბზარი ცხოვრებაში მახლობელთა შორის და სად არის მისი სათავე“...

სარკესთან მჯდომმა შინით შოავლო თვალი ოთახს. კიდევ შეაქანა თავბრუმ, ახლა ოდნავი გულისრევაც იგრძნო. თავისდაუნებურად თვალს ცრემლი მოსწყდა და ლაწვებზე დაგორდა.

მიაი ამ საღამოს ვეღარა სცნობდა თავის თავს და ეს აწუხებდა. ლარივით დაჰიმული ნერვები სრულიად აღარ ემორჩილებოდნენ. აღარც გული ემორჩილებოდა აფორიაქებულ აზრს. ფიქრების ნაცვლად ფიქრის ნაფლეთები და დაბორილობდნენ უწესრიგოდ ტვინში და უწესრიგოდვე ქრებოდნენ ამ ცივი მიწის მიღმა. ხდებოდა რაღაც უცნაური და სრულიად გაუგებარი მის ბუნებაში, თითქო სული იშლებოდა, იშლებოდა შემადგენელ ნაწილაკებად და მერე ვეღარ კოწიწდებოდა ერთად.

მაიამ კიდევ ერთხელ შეავლო თვალი თავის ანარეკლს და გაშრა. რაღაც უცნაური ნიშნები დასდებოდა ორეულს სახეზე. არა, სახე არ შეეცლოდა, მაგრამ ყოველივე ეს თვალის უბებში ჩანდა. ჩანდა აშკარად და მკაფიოდ, ეჭვდაუდებლად და მკვეთრად.

ხელი პატარა, სპილოსძვლის ჩარჩოში ჩასმულ, კალენდარს ნერვიულად დასწვდა და ოციოდვე ფურცელი გადა-

შალა უკან. მერე ორეულმა თვალები დახუჭა და მიაის დარცხვენად ფიქრი დღეთა თვლას მიენდო.

„არა, შეუძლებელია, გამორიცხულია, — ხტოდა ციბრუტივით ფიქრი. — თუ შეუძლებელია რად მერევა გული, რად მესხმის თავბრუ, რად ვიშლები სულით ხორცამდე. თუ გამორიცხულია, რა მიშხუის ყურებში, რა მომდის და რა მემართება?“

„შე სულელო, სამზარეულოში ოხკანი შხუის და სხვა არაფერი. ვერ გააკეთა ხელოსანმა და ეს მესამე დღეა შხუის. საერთოდ, რომ იცოდე, პატრონი არა ჰყავს ამ სახლს. ჭკვევით სადარბაზო კარი არ იკეტება და ვისაც უნდა და როგორც უნდა ისე დადის. ზოგი ღამის ხუთ საათზე მიიძარება აქედან ქურდივით და კაცი არ ეკითხება ვისთან იყო და რისთვის. არც იმას ეკითხულობს ვინმე, რათა დგას ვთქვით, მდგლოსფერი მანქანა თითქმის ყოველ ღამე ეზოში, რათ სძინავს ღამეობით ამ მანქანაში მეგზოვის პატარა ბიჭს და რათ აძლევს მანქანის პატრონი ერთგულ აზიზე-ყარაულს დასტობით ფულსა და ფეხბურთის ბილეთებს.“

აწრიალებული მიაი ფეხზე წამოდგა. ხალათი მოძებნა, მხრებზე მოივლო. ფანჯარას მიუახლოვდა, გამოაღო და ცივ რაფას იდაყვით დაეყრდნო.

კარგა ხანს დაჰყო რაფას დაყრდნობილმა მაიამ ფანჯარასთან, მაგრამ ვერც ნაწიმიარის სიგრილემ და ვერც ღამის მყუდროებამ ვერ დაუშვებია აფორიაქებული გული. პირიქით, ეს მითვლემილი ქუჩა და ფანჯრის ჩარჩოში ჩასმული ყვითელი ღამე კიდევ უფრო აშინვლებდა სევდას, აქებებდა სიშარტოვის სუსხსა და სიცივეს.

რაფას დაყრდნობილმა მაიამ თვალეები მილულა და სმენა დაძაბა. ყურს ისევ ის სამი სიტყვა ჩასწვდა, სამი, ერთმანეთთან დაუკავშირებლად არაფრის მთქმელი სიტყვა — ერთად კი მიაის ცხოვრების მთელი შინაარსი — „შენთან ვრჩები სამუდამოდ!“ — ნუთუ ეს ვნება იყო მხოლოდ, უბრალო ენის, უბ-

რალს თამაში, სენტიმენტალური რომანების ყბადაღებული თემა: მოტყუებულის გულუბრყვილობა, გაცრუებულს იმედები და ვინ იცის კიდევ რამდენი სისულელე.

„არა, შეუძლებელია, შეუძლებელია მიახ და ოთარის ცხოვრება სისულელე იყოს. ეს უკვე სისულელე არ არის თუნდაც იმიტომ რომ, იმიტომ რომ...“

ქუჩიდან უცაბედმა ნიავმა დაპყრობა. მიახს შეაყრცოლა. წამოიწია, წელში გასწორდა და უნებურად საათს დაჰხედა. ხუთს ხუთი წუთი აკლდა. „ქარგადრო გასულა“ — გაიფიქრა, ოთახი ბორილით გადასჭრა, საწოლს თვალს აარიდა — თითქო ვილაკას ელის და დაწოლას ამიტომ აყოვნებსო — საწერ მაგიდასთან სავარძელს მიამურა და მორცხვი სტუმარივით ნაპირზე ჩამოჯდა.

„არა, ეს სიმარტოვე აუტანელია. უნდა მოვიდეს ოთარი და უნდა დაამშვიდოს. უნდა მოვიდეს ოთარი და თანამოზიარე გახდეს მიახს უცნაური ფერისცვალებისა. ერთი სიტყვით, თვითონაც არ იცის რა უწოდოს ყველაფერს ამას... აი ვთქვათ, ამ გაუთავებელ თავბრუსხვევას, ან ფერად რგოლებს თვალწინ რომ ხტიან ოინბაზის ანთებული ჩირალდნებივით“.

„რომ იცოდეს ოთარმა რა ძნელია, რა აუტანელია ქალისთვის მარტოობა ამ დროს, უთუოდ მოვიდოდა, დააწყნარებდა, გაამხნევებდა, დაამშვიდებდა... როგორ გააგებინოს მხოლოდ, როგორ გააგებინოს დღესვე... არა, ტელეფონით არ შეიძლება... სირცხვილია...“

აღორიკებულმა ქალმა საწერ მაგიდაზე ქალაღის დასტას მოჰკრა თვალი.

„წერილს მივწერ და ყველაფერს ავუხსნი“, — გაიფიქრა და ამ აზრმა ცოტა დაამშვიდა. სავარძელში შესწორდა. ქალაღი და საწერ-კალამი მოიმარჯვა და ასე გაიჩინდა წუთით.

ეტყობოდა ბარათის კილოს ეჭებდა და ვერ პოულობდა. ბევრის თქმა უნდოდა და მცირესაც ვერ ახერხებდა.

სიტყვები დაჟვანტოდა და აკრეფის ძალა აღარ ჰქონდა. წინადადება თუ კონსილდებოდა აგერ რაღაც გულს მაინც არ ეკარებოდა ამ წინადადების ნაჯაფ-ნაწყვალევი აზრი.

ჯერ ასე დაიწყო, — „ჩემო ოთარი!“ — არ მოეწონა, ფურცელი გადააგდო და ახალი იღო. „ოთარი, ჩემო...“ — ისევ არ მოეწონა და ისევ გადააგდო.

სუფთა ქალაღს თვალი უაზროდ დააშტერა. არა, სუფთას არა. საფოსტო თაბახის მარცხენა კუთხეში ვალამაზებული იეზი ეხატა. იმ იეზს შუა ისევ ის „ჩემო“ ჩახლართა და უნებურად შოთას სიტყვები გაახსენდა — „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონალეწები, ტანი კალმად მაქვს, კალამი ნალეველსა ამონაწები“,... — ასე მიმოათავადა თავის „ლომს“ ნესტან-დარეჯანი წერილში და რა მოხდებოდა ვითომ, მიახსაც ასე დაეწყო თავისი გაჯახირებული „წიგნი“.

ამ მონაქროლზე ჩაეცინა. გაიფიქრა — ვერაფერი შედარებააო — და მოხავერდო იეზს ხაზი გადაუსვა. მერე ისევ ფიქრს მიჰყვა და კალამს მიენდო:

ოთარი, ჩემო!

მინდა ბარათი მოგწერო და არ ვიცი როგორ დავიწყო. ვეძებ სიტყვებს და ვერც ერთი ვერ მოპოვნია. ალბათ, აზრის სიღარიბეა, თორემ სიტყვას რა გამოლოვედა. აი, როცა შენ ჩემთანა ხარ მაშინ სხვაა. სიტყვაც მოდის, ფიქრიც მშვიდდება. შენ ისა სთქვი, როცა ჩემთან არ მეგულები — რა მოგწერო, რით გაგაზარო. როცა ახლო ხარ, ყველაფერი ჩემი მგონია, როცა არა, მაშინ ნუგეშად რა დავიღო?... იცი, ოთარი, შფოთიანია ეს ღამე და გულიც თითქოს ცუდს მეუბნება. ღამე ლოდევით ატლუშულა ფანჯრის ვადაღმა. ის ისეთი მძიმეა და ხელშესახები, როგორც ნივთი, როგორც ყინული. ამ სიმძიმემ ღამის არის გამსრისოს და გამანადგუროს, არც კი ვიცი როგორ გავუძლებ დილაამდე. ერთად ერთი რაც მიშველიდა — ეს მხოლოდ შენი სიახლოვე. დამიჯერე, ასე არას დროს არ მდომებია შენი სითბო და

ლიმილი. მაპატიე, იქნებ იმას არ გეუბნები, რაც უნდა ვთქვა. იქნებ ვერც გითხრა სათქმელი და ეს ბარათაც არასოდეს არ წაგიკითხო. არის ხანდახან ცხოვრებაში ასეთი რამ, გულს უნდა და გონება განაჯას ერიდება. ალბათ, მეც ახლა ამ დღეში ვარ, — გულს უნდა და გონება განაჯას ერიდება. კარგი, შუბლი ნუ შეიკარი, მართალია სასაყვედურო არა მაქვს-რა. ბოლოს და ბოლოს სამი დღეა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს. ეს არც თუ ისე დიდი დროა. მერე რა მოხდა, რომ სამი დღე მე საუკუნედ მომეჩვენა, ეს მთავარი სულაც არ არი, მთავარია შენი მეგობრის, აზიზის ოხერა და ვიწვევი. ბიუს ადგილი ვერ უპოვნია. წამლაუწუმ შენა გკითხულობს: — ოთარი ძია სად არიო, ხვალ ფეხბურთია, უბილეთოდ არ დამტოვოსო. — გამათავა მაგისმა ცოდომ. როგორც შემეძლო დავამშვიდე — რაკი დაგპირდა აუცილებლად მოვა-მეთქი. სიტყვის კაცია, ბილეთებსაც მოგიტანს-მეთქი. აბა რა ვიცი, სხვა რა მეთქვა. ისე კი, ოთარი, რომ იცოდე, ძაან ძნელია მოლოდინი. აი, აზიზე, გუშინ იმ ქარში და წვიმაში ჩვენი სახლის სადარბაზო შესასვლელთან ატუზულიყო და იქ მიცდიდა ეგ სულელი. თვალი მოვკარი თეატრიდან დაბრუნებისას და გამიკვირდა სწორე გითხრა. ამ შემთხვევამ კიდევ ერთხელ დამიდასტურა — რა ძნელია გადაეღობო საწადელივით შეუპოვარს.

ჰო, თეატრზე გეუბნებოდი. საკვირველია როგორ აღაგზნებს ადამიანს მშვენიერების სიახლოვე. (ნუ დამცინი, არ გეკადრება) ძალიან მწყინს „ოტელიო“-ზე რომ არ მოხვედი. ამ სპექტაკლში საუცხოვოა ყველაფერი — მუსიკაც, დადგმაც, შესრულებაც. რაც შეეხება ვახტანგ ჰაბუციანს — შედეგია პლასტიკური მეტყველებისა. არც კი მეგონა თუ ეპეიანი მავრის ტანჯვა საბალეტო ილეთებში ასე მღელვარედ და ფაქიზად გაიხსნებოდა. მაგრამ ეს მაინც საერთოა. ამ შეფასებას თუ ისურვებ ყველა გაზეთში წაიკითხავ. სამწუხაროდ,

ჩემსას ვერაფერს ვერ ვუმატებ. ამაში, ალბათ, უშენობაც მიშლიდა ხელს. ვარდა მაგისა — რაკი დავრწმუნდე რომ არ მოხვალ, შენი ბილეთი ჩემ მეგობარს ლია ჭ-ს (შენ არ იცნობ) გადავეცი. იქვე შემხვდა, შესასვლელთან, ბილეთს ეძებდა. ერთი სიტყვით, წარმოდგენას მე და ლიამ ერთად ვუყურეთ. მოულოდნელად მეგობარი ცუდად გამიხდა და ფინალი აღარ მინახავს. იმ საღამოს ლია სახლში მე გვააცილე. მანქანით წასვლა არ ინდომა, ფეხით ავყევით მთაწმინდის გზას. იქვე ცხოვრობს ჰავცაჰაძის ქუჩის აღმართზე. გზაში მიაშბო ყელაფერი. როგორც ეტყობა, ცხოვრებაში ყველასა ჰყავს თავისი იაგო და კასიო. ლიას საქმროს იმ მაკრივით ეგვიანობა დაუწყია და საცოლეს უმიზეზოდ გაშორებია. ეს ყველაფერი უცხო სათვის ჩვეულებრივი ამბავია, ლიასთვის კი ტრალედიად გადაქცეულა. გოგო დედობის მოლოდინში სულ მარტოდ მარტო დარჩენილა. საწყალი ლია მიყვებოდა, რა ძნელია ობლობა და უთვისტომობა სწორედ იმ დროს, როცა ბუნება შენ არსებას ორ სულად ყოფს. როცა სანუკვარ საიდუმლოს გამოუცნობ ბურუსში ჰხვევს და ყველაფერს სხვა ელფერს აძლევს. რა ძნელია თვალახვეული შედიოდე ამ საიდუმლო სამყაროში და თან არ გყავდეს მოზიარე, შენი შიშის გამჭარვებელი. თან არა გყავდეს მონებიერე, თართოლვარების დამყურებელი. იყო ასე პატივსაცემი და ობლობდე, იყო დედობის მოსურნე და გრცხვენოდეს. ვესმის, ოთარი!

საერთოდ უნდა გამოგიტყდე, შენი საცოლე (?) ცოტა ურევს. როცა ლიასგან ვბრუნდებოდი ერთი აზრი ამეკვიცტა. — მეც, რომ ვთქვათ, ასე დამმართნოდა, შენ ხომ გვერდით მეყოლებოდი, არა, ოთარი?

რათა გწერ ამას არც კი ვიცი. შიშია ვითომ?... შეიძლება!... ჩემი ცხოვრება ამ ერთი წლის განმავლობაში სიზმარს ჰგავდა. არა, უფრო სიზმარში ხილულნაოცნებარს. — „სიზმრის ოცნებას“. ვიცი ამას გრძნობაჭარბობას მიაწერ და



გავლიძემა. მე კი აი, მგოსანი რომ ვყოფილიყავი, ჩემი ცხოვრების ამ მონაკვეთს სათაურად იმ ორ სიტყვას წაუშვებდებოდა.

შენამდე მე ობოლი და მარტო ვიყავი. მოხვედი და ბედნიერება მომიტანე. მოხვედი და ყველაფერმა ფერი იცვალა ჩემს გარშემო. ყველაფერი ამღერდა და აიასამანდა. ბედნიერება სამკაულს ჰგავს, არა გაქვს და მისკენ მიიღები, იპოვი და გეშინია არ დაგეკარგოს.

გახსოვს მუდამ მეხუტებოდი, ქორწინებას რად ვაყოვნებთო. გარეგნულად — ამას უფრო ასპირანტურის დამთავრებას ვუკავშირებდი. შენც კარგად იცი, სხვისა შემყურე არასოდეს არა ვყოფილვარ და რატომღაც მერიდებოდა. შინაგანად — ჩვენი კავშირის გამოწვევით მაგულივდა. გამოწვევით, რადგან ვიცით, რომ მუდმივი არ არის რა ქვეყანაზე და გრძნობებიც როგორცა ჩანს, ამ საერთოს ემორჩილება.

ჰოდა, აი, გამოგიტყდები, წუხანდელი სიმარტოვისა შემეშინდა. ჩემთვის კი არა... ისე საერთოდ შემეშინდა. შიშმა ათასი სისულელე მაფიქრებია. დავიტანჯე. მეტი მე აღარ შემიძლია. გადაწვევიტე სამუდამოდ გვერდით გაგულვო და თუ შენ დღესაც იგივე ხარ, რაც გუშინ იყავ, შევავერთოთ ჩვენი სოცოცხლე. თუ არა და... (არც ეს ვიცი, ამას რად ვამბობ, რა საბაბით) თუ არა და ხშირად ყოფილა—ქორწინება განშორებას დამსგავსებია. დამადლებული ლექმა რაა, გრძნობა რა იყოს!.. ისე კი უნდა დამიჯერო, შენს იქით ჩემი გზა არ არის. შენს იქით მრავალწერტილია... გესმის, ოთარ!

• • •

მცხეთის გზაზე მდელოსფერი „ვოლგა“ მიჰქროდა. ღამის ბინდი გზას უთმობდა ამ თავბრულდამხვევ სისწრაფეს და დამფრთხალი ღობეყორეს ეხეტქებოდა. ავტოფარების მძღავრი შუქით სიბნელიდან ამოსებელი ხის ლანდე-

ბი თრთოლვით უსმენდნენ მოგუდულ საყვირის ხმას.

საქესთან მქდომი ახალგაზრდები ნაში უნიათოდ მიყრდნობოდა საეარძლის ზურგს. ის ყურადღებას არ აქცევდა — არც სადღაც მთებში შეუშინველად შეფერილ ცას, არც ნაბადმოსხმულ გოლიათებს და არც არაგვის ხეობაში დაბუდებულ ფრთაგაწვილ ღამის მყუდროებას.

საზომების ტაბლოს შუქზე განათებული ფერმკრთალი სახე ჰბუკისა, უპეებში ჩავარდნილი თვალის გუგები, შებლთან ურრგოდ გადმოყრილი ქოჩორა თმა უსიტყვოთაც ადასტურებდნენ ღამენათევი ახალგაზრდის უგუნებო განწყობილებას.

ღრეკოდ გახსნილი ქარსაფარის პატარა მინა ნიავს სხეპავდა უღიერად, მაგრამ, რატომღაც, დილის სიო ჩვეულ შეებას არა ჰგვრიდა მოთენთილ ტანს. თითქო პირიქით, არაგვის ვიწრო ხრიოკებში, ყინულის და თოვლის ნაყურში გათოშილი მთის ნიავი ამაზრზენი ქრქოლვით აესებდა მთელ სხეულს და სიცივე ძვალ-რბილს უვლიდა.

ოთარ ნოზაძე გზას დამბებული გაპყურებდა. საკვირველი რალაც ხდებოდა მის გარშემო. სპიდომეტრი სამოცს გადასცდა და სისწრაფეს მაინც ვერ გრძნობდა.

საგნები გზაზე უცნაურად ბორიალობდნენ.

ხან ის მიჰქროდა უცაბედად ამოტუზულ ჩრდილისაკენ, ხან პირიქით, მისკენ მოჰქროდნენ უცნაური გოლიათები.

მყარი თითქო აღარაფერი აღარ იყო დედამიწაზე. ყველაფერი ტოკავდა და იზნიქებოდა.

ოთარმა თავი ცუდად იგრძნო. დაღუული ღვინის ბურღო ყელში მოაწვა. მანქანა გვერდზე მიაგდო და შუქი გამორთო.

მყუდროებაში ჩაქოთქოთდა ძრავას გუგუნი.

ახლა უკვე აღარაფერი არ არღვევდა ღამის სიჩუმეს. ის დამკვირვდა და გაი-

ლურსა. ავანტიკით აიტუნა მანქანის გვერდით.

ჩამავალი მთვარის შუქი ვედარ ებრძოდა ვერც ხეობაში გამდგარ ბურჯეს და ვერც არმანთან შემპარავად გაწოლილ ზოლს.

იღვა ბინდბუნდში ღამისა და დღის გასაყართან.

გაცრეცილი მანქანის ლანდი ამ ბინდბუნდში იძირებოდა.

ოთარი საქეს დაეყრდნო და გონიხდილი გაიჩინდა. თვალი მილულა, მაგრამ ძილი ვერ ერეოდა. სციოდა და ვერა თებებოდა. დანალევნი არ ასვენებდა.

გაწამებულმა გამოალო კაბინის კარი და მანქანიდან გადმოვიდა. წონასწორობა დაკარგული იქვე მახლობლად ხეს მიეყრდნო. გაკვირვებით მიმოიხედა, უცხო გარემო ვერ იცნო და ღამის ლანდებს აზრმიუცემლად ჩააშტერდა.

მღერიე ლექივით შედედებული განთიადი მძიმე ლოდვიით ლაწვა გულს. აზრს კალაპოტი აღარ ჰქონდა, მაგრამ სევდა მიიწვ გამძაფრდა.

ხესთან მდგომმა შეხედა მნათობს და ვერ იცნო. ის თითქო ცხედარს უფრო ჰგავდა პირს მიყინული ღმირით და დამცინავი გამოხედვით.

შერე უცხად ყველაფერი აბორიალდა მის გარშემო. დედამიწა შემოტრიალდა და ალვის ხე კენწეროთი ქვევით დაეშვა.

ღონეშიხდილი იქვე ხის ძირას ჩამოჭდა და აკანკალდა, შეეცოდა თავისი თავი:

— ამ მოუპირავ სიჩუმეში თავშესაფარი არა გქონდეს, საქმეა ეს?... გზა იყოს და იკარგებოდეს... შენ იყო და იკარგებოდე... იმ სულელს კი ასე ჰგონია... დაადგა შარას და... გათავდა... პოდა, იაროს ახლა ფეხით... რა მენადვლება... მე მცივა და იმან იაროს... რა სიცივეა ეს ოხერი... რა სიცივეა... წამოაბოდა ოთარმა და ისევ მიყუნდა.

ასე იჯდა გარინდებული. დიდხანს იჯდა. თვალხილული შეაყურებდა გან-

თიადის ფერისცვალებას და ვერაფერს ვერა ხედავდა.

აგერ როდის, არაგვის ხვედრით დაემსიომ, სადღაც ბაღებში მოპარული იასამნის სურნელება დაატრიალა ჰაერში და შარაზე მტვერს გაატანა.

გაზაფხულის ამ სურნელებამ მგზავრი ცოტა გამოაფხიზლა.

„იასამანი უყვარს მაიას...“ — გაიფიქრა აზრმიუცემლად ოთარმა და უნებლიედ სითბო იგრძნო. იგრძნო ალერსის ჩუმი სუნთქვა.

— მაია!... — ვნებიანად წაიჩურჩულეს ტუჩებმა და თვალები ბურჯეს ჩაეჭდნენ, თითქოს ნანატრი იქვე იყო, ამ ნაცრისფერი კედლის მიღმა.

„ის ღირსია სხვანაირი მოწიწებისა. ის სუფთაა. სუფთა და ანკარა. შენ კი, აბა, რას გაუგებ...“ — ჩასწვდა სმენას წუხანდელი ბასიიდან ამონავლევნი.

გააქრეოლა. უსიამოვნოდ გააქრეოლა.

„არა, ვითომ გაიოზს მაიასთან რა ხელი აქვს!?“ — ჰკითხა ოთარმა თავის თავს და ამ კითხვამ ყველაფერი ყირამალა შეატრიალა.

„იქნებ ორივე მრუშობდა და მე ვერაფერს ვერა ვხედავდი?“ — კვლავ ჩაუყინდა თავის თავს და თვალები ბურლებივით შეატრიალა.

ფიქრმა, რომ ვიღაც ეცილება უმკვოდ მისთვის განკუთვნილში კიდევ უფრო გააბოროტა ისედაც ცუდად აღრენილი, ჰარბად ნასვამი ახალგაზრდა. ის, რაც გულში თითქო ტვირთად ეხვეწებოდა, დღეს გორგოზი მამაკაცის კლანჭგაყრულმა სიამაყემ ისევ თავისად იგულა და ამ განკუთვნილს ნადირივით გადაეფაფრა.

გალიაში გამომწყვდებული აფთარივით აბორიალდა მისი ვნება ამ გაცრეცილ სიშარტოვეში. იგრძნო ოთარმა, რომ ეს ვნება დაუნდობლად შოლტავდა მას და რომ არასდროს არ სდომნია მაიას მთენთავი სიახლოვე ისე ძლიერ, როგორც ამ წუთს. ისე არასდროს სწყურებია ქალის მიმნდო-

ბი, მორჩილი და ნაზი ალერსი, როგორც ამ დილის გარიჟრაჟზე.

— თუ ჩემია! ჩემად ვიგულებ, თუ არა და ჩემივე ხელით... — ბრახმა დააღრჩო, ვერ ვაათავა სათქმელი და ბარბაქით, იქვე მანქანას მიაშურა.

განთიადის შემოპარული სიფერმკრთალე ფარების შუქმა გაარღვია. მყუდროება მწყობრმა გუგუნმა.

მანქანაში მძღოლის ლანდი აფორიაქდა. საწვავის დილაკს დააწვა და მუხრუჭები მოაბოშა.

„ვოლგა“ დაიძრა.

ასფალტის სიპზე საბურავები ასისინდნენ.

ცოტა ხანს შემდეგ ეს სისინიც სისწრაფემ და ბურუსმა შთანთქა.

ოთარ ნოზაძე აღმაცერად გაპყურებდა დასაჯარგავში მიმავალ გზას.

ჩართო რადიო.

თბილისი ნაწყვეტს გადმოსცემდა უცნობი მწერლის დაუბეჭდავი რომანიდან. მკაფიოდ და ლაღად ისმოდა დიქტორის ხმა.

„შენი ბარათი მივიღე და ცოტა კოლო არ მომეწონა. ტკბილია და სენტიმენტალურ რომანსა ჰგავს. ნეტა ეგ რაღამ მოგაფიქრა. „სიზმრის ოცნება“? — აბა, დაფიქრდი. — თუ სიზმარი საოცნებოს დაემსგავსება, სად წაუხვალ გამოლვიძებას? თუ არა და რა ფასი აქვს მაშინ ან სიზმარს, ან ოცნებას!.. ჩემი აზრით, ერთად ორივე მაცდურია, უფროთხილდი მათ“.

— რაებაა ჩმახეს, კაცმა რომ თქვას? — ჩაიღუღუნა უკმაყოფილოდ ოთარმა და რადიო ისევ გამორთო.

\*\*\*

თენდებოდა.

განთიადი ცის ტილოზე სვეტიცხოვლის გუმბათს ხატავდა. უფრო ზევით შუქშეფენილ ჯვარის მონასტრის ელვაზრებას.

მიყუჩებული მცხეთის ქუჩა დილის ძილში მინაბულიყო.

ფარების შუქი ჯერ-ჯერობით კიდევ სხეპავდა ქუჩის პირას ჩარიგებულ ხის

ტოტებსა და აყუდებულ კვიპაროსებს.

აქო მიჰქროდა შარახე კედელს არ სტოვებდა. იყო გიჟური — ვაქანებზე ამ თავბრუდამხვევ სისწრაფეში. ოთარს უნდოდა ამ სისწრაფით ექვსა და კმუნვას გაქცეოდა. უნდოდა ქალის სიხლოვეც და მუხლოზიურილი პატიებაც.

და, რაც უფრო იწურებოდა ალერსისნილი მოთმინება, მით უფრო სწრაფად ბზრიალებდნენ საბურავები შავ ასფალტზე.

ღუღდა წყალი.

ქოთქოთებდნენ საკისურები.

იწვოდა ზეთი და ახშობდა იასამნის ნაზ სურნელებას.

სპილომეტრის თეთრი ისარი თანდათან მარჯვნივ იხრებოდა.

„ვოლგა“ — მ შუილით ჩაუქროლა მანქანების გაბმულ ქარავანს და მძღოლების გაოცებული სახეები სათითაოდ ამოკრიფა კაბინებიდან.

სვეტიცხოველის შესახვევთან ტეირთ-მზიდავი გახიდულიყო. ოთარმა ის-ღა მოახერხა გაეწვლილი გაქცეოდა გაცეცხლებული მძღოლის ლანძღვას.

არსენას ძეგლთან ძველი „ემკა“ მიფარფატებდა. თავაწყვეტილმა „მდელოსფერმა“ ისარივით გაისისინა კედელს აკრული მანქანის წინ და საყვირის გაბმული ხმით სალამი მისცა მიშისაგან გაფითრებულ მგზავრების გუნდს.

მცხეთის ხიდსა და მოედანს ხიდის ყურეში ძერასავით გადაუქროლა.

ასლა უკვე მარცხნივ მტკვარი მიღუღუნებდა, მარჯვნივ ბაქოსკენ მიმავალი, რითმულად ატოკებული ცისტერნები მირახრახებდნენ.

თბილისის გზაზე მდელოსფერი „ვოლგა“ მიჰქროდა.

ფანჯრის მინას თავგამეტებით აწყდებოდნენ აქა-იქ ამოზიდული სატელეგრაფო ანძები და საგზაო „იეროგლიფები“.

ჩქარა „ზაპესი“-ს სათავესთან ლელიანით დაფარული საგუბარიც ამოტივტივდა. იქვე დაფამაც, ჩაიქროლა რაღაც წარწერით.

ჯერის მონასტრის განათებული სი-  
ლუეტი მტკვარს და არაგვს გადმო-  
ჰყურებდა.

მთების გადაღმა ტატნობს ცეცხლი  
ეკიდებოდა.

— სად წაუხვალ გამოფხიზლებას!

— გესლიანად ჩაიჩურჩულა ოთარმა და  
ფიქრებით ატაცებულმა გაზის ღილაკი  
სულ დასწურა.

„ვოლგა“ გაგიჟდა. პატრონს სადავე  
წაართვა და შებზრიალდა.

წინ უჩრჩხული ამოიზიდა.

ოთარმა საკე მოგრიხა და...

ჯვარზე სინათლე გამოთიშეს.

ჩაქრა ამბარჩა ოპიზარის ნახელავ-  
ნები.


მეხი დაეცა მამა-პაპეთა საქმეცემ  
ლოს.

ნადულაბევი შეირხა და მოწყვეტილი  
ქვევით დაეშვა თავდაყირა.

ზატქმა დაჰფარა არე-მარე.

კორიანტელი შამბს და ლელიანს მო-  
ეფინა.

ხის ტოტზე შაშვი გალობდა.  
მეზის გრიალზე ფრინველი არც კი  
შერხეულა. მან ცალი თვალით გადა-  
ჰხედა სანაგვედქეულ რკინის ხრო-  
ვას და საგალობელს დაუბრუნდა.



გრიგორ ტახტაძე


გქონდა გული—ოქროს ჩანგი

ვიქტორ გაბესკირიას ხსოვნას

„გახსოვს, ბიჭო?!“  
ვილას ვეტყვი?  
რამ დაატყბოს მოგონება?  
დანამეხი,  
დანასეტყვი,  
ველარც ვტირი,  
ცრემლიც შრება.

გქონდა გული—ოქროს ჩანგი,  
სიმეზივით მგრძნობიარე.  
ზედ დაგასო ბედმა ქანგი,  
დაგჭრა,  
ველარ მოგვიარეთ.

ოცნებები...  
ზღვისპირეთი...  
„გახსოვს, ბიჭო?!“  
ვილას ვეტყვი?  
მზერას ვაპყრობ კოლხეთის ველს,  
ღალვრემილი, დანასეტყვი.



### ვიქვორ გაგასკინია

#### ადრე გარდაცვლილი მეგობრის ოჯახში

ფიქრებს ვაფუყევი: ამ ოჯახში ჯერ არ მართობს  
არც სიმღერები და არც ზენი ხმა, როიალო,  
მე ამ სურათმა მეგობრისა დიდად შემაკრთო  
და ოთახიდან ოთახებში დაებორიალო.

მე რა მაწუხებს? როცა ვხედავ ზენს სურათს, აჩრდილს,  
ვიგონებ იმ დროს, როს ერთმანეთს ვეძახდით ბიჭებს...  
ზენ, მეგობარო, სამუდამო ქაბუკად დარჩი.  
მე კი, მე—ხედავ?—სამოც წელსაც გადავებიჯე.

ახლა ამაზე ვფიქრობ და თავს ველარ ვგრძნობ მხნეთა.  
ო, ნეტავ იმ დროს, დროს ნეტარსა, აღესილს შევბითა,  
როს ჩემი თოფის ხმასა შენიც უპასუხებდა  
პალიასტომის სულგანაბულ ლაქაშებიდან.

### ჭ ა

მიყვარს ის ეზო, ის ლელვის ხე, და თანაც იქ რომ  
მაღალი ქაა. ნეტავ, იქით როდის ავივლი?  
ჩემგან რათ ვიკვირო, მე მგონია, რომ ისიც ფიქრობს  
ჩემზე, შორეულ ნათესავივით.

### ყ ვ ა ვ თ ვ ი

როცა თბილისში იდგა ზამთარი,  
როცა ციოდა და როცა თოვდა,  
დამინახავხართ ხეზე შემსხდარნი  
პუშკინის ბაღში, თუ მადათოვთან.

გამახსენებლით ძველ ამბებს, ზღაპრებს,  
სადღაც გულსაკლავ მზრისკენ მიგყავდით,  
და ისე, როგორც ჩვენსა წინაპრებს,  
ნუ გეწყინებათ, მეც არ მიყვარდით.

ახლა, როს თქვენი ხმები არ მესმის,  
ვამბობ: სად ხართ, რათ გაიფანტენით?..  
მონნატრებიხართ ქართული ლექსის  
თეთრ თოვლში შავად მოფარფატენი!



## ქართლში ნაკოვნი ეპიტაფია



ლხინს ვწევიდი მე იმ ქალაქშიც,  
სად მტკვარი და მეტეხია...  
ცუდ კაცთან მე არასოდეს  
პური არ გამიტეხია.

ალალი შრომაც მიყვარდა,  
ოფლი სად არა მდენია,  
„იხაროს საქართველომა!“  
ტყეშაც კი წამომცდენია.

მზეში გულლაღად გასულსა  
უდროოდ გამავდრებია,  
რატომ წვიმხარო, წვიმისთვის  
მაინც არ მიკადრებია.

დამილოცნია ფრინველთა  
გუნდები, მტკვარზე — ტივები...  
სხვა საქმე თუკი ვერ შევფელ,  
უფალო, მაპატიევი!



ივანე თარგა

## ცნობილი კაცი

რომანი

არნოუს უარის თქმა არ შეეძლო. მისი მიუსვლელიობა ოჯახს ეწყინებოდა, შეურაცხყოფად ჩათვლიდა. მართლაც, კაცმა რომ სთქვას, განა შეიძლება, ქორწილზე სტუმრად მიგიწვიონ და არ მიხვიდე?! ეს რომ ჩაიდინო, სოფელში ვერ გამოჩნდები, ხალხს თვალში ვერ შეხედავ, თავი მოგეჭრება.

არნოუმ მტკიცედ გადაწყვიტა წასულიყო.

მასპინძლის ოჯახში კი სამზადისი იყო. ეზოში დასაქმებული მეზობლის ბიჭები ოფელში გაწურულნი დარბოდნენ.

შვარტლით ჩაშაგებულ ვეება ქვაბების ქვეშ ბრიალ-ბრიალით ტყრცილებდა რცხილის ნაპობებიდან ავარდნილი ალი. აქაფებულ მდულარეში იხარშებოდა დეკეული. სპილენძის ქვაბებში შუშდებოდა ღერძილის ღომი. მარანში კოკებს ავსებდნენ ძველის ძველი სასაამოვნოდ გრილი ღვინით. სეფა ფართო ტალავერქვეშ იყო გაშლილი. ტანწერწერა ქალები მომხიბვლელად ირხეოდნენ სუფრის გარშემო. მამაკაცს ვაჟკაცობა ამშვენებს, ქალს კი—დიასახლისობა, კერძების სიმრავლე და სიუხვე, რომელსაც ისინი გაშლილ სუფრაზე ასე სიღარბადისლით ალაგებდნენ, მათ სილამაზეს ეშხსა და ლახათს მატებდა.

სტუმართა შორის ყველაზე საპატივცემულოდ მაინც მოხუცები ითვლებიან. ისინიც ფართოდ ტოტებგაშლილ კაკლის ჩრდილქვეშ დარბაისლურად ისხდნენ და ბაასობდნენ.

ქე, რამდენი ქორწილი უნახავს მათ ხანდაზმულ სიცოცხლეს, რამდენი ლამაზი ქალვაჟი გაბედნიერებულა მათი თანდასწრებით.

ბევრ მათგანს საუკუნისათვის გადაუბეჭვებია და მაინც ტოტებდაუღლეელი მუხებივით დგანან ამ სიცოცხლით საცხე სამყაროში.

ქვაბებთან ახლად გატყავებული ცხვრები თუთის ხის კაუქებზე თავდაღმა დაუკიდიათ. მათი სუნი მეზობლის ძაღლებს მეტად აღიზიანებს. ისინი შორიახლოდან შიშით და მსუნჯავი, ბრიალა თვალებით შესცქერიან ამ მაღის მომგვრელ სურათს, მშვიერ მგლებივით დაწრიალებენ საკლავის ირგვლივ. ახლოს მისვლა ვერ გაუბედიათ. მხოლოდ ერთი შავი ნაგაზი ფიცხობს და გულადობს. მშისრები მორჩილად და შურით შეცქერიან შავ ნაგაზს, რომელიც თანდათან უახლოვდება საკბილოს. ეტყობა, ნაგაზმა ველარ მოითმინა და სულ ახლოს ჩუმი წკმუტუნით მიფორთხდა ხორცთან. უფრო მშისრები წრიალებენ და აქნევენ კულს.

შავი ნაგაზი უკვე თავდაღმა დაკიდებულ საკლავებს ქვეშ აღმოჩნდა. დანარჩენები ჩაცუცქდნენ. თვალეებში ნაბერწყლები გაუმრავლდათ, წკმუტუნით აქეზებენ გაბედულ ძაღლს.

ერთი წამი და ნაგაზი საკლავს დაითრევდა კიდევ. უკებ ვილაყამ ფიჩხი გატეხა. შავ ნაგაზს შიში ჩაუღდა თვალეებში, შეკრთა და უკან გადმოხტა.

ეს კი ველარ აპატიეს დანარჩენმა ძაღლებმა. ისინი ძაღლური დაუნდობ-

ლობით დაესივნენ შავ ნაგაზს, რომელ-  
მაც ასე გაუტყდა მოლოდინი.

დაესივნენ და დაკბინეს. მერმე ალია-  
ქოთში ერთმანეთი ვერ გააჩიეს და  
ერთიმეორეს დაერივნენ.

— ოჰ, მართლაც სამგლეებო, აბა,  
დასტებთ შავათ, ძაღლებს ძაღლური  
სიკვდილი. — დასძახეს ბიჭებმა და ჯო-  
ხებით დაუწყეს ცემა და გაშველება.

მაგრამ მოჩხუბარი ძაღლების გაშვე-  
ლება განა ასე ადვილია! ჩხუბის ეშხში  
შესული ნაგაზები არავის ეპუებოდნენ,  
თოვლის გორგალივით შეკრულებმა და-  
იწყეს მიწაზე კოტრიალი. ამ ყოფით  
შიადგნენ ზევის პირს და ბურთივით  
დაგორდნენ დაღმართში. სწორედ ამ  
დროს მოისმა შორეული მაყრული.

— პატარძალი მოყავთ, დედოფალი  
მობრძანდება, — აღმოხდა დიდ ხანს მო-  
ლოდინე ხალხს სიხარულით ეს სიტყვე-  
ბი.

ბიჭებმა ეზოს ბოლოსკენ მოკოც-  
ეს და ჭიშკარი ზეიმით გააღეს. მათ  
ნელი და დინჯი სიარულით სხვებიც  
მოყვნენ.

— შეჩერდით, პატარძალი არ დააფ-  
რთხოთ, — მკაცრად გააფრთხილეს  
ზნეჩეულების მცველმა უფროსებმა  
ატყრატებულნი ხალხი.

განა ვნება აღერდილ ხალხს ვინმე და-  
აკავეებს?

კაკლის ხის ჩრდილის ქვეშ მყოფი  
მოხუცებიც კი ჭიშკართან აღმოჩნდნენ  
მისულნი.

— აბა, იჩქარეთ, მერიქიფენი დააბუ-  
რეთ, მერე მათ აღარ ეცლებათ! — გას-  
ძახა ვიღაცამ ქალებს.

ქალები აფორიაქდნენ.

მართლაც, კინალამ დაავიწყდათ მერი-  
ქიფეების დაპურება. მაყრიონი კი უკ-  
ვე აღმართზე ამოდიოდა.

სასწრაფოდ დასვეს ღვინის დამსხმე-  
ლები, ერთმა მეთაურთაგანმა სადღეგრ-  
ძელო უთხრა.

— როგორც მღვდელს ლოცვის ეამს,  
ისე მერიქიფეს არა აქვს ნება ხალხის  
სამსახურის დროს ღვინის სმისო, —  
გააფრთხილა მან ყველანი.

მაყრიონი ეზოში შემოვიდა. დედო-  
ფალს გარს შემორტყმოდნენ უღამაზე-  
სი ქალგაენი. ისინი მოწიწებით დას-  
ვარულით ელოლიავებოდნენ პატარ-  
ძალს. ცხენოსნები დაწინაურდნენ და  
დოლი გამართეს.

ერთმა ვაჟკაცმა ცხენოსანმა სახლის  
კიბისკენ გაახტუნა ცხენი. კიბე მეორე  
სართულზე აღიოდა. ხმელხმელმა მო-  
ხუცმა ჯოხი კვერთხივით ისე აღმარ-  
თა, თითქოს თვითონაც ოცი წლის ჰა-  
ბუკი იყო.

ვინ იცის რამდენჯერ აუხტუნებია  
ასეთ კიბეზე თავისი ქურანი ამ მოხუცს.  
ის ახლაც ჰაბუკურ სიფიცხათ გაუძღვა  
წინ ცხენოსანს და წაქეზება დაუწყა.

— არ შედრკე, დად! ასეთ ცხენს მუხ-  
ლი არ მოვლდება, წვივი არ შეუბრუნ-  
დება, ხერხემალი არ გაეზნიქება. მიდი,  
შვილო, მიდი, შენს სიჰაბუკეს ცა ჰუ-  
დად არ ეკადრება და მიწა ჰალამნად,  
მიდი, დად, მიდი.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო აღანთო  
ჰაბუკი, მან ცხენს დეზი ჰკრა და დას-  
ქყივლა, ჰოუ, ჰურანო, ჰოუ!

მთის ფიცხმა ცხენმა ყურები ცქვი-  
ტა, ტანი გაქიმა და კურდღელივით შე-  
ტოტდა კიბეზე.

ორ წამში ცხენოსანი აივანზე აღ-  
მოჩნდა. იგი ცხენითვე შეგოგმანდა  
ოთახებში, ყველა ოთახი მოიარა, მერ-  
მე აივანს გადმოადგა და ცხენს ოდნავ  
შეეხო მათრახით.

მწვევარივით გადმოველო აივანს.  
მოხუცმა დამფასებლებმა დაივრგვინეს:  
„უოჩაღ, დღერთმა ბედნიერება ნუ  
მოგაკლოს“. ჩამოვიდა მოხუცი. მას  
ისეთი ამაყი სახე ჰქონდა, თითქოს ეზო-  
ში ცხენიანად თვითონ ჩამოშტაროყოს.

ადეღვებულნი მასპინძელი ყოყმანით  
მივიდა ერთ ჯგუფთან.

— რა ექნათ? სტუმრები დაიღალნენ  
ამდენი ლოდინით: დროა, დაესხდეთ.  
მაგრამ არნოუ არ ჩანს. არ მინდა უიმი-  
სოდ დაეიწყო საქორწილო კეიფი.

— ჩვენც გვაწუხებს მისი არყოფნა,  
უთანაგრძნეს მასპინძელს სტუმრებმა,

— ისე სუფრასთან დაჯდომა უხერხულა.

— სიხარული გაგვიათყეცდებოდა, რომ სუფრისათვის არნოუს ეხელმძღვანელა— თქვა მასპინძელმა, იგი კიდევ მოელოდა სტუმრების მხარის დაჭერას.

მაგრამ ვიღაცამ ურჩია:

— დასვით ხალხი მაგიდასთან. შეიძლება არნოუმაც მოგვისწროს. ალბათ, დიდმა საქმეებმა შეუშალა ხელი.

მასპინძლის ძმა, ალმასხანი, მაინც უარობდა.

— მართალია, დაიღალეთ, მაგრამ უკეთესია, არნოუს დაველოდოთ.

ერთ ხანს უცადეს დაგვიანებულს, მაგრამ შემდეგ სტუმრები მაინც დასვეს სუფრასთან.


მაგიდის თავში რამდენიმე ადგილი ცარიელი დატოვეს. მასპინძლის დავალებით წამოდგა ერთ-ერთი მოხუცი და სტუმრებს პურის გატეხა სთხოვა. განმეორებით თხოვნისათვის არც მოუცდიათ.

უცებ მაგიდები მანქანის სინათლის ორმა ბრიალა სვეტმა გაანათა.

— არნოუ! არნოუ მოვიდა!

მასპინძლები სწრაფად გაემურნენ მის შესახვედრად. არნოუ მსუბუქად გადმოვიდა მანქანიდან და ქუდმოხდოლი მათკენ წამოვიდა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — გაისმა ხალხის შეძახილი. არნოუს სახე გაუნათდა, თვალეში ნაპერწკლები აუკიაფდნენ, მაშასადამე ხალხი მას პატივსა სცემს. არასასიამოვნო ფიქრები, რომლებიც მთელი გზა ეხვეოდა, დაეწყებულა:

◉  მწვიდობა ნურასოდეს ნუ მოგეშალოს, არნოუ!

— შენი სიღვდრი ცოცხალი ყოფილა, რადგანაც დროზე მოხვედი, — მიესალმენ მასპინძლები ნანატრ სტუმარს. უსიამოვნო განწყობა ერთი ხელისმოქნევით მოსცილდა არნოუს. სტუმარი პატივით მიიყვანეს მაგიდასთან.

აქეთ როცა მოდიოდა, მანქანაში დარდი ჰქანდა. იგი არაერთხელ შეეკითხა თავისთავს: „რა მოხდა რატომ

გრძნობს ის ასეთ ნაღველს? სად გაქრა მისი მუდამ მზიარული განწყობილება?“ უნებურად იხსენებდა დღეების ყოველ სიტყვას, მის ყოფაქცევას. დიას, ადგურის მოქმედებამ შეიძლება გული გატეინოს კაცს. ყველაფერი, რასაც კი სთავაზობდნენ არნოუ და სამსონი, ადგურს არ მოსწონდა. მართალია, არაინ არ დაუჭირა მას მხარი, მაგრამ ყველამ გაიგო, რომ ადგურ ლეიბა არაფრად არ სთელის არც არნოუს, და არც მის აზრებს.

გუდოუში ჩამოსვლის პირველი დღეებიდანვე, ლეიბამ გამოამქლავნა თავისი მიზანი— ყველაფერი შეეცვალა, ყველაფერი. ყველაფერზე უნდოდა თავისი ხელი დაიდო. არ გამოაკეცა, ამხანაგო ლეიბა! ჩვენ ადგილობრივებმა გავიდვით ფესვები. როგორც მუხას ვერ ამოაგდებ, ისე ჩვენი ამოფესვა ძნელია. მაგრად ვდგავართ, მაგრად. ადგურმა გამოაცხადა, რომ მისი სტილი იქნება კოლექტიური მმართველობა. ჰე, ეს რაიონის მასშტაბით შეიძლება, ბიძია, მაგრამ, აბა, მოსინჯე ამ მეთოდით უხელმძღვანელო აქ, ჩვენთან. კოლმეურნეობაში საჭიროა ერთმმართველობა, თორემ სიტყვის ამოღების უფლებასაც არ მოგცემენ. არა, ადგურ ლეიბა, არნოუ ვერ დადგება სხვის ჩრდილში.

— შეიძლება, შენ, ამხანაგო ლეიბა, ფიქრობ არაფრად ჩამთვალა, მე მომეჩქე ისე, როგორც ბუმბულს, რომელსაც შეიძლება სული შეუბერო და გააფრინო! შერე და რისთვის?! მე თუ არა, სხვა ვინ უნდა გაეგზავნათ მომემდემოკრბატიულ ქვეყნებში სტუმრად? როგორ არ ეცადა სამსონი, მაგრამ არაფერი არ გაუვიდა, ადგური არ დათანხმდა— მტყიცე უარი უთხრა. ისიც არ დაეწყებია არნოუს: ადგური არასგზით არ დათანხმდა მიემგარებინათ არნოუ ჩამორჩენილ კოლმეურნეობაზე. პასუხად სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა. არნოუს კოლმეურნეობას ბევრი ნაკლი აქვს. არნოუს სხვისთვის არ სცალია. თავისი საქმეებიც თავსაყრელად აქვს, მას მიხედოსო.

არნოუ, რა თქმა უნდა, მიხვდა, მისი კანდიდატურა ტყუილუბრალოდ როდი იქნა უარყოფილი. კაცი რომ დაფიქრდეს, მგონი, არც იმაშია საქმე, რომ ლეიბას განზრახ აეკვიტებინა მისი დამცირება! მაშ, რაშია საქმე? რატომ მოეპყრო მას ასე უპატივცემულოდ ღია სახალხო კრებაზე ადგური?

არნოუს სული ეხუთებოდა, საღდაც შორს, გულის სიღრმეში, თითქოს ჩაუქრობელი ცეცხლი გაჩენოდეს და სხეულს მოსდებოდეს დასაბუჯად. მანქანა მოქროდა, ადგურის სიტყვები კი გზის სანიშნებლებივით წინ ეხატებოდა და თანაც ყურებში ესმოდა. იგი არ შორდებოდა მას, ნალევს უმატებდა, სულს უფორიაქებდა.

\*\*\*

მექორწინეთა გულწრფელმა შეხვედრამ გამოიყვანა არნოუ გულისმომკვლელო ფიქრებიდან. ის თავდახრით მიესალმა სტუმრებს: „დაბრძანდით, პატივცემულო, დაბრძანდით“.

ქორწილის გამგებელმა მოხუცმა არნოუ მოწიწებით მიაცილა მისთვის განკუთვნილ ადგილამდე.

— აქ არის, ძვირფასო სტუმარო, შენი ადგილი, — უთხრა მან.

— ეს ადგილი მან უნდა დაიჭიროს, ვისაც იგი ჩემზე უფრო შეეფერება, — უარს ამბობდა არნოუ.

— არნოუ-დად. მე შეუმჩნეველი კაცი ვარ ჩვენს სოფელში. შენნაირი სახელოვანი კაცი კი ნამდვილად დამშვენებს ჩემს სუფრას. დაბრძანდით თქვენს ადგილზე—მე ამას ჩვენი სტუმრების და შენი პატივცემული მამის სახელითა გთხოვ. — მასპინძელი მხურვალედ ეპატივებოდა არნოუს. მის წინ დგამდნენ თეფშებს ძვირფასი საკმეღეებით, მის ირგვლივ დაფუსფუსებდნენ მასპინძლები. მათ შეძლეს დაებრუნებინათ მისთვის ჩვეულებრივი თავისდაჭერა, მბრძანებლური გამოხედვა; არნოუმ აიღო ხელსახოცი, გაიკეთა გულისპირზე და ჭამას შეუდგა.

როცა სტუმრები ცოტათი დანაყრდნენ, მასპინძელი სასმისით ხელში წამოდგა, ყველამ მას მიაპყრო ყურადღება.

— ძვირფასებო! დღეს დავსაჯე მრავალი კეთილი ადამიანი. დადგა დრო რომ ჩემს პურ-მარილს ჰყავდეს შესაფერი ხელმძღვანელი.

მასპინძელი გაჩუმდა, მრავალმნიშვნელოვნად გადახედა სტუმრებს. სტუმრები მიუხვდნენ მას:

— დიახ, დიახ, დადგა დრო, რომ ჩვენს სუფრას ჰყავდეს ღირსეული მეთაური.

მასპინძელი მაინც აგვიანებდა ღირსეულის დასახელებას. ის განკებთხზავდა გრძელ, ეშმაკურ სიტყვას. პირველად მან მადლობა გადაუხადა ყველა სტუმარს დაფასებისათვის, შემდეგ, როგორც წესია, ქორწილის გამგებლებსა და მაგიდის მომსახურეებს მოეფერა, არ დავიწყნია არც ნათესავები, მეზობლები და მეგობრები.

არავინ არ დაეიწყნია მასპინძელს. არა ერთხელ აღწინა, რომ მისი სუფრა ძალზე ღარიბია ასეთა პატივსაცემი სტუმრებისათვის. ამავე დროს კი სუფრა ნამდვილი აფხაზური, სიმდიდრითა და სიუხვით მეფური იყო. ჩიტის რძეც არ აკლდა. ბოლოს მასპინძელი მიუბრუნდა არნოუს:

— ძვირფასო არნოუ! თქვენი სახელი ცნობილია არა მარტო ჩვენს არსულში, თქვენ გიცნობთ მთელი აფხაზეთი. ჩვენ შორის თქვენ ყველაზე უკეთ იცით, როგორ წარმართოთ ღვინო. მოკრძალებით გთხოვთ, გაუძღვეთ ჩვენ სუფრას.

სტუმრები დიდხანს ელოდნენ ამას, მასპინძელი დიდხანს ქსოვდა ამ სიტყვას.

— ყველა თანახმაა. გთხოვთ, არნოუ! უკეთესს თამადას ვერც ვიშოვით.— მოეფერნენ თანამესუფრენი.

— არა! ბატონებო, არა! მე ვერ შევძლებ, — ჩვეულებისამებრ უარობდა პირველად არნოუ.

მას ყურს არავინ უდებდა. ყველანი ფეხზე ადგნენ და ისე ასწიეს სასმისე-

ბი. ადლეგრძელეს არნოუ და ქიქები ბოლომდე დასცალეს.

ამის შემდეგ უარისთქმა აღარ შეიძლება. არნოუმ მადლობა გადაუხადა დაფასებისათვის და დაჯდა თავის ადგილზე.

არნოუს დაუდგეს წინ სხვადასხვა ზომის სასმისები და ჩააბარეს ვეება ტრადიციული ყანწი. არნოუმ ამოირჩია საჭირო სასმისები, მერჩიფემ ჩამოასხა ღვინო. თამიამ მოჭრა ხორცი, ჩააწო აჭიკაში, შექამა, ადგა და რიგრიგობით აიღო სასმისები—თამადა შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. დაიწყო სადლეგრძელოები, ღვინო გაბურდა.

არნოუმ გაამართლა მასპინძლის იმედები, ის შესანიშნავად უძღვებოდა მაგიდას, ლაპარაკობდა ლამაზად, ქვიანურად. მისი ხელმძღვანელობით სტუმრები ცდილობდნენ წარმოეთქვათ ისეთი სიტყვები, რომელნიც გაახარებდნენ ხალხსა და თამადას.

არნოუს წყალობით და მასპინძლის გულის გასახარად ბევრი ღვინო დაილია. აფხაზური ლამაზი და მაღალი სიმღერები ცის გუმბათს კიდევ უფრო მაღლა სწევდა. ჭაბუკები და ქალწულები ცეკვით არ იღლებოდნენ. ვერც არნოუმ გაუძლო ცდუნებას. ისიც ადგილიდან მოწყდა და უმშვენიერეს ქალიშვილთან იცეკვა. ვათენებისას მადლიერმა, სიხარულით სავსე არნოუმ ქორწილი დასტოვა.

\*\*\*

დიდი ხანია ეზიგუ ეზებებს არ გაუგონია ასეთი გულისმომკვლელი და ამავდროს, მართალი სიტყვები. ბიუროს წევრები დაუნდობლად და, როგორც მას ეჩვენებოდა, არნახული ყინით აჭრიციებდნენ. მაგრამ საკვირველია: რატომღაც ყველაზე თავგამოდებით არნოუ ნაურბა ესხმოდა თავს.

მართალია, კოლმეურნეობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ეზებუბა, ჩაის პლანტაციები უკეთეს მოვლას მოითხოვდა. ადგილ-ადგილ გვიმრა სქლად

ამოზრდილიყო, გაზშირდა ეკალ-ბარდიც, თავის გამოდებამდე უმეძღვება. როცა ვისაუვედურებენ, ვაჭრებიც ბენ, რა თქმა უნდა, თავს არ გაქმევენ. მაგრამ არნოუს სიტყვებმა განსაკუთრებით დააღონა ეზებუბა.

— შენ არაფერს არ აკეთებ უკანასკნელ დროს. შენი ჩაის პლანტაციები მიტოვებულ ტყეს დაემსგავსა. შემორჩეული არაა. ბუნება შენ არ დაგელოდება. ის აკეთებს თავის საქმეს, მხოლოდ თქვენს კოლმეურნეობას ძინავს. შენ თავი მიეცი თვითდამშვიდებას, — თვალებიდან ნაპერწყმებს აფრქვევდა არნოუ.

არნოუს სიტყვებმა შიგ გულში დაქრეს ეზიგუ. ამ გულისმომკვლელ სიტყვებს ამბობდა მისი მეზობელი, სახელგანთქმული კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ეკვი არ არის, არნოუს შეუძლია მხოლოდ მიუდგომლად გააკრიტიკოს. არც პირადი წყენა და შური ამორაევებს არნოუს. ეზიგუ შორსაა ამ ფიქრებიდან. რა თქმა უნდა, არნოუ მართალია. ალბათ, მართლა მიეცა უპასუხისმგებლო თვითდამშვიდებას თავმჯდომარე. არა, ძნაო, ასე არ შეიძლება, საქმეს უნდა სხვანაირად მოვეკიდოთ, სხვა გზა უნდა მოინახოს.

ეზიგუც იყო მოწვეული ქორწილზე. მაგრამ ასეთ დროს რა ექორწილებოდა. ბიუროს შემდეგ იმწუთშივე შექდა ცხენზე და თავის კოლმეურნეობაში გაემართა. მისვლისთანავე შეკრიბა ბრიგადირები, დაუმაღავად მოუთხრო ყველაფერი, რაც თვითონ გადაიტანა.

— ამბობენ, ვინც თავის სხეულზე წყლულს ფარავს. თავისთავს თვითონ აუბედურებს — ფიქრობდა გზაზე ეზიგუ.

კოლმეურნეობა „აბზანხარა“ არ იყო უძლეური და არც ცუდად მოვილი. მაგრამ ცნობილია, რომ ყოველი გაცდენილი გაზაფხულის ან ზაფხულის ერთ დღესაც კი შეუძლია შეუბრალებლად უკან დახიოს მეურნეობა. ვერ შეძელი დროზე ჩაის პლანტაციის გაწმენდა? მაშინ თავს დააბრალებ, ზარალს



ელოდე, დიდ ზარალს. ასე მოხდა ამ გაზაფხულზეც კოლმეურნეობა „აბზანხარაში“.

კოლმეურნეობები „აბზანხარა“ და „ჭერაში“ მეზობლები არიან. სწორედ მათზე იყო ნათქვამი „მეცეცხლური მეზობლები“. ეს ოდნავ ექვსაც ბადებდა მეზობლობაში. ერთის გამარჯვებას მეორე გულგრილად როდი უყურებდა.

დიდი ხნიდან არნოუ და ეზიგუ ერთმანეთს პატივს ცემდნენ, ისინი არ შეიძლებოდა მეგობრებად ჩაგეთვალათ. შეხვედრისას პატივისცემით ზრიდნენ თავებს და ორივე თავისი გზით მიდიოდა. ორივემ იცოდა თავისი თავის ფასი.

გავიდა დრო. ეზიგუ და არნოუ — როგორც საკმაოდ მომზადებულნი და ძლიერნი — აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარეებად.

მაგრამ მაღალი, საქვეყნოდ ცნობილი დიდება ზედა წილად მხოლოდ არნოუს — კოლმეურნეობა „ჭერაში“ იცნობდნენ მთელ რაიონში. ზოგიერთები კოლმეურნეობა „ჭერაში“, არნოუს კოლმეურნეობას უწოდებდნენ. და ამაში არაფერ ცუდს არ ხედავდნენ. ამით თითქოს პატივს ცემდნენ ყველა ტრადიციას — პატივი სცეს ძლიერ ხელმძღვანელს და ხმამაღლა ადიდეს მისი სახელი.

\*\*\*

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ადიცას. როგორ არ ეცადა, ძილი არ ეკარებოდა მის წამწამებს. თავი ველარ გაართვა აურაცხელ ფიქრებს. ღომი ჩაზილა და დააშუშა. მერმე ჭვავის ჯაჭვი ასწია და ცეცხლი შეასუსტა.

დედა ელოდებოდა არნოუს. მაგიდაზე საუზმე დაობლებულივით ჩანდა, თითქოს სტუმარმა დაიწუნაო. ადიცა ხშირად მიაყურებდა ხოლმე დამეს. მანქანის ხმაზე კინძკისაკენ გარბოდა... არა, ეს უცხო მანქანის ხმა ატყუებდა ადიცას.

— არაფერი არ არის იმაზე საწყენი,

როცა შენს გაკეთებულ საქმეს მარტო შეეძებვი, — ხშირად ეს სიტყვები რომდა ადიცა მეზობლებს მიაქვამდა შეილზე. ამაღამ ადიცა მერამდნედ გამოდიოდა აივანზე. მშვიდი, ვარსკვლავიანი აფხაზური ღამეა. ძინავს გორაკებზე შეფენილ სოფელს. სიწყინარეა. ყვავილებისა და ბაღების სურნელებით გაქლენთილი ჰაერი სუფთაა. შემოვიდა სამზარეულოში. მწუხარედ გადახედა მაგიდას, ყველაფერი გაიციოდა, მხოლოდ ღომი ოდნავ თბილია. შეეცადა გადაეყლაპა ორიოდე ლუქა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ახლაც ფეხზე წამოდგა.

არც დღეს და არც გუშინ არ უგრძენია ადიცას ეს დამაბერებელი მარტოობა. ნანატრმა ბედნიერებამ სამუდამოდ აუარა გვერდი ადიცას. მისი სიცოცხლე — არნოუა. დმერთო, დიდება შენ და კარგი შეილია, ჭკვიანი, შეუძლია დაამტკიცოს თავისი სიმართლე, ზომიერად ამაყი და თავისი დედის პატივისცემელი. რაღა უნდა კიდევ ადიცას? მისი შეილი გამორჩეულია, იგი უდიდესი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა. მაშასადამე, იგი ყველაზე ღირსეულია. ნუთუ ეს არ არის ბედნიერება?

რაც უფრო საჭირო გახდა არნოუ აღამიანებისათვის, მით უფრო იშვიათად ხვდებოდა დედა მის მზერას და ისმენდა მის ხმას. დიდი ხანია უნდა მას შეილთან გულახდილი საუბარი.

ღამე გაუთავებელი ჩანდა. მხოლოდ კედლის საათის ტიკტიკი არღვევდა დიდ სახლში სიჩუმეს. ადიცამ ხელი მოაფათურა კედელზე, ჩართო სინათლე. დიდმა სინათლემ დააბრმავა იგი. შეხედა საათს — დილის 5 საათია.

— დღესაც არ მოვიდა, — ხმამაღლა წარმოთქვა და შეხედა კედელზე დაკიდებულ სურათებს, წარსული სიხარულის მოწმეთ.

აი ტიტველი არნოუ, რბილი და ფუნთუშაბელებიანი, იგი სკამზე ზის და დედას ისე უჭირავს, რომ ადიცა სულ არ ჩანს.

მეორეზე იგი მოკლე შარვალში და

აფხაზურ წულამესტშია გამოწყობილი. მესამე სურათზე — არნოუს მხრებზე მოგდებული აქვს მოსწავლის ჩანთა. ზემოთ დიდ ჩარჩოში ახლანდელი არნოუა, მის მკერდს ამშვენებს ოქროს ვარსკვლავი, ორდენები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი. ლამაზია მისი ვაჟი. მუქი მოშვილდული წარბები, თხელი უღვაშები და მრავლისმთქმელი ჭიუტი თვალები.

— მაღლა აფრინდა ჩემი შვილი... ჩემმა გულმა უნდა გაიხაროს.

დღეა მოიცილის, ოღონდაც აცდეს მას გასაქირი და უბედურება. დე, ყველა მისი მწუხარება მე დამატყდეს თავს. — ფიქრობდა ადიცა.

აღგა, გაალო დარაბები და ოთახი ვაანიავა. გაზაფხულის დილამ გამოაცოცხლა ადიცა. ელექტრონი დააბნელა მზის შუქმა. უკვე მოათენდა, ადიცამ სინათლე ჩააქრო.

ბებები მწვანით შეიმოსა, ატმები აყვავდა. აივნიდან ადიცა ათვალეირებდა მშობლოურ გარემოს. მარჯვნივ თვალს ახარებდა ჩაის მწვანე პლანტაციები, მარცხნივ ვენახები — უკვე ამოვიდა მწვანე ყლორტები. მინდვრებზე ამოწვერილიყვენენ სიმიანდები. ნეტავი თუ ეძინა არნოუს ამ ღამეს? ალბათ, მთელი ღამე კრებაზე გაატარა. სიმიანი, ჩაი, თამბაქო — ძნელია ყველაფერს ადევნო თვალყურით; მე კიდევ ვსაყვედურობ მას. ეს იმიტომ, რომ მუდამ მარტო ვარ. ღმერთო, ნურასოდეს ენახოს მის შვილს სირცხვილი. ახლა მზა ვახშამს გადახედა და ისევ ჩაფიქრდა. ვაი, თუ მთელი ღამე მშიერია, შეიძლება ვერც კი მოიცილა საჭმელისათვის?

ისევ ჩაფიქრდა, თავსაფარი დაიხურა, წალდი აიღო და თუთის ტყისაკენ გასწია. აბრეშუმის ჭიის დაპურების დრო იყო.

დაბრუნდა ფოთლებიანად, შევიდა ფიცრულში და ჭიებს დაუყარა. ხედავდა, როგორი ხალისით მიესივნენ ჭიები თუთის ფოთოლს. გაღმიდან უკვე ისმოდა პლანტაციებში გასული ქალების მხიარული ტარციალი.

დააბურა ჭია, ავიდა აივანზე. სოფლის სავაჭრო ფარდულუფერ უფჯაანტიცა და მისი სახლისაკენ უფჯაანტიცა.

— რატომ გაალო ამ აღქაქმა ასე უთენია ფარდული? — გაუკვირდა ადიცას. მას იგი ვაქრობის დროსაც კი დაკეტილი აქვს, დილიდან საღამომდე დადის სოფელში. რა მოხდა ნეტავი?

სახლთან ნელა გაჩერდა მანქანა. მძლოლმა გაალო ჭიშკარი და მანქანა შემოიყვანა ეზოში. მძლოლის გვერდით ეძინა არნოუს. ეტყობოდა არნოუს სახე უხურდა, ღაწვები დასიებოდა. დიდი გაქირებებით გადმოფოფხდა მანქანიდან. გადმოდგა ნაბიჯი, წაიფოროხილა. მძლოლმა დაიქირა იგი და წამოიყვანა სახლისაკენ. ადიცა მიხვდა — შვილი მთვრალი იყო და ჩქარა გამოეშურა მისკენ.

ძლივძლივობით გახადა მძლოლმა არნოუს და დააწვინა.

— კიდევ სტუმრად იყო. არ ასვენებენ, ვერ ხედავენ, რომ მათი მასპინძლობით ღონეს აცლიან ჩემს ბიჭს, — სწუხდა ადიცა.

— არ შეუძლია უარის თქმა. არც ისე ადვილია კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა, — თქვა მძლოლმა ხუტამ, — მაშინ მე ვიქნებოდი თავმჯდომარე.

ხუტა გაემართა მანქანისაკენ. მასაც ხომ ძილი უნდოდა?

ადიცა უყურებდა მძინარე არნოუს. უნდოდა მოფერებოდა შვილს, დაერიგებინა რომ ღვიხოს არ მიჩვეოდა. დაე, ეძინოს. აიღო კალათი და პლანტაციაში წავიდა.

არნოუ ტრიალებდა ლოგინში, კვნესოდა. შუბლი ცივი ოფლის წინწყლებით დაეცვარა, გაღებული ფანჯრიდან მზის სხივები ეცემოდნენ. თავი ჩამოვარდნოდა ლოგინიდან. არნოუ ისე ხვრინავდა, თითქოს იხრჩობოდა.

ფრთხილად, როგორც ავაზა, კიბეზე ამოდიოდა ანტიცა. მან ფეხაკრეფით გაიარა აივანი და სახლში დაიმალა. ანტიცამ იცოდა, რომ სახლში არნოუს გარდა არავინ იყო.

მაგრამ ოთახში, სადაც ეძინა არნოუს

შიშით და სიფრთხილით შევიდა. საწოლის კიდეზე დაინახა მხერინავი არნოუ, გაიგო — რომ მას სულისთქმა უჭირდა. სასწრაფოდ აუწია თავი და ბალიში გაუსწორა.

გუშინ ქორწილზე ანტიცა თვალს არ ამორებდა თამადას, მხოლოდ მასზე ზრუნავდა, მოჰქონდა ნაირნაირი საკმელები, უცვლიდა თეფშებს.

მთელმა არსაულამ იცის — ანტიცა მუდმივი სტუმარია ყველა ქორწილისა, ქელეხებისა და ოჯახური ზეიმისა. გაიგონებს თუ არა, რომ რომელიმე ოჯახში იკრინებთან სტუმრები, მიუპატიებლად მიდის და იძლევა ბრძანებებს. მას უყვარს თავის გამორჩენა.

წუხელი ქორწილზე, როგორც გემრიელ კერძს, ისე ელოდა არნოუს. ანტიცა ყოველთვის მამაკაცების გვერდით არის. უნდა ყველა ამბავი პირველმა მან გაიგოს. განსაკუთრებით უნდოდა გაეგო, რაზე ლაპარაკობდა არნოუ.

ანტიცა ჩამოჯდა ლოგინზე. მაგრამ მას არ ასვენებდა გაღებული სარკმელი: მივიდა, გადაიხედა. ირგვლივ — არავინაა. ხელახლა დაჯდა არნოუს გვერდით. მზემ ხეების ზემოთ აიწია. თვალისმომჭრელი სხივები მიწვედა არნოუსაც. მან დაახამხამა წამწამები. მოეჩვენა — თითქოს ვიღაც დადიოდა ოთახში და გამოიღვიძა.

— ნუთუ მოგწონს ასე გვიანობამდე ძილი. — გადაიკისკისა ანტიცამ, — მაღლე შუაღლე მოადგება შენს ჭიშკარს, არნოუ.

— აქ საიდან გაჩნდი? — გაუყვირა და არნოუს და ფართოდ გააღო თვალები.

— მე რომ არა, უკვე დამხრჩვალი იქნებოდი. ისე ზროტინებდი, თითქოს სული ამოვდიოდა.

— რატომ მოხვედი?

— განა დაგაეწუდა, თვითონ არ დამპატიე.

— ვინა, მე დაგპატიე, როდის?

— არ გახსოვს ქორწილზე რომ ჩამიჩურჩულე? — უსირცხვილოდ იცრუა

ანტიცამ და გამომწვევად გადახედა არნოუს.

ნუთუ მე რაიმე ვუთხარბობი? ფიქრა არნოუმ, — თუცა ლენოს ყველაფერი შეუძლია. მას შეუძლია გათქმევისნოს ის, რასაც ხმამალა არასდროს არ იტყვოდი.

— შენ მითხარი, რომ ჩვენ მართო შევხედებითო და მეც მოვედი შენთან. რამ შეგაშინა? კიდეც სად შეგიძლია შეხვედრა? არ მიყვარს, როცა მამაკაცი უარყოფს თავის სიტყვებს. მამაკაცი, რომელსაც ჩრდილისაც კი ეშინია, რალა მამაკაცია. სჯობია ნუ ატარებს შარვალს.

— არ გეშინია, რომ აქ დედაჩემმა შემოგისწროს?

— დედაშენი პლანტაციისი წავიდა.

— ულამაზოდ იქცევი. — უთხრა არნოუმ და თან ცდილობდა, გახსენებოდა — მართლა მიიპატიეა თუ არა ანტიცა სახლში.

ანტიცა გააბრაზა არნოუს ყოყმანმა და ფიქრმა:

— ტყუილად არ დამიძინია. ვოცნებობდი, რომ შენ ალერსით შემხედებოდი. — მხოლოდ ისეთ სულელს, გულუბრყვილოს როგორიც მე ვარ, შეეძლო დაეჭვებინა შენთვის.

თითქოსდა მართლა გაბრაზდა ანტიცა და კარებისაკენ გაემართა:

არნოუმ დახუჭა თვალები, თითქოს ხელახლა უნდოდა დაძინება, მერმე გაიჩნია თავი და გაიწოდა ხელები ანტიცასაკენ.

• • •

შებინდებისას ბრუნდებოდა ციცა სახლში. ეზოებიდან ისმოდა მხიარული ხმები და სიმღერები. ჭიშკრებთან ბლაონდენ ძროხები, ეძახდნენ ხბოებს. ციცას არაფერი არ ესმოდა. შეუხვია ბილიკზე, რომელიც მისი სახლისაკენ მიემართებოდა. ვიღაც მოდიოდა; ციცა აღელდა. მომავალი ახლოვდებოდა. ციცა შეჩერდა. მას ეჩვენებოდა, რომ ფეხის გადადგმა არ შეეძლო. წინათგრძნობამ არ უღალატა, მოდიოდა არნოუ.

გავიდა ის დრო, როცა განმარტობულ ბილიკზე არნოუსთან შეხვედრა სასურველი იყო ციციასთვის. ახლა მხოლოდ შეაშინა ამ შეხვედრამ ქალიშვილი. არნოუ დააკვირდა — ბილიკზე თითქოსდა ციცაა. არნოუს არ შეუენულეზი ნაბიჯი. ციციამ გზა დაუთმო მას.

— საღამო მშვიდობისა, ციცა — თქვა არნოუმ ციციასთვის უცნობი, ყრუ ხმით.

— სიკეთე გენახოს, — უპასუხა სუნთქვამეორეულმა ციციამ.

— სად მიდიხარ?

— სახლში, სად უნდა წავიდე კიდევ? არნოუ ხმას არ იღებდა. თითქოსდა სიტყვები ვერ მოეძებნა, რომ დალაპარაკებოდა ერთ დროს ახლო მეგობარს. ჩაუარა გვერდით.

ეტკინა გული ციციას. შიშველ სუნთქვად და მოულოდნელად დაუძახა:

— არნოუ!

არნოუ არც შეჩერებულა.

— არნოუ, — ხმაშალა დაუძახა ციციამ. — ერთი წუთით შეჩერდი.

— რა გინდა? — ყინულივით ცივი, უხეში ტონით შეეკითხა არნოუ.

ქალიშვილს ფეხები არ ემორჩილებოდნენ. მას აღარც ახსოვდა, როგორ მივიდა არნოუსთან.

„ახლა ყველაფერს იტყვის — წინანდელზე და ახლანდელ გრძნობებზე. შეეცდება მოალობოს ჩემი გული“ — გაიფიქრა არნოუმ.

ციციამ გაიგო მისი ფიქრები. მას დაეხმარა არნოუს გამომწვევი, ამაყი ტონი.

— ნუ გეშინია. მე არ მიფიქრია საცოდავი სიტყვების წარმოთქმა. მე არ დაგიწყებ მტკიცებას, რომ არ შემიძლია ქარს გავაატანო ჩემი გრძნობები, ისევე, როგორც შენ. დაე, შენი სიტყვები და ფიცი შენს სინდისზე იყოს. მხოლოდ ერთი რამე მინდა შეგეკითხო: რა მოგივიდა, არნოუ? შენზე გულმოსულია ასტანა. შენ შეურაცხავი იასონი. გულით გეუბნები, ნუ ჰრი იმ ფესვებს, რომლებიც შენს სახელსა და დიდებას ასაზრდოებენ.

— სისულელეა! რაზე ლაპარაკობ?

მე ვმუშაობ დღე და ღამე დაუხვეწებლად. ვანა ეს ასე არ არის?

— ყველა მუშაობს, როგორც შეუძლია. არ დაგავიწყდეს, ერთი კაცი ვერ დაიპყრობს ციხე-სიმაგრეს. მანქანის ფანჯრებიდან ვერ გაიგებ შენ, რით ცხოვრობს ხალხი, რაზე ფიქრობენ ადამიანები. ჩემმა სიტყვებმა, როგორც ვხედავ, შეურაცხყოფა მოგაყენა, გულგატყინა. მაგრამ ისინი, ვინც მუდამ გაქებენ, არასოდეს არ გეტყვიან სიმატლეს. შენ არც კი გესმის, როგორ ჰორიზონტის ისინი შენზე ჩუმად. შენ ამას ახლა ვერ გაიგებ, მაგრამ ოდესმე...

არნოუს ვერ წარმოედგინა, თუ მორიდებულ ციციას შეეძლო მისთვის ასე ესაყვედურა? მას არ სჯეროდა, რომ იგი გულით ლაპარაკობდა ამ სიტყვებს.

არა! უფრო სწორად, ამ სიტყვებით იგი ფარავს თავის წყენას, და შეიძლება შურისძიებასაც. ალბათ, მასაც მისმა დიდებამ დაასხა თავბრუ. ძალიან სამწუხაროა, რომ ციციაც, როგორც ტალღა, აიტაცა შურმა.

რაშია ის დამნაშავე? ნუთუ იმაში, რომ ჰაბუკობისას ეჩურჩულებოდა საალერსო სიტყვებს, წერდა წერილებს. მაგრამ ხომ არ პირდებოდა მას, რომ აუცილებლად ითხოვდა? ნუთუ ვერ გაიგო მან, რომ დიდი ხანია, ძველი დრო წავიდა, არნოუმ მიმოიხედა, დაინახა ცხოვრება და მას სხვა შეხედულებები გაუჩნდა? ნუთუ ის ვალდებულია გახედოს ოდესღაც სულელურად წამოსროლილი სიტყვების მონა? და რატომ მაინცდამაინც მან — არნოუმ უნდა შეერთოს კოლმეურნე ქალიშვილი? მით უმეტეს, თავისი სოფელი.

— ციცა, მე მივეუხედი შენს წუხილს. ნუ ატყუებ შენს გულს. მე და შენ ორივე თავისუფალი ვართ. ვისაც როგორ სურს, ისე მოიქცევა. კეთილ გზას გისურვებ, ციცა, — არნოუ შემოტრიალდა და მალე ჩაინთქა საღამოს ბინდში.

ქვიან ბილიკზე გაისმოდა მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა.

სახლში ციციამ ხელობრი დაიბანა, კაბა გამოიცვალა და ჩავიდა სამზარეულოში.

— ნან, ციცა... მოგშივდა, არა? — აფუსფუსდა დედა და მაგიდაზე დააწყო საქმელი.

ციცა ვერც კი გრძნობდა შიმშილს. ყლაპავდა ლუკმებს, რომ არ აეღლევი ბინა დედა.

ციცა ავიდა სასტუმრო ოთახში. სინათლე ჩართო. აიღო წიგნი. კითხვა დაიწყო. ვერაფერი ვერ გაიგო, თავი გაუბრუნდა. წიგნი გადასდო და ახლა სურათებს დაუწყო თვალღებება კედელზე. მერმე ისევ სხვა ფიქრმა დაძაღა. იქნებ ვისმე ენდოს და თავისი მტანჭველი ფიქრები გაუზიაროს?! არა, მას ასეთი შეგობარი არა ყავს. მისი გული ყველასთვის გადაარაზულია. გადაკეტილია, დასურულია.

ციცამ უცებ მიიღო გადაწყვეტილება. — არა! არა! არ შეიძლება არნოუს დაკარგვა. ზურგს შეაქცევ და ვერასოდეს ვეღარ დაიბრუნებ — ვინ იცის, იქნებ ვიღაცის ჭორები აშინებს მას, თორემ იგივე დარჩება, რაც წინათ იყო. არა! ბედნიერებისათვის უნდა იბრძოლო. — მას გაეგონა, წაეკითხა იმ ადამიანებზე, რომლებსაც ვერ ჯაბნის ცხოვრების გასაქირი, ცილისწამება და მტრის ზრიკები.

ციცა გამოვიდა აივანზე. გრილი ნიავი, მშობლიური შავი ზღვის ნაპირის ვარსკვლავები ამშვენებდნენ შეშფოთებულ, სევდიან ციციას.

ხეებს შორის ციციანათელა მიქროდა. ციცამ უნებლიეთ გააყოლა თვალი. რაღაც შემაშფოთებელი იყო მის დაუცხრომელ სწრაფვაში. ციციანათელამ მოიტოვა უკან სახლები და დაიშალა გორაკს იქით.

ციციას ციციანათელამ მოაგონა ერთი ამბავი, რომელმაც პირველად აგრძნობინა მწუხარება.

ერთხელ, გუდოუს კულტურის სახლში შეკრიბეს სოფლის მეურნეობის მოწინავენი. ციცა ბრწყინავდა... არ უსმენდა სიტყვებს და ცდილობდა დაეჭირა არნოუს მხერა. უნდოდა კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყო, რომ არნოუ გამოცოცხლდებოდა ხოლმე ციციას და

ნახვავზე. ბოლოს მან დაიჭირა მისი გამოხედვა. და ციციასთვის მთელს დღეს ლად იგი უხეშად შებრუნდა. სიცივე შეიჭრა ციციას სულში. არნოუ განაგრძობდა გვერდზე ყურებას.

— შეიძლება მან ვერ შემამჩნიო... შეიძლება მე მომეჩვენა, განა არნოუ ციციას ვერ დაინახავს? — იგი ცდილობდა საკუთარი ეჭვების გაქარწყლებას.

არა, მან დაინახა ციცა. ეკვი არ არის. მან შეამჩნია, როგორ მოიქცეოდა მისი სახე. როგორ იხედება იგი სხვაგან. არნოუ კი მართლაც თავის თავს სხვანაირად იწყნარებდა.

— ბრმა ვიყავი მაშინ? — ნანობდა იგი, — როგორ შემეძლო დამერწმუნებინა ჩემი თავი, რომ შემიფარდა ციცა?! შესახედავად უღამაზოა; უბრალო, სოფლელი გოგონაა, თავი გამოტენილი აქვს გულუბრყვილო ოცნებებით. ბევრი რამეა ცხოვრებაში სასაცილო. ის, რაც გუშინ გაფრთოვანებდა, გაღელვებდა, ხვალ შეიძლება გამოჩნდეს უბრალო, იაფფასიან სამკაულად.

მხოლოდ საღამოთი, კრების შემდეგ ციცა სხვა არსაუღელ ქალიშვილებთან ერთად გაემართა საბარგო მანქანისაკენ, რომელიც მათ ელოდებოდა. არნოუმ, რომელიც მიდიოდა რაიონის ხელმძღვანელების გვერდით, ვერ შეამჩნია ციცა. იქვე ჩაჭდა მსუბუქ მანქანაში და არც არავინ მიუპატიებია, წამსვე გაქრა. უკან მას მიყვა არსაუღელეებით და ტვირთული საბარგო მანქანა. მოსახვევში არნოუს მანქანის უკანა სანთურებმა წითლად გაანათეს, ისევე როგორც სიბნელეში ციციანათელამ.

— დიახ! იმ საღამოს იგი ჩემთვის ციციანათელასავით გაქრა, — წარმოთქვა ციცამ.

ციცამ ვერ დაამშვიდა აწეწილი ფიქრები, ხელები შემოიხვია თავზე და ოთახში ნელა შევიდა.

\*\*\*

კაკლის ხის ტოტების ჩრდილი და ზღვის ნიავი შუბლს უგრელებდა დამსვენებლებს. არნოუს ბიძა, მოხუცი აბდა ხავბა ნელა წამოდგა, კაკლის ძირი-

დან. ხის მსხვილი, დაკვართული ფესვები ისე იყო ამოზიდული, თითქოს ბუნებას თვითონ გაემზადებინოს მოხუცთა ჩამოსაჯდომი ტახტი.

აბდამ ცალი ფეხი მიწიდან ამოწეულ ფესვს დაადგა და კრებულს მიმართა. — აბა, მეზობლებო, ახალ ამბავს ვინ მოგვასმენინებს. ადამიანმა რაც არ უნდა იხუმროს ახალი ამბების გაგება მაინც ყველაზე სასიამოვნოა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა.

— ლად, ისევ შენ უნდა გვითხრა რამე, — განაგრძო აბდამ. — შენოდენი არავის უნახავს, შენოდენი არავინ იცის.

ლადი ჩუმად იჯდა. იგი ოდნავ შეკრთა, მოიღუშა. მისი ცალი საღი თვალი ამ სიტყვებმა თითქოს უფრო ააბრიალა და აბღასკენ შემოაბრუნა. ლადი ორივე ხელით ჩაეჭიდა თავის ცალ ხის ფეხს და უფრო საიმედოდ დაებჯინა მას. საღი ფეხის მუხლის თავი მკერდს ოდნავ მიაყრდნო და სათქმელად მოემზადა. ისევ მოაელო ცალი თვალი ყველას და რატომღაც ისევ გაჩუმდა.

— ლადი, ბატონო, მოგვიყევი შენი თავგადასავალი. გვითხარი შენი ცხოვრების განვლილი დღეების, გმირი მეომრების და მეთაურების ამბები. ახალგაზრდებს ქუთას ასწავლის, მოხუცებს წარსულ დღეებს გაგვახსენებს, — არ ცხრებოდა ისევ აბდა ხაგბა.

— ჩვენც ძალიან გთხოვთ, — დაემოწმნენ სხვებიც აბდას.

ისევ აუბრიალდა საღი თვალი ლადის, ისევ მოაელო იგი ყველას და თითქოს თავისთვის ჩურჩულით სთქვა: — საოცარია, ასეთ დროს ყველაფერი გავიწყდება, ჩვეულებრივად კი ფუტკრებივით დაგესვეა წარსულზე ფიქრი და შენ რომ სადამო გგონია, უკვე ცისკარი შემოანათებს ეზოში.

— რაც გაგახსენდეს ის გვითხარი. — მოეფერა ისევ აბდა,

— ომის დროს ერთი მეგობარი მყავდა, — დაიწყო ლადიმ, — აი, მისი კაცობის შესახებ გიამბობთ ცოტა რამეს. ომი დაიწყო. მამინ ჩვენ კიდევ ზურგში ვიყავით.

მოუთმენლად ველოდით მტერთან შეხმას...

ლადი ჩვეულებრივად დაიწყო მთელი ფერებით ხატავდა მისი ცხოვრების სურათებს. მისი ნაამბობი ძილს აფრთხობდა, სევდას სიხარულით ცვლიდა, დაღლილ კაცს ძალსა და ღონეს უმატებდა.

ომიდან ლადი ცოცხალმკვდარი დაბრუნდა. აბა რა ცოცხალი ეთქმის კაცს, რომელსაც აღარც ცალი ფეხი ჩამოყვა და აღარც ცალი თვალი. ეს ოდესღაც ულამაზესი ვაჟაკი, ახლა უნებლიედ ყველას ეცოდებოდა. თუმცა შინაგანად იგი გაუტეხელ ვაჟაკადვე დარჩა. მისი ხმა ზარივით რეკდა, — ოხვრა არ იცოდა, უბედობას არ უჩიოდა, ქვეყნის სამღურავი სიტყვა არ წამოცდებოდა. ისე მზიარულად ყვებოდა თავის წარსულს, თითქოს უბედნიერესი ადამიანი ყოფილიყო. იმ დღეს კი, დაიწყო თუ არა სათქმელი, ყველანი მიხვდნენ, რომ დღეს ლადი სულ სხვანაირ ამბავს ყვებოდა, რომ ეს სათქმელი ღიმილს ვერავის მოპვერიდა.

— დიად, — განაგრძო მან — ჯერ კიდევ ფრონტის წინა საზღვრამდე შორი მანძილი გვედო. ჩვენი ცხოვრება ჩვეულებრივი მშვიდობიანი ქარისკაცის ცხოვრებით მიმდინარეობდა, — თქვენც მოგეხსენებათ, თუ როგორია ეს ცხოვრება, — ჩაუბრუნა ლადიმ. ამ სიტყვებმა ყველანი გააოცა. ჯარში არცერთი არ ყოფილა, თითქმის ყველა ახალგაზრდა იყო. აბდამ შეამჩნია ქაბულებს ეს და თვალით ანიშნა, არაფერი ეთქვათ მისთვის, ხელი არ შეეშალათ.

— მეომრისათვის უკეთესი ადგილი ფრონტის წინა საზღვარია. იქ უფრო წყურვილმოკლულია მებრძოლი კაცი. ზურგში თუ ხარ, ნერვები გეწეწება, ხვალინდელ დღეზე ფიქრი გაწვალებს, გაურკვეველობის მოლოდინი გტანჯავს. ფრონტზე კი მხოლოდ ერთი ფიქრით ხარ შეპყრობილი: მტერი დათრგუნო, დაიმორჩილო, გაიმარჯვო. იქ ყველაფერი ნათელია, აშკარაა. ზურგში კი ყველაფერს ბინდის ფერი აკრავს. არ იცი, როდის დაგიძახებენ, რას გეტყვიან, ავს



თუ კარგს გაიგონებ. ოჯახის დარდიც გაწუხებს და ზეაღინდელი მშფოთვარე დღეც. პოდა, ასეთ მღელვარე ცხოვრების დროს მეგობრობა მეტად ძვირფასი რამ არის. მეომარი კაცი მეტად უფროთხილდება მეგობრობას და ძმაცაცისათვის თავს დასდებს. ჩვენს ნაწილშიც იყო ერთი ქაბუჯი. მის სახელს ვერ გეტყვით.

— ნუთუ ჩვენი სოფელი იყო, არსაფელი? — გაიოცა ვილაყამ.

— მოითმინე, ყმაწვილო! რად გინდა, ვინ იყო ქაბუჯი, თუნდ ჩვენი სოფელი იყოს. მოამბეს ხელს ნუ უშლი. — ეს აბლამ შეუტია სულწასულს.

— პირველ დღეებში ქაბუჯი ყველას თვალში მოსდიოდა, მოსწონდათ. ცეცხლიანი, ნაკვერცხლიანი ბიჭი იყო. მეთაურები პატივს ცემდნენ გაბედულების გამო. ჯარისკაცებიც პატივით ეპყრობოდნენ. მალე ქაბუჯი ზემდეგად დანიშნეს. დატრიალდა ბიჭი. მეთაურებს სულში ჩაუძვრა...

ლადი აქ შეჩერდა, თითქოს ფეხშიშველს წვეტიანი ქვისათვის წაეკრას ფეხი. საღ ცალთვალში თითქოს ბინდმა გადაჰყრა, თითქოს შუბლზე დრუბელმა გადაუარა. მან ერთი ამოისუნთქა და განაგრძო:

— დიად, მეთაურებს დაუახლოვდა, ყოველ მათ გამოხედვას გრძნობდა და მათ სურვილს უსრულებდა, სამაგიეროდ, ჯარისკაცებს ზურგი შეაქცია, შორს გადაგა ჩვენგან. იგი ცდილობდა ჯარისკაცებთან საქმე არ ჰქონდა, უფროსებისკენ მიუბრუნდა გული და სული. ერთი სიტყვით, ჯაგრიანი ბიჭი აღმოჩნდა, ეკლანი. ეს ჯაგარი თუ ეკალბარდი თითქოსდა, არავის ჩხვლუტდა, უშუალოდ, პირდაპირ, არავის უშაგებდა, არავისთვის ვნება არ მოქონდა. ეს ეკლები თითქოს მის სხეულში იყო ჩაბუღრული. ტკივილს მხოლოდ და მხოლოდ მისი ყოფაქცევა იწვევდა. ამხანაგებიც გულგრილი გახდნენ მის მიმართ. გაცივდნენ. ძველებურად აღარ ხედებოდნენ, აღარ უღიმოდნენ, ველარ ეფერებოდნენ. ის კი არა, ხუმრობითაც ვე-

ლარ ეხუმრებოდნენ. ისე დაამუწვა ბიჭები მისმა არაკეთილსინდისიერებამ, რაღაცა ის გაიფიქრა, ლაპარაკსაც არ შეწყვეტდნენ. მხოლოდ თვალუბის ბრალით გაადევნებდნენ მზერას. აღამიანის ბუნების ავი და კარგი მის ყოფაქცევაში გამოყოფნავს ხოლმე...

— მართალი ხარ, დად, მართალი, ისევე ვერ მოითმინა აბლამ.

— ... და აი ფრონტის წინა ხაზზე გავიყვანეს. — განაგრძო ლადიმ, — გეგონებოდათ ცა და მიწა სისხლსა და ხორცის ნაფლეთებს აფურთხებდა. ცეცხლი ედებოდა ყველაფერს, აფეთქებებისაგან მიწის ფუქე და კიდევანი ირყეოდა. პირველად ყველანი გავირინდეთ. შევკრით. შევმინდით, მერმე კი როგორც აღამიანებს ჩვევია, დავეუბნით, დაემშვიდით, ომის ეშში შევედით, ყველაფერი ჩვეულებრივად მოგვეჩვენა. ჩვენმა ქაბუჯმა — ზემდეგმა კი სხვა გზა აირჩია. ბრძოლის დაწყებისას საღდაც მიიმაღებოდა, გაუჩინარდებოდა, აღამიანთა თვალთაგან მიუწვდომელი ხდებოდა. როცა გამარჯვებას შეიტყობდა, გაიგებდა რომ მტერმა ზურგი ვაქცია, უჩინარ ადგილიდან გამოტყუარებოდა, მებრძოლი ვაქცაის იერს მიიღებდა და პირველი დასჰქვდა გამარჯვების ჰიმნს.

ერთ დღეს, არც თუ ისე ცხარე ბრძოლის დროს ჩვენმა ზემდეგმა ყვირილი მორთო — მიშველეთ, მოკლეს, კაცი გამათავესო. ერთი ჩვენი ამხანაგი იმ წუთშივე მისკენ გაიქცა. ზემდეგის პერანგი სისხლით იყო შეღებილი.

— წამოდგომა არ შემიძლია, ტყვიამ გულმკერდი გამიხვრიტა, რაღა მშველება ახლა მე უბედურსო, — კენესოდა დაჰრილი. ჩვენი ამხანაგი მიწაზე წაწვა და ხოხვით დააპირა მისი გამოყვანა საფათურაკო ხაზიდან.

— დამაცალე, სული მეხუთება. სისხლისგან მთლად დავიცალე, სულ ერთია, მაინც ვკვდები, — კენესოდა ზემდეგი და თავს არ ანებებდა. მისთვის თავდადებულ მეგობარს.

სწორედ ამ დროს ჩვენს მეგობარს

ტყვიამ შიგ გულში გაუარა. დაიღუპა ვაჟკაცი, კეთილშობილებისათვის დაიღუპა, ადამიანობისთვის გასწირა თავი. ზემდეგი არც კი განმრუელა...

— ისიც მოკვდა?! იკითხა ერთმა მათგანმა.

— არ მოკვდარა. ან რა მოკვდავდა, ეტყობა ასხლეტილ ტყვიას გაეკაწრა იგი. ძვალს არც კი შეხებოდა, მხოლოდ კანი იყო მკერდზე გაეკაწრული. ჰე, რა ჯანდაბამ გამახსენა ახლა ის ზემდეგი, ალბათ, გუნება შეგიცვალეთ და დაგალონეთ... — შეწუხდა თავისივე ნაამბობით ლადი, მის შუბლს თითქოს შავი ღრუბელი გადაეფარა, თითების მტკრევა დაიწყო... საღი თვალით სადღაც შორეულს მიაჩერდა. უნებლიეთ ყველამ იქით გაიხედა. ვიღაცა მათკენ მოდიოდა. იგი თითქოს სასეირნოდ გამოსულიყო, ისე მოაბიჯებდა! გამვლელებს ესალმებოდა, თავს უკრავდა.

— ნუთუ არნოუა?! — იკითხა ერთმა ჰაბუკმა.

— ღიად, დად, ის არის, — ჩაიფუჩუნა მოხუცმა — გამჭრიახმა აბდამ. არნოუ ახლოს მოვიდა და ნიგვზის ჩრდილს შეეფარა.

— დღე მშვიდობისა. — მიესალმა იქ მსხდომთ.

— მოხარული ვართ შენი ნახვის, კეთილი იყოს შენი მობრძანება, — უბასუხეს დამსვენებლებმა. თითქმის ყველანი წამოდგნენ.

— როგორ გეკადრებათ, დაბრძანდით, — შეკრთა არნოუ, როცა მოხუცებიც კი წამოიწიენ ასადგომად.

— აჰ, თქვენც აქ ბრძანდებით, ლადი, — უცებ შეამჩნია ამბის მთბრობელი არნოუმ. — ალბათ, ბევრი მხიარული ამბები უკვე მოუთხრე დამსვენებლებს, იმდენს რომ შრომობდეთ, რამდენსაც კორაობთ. უკეთესი იქნებოდა კოლმეურნეობისათვის, უფრო მდიდარი ვიქნებოდით, უფრო მდიდარი, — ეს ისე თქვა არნოუმ, არც კი შეჩერებულა, თითქო აუცი სიტყვა არ ეთქვას, არავისთვის არ ეტბინოს ცუდი სიტყვით.

— ამბობენ კბილი-კბილის წილ და

თვალი თვალის წილ, მე რომ არც ცუდად შემიხედია შენთვის და არც არასდროს შენი ლეკვითა და მხობრობით მიკებნია. მაშ რისთვის მემდურნი, რა დაგიშავე, რატომ გადამეკიდე. — ალუღლუღდა თავისთვის ლადი და მიმავალ არნოუს გაადევნა თავისი ცალი თვალი. იგი გაჯავრებული, შეურაცხყოფილი წამოდგა, ილიისქვეშ ჯოხები ამოიჩარა და კაკლის ჩრდილს გამოორდა.

არნოუს შეურაცხყოფელმა ყოფიქვეამ ყველაზე უფრო აბდას შეუცვალა გუნება. მაინც თავი შეიკავა, მოითმინა. ენას კბილი დაჰკირა.

— ჰე. — ფიქრობდა იგი. — განა შეიძლება ასე დაუმსახურებლად შეურაცხყოფა მიიყენო და ამის გამო ჩხუბი ასტეხოს კაცმა.

არნოუ ახლა იქით წავიდა, სადაც ჩაის მკრეფელები შეგჯუფებულებიყვნენ.

— კარგი პირი უჩანს მოსავალს? — თითქოს უნებურად, დაჩვეული კეკლუცი კილოთი შეეკითხა ის დამხდურებს.

— ფოთოლი კარგი აქვს, კრეფა თუ დათქმულ დროზე მოვასწარი — ჩვენს ბედს ძალდი არ დაჰყვეს.

— დათქმული ვადის დარღვევის ნებას ვინ მოგცემთ? — მკაცრად იკითხა არნოუმ.

არნოუს დედა, რომელიც იქვე იყო. შვალის ამ უბნში სიტყვამ ააფორიაქა. იმან კარვად იცოდა, რომ არნოუს სიტყვას და კილოს ხალხის გულისწყრომა გამოეწვია. კოლმეურნეობა „პერაზა“-ს წევრები ხებრე სიამაყეს არ აპატიებდნენ. ისიც იცოდა არნოუს დედამ, გულისწყრომის დროს ხალხი თითონაც შეიძლება სამაგიერო მიუზღოს თავის შვილს.

— არნოუ, შვილო, ხომ იცი ჩაის ფოთოლი ასეთ ამინდში რა სისწრაფით იზრდება. მუშაბელი ბევრი სჭირდება, ყველას უნდა დაუძახოთ, ყველა უნდა მოვიშველიოთ. ვისაც შრომის უნარი და სინდისი აქვს, ყველა სამუშაოზე გამოვიყვანოთ. ანტიცაც კი უნდა ვაიძულოთ.

იგი ხომ სულ კლუბის კარებზეა სახე-  
მოღ გამოწყობილი. — ეს ხმამალა, მა-  
გრამ დედობრივი სინაზით სთქვა არნო-  
უს დედამ.

ანტიკას სახელი რომ გაიგონა არნო-  
უმ, გული აეშვრა, გაწითლდა, აიტყი-  
ცა. უხერხულობა იგრძნო და შებრუნდა.

— დედაშენი მართალს ამბობს, — მო-  
კრძალებით თქვა კუბტამ და არნოუს  
თვალეებში შეხედა.

— ახლა ისეთი დრო არის, ყველამ  
უნდა იმუშაოს, ყველა უნდა მოგვეხმა-  
როს, — ახმაურდა ხალხი.

არნოუს არავისათვის არ შეუხედია,  
ისე ჩაიბუბუნა:

— სისულელეა, დავფიქრდები, გადა-  
ვწყვეტ, ახლა კი, კუბტა, შენი პლანტა-  
ცია მაჩვენე, ერთი დავხედოთ, როგორი  
მერცხლები ფრინავენ შიგ.

კუბტა ოდნავ აფორიაქდა, მიხვდა  
ბრიგადირი, მისი ნათქვამი არ ეკაშნიკა  
თაემჭდომარეს. იგი მორჩილად გაკყვა  
არნოუს. მარტო ციცამ არ შეხედა არ-  
ნოუს. არც არნოუს შეუმჩნევია ქალი-  
შვილი.

ციცა თავჩაღუნული და ჩაფიქრებუ-  
ლი იჯდა. მისი თვალეები ისეთი სევდით  
იყო სავსე, რომელიც გაუჩნდება ხოლმე  
აღამიანს დიდი ფიქრის შედეგად.

არნოუმ აჩქარებით დაათვალიერა  
პლანტაციები. ერთი შენიშვნაც კი არ  
მიუცია ბრიგადირისთვის, ისე მოიარა  
ყველაფერი. თითქოს არც აინტერესებ-  
და ახლა კუბტას ბრიგადის ნაკვეთები.  
კუბტა კი კაპიტანივით დაყვებოდა თავ-  
მჯდომარეს. თითქოს იგი უცხო ქვეყნი-  
დან ჩამოსულ ცნობილ სტუმარს უჩვენებდა  
ზღაპრულ, გმირულ ამბებით ომ-  
გადახდილ გემს. კუბტა უძებდა წლევან-  
დელ მოსავალს, ფოთოლთა ზრდასა და  
ხარისხს. უხსნიდა ბევრ საჭირო რამეს.  
თავმჯდომარე უხმოდ, უსიტყვოდ და-  
ყვებოდა. ბოლოს, არც კი გამოთხოვე-  
ბია, ისე ჩაქდა მანქანაში და წავიდა.

გულღვიძლი ქონდა აფორიაქებული  
არნოუს. კაბინეტში დიდხანს იჯდა ჩაფი-  
ქრებული. თავზე ხელებშემოწყობილი  
ისე უაზროდ ვაკეწროდა ყველაფერს,

აღამიანს ეგონებოდა, ძილის წამალი მი-  
უღია და, ძალღონე გამოკლდნენ ღლი  
შეუძლია მოიფიქროს, ახლა უკვე მისი  
კოტა ხნის შემდეგ ბეჭეები შეარხნია,  
მერმე წამოდგა, ოთახში გაიარ-გამო-  
იარა. თვალეები განზრახ, ფიქრთა გან-  
სანდევნად რამდენჯერმე გააღო და და-  
ხტუა. მერმე თითი ზარს დააკირა და  
დაარეკა.

კაბინეტში ჩვეულებრივად ელვასა-  
ვით შემოვიდა ტანწერწერტა ადგუა.

— ვინმემ თუ მიკითბა?! — ასწია თა-  
ვი მალა არნოუმ.

— კოლმეურნეები იყვნენ. თქვენი  
ნახვა უნდოდათ. მე უარით გავისტუმ-  
რე. ვუთხარი დატვირთულია, თქვენ-  
თვის არ სცალია-მეთქი.

— სისულელეა. — უაზროდ ჩაიბურ-  
ღლუნა არნოუმ. ეს სიტყვა ამ ბოლო  
დროს უფრო და უფრო აწვებოდა ენა-  
ზე სათქმელად. ეს სიტყვა მაშინ უფრო  
მოადგებოდა, როცა რაიმე აღელვებდა  
ან პასუხის გაცემა არ უნდოდა დასმულ  
კითხვაზე.

— კიდევ, თქვენთან მოვიდნენ... —  
ისევ კეკლუცად და მრავალმნიშვნე-  
ლოვნად წამოიწყა ადგუამ.

— ვინ იყო? — ცივად იკითბა თავ-  
მჯდომარემ.

— ჩენი ბულალტრები იყვნენ. ბევრი  
ქალაღები დაუგროვდათ ხელმოსაწე-  
რად. — ახლა უფრო ხმამალა შეხედა  
გოგონამ.

— ბულალტრები... ბულალტრები...  
მათ ქალაღების დაგროვების მეტი არ-  
აფერი იციან. დაუძახე, შემოვიდნენ.

ადგუამ, შეასრულა თუ არა თავ-  
მჯდომარის ბრძანება, სკაშზე ისე მო-  
სხლტით დაეშვა, როგორც მხეცები  
ქარიშხლის მოლოდინში ფულდუროში  
შეძვრებიან ხოლმე. მის წინ ახალი გაზე-  
თი იღო. მაგრამ ახლა წაიკითხვის თავიც  
არ ქონდა. იგი თავმჯდომარის ზარის  
მოლოდინში დაძაბულიყო და ავტომა-  
ტურად გასკეწროდა კარებს. აღელვე-  
ბულმა გოგონამ უნებლიეთ ამოიღო მი-  
გილის უჯრიდან პატარა სარკე, ჩვეულე-  
ბისამებრ თითები ენის წვერით დახსე-

ლა და წარბეზზე გადაისვა. ამანაც ვერ დააწყენარა ქალიშვილი.

ლერწამივით წერწეტა ადგუა ულამაზესი ტანის პატრონი იყო მთელს არსა-ულაში. მას მეტად უხდებოდა წითელ დიღებინი ფერადი კაბა. თავზე პეპელას ფრთის სიმსუბუქის თავსახური შემოხვებია. უბრალო სულის შებერვაც კი ქვეყნის ბოლომდე გააფრენდა მის ლამაზად აჭრელებულ თავსაბურავს.

თომა-ბულატერმა, რომელიც დიდინის ჯდომით საკმაოდ გასუქებულიყო, ფრთხილად, მოკრძალებით შეადო კარი.

— შეიძლება, ამხანაგო თავმჯდომარე! ოდნავ გაღებულ კარებიდან ჯერ მხოლოდ მისი სათვალეები მოჩანდა, თვითონ თომა ჯერ კიდევ კარს იქით იდგა.

— შემოდი.

ბულატერი თავის ქალღმერთიანად შევიდა.

— დაჯექი, სასიხარულო რა უნდა მითხრა.

— არაფერია, ფეხზე შირჩევნია დგომა, — ეტყობოდა თომა გააზარა თავმჯდომარის მიწვევამ.

— როგორც გნებავს, — არ დააძალა არნოუმ. მან მხოლოდ თვალეები ქალღმერთს მიაშტერა და მათი სიუხვით გაოცებულმა თავი უქმყოფილოდ რამდენჯერმე გადააქნია.

— ამხანაგო თავმჯდომარე, მე განა თქვენი შეწუხება მსურს? ან განა მე არ ვიცი თქვენი მოუტლელობა? რასაკვირველია, ვიცი, კარგადაც ვიცი, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა. — ამ სიტყვებთან ერთად მან თითქოს ლოცვისთვის ემზადებოდა, თვალეები მაღლა ასწია და ცას მიაპყრო, — დიად, მოვალეობაა. — განაგრძო მან, — მე მიინდა თქვენ გაგაცნოთ ის მსალები და ციფრები, რომელთა შინაარსისა და მნიშვნელობის ცოდნა აუცილებელია.

— ესეც სისულელეა, გაჩუმდით ამხანაგო თომა, — უკვე მთლად გამოფხინებულმა არნოუმ გულმოსულად მიმართა ბულატერს.

— გისმენთ, ბატონო, — ჩაიღვენთა

უცებ თომა ჩუაზი. არნოუმ სიტყვამ მასზე ისე იმოქმედა, დაცემული პერის-ცომივით ჩაიშალა. გადაშლილი მთლადები მანაც მაგიდაზე კანკალით დაუდო. არნოუმ ზმორებით გადახედა გაშლილ ფურცლებს. — ღმერთო ჩემო, ამას ვინ წაიკითხავს და გააჩვენებს?!

თომა ჩუაზი ვნებააშლილი მონადირესავით დაიხარა არნოუსკენ და წაჩურჩულა:

— ეს ციფრები წლებანდელია. შედარებით გასულ წელთან, ისინი ჩვენ წინსვლაზე და გამარჯვებაზე ლაღადებენ. თქვენ ამ ქალღმერთზე ჯერ კიდევ ხელი არ მოგიწერიათ.

არნოუ უსიტყვოდ ჩასცქეროდა ქალღმერთს. თომა ოდნავ წელში გაიმართა და სიამაყის გრძნობით განაგრძო:

— აი, ეს ციფრები ჩვენ ბვლინდელ მოგებაზე ლაღადებენ. ხომ ხედავთ, ცოტა როდია... იგი თანდათან დაეუფლა თავისთავს, საანგარიშოს თითებით დაუწყყო გაკრა-გამოკრა. აზარტში შევიდა. სათვალეებს ხან სულ მოიხსნიდა, ხან ისევ ცხვირის წვერზე დაიდებდა. ცალკე ციფრებს, რომლებსაც იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. საჩვენებელი თითის ფრჩხილით განარავდა. იმ ციფრებს კი, სადაც მისი აზრით კოლმეურნეობას რაიმე ხიფათი ელოდა, იგი ხმადაბლა უცებ გადაურბენდა, ჩქარა გაშორდებოდა. სადაც რაიმე სახვალიო იმედი იყო, იქ ამღერდებოდა, მერცხალივით აკიკიკლებოდა, ბულბულივით სტვენდა.

— კარგი, კმარა, შენ ეს მითხარი, რა უნდა გავაკეთოთ, ზარალი რომ არ ვნახოთ? — გაჯავრებით იკითხა არნოუმ.

— ამ ქალღმერთს მოაწერეთ ხელი. მასში დიდზე დიდი ძალა არის ჩამალული, ბატონო ჩემო.

არნოუმ ზეღმონწერილი ფურცელი პაერში გაისროლა. თომა ჩუაზმა იგი პაერშივე დაიჭირა, სწორედ ისე, როგორც ნაგაზი იჭერს ბატონის მიერ ნაწყალობეც ღომის ნაგებს. დაიჭირა და მეორე ფურცელი დაუდო წინ.

— ეს ის საბუთია, რომლითაც ჩვენ ღურგლებს უნდა მივცეთ სახბორე სადგომის მშენებლობის შრომის საფასური... ეს სასუქის ღირებულებაა, ეს კიდევ ქალაქიდან მოწვეულ მსახიობთა საკონცერტო თანხაა. ეს კი...

არნოუს მხოლოდ ორი სიტყვადა ესმოდა: ეს კი... ეს კი... და ისიც ხელს აწერდა, დაუხედავად, შეუშორებლად. ხელს აწერდა და გვერდზე ისროდა ქაღალდებს. თომაც იჭერდა ფურცლებს და უფრო გაბედული ხდებოდა.

— ბატონო ჩემო, განა მე ვარ დამნაშავე, რომ თქვენ ასე მოუცლელი ხართ ბევრი საქმე გაქვთ, ბევრი. ჩვენ ხომ ყოველთვის ვერ განახლობთ: ხან რაიკომში გეძახიან და ხან უმაღლეს საბჭოში. ამიტომ გრაოვდება ეს ქაღალდები. ხელს მოწერა კი აუცილებელია. რას იხამ, დად, ასეთია ჩვენი კანონი.

— სისულელეა, რამდენჯერ გითხარი ამდენი ქაღალდები არ მომიტანო-მეთქი. ქმარა, კმარა!..

მიუხედავად ამისა, არნოუ მაინც აწერდა ხელს, ბუღალტრის ახსნაგანმარტების მიხედვით.

აღგუა კი ამ დროს თავისთვის ღიღინებდა. ეს სიმღერა მან ბოლოს ნახული კინოფილმიდან ისწავლა. მის მაგიდაზე ფართო შუშის ქვემოდან ამ ფილმის მთავარი გმირის სურათიც იყურებოდა.

აღგუამ იცოდა, თომა-ბუღალტერი არც თუ ისე მალე გამოვიდოდა არნოუს კაბინეტიდან.

მისაღებ ოთახში სწორედ ამ დროს შემოვიდა არსაფლას კლუბის გამგეთით გაჩი ხიცბა.

— ჩემი სალაში ადგუას, — ხმამაღლა წამოიძახა მან.

— ჩუმაუ! — ადგუამ ტუჩზე ისე მიიღო ხელი, თითქოს თვითონაც თავმჯდომარე ყოფილიყოს.

— ბოდიში, ამხანაგო მდივანო! — გაიღიმა გაჩიმ.

— შენ ყოველთვის კარგ გუნებაზე ხარ, — კეკლუცად თქვა ადგუამ.

— ვინ არის არნოუსთან? — იკითხა ისევ გაჩიმ.

— ვინ იქნება, ბუღალტერი ჩუმაუი. იცი, რამდენი ხანია იქ ზის და საწყალ არნოუს ტენის უწყალებს...

— ოჰ, მაშინ ნუ გეშინია, ის მანამ არ გამოვა, სანამ სულ არ გაავიციებს ჩვენს თავმჯდომარეს.

გაჩიმ ადგუასკენ უფრო მოიწია, თავი დახარა და დაუწყო ჩურჩული:

— მზეთუნახავი ხარ ადგუა, მზეთუნახავი. ვინ არის ჩვენს ქვეყანაში შენსავით ნარნარი და ტანწორწეცა, ვის აქვს ისეთი მწველი თვალები, როგორც შენ, ჩემო ლამაზო, შენ ვერ უყურებ ჩემს ტანჯვას, რადგან საკუთარი მშვენიერებით ხარ გატაცებული. შენ, შენივე თავზე შეყვარებული, სხვის მდულარე დარღს ყურს არც კი უგდებ.

ეს ყველაფერი წუხელ ღამ მოფიქრებულ ლექსად უთხრა გაჩიმ. ადგუა სიხარულისგან გაღბვა და დადნა.

— ეს ახალი ლექსი შეთხზე, გაჩი?

— კი, ახალია, წუხელის არ დამიძინია, ისე დავწერე.

— ვის უძღვენი, გაჩი, ეს ლექსი?

— განა ვერ მიხვდი, გენაცვალე.

— კიდევ რას შეტყვი.

— გეტყვი, ადგუა, გეტყვი. ეს ლექსი მხოლოდ შენ გეკუთვნის ამ ქვეყნად...

გაჩიმ ამ სიტყვებთან ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მას ძალღონე არ ყოფნიდა ადგუას თვალებში მზერისა და შებრუნდა.

— მართლა მე მიძღვენი, გენაცვალე!

გაჩი შეაჩერა ადგუას მიერ მოფერებით ნათქვამმა თბილმა სიტყვამ. კლუბის გამგე მონამორჩილად შეჩერდა და კითხვა დაიწყო:

ხომ ხედავ როგორ იწვის ეს გული,

ადგუა უშენოდ დავდივარ დავული...

ადგუამ ეს კი ვეღარ მოითმინა.

— გაჩი, შენი ჭირიმე, მართალი მითხარი, მართლა ჩემთვის დასწერე ეს ლექსი, თუ ჩემი სახელი ისე, უბრალოდ მოიხსენიე.

— აქ საეჭვო რა არის, შე ქალო, იგი მხოლოდ შენ გეკუთვნის, მხოლოდ შენ.

— შენ ხომ დაბეჭდავ, გაჩი, გენაცვა-

ლე, მაგ ლექსს? პოეტის ნაწარმოებმა ხალხმა ხომ უნდა წაიკითხოს?

— იცი, რა ვითბრა, ჩემო ადგუა, — წაებოძაქვია ენა გაჩის, — მე მართლაც მინდოდა მისი გაგზავნა ჟურნალში, მაგრამ შევშინდი... ვიფიქრე, არ დაბეჭდვენ-თქო. ხომ იცი, სიყვარულზე ახლა არ ბეჭდავენ. ჩვენ კედლის გახეთში დაბეჭდავენ, მაგრამ სიყვარულს, ზომ გაგივონია, მალეა უნდაო.

— მართალია, მაგრამ მაინც დაბეჭდვა სჯობია, გაჩი, დაბეჭდვა სჯობია. ქვეყანა გაიგებს, რომ მე ლამაზი ვარ და პოეტმა ლექსი მიძღვნა.

გაჩის გულწრფელად გაეცინა, მაგრამ უცებ შეიკავა თავი.

— მე ეს ლექსი შენ მოგიძღვენი, შენ კი როგორც გნებავს, გინდ მიიღე, გინდ...

ადგუამ უცებ მონახა პოეტის დაბმის საშუალება.

— მარტო ეს არის, თუ კიდევ გაქვს გაგრძელება.

— მაქვს, გენაცვალე მაქვს. მერმე, რომ იცოდე, რამდენი დაწერე ბედდამწვარმა.

— მომეცი, გაჩი, ვნახავ, წავიკითხავ! უარს ხომ არ მეტყვი, გენაცვალე! — გაჩიმ რამდენიმე ფურცელზე დაწერილი ლექსი გადასცა ადგუს და სიამოვნებისაგან თითების მტკრევა დაიწყო. იგი აღზნებული თვლებით შესცქეროდა გოგონას, რომელიც თავიდან შეუდგაკითხვას. გაჩის სიხარულს არ ქონდა საზღვარი, როცა ადგუა შიგადაშიგ ხმამალა იმეორებდა სტროფებს.

— ეს ყველაზე უფრო მომწონს, — ღიმილით ამბობდა კეკელეი ქალიშვილი, — მიძღვნილ ლექსებს ავტორის ხელისმოწერაც უნდა ქონდეს. ხომ იცი, ასეა მიღებული.

ეს სურვილიც იმ წუთშივე შეუსრულდა გაჩიმ მის ღეთაებას. ადგუამ სიფრთხილით შეინახა იგი თავის ხელწიანთში, რომელიც მაგიდის უჯრაში ქონდა. იგი საოცარი თბილი და ნათელი თვლებით შეცქეროდა ლექსების შემთხვევს. ამ მხერამ სასიამოვნო სითბო ჩა-

უყენა გაჩის მთელ სხეულში. იგი აცერციტდა და დაიბნა. ადგუამ მწუხარებით მიხვდა მისი თვლების ნაყვანილი სხეულენას და, პოეტი რომ გამოეფხიზლებია, განზრახ სხვაზე ჩამოუდგო საუბარი.

— მალე გვაჩვენებ ახალ კინოსურათს?

— ჩვენ ხომ დღეგამოშვებით ჩამოგვაქვს კინოსურათები, ადგუა!

— სულ ძველი სურათები მოგაქვს, მოყიპებული გვაქვს ყელამდე.

— აბა თქვი, ადგუა, რომელი სურათი გაინტერესებს ყველაზე უფრო.

— ისეთი სურათი, რომელიც ახალიც იქნება და წარმტაციც.

გაჩის გული ჩაწყდა. ამ სურვილის შესრულება მას არ შეეძლო. ამიტომ იუშვავა და საუბარი სხვა გზით წაიყვანა:

— რა ეშმაკია ეს ბულალტერი ჩუაზი, გარეთ არ გამოდის, თავმჯდომარის კაბინეტში თუ კი ცხვირი შეჰყო, იქედან ფებს ვერ მოაცვლევიანებს კაცი.

— ეპ, არნოუს დიდი მოთმინების უნარი აქვს. ჩუაზს შეუძლია დილიდან შუალამემდე მოხსენება უკეთოს ჩვენს თავმჯდომარეს. — გაჩის სალაპარაკო გამოელია, მან მეტი ვერაფერი მოახერხა და გახეთს დაუწყო თვალღერება. ადგუამ კი ისევ დაიწყო გაჩის მიერ მიძღვნილი ლექსების გადაკითხვა. როგორც იქნა, კაბინეტიდან ოფლში გაწურული თომა ბულალტერი დაფეთებულივით გამოვიდა. გაჩი მოკრძალებით მიესალმა ყოვლისშემძლე ჩუაზს.

— ადგუა, თავმჯდომარეს მოახსენე, რომ მე მისი ნახვა მინდა. მოსალაპარაკებელი მაქვს.

— შედი, — ბრძანებით უთბრა ადგუამ გაჩის და ორივე კარები ერთად გაუღო.

არნოუ ბულალტერივით კი არ შეხვდა გაჩის.

— აბა, როგორ არის ჩვენი კულტურის საქმენი, კლუბის უფროსო?

— ცუდად არ არის, ამხანაგო თავმჯდომარე! ახალი პიესის რეპეტიციუ-



ბი მალე დასრულდება. ქაღარაკის წრე მშვენიერად მუშაობს, მოცეკვავეთა ჯგუფს დიდი მიღწევები აქვს. მაგრამ გულწრფელად უნდა გითხრა, დროს რომ გამოწახავდე და თითონ უხელმძღვანელებდე ჩვენ მხატვრულ კოლექტივებს, მაშინ უნდა გენახა, რას ვაჩვენებდით რაიონს.

გაჩივ ეს უთხრა არნოუ ნაურბას, მაგრამ თან გუნებაში შიშმა გაყრა, იქნებ ნამეტანი მომივიდა, გამიწყრეს, დაპოტრგუნოს, მომხსნას სამუშაოდანო. ამიტომ ოდნავ განზე გადავა და მოეშადა მისალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

— შენ მართალი ხარ, ჩემო გაჩი. — დაღლილი ხმით თქვა არნოუმ, — არ მცალია, მაგრამ რას იხავ, წინ ოლიმპიადა, ჩვენ თუ იქ სახელოვნად ვერ გამოვედით, ეს მთელი სოფლის, არსაულელების სიკვდილი იქნება. რაღაც უნდა ვიღონო, უნდა მოვიცალო. ოლიმპიადის მზადებას შე უნდა ჩავეუდგე სათავეში.

— აი, ეს კი მესმის ამხანაგო ნაურბა, ვაკეკატური სიტყვაა. თუ თქვენ ამ დიდ საქმეს ითავებთ, გამარჯვება ხელში გვიჭირავს.

— დღესვე შეკრიბე მომღერლები და მოცეკვავენი, მე თვითონ ჩავატარებ მეცადინეობას. აბა, გასწი ახლავე! — უბრძანა მან გაჩის.

გაჩი შებრუნდა, მაგრამ შენიშნა, არნოუმ რაღაც ჩაიწყრა ქაღალდზე და ჩაწერილს რამდენჯერმე ხაზი გაუსვა. კლუბის გამგე შეჩერდა. მან თვალი შეავლო თავმჯდომარეს. ის ასე მოულოდნელად თავისთვის რაღაცაზე ჩაფიქრებულიყო. ხან აენთებოდა თვალები, ხან უფრო სველით აეუხებოდა. გაჩი გააკვირვა ამ ცვლილებებმა. მას ხომ შესწავლილი ჰქონდა თავმჯდომარის სახის უბრალო შეცვლაჲ კი და ასეთი ჯერ არ ენახა.

— რაღაც ძალიან აწუხებს და აღელვებს ნაურბას. — გაიფიქრა გაჩიმ.

— ახალი ხომ არაფერია კიდევ?! გაჩი გუმანიით მიხვდა მისახვედრს. იგი უცებ დაღონდა, თითქოს გულზე ქვეყნის დარდი შემოაწევა. სკამზე უკითხა. „მნათობი“, № 10.

ხავდ მოწყვეტით დაეშვა და სევდიანი თვალები მიიპყრო გარემოს.

— არ ვიცი როგორ დავუწყობო, როცა მომაგონდება, თუ როგორი ამბები ხდება ამ ქვეყანაზე... პირდაპირ...

— რა ამბები ხდება, ბიჭო?! — არნოუმ მკაცრად და მოუთმენლად გადახედა გაჩის.

— ძნელი მოსათმენია, კაცმა რომ თქვას, მეც თავს რას ვიკლავ, სხვებივით გულთან არ უნდა მივიტანო ასეთი ამბები და არაფრად ჩავაგდო.

— რა არის ძნელი მოსათმენი? რას ბოდავ?! თუ იცი და ამბობ რასმე, თქვი. ნიშნებით ლაპარაკს თავი დაანებე.

— მე შეშინია, ძალიან შეშინია ამ ამბებმა სხვებზე ცუდად არ იმოქმედოს. იმ საფრთხობელამ, ლადიმ ისეთი სამასხარო ლექსები შეთხზა და გაუშვა ხალხში, რომ მტრისას, მტრისას... ხალხმა უკვე ზეპირად ისწავლა და მღერის კიდევ. ნუ თუ არავის არ აქვს ისეთი ძალღონე იმ გაფუჭებულს პირში რაიმე ჩაჩრას... გააჩუმოს.

არნოუ მკერდით დაემხო მაგიდას.

— შენ რა გაიგონე, ბიჭო!

— მე ლაღი კუაძბას ახალი სიმღერა მოვისმინე. ფეხუცა ლაღი თვითონ მღეროდა თავის ბალის ბოლოს. ჩვენთვის სასირცხვო ლექსია, ასეთი სიმღერისთვის მეორე თვალიც უნდა მოთხაროს კაცმა იმ ბრუციანს.

გაჩივ, თითქოს კერძდელი საბალახო მინდორს ათვალეერებდა, ისე სწრაფად გადაურბინა თვალებით არნოუს სახეზე. შეამოწმა, როგორ მოქმედებდა მისი სიტყვები. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უკვე ფერი დაჰკარგოდა და კანკალებდა.

— სიმღერა შენსა და ანტიცაზეა შეთხზული. თუმცა ჩვენც დაუსახელებლად ვართ გათათხული და ლაფგადასხმული.

— რას გადამეკიდა ეს კაცი, — გამწვარებით წამოიძახა არნოუმ. — ის მინამ თავს არ დამანებებს, სანამ თავისი გველური ენის გამო ჩემგან საკადრის პა-

სულს არ მიიღებს. მე მაგას ვუჩვენებ, თუ ბიჭი ვარ...—აღელვებული თავმჯდომარე თითქოს კედლებს აწყდებოდა ისე დარბოდა კაბინეტში.

— გაჩი, ახლა მომშორდი და შენ საქმეებს მიხედ. მარტო დაპტოვე. — ხმა მალეა უბრძანა გაჩის არნოტს.

ასეთ თავბედობას გაჩი არ მოელოდა. იგი სისიკვდილოდ შეურაცხყოფილი დარჩა. ერთი უყურეთ ამ დამთხვეულ თავმჯდომარეს, გაჩის კი არ მოეფერა, არ დასაჩუქრა, პირიქით, გარეთ გააგდო კედელს.

— რა მოხდა, სად გარბიხარ დამდულ რულივით, — შეეკითხა ადგუა, როცა გაჩის გამოლენილებულ სახეს შეხედა.

— დავალებას ვასრულებ, თავმჯდომარეს სასწრაფო საქმე აქვსო...

თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა მან და იქაურობას სწრაფად გასცილდა. ადგუამ გულისკანკალით მიაყურა და არნოტს კაბინეტს. შიგ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

რა მოხდა ნეტაეი!

მოსაცდელში აღმასხან მანია შემოვიდა. ქარმაგ კაცს ხელში მთავი საეღლეო რკინისწვეტიანი ხელჯოხი ეჭირა. მისი ასე უცაბელი შემოსვლით გაოცებული ადგუა მამას მიეგება.

— საიდან მოდიხარ, ბაბა, — მიეფერა მამას ქალიშვილი.

— სადაც ვიყავი, იქედან უკვე წამოველი. არნოტ აქ არის?

— აქ არის, მამაჩემო.

— შედი და ჩემი მოსვლა უთხარი.

— ამ წუთში მოვახსენებ, ბაბაია.

ადგუა შევიდა თუ არა არნოტს კაბინეტში, იმ წუთსვე უკან გამოყო თავი.

— ექ, ამ საოხრე სიბერემ მგონი ძვლები სულ დამიშალა, მეხდასაცემო ჩანლონე ყოფილა ყველაფერი ამ ქვეყნად, თორემ სხვა ყველაფერი ჩალოდ არ ღირს, აი დედასა, სადა ხარ, ჩემო სიქაბუქე! — ამ სიტყვებით გადააბიჯა არნოტს კაბინეტის ზღურბლს აღმასხანმა.

ჭკვიანი და საზრიანი ხელმძღვანელები თავის დარდს თუ აფორიაქებულ

სულს როდი აჩვენებენ აღმასხანს. არნოტსაც წარბი გაშალა და ისე შეხედა მოსულს.

აღმასხანმა, აფხაზური დარბაისლური ჩვევით, ჯერ პირადად მოიკითხა არნოტ, მერმე პატივისცემით დედამისი ასენა და ბოლოს სთქვა, რომ სოფლის პირვარამი აწუბებს მას, აღმასხან მანს.

— მეც მაგაზე ვფიქრობ, ჩემო არნოტ, დღეღამე, მისი ჩრდილი მაწუბებს და მისი მზიანი დღე მახარებს.

არნოტს მოეწონა აღმასხანის ნათქვამი. იგი კეთილშობილური ღიმილით და მოკრძალებით მიჩერებოდა სტუმარს.

აღმასხანმა სოფლის ახალი ამბებიც უთხრა არნოტს და, როცა შეატყო, ახლა უკვე დროა სათხოვარის გამხელისო, დინჯად დაიწყო:

— უნდა შეგაწუბო, და! მე ვიცო, არნოტ შეურაცხყოფად არ მიიღებ ჩემს სათხოვარს. ჩვენ ხშირად გაწუბებთ, რა იხამ, ხელმძღვანელი კაცი ხარ, სოფლის მეთაური ბრძანდებით. დე, შენმა სახელმა კიდევ იღიღოს და იხაროს. დე, ხალხის სიყვარული და პატივისცემა კიდევ ემატოს ისედაც საქმეარ შენს სახელს. — ამას ისე ეშმაკურად ამბობდა აღმასხანი თითქოს ლოცვად იყო დავარდნილი.

— თქვენი მობრძანებით ჩემი ძმის ქორწილი ერთხელ ხომ ასახელებთ, მაშინ, როცა მისი ბედნიერების დიდ დღეს უთამადათ. ჩვენ ვერასოდეს გადავიხდით მაგიერ პატივისცემას. ზეალ ჩვენი ოჯახი სტუმარს ელის, გვეცი პატივი და თქვენი მობრძანებით ერთხელ კიდევ ჩვენი ოჯახი გაახარეთ. სტუმრებიც თქვენი საკადრისნი იქნებიან, და! — ვის ელით, აღმასხან ბატონო!

— ჩემი ძმისშვილი ჩამოდის სტუმრად. ტაბაღუ ზიშმას მოველით თავისი მეგობრებიანად. არც ისე უბრალო კაცია, ვეება ქალაქს უდგას სათავეში.

— როგორ გეკადრებთ, აღმასხან ჩემო? ტაბაღუ და მე ძველზე ძველი მეგობრები ვახლავართ. ვანა ამისთვის განსარჩეთ ასეთი დარბაისელი კაცი? თქვენ არ უნდა შეწუხებულიყავით. ვი-

ნმე გამოგეგზავნათ და გიახლებოდით.  
ამ საუბრით არნოუ გულითად პატივისცემას გამოხატა და აღმასხან მანის-სადმი.

—ვიცი, ჩვენი ოჯახისადმი თქვენი პატივისცემა, დადი ვიცი, უარს არ მეტყოდით. თქვენც მოგესხენებოთ, მე ყველას არ ვეპატიეები სტუმრად.

—ვიცი, ჩემო აღმასხან. აუცილებლად გეახლებით. დიდი მადლობა მომიხსენებია მიპატიეებისათვის.

აღმასხანმა ასე დაამთავრა არნოუსთან საუბარი. დარბაისლური სიტყვები არ დაიშურა და ნელა გაემართა გასასვლელისკენ. არნოუც პატივისცემით გაჟვა სტუმარს, კიბეზე ჩასვლა უშველა, მანქანაში ჩასვა და თვითონაც გვერდზე მიუჯდა.

—აბა, სტუმარი სახლამდე მივაციროთ,—უთხრა მან თავის მძღოლს.

ადგუა აფორიაქებული უყურებდა წასულებს. ქალიშვილი გაოცებული იყო არნოუს ასეთი კეთილშობილური მოქცევით. რასაკვირველია, მან კარგად იცოდა მამამისის ფიქრი და დარდი. გოგონამ შეხედა თუ არა აქ მოსულ მამას, იმ წუთში მიხვდა ყველაფერს. განა შეიძლება არნოუს მფარველი ზელის გარეშე აღმასხანის ვეება მეურნეობის შენახვა? მარტო ფინანსიური ორგანოების თვალის ახვევა რად ღირდა? არნოუს და სოფლის საბჭოს გარეშე ხომ ისე დაბეგრადნენ აღმასხანის ეზოგარემოს, რომ შეიძლება ყველაფერი უკუღმა წასულიყო. ეს იცოდა ადგუამ, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო არნოუს, რად სჭირდებოდა აღმასხანის ასეთი მოკრძალებით პატივისცემა? ნეტავი ჩემი უფროსი დის სირმას სიყვარული ხომ არ ჩაუვარდა გულში არნოუს. ამ ფიქრმა უცებ გაკრა ადგუას, მაგრამ უცებვე მოიშორა თავიდან. სირმა ინჟინერი-მშენებელი, ისიც ისეთი ლამაზი ქალიშვილი არნოუს წაყვებოდა? არა, არნოუ ამ სოფლის მეთაური კი არის, მაგრამ მისი დის ტოლი შინც არ არის.

მანქანა მოკირწყლულ გზაზე მიპ-

ქროდა. სოფლის ბაღებთან არნოუ გარმოეთხოვა მანქანიდან გადმოსულ ალუ მასხანს. იგიც კმაყოფილი, ნელა, ვიწრო დაბეჭენილი გაყვა თავის ეზოსკენ მიშვალ ბილიკს. არნოუმ დააყურადა. გარშემო არავინ იყო. ხელით გამოალო პლანტაციის ჭიშკარი და ჩაის ბუჩქების მწკრივებს დაუწყო თვალიერება. სიჩუმე სუფევდა. კარგად გაპარულ ბუჩქის თავებზე დუყე ჩაის ახლად წამოზრდილი სამყურა ჩვილი ფურცლები მწვანე პატარა ჯვრებივით ირბეოდნენ. უცებ ღიღინი მოესმა. არნოუ ერთ ადგილზე გაშეშდა. ხმა ეცნაურა:

—ნუ თუ ლაღი კუაძბაა! კი ის არის ნამდვილად. ახლა კი გარკვევით მოესმა სიმღერის სიტყვები:

კარგი ხარ, ანტიცა, კარგი ხარ,  
არც შრომის ეტრფი, არც გარჯას.  
აღარც შენს დუქანში დაღიხარ,  
ანტიცა, კარგი ხარ, კარგი ხარ...

არნოუს სისხლი მოაწვა თავში. ლაღი კი განაგრძობდა დაწყებულ სიმღერას:

— ვაბედული ხარ, ანტიცა ქალო,  
ჩვენი ვმირიე ხომ თათებში ჩაბლუჯე,  
შენ ჩვენი სოფლის კეკლუო თვალო,  
ხომ გახდი ჩემი ლექსის სუნჯე.  
კარგი ხარ, ანტიცა,—კარგი ხარ...  
ჩვენს ვმირსაც იცნობენ, მის ტრფიალ  
ქალსაც იცნობს სოფელი  
ის არ შემცდარა, უნდა მოჭამოს ეს ქვეყანა  
ცრუსამყოფელი.  
კარგი ხარ, ანტიცა კარგი ხარ...

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა სულ გადარია არნოუ. არ იცოდა, რა ექნა. აზრი სულ დაუბნელდა და დაიბნა. იგი მთელი სხეულით კანკალებდა.

— ხმა ჩაიკმინდე, საფრთხობელავ! დაიღრიალა ბოლოს მან. დაიღრიალა, მაგრამ მისი ხმა თითქოს პაერში გაიფანტა და გაშრა. მომღერალი არ შემკრთალა. სიმღერა არ შეუწყვეტია. არნოუ ისე გაიყინა ერთ ადგილას, თითქოს მიწაში ჩასობილი ხის სარი იყო.

იგი მხეცივით აფეთებდა თვალებს იქეთ-აქეთ. ადგილიდან კი მაინც ვერ დაძრულიყო, სიბრაზისაგან დაჩიავებუ-ლიყო, ღონე სულ გამოსცლოდა.

\* \* \*

მთიდან თუ მოდიხარ, არსაულამდე ჩაის პლანტაციებს ვერ ასცდები. აუცილებლად ჩაის ბუჩქების ზღვაში უნდა გადაიარო. მაღალი ჩაის ბუჩქებია არსაულაში, ზოგ ადგილას კარგი ვაჟაკის ბუჩქებს ასწვდება ყლორტები. არსაულელები დიდი ხანია შეეჩვიენ ამ ნაზი ბუჩქების მოვლას და ისე დახელოვდნენ, რომ რესპუბლიკაში არავის არ უდებდენ ტოლს. აქიქ ჩაის პლანტაციებს შორის შესანიშნავი ხეხალის ზაღებია გაშენებული.

არსაულური ატამი არ შეიძლება მყიდველმა ათას სხვა ჯიშის ატამში არ გაარჩიოს. ატამს არც ვაშლი ჩამოუვარდება. იქაური ვაშლი სასიამოვნო სურნელებიანაა და მეტად გემრიელია. ამიტომაც, რომ მყიდველები გუდაუთაში ბუჩქებით ეხვევიან არსაულელთა ხილს. ყურძნის მარცვლიც ტკბილი თაფლის წვენით არის სავსე. მაღალი ვენახი, რომელიც თხმელის ხეებზეა შეტოტებული დამძიმებულია მჭიდრო და დიდი მტევნებით.

არნოუ დილიდან გავიდა პლანტაციების მოსავლელად. მძლოლმა ახლა შარაზე გააჩერა მანქანა და არნოუმ ბუჩქებისაკენ გადააბიჯა. უღამაზესი, ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი ჩაის ბუჩქის მწკრივებში ყელმოღერებით და კეკლუცად ტრიალებდა. იგი საოცარი სიღამაზით კრეფდა ჩაის ფოთოლს. არნოუმ სიამოვნების ღიმილი ვერ დამალა — ასეთი გოგონა ყველაზე ძვირფასია ამ ქვეყნად, ხელის გულზე მინდა დავისვა პატარა ქანდაკებასავით და ვეაღერსო. ასეთებს შრომაზე ხეწუნა არ სჭირდებათ. არც ჩვენ დავრჩით ვალში, მთელს ქვეყანას გავაცანით მისი სახელი. უკვე ცნობილი ქალი გახდა. მეტი რა უნდა ვქნათ. ისე კი საოცარი გოგონაა, საოცარი!

— გამარჯობა, ანია, ცხოვრებაში კეთილი არ მოგიშალოს გოგონავ! — ეს ხმამაღლა თქვა არნოუმ.

გოგონამ თავი მალა ასწია თვალეზით გაულიმა, საქმე კი არ მიიტოვა.

— თქვენც სიკეთე არ მოგიშალოს ზუნებამ.

არნოუ ახლოს მივიდა გოგონასთან. — ჩემი დარიგება შენ არ გინდა, ისედაც ყველაფერი იცი. ამ დღეებში სტუმრებს ველით. შენ ბევრ რამეს შეგეკითხებიან, შენი კრეფის ხელოვნებით არიან დაინტერესებულნი. დაუფიქრებლად არაფერი უთხრა, ისინი შენს პლანტაციაში მოვლენ. მოვლენ და მთელს ჩვენს კოლმეურნეობას სარკესავით ჩახედავენ. ჩვენ დამხმარებებს მოგცემთ, დე, შენმა ნაკრეფმა ფოთოლმა იმატოს. სტუმრები აუცილებლად იკითხავენ, თუ რამდენს კრეფ ყოველდღიურად! ყველაფერს გაგაკეთებთ შენთვის. შენ მხოლოდ არ შეგვარცხვინო, გოგო. მეტს მე არაფერს გეტყვი, ნათქვამი კი კარგად დაიხსოვე.

მწკრივის ბოლომდე მიყვა არნოუ ანსიას და სანამ არ დარწმუნდა რომ გოგონამ ყველაფერი კარგად გაიგონა, მანამდე არ მოშორდა. შემდეგ კი კმაყოფილებით სავსე გაშორდა პლანტაციას.

მთის სურნელოვანი ვრილი ნიავე ბრუნავდა მანქანაში და ათრობდა არნოუს. მან გასაგრილებლად ხელი შეუშვირა შემხვედრ პაერის ტალღებს, ასე ქშელილთ რომ შემოიბოდა მანქანაში, შეუშვირა და იამა. კარგ ხანს გარბოდა მანქანა შარაზე, სანამ მძლოლმა ზედ ბილიკის პირზე ძრავი არ გამოართო. ბილიკი სიმიდის ყანაში გადადიოდა. ყანას არნოუს მძლოლის ხუტას მამა—თარამ ლაზბა მარგლიდა.

— დილა მშვიდობისა, თარაშ.

— მშვიდობით მენახო, ბატონო ჩემო.

— წელსაც დიდ მოსავალს მიიღებ, გეტყობა, თარაშ. გასულ წლებში მკერდი აივსე ჯილდოებით, წელს იმედი მაქვს კიდევ უფრო გაუთქვამ სახელს ჩვენს კოლმეურნეობას.

— მართალი მოგახსენოთ, მოსავალს კარგს ველი. მიწა აქ მსუყეა, ხეაიანია. შენი დავალებით ახალგაზრდებმა ბევრი



სასუქი და ნაკელი შემოიტანეს. მგონი ნამეტანიც მოუვიდათ. თესლი ჩემი ხელით შევარჩიე. თოს სიმინდს არ მოვაკლებ და, აბა, ყანას მეტი რა უნდა, არნოუ ჩემო.

—ჩემო თარაშ, შენმა შრომამ და გონიერებამ უნდა დაუმტყიცოს სტუმრებს საფხაზო მიწების დიდი ძალღონე. ისინი, ალბათ, შენთანაც მოვლენ, კითხვებს მოგცემენ, არ დაიბნენ. არ შეკრთე, ხომ იცი, როგორ პასუხებს ველი შენგან.

არნოუმ კიდევ ერთხელ გაახსენა ლაზბას მისი ვალდებულება სტუმრებისადმი და მანქანით გაქუსლა. მზე ჯერ კიდევ მხოლოდ ხის წვერებს ეფინებოდა, როცა არნოუ მინდვრებიდან დაბრუნდა. მან ქროლვით ჩაუარა ჩაის პლანტაციებს, სადაც უამრავი ხალხი მუშაობდა. იქეთ არც კი გაუხედია თავმჯდომარეს.

\*\*\*

გაჩი თავს არ იზოგავდა. იგი სტუმრებისთვის კანცერტს ამზადებდა. დილიდან საღამომდე ამეორებინებდა წრის წვერებს და ისინიც გასავათღენ. ხან ეს არ მოსწონდა გაჩის და ხან ის. ხშირად ერთი მისი შენიშვნა მეორეს ეწინააღმდეგებოდა.

—რამდენ ხანს უნდა ველოდეთ ამ სტუმრებს, ერთი მოვიდოდნენ და მოვრჩებოდეთ ამ ტანჯვას. შემდეგ სცენას აღარ გავეკარებით.—ჩურჩულებდნენ ერთმანეთში თვითმოქმედი წრის თავმოქმედებული მონაწილენი.

არნოუ მანქანით მოადგა კლუბის კიბეს.

—შხად ხართ, თუ არა!—იკითხა შემოსვლისთანავე თავმჯდომარემ, —ხომ იცით, სტუმრებთან არ უნდა შევრცხვით.

—ყველაფერი რიგზე იქნება, არნოუ. არნოუს კლუბში არ შეუხედია. მან კანტორისკენ გასწია. ადგუამ მისი მოსვლით, თითქოს ფრთები გამოსხმოდა, მოკრძალებით გაუღო თავმჯდომარეს კაბინეტის კარი.

—ვინმემ მიკითხა?

—რაიადამაკომის თავმჯდომარემ უკვე რეკა. სტუმრები მოდიან. საზღვარგარეთ თელ სტუმრებს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მოაცილებს.—ეს ცნობა არ მოეწონა არნოუს. წინათ უცხო სტუმრებს თვითონ რაიადამაკომის თავმჯდომარე მოყვებოდა ხოლმე.—რა საქმეც არ უნდა ჰქონოდა, ახლაც თვითონვე უნდა წამოყოლოდაო!—გაიფიქრა მან.

ადგუამ უჯუნებობა იმ წუთშივე შეატყუო არნოუს და გარეთ გავიდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ შეფრთხილდა გოგონა კაბინეტში.

—სიხუმიდან კორესპონდენტები ჩამოვიდნენ!—აცნობა გახარებულმა არნოუს.

გერა გუბაზი—თავმჯდომარის მოადგილე და პარტორგანიზაციის მდივანი, მისაღებ ოთახში შემოუძღვა კორესპონდენტებს. კაბინეტის კარებთან ყველანი შექუჩდნენ და ერთმანეთს გადახედეს. ეტყობოდა, იმაზე დაფიქრდნენ, თუ ვინ შესულიყო პირველი ასეთ სახელგახთქმულ თავმჯდომარესთან.

გერამ ჰალარათმიანი კაცი შენიშნა მათ შორის და ანიშნა შენ შეგვიძიებო.

—როგორ გეკადრებათ, თქვენ როგორ გადაგაბიჯებთ. არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება.—გაჯანჯლა ჰალარათმიანი.

—თქვენს წინ ჩვენ როგორ შევალთ.—მხარი დაუჭირეს ჰალარათმიანს ამხანაგებმა და გუბაზს შეხედეს.

გერამაც მხრები აიჩეჩა და პირველმა შეაღო არნოუს კაბინეტის კარი.

არნოუ კორესპონდენტებს გულგამლით შემოეგება.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ არნოუმ რბილ სავარძელში ჩასვა მოსულნი და თვითონაც იქვე მიუჯდა.

—თქვენ, რასაკვირველია, ჩვენი უცხო სტუმრების მოსვლით ხართ დაინტერესებულნი?!

შეეკითხა არნოუ მათ.

—ასეთი შესანიშნავი მოვლენა რომ

გამოგვპაროდა, სირცხვილისგან თავს ვერ გამოვყოფდით.

ერთმა კორესპონდენტმა არნოუს რამდენიმე ცალი ვაზეთი მიაწოდა. არნოუმ ცალი თვალი გადაავლო უცებ და კმაყოფილებით აღსავსემ გერას გადასცა. ჩახედა თუ არა ვაზეთს, გერასაც სიხარულით თვალები გაუბრწყინდა.

— მოხარული ვარ, რომ ყველა ვაზეთს ჩვენი ქება დაუწერია. ეს კი თქვენი ქებაცაა, ვაჟაკები ხართ, ნიჭიერი ბიჭები ხართ. თქვენ დიდ დახმარებას ეწვეთ ჩვენ სოფელს. ხუმრობა როდის ამბავი. თარაშ ლაზბა და ანსია რომ ამ წერილებს წაიკითხავენ, გაუხარდებიან, ძალღონე მიემატებათ, კიდევ უფრო აღფრთოვანდებიან, კიდევ მეტს იზრომებენ.

არნოუმ ზარს ხელი დააკირა. აღგუს შემოვიდა.

— გაჩის დაუძახე.

კლუბის გამგემ იმ წუთშივე ქლოშინით მოიბრინა.

— აბა, თუ მიხვდები, რისთვის დაგიძახებდი.

— კორესპონდენტებს მახვილი თვალი აქვთ, ალბათ, რაზე შენიშნეს.

— ეს, რასაკვირველია, ასეა. მაგრამ უკეთ უნდა თქვა, ბიჭო, სათქმელი. კორესპონდენტებს შევარდენზე უფრო მახვილი თვალი აქვს, გაჩი ჩემო, შევარდენზე უფრო მახვილი.

— თქვენ ვინ შეგედავებათ, ბატონო არნოუ, გონებამახვილობაში...— კიდევ ვერ აუღო ალღო გაჩიმ თავმჯდომარეს.

— ხომ ხედავ ამ ვაზეთებს, ახლავე გამოაკარი ისინი თვალსაჩინო ადგილას. დე, ყველამ ნახოს, წაიკითხოს და გაიგოს, ამ ნიჭიერი ხალხის ნაწარმოებებს გაეცნოს. აბა, ცოცხლად შებრუნდი და ჩემი ნათქვამი შემიხსრულე.

გაჩი შემკრთალი გავარდა კაბინეტიდან და თან ვაზეთები წაიღო.

არნოუ ახლა კორესპონდენტებს მიუბრუნდა.

— თქვენ, ალბათ, გინდათ პლანტაციებში გაიაროთ, სიმინდის ყანები ნახოთ,

საკუთარი თვალი შეავლოთ ყველგან და დარწმუნდეთ, რომ ყველაფერი ისეთ გამოცდილ თანამგზავრს უკავია, რომ ნასიამოვნები დარჩებით.

— ჰო, ეს მართლაც კარგი იქნება, ცოტა მოთენთილად, არც ისე სიხარულით შეეხიტიყვენ კორესპონდენტები.

სოხუმელ სტუმრებს არნოუმ გამოცდილი და ციფრებში გამობრძმედილი აღმრიცხველი გაატანა. თვითონ მარტო დარჩა. იგი ჩაფიქრებული იყო ახლა. ვეება წითელი ფანქარი ეკირა და ხელში გაჯავრებით ატრიალებდა.

— აი, ასე მიდის ჩვენი საქმეები, ამხანაგო ლეიბა. ხედავ ვის შრომას აქებენ და ადიდებენ ვაზეთები?.. რასაკვირველია ჩემს კოლმეურნეობას ასხამენ ზოტას, მასზე ვაღმოცემენ რადიოში და ტელევიზორში. ყველგან არნოუ ნაუბრას გვარს და სახელს ადიდებენ, ყველგან ჩემს ბიჭებს აქებენ. შენ არ გეყოფა ძალი და ღონე, რადიო და პრესა გააჩუქო. ტელევიზორს ხმა ჩააქმენდინო. განა შენ გაქვს იმდენი ძალა, რომ ჩემს სოფელში უცხოელ სტუმრების დინება შეაჩერო? მერე და ვის სოფელში ჩაიყვან ასეთ სტუმრებს. განა „კერაზ“-ს შეედრება სხვა კოლმეურნეობები! არა და არა. ვერ შეძლებ, ამხანაგო რაიკომის მდივანო, ჩემი სახელი წყალს გაატანო. მე ყველა მიცნობს რესპუბლიკაში, ყველა პატივს მცემს. შენ კი გინდა მომლუნო, წელში მომხარო, დამიმორჩილო, ვერ მოგართვი, ამხანაგო ლეიბა, ბადრიჯანი. არნოუს ქედს ვერაიენ მოაზრევიანებს. მე ვიშრომე და ამ შრომამ კოლმეურნეობის ხელმძღვანელად გამხადა. დიად, დიად მე ვარ სოფლის თავი და უფროსი. ხელმძღვანელი ერთი უნდა და ეს ერთი მე ვარ ჩემს სოფელში. შენ ყრილობის დადგენილებას ნუ მარბი თვალებში. იქ არაფერია ისეთი, რომელიც უარყოფდეს ერთუფროსობას, მეურნეობის ერთ ხელმძღვანელობას. პირიქით, ახლა უნდა მომხმაროთ ჩემი პირადი გავლენის ზრდის საქმეში. იასონს, ლადის და ას-



ტანეს რომ უყუროთ, მაშინ ყველაფერი აირევა, ყველაფერი თავუკულმა დადგება. ვერც კი მიხვდები, ვინ არის სტუმარი და ვინ მასპინძელი. ჩემს შესახებ ჩემი ნამუშევარი ლაღადებს. ჩემი კოლმეურნეობის დიდება, ჩემი დიდებაცაა, ამხანაგო ლეიბა.

თანდათან თვრებოდა აფორიაქებული არნოუ ამ ფიქრებით და შფოთავდა. მან ძლიერად მიიხურა კარი და კიბეზე ბრიგადირ ასტან ბგანზას შეეჩეხა.

—აქ შენ რა გინდა!—აღღვებით შეუკითხა.

—დილა მშვიდობის, არნოუ, შენთან საქმე მაქვს და მოგძებნე—წყნარად უთხრა მან.

—ახლა არ მცალია. სტუმრებს ველი.—უცებ მოუჭრა არნოუმ. მისთვის არც კი შეუხედაია სახეზე, ისე გაემართა ეზოსკენ. შეურაცხყოფილმა ასტანამ ნაღვლიანად გააყოლა თვალი მას, მერმე წყნარად ჩამოვიდა კიბეზე და კოლმეურნეობის გამგეობის ეზო დასტოვა.

მოსახვევში არნოუ კოლმეურნე ჩაქუ აგრბას შეხვდა.

—მე დღეს ბედი მაქვს,—გაიფიქრა ჩაქუმ, არნოუ მიხდოდა და სწორედ ის შემომხვდა კადეც.

—ამ გაგანია სამუშაო დღეს აქეთ რამ გამოგყვანა კაცო,—არც კი შეუხედაია სვლა ისე ესროლა სიტყვა არნოუმ ჩაქუს.

—თქვენი ნახვა მიხდოდა, დად...

—რამ შეგაწუნა?

—ვიფიქრე და წვრილფეხა საქონლის შესახებ მიხდოდა ორი სიტყვა მეთქვა.

—მერე შენ ვინ გეკითხება ამ საქმეს. განა შენს გარდა სხვა არავინ დარჩა კოლმეურნეობაში, რომ ამ საქმეებზე იფიქროს?!

—მე ის კი არ მიკადრებია, რომ სხვა კაცები დაილია. მაგრამ...

—ეს რას გავს, ჩაქუ, შენ შენს საქმეზე იზრუნე, ხომ იცი შენი მოვალეობა. განა ჩაი, სიმინდი და თამბაქოს მოვლა

შენი საქმე არ არის? წვრილფეხა საქონელი კი რა შენი საქმეა!

მოკლედ მოუჭრა არნოუმ და სწრაფად გაშორდა.

ნირწამხდარი ჩაქუ დიდხანს იღგა გაშეშებული ერთ ადგილზე. ვერ მიმხვდარიყო გლეხი კაცი, თუ რატომ ეწყინა არნოუს მისი გულისტკივილი.

ამ დროს ასტანა გზაზე მიიჩქაროდა. მას ხელში წკეპლა ეჭირა და ისე აქნედა, თითქოს ვისმეს ედავებოდა და ემუქრებოდა. ეს ასეც იყო. ავი ფიქრი მოწოლოდა ბრიგადირს. იგი პლანტაციის ალაგეს გადახტა, მაგრამ თავის თავთან საუბარი მაინც არ შეუწყვეტია. თხმულარში მაღლარ ვაზების ძირას მოხუცი აბდა ხაგბა შენიშნა.

—დოვლათს და სოკეთეს გისურვებ, აბდა ბატონო!—მიესალმა ასტანა.

—შენი ნახვით გახარებული ვარ, ასტანა, აქეთ ჩამოუბნე.

ასტანამ ჩაუხვია, მიუახლოვდა, ჩამოჯდა. გააბოლეს.

—დად, ასტანა, არნოუ ხომ არ გინახავს ახლა-ხანს!

—ეს-ის არის შეგვდი. საუბარი მიხდოდა და ვერ მოგახერხე.

—რატომ ვერ მოახერხე, დად?!

— ბევრი საქმე აქვს, ჩემთვის სად სცალია...

—განა ჩვენ უსაქმონი ვართ, დად, აი, დედასა, აი დედასა, წინათ კრავივით კაცი იყო არნოუ, ფოთოლზე ერიდებოდა ფეხის დაბიჯება. ახლა კი...—აბდამ ჭავრისამოსაყრელად წაღდი ისე მოუქნია ხის მორს, რომ წაღდი სულმთლად ჩაეფლო შიგ.—აი, დედასა, აი დედასა...

—აბდა ბატონო, მამსავით კაცი ხარ. ვერ დაგიმალავ სათქმელს. არნოუ ცუდად გვიქცევა, შეურაცხყოფას გვაყენებს, უკვე ბევრი გრძნობს მის უკეთურ ყოფაქცევას. არ ვიცი, რა ვიღონო. იგი თანდათან გეშორდება, ცუდი გზით მიდის.

—ეს რა გამაგონე, დად!—შეწუხდა აბდა.—ჩვენ თქვენ გიცქერით, ციხე სიმაგრედ მიგვიჩნევია თქვენი თავი.

გვეგონა, ჩვენ რომ მოგვევლოდა კინკლაობა თქვენ გაგვაშველებდით. ახლა კი თუ თქვენ დაიწყეთ ერთმანეთს შორის შური და მტრობა, საღ მიიყვანს ეს ამბავი სოფელს?! მეგონა, საამაყო ვაყები დაგზარდათ სოფელმა, არ ივარგებს ასე, დაღ, არ ივარგებს.

—მე ვიცი, აბღა ბატონო, რომ ეს ცუდი ამბავია, ამიტომ გადავიხსენი ჩემი გული, ამიტომ გაგანდე ჩემი წუხილი.

—არ მინდა, ასტან შვილო, ჭკუა გასწავლო. შენ თვითონა გაქვს იგი საკმაოდ. ნეტავ შენისთანა ვაყები ბევრი ყავდეს ჩვენ არსაულას. შენც უნდა მოერიდო სიტყვას და არნოუც უნდა დაუკვირდეს თავიანთას.

—ძალიან ვცდილობ, აბღა ბატონო.

—ეცადე, დაღ, ეცადე, ჩვენ შენისთანების იმედი გვაქვს. მაშ, როგორ უნდა მოიქცეს შენისთანა ვაყაკი. ხანძრის ბუდე სწრაფად უნდა მოაქროს კაცმა, რომ ყველაფერს არ მოედოს ცეცხლის მბუკავი, მსახერელი ხელი. მტერსაც ნუ მოსწრებია თქვენი შუღლი და მტრობა. ამას შეუძლია ყველაფერი წაგვიდინოს და გაგვიფუჭოს. მე ასე გეტყვი, დაღ. ასე გეტყვი ჩემ სათქმელს.

—ვიცი, აბღა, და ამიტომ ვარ აფორიაქებული, შეწუხებული.

—უნდა შეწუხდე კიდევ. სხვანაირად განა შეიძლება?

ასტანა გაჩუმდა. ის კიდევ ვერ ბედავდა სულ გადაეხანა გულის ნადები და დარდი აბღაათვის. ზომ შეიძლება მოხუცმა იფიქროს, რომ ასტანა პირადი სარგებლობით არის დაინტერესებული? აბღა ზომ ადიცას ღვიძლი ძმაა, არნოუს ღვიძლი ბიძაა. მაინც აწუხებდა არნოუს მიერ მიყენებული შეურაცხყოფელი სიტყვების ნაჭრილობები. ვერ მოენელებია მას ეს წუხილი. რა ექნა, არ იცოდა.

ასტანა სულ ცოტა ხნის წინათ დანიშნეს ახუცელების ბრიგადირად. ეს მეტად ჩამორჩენილი უბანი იყო და სიმინდიც არ ხარობდა კარგად. საჭირო

იყო გამოცდილი და გულისყურიანი ხელმძღვანელის მონახვა. არნოუმ ასტანა გააგზავნა იმ უბანზე, თითქოს თვითონ ბრიგადიაში არ შეიძლებოდა შესაფერი კაცის მონახვა. ასტანას წამდა, რომ უიშისოდაც შეიძლებოდა ადგილობრივ სხვა ვინმე მოენახათ და დაენიშნათ.

არნოუმ დახმარება აღუთქვა ასტანას. თავისი შეპირება მალე დაავეწყდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ის კი არა, თითონ დაიწყო იმ ბრიგადიდან ხალხის წამოყვანა და სხვა ბრიგადებში დასახმარებლად გადააროლა. არნოუ ყოველთვის ცდილობდა გზისპირას მდებარე ყანები და ბაღები ყოფილიყო საჩვენებლად მოვლილი.

მაინც ვერ მოითმინა ასტანამ და აბღას შეკადრა.

—მე ვფიქრობ, აბღა ბატონო, არნოუ თავის განდიდების გზას დაადგა. მის გულში ცალკე-ცალკეა გაყოფილი კოლმეურნეობის სიკეთე და მისი საკუთარი პარტიკულარობა. მას ამქამად მხოლოდ თავისი დიდების ჭაჭრა აქვს. მე დიდი ხანია მინდა, პირში ვუთხრა ყველაფერი, მაგრამ ის როდი მისმენს, თხველის წვევს მიჩერებია მისი თვალები.

—როგორ ეკადრება ასეთი რამ არნოუს, ღმერთს გეფიცები, დაღ, ვერაფერი გამიჯია მისი.

აბღამ ნამწევს გულმოსულად დააბიჯა ფეხი და მოსრიხა. ეს იყო და ეს ამის იქეთ მან არაფერი არ თქვა. ბოლოს მხოლოდ ეს ჩაილულულა:

—მოთმინება, მოთმინებაა საჭირო, ასტანა.

ბრიგადირი მიხვდა, სხვას არაფერს იტყოდა არნოუს დედის ძმა. იგი მაინც კრძალვით გამოეთხოვა მოხუცს და თავის გზაზე წავიდა.

\* \* \*

სახლვარგარეთელი სტუმრები ნაშუადღევს ორი საათისთვის უკვე ბაღებში იყვნენ. ისინი ჩაინ ბუჩქებსაც გაეცვენენ, სიმინდის ყანებსაც და თამბაქოს პლან-

ტაციებსაც. მინდორზევე ესაუბრენ გლეხებს, აქა-იქ ოჯახებშიც შეიხედეს, ყველაფერს თავისი თვალი დაადგეს, ყველაფერი დაყნოსეს. ყველაფერს გემო გაუსინჯეს. ოჯახებში პურიც გატეხეს და აბღასთან აფხაზური ღვინოც საკმაოდ მიირთვეს. ბოლოს თვითონაც დაპატივეს იქ მყოფი მასპინძლები და სოხუმში წავიდნენ. ეტყობოდათ მათ თავისი მოგზაურობის გრაფიკა ქონდათ, რომელსაც მკაცრად იცავდნენ.

\*\*\*

სოფელ ამხიდას ჩაის პლანტაციებში არნოუ ეზიგასთან ერთად წავიდა. ცხენები სწრაფად მიდიოდნენ ვიწრო, მაგრამ კარგად მოკარწყულ სოფლის შარახე. არნოუს უნდოდა შეემოწმებია, თუ როგორ სრულდება რაიკომის ბიუროს დადგენილება. იგი დაკვირვებით ათვლიერებდა ჩაის ბუჩქის მწკრივებს და ხედავდა რომ ყველაფერი კარგად იყო. მწკრივებშია სუფთათ გამოეთოხნათ და გაეწმინდათ ბალახებისაგან. მხოლოდ ერთ ადგილას შენიშნა გაუთოხნავი სერელი.

—ეს რა ოხრობაა, ეზიგა? შენ გეგონა ჩემს თვალს რაიმე დაემალებოდა? ვერა, ძმაცაცო, არნოუს შევარდნიან მხერა აქვს.

—აქამდე ვერ კიდევ არ მოვსულვართ. სამი ბრიგადა ხვალ უთენია აქეთ გადმოყავს.—წყნარად თქვა ეზიგამ. არნოუ საბრაზისგან მას უკვე აღარ უსმენდა.

—ვერ გამოვიცა, ამხანაგო თავმჯდომარე. რა ნახეთ აქ ასეთი მომაკვდინებელი ცოდვა. რაიკომის ბიუროს დადგენილება სულ ახლახან მივიღეთ. უბრალოდ, ვერ მოვასწარი, დათქმულ დროისთვის კი ამ პლანტაციაში ერთი ბალახის ღერიც არ იქნება.—ეზიგა ვერ მიხვდა, რომ ახლა ეს სიტყვები არნოუსთვის ფუჭი იყო. მას მხოლოდ თავისი გულისწყრომის ესმოდა. თავისთავზე ფიქრობდა, თავისივე ხმას ელოლიავებო-

და და მხოლოდ იგი სწამდა. მან კიდევ უფრო აუწია ხმას და თავიქმის ყველაფერი დაიწყო.

—არნოუ, თუ ჩემი შეურაცყოფა მოგესურვა და ამიტომ მიყვირა, ეს არ არის საქმისთვის სახარბიელო!—ოდნავ დაცინვით უთხრა ეზიგამ.

დაცინვის კილო იმ წუთშივე იგრძნო არნოუმ და კიდევ მეტად გახელდა. მისი სიტყვები ახლა მეტად ოფიციალური და მაღალფარდოვანი გახდა. იგი ოქმობის ენით უყვიროდა ეზიგას. აყვედრიდა მას პარტიის რაიკომის დადგენილების უპატივცემულობას.

ეზიგა აღშფოთდა.

—ასე ხმამაღლა ყვირილი შენა სიციხვილია. ამ ბოლო დროს შენ სხვის თვალში ბეწვს ამჩნევ, თავისაში კი დირე ვერ დაგინახავს და ვერ გოგრძენია.—ველარ მოითმინა ეზიგამ და მიახალა ეს სიტყვები. არნოუს თავში სისხლის მოწოლისგან თვალები გაუფართოვდა. იგი ცეცხლიანი თვალებით მიამტერდა ეზიგუს. ასეთი სიტყვები მას თავის დღეში არ მოესმინა. ეს შინათვის ვერ არაღის შეუბედავს. არც კოლმეურნეობაში და არც რაიონში არაღის უკადრებია ეს არნოუ ნაურბანათვის. ის კარგა ხანია მიეჩია ხმამაღალ ქიბას. თათბირებზე, რაიონში, სოხუმში. ეს კი ვინ არის, ვინ მისცა ამ კაცს ამის უფლება?!

—სისოლელე! რომელ ნაკლზე მიმითითებ მე არნოუ ნაურბას.

—გოლმევიწყობა არ გეკადრება, თავმჯდომარე. სოფელი ახლცა შეერთებამდე შენი ძველი კოლმეურნეობის სოფელია, ნახე მისი პლანტაციები. ეკალბარდის ბუჩქებს უფრო გავს, ვინემ ჩაის ფოთლისას.

ნაურბა, როგორც აფხაზეთში ძველთაგან იტყვიან, ეგვიპტურ ქალაღივით გათეთრდა, ბოღმისგან თავი შეიკავა, ჩუმაღ, მაგრამ შხამიანად გააფრთხილა ეზიგა.

—ენას მოუარე, ბიძია. ენას შეუძლია

სხვა გაქირდოს, მაგრამ პატრონიც და-  
ლუპოსო.

იგი არც კი გამომშვიდობებია ეზივას,  
ისე გაუტყუაშუნა ცხენს მათრახი და  
შარახე გაახტუნა.

• • •

მთელი სამყარო ვერ დაიტევდა იმ  
შხამსა და სიბრაზეს, რომელიც გულში  
ჩაებულდა არნოუ ნაურბას. სწორედ ამ  
შხამმა ააჩქარა არნოუ და ახუცას პლან-  
ტაციებში აიყვანა. დიდი ხანი არ ყოფი-  
ლა თავმჯდომარე ამ ბრიგადაში. მანქა-  
ნამ იმ ვიწრო გზებამდე მიიყვანა, საიდა-  
ნაც მხოლოდ ცხენით თუ გაივლიდა კა-  
ცი. იგი მხედრულად, თითქოს ბრძოლა-  
ში მიდიოდა, ისე თოხარბივით ავიდა და  
კიდებულ ბილიკებზე. ბრიგადის ერთი  
ნაწილი ჩაის ფოთოლს კრეფდა, მეორე  
ნაწილი ბალახბულახისგან სწმენდდა  
მწკრივებს. ბრიგადირი ასტანა იქ არ  
იყო. არნოუს არც მოუკითხავს იგი;  
არც სჭირდებოდა. მისი მიზანი იყო  
სწორედ მის გარეშე გაეკრა საკბილოს-  
თვის პირი. მკრეფავებმა ჩურჩული და-  
იწყეს. ისინი გააკვირვა თავმჯდომარის  
აქ, ამ ღრანტებში ამოსვლამ. არც ერთი  
მათგანი არ ელოდა ამ სიშორეზე მის  
გარჯას. თითქმის მთელი ნაკვეთი უკვე  
მოვლილი, გასხლული, გათოხნილი და  
გალამაზებული იყო. მაგრამ არნოუს  
გულში ჩაგუბებული შეურაცხყოფელი  
ბოღმა ახლა თვალებს უბნელებდა.  
იგი ვერაფერს ვეღარ ხედავდა. მასთ-  
ვის ქვეყნად არ იყო ახლა უფრო სა-  
ძულველი ადამიანები, ვინემ ეს ახუ-  
ცელთა ბრიგადა. საიდან იყო, ასტანას  
შაინც გაეგო მისი მოსვლა და ნაკვეთის  
ბოლოდან შემოეგება არნოუს.

—კეთილი იყოს შენი მოსვლა,—გულ-  
წრფელად მიესალმა ბრიგადირი თავ-  
მჯდომარეს. მას ის უფრო ახარებდა,  
რომ მისი ბრიგადირობის დროს ეს პირ-  
ველი შემთხვევა იყო არნოუ აქ რომ  
დანიხა.

—გამარჯობა,—ცივად თქვა არნოუმ

და შემდეგი სიტყვები გასახურებელ  
ცხენივით მათრახივით გადაუჭირა—არ  
ველოდი თუ ასეთ საგულალო მდგომე-  
რეობამდე მიიყვანდი ახუცას პლანტა-  
ციებს! რას გავს ეს?

—სასაყვედურო, ძმაო, მე უფრო  
მაქვს შენთან და შენ მესაყვედურე-  
ბი?!

გაიოცა ბრიგადირმა.

—რა მაქვს შენგან სასაყვედურო?—  
იკითხა ათროლოებულმა არნოუმ, რო-  
მელიც თავს ძლივს იკავებდა. მისი გა-  
ცეცხლებული თვალები ამ შეადლის სი-  
ნათლემიც ისე ბრიალებდა, როგორც  
მწიერი მგლის თვალები შელამისას.  
ხელში მათრახი სიბრაზისგან ისე მაგ-  
რად ეჭირა, რომ თითები სულ მთლად  
გათეთრებოდა.

—მე დაეიჭრე შენი სიტყვა, არნოუ,  
რომ ჩვენ ჩამორჩენილ ბრიგადას მოეხ-  
მარებოდი, შენ კი მოხმარების ნაც-  
ვლად ხელს უშლი მას!

—რა თქვი, რას როშავ? მე ბრიგადას  
ვეშლი ხელს? შენ, ალბათ, იმასაც იტ-  
ყვი, რომ მე კოლმეურნეობასაც ვუშლი  
ხელს, არა? შენ გესმის, რაებს ბოდავ  
ახლა, არა, თუ გესმის, რას ამბობ?—  
ჩაეკითხა იგი გაბზარული ხმით. უცებ  
არნოუ ჩამოქვეითდა და ასტანასკენ ახ-  
ლოს მიიწია.

—მე უსამართლოდ არაფერი მით-  
ქვამს.—რაც შეიძლებოდა ხმა დაბლა  
უთხრა არნოუს ბრიგადირმა. მას ეში-  
ნოდა ეს ცხარე საუბარი ხალხს არ გა-  
ეგონა. მისი ფიქრით ეს თავმჯდომარის  
პატივისცემას კოლმეურნეობაში შეამ-  
ციერებდა. უპატიურს გახდიდა. ეს კი  
მას არ უნდოდა.

—აბა, ეს საყვედური მეკუთვნის მე  
შენგან,—არნოუმაც დაუდაბლა ახლა  
ხმას.—ან და შენ რასაც ამბობ? მართა-  
ლია?

—მართალია, მაშ, რაღა ჯანდაბაა,  
როცა ჩვენს მკრეფავებს ამ გაგანია  
შრომის დროს ქვემოთ აგზავნი. იქ, ისე-  
დაც კარგად არის მოვლილი პლანტა-  
ციები, ჩვენ კი დედინაცვალივით გვექ-

ცევი, თითქოს კოლმეურნეობის უღირსი შვილები ვიყოთ.

— ასეთ ამბებს შენ ვინ გკითხავს, ეს ჩემი საქმეა, მე როგორც მინდა და სპიროდ ვთვლი, ისე დავასაქმებ ადამიანებს, მე აქ არც ვეზირი მჭირდება და არც მეურვეებს მოვითმენ. მე შენ გიჩვენებ, ბრავო, თუ როგორ ვუშლი მე კოლმეურნეობას ხელს. გიჩვენებ. და დაგამახსოვრებ!

მან სადავე ისევ გადაუდგო თავსზე-მოდან ცხენს, ფეხი სწრაფად შეაცურა უხანგში და ჭერ კიდევ უნაგირზე არც კი იყო დამჯდარი, ისე სწყვიტა მათრახი ცხენს. ორი წუთის შემდეგ ახლომახლო მისი ლანდიც კი არ ჩანდა.

• • •

სალამოს ასტანა სოფლის საბჭოში შევიდა. მან იასონის თანდასწრებით რაიადმასკომის თავმჯდომარე გამოიძახა ტელეფონთან. იგი რაიადმასკომში არ აღმოჩნდა, ამიტომ ისევ ბინაზე დაუბრუნდა და მიღება თხოვა.

— რა საქმე გაქვს რაისაბჭოს თავმჯდომარესთან? — იკითხა იასონმა.

— არნოუ თვალის გახელას არ მაცლის ისე მემუქრება... მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, არ მინდოდა ჩვენი ლაფი ეზოს გარეთ გამეტანა, მაგრამ ნებვი დიდ ხანს სახლში არ შეინახება, ძალზე აყროლდება და მოგვწამლავს.

— ჰე, მე თვითონ არ ვიცი რა გავაკეთო, ასტან! არნოუ არაფერს არ ცნობს. არავის აღარ უჯერებს. სოფლის საბჭოს დეპუტატია და მის სხდომას ერთხელაც კი არ დასწრებია. გაააყვდა, გამეტიჩრდა, უკარებელი კაცი შეიქნა...

დიღბანს ისაუბრეს გულისტკივილით ბრიგადირმა და იასონმა არნოუს შესახებ, დიღბანს. ბოლოს დაასკვნეს ყველაფერი რაიადმასკომს აცნობონ, გააგებინონ, არაფერი არ დაუშალონ.

მეორე დღეს იასონი და ასტანი გულდაუთმაში ჩავიდნენ. ორივენი რაიადმასკომის თავმჯდომარესთან, რაიკომის ბიუროს წევრთან სამსონ ლოლუასთან გა-

მოცხადდნენ. მათ წამდათ რომ იგი მიუკერძოებლად იტყოდა თავის სიტყვას. ლოლუა კაბინეტში ტელეფონით სხუხუმს ელაპარაკებოდა.

— დელეგაციას არნოუ ნაუბრას კოლმეურნეობაში გავუშვებთ სტუმრად. აბა, სხვაგან სად უნდა გავამგზავროთ ასეთი საპატიო სტუმრები, ასეთი სასახელო კოლმეურნეობა მხარეში არ არის! — დაასრულა სამსონმა ლაპარაკი. თქმით კი ნამდვილად ანე თქვა „არნოუ ნაუბრას კოლმეურნეობაში“.

— ეს რა გამოთქმაა, განა შეიძლება კოლმეურნეობა კერძო პიროვნების იყოს?! — გაიფიქრა იასონმა და ასტანას გაოგნებით შეხედა.

სამსონმა ტელეფონის ყურმილი დადო. არც კი მისალმებია შემოსულებს. ისე შეხედა, ეტყობოდა ახლა მას სხვა რაიმე უფრო აწუხებდა.

— ნეტავ სად არის ახლა არნოუ?!

— ვერ მოგახსენებთ, დღეს არ გვინახავს. ალბათ, საღამე სოფელში იქნება.

იასონმა პირდაპირ დაიწყო სათქმელი. ასტანაც ჩაურთავდა თავის გულისტკივილს ხანდახან. სამსონი თვალბში ჩასცქეროდა მათ, მაგრამ ეტყობოდა არაფერი არ ესმოდა. სულ სხვა ამბით აღუღვებულს თვალბში სიცალიერე ჩადგომოდა. მიშტერებოდა მათ და არსაულას ტელეფონით იძახებდა. იქედან მას პასუხობდნენ — არნოუ, არ ვიცი, სად არისო. კიდევ და კიდევ რეკავდა, მაინც არაფერი გამოდიოდა. სამსონმა ახლა თავის მდივანს დაავალა არნოუს მოძებნა.

სამსონი იცდიდა. იასონისგან და ასტანისგან ბუნდოვნად ესმოდა რაღაც, მაგრამ მისი გონება ისევ დახშული იყო. მთელი მისი ფიქრი სტუმრებზე ფიქრით და არნოუს მონახვით იყო შთანთქმული.

— არნოუს შესახებ მერმე ვისაუბროთ. მხოლოდ ახლა მომანახვრეთ ეს კაცი, სოხუმიდან დელეგაცია ვაპოვებ, გაიგეთ, საპატიო დელეგაცია მო-

დის, სად უნდა გავუშვათ ახლა ისინი, თუ არა არსაულაში, თქვენთან, არნოუ კი არაა და არა ჩანს.

—სასიამოვნოა, რომ სტუმრებს ჩვენ სოფელში აგზავნიან,—დაიწყო ახლა უფრო ხმაყვლა იასონმა.—მართლაც პატივია და დიდება, მაგრამ ნუთუ ჩვენს რაიონში მარტო „კერაზია“ და არნოუ ნაურბა?! ყოველთვის იქ სტუმრების ჩამოსვლა სარკებელს ხომ არ გვაქვებს, სამსონ ბატონო! მერე გავხე-თებიც სულ ჩვენ კოლმეურნეობაზე სწერენ, გამოდის მთელს რაიონში მარტო ერთი კოლმეურნეობა არის მდიდარი და კარგი. ვანა სხვები ნაკლებია? არა, მე ვიცი, რომ ჩვენს რაიონს აქვს არადაკლებად ძლიერი მეურნეობები.

ამ სიტყვებმა გულზე უკბინა სამსონ ლოლუას. არა, მარტო გულზე კი არ უკბინა, მთელ სხეულში ცეცხლი მოედო, თვალზე დაუბნელდა, სახეზე ალმური მოეკიდა. მართალია მას პირველად უნდოდა ხელმძღვანელი ამხანაგის თავდაპირველობა გამოეჩინა, სიდარბა-ისლით ესაუბრა, ბოლომდე მოესმინა იასონის საუბარი, როგორც გამოცდილ კაცს შეეფერება, მაგრამ იმდენად მოედო ეს სიტყვები, რომ თავი ვეღარ შეიმავრა. მისი თვალები ახლა ისე იყურებოდა, როგორც ორაგული უყურებს თავის მსხვერპლს, ნაფოტა-თევზს.

—შენ, ძვირფასო ამხანაგო, იმიტომ ჩამოხვედი პროვინციიდან აქ, რომ მე ჰქუა მასწავლო და დარიგებები მომცე?

—მე აქ იმიტომ არ ჩამოვსულვარ, რომ გონიერება გასწავლოთ, ამხანაგო თავმჯდომარე.—ეს სიტყვები წყენით, მაგრამ დამშვიდებით თქვა იასონ ამპარმა.—ღმერთმანი, აღარ ვიცი, ახლა ღირს თუ არა, კაცმა გითხრას ის, რისთვისაც ჩვენ ჩამოვსულვართ.

—თუ რაიმე საქმე გაქვს, უნდა თქვა, მამ, უკან უნდა წაიღო? მხოლოდ იცოდე, ფუჭი არაფერა გამაგონო. ხომ იცი რასაც იტყვი, სალაპარაკოდ უნდა ღირდეს.

სამსონი სავარძელში ისე ჩაჯდა, რომ

ნახევრად მწოლარეს გავდა. ერთი ფეხი მეორეზე გადაიკვანტა და გამომწვევი, გამომკვდელი თვალბრუნებით მუხრება ორივეს. „აბა გადმოალაგეთ, ბრძენებო, სათქმელი, მე ვისმენთ, პასუხიც მზად მაქვს“. ასტანა ლოლუას აღარ უყურებდა. იგი თავის გუნებაში იასონს ამტყუნებდა ახლა.

იასონი კი გუდაუთაში გამაგზავრებამდე ათასჯერ ასწონიდა იმ სათქმელს, რომელიც მას ლოლუასთვის უნდა მოეხსენებია. მას ეტყებოდა, „ხომ არ ვცდები არნოუს შესახებ, შეიძლება ის მართალიაო“. ბოლოს როცა ყველაფერი გაზომა, აწონა და გადაჭრა, მაშინ ჩამოვიდა ლოლუასთან. ახლა კი მიხვდა იასონ ამპარი, რომ სამსონთან დღევანდელი საცდუნებელი და არასასურველი დავა კარგს არაფერს უქადადა მას. მაინც შეეცადა ეთქვა ის, რისთვისაც იგი რაიონში ჩამოვიდა. ისე წყნარად დაიწყო საუბარი, როგორც მცირე წყალზე წისქვილი დაიწყებს უხმაუროდ ბრუნვას.

—ბევრი ნაკლი აქვს ჩვენ სოფლის საბჭოს, ამხანაგო რაიადამსკომის თავმჯდომარე! დაკვირვებით, საქმის სიყვარულით, მათი თავიდან აცლება შეიძლება, კიდევ უნდა შევძლოთ, მხოლოდ ახლა საქმე ჩემს პირად შეურაცხყოფას კი არ ეხება, სოფლის საბჭოს პატივისცემაზეა საქმე. დებუტატი არნოუ ნაურბა ერთხელაც არ დაწერებია საბჭოს სხდომას. იგი მაშინაც კი არ დაესწრო კრებას, როცა მეცხოველეობის საკითხი იყო დასმული. მას მიაჩნია, რომ სოფლის საბჭოს დებუტატობა, მის მაღალკაცობას არ შეეფერება, რომ იგი დიდი აღამიანია და ისეთ წერილმან საქმეებზე მისი შეწუხება უპატივცემულობად ჰიაჩნია.

—ერთი მითხარი, ბატონო-ჩემო!.. მე შეგონა, რაიმე სერიოზული საქმისთვის ჩამოხვედი, იასონ ამპარო!—უცებ, დაფეთებულებით, უგუნებოდ წამოიძახა სამსონმა.—სისულელეა!—ეს სიტყვები ეცნაურა ასტანას და ჰხვდა, რომ არნოუს სამსონისგან ესწავლა და



გადმოვლო იგი.—ღიანდ სისულელეა, შენ მის კოლმეურნეობის საქმესთან რა ხელი გაქვს. სოფლის საბჭოს განა თავისი ცოტა აქვს გასაკეთებელი? არნოუსაც თავისი თავსაყრელად აქვს. მას შენზე მეტი საქმეები აქვს, იცოდე, თქვენ რა გაქვთ გასაყოფი? ნუ თუ სამეგვიდრეოზე დავობთ?! აჰ, არა ძმია, ამას არ ველოდი.

\*\*\*

რიალმასკომიდან იასონი და ასტანა ქალაქის შუაგულისკენ წავიდნენ. ხმაამოუღებლად მიდიოდნენ. ერთიმეორესათვის სიტყვა არ უთქვამთ, სე შევიდნენ რესტორანში. ერთ პატარა ოთახში მაგიდას მიუჯდნენ. უხმოდ მოუკიდეს ცეცხლი პაპიროსს და გააბოლეს. მეზობელ ოთახიდან ხმაშემალი ვიდაც უცნობი არნოუს სადღეგრძელოს ამბობდა. სადილის მიმტანი შემოვიდა.

—კარგი რამე თუ გაქვს, გვაჭამე შენს ქალობას.—უთხრეს მოსულს. ქალმა მოფერებით და პატივისცემით ჩამოუთვალა ძვირფასი, გასამზადებელი კერძები. სტუმრებმა თხოვეს ისეთი რამ მოეტანათ, რაც უკვე მზად ქონდათ.

—ხარჩო გვაქვს,—ცოტა უფრო უსიამოვნოდ თქვა მან.—კიდევ რას ინებებთ?

—ერთი ბოთლი აფხაზური მოგვიტანე.

მეზობელ ოთახში ისევ ისმოდა არნოუს ქება და სადღეგრძელოები.

—ეტყობა, ნაურბაც აქ ყოფილა, — ჩაუჩურჩულა იასონს ასტანამ.

ამ დროს მოისმა არნოუს ხმა. იგი მის პატივისმცემლებს მოკრძალებით სთხოვდა დამსხდარიყვენ და ისე დაეღიანათ მისი სადღეგრძელო.

ორივემ დაამთავრა თუ არა სადილი, იმ წუთშივე გამოვიდნენ და გზას გაუდგნენ. არსაულაში ნაშუადღევს ჩამოვიდნენ, იქ არც შეჩერებულან, ისე წავიდნენ ახლცაში.

სწორედ იმ ბილიკის თავში, სადაც მგზავრებმა ჩვეულებისამებრ ყოველ-

თვის იცოდნენ შესვენება, ისინი შეჩერდნენ და ჩაიხუტნენ. მხოლოდ იქ შეელაპარაკნენ ერთიმეორეს. იქ დაიწყეს ხმაშემალი ლოლუასთან შეხვედრამ. რასაკვირველია, არნოუს სახელიც არაერთხელ გაიხსენეს. ბილიკზე გაჩი გამოჩნდა. გაიგონა თუ არა კლუბის გამგემ არნოუს სახელი გაუყრდა და თვითონაც, ხეს ამოფარებულმა, ჩაიხუტა. კარგახანს უსმინა მათ. მერმე ერთი ჩაახველა, საღამო ხმაშემალი მისცა და გზა განაგრძო. იასონმა და ასტანამ ცოტახანს კიდევ შეისვენეს, მერმე წამოდგნენ და პლანტაციებისკენ გადაუხვიეს. იქედან სიმიწინა ყანები შეათვალიერეს და იქ, სადაც კვიპაროსების ოთხი ხე იდგა, მათ შუა გადებულ ხის გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ. მთის ნაივი ისე ხრიდა კვიპაროსთა აშოლტილ წვეროებს, თითქოს ოთხი მთვრალი დეკაცი ბარბაცებდა. თითქოს ისინი ღვინო-ნასავანი ერთიმეორეს იჭერდნენ და მიწაზე წაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. მგზავრები სულ უფრო და უფრო შეაფხიზლა გორაკზე შეფენილმა ლამაზმა ოღებმა. სასიამოვნო სუფთა პაერმა და კვიპაროსების გრილმა ჩრდილმა მათი დაღლილობა გაფანტა. გამოჩნდა დარბაისელი მოხუცი. მისი გადაპარსული თავი და საპნის თეთრი ქაფივით ლამაზად მოვლილი წვერი მზის სხივებზე უფრო მეტად ბრწყინავდა. მხარზე კალათი ედგა, ხელში ჯოხი ეკავა. რომლის რკინის წვერი ქვიან ბილიკზე ნაპერწყლებს ყრიადა.

—ნეტავი ვინ უნდა იყოს?—იკითხა იასონმა.

—ნუთუ ვერ იცანი? ეს ხომ ანტონ ცარგუშია.

—ჰოი, სასწაულო, ეს მოხუცი აქ რა გაჭირვებამ ამოიყვანა?

—აქეთ მობრძანდი, ბატონო,—დაუძახა ასტანამ მოხუცს.

ანტონი ბილიკზე არ გადმოვიდა, შეჩერდა და მიიხედ-მოიხედა: ეტყობოდა, მან ვერ გაიგო, საიდან ეძახდნენ. ბოლოს მისმა მაცვალისით შეამა და

წერილმა თვალბმა შენიშნა იასონი და ასტანა.

—ეს მე ვარ ასტანა, ნუ თუ ვეღარ მიცანი!—შეეშველა ასტანა.

—ეს შენა ხარ, ასტან, ნამდვილად დავბერებულვარ, რომ ვერ გიცანი, ჭაბუკო.—იგი ნელი ნაბიჯით წამოვიდა მათკენ.

—ეს კი ვინ გახლავს, დად?!—იკითხა მოახლოვებულმა მოხუცმა.

—მე ვარ, იასონი!

—ბედნიერება ნახეთ, შვილებო, ახუცას კარგი კაცები სტუმრებია, კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება.—ამ სიტყვებთან ერთად ანტონი ისე ხტუნვით წამოვიდა და ჩამოჯდა თითქოს ჩხართვი ყოფილიყოს. მხრიდან კალათი გადმოდგა, ხენვით დადგა მიწაზე და გახარებული კიდევ მიესალმა მათ.

—სად მივაქვს ეს კალათი!—იკითხა იასონმა.

—ქვევით მივდივარ, პლანტაციებში, ჩემს ქალიშვილს სადილი უნდა ჩავუტანო, დად!

—ჩვენ კი დავაგვიანეთ, მგონი,—შეწუხდა იასონი.

ამ სიტყვაზე მოხუცი უცებ წამოხტა, კალათს ხელი დასტაცა, მაგრამ მხარზე აღარ შეუდგამს, ისევ ჩაიშლდა და გაუხრდა. მერე იასონის ახლოს ჩამოჯდა.

—ყოველდღე ასე უხიდავ სადილს ქალიშვილს?

—კი, შვილო, აბა, როცა ამ სიშორეზეა, მშიერს ხომ არ მოვკლავ ერთადერთ ქალიშვილს!

—მართალი თქვი, მოხუცო, ძალიან გამძიმს ამ აღმართზე სიარული?

—რა უნდა ვქნა, შვილო, მეტრისთვის აღარაფრისთვის ვარგვივარ.

—ჰე, ერთ დროს კი მთელს გულაუთში შენასთანა ოქროს ხელის მზარეული არ იყო!!

ანტონს თვალები და სახე გაუბრწყინდა, რომ მისი ქება თვითონ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ თქვა.

—მართალია, დად, მართალია.—მან

მკერდზე გადასვა ხელი და ტუჩგზი ისე გააწკაპუნა, თითქოს ახლა გასინჯა. ქვაბიდან გემრიელი კერძი და მძეად წასე ამოვნები დარჩა.

—ახლავარდა როცა ვიყავი, ბევრი ცნობილი და არა ცნობილი ადამიანი მომიხიბლავს ჩემი ხელით გაკეთებულ სადილ-ვახშამით. თქვენ გგონიათ ახლა დავიწყებული მაქვს რაიმე? არა, შვილებო, ახლაც ისეთ კერძს ვაგვიკეთებთ, რომ თითები ჩაიტლიყოთ, თითები.

—ანტონ! განა ყოველდღე უნდა ათრიო საჭმელი ასე შორიდხს? მერე მართო შენ ხარ ასეთი, განა სხვას არ შიდა არ სჭირდება სადილის თრევა ქვემოთიდან? როგორ გგონია, სხვანაირად არ შეიძლება რამე მოვიფიქროთ, დად?!

—თქვენი არ მივივრს, იასონ ბატონო! გოგოს საჭმელი რომ არ მიეუტანო, ხომ შიშლით მომიკვდება. თქვენც რა გეშველებათ, მშიერი კაცი ვეღარ იმუშავებს და ამ საქვეყნო სამუშაოს მიატოვებს.

—ოჰ, სწორედ ამაშია საქმე. ჩვენ ვეუბნებით: „იმუშავე, იმუშავე, იმუშავე თქო“, მათ ტყვილებზე კი ნაკლებათ ვფიქრობთ. განა მართალი არ ვარ, ანტონ ჩემო!

ანტონმა თოვლივით თეთრ წვერზე ხელი ჩამოისვა, ეტყობა, იასონის სიტყვამ გულღვიძლში გაუარა.

—იასონ დად, მე რასაც ვფიქრობდი, შენ სიტყვით გამოთქვი ახლა. განა არ შეიძლება მუშა კაცმა ცხელი გემრიელი საჭმელი მიირთვას აქვე? თავის დროზე? შეიძლება, ნამდვილად შეიძლება. ზოგი შეიძლება დასცინოდეს ჩემს ძველ ხელობას, მაგრამ მე ვამეყობ, რომ მზარეული ვიყავი და ადამიანებს გემრიელ საჭმელებს ვუმზადებდი. განა ახლა არ შემიძლია მთელი ბრიგადა დავაპურო. შემიძლია. ითავეთ და მეც ისეთ საჭმელებს ჩავიბუყუებთ, რომ ქვეყნად უკეთესი ვერ იხილოთ. შვილო, ასტან, შენ რას იტყვი, ჰა?

—ხალხი დიდად მაღლობელი დაგროვებოთ, ბატონო ანტონ!

—მამ რაღას უკვდიო, შვილო ჩემო!

—ამ საუბრის შემდეგ მოცდა ცოლ-ვად ჩაგვეთვლება.—დაფიქრებით თქვა იასონმა.

\* \* \*

მზით გაცხელებულ მინდორზე შეადლისას კვერცხი შეიწვება. ჩაის ბუჩქების ყლორტები მილაკებათ იხუჭებთან. მკრეფავეები ვერ იტანენ ასეთ გაგანია სიცხეს და ჩრდილს ეფარებიან ბუჩქების თავზე ნამდვილი ბული ტრი-ალეხს. ჩრდილში მდგომი თუ გახედავ ამ ბულს, გეგონება, განუწყვეტელი აღმურის ძაფები სცივია ციდან და ჩაის ბუჩქის წვეროებს ეფინება.

ზოგი მკრეფავი ჩრდილში წამოწვა და ძილი დააპირა, მაგრამ აუტანელი სიცხის გამო ვერ შესძლო. ცხელი პაერი და ახალგაზრდების ჟივილიზივილი აბა ვის მისცემდა მოსვენების საშუალებას.

ციცამ ჭოჩორა ტირიფის ძირში ჩაიმუხლა. ადიცას არ გამოეპარა ეს და სხვების შეუმჩნევლად ქალწულ ქალს მიუახლოვდა. ციცა იმ წუთში წამოდგა.

—დაჯექი შვილო, დაჯექი, მე მინდა, შენც დაისვენო!

—მოვასწრებ დასვენებას. — შეწუხდა ადიცას ყურადღებით აფორიაქებული ქალიშვილი.

სულ რომ არ დაეფრთხო ციცა, ადიცა რბილ ბალახებში ჩაქდა. ციცა ისევ ფეხზე იდგა და არ ჯდებოდა. ის სიამოვნებით ჩამოჯდებოდა მასთან ერთად, სხვა ქალიშვილებიც რომ ახლოს არ ყოფილიყვნენ. მაგრამ უფროსთან ჩამოჯდომა უხერხულობაა და გაუზრდელობაც არის.

—ძალიან სიცხეა დღეს, დიდი ხანია ასეთი მწველი დღე აღარ მახსოვს, — დაიწყო ადიცამ წყნარად. — ალბათ, ციცა, თქვენც გაგასავათათ თაკარა დღემ. დაბრძანდი მშვენიერო, დაბრძანდი. — ადიცამ გაკეცა თავისი თავსაფარი და

ისე დაუწყო ჰაერს განიავება, რომ ციცას სახეს გრილი ნიავი მისაქობუნებდა. ციცა ხნის შემდეგ ზგი ოღნახე და იხარა, თავზე ხელი დაადო და აბრეშუმივით რბილ თმებს მოეფერა.

ციცა სულ აფორიაქდა და დაიბნა.

ადიცა ისე ჩურჩულებდა, თითქოს ნანას უმღეროდა ქალწულს.

— შენს მშვენიერ თვლებში, მე სასიკვდილე, ნალველსა და დარდს ვუყურებ. დაწყნარდი, შვილო, დაწყნარდი, ჩემო თვალის სინათლევ! შენ არ იფიქრო შენს ხეაშიადს და წუხილის ვერ გრძნობდეს ადიცას გული?! მდულარე მესხმის უნელებელი, ჩემო ლამაზო, დედა ვარ და შემობრაღე. ნუ დამიძალავ შენს იდუმალ ფიქრსა და ზრახვას.

გაოგნებული ციცა გაჩუმებულიყო. ადიცა როდი კიცხავდა ქალწული ქალის კრძალვას და თავდაპირვანს პირიქით, მიხვდა, ვერასდროს ვერ გაიგონებდა ციცასაგან მის სანატრელ ფიქრს, ვერ გაიგონებდა მისი პირმშოსადმი პატარისცემის სიტყვებს, ასე რომ წყურბოდა იმ წუთს დედამისს. ყველაფერს მიხვდა ადიცა, მაგრამ ერთი იმედი მაინც ქონდა, არაოუ ნაურბას დედას დაეახლოვებინა ეს მისი რჩეული ქალწული. ადიცას მით უფრო ემდულრებოდა გული, როცა ხედავდა, რა ზრდილი და მოკრძალებული ქალიშვილი იყო ციცა. დედის გუშანი ეუბნებოდა, რომ ციცას ნამდვილად შეეძლო მისი პირმშოს გაბედნიერება. ის ფიქრობდა — რა მოხდა არაოუსა და ციცას შორის? პირველმა ვინ დაარღვია ქალვების მეგობრობა? შეიძლება ეს არაოუმ ჩაიღინა? ნუთუ მისი შვილის მოქმედებამ ჩამოაზმო და ფერი უცვალა ქალიშვილს. მისი დაწვების ყაყაოსფერი არაერთ ვაჟაკს შეუტოკებდა გულს. ვაი თუ მათ შუა ბოროტი კაცის ხელი ჩადგა, ჩადგა და ერთ მათგანს შეუბრალებლად მოუშამა გული გესლიანი ისრით. ვინ ეტყვის არაოუ ნაურბას დედას მართალს, ნეტავ ვინ ეტყვის?!

თარგმანი მამია ასათიანისა

## ბუხენვალდის საგრაგლო

16

იმ ქვის სამტეხლოებისა და უპატრონოდ დაგდებული საძმო საფლავების ადგილზე დღეს დიდი სამახსოვრო მავზოლეუმი გაშენებული. მავზოლეუმის მთავარი შენობა — ბუხენვალდის სამარეკლო, რომელიც მთელი ტურინგიის ყოველი მაღალი წერტილიდან მკაფიოდ მოჩანს ლურჯი ცის ფონზე, საფეხურებად ამაღლებული ხეივნის თავში აღმართავთ.

ჩვენ ხმაგაყმენდილი და ზაფრით დაპატარავებული ვეშვებოვით იმ გზაზე, რომელ გზაზედაც ოცი წლის წინათ სიბი ლოდებით პირაძდე საესე რკინის ფორანი მიღრქიალებდა და უღელში შებმულ ადამიანთა სიმღერათუ ხმაშეწყობილი გმინვა ისმოდა.

შემოდგომის კირვეული ქარი დასავლეთიდან უბერავდა და, როგორც ვაიმართან მოახლოებისას, ქარს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოჰქონდა ძარღვებში სისხლის გამყინავი ნაცნობი გუგუნე...

ბუხენვალდის სამარეკლოზე მძიმედ რეკდა გლოვის ზარი და იმ წუთს, ალბათ, მისი ზრიალი ნაქვეარ დედამიწას ეფინებოდა.

ზარის ხმა მოთქმა-გოდებას ჰვავდა. ის თითქოს შავ მოსასხამში გახვეული მოგვევლინა უღრანი ტყიდან და გრანიტის კიბისთავში თავდახრილი გაჩერდა. გლოვის ზარის მძიმე გუგუნეში ისმოდა კენესა იმ უმკეთოთა, ვინც ეტერსბერგის მთაზე უსიხარულო სიცოცხლის დღენი

დაასრულა და მძვინვარე წყველა-კრულვა სულით ძლიერი ადამიანებისა, ვინაც სიმწარემ ყველა ტანჯვა დაათრგუნეინა და სიცოცხლის ბოლო წუთებში გაზულუქებულ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეაჯახა.

გრანიტის განიერი კიბე ვაიმართის მოყვითალო ბორცვებისაკენ მიემართება. ჩივილი ათ-თხუთმეტ საფეხურს, რომელსაც ნიშნად აქ დაღვრილი მოწამებრივი სისხლისა, გარეშემო წითელი პორფირის ქობა აქვს შემოვლებული და ფართო ბაქნის მარცხენა მხარეს გრანიტის რელიეფურ ლოდს მიადგები. კიბეზე, ვიდრე საკირისმაგვარ საძმო საფლავთან და მოზაიკური ფილაქნით მოგებულ ხეივანში ჩახვიდოდე, გრანიტის ექესი ლოდი კიდევ შემოგხედება. ლოდებზე ამოკვეთილი ბარელიეფები მნახველს მოუთხრობენ იმ დაუჭერებელ ამბებს, რაც აგერ ახლა, ოცი თუ ოცდაორი წლის წინათ კაცობრიობის თვალწინ დატრიალდა...

კიბის სულ უკანასკნელი საფეხური შვილდევით გაღვერილ ხეივანს უსწორდება. ამ ადგილისათვის „ერების ხეივანი“ დაურქმევიათ. მთის ბლაგვი მწვერვალის მხრიდან თავსა, ბოლოსა და შუაგულში ერების ხეივანი გრანიტის ლოდებით აგებულ სამ მრგვალ შენობას ებჭინება. შენობებს არც კარი აქვთ, არც ფანჯარა, არც სახურავი. შივნით კედლები მიწითაა ამოვსებული და ზედ მწვანე ბალახი ზარობს.

საკირისებური გრანიტის ძაბრები ძმათა საფლავებია. თვითეულ საფლავში ათიათასამდე ნაგვიმ-ნაწვალები მიცვალებული განისვენებს საუკუნო

\* გავრქლება. იბ. „ნათობი“ № 9.



ბილით. ყველა ერთად წევს, ყველა ერისა და ქვეყნის შვილი. არავინ უწყის, ვინ არის აქ და ვინ არ არის, იციან მხოლოდ, რომ სამშო სამარეებში, მწვანე ბალახის ქვეშ, მარხია ადამიანები, ოდესღაც ჩვენებრ ხვალისდელი დღის მონატრულნი, ვისაც გაუტანელ წუთისოფელში იმნაირი სიმწარე ერგო, რომლის შავგარი შხამი და სამსალა, ალბათ, კაცობრიობის არცერთ მოდგმას არა რგებია.

ხეივანის მარჯვენა მხარეს, იღმის ნაპირებზე გაშენებულ ვენახებსა და ხეხილის ბაღებს რომ ვადასცქერის, აღმართულია გრანიტის თვრამეტი სვეტი ზედ შემოდგმული თვრამეტი ფიალითურთ. სვეტებზე თავიანთი სახელი ამოუკვეთიათ ერებსა და სახელმწიფოებს. მათი შვილები ბუხენვალდის სიკვდილის ბანაკში დაიღუპნენ...

ყოველი წლის 9 მაისს, კაცობრიობის გამარჯვების დღეს, როგორც ლაიპციგის ტყვიისფერ ცამდე ბტყორცილი ობელისკ-ციხეკოშკის გარეშეშო, ეტერსბურგის მავზოლეუმი-საკენ გერმანიისა და ევროპის სხვადასხვა მხრიდან მოილტვიან ადამიანები. აქ, მსგავსად ლაიპციგური კარნავალი-სა, დიდი სახალხო ზეიმი იმართება. ადამიანები შეშხარაიან და ეხარბებიან აურაცხელი მსხვერპლისა და სისხლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებას...

მაგრამ დგება წამი, როდესაც თითქოს დროც კი ჩერდება და ვარდ-ყვავილოვანი მაისის ზავერდივით რბილ პაერში მწუხარედ განიბნევა ბუხენვალდის ზარის გმინვა...

ამ დროს ყველა ქუდმოხდილი დგას თავლია სამშო საფლავების წინ და წუთით მწარე მოგონებას ეძლევა.

ფილებზე მარადიული ცეცხლი გიზგიზებს. თვრამეტი სვეტის თავზე აბრიალებული თვრამეტი ცეცხლის ალი ანათებს მიდამოს, შარავზის ყაჩაღების მიერ შერცხვენილ კაცთმოყვარე ვაიმარს, ტიურინგიის მწვანე გორაკებს და მთელ გერმანიას...

გოეთეს გარდაცვალებისთანავე ვაიმარის სულიერი ცხოვრება როგორღაც მინელდა. აქაური თეატრის სცენაზე ჯერ კიდევ იდგმებოდა საყურადღებო მუსიკალური და დრამატული წარმოდგენები, გერმანული სიტყვაჯამული მწერლობის საქვეყნოდ განთქმულ დედაქალაქს დროდადრო სახელმძღვანელო მუსიკოსები, მსახიობები და მხატვრებიც ეწვეოდნენ ხოლმე, მაგრამ ყოველივე ეს სულ სხვანაირად გამოიყურებოდა, ვიდრე გოეთეს სიცოცხლეში. თურმე მთელი ქალაქის სულიერ საგანძურს გოეთეს გულის ძვერა შეადგენდა. შეჩერდა ეს გული და ვაიმარშიც დიდი ხნით მიწყდა მალალი ხელოვნების ქურუმთა დაღადისი...

ვაიმარის ახალი აღმავლობა, ამჟერად უკვე ხელოვნების სხვა დარგში — მუსიკაში. ათი წლის შემდეგ დაიწყო ა. ამ წელიწადს ჰაბუჯი ფერენც ლისტი, უკვე სახელგანთქმული პიანისტი და კომპოზიტორი, ჰერცოგის კარის კაპელმეისტერად დაინიშნა. ოდესღაც ამ თანამდებობას ასრულებდა იოჰან სებასტიან ბახი...

ეს დაუდგარი ჰაბუჯი მადიარი — ლისტი — რაღაცით შიგავდა თავის კეთილშობილ წინამორბედს — ფრიდრიხ შილერს. ლისტი შილერივით მოუსვენარი და სიცოცხლით სავსე ვაეკაცი იყო. არაფერ ადამიანურს არ უტყობოდა და ერთხელ ნაბოძები სიცოცხლის ანკარა ბინულს მწყურვალე ირემივით ეწაფებოდა. შეეძლო მთელი დამეები თავაულებლივ მუშაობაში ან ქეიფში ვაეტარებინა და მაინც უკმარობის გრძნობა სტანჯავდა.

ვაიმარში მოსელისთანავე ის, უპირველეს ყოვლისა, თეატრს ჩაუდგა სათავეში და იქ ვაგნერის ოპერები დადგა...

მარიენშტრასეზე, ვაიმარის ისეთსავე განაპირა სახლში, როგორიც ცოტა უფრო ქვემოთ ფონ შტიინებს ეკავათ,

ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ფერენც ლისტის.

ამ სახლის თალარაიან ეზომდე ტყის ბილიცი მიგიყვანს. გოეთეს ცაცხვნარი ილმის ნაპირებიდან მარიენშტრასამდე აღწევს. ტყის მხრიდან ეზოს მალალ კედელზე და თვით სახლზე ორი ძირი საგანგებოდ ნავარგები ვაზი აუყვანიათ. ვაზს ღონიერი, ბაჭაჯანა ლერწები გაშიშვლებია, მაგრამ აქა-იქ შერჩენილი ყვითელი ფოთლებით პირველი სართულის თეთრად შეფეთილ ქვითყირს მიიწვ ალამაზებს.

სახლში სულ ექვსი თუ შვიდი ოთახია. ლისტის ოჯახს მეორე სართულზე ჰკავებია სამი ოთახი — სამუშაო, სასაღილო და საძინებელი. სამუშაო ოთახში, რომელიც სახლის ყველაზე უფრო მოზრდილ და მზიან ოთახად გამოიყურება, პირდაპირ კიბისთავიდან შედიხარ. აქ, უპირველეს ყოვლისა, თვალში გეცემა ბროლის ზედადგარებზე შეყენებული შავი როიალი. მალაქურიანი ნათელი ოთახი გობელენის ნაზი ფარდებით ორადაა გაყოფილი. იატაკამდე ჩამოშვებული გრძელი ფარდები ვილაციის მზრუნველ ხელს აუკრეფია და ოთახში განლაგებული ავეჯი მთლიანად მოჩანს. როიალი თვახსდილია. ირგვლივ ისეთი სიწყნარე და გულითადი ალერსი მეფობს, ასე გგონია, რაღაც ძველი წიგნის გამოსატანად მეზობელ ოთახში გასული მასპინძელი აგერ შემოვა და შუაზე გაწყვეტილ სიტყვას გააგრძელებს.

მაგრამ ეს სახლი მუზეუმია და ახლა აქ აღარაფერია ცხოვრობს.

შესავალ კართან, კედლის გასწვრივ, კიდევ ერთი მუსიკალური საკრავი — ავსტრიული მარკის პიანინო დგას. თავი იმასაც ახდილი აქვს და აგერ მერამდენე წელიწადია, დიდი ვირტუოზის სასწაულმოქმედი თითების შეხებას ელოდება...

მომცრო საწერი მაგიდის თავზე, კუთხეში ბეთხოვენის საყოველთაოდ ცნობილი სურათი აკიდია. მუამბოზე კომპოზიტორი ამ სურათში ოცდაათი-ოც-

დათორმეტი წლისა თუ იქნება და კოპეტშეკრული, ფიჭრიანი წიწველინებულად იყურება. ქვემოთ მალაქში, სადაც აგრეთვე სამუზეუმო ძვირფასეულობაა გამოფენილი, მინის ვიტრინაში დევს ბეთხოვენის თაბაშირის ნილაბი, რომელიც მკედარს აუღეს...

როდენი განსხვავებია ამ სურათსა და ნილაბს შორის! უეტრნებელ სენს და სულიერ მარტოობას სახე საკვირვლად დაუპატარაებია. შებლს, ლაწვებს, ჩავარდნილ ლოყებს და სიმწრით მოკუმულ ტუჩებს აუწერელი სასოწარკვეთილების ბეჭედი აზით. სიკვდილთან შეჭიდებული გენიოსის ზეადამიანური წუხილი ცოც თაბაშირს შემზარავი სიცხადით შემოუწნახავს...

ბეთხოვენი ფერენც ლისტის სალოცავი ხატი იყო. შემთხვევით როდია, მის სურათს რომ სწორედ ის წმინდა კუთხე აქვს მიჩნეული, სადაც მორწმუნე კათოლიკენი ჭვარცმული მაცხოვრის ხატებას აკიდებენ...

კომპოზიტორი ბევრს მოგზაურობდა და ევროპისა და აზიის მრავალ ქალაქში კონცერტებს მართავდა. რამდენიმე კონცერტი გამართა მან სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში. ლისტის სახელი ერთი ყველაზე უფრო განთქმული სახელი იყო იმდროინდელ რუსეთში და იგი იმპერიის განაპირა კუთხეებშიაც კი იცოდნენ...

საწოლ ოთახში თვალსაჩინო ადგილას დგას იმპერატორ ნიკოლოზ პირველის მიერ ნაჩუქარი მალაქიტის საათი, აგრეთვე, რუსეთში მოძღვნილი ბრინჯაოს ურემი და ათასი სხვა რამე. დიდებულ კომპოზიტორს და პიანისტს მეფური საჩუქარი თვით ოსმალეთის სულთანისგანაც კი მიუღია...

ეზოში რომ ჩამოვბრუნდით და ჰინკარი გავაღეთ, თვალწინ ზღაპრული სანახაობა გადაგვეშალა: ჩამავალ მზეს ჩრდილები უზომოდ დაეგრძელებინა და ფოთლებშეყვითლებული ქიჩორა ცაცხვები თითქოსდა ოქროსწყალში ამოველო. ნამდვილი მსუყე შემოდგომის თბილი და რბილი საღამო იდგა,



შეგა კახეთში რომ იცის ნართელეც...

მართებულად გადამჭერით და პროვინციულმა ვიწრო ქუჩამ, რომლის მსგავსი ვაიმარში უამრავი შემოგვეყრება, რკინის მესერით შემოკავებული პარკის ქიშკართან მიგვიყვანა. პარკი მწვანე ბორცვის სამხრეთ კალთაზეა გაშენებული და მისი უკანა მხარე მაღალი ქადრებით დაჩრდილულ ბილიკებს ზემოდან თავმოშრონედ გადმოსცქერის.

სწორედ ზემოთ, ყველაზე უფრო ამაღლებულ ადგილას, ვრანიტის კიბისთავში დგას მრგვალსვეტებიანი რუხი სახლი ნახევარკალეზად ამოჭრილი ვიწრო სარკმლებითა და წახანგოვანი გუმბათითურთ, რომლის წვერზედაც რკინის ჭვარი აღუმართავთ.

ეს გოეთესა და შილერის განსასვენებელი ადგილია, პარკი კი ვაიმარელ ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი აღმოჩნდა. მარჯვნივ, რკინის მესრის ჩამოსწვრივ, თეთრად ქათქათებს წარწერიანი საფლავის ქვები. იმ ლოდების ქვეშ კომედიის თეატრის მსახიობები, წვრილ-წვრილი პოეტები და სამღვდლო პირები ყოფილან დაკრძალული.

თვით მავზოლეუმი, სადაც წითელი ხის ოთხკუთხოვან კუბოებში, ერთმანეთის გვერდით, გოეთე და შილერი ასვენია, სვეტებიანი რუხი შენობის სარდაფში მოუთავსებიათ.

ეს ადგილი ყველა სხვა ადგილზე წმინდა ადგილადაა მიჩნეული მთელს გერმანიაში. მთელ გერმანიას და მთელ განათლებულ კაცობრიობას გაუცვლია ამ კუბოებთან, მდგარა აქ ქუდმობილი და ხმა არ ამოუღია, რადგან თავისთავად დადგენილი ადათისამებრ მავზოლეუმში ხმამალა სუნთქვაც კი აკრძალულია...

ერთადერთი ხმა, რასაც აქ ბუხენვალდის მონახულებით გაოგნებულნი უცხოელი გაიგონებ, არის საკუთარი გულის ძახილი: რად მოხდა ეს? რატომ, რისთვის, რომელი ისტორიული აუცილებლობის გამო უნდა დაეთხიათ მი-

ლიონობით უდანაშაულო ალამიანი სისხლი ვაიმარელი ბრძენნი მამულებს? სადღაც შემწივ: შარბიან მძიმედ რეკს ბუხენვალდის გლოვის ზარი და გეჩვენება, რომ ეტერსბერგის მთის წვერზე ცამდე ატყორცნილი სამრეკლოს ჩრდილი სულშიც კი ჩაგიდგა...

მავზოლეუმი კარლ ავეუსტს აუშენებია. ცხადია, იგი ჰერცოგს ეკუთვნის, მაგრამ ჰერცოგისავე სიცოცხლეში გადმოუსვენებიათ და აქ ზვიადი ჰერცოგის წინაპრების გვერდით მიუჩნევიან ბინა სამხედრო ფერშლის შვილის — ფრიდრიხ შილერისათვის...

დიდი გოეთე პირდაპირ წმინდა ბორცვზე ამოუყვანია მაღლიერ ერს და უმცროსი მეგობრისა და თანამოსანგრის გვერდით მოწიწებით დაუსვენებია.

მავზოლეუმში ბევრი კუბოა. ბრინჯაოს მაღალ კუბოებში მწოლთაგან ზოგი წინაპარია ჰერცოგისა, ზოგი, ოჯახის წევრი და ზოგიც შთამომავალი.

დროს სრული გულგრილობა გამოუჩენია აწ უკვე მივიწყებული მიცვალებულების მიმართ. ოდესღაც ამა ქვეყნის ძლიერთა კუბოები დაურიღებლად მიუწმომუწევი, კედლებთან მიუქუქკავს და მომავალი თაობებისათვის გოეთესა და შილერის კვარცხლბეკისავე მიმავალი უკვდავების გზა გაუფართოებია...

18

დილაადრიან „ელეფანტი“ დავტოვეთ, გავუარეთ გოეთეს მანსარდიან სახლს, ანა ამალიას სასახლეს თებტრის მოედნის კუთხეში, ფოსტამტს, დაუქმებულ ლიანდაგს ეტერსბერგის მთის გადასახვევთან და ერთხანს რკინიგზის გასწვრივ ვიარეთ, ვიდრე ფილაქნით მოგებული ვიწრო ქუჩა მთვარის ბილიკით აელვარებულ აუტობანს არ შეუერთდა.

ამ დღეს პირველად შემოვდგით ფეთი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე უფრო კეთილმოწყობილ ავტოსტრადაზე; რა-

მელიც ბერლინის კიშკართან იწყება, გადმოსერავს მთელ საქსონიას და ტიურინგიის მწვეანე ბორცვების გავლით სასაზღვრო ქალაქ აიზენახის მახლობლად დასავლეთ გერმანიაში გაიჭრება.

ორ სავალ ნაწილად გაყოფილ გზას შუაში საგანგებოდ დატოვებული გაზონი გაუდის. მოძრაობა ცალმხრივია. ღამით შოფრები სინათლეს არ აქრობენ, რათა შემხვედრი მანქანები გაატარონ. გაზონი — ზოგან მწვეანე და ზოგან ყვავილოვანი — მთელი გზის სიგრძეზეა. გზას აგრეთვე მთელ სიგრძეზე გასდევს ვაშლისა და მსხლის მსხმოიარე ხეები. ავტოსტრადა ქვეყნის ერთი კილიდან მეორე კიდემდე გადაჭიმულ ხეხილის ბაღს მოგაგონებთ. პატრონი არსაით ჩანს. არც სოფელია სადმე ახლო, არც მეველის კარავი. თუ ნაყოფი მიწაზე ჩამოვარდა, იგი იმისია, ვინც აიღებს, ხოლო თუ ისევ ზედაა, მას კაციშვილი ხელს არ ახლებს, თუნდაც სურვილისაგან სული ხდებოდეს. ეს აქ წმიდათა-წმიდა კანონია და მას, ცხადია, უცხოელებიც ემორჩილებიან. ნეტამც ამისთანა თავდაქტრა სხვისი ქონების მიმართაც გამოეჩინათ და ამ ჯურთხელს მიწაზე ღვთით დატეულიყვნენ...

გზა კი მიჰქრის და მიჰქრის სადღაც უკან. პორსტი წარბშეუხრელად ვაცქერის სამხრეთის მზის სხივებზე ალაპლაპებულ ავტოსტრადას და მძიმე მარჯვენა ხელი გაუნძრევლად უდევს მანქანის საჭეზე. მეგზურს ჩასძინებია. თვლემენ წინა საეარძელში მოკალათებული მანდილოსნებიც — მედიცინის პროფესორი და ლენინგრადელი დრამატურგი. გზა კი მიჰქრის...

რკინა-ბეტონის ფართო ავტოსტრადებით კილით-კიდემდეა დასერილი აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის მიწა-წყალი. გზები გერმანიის ორივე ომის დროს საგრძნობლად დაზიანებული, ალაგ-ალაგ მთლიანად დანგრეული

ავტოსტრადები შეაკეთეს, შეაღამაზეს, წინანდელი სახე დაუბრუნეს და... სემაფორი ასწიეს...

დიდი საავტომობილო არტერიების მიყვანა მეზობელ სახელმწიფოთა სასაზღვრო ბოძებამდე ჰიტლერმა საომარი მზადების უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად მიიჩნია. გზების გაკეთებით ის ორ ჯურღლელს იჭერდა. ჯერ ერთი, როგორც კი მშენებლობას მოათავებდა, პირველ მოთხოვნისამებრ შექმლო დივიზიები და საომარი ტექნიკა ნაჩვენები მიმართულებით უმოკლეს ვადაში გადაესროლა. მეორე მხრივ, რაც არანაკლებ ყურადსაღებო იყო, სამუშაოს აძლევდა ბერლინისა და იმპერიის სხვა დიდი ქალაქების ქუჩებში მოხეტიალე ასიათასობით უმუშევარს, რომელთა დასაქმებით და ცხოვრების სახსრის გამოძენით იგი გულუბრყვილო ხალხის თვალში ერის მსხნელ ანგელოზად დაიხატებოდა...

ავტოსტრადების მშენებლობის ხარჯი დამარცხებულ სახელმწიფოებს უნდა ეზღოთ. ხვალინდელი ტრიუმფით წინასწარ ფრთებშესხმული დიქტატორი სახელმწიფო ხაზინის დაცარიელებას არ ერიდებოდა და ათეული წლების მანძილზე თანდათანობით გასაკეთებელ საქმეს ორი-სამი წლის და კიდევ უფრო მოკლე დროის განმავლობაში აკეთებდა...

ომის წინ, ვიდრე ჰიტლერი გერმანული მიწების „შემოერთებას“ დაიწყებდა და პირს ავსტრიისაკენ იზამდა, ყველა ავტოსტრადა და მათი განშტოებანი უკვე მზად იყო. ერთმანეთს პირდაპირი საავტომობილო გზებით დაუკავშირდნენ გერმანიის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო რაიონები. სხვადასხვა ადგილას მიადგნენ მომიჯნავე სახელმწიფოების საზღვრებს პარიზისაკენ და ბრიუსელისაკენ, ამსტერდამისა და კოპენჰაგენისაკენ, ვენისა და ბუდაპეშტისაკენ, პრაღისა და კიევისაკენ, ვარშავისა და მოსკოვისაკენ მიმავალი გზები...

ვაიმარიდან ერფურტამდე, რომლის

სახელი ჩემს თაობას თითქმის ბალღობიდანვე ესმის, ძალიან პატარა მანძილი აღმოჩნდა — თორმეტი თუ თხუთმეტი კილომეტრი. ქალაქთან მიახლოებისას ავტობუსი თავდაღმა დაექანა და მარჯვენა მხარეს შავად შემურული რკინიგზის მიწაყრილი ამოიშართა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად კოიდან სამანევრო ორთქლმაველები. სადღაც ახლოს, სამოთხისართულიანი რუხი სახლების უკან, სარკინიგზო კვანძი იყო.

მანქანაში ერთურთეული მეგზური ამოვიდა. დედაბერი. სამოცდათხუთმეტი წლისა მინც იქნებოდა, მაგრამ ძალზე მოძრავი, სახეგამომეტყველი და მჩხავანა ქალი ჩანდა. ამოვიდა და თითქოს თავისი ძველისძველი მზიანი ქალაქის მცხუნვარება ამოგვიტანა. თვლების ქუთვით გავვიღებო და უმალვე გრძელი სიტყვა წამოიწყო. სიცილით იჯუღებოდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს. რამდენჯერმე მოგვესმა იური გაგარინის სახელი. დედაბერი, ეტყობოდა, რაღაცით ძალიან გახარებული იყო და უნდოდა ეს სიხარული სასურველი სტუმრებისთვისაც უკლებლივ გაეზიარებინა.

ბუნებით მოკრძალებულმა ლეონას სტეპანაუსკასმა მორიდებულად სცადა სიტყვის ჩამორთმევა, რათა ნათქვამი გადმოეთარგმნა, მაგრამ დედაბერმა, თითქოს ავ განზრახვას მიუხედავ, დაუყვირა, მაცალეო და ქაქანი განაგრძო. ლაპარაკის დროს ხელებს, გამხდარი სახის ნაკვთების მოძრაობას და ჯობს იშველიებდა. მერე უეცრად მოაგონდა, რომ მანქანაში მსხდომნი უცხოელები ვიყავით, ხალისიანი შეხვედრის გამო მხოლოდ თავაზიანობის გამოსაჩენად ვიღიმებოდით და ნალაპარაკევი არ გვესმოდა. ლოყაზე იტაცა შავ ხელთათმანში გამოკრული გამხდარი ხელი — ბოდიში, ბატონებო, თქვენ დაგენაცვლეთ, ამ ოხერ სიბერეში ასე მწარედ რა ეშმაკმა გამომაჩერჩეტაო და მუდარით აღვსილი სახე ლეონასს მიაპყრო. ლიტველი ბორძიკ-ბორძიკით შეუდგა თარგმნას. დედაბერს მისი

ლულულდი და სახის დაღლილი გამომეტყველება არ მოეწონა, ექვინად შეაწყვეტინა და ისევ აქაქანდა. ნამდვილი ბალღური უშუალოდით შემოგვანატროდა — ნეტავი თქვენ, იური გაგარინი გინახავთ და ხელი ჩამოგირთმევიათო. მეცხრე ცაზე აფრენილივით ჰყვებოდა, როგორ იყო აქ, ერთურთში, გაგარინი, როგორ გამოვიდა სასტუმროდან, ის კი — ფრაუ ელენ მაიერი სამი საათი იღვა ქუჩაში, აი, ასე იღვა! — დედაბერმა ყავარჯენი წინ წამოაგდო, ზედ მიეყრდნო, ნიკაბი ასწია და მეტი გამომსახველობის მისაღწევად სასაცილოდ გამოიჯიშა, — იღვა და ელოდა გაგარინის გამოსვლას. მოედანზე უამრავი ხალხი ირეოდა. გლახებიც კი მოსულიყვენ შორეული სოფლებიდან. იმ დღეს ერთურთში ყველა სახლი დაცარიელდა. ხალხი აქ იყო, სასტუმროს წინ. ბოლოს დაინახა გაგარინი, ოღონდ დღემდე ვერ დაუნამდვილებია — მართლა გაგარინი იყო? გაგარინის გარდა სასტუმროდან ხუთი თუ ექვსი ახალგაზრდა გამოვიდა. მათ შორის იყო გაგარინი. ფრაუ ელენ შორს იდგა. იქნებ გაგარინის მაგიერად სხვა დაინახა, სხვებმა ნამდვილი გაგარინი დაინახეს და მას კი — ფრაუ ელენს — დღემდე არ უნახავს ნამდვილი გაგარინი? ვინ იცის, როდის ჩამოვა კიდევ აქ!

19

ვიდრე სიცილ-ხარხარით გულს ვიჭერებდით, ქალაქის მთავარ უბანში — მეთევზეთა მოედანზე გავდიოთ. მოედანი ვიწრო და ოთხივე კუთხივ მკაცრად შეკრულია, სახლების უმეტესი ნაწილი, ჩანს, მანამდეა აშენებული, სანამ ერთურთი დიდვაჭრების რეზიდენციად იქცეოდა, თორემ ქალაქის შუაგული უბრალო ხელობის ხალხს — მეთევზეებს რად უნდა სჭეროდათ. შემდეგ დროება შეიცვალა, ამ მკვიდრ, მამა-პაპეულ სახლებში ძველი მდგმურების მაგიერად ახლები მოვიდნენ, მაგრამ მოედნის სახელწოდება მაინც უცვლელი დარჩა.

მეთევზეთა მოედნის უკანა მხარეს, თითქმის შუაგულში, მაღალ კვარცხლბეკზე მრისხანე მოხუცის ქანდაკება დგას. მოხუცს გრძელი წვერი მკერდზე დაჰფენია, ხელში გაშლილი ალმის ტარი უჭირავს და წინ ამაყად იყურება.

მრავალი წლის წინათ აქ ზარხეიმით დადგმული ეს უძველესი სკულპტურა მართლმსაჯულებას გამოხატავს. ადგილი, სადაც ქანდაკებაა აღმართული, სამართლის გასაჩენი ადგილი ყოფილა. აქ იკრიბებოდნენ ქალაქის მსაჯულნი, მსჯავრი აქ, ხალხის წინაშე გამოჰქონდათ და თავიანთი სამართლიანი განაჩენი, რომელსაც ბრბო მოწონების შეძახილებით და ღრიანცელით ხვდებოდა, სისრულეშიაც აქვე მოჰყავდათ.

— ეს ჩვენი სიამაყეა! — შეჰყვირა თავის ქალაქზე და ქვეყანაზე ფანატიკურად შეყვარებულმა ფრაუ ელენ მაიერმა და რეზინისთავიანი ჯოხი ჰაერს ატაკა.

მართლმსაჯულების ქანდაკების პირდაპირ მეთევზეთა მოედანს ვითურო სტილის სვეტებიანი მაღალი შენობა გადმოჰყურებდა. შენობა, მიუხედავად პირქუშობისა, მართლაც მიმზიდველი სანახავი იყო. არც ღირსება და შინაგანი ძალა აკლდა. იგი ქალაქის თვითმმართველობის სადგომად აუშენებიათ ხუთასი წლის წინათ და თურმე დღესაც ამავე დანიშნულებას ასრულებინებენ.

დანარჩენი სამი მხრიდან მოედანს ვაჭრებისა და მეთევზეების სამოთხსართულიანი სახლები ეკვრის. ახლა იქ აღარც ვაჭრებია და აღარც მეთევზეები. მხოლოდ სიტყვაზე ითქმის...

რატუმას წინ გავუარეთ და მარჯვნივ, ვიწრო ქუჩაში შევეხვიეთ. ფრაუ ელენ, თითქოს შეშინებია დანიშნულ ადგილზე არავინ მიმასწროსო, წინ გაექანა. გზადაგზა გაუჩერებლად ქაჩანებდა. ეტყობოდა, ხელახლა დაავიწყდა თუ უკან უცხოელები მისდევდნენ და მხოლოდ თავისთავს ელაპარაკებოდა.

შეჩერდით მომცრო მოედანზე და ფრაუ მაიერის ბრძანებისამებრ მარცხნივ გავიხედეთ.

მოედნის ჩრდილოეთი მხარე მთლიანად ქვის მაღალ კასტილეს ეჭირა. კასტიოლი თუ ეკლესია მარჯვლემოდებულ სერბებს აუგიათ უხსოვარ დროს და წმ. ეგიდეს სახელობისად მოუნათლავთ...

ნეტავი თუ ასევე ჩერდებიან უცხო მოგზაურები სირიისა და პალესტინის ღიდებული ლავრების წინ და ქალაქის ისტორიკოსი სტუმრებს მათი აგების ამბავს მოუთხრობს. ახსოვსდა ვისმე ის თავდადებული ქართველი ქვისმთლელეები და კალატოზები, ვისი წმიდა ოფლითაც უცხო ქვეყნის მიწა ირწყვოდა და ეს ტაძრები შენდებოდა. დღეს ვინდა განსაჯოს, ვინ მართალი იყო და ვინ — მტყუანი...

პატარა სკვერით დამშვენებული მოედანი სლაგი ვაჭრების სახელს ატარებს. ეს ის ადგილია, სადაც შორი გზიდან მომავალი მექარავნენი შეჩერდებოდნენ, ჯოჯიღებულს ჩამოიხსნიდნენ და კარვებს დასცემდნენ.

ვაჭრობაც კარვებში და კარვების გარშემო იმართებოდა. ადრიან დილოთ, ალბათ, მთელ ქალაქს მოედებოდა დარბეული ხმა, წუხელ სერბები მოსულანო და ზოგი იმის შესატყობად, მართალი იყო ეს ამბავი თუ არა, ზოგი სავაჭროდ და ზოგიც თვალის სეირის საყურებლად კარვებს მოაწყვდებოდა. დახლებზე ძვირფასი ბეწვეული, შალი, აბრეშუმი და ღიბა-ატლასი იყო გადაფენილი. ღაწვებატყეილი ერფურტელი ქალიშვილები, ახლა რომ მიწად და მტვრად ქცეულან, ხარბად უვლიდნენ გარს ათასი მაცოთნებელი საქონლათ დამძიმებულ დახლებს და, ვითომდა სხვების შეუმჩნევლად, კოკობულვაშა ქაბუც ვაჭრებს უთვალთვალდებდნენ...

სლავერი კასტიოლის მახლობლადაც და მეთევზეთა მოედანზეც მნახელს თვალში ხვდება აღრე და გვიანი რენესანსის დროიდან უვნებლად შემორჩენილი სახლების მთელი რიგი. ყველა ასეთ სახლს შავის მაგიერ წითელი ნომერი აქვს დასმული, რაც იმას ნიშნავს, რომ სახლი ისტორიულ სიძველეს წარმოად-



გენს და, როგორც არქიტექტურის ძეგლი, დაეცუა სახელმწიფოს მიერ.

„ისტორიული სახლები“ განსაკუთრებით ბევრია წმ. ევიდეას სახელობის კასტიოლის უკან, ხიდზე. დიახ, სწორედ ხიდზე. ხიდი მდინარე გერაზეა ვადებული ჯერ კიდევ მეთერთმეტე თუ მეორემეტე საუკუნეში. ამ დროს ქალაქი უკვე ისე მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, რომ სახლსა და სახლს შუა თურმე ნემსიც არ ჩავარდებოდა. მაშინ ხიდის ბურჯები საიმედოდ გაუმავრებით და ახალი სახლების მშენებლობა თვით ხიდზე დაუწყიათ. მიდინარ ვიწრო ქუჩაზე, უძველესი სავაჭროების გასწვრივ და ვერც კი წარმოდგენ თუ შენს ქვეშ წყალუხვი მდინარე გერა მიედინება.

ქუჩის ბოლოში წითელი აგურის სქელ კედელს მივადექით. ფრად ელენ მაიერი ზურგით კედლისაკენ დადგა და რაღაცით აღფრთოვანებულმა ლაპარაკი დაიწყო. ლეონასი მორიდებულად ამოუდგა გვერდში და მოთმინებით უცდიდა, როდის მოაწყვედა მისი რიგი.

აგურის კედლის ნაშთი ერფურტის უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს ეკუთვნოდა. ადრეულ შუა საუკუნეებში ერფურტი უკვე საუნივერსიტეტო ქალაქი იყო. აქაურმა უნივერსიტეტმა თითქმის ხუთი საუკუნე იარსება. და პრუსიის იმპერატორის საგანგებო დეკრეტით დაიხურა.

იქნებ ეს შურისძიება იყო?

რუნასთან პრუსიის არმიის განადგურებისთანავე, გენერალი ბონაპარტე ერფურტში შემოვიდა. ორი წლის შემდეგ ქალაქის რატუნის შენობაში თავადების საბჭო შეიკრიბა, რომელმაც ფრანგი იმპერატორი ტიურინგიის განმგებლად სცნო...

არ გაუვლია ხუთ წელსაც, დიდების მწვერვალზე ასული ნაპოლეონი დამარცხდა, დამარცხდა სწორედ მაშინ, როდესაც ეგონა, ახლა კი ნამდვილად უძლეველი ვარო და შიშით ამაჯაბჯნულ ერფურტელ თავადებსაც პრუსიის განრისხებული თვითმპყრობელის შურისძიება დაატყდა თავს...

ვისაც კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურული დიდებულება სურს იხილოს, მან თუნდ თვალის ერთი შეველებით უნდა ნახოს ერფურტის საკათედრო ტაძარი წმინდა მარიაიმის სახელობისა და იქ ორგანის გუგუნს მოუსმინოს.

დედამიწის ზურგზე, ალბათ, არცთუ ისე ბევრი მოიძებნება ქრისტიანული სარწმუნოების სადიდებლად და საღალადებლად აშენებული ამისთანა დიდებული ქმნილებანი.

გოთურ ყაიდაზე აგებული ვეებერთელა ტაძარი უამრავი სვეტოვანი წახნაგებითა, კონუსისებური კოშკებითა და თაღებით გრანიტის მკვიდრი კედლებით ოთხივე მხრიდან გამავრებულ მაღალ ბორცვზე დგას.

ტაძარი შორიდანვე იქცევს თქვენს ყურადღებას, რადგან, ისედაც ცაში ატყორცნილი და ჰაეროვანი, ახლო-მახლო დიდსა და მცირე შენობებს შუა თვალნათლივ გამოირჩევა.

იმავე ბორცვზე, სწორედ ტაძრის მხარდამხარ დგას აგრეთვე მაღალი და მშვენიერ მეზობელზე არანაკლებ თვალწარმტაცი მეორე გოთური კასტოლი — სევერეიერზე, თითქოსდა უმცროსი და საკათედრო ტაძრისა...

ასაფეხურიანი გრანიტის კიბეზე ასვლისთანავე გრძობს ადამიანი უმწეობასა და უსუსურობას თავისივე გამოგონილი მითის წინაშე. კათოლიკურ ნაირსახეობაში ქრისტიანობამ უკიდურესი ტირანული განვითარება ჰპოვა და ხალხს თანდათან დაშორდა, რათა ეგონისტურ განდგომილობაში სულისა და ხორცის პატივმოყვარული კმაყოფილება ეძია.

უზარმაზარი ზნეობრივი ზემოქმედების უნარით დაჭილდოებულ ყოვლისშემძლე ხელოვნება ეკლესიამ ერთგულ მოკავშირედ გაიხადა და ამიერიდან ყველა აღვირი და მოსართავი შემოიწყვიტა.

აათავებ კიბის უკანასკნელ საფეხურს, მუხლს გამართავ, ზემოთ აიხედავ და

აღტაცების წამოძახილი გმინვასავით აღ-  
მოგზდება.

შენ ზეკაცურ ენაზე ამეტყველებულ  
ქვის საკვირველების წინაშე დგახარ.

ეს ვაოგნება და სულის უმწეო  
თრთოლვა, ცხადია, წინასწარ განჭვრე-  
ტილი და გათვალისწინებული ჰქონდა  
იმას, ვინც შუა საუკუნეების ჯადოქარ  
ოსტატებს ერთფურტის დიდი ტაძრის  
აგება, გამოქანდაკება და მოქედვა შე-  
უკეთა. ტაძრის მშენებლებას მნახვე-  
ლი ისერიგად უნდა მოეხიბლა და მოე-  
ნუსხა, რომ აღტაცება მეხის დაცემას  
დამსკავებოდა. შემოქმედი ადამიანის  
ზეგარდმო ნიჭმა საწადელს მიაღწია—  
მართლაცდა ღვთიური სილამაზით თვა-  
ლისმომპყრელი ქმნილება ააგო. სხვანა-  
ირად, მარტოდენ სამღვთო წერილის  
მშრალი ქადაგებით შეუძლებელი იყო  
ნახევარი კაცობრიობის მუხლებზე და-  
ჩოქება და მილიონი ჭკუა-გონების ერთ  
არხში ჩაგდება...

ტაძარი არცთუ ისე დიდი ხნისაა. ხუ-  
თასი წლის წინათ ამ ბორცვზე სამლოც-  
ველო მდგარა, მაგრამ მიწისძვრას თუ  
თავის საკუთარ უღონობას დაუნგრევია.  
ტაძრის მშენებლობას სამლოცველოს  
ნანგრევზე შესდგომიან მეთხუთმეტე სა-  
უკუნის ბოლოს, ხოლო ასი წლით ად-  
რე ძველი სამლოცველოს წინ მაღალ  
კამარებზე კოპნიად დანდობილი ტან-  
წერწეტა კლიროსი აუგიათ. ამბობენ,  
კლიროსი, რომელიც შემდგომ ტაძრის  
მთავარი შენობის განუყოფელ ნაწილად  
იქცა და დღესაც, ვით აგების პირველ  
დღეს, ატყვევებს მნახველის გულსა  
და გონებას, ულამაზესი რამაა ყველა იმ  
ქმნილებას შორის, რაც კი ოდესმე გერ-  
მანულ გოთიკას შეუქმნიაო.

ტაძრის ინტერიერი, რომლის ცასაც  
წახანაგებიანი თალი წარმოადგენს, ვიწრო  
სარკმელებში ჩასმული ნაირფერი შუ-  
შების ციმციმით ნათდება. ამიტომ მთე-  
ლი ტაძარი შიგნიდან დღემუდამ რაღაც  
საზეიმო, ზღაპრულ შექმნა გახვეული.  
თაღებქვეშ საკვირველი აკუსტიკაა.  
თუნდაც ჩურჩულით წარმოთქმული სი-  
ტყვა ტაძარში განწმენდილად და დიდე-

ბულად ეღერს. კაცს საუკეთაო ხმა ვე-  
ღარ გიცენია. ტაძარში შესულს როლი-  
და გახსენდება, თუ შენაშენის იმყოფები  
და ოთხივე მხრივ ქვის ზეკელი კედლე-  
ბი გარტყია, ხოლო ზემოდან ხუროთ-  
მოძღვრების მისნობით გაკეთილშობი-  
ლებული ქვისავე თაღები დაგყურებენ.  
ამ ოთხკედელშუა და თაღებქვეშ თით-  
ქოს ყოველი არსი და არაარსია მოქცე-  
ული და შენ სამყაროს პაწაწინა, უმ-  
ნიშვნელო ნაწილი ხარ...

გაივლი ერთ გრძელ დარბაზს, შეხ-  
ვალ მეორეში და სანახაობით გამოწვე-  
ული აღფრთოვანება უკვე მწვერვალ  
აღწევს. დარბაზი კედლიდან კედლამდე  
ზურგმობხარატებულ მაღალ სკამებს უჭი-  
რავს. გვერდებსა და შუაგულში მხო-  
ლოდ ფართო გასასვლელები დაუტო-  
ვებიათ. კედლების გასწვრივ, გრანიტის  
სამსაფეხურიანი კიბეების თავზე, ფან-  
ჩატურებია მოწყობილი. იქ, ალბათ, ქა-  
ლაქის პატრიციები სხდებოდნენ და წი-  
რვა-ლოცვის დროს თავიანთი მეტოქე-  
ბისა და მეშურნეების საზეიმო მორთუ-  
ლობას ღირსებასთან შერწყმული წვრი-  
ლმანი ცნობისმოყვარეობით ზვერავე-  
ნენ.

თეთრ მარმარილოსაგან გამოკვეთილ  
საკურთხეველს წონა დაუკარგავს და  
შუქთა არილში წნორის ფურცელივით  
აცურებულა. ანტიკურ მოსასხამებში  
გახვეული წმინდა მოციქულები და ან-  
გელოზები თითქოს სულს იდგამენ და  
მარმარილოს სვეტების წინ მუხლებზე  
ემხობიან. უსასრულობიდან მომავალ  
მაცხოვარს თავზე პალესტინის მცხუნ-  
ვარე მზის შარავანდელი ადგას. იგი თავ-  
შიშველი ბრბოს შესახვედრად მოისწ-  
რაფვის და ოქროსფერი შარავანდელი  
დარბაზში იღვრება. სიზმარულ ფერ-  
თა ლივილივით ჯერ თითქმის შეუმჩნე-  
ვლად და მერე მთელის ძალით იჭრება  
ჯადოსნური მუსიკის ხმები. იგი თითქოს  
ციდან მოისმის და მთელ სამყაროს პირ-  
თამდე ავსებს. ორგანი იოჰან სებასტიან  
ბახის „ამაღლებულ მესას“ უკრავს და  
უკიდევანო სამყარო სულგანაბული უს-



მენს გულის ბუდიდან ამოფრენილ წმინდა საგალობელს...

ერფურტის საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურება მხოლოდ კვირა-უქმედღეებში და საეკლესიო დღესასწაულებზე იმართება. მომსვლელი და ზღურბლის ამტალახებელი აქაურობას მაინც როდი აკლია. კვირაში ერთჯერ, ხანდახან ორჯერაც, სალაროში ბილეთებს ჰყიდიან, მაღალზურგიან მოხარატებულ სკამებს ამჯერად მუსიკის მოყვარული საზოგადოება იკავებს და ტაძრის დიდ სამლოცველო დარბაზში კლასიკური საეკლესიო მუსიკის კონცერტები იმართება. უკეთეს საკონცერტო დარბაზს, რომელსაც ამისთანა ან ამის მსგავსი აქუსტიკა ექნება, რომელი მგალობელი ან მომღერალი ინატრებს!

ერფურტელი ან ერფურტში საგასტროლოდ ჩამოსული მანქანო კლავიატურას მიუჭდება და დარბაზს თანდათანობით აავსებს ორგანის ღვთაებრივი გუგუნით. ასრულებენ ბასს, ჰაიდნს, ბეთჰოვენს, მოცარტს. დროთა განმავლობაში ასე ტოვებს საეკლესიო მუსიკა თავის ძველ პატრონს და თვითმყოფად მნიშვნელობას იძენს...

21

ეზოში გამობრუნებულებს ფრანგულენ მათი კიბისთავში დავეიხვდა. იქ ტაძრიდან ნაადრევად გამოსული სტეპანაუსკასი დაემართებლებინა და თავისებური მჩხვანა ხმით რალაცას უმტკიცებდა. ვინ იცის, შეიძლება უკმაყოფილოც იყო, რომ სახელგანთქმული ტაძრის შემოვლას და მოსიყვარულებას ასე ცოტა ხანი მოვანდომეთ. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, ახლა, ალბათ, ყველა უკვე მოსულიაო, წვრილი თვალები ყმაწვილქალობის დროიდან შემორჩენილი სითამამით ჩავვიპაჟუნა, რეზინის-თავიანი ჯოხი დაგვიქნია, მომყევითო და გრანიტის ასაფებურიან კიბეზე ფაცხაფუცხით დაეშვა.

მანქანა დინჯად გაჰყვა ტრამვაის ხაზს.

ქუჩის გადაღმა, მარჯვნივ, მინისსახურავიანი გრძელი სათბურები გამოჩნდა.

სუთიოდე წუთის შემდეგ სათბურები ხეხილის ბაღებში ჩადგმულმა პეტერ-პატარა სახლებმა შესცვალეს მათი ისევე სათბურები და ლა ცისქვეშ გაძარ-თული ყვავილნარი დაიწყა. მთელი წლის ნაჯაფი ზოგი კვალი ხელახლა გადაებაართ და გაეფხვიერებინათ, სხვებზე ჯერაც ნაბავდნენ ქუეუნა თვალებს ადრიანი შემოდგომის ყვავილები და მანქანის ფანჯრიდან რომ უყურებდი, გრჩებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ყოველი მათგანი ირგვლივ დამათრობელ სურნელს აჰმევედა.

ტროტუარს გადაღმა, ავტორის გამწვდომი კედლის იქით, ორ-სამსართულიან მოგრძო სახლების წოწოლა სახურავები გაიღვებდნენ ხოლმე. ბოლოს იმ ადგილსაც მივაღწიეთ, სადაც კედელსა და კედელს შუა განიერი ჰიშკარი იყო დატანებული და ვერც კი მოვასწართაპრის შეთვალეიერება, რომ უმაღლესი ისიც უკან მოვიტოვეთ.

— ფრანგ ამბობს, ეს ჩვენი ძველი უნივერსიტეტის მაგიერიაო, — ლიტერურად დამტკბარი რუსულით თქვა ლეონასმა მიკროფონში, — მტერს გულიც გასკდომია, მაგიერი ზომ გვაქვსო.

ეს „მაგიერი“ ერფურტის სამედიცინო აკადემია აღმოჩნდა. მწვანე მინდორს, რომლის ყოველ კუთხეშიაც აკადემიის ათობით დიდი და მცირე შენობა დგას, ჩვენს თვალთაგან ყვითლად შეღებილი მაღალი ვალაყანი ფარავდა. ვალაყნის შიგნით თურმე მთელი სამედიცინო ქა-ლაქია გაშენებული. ქალაქში საგანგებოდ მოწყობილი ცალკე შენობები უჭირავთ მედიცინის ამათუიმ დარგის კათედრებს.

ერფურტის აკადემიის კლინიკა, სადაც ვინ იცის რა სნეულებას არ მკურნალობენ და იკვლევენ, მეორე კლინიკად ითვლება აღმოსავლეთ გერმანიაში. პირველ ადგილს ბერლინის უძველეს კლინიკას — შარიტეს აკუთვნებენ...

ავტობუსი აღმართს შეუდგა და იმისი მოტორის ყრუ გუგუნით მე უნებლიედ ეტერსბერგის მთის კორტოხზე აღმართული სამრეკლოს გმინვას მივამგვანე.

ბუხენვალდის „რივიერა“ ხომ გერმანიის სამედიცინო აკადემიების ფილიალი და თანამეწე იყო. მეცნიერული დაკვირვების შედეგებს, თუ როგორ მიმდინარეობს ჯანმრთელი ადამიანისათვის განზრახ შეყრილი ესათვის უკურნებელი დაავადება, სანაწილის მთავარი ექიმი ქვეყნის ყველა აკადემიას ზედმიწევნითი სიზუსტით უგზავნიდა.

ექვს გარეშეა, ერფურტის აკადემიაც იმ აკადემიებს შორის იყო, ვინც ბუხენვალდის თუ მაიდენაკის, ოსვენციმის თუ დახაუს ინფორმაციას სხვებთან ერთად დაუბრკოლებლად იღებდა და მზამზარეულ მასალას მეცნიერულად ამუშავებდა, რათა მომავალში, როდესაც გერმანელი ფაშისტები დედამიწის ხუთსავე კონტინენტს კალიასავით მოედებოდნენ, მემკვიდრეობით გადმოცემული მძიმე და მსუბუქი დაავადებანი წარსულს ჩაბარებოდა. მსოფლიოს დამპყრობი გერმანელი ჯარისკაცი ჯანდონით სავსე ადამიანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, დიდი ქართველის ჩადგომის შემდეგ, მას და მხოლოდ მას უნდა განეგრძო სამყაროს ბატონ-პატრონი ადამის მოდგმა...

უსიამოვნო მოგონება ავტობუსის მოულოდნელმა შეჩერებამ დამირღვია. ფრატ ელენ მაიერი უკვე წამომდგარიყო და ისეთივე ხალისიანი ქაქანითა და შეძახილებით, როგორითაც ორი-სამი საათის წინ შეგვხვდა, გვემშვიდობებოდა. იქნებ შეუფერებელი საქციელი იყო, მაგრამ ძალაუნებურად დავიღუნე და წინა სავარძლის ზურგს ამოვეფარე. ფრატ ელენ ჰკვიანი ქალი ჩანდა თუ დამინახავდა, ადვილად შეეძლო მიხვედრა, რაზედაც ვფიქრობდი. თავი მოგვიანებით წამოვწიე. კარი უკვე დაკეტილი იყო. ფილაქინიანი ქუჩის პირას დარჩენილი დედაბერი შავ ხელთათმანში გამოკრულ ხმელ ხელს გვიქნევდა და თავისებური მყვიანა ხმით რაღაცას გაიძახოდა. ლეონასს იმისი სიტყვები აღარ გადმოჟთარგმნია. ალბათ, ვერც გაიგონა...

ფილაქინიანმა ვიწრო გზამ ისევ აუტო-

ბანზე გაგვიყვანა. თუ ავტობუსი გაუჩერებლივ ივლიდა, ერთი საათის შემდეგ აიზენახში უნდა ვყოფილიყავით. აიზენახის საზღვრისპირა ქალაქი: *1936* პიორ-ზელბერგის მთის ძირას მდინარე პიორ-ზელის კლდოვან ნაპირებზეა გაშენებული. აიზენახიდან ხუთი-ექვსი კილომეტრის მოშორებით, მდინარე გერას გადაღმა დასავლეთი გერმანია იწყება.

ტიურინგიის ეს ნაწილი საკმაოდ მთავორიანია. მთებზე მწვანე ტყეებია შეფენილი და შიგადაშიგ სოფლებიც მოჩანს. წვრილი ფილაქნით მოგებული ავტოსტრადა თავისი ხეხილითა და მწვანე გაზონებით დაცემულ ვაკეზე, ტყიან ბორცვებს შუა მიემართება. ტყე ალაგ-ალაგ ვაკეზე ჩამოსულა და იქაურობას ცის დასალიერამდე მოსდებია.

მარჯვნივ, დუბეში დარჩა ძველი ფეოდალური ციხე-ქალაქი გოთა. თვით ქალაქს თვალი ვერ მოვატანეთ. გადახრილი მზის სხივებზე მოლაპლაპე წვეტიანი სამრეკლოები თითქოს ახალგადახსულ მიწაში იყო ჩარჭობილი.

შუა საუკუნეების დიდი სავაჭრო გზის „ვია რეგიას“ მეზობლობამ თავის დროზე ხელი შეუწყო გოთას ზრდასა და განვითარებას. დღევანდელი ავტოსტრადა სწორედ იმ ადგილებში ჰკვეთს ტიურინგიის მინდვრებსა და ტყიან გორაკებს, სადაც რვაასი წლის თუ უფრო მეტი ხნის წინათ ზანზალაკების დინჯი ძღარუნით მიიზღაზნებოდნენ ქვეყნის ერთი კიდიდან მეორე კიდისაკენ მიმავალი ქარავნები.

შორს, გოთას წვეტიანი სამრეკლოების უკან, იისფერი ნისლის რიდეში ჰარცის მთებმა გამოიჩყიტეს. ჰარცის იალბუხი—ბროკენი—დრუბლბეში იყო მიმალული, იმის ახლო-მახლო მუქლურჯ ქუდებს კი ნისლის დოლბანდში შვეულად გამოჭრილი მზის სხივების ჩქერალი არამქვეყნიურ იერს აძლევდა.

ჰარცის ხეობები და უღრანი ტყეები ოდესღაც ფეხით შემოიარა მშობელ მიწა-წყალზე თავდავიწყებით შეყვარებულმა ქაბუქმა ჰაინემ. პოეტის მშვენიერი წიგნი — „მოგზაურობა ჰარცზე“ — სწო-

რედ ამ შემთხვევის გამო დაიწერა. ჰაინრიხ ჰაინეს წიგნის გამოსვლის შემდეგ ყოველი გერმანელისათვის მშობლიური პარტის მთები მრავალი ერის შვილის ახლობელი და საყვარელი ადგილი გახდა. ასე ეწვევათ ხოლმე მოულოდნელი და ხშირად დაუმსახურებელი ბედნიერება არა მარტო ქუდ-ბედიან ადამიანებს, თვით მთებსაც კი...

გოთა ჩამოვიტოვეთ თუ არა, აეტოსტრალაზე რკინაბეტონის მკვიდრი ხიდები გახშირდა. აეტოსტრალა, რომელზედაც მანქანა მიჰქროდა, ხან ხიდს გადაივლიდა სოფლიდან სოფლისაკენ თუ ქალაქიდან ქალაქისაკენ მიმავალ საავტომობილო გზის თავზე, ხანაც ქვემოთ თვით მოექცეოდა და ფანჯრებში თითქოს ცაში გამოკიდებული ხიდის ხარხები გაივლებდნენ. ორჯერ თუ სამჯერ თავზე ათა-თხუთმეტი ვაგონისაგან შემდგარმა მატარებელმა გადაგვიარა, ჩახლენილი ხმით დაიხავლა და ხშირ ტყეში შეხანხალდა.

მაღე აეტობუსის წინა ფანჯრებში ერთთავად ამწვანებული მაღალი მთის კლდოვანი თხემი დაინახეთ. სწორედ ეს იყო ჰიორზელბერგის მთა, რომლის წვერზედაც მეთორმეტე საუკუნის მიწურულში საყოველთაოდ განთქმული ფეოდალური ციხე-დარბაზი ვარტბურგი აშენდა.

მთა ჰიორზელბერგი მთლიანად ტყითაა დაფარული. ასწლოვანი ცაცხვები, წიფლები და ძელქვები ერთიმეორეში ისე მჭიდროდ გადახლართულან, ხესა და ხეს შუა, რომ იტყვიან, თავი კედს ვერ მოიბრუნებს.

ქარვაშეპარულ ხასხასა სიმწვანეში და მოკრიალებული ცის ლურჯ ფონზე თითქოსდა მთის გულიდან ამოზრდილი ციხე-დარბაზი წარმტაცი დასანახავია. კოშკიანი მთავარი შენობა — პალასი — წითელი გრანიტით არის აგებული და ბუნებისა და კაცის ნახელავის ფერთა მკვეთრი მონაცვლეობა და ურთიერთშეპირისპირება უცხო სილამაზეს ქმნის.

ჰიორზელბერგის მთის კლდოვან მუხლს ვარტბურგის ზღაპრული ნაგე-

ბობა აგვირგვინებს. ვარტბურგის ზემოთ მხოლოდ ლურჯი ცაა და იქ ოსავარე ორბები დაფრინავენ...

## 22

აეტობუსი ბაზრის მოედნის კუთხეში დავტოვეთ და აღმართს ფეხით შევუყევით. აღმართი მოედნიდანვე იწყება. მერე და მერე ქუჩები ცისაკენ მიმავალი კიბის საფეხურებადაა განლაგებული ჰიორზელბურგის მთის კალთაზე.

ერთ-ერთ საფეხურზე, ქვისა და აგურის მკვიდრი სახლების შუა, პატარა სკვერი გაუშენებიათ. სკვერის შესასვლელში გრანიტის კვარცხლბეკზე ღრმად ჩათიქრებული შუახნის კაცის ბრინჯაოს ქანდაკება დგას.

იოჰან სებასტიან ბახი..

აქვე, სკვერის მარცხენა მხარეს, მნახველის ყურადღებას იქცევს არც თუ ისე დიდი, დაბალფანჯრებიანი, საპყრობისმაგვარი სახლი. ეს მგონი ერთადერთი სახლია, რომელსაც საცხოვრებელ ბინად გამართული მანსარდი არ აშვენებს. თუმცა კრამიტით გადახურულ ციკაბო სახურავზე სამად სამი ცალფა ფანჯარა კი გამოუდის.

მუხის მძიმე კარის თავზე მიკრულ ფირფიტა მნახველს აუწყებს, რომ ამ სახლში დაიბადა ბახი, სახელგანთქმული გერმანელი კომპოზიტორი და ვირტუოზი.

შემდგომ მოზეუმად ქცეული ეს უღიმღამო შენობა კომპოზიტორის პაპის აუგია. პაპა თურმე თავისი დროის ცნობილი მუსიკოსი ყოფილა და ლანდგრაფისაგან აიზენახის მთავარი კაპელმეისტერის საპატიო ტიტული მოუღია. შვილი და შვილიშვილებიც თავიანთი მუსიკოსი მამისა და პაპის კვალს დასდგომიან. ამ სახლს ბევრი თვალსაჩინო მევიოლინე და ორგანისტი ახსოვს, მხოლოდ ამათი ნიჭის დიდება აიზენახის ფარგლებს არ გასცდენია. აიზენახის, გერმანიის და ევროპის კონტინენტის ფარგლებს შორს გასცდა მხოლოდ ერთის — მოხუცი კაპელმეისტერის უმცროსი შვილიშვილის — იოჰან სებასტიან ბახის

სახელი, რომელმაც მსოფლიო მოვლი და მშობლიურ ქერას თითქოს თავისი ბავშვობის ნაფეხურების საძებნელად დაუბრუნდა.

პაპისეულ სახლში ბახმა მხოლოდ რვა წელიწადი გაატარა. რვა წლის ბიჭუნას დედა გარდაეცვალა და მცირეწლოვანი დისწული აღსაზრდელად დეიდამ წაიყვანა.

ბებერი ლომის შთამომავლები თანდათან გაიკრიფნენ თავიანთი ძველი ბუდიდან. სულ უკანასკნელმა სახლი გაყიდა და იგი აქაური ვაჭრის ოჯახს ჩაუვარდა ხელში. მხოლოდ ამ ასიოდ წლის წინათ მოეგნენ გონს დიდი კომპოზიტორის ნიქის, თაყვანისმცემლები, — სახლი შეისყიდეს, შიგ ბახისდროინდელი ავეჯი დადგეს და დაახლოებით ისე აღადგინეს ყველაფერი, როგორც ბახის პატარა ბიჭობაში უნდა ყოფილიყო.

შენობის პირველი სართულის ერთადერთი ოთახი, რომელშიაც დღის სინათლე სამი დაბალი, მაგრამ განიერი ფანჯარიდან შემოდის და ამ ნახევრადსარდაფს სუსტად ანათებს, ადრე თურმე საჯინიბოს ეკავა. ბნელ დერეფანში, სადაც ვერცხლის ზანზალაქმებულ მუხის კარს შეყავხარ, თვის შეკვრებს და ქერით საეცე საცალოებს აწყობდნენ.

კომპოზიტორის სახლ-კარის მოჭირნახულებებს ძველი საჯინიბო მუზეუმის სათავესოდ გადაუკეთებიათ და იქ გამოუფენიათ მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური საკრავების უნიკალური კოლექცია.

საკრავების დარბაზში თითქმის ყველა მუსიკალური ინსტრუმენტია ლერწმის სალამურით დაწყებული და მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების ფორტეპიანოთი და ორგანით დამთავრებული.

მუზეუმის დირექტორმა ცოტა არ იყოს ძველი მოდის ინტელიგენტმა, ჩვენის თანდასწრებით რიგრიგობით ამოაღებინა ხმა ყველა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტს და მუზეუმის მღუმარე დარბაზში დაბმული მაგიური ხმები აუშვა.

ეს საკვირვლად მუსიკალური, ნახი

აგებულების ცისფერთვალბა კაცი/მოცარტს უკრავდა, უკრავდა იმ სიბეჭითითა და სერიოზულობით, რთგორც მხოლოდ გერმანელს შეუძლია საქმის გაკეთება და ხანდახან დაკვრა ისერიგად გიტაცებდა ხოლმე, ავიწყდებოდა კიდევ, მარტო რომ არ იყო.

სახლის მეორე სართული მთლიანად საცხოვრებელ ბინას უჭირავს.

ბახის მშობლების ოჯახი ძალზე მრავალრიცხოვანი ყოფილა. ამ სართულზე სამი მარტო საწოლი ოთახია. კიბისთავში, მარცხნივ, სამზარეულოა გამართული, შემდეგ — პირდაპირ — სახელსაქმო. ფანჯარასთან ხის დაბალი ტაბურეტი და ნართის საგრეხი დაზგა დვას.

ამ პაწია ოთახში, ფარდაგადაფარებულ ტაბეტთან, ბახის მამისა და პაპის ფერწერული სურათები ჰკიდია. სურათები მგონი ძველია, ნატურიდან გადმოხატული.

აიზენახის კაპელმეისტერს, იოჰან სებასტიან ბახის ლოყებგაიყენილებულ პაპას, თავი ღირსეულად უჭირავს. ეტყობა, პაპა ამპარტავანი კაცი იყო, საკუთარი ნიქის ფასი სხვებზე უკეთ იცოდა და ეჭვი სტანჯავდა, რომ თანამედროვენი ჯეროვანად ვერ აფასებდნენ...

შვილი უფრო მორიდებულია. ამდენი მომსვლელისა და წამსვლელის წინაშე სახელოვანი მამის მხარდამხარ ყოფნა თითქოს ეკრძაღვის...

არამცთუ პაპა, ბახს პეპერაც და იმის წინა თაობებიც მუსიკოსები ჰყავდა. ბახების სისხლში ხუთას წელიწადს გროვდებოდა მუსიკის ელექსირი, რათა ერთ მშვენიერ დღეს დაბადებულიყო იოჰან სებასტიანი და ყველა წინაპრის სანუკვარი ოცნების განხორციელება მარტო მას ეტვირთა.

ერთიმეორეზე გადაბმული საწოლი ოთახების გასწვრივ, სახლის მეორე ნახევარში, კარს სატრაპეზოდ წოდებულ გრძელ ოთახში გაყავართ, სადაც აღუღნებელი ბუხრის პირას ბახების მთელი ოჯახი თავს მოიყრიდა ხოლმე და მოცალოების ეამს ოჯახის რომელიმე

წევრის მუსიკალურ იმპროვიზაციებს უსმენდა.

უკანა მხრიდან სახლს ოთხივე კუთხივე მუხობელი სახლებით შემოზღუდული ეზო აკრავს. ბაღნარად ქცეულ პაწაწინა ეზოში არის უკვე დაუქმებული ოწინა-რიანი ქა და იქვე მახლობლად, ნუშის ძირას, რკინის სალტეშემორტყმული ქვის მაგიდა. არაერთგზის ნაკოდი მრგვალი ქვა ბახისეულია, მაგრამ, ეტ-კობა, ვიდრე მაგიდად გადაიქცეოდა, მრგვალი წელი წისკვილის დოლაბად უმსახურია და, ვინ მოსთვლის, რამდენი ხორბალი თუ ქერი დაუფუკავს...

რა შორსაა აქედან ლაიპციგი, ტომას-კირხე, სადაც ტაძრის საკურთხევლის წინ, ამ ძველებურ, საპრობილისმაგვარ სახლში დაბადებული მუსიკის ჯადოქარი განისვენებს, განისვენებს კი არა, იგი დღითი-დღე ახალგაზრდავდება და ცოცხლობს ტომანერხორის წყრიალა სმებში.

პირდაპირ გოცებს ამ ხალხის ეპიური სიმშვიდე და მუყაითობა: გარდა აეტოსტრადისა, ქალაქის თუ სოფლის ყოველი გზა და ბილიკი გულმოდგინედ დატეხილი კვადრატული გრანიტით მოუვიათ და თანაც ისე ბეჭითად, რომ მთელი გზის მანძილზე ამოგდებულ თვალს ვერსად იპოვნი.

პორტო ციცაბო კლდის ძირას დარჩა და მუხლგაურის განიერთათებიან შარვალში მუშტებნაყოფილი თითქმის ნიშნისმოგებით გვიყურებდა, როგორი ტატიოთ ავდიოდით კიბზე, რათა მოკლე ბილიკით ციხე-დარბაზში შემავალ ასაწევ ხილამდე მიგვეღწია.

## 23

ტოტებგაბარდნილ ცაცხვებში თანდათან გამოიყვება ლურჯი ცა და მერე ზედ წითლად მიხატული პალასის დაკბილული კოშკი.

ალაყაფის ქიშკართან, ციხის გოდოლზე ბრინჯაოს ორი ზარბაზანი იდგა. ზარბაზნები და თავჩაჩქინიანი მეზარბაზნები ვარტბურგის ტერასებზე ყველგან მდგარან, სადაც კი ფეხის მოსაკი-

დებელი ადგილი ყოფილა. ფეხის მოსაკიდებელი ადგილი კი აქ არცერთს ეხებურია. მიწის თითქმის ყოველი მტკაველი აქ კოშკებსა და სასახლეებს უკავია.

ფეხაკრეფით გადავიარეთ თვალჩაუწვდენელ უფსკრულზე გადებული ასაწევი ხიდი. რკინის ბორბლებზე დამაგრებული ჯაჭვებით აწევისას იგი მთლიანად კეტავს ციხის შესასვლელს, ხოლო მაღალ, მიუდგომელ გალავანზე ჩიტც ვერ გადაფრინდება.

განიერი ტალანი ციხის ვიწრო ეზოში შედის. ეზოდან აღარც მწვეანში ჩაფლული აიზენაზი მოჩანს და არც ტბასავით ერთ ადგილზე დაგუბებული მდინარე პიორხელი. ერთსაც და მეორესაც ვარდისფერი გრანიტით აგებული ვიწროფანჯრებიანი პალასი ეფარება. სამაგიეროდ, ციხის გალავანს რომ გადაადგები, აქედან კარგად დაინახავ პიორხელბერგის მთის უკანა კალთას, დასავლეთ გერმანიისაკენ გაქანებულ აეტოსტრადას და ნისლიან ცისკიდურამდე ლურჯად მოლივლივ ტიურინგიის ვაკეს.

ვარტბურგი მთელი შეასაუკუნეობრივი ქალაქია. იგი რომანტიზმის ეპოქის არქიტექტურულ ძეგლებს შორის ულამაზეს და უკეთილშობილეს ქმნილებას წარმოადგენს. ამ ადგილზე ციხესიმაგრის დაფუძნებას მეთერთმეტე საუკუნეს მიაკუთვნებენ, მთავარი შენობა — პალასი. ცოტა მოგვიანებით აუშენებიათ. ათი წლის შემდეგ ვარტბურგი უკვე გერმანიის სულიერი ცხოვრების თვალსაჩინო კერად იყო ქცეული. აქ სტუმრად მოდიოდნენ და ხელოვნების მოყვარული მასპინძლის პერქვეშ კვირებებს და ხშირად თვეებსაც ატარებდნენ იმ დროის სახელგანთქმული პოეტები და მომღერლები.

ვარტბურგის მონახულების შემდეგ რიპარდ ვაგნერმა პირველად განიზრახა მშობელი ხალხის წარსულს და მშობლიურ თემებს დაბრუნებოდა. მან სწორედ ვარტბურგი აირჩია თავისი გმირების სამოქმედო ასპარეზად. მომღე-

რალთა შეგებრი, რომელიც კომპოზიტორმა თავის „ტანჰაიზერში“ შეიტანა, პალასის სასტუმრო დარბაზში მიმდინარეობს.

აქაურობა გერმანელი ერისათვის იმითაც ძვირფასია, რომ აქ რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლანდგრაფინია ელისაბედი — მოყვასის შემბრალებელისნიერი, მრავალი ჭირის მომთმენი და უდრტიწველი ადამიანი. ტიურინგიის სოფლებსა და დაბა-ქალაქებში, განსაკუთრებით კი აქ, აიზენახსა და ვარტბურგში, ელისაბედის სახელი დიდსა და პატარას პირზე აკრია. გოთაში დღესაც ემსახურება მოსახლეობას მარია მაგდალინელის სახელობის ჰოსპიტალი, რომელიც უთვისტომო ავადმყოფთა შესაერდომებლად და სამკურნალოდ თვით ელისაბედმა დააარსა.

ელისაბედის ქველშოქმედება და ბუნებით თანდაყოლილი სიკეთე ლეგენდად იქცა. ახლა ძნელია მიუდგომელმა კაცმა შეუცთომლად გამოაკვირო, რა ისტორიული სიმართლე და რა - - მადლიერი ხალხის შეთხზული და გამოგონილი. ელისაბედი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, სულ ოცდაოთხი წლის, ცხოვრების გაუტანლობას შეუჩვეველი ქალი, უნგრეთის მეფის ასული და ამ ბრწყინვალე ციხე-დარბაზის დედოფალი, მოშურნე თავადებსა და აზნაურებს ვარტბურგიდან გაუძევებათ თავის სამ შვილთან ერთად. ეს მაშინ მომხდარა, როდესაც ელისაბედის ახალგაზრდა მეუღლე ლანდგრაფი ლუდვიგ მეოთხე ჯვაროსანთა ლაშქრობიდან შინ აღარ დაბრუნებულა და პატრონის დაღუპვით გათამამებულ თიღებულებს მაშინვე თავიდან მოუშორებიათ დემოკრატი ლანდგრაფინია. დადარაჯებულ კარისკაცებს იგი ბილიკზე შეუპყრიათ, ტყეში. ქალს თავგადაკერილი ხელკალათით წამლები და ცოტადენი სანოვანე მიჰქონდა აიზენახელ სნეულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად...

შურითა და საკუთარი გულდრძობით გაცოფებულმა ვარტბურგელმა დიდე-

ბულებმა ერთი დაკრით მოუღეს ბოლო გულმოწყალე ელისაბედის ქველშოქმედის ახლო და შორეულმა უჭმსკეპიდან მოზღვავებული ხალხის ყურყუტს ციხე-დარბაზის კედლებთან. ქრისტეს საფლავის გასათავისუფლებლად იერუსალიმს ლაშქრად წასული ლუდვიგის ცოლშვილს კოველგვარა წოდებრივი ღირსება აპყარეს, ციხის კარიბჭემდე მიაცილეს და ქიშკრის მცველ შუბონებს უბრძანეს „ეს მაწინაწალები“ დღეს ამას იქით სასახლეში აღარ შემოეშვათ.

ბედს წინასწარვე შერიგებული ელისაბედი მშვიდ ბრბოს გაპყვა და სიკვდილამდე, მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მაშვრალთა და ტვირთშიძიეთა მწარე ხვედრს იზიარებდა.

ხალხმა სიცოცხლეშივე, ხოლო კათოლიკური ეკლესიის მამამ რომის პაპმა სიკვდილის შემდეგ, კაცთმოყვარეობის გამო წამებული ელისაბედი წმინდანად შერაცხა...

## 24

პალასის ყოველ დარბაზში შესვლისას მოგესმის წმინდა ელისაბედის სახელი. იმისი ნათელი ხსოვნა ახლაც თითქოს მფარველ ანგელოზად თავს დაჰფარფატებს ბედის ანაბარა მიტოვებულ ხელმოკლესა და გაჭირვებულს.

ამ მართლაცდა წმიდა ადამიანს ყველგან დაუტოვებია სპეტაკი კვალი — ერშიც და ბერშიც...

რა ძალა ჰქონია მაინც სიკეთეს! ელისაბედი არც დიდი პოეტი იყო და არც ღვთსმეტყველი, არც ყოვლისშემძლე მეფე და არც აღქმითიკოსი.

უკვდავი ქმნილებების — საქვეყნოდ აღიარებული პოემების, ან ღრმა აზროვანი ფილოსოფიური ტრაქტატების ნაცვლად მან ადამიანებს დაუტოვა მხოლოდ ხსოვნა ადამიანისათვის თავდაღებული ადამიანისა და ხალხმა მოწიწებით შეინახა ეს ხსოვნა, და არამცთუ შეინახა, თავის ყველაზე უფრო დიდ და სათაყვანო სულიერ მონაპოვრებს გაუტოლა.

პალასის მეორე სართულს, რომელიც პირდაპირ შიგაგზოს უსწორდება,





თლილი ქვის იატაკი აქვს დაგებული თეთრად შეფეთილი კედლები სადაა, დარბაზი კი დღის სინათლით ისე განათებული, როგორც მონასტრის სენაკს შექვეყნის. შემოსასვლელი კარის გასწვრივ რკინის სალტეებით შექვილი სკივრები და ხის საკმაოდ მოუხერხებელი ტახტები და საკარცხულები დგას. აიზენახის მხარეს, დარბაზის სქელ კედელში, ბუხარია დატანებული. დარბაზში ღრმად გამოჭრილი ვეება ბუხარი ისე მალაღია და განიერი, რომ შიგ შამფურზე წამოგებული დეკორული თავისუფლად შეიწეის.

სულ ნაპირა დარბაზი—ელისაბედის ოთახი— გასული საუკუნის დამდეგს მოუხატავთ. კედლის მხატვრობა ციხე-დარბაზიდან განდევნილი დედოფლის ვარტბურგში ცხოვრების ამბებს მოგვითხრობს...

ქვის დახვეულ კიბეს მესამე სართულში აყვავებთ. სწორედ ამ სართულზეა მოთავსებული შუა საუკუნეების გერმანული ხუროთმოძღვრებისა და კედლის ფერწერის ნიმუში — დარბაზი, სადაც მომღერალთა შეჯიბრი, ან, როგორც აქ ეძახიან, ვოკალური ტურნირები იმართებოდა.

მალაპტეებიანი ნათელი დარბაზი, რომლის ნაქანდაკევი ლავგარდანები და ქერი კვრცხისგულისფერ პარკეტის იატაკში მოჩანს, ორ ნაწილადაა გაყოფილი—სცენად და საკუთრივ დარბაზად. დარბაზში ადგილს იკავებდა ოჯახის წევრებითა და ახლობლებით გარსშემორტყმული ლანდგრაფი, უფრო დაბალი წოდების პირები კი მათს ირგვლივ მოთავსდებოდნენ. სანახაობის მთავარი გმირები— მომღერლები სცენაზე აღიოდნენ და თავდაუზოგავდებოდად ერთმანეთს, რათა პირველი ადგილი დაესაკუთრებინათ.

შემორჩენილი ლეგენდა ირწმუნება, რომ ორთა შეჯიბრის დროს მეორე ადგილის დაკავება გარდაუვალ სიკვდილს მოასწავებდა. დამარცხებულს უმალვე დარბაზიდან გაიყვანდნენ და ლანდგრაფის ჭალათს, რომელიც უკვე

მსხვერპლს ელოდა, ამ უბედურისათვის ნაჯახით თავი უნდა დაეცხუნებინა.

დარბაზი დიდებულად მორთული საზოგადოებითაა საესე. ოქროს შანდლებსა და ჭალებში ასობით სანთელი ბრღღვიალებს, ბრწყინავს ოქროსქსოვილი ზავერდი, ატლასი და სიასამური. შუბლშეკრული ყიურისცენას დაჟინებით უყურებს. სურათის შუაგულში მოქცეული ორი ახალგაზრდარაინდი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შერკინებია ერთმანეთს. ერთი უკვე მღერის. ახლადწერულვაშწამოშლილი ჭაბუკის სიამაყე ნებას არ აძლევს შინაგანი თრთოლვა გამოამჟღავნოს და თავლებში უნებლიე შიშამდგარი ჯიუტად იმედოვნებს, გამარჯვება სწორედ მე დამარჩება და შინ დედას სალ-სალამათი მივუვლო. მაგრამ ამასვე ფიქრობს მეორე, მეტოქეზე არანაკლებ ნატიფი და სიცოცხლეს მოწყურებული ჭაბუკი, ვისი სიმღერის რიგიც ეს-ესაა მოაწევს...

ქვის დახვეულ კიბეს სულ ზემო სართულზე აყვავით და ყველასდა გასაოცრად კედლიდან კედლამდე დანომრილი სელის სკამებით გაწყობილ თანამედროვე საკონცერტო დარბაზში აღმოვჩნდით.

ეს თურმე ტიურინგიის უმშვენიერესი საკონცერტო დარბაზია, სხვებზე უფრო ძველი და წარსული დიდებით შემკობილი.

გერმანიის ყოველი ისტორიული ძეგლი თუ მუზეუმი, მათ შორის ვარტბურგიც, ერთან ცოცხალ კავშირს დღესაც ინარჩუნებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში მონაწილეობს.

წელიწადში ორ-სამჯერ დარბაზი მუსიკის მოყვარული ხალხით გაიქედება და იმ ბედნიერ დღეს „ვარტბურგის კონცერტს“ ტიურინგიის რადიოსადგურები მთელი დედამიწის ზურგს გადასცემენ.

ვარტბურგის საკონცერტო დარბაზში საუკუნეობრივად დაკანონებული ჩვეულება თუ წესი სხვა დარბაზების წეს-

ჩვეულებათაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მხოლოდ სახელგანთქმული გერმანელი მუსიკოს-შემსრულებლები, ანდა გერმანიაში სტუმრად ჩამოსული ასევე სახელგანთქმული უცხოელები გამოდიან.

ვარტბურგის საკონცერტო დარბაზში უკრავდა ფრანც ლისტი. უკრავდა იოჰან სებასტიან ბახი, რიჰარდ ვაგნერი. აქ უკრავდა მრავალი სხვა სახელოვანი მუსიკოსი. სულ ბოლო ხანს დირიჟორის პულტზე მდგარა არამ ხაჩატურიანი და ტიურინგიის სიმფონიურ ორკესტრს „გაიანეს“ ცეცხლოვანი საცეკვაო შეუსრულებია.

## 25

ამავე სართულზე, პალასის ბრწყინვალე პალატებს შორის, არის ერთი პატარა, მეზობელი ოთახისაგან ფიცრული კედლით გადატიხრული ოთახი. უკიდურესი სისადავითა და მოუწყობლობით თვალსაჩინო და ყურადღებამისაქცევი. ოთახში ხის უბრალო მაგიდა, სკამი და თუჯის ღუმელი დგას. ერთადერთ კარს სასახლის სხვადასხვა ნაწილების შემაერთებელ ტალანში გავყავართ, ფანჯარა კი სადღაც ძირს, თითქოს ქვესკნელის ფსკერზე დარჩენილ აიზენახს გადააყურებს...

ამ ოთახში ცხოვრობდა და დღიანღამიანა ამ ხის მაგიდას უჭდა გერმანული პროტესტანტიზმის მამამთავარი მარტინ ლუთერი.

ლუთერი გერმანელებისათვის ერთი უწმინდესი სახელია, რადგან ამ სახელს უკავშირდება ბევრი რამ, რამაც შემდგომ გერმანელი ერი აამაღლა და სამუდამო ადგილი მსოფლიოს ყველაზე უფრო დაწინაურებული ერების გვერდით მიუჩინა.

მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს ლუთერი ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კურსს კითხულობდა ვიტენბერგის უნივერსიტეტში. ქრისტიანული მოძღვრების ღრმად შესწავლამ ახალგაზრდა მეცნიერი იმ დისკვანამდე მიიყვან-

ნა, რომ ღმერთის რწმენა თვითელი მორწმუნის სინდისისა და მინაგანი მოთხოვნილებების საქმეა. ერთიერთგანსთან შესაერთებლად და დასაკავშირებლად ღმერთსა და ადამიანს შუამავალი არ სჭირდებათ. თვითელი მლოცველის სული რელიგიური აღტყინების წუთებში თვითვე სწვდება ღმერთს და ღმერთიც არასოდეს არ სტოვებს მორწმუნე ადამიანს, ვინაიდან იგი ამ უკანასკნელის არსია...

ოცდარვა წლის ლუთერმა რომში იმოგზაურა და იქ ნანახ-განცდილმა პატრიოსანი მადაროელის შვილი და ცხოვრების სიდუხჭირეში გამოზრდილი ახალგაზრდა მეცნიერი კიდევ უფრო აამხედრა კათოლიკური ეკლესიის ფარისევლობისა და ტირანული ძალმომრეობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღაშფოთა და ცხოველური ზიზღი მოჰკვარა ლუთერს პაპის ინკვიზიციის თვითნებობამ თავისუფლად მოაზროვნე ყოველი ადამიანის მიმართ, სიტყვა-შეუბრუნებელი, განუსჯელი მორჩილების ქადაგებამ პაპის სასულიერო ხელისუფლების მხრივ და, აგრეთვე, ვატიკანის უსირცხვილო ვაჭრობამ ეგრეთწოდებულ ინდულგენციებით, რომლის მფლობელი, თუ კარდინალთა საბჭოს მართლა რაიმე დაეჭვებოდა, იმქვეყნიურ სასუფეველს ჰპოვებდა და აუცილებლად სამოთხეში მოხვდებოდა...

ლუთერმა დაინახა, რომ იმისაგან, რაც ოდესღაც გლახაკთა მოსარჩლედ დაიბადა და ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ხალხიც კი გაიყოლია, აჩრდილიც აღარ იყო დარჩენილი. პაპს კარდინალებს და საეკლესიო მამათა ერთგულ თანაშემწეებს ხელთ ეგდოთ მთელი ამქვეყნიური ძალაუფლება და ძმობისა და თანასწორობის საზეიმოდ გოლგოთაზე ასული ქრისტეს სახელით თავიანთ პირად ძლევაშეწყობას კიდევ უფრო აძლიერებდნენ.

სულით ხორცამდე ამბოხებულმა ლუთერმა შინ დაბრუნებისთანავე ოთხმოცდათხუთმეტი თეზისისაგან შემდგარი პროტესტი დასწერა და იგი ვიტენ-

ბერგის ეკლესიაში—შლოსკირხეში გამოკიდა...

ეს ამბავი, რასაკვირველია, წარმოუდგენელი მკრეხელობა იყო და შუა საუკუნეების ბნელეთში ღვთის გმობას უდრიდა.

ვიტენბერგელი ახალგაზრდა პროფესორის მიერ კათოლიკურ ეკლესიაზე თავდასხმის ცნობა მსწრაფლ მთელ გერმანიას და ევროპას მოედო. დამყაყებული ერთფეროვნებით გულამღვრულმა ახალგაზრდობამ სიმართლის სუნი იყრა და მუხუჭური ცეცხლით აგზნებული პროფესორის კვალდაკვალ პროტესტანტიზმის სულით განიმსჭვალა. ძველმა თეოლოგებმა, ორთოდოქსალური კათოლიციზმის იდეოლოგებმა, ლუთერი საჯაროდ დისკუსიაში გაიწვიეს. ეკლესიის თავდაჯერებულ მამებს, ალბათ, გულუბრყვილოდ სწამდათ რომ გამარჯვება ადვილი მოსაპოვებელი იყო. გაჩაღდა ყოველად უთანასწორო და შეურიგებელი ბრძოლა...

ლაიპციგში გამართული საჯარო დისკუსიის შემდეგ საქმე ისე გამწვავდა, რომ ლუთერი იძულებული გახდა ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა კათოლიკურ ეკლესიასთან.

ეკლესიის მხრივ სრული მოუთმენლობის გამოჩენამ და თავისუფალი აზრის წინააღმდეგ ძალმომრეობის ახალმა გამოვლინებამ ლუთერის მომხრეების ბანაკი ერთობ ალაშფოთა. ვიტენბერგის სტუდენტობამ თავი მოიყარა ქალაქის მთავარ მოედანზე, უნივერსიტეტის წინ და საჯაროდ კოცონზე დასწვა პაპის ბულა, რომელშიაც ვიტენბერგის მოქალაქე და უნივერსიტეტის პროფესორი მარტინ ლუთერი „ღვთის გმობისა და ერეტკოსობის გამო“ ეკლესიიდან მოკვეთილად იყო გამოცხადებული...

იმავე დღეს, კოცონის ნანთებ ადგილზე, ახალგაზრდობამ ორმო ამოთხარა და მომხდარი ამბის სამახსოვროდ შიგ მუხა დარგო. დიდი დრო გავიდა მის შემდეგ და მუხა ისევ დგას. მხოლოდ ამას წინათ დააპირეს პროტესტანტი-

ზმის აშკარა მოწინააღმდეგეებმა მისი მოკრა, სცადეს კიდევაც, მაგრამ წმინდა ხე რომელიდაც ბედნიერმა შემსახვევმა გადაარჩინა და ჩვენს დრომდე თითქმის უვნებლად შემოინახა...

ლუთერი რაიხსტაგში დაიბარეს და მოსთხოვეს საჯაროდ ეთქვა უარი კათოლიკურ ეკლესიის საწინააღმდეგო შეხედულებებზე. ამბობებულმა და თვით შემოთავაზებული წინადადებით შეურაცხყოფილმა მეცნიერმა წარბიც არ შეინახა და, თუმცა გაჯიქბა სანუგეშოს არას უქადდა, ერთხელ კიდევ დაბეჭვითებით გაიმეორა ის, რასაც რომის პაპსა და კათოლიკურ ეკლესიაზე ფიქრობდა.

მაშინ ის საბოლოოდ შეაჩვენა კათოლიკურმა ეკლესიამ, ხოლო რაიხსტაგმა, რათა პაპის სიტყვა შეუბრუნებელი მოჩილებით რომი ესიამოვნებინა, თავისი რწმენის უყოყმანოდ ერთგული ლუთერი კანონგარეთ გამოაცხადა. ამ წუთიდან ყოველ გარეწარს შეეძლო მისი მოკლა, თანაც ისე, რომ მკვლელობის გამო არც კანონისა და არც საკუთარი სინდისის წინაშე პასუხს არ აგებდა.

ლუთერს ისღა დარჩა, გვარი გამოეცვალა და ყველასაგან განაპირებული მშობელ ვეზო-ყურეს გასცლოდა. გვარგამოცვლილი და გადაცმული ლუთერი იმავე წელიწადს საქსონიის კურფიურსტმა სხვათა დასანახავად შეიპყრო და, როგორც პატიმარი, ვარტბურგის ციხესიმაგრეში მოათავსა. აქ ველარც რელიგიური ფანტიზმით შეპყრობილი ბრბო მისწვდებოდა ნახევრად ბნელ საკანში განმარტოებულ ტუსაღს, ვისი ნამდვილი ვინაობა საქსონიის კურფიურსტის გარდა ძე-ხორციელმა არ იცოდა, დავერც რომის პაპი...

კაცთა მოდგმისაგან მივიწყებული და კარგამოკეტილი მარტინ ლუთერი მეორე დღესვე მიუქდა მავიდას პალასის ამ პაწაწინა სენაკში და ათი კვირის განმავლობაში ძველი ბერძნულიდან თარგმნა „ახალი აღთქმა“.

„ახალი აღთქმის“ ლუთერისეულ თარგმანს კერძანელები თავიანთ პირველ

ლიტერატურულ ძეგლად თვლიან. აქედან იწყება გერმანული სამწერლო ენა და ლიტერატურა...

მსოფლიო კათოლიკური ეკლესიის ენაა, რომელზედაც წირვა-ლოცვა და ყველა რელიგიური რიტუალი მიმდინარეობს, დედამიწის, ორივე ნახევარსფეროში ლათინური ითვლება. ლათინური ტიპიკონის შემწეობით რომის ეკლესია დამპყრობელურ მიზნებს ახორციელებდა და ეროვნული კულტურების წინააღმდეგ, ისევე და ისევე ჯვარტყმულ ქრისტეს სახელით, თუმცა ის წმიდა სისხლის ებრაელი იყო და არა რომაელი, უხეშ ძალმომრეობას ეწეოდა.

ახრი „ახალი აღთქმის“ გერმანულად გადმოთარგმნისა ლუთერის რელიგიური მრწამსის თავი და ბოლოა. ვინაიდან ყოველი ქვეყნარტი მორწმუნე ღვთაებას უშუალოდ სწვდება, მან მხოლოდ იმ ენით უნდა მიმართოს თავის ღმერთს, რომელი ენაც უფრო ახლოა მლოცველის სულთან და გულთან. უახლოესი, მლოცველის სულთან და გულთან სასიციცხლო ძარღვებით გადაბმული ენა მხოლოდ მშობლიური ენაა და რადგანაც გერმანელიც ისეთივე მორწმუნე აღამიანია, როგორც სხვა, მაგალითად, რომელი, მას სრული უფლება ენიჭება ელაპარაკოს და კიდევაც უნდა ელაპარაკოს ღმერთს გერმანულად...

ეს უკანასკნელი მოსაზრება ლოგიკური აოცილებლობით ჰბადებდა ერთიანი გერმანული ენის შექმნის საქიროებას, რაც, თავის მხრივ, სამას პაწაწინა სამთავროდ დაქსაქსული გერმანიის ძლიერ ეროვნულ სახელმწიფოდ გაერთიანებას გულჩხმობდა...

მიყრუებულ საკანში მუშაობით თავბრუდახვეულ ლუთერს ერთ დამკვს ეშმაკი მოვლანდა. ეშმაკი ტალანიდან შემოსულიყო და ჯერ კიდევ წინა საღამოს გამოქრალ თუჯის ღუმელთან იდგა. ლუთერი არ დაბნეულა. დასტაცა ხელი სამელნეს და, რაც ძალა და ღონე გააჩნდა, სთხლიშა ეშმაკს. სამელნე კედელში დატანებულ კარის ჩარჩოს

მოხვდა, დაიმსხვრა და ჩარჩოზე მელნის ლაქა დარჩა... ერეკნული

აგერ მეექვსე საუკუნე იწყობა. ლუთერის ოთახის ყოველი მნახველი, ვთსაც ეს ამბავი აღრევე გაუგონია, ამ ლაქას ეძებს. ლაქა ან ლაქის მსგავსი რაღაც შეიძლება მართლა იყო. სუვენირების მოყვარულ ზოგიერთ სტუმარს ვერ მოუთმენია და კარის ჩარჩოზე პატარა ნაფოტი ამოუჭრია შინ წასაღებად და სამახსოვროდ. კედელს და ქვითიკრის კედელში ჩაფლულ კარის ჩარჩოს ქარბად ემჩნევა სუვენირების მოყვარულთა მოღვაწეობის კვალი.

ოთახში ისევე ის სკამი და მაგიდა დგას, რომელზედაც ოდესღაც სიმართლისათვის დევნილი და სასიკვდილოდ გამეტებული ლუთერი მუშაობდა. მაგიდაზე გადაშლილია სტამბიდან მოსული სარედაქტორო ეგზემპლარი „ახალი აღთქმისა“, რომლის მოყვითალო მიწვრებზე ლუთერის ხელით შენიშვნები გაკეთებული...

აიხენახში როდესაც, ჩამოვბრუნდით, უკვე ბინდდებოდა. თან ნისლიც ჩამოწოლილიყო. ნისლი ისე სქლად ედო დედამიწას, ორი-სამი ნაბიჯის იქით ძნელად თუ რასმე დაინახავდი. გზაში რომ ალაღებდად არაფერს წავმტვრეოდით, ჰორსტმა სიჩქარეს მოუკლო და სინათლე სულ ჩააჭრო. გამოცდილი შოფრები დიდი ნისლიანობის დროს თურმე ყოველთვის ასე იქცევიან. ღამის უკუნეთში ძლივსძლივობით იყვეთებოდა ავტოსტრადის შუაგულში გავლებული წყვეტილი თეთრი ხაზი. ხანდახან გაუბედავად აგვივლიდნენ გვერდს მსუბუქი ავტომანქანები და ხომალდივით მოტორტმანე ავტობუსის ცხვირწინ ათასი მოულოდნელობით სავსე ნისლის უნაპირო ოკეანეში შეცურდებოდნენ...

ფიქრი კვლავ ლუთერის გარშემო ტრიალებდა. იმ პაწია სენაკში თუ საკანში, რომელშიაც მშობლიური კუთხიდან დევნილი და გვარგამოცვლილი მეცნიერი „ახალი აღთქმის“ ძველბერ-

ძნულ ტექსტს ჩაჰკირკიტებდა, კედელზე ხელის სიფართო ფერწერული სურათი ჰკიდია. სურათზე გამოხატულია წვერწამოზრდილი, უტეხი გამომეტყველების მქონე ოცდახუთმეტე-ორმოცი წლის შავგვრემანი კაცის სახე. რწმენითა და რალაციის თუ ვილაციის მიმართ ძლიერშესამჩნევი დამკინაობით აღესილი წყლიანი თვალეზი, სურათზე გამოხატულ წვერგაუპარსავ კაცს სადღაც შენს იქით მიუპყრია, თითქოს ყველაფერი, რაც მის წინაშეა, გამჰვირგაღლე იყოს. დაწვისთავეები ამოზურცვია, კრიჭა ჩიუტად შეუკრავს და ყბები ზედმეტად მოკუთხული გეჩვენება.

ეს კაცია სწორედ ლუთერი. იგი მკედელს უფრო ჰკავს. სურათში ხელეზი არ მოუჩანს, მაგრამ სახეზე შეხედვის უმაღლე გაივლებ გულში, რომ ხელეზი აუცილებლად კოჟრიანი და დაშაშრული ექნება. დიდი საერო და საქვეყნო საქმის გაკეთება მხოლოდ ამნაირ პატროსან ხელეზს შეუძლია. განა სხვანაირ ხელეზს ძალეშთ ისტორიის უზარმაზარი ლოდის გადაბრუნება?

მაღალ ვახშმოზისას აეტოსტრადიდან დაბლა დავეშვით და ისევ შევედით ვაიმარში. გოეთეს მშვიდობიანი ქალაქის მყუდრო ქუჩაბანდებს მომდევნო დილას უნდა გამოვთხოვებოდით. ამ სქელი ნისლის გადამკიდე ვაიმარი თავისთავს აღარ ჰკავდა. ნისლიდან გამოცურებული რუხი „ელეფანტი“ მაშინდა ვიცანით. როცა ჰოსტმა მანქანა დინჯად დაამუხრუჭა და ძნელი მგზავრობით გატანჯულმა უკან მოიხედა—მადლობა ღმერთს, შინ მშვიდობით მოვედით.

26

შაბათი დილა გათენდა. ჯერ კიდევ ალიონზე ხალხის შორეულმა ყაყანმა გამომადლიძა. მეუცხოვა—აქ, სასტუმროს მეოთხე სართულზე, რომლის ფანჯრები უკაცურ შიგაშოს გადაჰყურებს, ცალფა კარი კი ყრუ ტალანში გადის, ხალხის ჟრიაჟული და ყაყანი საიდან უნდა ისმოდეს-მეთქი.

ნასაუზმევს, როდესაც აეტობტესში ჩასასხლომად ბარგი-ბარხანა აკეცაქრდი და მოედანზე გამოვეფინეთ. შველავდა რი ცხადი შეიქნა.

ვაიმარის ამ მთავარ მოედანს ტყუილად როდი რქმევია ბაზრის მოედანი. აქ თურმე ყოველ შაბათსა და კვირადღეს ნამდვილი ბაზრობა იმართება.

ამ დილასაც, გათენებამდე, შუაგულ მოედანზე სახელდახელოდ დახლები მოეწყოთ და ზედ სხვადასხვანაირი სანოვაგე — ბოსტნეული, ხილი, თაფლი, კვერცხი და ძროხეული დაეხეავებინათ. წითელყვითლად, თითქოსდა საკარნავალოდ გამოწყობილი ტიურინგიის მთისა და ბარის გლებობა აქ შეკრებილიყო და ბუნებას მოწყვეტილ ქალაქელებს სახის დაქდაჯი ფერსა და ფილტვებიდან ლაღად მომდინარე ხმას ახარებდა.

ვაიმარს სქელი ნისლი აწვა ღამით კიდევ წამოეწვიმა. ფილაქანი აბრწყინებული იყო. კარლ ავგუსტისეული ციხე-დარბაზის საათიანი კოშკი ქალაქის თავზე ჩამოწოლილ ნისლს შთაენთქა და აქედან თავწაკვეთილს ჰკავდა.

ლისტის სახლს მარიენშტრასეზე უკანასკნელად გავუარეთ. მარცხნივ დარჩა გოეთეს ხელით გაშენებული მარადსახსოვარი ცაცხენარი. მალე ვაიმარელ რჩეულთა საფლავებით მოფენილი პანთეონიც ჩამოვიტოვეთ და აუტობანზე გასვლისას წინ პირველი წარწერა ამოიზარდა — იენამდე ერთი კილომეტრიაო.

ამ ადგილიდან კი სულ აღმოსავლეთისაკენ უნდა გვევლო და ნაშუადღევს ისევ ელების ნაპირებთან გავსულიყავით, ოღონდ ამჯერად სულ სხვა ადგილას—სამაზრო ქალაქ მაისენთან, რომელსაც გერმანიასა და მთელს ევროპაში „ფაიფურის სატახტო ქალაქს“ უწოდებენ.

მაისენის თეთრი ფაიფური, როგორც ნაკეთობის შინაგანი კეთილშობილებით, ისე გარეგნული ფორმებითა და მოჭიქულობით განთქმულია მთელი დედამიწის ზურგზე. აღრეულ შუა სა-

უკუნიშნებში და შემდეგაც ფაიფურის კურკლით ვაჭრობა აღმოსავლეთის ქვეყნების — იაპონიისა და ჩინეთის ხელთ იყო. ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობაზე ამ ქვეყნების ვაჭრებს დიდძალი ფაიფური ჩამოჰქონდათ და ვინაიდან მეტოქე არავინ ჰყავდათ და ფასებს თავადვე ადგენდნენ, უკან გამდიდრებული ბრუნდებოდნენ. წამხედურობის სენით დაავადებული საქსონელი თავადაზნაურობა და მეფეები მაცოუნებელი ჩინური და იაპონური ლარნაკების, სერკიზისა და ნაირ-ნაირი მორთულობის სანაცვლოდ ზღაპრულ თანხებს იხდიდნენ. ფაიფურის საკუთარი მანუფაქტურის შესაქმნელად ოცნებაც კი არავის შეეძლო. ევროპა უკვე შერიგებული იყო აზრს, რომ ძვირადღირებული ფაიფურის წარმოება სამუდამოდ დაისაკუთრა ბარბაროსმა აღმოსავლეთმა...

მაისენის ფაიფური სრულიად შემთხვევით აღმოაჩინეს.

ხელოვნების მოყვარულმა მონარქმა ავგუსტ ძლიერმა, საქსონიის კურფიურსტმა და პოლონეთის მეფემ მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს ალბრეხტსბურგში — მაისენის განმგებლის ციხე-დარბაზში ჩამწყვდია აქაური მეაფეთიქე და ალქიმიკოსი იოჰან ფრიდრიხ ბეტკერი, გაძლიერებული ბადრაგი მიუჩინა, რათა ციხე-დარბაზიდან ფეხიკვერ გამოედგა და უბრძანა თავისი ცდები ნივთიერებათა გარდაქმნისა მანამ გაეგრძელებინა, ვიდრე ოქროს არ მიიღებდა.

ფუფუნებასა და გარეგნულ ბრწყინვალეობას ჩვეულ კურფიურსტს, რომელსაც არც ფანტაზია აკლდა და გემოვნებაც დახვეწილი ჰქონდა, ოქრო ძალიან სჭირდებოდა. სხვა აურაცხელ ხარჯებს რომ თავი დაეანებოთ, სამეფო კარის ხაზინადარი ყოველწლიურად ასიათასობით ტალერს უხდიდა სიმდიდრეს დახარბებული ფეოდალებისა და მეფეების სულით ხორცამდე გასაფუცქნელად გერმანიაში მოსულ

იაპონელ და ჩინელ წვერცამეტა ვაჭრებს.

ერეკუნული

საგვარეულო აკლდამხმარებელმა იოჰან ჩამწყვდეული ალქიმიკოსი იოჰან ფრიდრიხ ბეტკერი დღესა და ღამეს ასწორებდა, იქნებ მეფის ტყვეობიდან თავი როგორმე დავიხსნაო, შეუსვენებლივ მუშაობდა, ცდას ცდაზე აყენებდა, მაგრამ სასურველი მიზნისაგან ისევე შორს იყო, როგორც ალბრეხტსბურგის დირეზე გადმობიჯების პირველ წუთებში.

ერთხელ, ზამთრის მიწურულში, სხვა მინერალებთან ალაღბედზე შერეული მაისენური თიხის გამოწვისას ბეტკერმა სრულიად ახალი ნივთიერება მიიღო და მოულოდნელი აღმოჩენით შეტრულს კინალამ ენა ჩაუვარდა. ახალი ნივთიერება ფაიფური იყო. ის თავის თვისებებით ჩინურ ან იაპონურ ფაიფურს ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა.

აღმოჩენის ამბავი დაუყოვნებლივ ავგუსტს მოახსენეს. ავგუსტ ძლიერი თავისი ფეხით მიიჭრა ალბრეხტსბურგში და აკლდამისებურ საკანში კარგამოკეტილი მეცნიერი მოინახულა.

ბეტკერი გაოგნებული იყო. მრავალი წლის შრომის მოულოდნელი ჭილღო ისევ ხელში ეჭირა და ვით ბერიკაცობაში შექმნილ ჩვილ პირშმოს ზედ ხარბად დაკუყრებდა.

იმ დღიდან ხელმწიფის საჯანგებო ბრძანებით ალბრეხტსბურგის შეიარაღებული ბადრაგი გაასამკვეცეს და იოჰან ბეტკერს გარესამყაროსთან დაკავშირების ყველა საშუალება მოუსპეს.

დიდი აღმოჩენის საიდუმლოება, რასაც განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქსონიის სამეფო ხაზინის შერეული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ალბრეხტსბურგის კედლებს არამც დაარამც არ უნდა გამოსცდენოდა. გერმანელი მეაფეთიქის მიერ ფაიფურის მიღების ამბავს მეფის ტახტთან დაახლოებულ დიდგვაროვან კარისკაცებსაც კი უშლაღედნენ.



ავგუსტის განკარგულებით შედგენილი საგანგებო კომისია მთელი წლის განმავლობაში სწავლობდა და უკირკიტებდა ბეტჰერის მასალებს. როგორც კი მეცნიერი ექსპერტები ჯოკმანს მორჩნენ და შეაფთიაქე ბეტჰერის მონაცემები დაადასტურეს, ყოველის მხრივ მიუღდგომელ ალბრეხტსბურგში დიდი საიდუმლოებით გარემოსილი ფაიფურის მანუფაქტურის პირველი ფაბრიკა თუ საამქრო გაიხსნა. თავდაპირველად ფაბრიკაში ორმოცდაათამდე კაცი და ქალი მუშაობდა. მერე და მერე მუშახელის რიცხვი თანდათან გაიზარდა.

ლაიპციგის საგანაფხულო ბაზრობაზე მაისის ცის გრუხუნით დაიგრგვინა თითქმის დაუჭერებელმა აზრებმა: საქსონიის კურფიურსტმა და პოლონეთის მეფემ ავგუსტ ძლიერმა აღმოსავლური ფაიფურის საუკუნეობრივი ბატონობის დასამზობად საკუთარი ფაიფური გამოიტანა და ამიერიდან უძვირფასესი კერამიკის დიდი ფაბრიკების მფლობელ აზიელებს ევროპის კონტინენტის ბაზრებიდან გაძევებით დაემუქრა.

ჩინელმა და იაპონელმა დიდვაჭრებმა ცხვირი ჩამოუშვეს. თუმცა იმათი საქმე ჯერ მთლად წაგებულნი როდი იყვნენ.

მაისენის ფაიფურის საბაზრო ფასი, რომელიც ჯერჯერობით საგრძნობლად აღემატებოდა აღმოსავლური ფაიფურის საბაზრო ფასს, მოკიქვის დაბალ ხარისხზე კიდევაც რომ აღარაფერი ეთქვათ, წარმოების ხარჯებს ძლიერ ანაზღაურებდა. ასე რომ, თუ წარმოებას მკვეთრად არ გააუმჯობესებდნენ, ნაკეთობის ფორმებს არ დახვეწდნენ და მოკიქულობას არ გააფაქიზებდნენ, მაისენს ჩინეთისა და იაპონიის მეტოქეობა არამცთუ ევროპის კონტინენტზე, თვით გერმანიის მიწა-წყალზეც არ შეეძლო.

ავგუსტ ძლიერი თავად ჩაუდგა სათავეში ამ მომგებიან საქმეს. წარმოება სასწრაფოდ გააფართოეს. ფაიფურის

ფაბრიკამ ალბრეხტსბურგის თითქმის ყველა დარბაზი დაიკავა. ამჟერად ფაბრიკის საამქროებში უკვე რვაასამდე მუშატი მეთუნე, მხატვარი და ცეცხლფარეში მუშაობდა.

იოჰან ფრიდრიხ ბეტჰერს, გერმანული ფაიფურის მამას, კურფიურსტმა მანუფაქტურის აღმინისტრატორობა უბოძა და გასამრჩელოც მეფური დაუნიშნა, მხოლოდ საიდუმლო ფაბრიკის აღმინისტრატორი კვლავ ალბრეხტსბურგის ტყვედ დარჩა. მას ციხე-დარბაზიდან გამოსვლის ნება არ ჰქონდა.

უბედურ მეცნიერს სატანჯველად გადაქცეული საქმის მოთავეობა დიდხანს როდი დასცალდა. იგი სულ მალე გარდაიცვალა ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა—ოცდაჩვიდმეტი წლისა, ოღონდ გერმანული ფაიფურის წარმოებას საიმედოდ განსწავლული ოსტატების მთელი თაობა კი დაუტოვა.

27

წყალზე ელბის კლდოვან ნაპირებზე გაშენებულ მაისენს უეცრად გადავადექით. ასე უეცრად ჩემს სიყმაწვილეში გადადგომივარ ზემო რაქის მწვანე სერებზე შეფენილ სოფლებს, როცა მთის ტყიანი ზურგი ამითავებია და უკანა კალთაზე თავდაღმა დაშვების წინ ყაყაოებით აბრიალებულ სათიბში ქვაზე ჩამოვმჯდარვარ.

ვიდრე შიგ შევიდოდით, მაისენი ზემოდან ხეხილნარში ჩაფლულ სოფელს მივამსგავსეთ. ვისაც დასავლეთ საქართველოს გზებზე გაუვლია, ვანისა და სამტრედიის გარეშემო ამნაირი დიდრონ-დიდრონი სოფლებისა და დაბების მეტს რას ნახავდა!

მაისენის განაპირა სახლების კედლებზე ქალაქის მტკრით გარუხებულ სურს იყო ასული. ფოთლებშეყვითლებული ცაცხვები და ქადრები, რომელთაგან თვითეული ასი-ასორმოცდაათი წლისა მაინც იქნებოდა, წითელი კრამიტით გადახურულ სახლებს თითქმის მთლიანად ფარავდა. აქა-იქ

მეხამრიდმიმაგრებული ქარხნის მიღები იჭრებოდა ქალაქის თავზე ჩამოწოლილ თხელ ბურუსში, თვით ქარხნების კორპუსებს კი ხეები ეფარებოდა.

ავტობუსი მძიმედ დაეშვა თავდაღმართში, მოხერხებულად მიუხვ-მოუხვია და ჩვეულებრივი წვრილი ფილაქნით მოგებულ ვიწრო ქუჩას გაჰყვა. წინ წითლად შეღებილი ტრამვაის მოგარძო ვაგონი მიხრიგინებდა. პორსტი ამაოდ იზნიქებოდა და გზას ზვერავედა—იქნებ სადმე გადაეასწრო. ვიწრო ქუჩაში, სადაც ტრამვაის მხოლოდ ერთი ხაზი იყო გაყვანილი და ვაგონებიც აგრეთვე ერთი მიმართულებით მოძრაობდნენ, სახლისოდენა ავტობუსი როგორღა გაეტეოდა.

სამსართულიანი რუხი სახლების წინ გაყოლებულ ქუჩას მარჯვენა მხრიდან რკინის დაბალი მესრით შემოღობილი სკვერი ეკრა. დეკორატიული ნარგავების მაგიერ სკვერში ცამდე აზიდული უზარმაზარი ცაცხვები შრიალებდნენ და იქაურობას აბნელებდნენ. ყოველი ხის ძირას და ბილიკებზე ბავშვებს მოეყარათ თავი. ვინ მიწას ჩიჩქნიდა, ვინ ხეზე აპოტინებდას ლამობდა, ვინ ატყრცილებულ ამხანაგებს გამოდევნებოდა და, რაკი ვერ მისწეოდა, გაწბილებული და ვულვოსული მოწეული წაბლის ბუძეგვით დაფრჩხალულიყო. პატარები, ალბათ, მახლობელი საბავშვო ბაღიდან შემოეყვანათ აღმზრდელებს და თავადაც იქვე, თავიანთ პაწაწინა მოწაფეებში ტრიალებდნენ.

პორსტმა ელბის რიყეზე გადმოგვსხა, რადგან ქალაქის ძველი ნაწილის ვიწრო ქუჩებში იმისი ვეება მანქანა ვერ მოტრიალდებოდა. ლურჯად მოლივლივე მდინარეს, რომელიც ახლო მანძილიდან ზღვისებრ თვალგაუწყვდენელი ჩანდა, ბამბის ჭუჭყიანი ნაფლეთები მოჰქონდა და ერთი კლდოვანი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ გატყორცნილი ხიდის ქვეშ თითქმის უხმაუროდ მიედინებოდა.

რიყეზე მყოფ კაცს თავი ღრმა ხევეში გვეგონება. უსწორმასწორო ნაპირები

ელბას საკმაოდ მაღალი აქვს და მისენის ძველი და ახალი კვარტლებიც სწორედ ამ ნაპირებზეა გაშენებული.

ელბის სარკეში თავდაღმა ჩაკიდებულან ქარაფებზე წამოდგმული წოწოლასახურავეიანი სახლები, გრძელი ხიდები და ჯვრიანი კოშკებით სიერცეში აჭრილი კასტიოლები, ყველაფერ ამას კი ქვეშ მოჰქვევია საკვირვლად ნათელი და ლურჯი ცა...

ელბას გრანიტის კლდიდან გადმოსცქერის ალბრეტსბურგის სახურავენს ზემოთ აღმართული ოთხი კოშკი მისენის საეპისკოპოსო ტაძრისა. შორიდან მაცქერალი კაცის თვალი ტაძარს და ციხე-დარბაზს ერთ განუყოფელ შენობად მიიჩნევს, თუმცა ორივე სულ სხვადასხვანაირ ყაიდაზეა აშენებული.

ალბრეტსბურგი ვარედან ყრუა. ბრტყელი და პირქუში, როგორც საზოგადოდ ფეოდალური ხანის საერო ნაგებობათა დიდი უმრავლესობა. სამაგიეროდ ტაძარი შორიდანვე გზიბლავს ხაზების სინატიფით, ფორმების ფანტასტიკურობით და განუყოფელი ელვარებით.

ესაა ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ციხე-დარბაზი, რომელსაც თავისი საერთო სილამაზით გერმანიაში ზადალი არ მოეპოება. გრანიტის ხრახნისებური კიბეებით დაკვეშირებული ყოველი სართულის ყოველი ოთახი თუ დარბაზი ერთიმეორისაგან მკვეთრად გამოირჩევა, როგორც პლაფონის, ისე კედლებისა და კარფანჯრების განლაგება-მოყვანილობით, რაც შუქჩრდილების გასაოცარ ეფექტს ქმნის. შენობის სტილი გოთურია, მაგრამ ამ მკაცრი, თითქმის პირქუში სტილით ძალიან დიდი სინაზე და ჰაეროვნებაა მიღწეული.

მცირე სასადილო — ფერად პარკეტში ჩაყირავებული თაღოვანი საბანკეტო დარბაზი — ბროლის ქაღიბითა და წითელი ხის უძველესი ავეჯით. მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. დადიხარ და გიკერის, სადუნდა მდგარიყო აქ ფაიფურის მანუ-

ფაქტურის დაზგები, ვინ გაუბედა ამ კედლებსა და იატაკს თუნდაც კეთილ-შობილი ფაიფურის ცომის შემოტანა და თხიზნა? მერე ქურკელს და სხვა ნაკეთობას გამოწვა ხომ უნდოდა? ნუთუ ქურაც აქ იდგა?

ფაბრიკის საამქროების მოსათესებელი შენობები მხოლოდ მეცხრაშეტე საუკუნის ბოლოს აშენდა და ფაიფურის მანუფაქტურამაც ამიერიდან იქ გადაინაცვლა, შეუდარებელმა ალბრეხტსბურგმა კი ბოლოსდაბოლოს თავისი პირვანდელი ღირსება და მომხიბლაობა დაიბრუნა.

ფაბრიკის სამსართულიან მოგრძო კორპუსებს მთელი კვარტალი უკირავთ ალბრეხტსბურგისაგან ხუთასი-დე ნაბიჯის მოშორებით, შემოდგომის მსუყე ფერებით მოქარგული მთის ძირას, ქალაქის ახალ ნაწილში და ყოველი კორპუსის ფართოფანჯრებიანი წინამო ცაცხვების ხეივანში გამოდის.

მთავარი შენობის წინ—ქუჩის გადაღმა — გრანიტის კვარცხლბეკზე გერმანული ფაიფურის მამის იოჰან ფრიდრიხ ბეტჰერის ბიუსტი დგას და ფართოდ გახელილი ფიქრიანი თვალებით ფაბრიკის ალაყაფის ქიშკარს გაპყურებს.

ნათელი ვესტიბიულის მინისკარიან ვიტრინებში მაისენური თიხისა და ხელოვნური მინარეკების ნიმუშებია გამოფენილი. თუ ყოველი ვიტრინის წინ გაჩერდები და ყველაფერს გულდასმით დაუკვირდები, აქ შეგიძლია წარმტაცი ფერებით მოჭიქული ფაიფურის ფინჯნის თუ ზღაპრული სილამაზით ყელმოღერებული ლარნაკის შექმნის მთელ ტექნოლოგიურ პროცესს თვალი გაადევნო.

საწარმოო პროცესი ორი უმთავრესი ნაწილისაგან შესდგება. პირველს—მაისენური თიხისა და მინარეკებისაგან ფაიფურის ცომის შემზადებას—ქიმიკოსები განაგებენ, ხოლო მეორეს — ცომისაგან სასურველი ფორმის მიღებას, მოჭიქვასა და გამოწვას—სკულპტო-

რები, მხატვარი-დეკორატორები და ისევე ქიმიკოსები.

ალბათ, ძნელია დედამიწის ქუთხე მოიძებნოს მეორე ისეთი საწარმო, სადაც ამდენი მხატვარი და მოქანდაკე—თითქმის ათასამდე კაცი!—ყოველ ცისმარე დღე ერთმანეთის გვერდით მუშაობდეს.

ფაიფურის ქურკლის თუ სკულპტურული ფიგურების ყოველი დეტალი ფაბრიკაში ხელით, ცალკე-ცალკე კეთდება. უფორმო ცომისაგან ნივთის გამოძერწვის ხერხები დღესაც ისეთივეა, როგორც ამ ორასწორმოცდაათი წლის წინათ იყო.

ისევე, როგორც ყოველ სახლსა და ციხე-დარბაზს ფეოდალურ თუ შემდგომი დროის გერმანიაში, მაისენის ფაიფურის მანუფაქტურასაც ჰქონდა თავისი ლერბი ანუ ტვიფრი. ეს ტვიფრი ჯერ კიდევ გამოუწვავი ქურკლის დაფარულ ადგილზე ამოჰყავდათ. ტვიფრმა მრავალნაირი სახეცვლილება განიცადა, იგი საუკუნიდან საუკუნეში იხვეწებოდა და ბოლოს წყვილი გადაჯვარედინებული სატევრის გამოხატულება მიიღო.

დღეს სწორედ ამ გადაჯვარედინებული სატევრებით სცნობენ მაისენის ფაიფურს დედამიწის ყოველ კუთხეში.

ქერწვის საამქროდან მუზეუმში გავედით. მუზეუმს მთავარი კორპუსის ოთხივე სართული უკავია. ვიტრინებში გამოფენილია და მნახველს თვალსაჭრის სადილის, ჩაის, ყავისა და ჩაიროზის უძვირფასესი სერვისი, ლარნაკები, საფერფლეები, ქაღები, სკულპტურული ვტიუდები და ყველაფერი, რის გაკეთებაც კი ჯადოქარი ადამიანის ხელს ფაიფურისაგან შეუძლია.

გოლიათი საშკა მოსრიალებულ პარკეტზე ფეხაყრფით დააბობებდა და ცდილობდა ყველა ვიტრინა თავისი ეიწროფირიანი კინოაპარატით გადაეღო. თან ეშინოდა, ღმერთი არ გამოიწყურეს, ემანდ გულაღმა არ გაევიშლართო და რამდენიმე ათას მარკად ღირებული ფაიფურის ლარნაკი ან ქურკლეულო-

ბით დატვირთული მთელი ვიტრინა  
ლუქმა-ლუქმა არ დაეამსხვრიოო.

მოსკოველი ახალგაზრდა ექიმები  
გრძნობდნენ დაწინაურებული საშუა-  
სწინადახედულ სიფრთხილეს და სიცი-  
ლით იგულდებოდნენ.

მუზეუმში გამოფენილი ყოველი ნივ-  
თი ერთადერთი და განუმეორებელია;  
ქეშმარიტი ხელოვანი თავისთავს არა-  
სოდეს არ იმეორებს. ამიტომ ეს ნივ-  
თები — გოლიათი საშუა ტყუილად რო-  
დი ვარაუდობდა — ძალიან ძვირად ფა-  
სობს. ბევრი ნივთი ფაბრიკის საკუთ-  
რებაა და არაეის არა აქვს ნება იგი  
ადგილიდან დასძრას და თუნდაც ეზო-  
ში გაიტანოს.

## 28

მგზავრობა მაისენიდან დრეზდენამდე  
ღამე მოგვიბდა. ღამე უმთავრო იყო,  
მავრამ გზას ქუჩის ნათურები და ფარ-  
დებამოფარებული ფანჯრებიდან გა-  
მომავალი შუქი გვინათებდა.

გზა ელბის პირს მისდევს და პირდა-  
პირ სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიე-  
მართება. მთელი ეს მანძილი — ოცდა-  
ხუთი კილომეტრი, რომელიც საქსონი-  
ის ორი ძველი, დიდი და პატარა ქალა-  
ქის შუა ძვეს, თითქმის უწყვეტი ქალა-  
ქია. თუ წინასწარ არ გითხრეს, ან საგ-  
ზაო წარწერებს თვალი არსად მოატანე,  
ძნელია უცხო კაცი მიხედვ, სად მთავრ-  
დება მაისენი და სად იწყება დრეზ-  
დენი.

საქსონიის ძველი სატახტო ქალაქი,  
კურფიურსტების რეზიდენცია — დრეზ-  
დენი უკანასკნელ ომამდე ნახევარმო-  
ლიონზე მეტ მცხოვრებს ითვლიდა. ახ-  
ლა, დამანგრეველი და ქვეყნის გამჩა-  
ნაგებელი ომის შემდეგ, მოსახლეობა  
საგრძნობლად შეთხლეებულია.

გამანადგურებელი საპაერო თავდასხ-  
მა ომის დამთავრებამდე სამი თვით ად-  
რე, 13 თებერვალს მოხდა. გვიან ღამით  
ჩაბნელებული დრეზდენის თავზე ათას-  
ხუთასი ამერიკული მფრინავი ციხე-სი-  
მაგრე გამოჩნდა და ყველაზე უფრო

მკიდროდ დასახლებულ უბნებს, კერ-  
ძოდ — ქალაქის შუაგულს უბომბვა  
დაუწყაო...

გობავა ჯადარიცხა

არ დაჩვენია სახლი, რომელსაც  
ცეცხლი არ ჰკიდებოდეს. უძველეს შე-  
ნობათა ნანგრევებით ჩაიხერგა ისედაც  
ვიწრო ქუჩები. დაინგრა გერმანული  
სუროთმოძღვრების განუმეორებელი  
შედეგარი — დრეზდენის სიამაყე — ცეინ-  
გერი, ჩამოიქცა ოპერის თეატრი, ცეცხ-  
ლი გაუჩნდა მსოფლიოში სახელგანთ-  
ქმულ ვალერეას, ხანძარში გახვია კა-  
რის ეკლესია, დაიწვა „იტალიური სო-  
ფელი“, მუზეუმი „მწვანე ბუკები“...

მხატვრობის, ფერწერისა და სუროთ-  
მოძღვრების უნიკალური ძეგლებით  
გამქმგილი ცენტრი — სულ 17 კვადრატ-  
ული კილომეტრი — გავარგარებულ  
მტვრად და ფერფლად იქცა...

დაბომბვა მთელ ღამეს გრძელდებო-  
და. განთიადის ყამს მომავკინებელი  
ტვირთით ფრთებდამძიმებული ბომბ-  
დამშენების უკანასკნელი ტალღა მოფ-  
რინდა და უამისოდაც ხანძარში გახვე-  
ულ ქალაქს ათობით ტონა ბომბი და-  
ყარა.

თვითმფრინავების ეს უკანასკნელი  
ლაშქრობა იქნებ სრულიად ზედმეტიც  
იყო. ძველი დრეზდენი, საქსონიისა და  
მთელი გერმანიის ბეკდისთვალი, უკვე  
აღარ არსებობდა. მის ადგილას ცეცხ-  
ლით შერუქული ნანგრევები, კვამლი  
და ცამდე აღმართული მტვრის ბული  
იდგა.

ღრმა სარდაფებში მიმალულმა და  
ალალებდზე გადარჩენილმა ადამიანებ-  
მა მხოლოდ მესამე დღეს მოახერხეს  
მზის სინათლეზე ამოსვლა და თავისი-  
ნების მოსაკლისება.

სად ვის ნახავდი, ან როგორ გააღ-  
წევდი ქუჩიდან ქუჩაში!

შემდეგ, როდესაც ომი დამთავრდა  
და ქვეყნად ნანატრი მშვიდობიანობა  
ჩამოვარდა, დრეზდენმა ეს კვირბი  
რიცხვი — 13 თებერვალი — ეროვნუ-  
ლი გლოვის დღედ გამოაცხადა.

ხანძრის ენებით შეტრუსულ კროიცი-  
კირხეში — ქალაქის მთავარ საყდარ-

ში—ამ დღეს ყოველწლიურად გამოდის ბიჭუნების გუნდი და სულისა და გულის შემძვრელ „დრეზდენის რეკვიემს“ ასრულებს.

„რეკვიემი“ გერმანიის თვალსაჩინო კომპოზიტორის პროფესორ მაურსბერგის კალამს ეკუთვნის და იგი დრეზდენისათვის მარად სახსოვარი ღამის ამბებისადმი მიძღვნილი.

—ყურადღება! ყურადღება!—მოისმა მიკროფონში ლეონასის ნამძინარევი ხმა,—ჩვენ უკვე დრეზდენის ცენტრში ვიმყოფებით. მიაქციეთ ყურადღება: ორი-სამი წუთის შემდეგ მარცხნივ დაეტოვებთ ცვინგერს...

ფანჯარას ვეცი და იქაურბაბას ხარბად მივაჩერდი. კაცი ვერაფრით იგრძნობდი, თუ ირგვლივ დიდი ევროპული ქალაქი იყო და შენ მართლა იმ დიდი ქალაქის შუაგულში იმყოფებოდი.

მანქანა ფართო გზატკეცილზე მიჰქროდა. არც მარჯვნივ და არც მარცხნივ ერთი დიდი ან მცირე სახლიც არ ჩანდა, მხოლოდ ტრიანო მინდერები იყო და იქით, გზიდან სამი თუ ოთხი კილომეტრის მოშორებით დალანდავდი თვალს ასანთის კოლოფისმაგვარ მრავალსართულიან სახლებს...

ათიოდე წუთის შემდეგ გზა ნეონის ნათურებით განათებულ ქუჩად იქცა. ქუჩის გასწვრივ, მარცხენა მხარეს, სამიოდუ მეტრი სივანის არხი დავინახე. არხში მღორედ მიედინებოდა ანკარა წყალი და რომელიღაც გრძელი შენობის რკინაბეტონის ბურჯებს ლოკავდა. პირველად მღორედ მოლივლივე წყლის სარკეში შევასწარ თვალი თეთრი ქვისაგან აშენებულ ერთსართულიან შენობას, რომლის შუაგული მრგვალ სვეტებზე დაფუძნებულ კოშკად ამალღებულყო და რომელიც ოდნავადაც არ მიაგავდა ჩემს მიერ აქამდე ნანახ რომელიმე ნაგებობას.

ეს ცვინგერი იყო.

მეხსიერებაში ღრმად ჩამრჩა თავმომრგვალებული განიერი ფანჯრების მწკრივი, ქვის გამწვდომი მოაჭირით შე-

მკობილი წინამო, ყოველი ფანჯრის ასწვრივ სოლებსშუა სიმეტრიული და დალაგებული სკულპტურული ფიგურები და, რაც მთავარია, ცენტრალური გუმბათოვანი თალი—კრონენ-ტორი, იმისი თეთრი სვეტები და ჰაეროვანი თალები ზედ ჩამომსსდარი ნიმუხებითა და ანგელოზებით...

საპაერო ბომბარდირების დროს დანგრეული ცვინგერის პირვანდელი სახით აღდგენა ომის დამთავრებისთანავე დაიწყო. დრეზდენის ათასობით და ათიათასობით უსახლკაროდ დარჩენილ მცხოვრებს ჯერ ღამის გასათევი თავშესაფარიც არ ჰქონდა.

ცვინგერი ხელახლა შენდებოდა, შენდებოდა, რადგან დრეზდენს არ შეეძლო უცვინგეროდ ცხოვრება. ის, როგორც მფარველი ღვთაება და ყოველი თაობის წმინდა სალოცავი, თანდათან ამოდიოდა ნანგრევებიდან და აღრინდელ ბრწყინვალეობას იბრუნებდა.

ქალაქის აღდგენა ძალზე მძიმედ მიმდინარეობს. უძველესი და ულამაზესი დრეზდენისათვის იმ სახის დაბრუნება, რომელიც მას ამ ოციოდე წლის წინათ ჰქონდა, ჩანს, მრავალ სიძნელეს აწყდება.

ოცი წლის წინათ დრეზდენი საცხოვრებელი სახლების, კურფიურსტთა სასახლეების, ტაძრებისა და ბულვარების ერთი მთლიანი ანსამბლი იყო.

დრეზდენის ძველი სახის აღსადგენად საჭიროა მთელი ანსამბლის აღდგენა, რაც თვითეული წვრილმანის — თავის დროზე იქნებ შეუმჩნეველი ამათუიმ სახლის ზედმიწევნით სიზუსტით აღდგენას მოითხოვს. დრეზდენის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ყოველ სტუდენტს. გამოცდილ ინჟინრებსა და ხუროთმოძღვრებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დავალებული აქვთ, როგორც სავალდებულო-საკურსო სამუშაო, მასწავლებელს ან საგანგებო კომისიას წარუდგინოს ბომბარდირებაში მოყოლილი და ახლა მივიწყებული სახლის სრული ან ნაწილობრივი დოკუმენტაცია და ამით ხელი შეუწყოს მშობლი-

ური ქალაქის არქიტექტურული სახის აღდგენას...

ძველი რომაელი და ფრანგი ვაჭრები, მისიონერი ბერები და დიპლომატები, რომლებიც აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობდნენ, დიდის ენაშენობითა და ფერადოვნად აგვიწერენ თუნდ გვიანი შუა საუკუნეების თბილისის სასახლეების ბრწყინვალეობას.

დრომ და ისტორიულმა უიღბლობამ ყოველივე პირწმინდად წარხოცა და დღეს ერთადერთი უძველესი სასახლეც აღარ მოგვეპოვება საქართველოს დედაქალაქში.

რარიგ წარმოუდგენლად ბედნიერი ვიქნებოდით, რარიგ აგვევსებოდა გული ერთგული სიამაყითა და მადლიერებით, ჩვენს შორისაც რომ აღმოჩენილიყვნენ იმნაირივე თავგამოდებული გულშემატკივრები, როგორიც დრეზდენს გამოუჩნდა და ყოველი საშუალებით ცდილიყვნენ იმის აღდგენას, რაც ოდესღაც გულღვარძლიანი მომხდურის ნაოხარი და ნაჰუსრი დედა-თბილისის მშვენიება იყო...

## 29

დრეზდენის ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერებისას ყოველ ნაბიჯზე გაიგონებ საქსონიის კურფიურსტისა და პოლონეთის მეფის ავგუსტ ძლიერის სახელს. ძალაუფლებას დახარბებულმა, ხელოვანთა და ლიტერატორთა მფარველმა კურფიურსტმა სიბერეში კათოლიკური სარწმუნოება მიიღო და ამან საშუალება მისცა პოლონეთის ტახტსაც დაჰპატრონებოდა. ავგუსტის პირმშო შვილი, ტახტის მემკვიდრე, მამის კვალს გაჰყვა, აგრეთვე კათოლიკობას ეზიარა და შემდგომ თეატრალურ მოედნად წოდებულ ქუჩების შესაყარში იტალიიდან დაბარებულ ოსტატებს კარის ეკლესია ააშენებინა.

იტალიელი ოსტატები, როგორც უცხო ტომის ხალხი, განცალკევებით დასახლდნენ მოედნის ერთ მხარეს და საქსონიის მეფის მოხელეებს ან ქალა-

ქის მოსახლეობას მაითან არაფერი ესაქმებოდა. უბნის სახელწოდება „იტალიური სოფელი“ კარგად შეიქმნა და წარმოსდგა.

იტალიელებმა კარის ეკლესია თავიანთებურად ააშენეს და ამ გარემოებამ შემდეგ მთელი მოედნის არქიტექტურული ანსამბლის სახე განსაზღვრა.

„იტალიური სოფლის“ ნანგრევის პირდაპირ სურათების გალერეის საქვეყნოდ განთქმული ფლიგელი დგას. გალერეის მოგრძოა შენობა ზურგით ოთხივე კუთხივ რომაული ყაიდის პალატებით შემოწყობილ ცვინგერის ეზოს ებჯინება.

სურათების გალერეის მშენებლობა 1847 წელს დაიწყო. მას თვით პროექტის ავტორი ზურთთმოდგარი გოტფრიდ ზემპერი ხელმძღვანელობდა. ზემპერისავე პროექტით აშენებდნენ ოპერის თეატრსაც. ზემპერმა თავისი ქმნილებების დამთავრება ვერ მოასწრო. იგი რევოლუციის ბარიკადებზე მონაჩქის წინააღმდეგ გამოვიდა და რევოლუციის დამარცხების შემდეგ დრეზდენში აღარ დაედგომებოდა. გალერეის და ოპერის მშენებლობა ამზობებული ზურთთმოდგრის შეიღმა მანფრედმა დაასრულა.

იმ ადგილას, სადაც დღეს სურათების გალერეის, ცოტა არ იყოს, ჯმუხი შენობა ცვინგერის ეზოს მეოთხე კედლის მოვალეობას ასრულებს, ოდესღაც ყმაწვილი პრინციის ქორწილთან დაკავშირებით ხის სახელდახელო ტრიბუნა დაუდგამთ. ტრიბუნიდან ახალგაზრდა მეფე-დედოფლის წარჩინებული სტუმრები, შინაურნი და გარეშენი, თვალს ადევნებდნენ საზეიმო ასპარეზობას, რომელიც კურფიურსტის კართან დაახლოებულ ახალგაზრდობას ცვინგერის ეზოში გაემართა.

კურფიურსტთა ოქროს საღარო ცვინგერი დღესაც თეატრალური და სპორტული სანახაობების ადგილია. აქ იმართება კროიციბორის ხალხმრავალი კონცერტები, გამოდის დრეზდენის ოპერის საბალეტო დასი, ეწყობა მოქაღრაყეთა,



მოფარევეთა, ტანმოვარჯიშეთა ტურნირები...

თეატრალურ მოედანს, რომლის ერთი მხარე ჯერაც აღუდგენელ ოპერის თეატრს უჭირავს, საპირისპირო მხრიდან აგრეთვე სანახევროდ დანგრეული რომაული ყაიდის სასახლე გადმოჰყურებს. თუ ხალხურ გადმოცემას ვერწმუნებით, ეს ბრწყინვალე სასახლე, ახლა რომ ასე საცოდავად დაფუშულა, კურფიურსტმა და მეფემ ავგუსტ ძლიერმა თავის ულამაზეს სატრფოს თუ სიძვის დიაცს აუშენა.

ორი ადლის სიმაღლე, მხარბეჭიანი ავგუსტი სულითაც და ხორციითაც ძლიერი აღამიანი ყოფილა. ამ თავნება საქსონელ რაინდს გერმანელები პეტრე პირველს ამგვანებენ. პეტრე და ავგუსტი თანამედროვეები იყვნენ. ვინ იცის, იქნებ გეროპის ქალაქებსა და ნავსადგურებში პეტრეს ხეტიალის დროს საქსონიის კურფიურსტი და რუსეთის ახალგაზრდა იმპერატორი კიდევაც შეხვდნენ ერთმანეთს...

ავგუსტს სამასი შვილი ჰყოლია. ამიტომაც დარჩენილა ხალხში გადმოცემა, ყოველი მეთათე საქსონელი კურფიურსტ ავგუსტ ძლიერის პირდაპირი შთამომავალიაო.

ავგუსტის განკარგულებით შექმნილი სურათების კოლექცია დაედო საფუძვლად მომდევნო საუკუნეებში საყოველთაოდ ცნობილ დრეზდენის გამოფენას. გამოფენის ყველაზე ძვირფასი ქმნილება რაფაელის „სიქსტეს მადონა“ და მრავალი სხვა შედევრი იტალიური თუ ფლამანდრიული ფერწერისა დრეზდენის სამუდამო კუთვნილებად სწორედ ავგუსტ ძლიერის წყალობით გამხდარა.

ომის უკანასკნელ თვეებში, როდესაც ფრონტებზე შექმნილმა უიმედო მდგომარეობამ გერმანია საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქმე წაგებული იყო, დაიწყო საიმედო თავშესაფრის ძიება დრეზდენის გალერეის დაუფასებელი ფონდების უშიშარ ადგილას მოსათავსებლად. სურათებისა და ძვირფასეუ-

ლობის დიდი ნაწილი დრეზდენის გრამსარდაფებში მიმალ-მომალტეს, ნაწილი საქსონიის შვეიცარიის მიწებზე, ხე-დარბაზებს შეაფარეს. ოცი თუ ოცდაათი სურათი ალბრეხტსტურგსა და ვარტბურგშიაც კი გაუგზავნიათ. ასევე მოქცევიან „მწვანე ბუების“ ძვირფასეულობასაც.

13 თებერვლის ღამეს სურათების გალერეის მრავალი შედევრი დაღუპულა ან დაკარგულა, ბევრი საგრძნობლად დაზიანებულა, მაგრამ ფერწერული ტილოების აღდგენის მოსკოველ ოსტატებს რესტავირება მოუხდენია...

შხერას როგორ მოსწყვეტ ოაფელის, ვერონესეს, ბოტიჩელის, პალმა ვეკიოს, ტიციანის, რუბენსის, რემბრანდტის, ვან დეიკის, ვუვერშანის ნამუშევრებს. მკრეხელობაც კია ამ ზეკაცურ ქმნილებებს ნამუშევრები უწოდო. ისინი თითქოს ასევე დაიბადნენ და ვიდრე იმად იქცეოდნენ, რაც არიან, არავითარი სახეცვლილება არ განუცდიათ. ძნელია წარმოიდგინო, რომ ოდესღაც თვითიული ქმნილება მხოლოდ ცალკეული ფერების სახით არსებობდა ბუნებაში. შერე შოვიდა რაფაელი — ღმერთი, უბრძანა ფერებს ამაღ და ამაღ იქცეითო და ისინი მყის სიქსტეს მადონად განლაგდნენ, გაცოცხლდნენ და ღვთაებრივ სრულყოფას შიადწიეს.

წელიწადში ორ-სამჯერ გალერეის ღიდი დარბაზები და გვერდითი სალონები ხალხით ივსება. რომელიმე სურათისადმი მიძღვნილ კონცერტს, რომელიც აქვე იმართება, მთელი დრეზდენი უსმენს...

სურათები აქ ისე ცხოვრობენ, როგორც აღამიანები: რაღაცას სწუხან, რაღაც უხარიათ, სუნთქავენ. შუქსა და ჩრდილს თვალს აჩევენ, სითბო-სიცივეს განიცდიან და, ასე გასიხვით, როდესაც სპეციალისტები საქიროდ მიიხნევენ — დასასვენებლადაც კი მიემგზავრებიან.

აგერ წელიწადზე მეტმა გაიარა, რაც

„სიქსტეს მადონას“ დედნის მაგიერ კედელზე დიდოსტატის ხელით შესრულებული ასლი ჰკიდია. ნამდვილი მადონა მოქანცულია და ისვენებს. ის მხოლოდ ერთი წლის შემდეგ შემობრძანდება სახეიმო შუქით გასხივოსნებულ დარბაზში და იმ ბედნიერ დღეს გალერეაში უეჭველად გაიმართება უწმინდეს და უნეტარეს ყმაწვილ დედისადმი მიძღვნილი კონცერტი...

## 30

დილაადრიან საქსონიის შვეიცარიის გზას გავუდევით. გზა ისევ წყალუბვ ელბას მიჰყვებოდა, მხოლოდ აღმა, მაისენის საწინააღმდეგო მიმართულებით. როდის-როდის შეთხელდა დრეზდენის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბნის მწვეანე ბაღჩა-ეზოები და წითელი კრამიტით გადახურული წოწოლა სახლები. წყალგალმა დარჩა ძველისძველი ციხე-დარბაზი პილნიცი, რომელიც აქეთა ნაპირიდან შუა მდინარეში გაჩერებულ თეთრ გემს მიაგავდა.

ხეხილნარში ჩამჯდარი სოფლის კორდები ავიარეთ. გზა უმალ გავაყდა და ირგვლივ კვლავ შაქრის ჭარხლით ამწვანებული თვალგაუწვდენი მინდვრები შემოგვერტყა შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცის დასალიერზე მოჩანდა მჭრჭალ ნისლში გახვეული ლურჯი მთები. ზედიზედ ვტოვებდით უკანასკნელ საქსონურ სოფლებს. გავიარეთ პატარა სამაზრო ქალაქის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ქუჩები და ხელახლა ტრიალ მინდვრებში გავედით...

გზა ჩვენდა შეუმიწველად მიიწვდა სულ მაღლა და მაღლა. ისევ წაებნენ ერთიმეორეს პატარაპატარა სოფლები, მწვეანე ეზოები, კრელი ძროხები, სურნელოვანი თივის ბუდეები. მინდორი უეცრად ფიჭვის ნორჩმა ტყემ შესცვალა. ნამდვილი საანძვე ფიჭვები იყო, სწორი. მაღალი და თავშიც თითქმის ისეთივე სიმსხოსი, როგორც მიწის პირზე. ტყე თვალდათვალ გახშირდა და ჩამობნელდა. მანქანის თვლები ახლა ნელი

გუგუნით მიბრიგინებდნენ წყობილად დაფენილ გრანიტის ფიჭვქანქანების მოშორებით, ხშირ ფიჭვქანქანების მოშორებით, ხშირ ფიჭვქანქანების მოშორებით. სოფლები უეცრად გამოწყობილი სოფლები ბავშვები დაეინახე. მოხდენილად მოწნული ძროხუნებულ ხელკალათები მკლავზე წამოეცვათ და ცნობისმოყვარე დიდრონი თვალებით აქეთ იყურებოდნენ — ესენი კიდევ ვინ არიანო. სოკოს საძებრად თუ იყვნენ გამოსული.

მანქანიდან ჩამოსვლის შემდეგ ორასიოდენ ნაბიჯი ფეხით გავიარეთ. გზა ქვის მაღალ მოაჯირს მიაღება. მგონი რაღაც იყო შემოღობილი. მოაჯირთან მივირბინე და საეცებით მოულოდნელი სანახაობით ანახდეულად შემკრთალი იქვე გავშეშდი.

მე გამუდმებული ქარ-წვიმითა და მიწისძვრებით დახეტიალი ფრიალო კლდის წვერზე ვიდექი. ლურჯი კლდის ძირას, ძერისფერი ვეება ლოდებით ამონჩხილ მწვეანე ხეობაში დინჯი და საკმაოდ განიერი მდინარე უჩინარ ზვირთებს მოაგორებდა, ვიცანი, ეს ისევ ელბა იყო, რომელსაც შორი გზიდან მოვუარეთ და ბასტიას კლდეებთან ისევ თავზე წამოვადექით.

თავბრუდამხვევ სიმაღლეზე შევეულად აზიდული კლდის წვერიდან კარგად ვხედავდი, როგორ მოცურავენ ელბაზე სამდინარო ფლოტილის თეთრი გემები, როგორ მოურიდებლად უჭრიდნენ მათ გზას ონავარი იალქნიანი ნავეები და ცხვირწაწვერებულ კატერები და ისინი კი ნება-ნება მოარღვევდნენ თითქოს ერთ ადგილზე გაჩერებული მდინარის წყალს, რადგან არსად ეჩქარებოდათ.

აქეთ მხოლოდ დასასვენებლად და ბუნების წიაღში განსამარტოვებლად მოემგზავრებოდა ადგილობრივი მკვიდრნიც და შორეული ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრებიც. გზაც სწორედ ამ მიზნითაა გამოყვანილი და „თეთრი ფლოტილიაც“ ამისთვის მოარღვევს მდორე ტალღებს.

მდინარის გაღმა ნაპირზე კლდეებში შეფარებული პაწია სადგური შევინახე.

ალაღაპებულ ლიანდაგებზე სატვირთო მატარებელი იდგა და თავში თუ ბოლოში გამობმული ხოქოსმავეარი ბრჭყვიალა ორთქლმავალი თეთრ კვალში იგრაგნებოდა.

ადამიანის მოუსვენარი ხელით გამოკვეთილ ციცაბო ბილიკებს ქვემოთ ჩაყვები. მარჯვნივ, ბუნებრივ ხერხელში ან ნაპრალში, უცებ ელბა გაიფლავებდა ხოლმე, მაგრამ ნაბიჯიც და ისევ მიიმალებოდა.

რანაირად ესწრაფვის მანც კაცი უკვდავებას!

ბასტიას კლდე-ღრეებსა, მღვიმეებსა და გამოქვაბულებში ხეტიალის დროს ყოველ ნაბიჯზე წააწყდები ქვაზე ამოტვიფრულ წარწერებს — ეს ხელი, ბუნების ეს განუმეორებელი სიმშვენიერე პირველად მე აღმოვაჩინეო.

ეს უცნაური წარწერები მეთვრამეტე საუკუნის საქსონელ ბერებს ეკუთვნით. ბერები ამ ადგილებში მართლაც სხვებზე ადრე მოსულან და განუზრახავთ კიდევაც ბასტიას მიდამოები წმინდადგილებად ექციათ. მაგრამ ბასტიას მკაცრი სილამაზის პირველ აღმომჩენად საქსონელ ბერებს მანც არავინ თვლის. თვით ბერებზე ადრე აქ სხვები ყოფილან — ჩეხი და უნგრელი მხატვრები. ისინი თურმე აქაურობის წარმტაც სიმშვენიერეს ხატავდნენ ნატურიდან.

ბასტიას ახლომახლო, უშთაფრესად ელბის მარჯვენა ნაპირზე, მოსახლეობა ძალიან მოგვიანებით გაჩენილა. ეს კლდოვანი მთები, ხევსუკები და ქიუხები გარეული ცხოველებითა და ფრინველებით მდიდარი სანადირო ადგილები იყო. ხანდახან ბარელ მეჯოგებს საქონელიც ამოჰყავდათ მთის საძოვრებზე. ისე, რომ აქ იშვიათად თუ დაადგამდა ფეხს ადამიანის შვილი.

საქსონის კურფიურსტი ავგუსტ ტორერი და პრუსიის კაიზერი ერთხელ თურმე საქსონიის შვეიცარიის ტყეებში ნადირობდნენ. კირვეული კაიზერი, რომელსაც თვალი სულ წაგლეჯაზე ეჭირა, ხელგაშლილი კურფიურსტის სტუმარი იყო. ნადირობისას მეფეებს შემოადამდათ და ღამე აქვე გაათიეს, მაგრამ ვიდრე კარვებს მოსასვენებლად მოაშურებდნენ, ირმის ცერთან მწვადებს შეექცნენ, ბურგუნდიის ძველისძველი ღვინოც ბლომად ჰქონდათ და აბა. რომელი უკეთესი ღვინოთვის შემოინახავდნენ.

ღვინო ორივეს მოეკიდა. შეზარხოშებულმა ავგუსტმა სტუმარი ელბას გაღმა გაახედა და ტიტველი გორა დაანახა — შენ ჩემი საყვარელი მეგობარი ხარ და ეს ტიტველი მთა საჩუქრად მომიერთმევიო.

ავგუსტის ეს საქციელი ყოვლად წინდაუხედავი სიბრიყვე იყო. უკეთუ პრუსიის გაუმადლარი კაიზერი შიშველ გორას დაეპატრონებოდა და ზედ ციხესიმაგრეს დადგამდა, მეგობრობასაც წამსვე მიიფიწყებდა და არამტოუ მართო დრეზდენს, მთელ საქსონიას გულიცანკალს აუტებდა.

მეორე დილას, როცა სიმთვრალემ გაიარა და ყველა გამოფხიზლდა, წინდაუხედავად ხელგაშლილი კურფიურსტი თავისი მოხერხებული მასხარის გონებასხვილობამ იხსნა... იგი ავგუსტის სახელით კაიზერს ეახლა და მოახსენა: ხომ გახსოვთ, თქვენო უმაღლესობავ, გუშინ შიშველი გორა მოგიძღვენით. კეთილ ინებეთ და დღესვე მოათხრევინეთ ვისმე პრუსიაში გადასატანად, ვინაიდან, მოგეხსენებათ, ის საქსონიის მიწაზეაო...

(გავრძელება იქნება)



სიმონ ჩიქოვანი

ახალი ცხოვრების თანამგზავრი

მიხეილ ლერმონტოვი, ალექსანდრე პუშკინთან ერთად, დიდი ნაციონალური რუსული პოეტური კულტურის, რუსული კლასიკური ლექსის და ახალი პოეტური ენის შექმნელია. მისმა განუმეორებელმა, მაღალმა ტალანტმა დიდად გაამდიდრა რუსული მწერლობა და მას მრავალი პოეტური შედევრი შესძინა. მიხეილ ლერმონტოვის გავლენა შემდგომი რუსულ პოეზიის განვითარებაზე უსაზღვროა და იგი დღემდე შეუწელებელი რჩება. მისი პოეზიის შინაგანი სიმძაფრე, სამყაროს თავისებური ხილვა, მეტაფორულობა, ჰიპერბოლიზმი და სხვა მრავალი მხატვრული თვისება შეფარვით თუ აშკარად ვლინდება თანამედროვე საბჭოთა პოეზიაშიც. კეთილშობილი ზრახვებით, კაცთმოყვარეობის გრძნობით გამსჭვალული და მხატვრული სრულყოფილობით გამოკვეთილი მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედება თანამედროვეობაში გადმოვიდა და ჩვენი სულიერი თანამგზავრი გახდა. ამ ხნის განმავლობაში მას ფერი არ უცვლია და პირვანდელი ელვარება არ დაუკარგავს, იგი უქცნობი და მარად გაუხუნებელია.

„დემონი“-ს ავტორის პოეზია სხვა და სხვა გზით და განხრით შეიქრა ალექსანდრე ბლოკის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინის და ბორის პასტერნაის მხატვრულ აზროვნებაში. მიხეილ ლერმონტოვის გავლენა მათ ლექსებში თავისებურად გადატყდა და სრულიად ახალი სახით გამოვლინდა არა მარტო ის არის ნიშანდობლივი მოვლენა, რომ ალექსანდრე ბლოკმა, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ და ბორის პასტერნაკმა,

თვითელმა მათგანმა საკუთარი „დემონი“ დასწერა და მიხეილ ლერმონტოვის მიერ აღმოჩენილი თემა განიმეორა (ა. ბლოკის „ორი დემონი“, ვ. მაიაკოვსკის „დემონი და თამარა“ და ბ. პასტერნაკის „დემონის ხსოვნას“), არამედ მათ განიცადეს „დემონი“-ს ავტორის მხატვრული აზროვნების და მისი პოეტური ხილვების უშუალო გავლენა.

მიხეილ ლერმონტოვი უნივერსალურია, მრავალფეროვანი და მრავალმხრივი. მის შთაგონებაში სათავე ჰპოვეს არა მარტო პოეტებმა, არამედ მრავალმა მუსიკოსმა და ფერმწერალმა. მიხეილ ლერმონტოვის პოეზიამ დიდი გავლენა მოახდინა გამოჩენილი რუსი მხატვრის ვრუბელის სულიერ ცხოვრებაზე. სამყაროს ვიზიონერულად ხილვით გატაცებულმა ვრუბელმა თავისებურად აითვისა მიხეილ ლერმონტოვის პოემების მხატვრული სამყარო და თავის ილუსტრაციებში მას კიდევ უფრო გაუცნაურებულ, ნაწილობრივ დეკადენტური ხასიათი მისცა. შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ბლოკმა და ბორის პასტერნაკმა მნიშვნელოვანი ანგარიში გაუწიეს მიხეილ ლერმონტოვის პოეზიის ვრუბელისეულ გაგებას და მათ შემოქმედებაში „დემონი“-ს თემის გამოძახილი ნაწილობრივ პოემის ილუსტრატორის ფერწერული ხილვების ანარეკლია.

ალექსანდრე ბლოკი დიდ წინაპართან ნათესაობას თავის „დემონში“ აღნიშნავდა „უცნაური ხილვებით“. ვლადიმერ მაიაკოვსკი, მიუხედავად მიხეილ ლერმონტოვის სტრიქონების პოლემიკური პერფორაციებისა და მათი გროტესკულ-ირონიული ათვისებისა, მინც, რო-

გორც თვითონ ამბობდა, ისიც მიხეილ ლერმონტოვის მიერ გამოქვეყნებული „პოეტური ბაფთის ნაწილია“. ხოლო ბორის პასტერნაკმა თავისი ლექსების წიგნი «Сестра моя жизнь» მთლიანად მიუძღვნა მიხეილ ლერმონტოვს და კრებული გახსნა ლექსით „დემონის ხსოვნას“. ამით თავისი სიყვარული და აღტაცება გამოსთქვა დიდი წინამორბედისადმი და იგი თითქოს თავისი სულიერი ცხოვრების წინამძღოლად გაიხადა. თვითელი მათგანი სხვადასხვანაირად იყო დანათესავებული დიდ წინაპართან, რომელმაც ნახევარი საუკუნით ადრე შეხედა სამყაროს ისე, როგორც ეს გამოსთქვა თავის „დემონში“ ალექსანდრე ბლოკმა 1916 წელს:

«Да, я возьму тебя с собою  
И вознесу тебя туда,  
Где кажется земля звездою,  
Землею кажется звезда.

И онемев от удивления,  
Ты узришь новые миры —  
Невероятные виденья,  
Создания моей игры...»

განა მიხეილ ლერმონტოვის ლირიული შედეგის —

«Выхожу один я на дорогу;  
Сквозь туман кремнистый путь блестит;  
Ночь тиха. Пустыня внемлет богу,  
И звезда с звездою говорит —»

გამოძახილი არ იკრძაობა ვლადიმერ მაიაკოვსკის სიკვდილის წინახანებში, ყოველგვარი ირონიის გარეშე დაწერილ წმინდა აღსარებაში:

«Ты посмотри, какая в мире тишь!  
Ночь обложила небо звездной данью.  
В такие вот часы встаешь и говоришь  
Векам, истории и мирозданию».

მიხეილ ლერმონტოვის ლექსების მუსიკალობა. მათი ამოცრება, კოლოვის უშუალოდსთან ერთად, გადავიდა სერგეი ესენინის ლექსებშიც და რუსულ პოეზიაში სრულიად ახალი ნაკადი შექმნა. მიხეილ ლერმონტოვის

მიერ დიდი პოეტური სუნთქვით შექმნილმა სტროფულმა წყობამ, მისმა ექსპრესულმა სინტაქსმა, კავშირად მთელი ლექსი ერთი ან სულ ორი-ოდე წინადადების სტროფიდან სტროფში გადასვლით არის დაწერილი, დიდი გავლენა მოახდინა «Сестра моя жизнь»-ის და «Разрыв»-ის პოეტურ წყობაზე. საერთოდ მიხეილ ლერმონტოვი შეოცე საუკუნის პოეზიაში შემოსულია, როგორც შინაური და გეზის მიმცემი.

მიხეილ ლერმონტოვის ადგილი რუსულ ნაციონალურ კულტურის განვითარებაში არ ამოიწურება და არ იფარგლება მისი პოეზიით, მან საერთოდ უდიდესი გავლენა მოახდინა მთელი რუსი ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაზე. მიხეილ ლერმონტოვმა არა მარტო ალექსანდრე პუშკინის ესტაფეტა გადასცა მომავალ თაობას, არამედ დეკაბრისტული, რადიშჩევსებური რევოლუციონური სული გადაიტანა მერმინდელ რუსულ მწერლობაში და შეამზადა ნეკრასოვისათვის საჭირო საზოგადოებრივი ატმოსფერო. იგი იყო თავისებური წინამორბედი მესამოციანე წლების მწერლობის ხალხურობისა და, გერცენის სიტყვებით რომ ვთქვათ, მან უანდერძა მომავალ თაობას „ყოველგვარი მონობისა და თვითნებობის შეურიგებელი სიძულვილი“.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, თუ რა სულიერი საზრდო მისცა მიხეილ ლერმონტოვმა არა მარტო ნეკრასოვს, ალექსანდრე ბლოკს, ვლადიმერ მაიაკოვსკის, სერგეი ესენინს და ბორის პასტერნაკს, არამედ ლევ ტოლსტოის, ანტონ ჩეხოვს, ივან ბუნინს და ჩვენს თანამედროვე პროზაიკოსებს. საერთოდ რუსული პროზა გამოვიდა არა მარტო გოგოლის „შინელი“-დან, როგორც ფდოსტოვესკი ამბობდა, არამედ მისი სათავეა აგრეთვე მიხეილ ლერმონტოვის „ტამანი“ და „ჩვენი დროის ვიარი“. ივან ბუნინის გადმოცემით, ანტონ ჩეხოვი აღტაცებით ლაპარაკობდა მიხეილ

ლერმონტოვის „ტამანი“-ზე: „აი, დამაწერინა ასეთი ნაწარმოები და მერე სიკვდილიც შეიძლება“. ანტონ ჩეხოვისათვის საყვარელი და მიმზიდველი იყო მიხეილ ლერმონტოვის პროზის პოეტური რეალიზმი, მრავალი მისი ლექსის ლირიზმი და სისადავე. იგივე ივან ბუნინი იგონებს, თუ რა აღტაცებით საუბრობდა ანტონ ჩეხოვი მიხეილ ლერმონტოვის „იალქანი“-ს შესახებ. საყურადღებოა ისიც, რომ ყველა ცნობა ანტონ ჩეხოვის სიყვარულისა მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედებისადმი ეკუთვნის სწორედ ბუნინს, რომლისთვისაც ავტორი „ტამანი“-სა და „იალქანი“-ს არა ნაკლებ საყვარელი და მომზიბლავი იყო.

ასევე ნათელია და ხელშესახები ლევ ტოლსტოის ნათესაობა მიხეილ ლერმონტოვთან. როდესაც ვკითხულობ ისეთ მხატვრულად სრულყოფილ ნაწარმოებს, როგორც არის ლევ ტოლსტოის „კახაკები“, რატომღაც ყოველთვის მიხეილ ლერმონტოვის კავკასიური მოთხრობები მაგონდება და მეჩვენება, რომ მათი ავტორის სული მიუძღვება ლევ ტოლსტოის შთაგონებას.

«Сначала горы только удивили Оленина, потом обрадовали; но потом, больше и больше не взглядываясь в эту... убегающую цепь снеговых гор, он мало-помалу начал винкать в красоту и почувствовал гор. С этой минуты все, что только он видел, все что он думал, все, что он чувствовал, получало для него новый, строго величавый характер гор... Взглянет на небо и вспомнит горы. Взглянет на себя... и опять горы... За Терекom виден дым в ауле; а горы... Солнце всходит и блещет на виднеющемся из-за камыша Терекe; а горы... Из станицы едет арба, женщины ходят, красивые женщины, молодые; а горы... У меня ружье, сила, и молодость; а горы...»

განა აქ არ ისმის მიხეილ ლერმონტოვის სტრიქონების გამომავლი:

«Синие горы Кавказа, приветствую вас! Вы взлелеяли детство мое, вы носили меня на своих одиночных хребтах, облаками меня одевали: вы к небу меня приучили...»

მთებმა შეაჩვიეს მიხეილ ლერმონტოვი ცას... ლევ ტოლსტოი, ოლენინ-

თან ერთად, შეხედავს ცას და ახსენდება მთები. მიხეილ ლერმონტოვიც და ლევ ტოლსტოი მორთავემ განიცადეს მთები. მათ არა მარტო დაინახეს, გაოცდნენ და აღტაცებაში მოვიდნენ, არამედ სწორედ განიცადეს მთების მშვენება.

მაგრამ მიხეილ ლერმონტოვიც არა მარტო მთები აღიქვა, მთების მშვენება განიცადა, როგორც მისი სულის თანხმანობის თანამგზავრი კავკასიაში, არამედ პირველმა დაინახა მთის ხალხიც. ადამიანები იგრძნო ხსენებულ ბუნების წიაღში და სწორედ ეს მთის ადამიანთხილვა ანათესავენს „ჰაჯი-მურატის“ ავტორს „მშირის“ მომღერალთან. ეს ის გრძნობაა, რომელმაც აღუძრა დიდი სიყვარული მიხეილ ლერმონტოვისადმი ტარას შევჩენკოს, ილია ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ქართული თემაც ორგანული იყო მიხეილ ლერმონტოვისათვის და მრავალმა რუსმა საბჭოთა პოეტმა გააგრძელა მის მიერ წამოწყებული სიმღერა საქართველოზე.

მიხეილ ლერმონტოვის პოეზია დღედგომელი სულის აღსარებაა, და მისი ლექსის „ჰოვრიტიდან“ ბრწყინვალე მომავლის დანახვა შეიძლება. პოეტმა ახალი მხატვრული სამყარო აღმოაჩინა, სიტყვის ხელოვნების შინაარსი გააღრმავა, პოეზიაში აზრის ელვარება ტრადიციულ სულის ძახილთან შეაერთა და მომავალი თაობების თანამგზავრი გახდა. მან თაობათა სიყვარული სამუდამოდ დაიმკვიდრა, თითქოს მათ ზრახვებს ჩასწვდა, თავისი გულისხმადები გაუზიარა და მომავლის გზა გაუკაფა. ამიტომაც მის პოეტურ ქმნილებათა კითხვისას საოცარი ინტიმი მყარდება, პოეტის სულიერი მხილებაში ძალიან ახლობელი და ხელშესახები ხდებიან, იმდენად ახლობელი, რომ პირველი წაკითხვის შემდეგ, მათთან განშორება, ან მათი მივიწყება შეუძლებელია. ეს ლექსები, როგორც საყვარელი არსებანი, შენი მეგობრები და შენი სულიერი ცხოვრების მონაწილენი ხდებიან.



### 3. მარგველაშვილი

## რისხვის, ჰანყის და იმედის პოეზია

1

„ვთქვით, ვინც მოველენილია ქვეყნად საზოგადოებრივი სენის ეპოქაში“ — ამბობდა ბელინსკი ლერმონტოვის მიმართ. და მართლაც, ეპოქა, რომელშიც უხდებოდა ლერმონტოვის ცხოვრება, ერთ-ერთი ყველაზე შავბნელი იყო რუსეთის ისტორიაში. ეს იყო ბატონყმური რეაქციის მძვინვარების ხანა. თვითმპყრობელობასთან და ბატონყმობასთან ბრძოლის გზები, რომლებითაც მიდიოდნენ თავდაზნაურული რევოლუციონერები, ამ დროისათვის მოძველდა, ახალი გზები კი ჯერ კიდევ არ იყო დასახული. დეკაბრისტები დაილუქნენ, ხოლო რევოლუციური დემოკრატები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩამოყალიბებულნი. მაგრამ დეკაბრისტული მოძრაობის ჩახშობა არ ნიშნავდა თვითმპყრობელობის მორალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ გამარჯვებას, ფეოდალურ-მემამულური სისტემის კრიზისი გრძელდებოდა და ღრმავდებოდა. ეს სისტემა კვლავ ასაზრდოებდა გლეხთა მასებისა და რუსული ინტელიგენციის მოწინავე ფენების უკმაყოფილებას. მაგრამ, ბუნებრივია, სოციალურ პროტესტს ამ პერიოდში ახალი, თავისებური, განსხვავებული ფორმები უნდა მიეღო. და თუ უშუალო, პირდაპირი პოლიტიკური ბრძოლის გზები დახშული იყო, მხილება, უარყოფა, სასოწარკვეთილება — უახლოესი დროისათვის გახდა ერთადერთი შესაძლებელი პასუხი თვითმპყრობელურ-მემამულური სინამდვილის მიმართ. იმ დროის საუკეთესო

სო აღამიანებს დაეუფლა მძივე და, ამავე დროს, ნგრევისაკენ მომწოდებელი სევდა.

დეკაბრისტების დამარცხებამ ზეგავლენა იქონია როგორც უფროს თაობაზე — პუშკინის თაობაზე, — ისე ახალგაზრდობაზეც, რომელმაც ის იყო ფეხი შედგა საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე. მაგრამ ამ ზეგავლენის ხასიათი და ფორმები სრულიადაც არ იყვნენ ერთნაირნი. დეკაბრისტების განადგურებამ გააღვიძა ლერმონტოვი და გერცენი, მიმართა მათი ინტერესები რევოლუციური პრობლემებისაკენ, გაამწვავა მათს შეგნებაში და საზოგადოებრივ კმედებაში სოციალური პროტესტის ელემენტები, გააღვიძა მათში რევოლუციურ-რომანტიკული ილუზიები. სწორედ ამ მნიშვნელობით იყო ლერმონტოვის პოეზია „დეკაბრისტულ განწყობილებათა უკანასკნელი და ღრმად გულწრფელი გამოძახილი“ (ლენინჩარსკი). სულ სხვა ხასიათისა იყო ამავე სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორთა ზეგავლენა პუშკინზე და მის თანამედროვეებზე. დეკაბრისტების დამარცხებამ განაზღვრა ამ შემთხვევაში რევოლუციურ-რომანტიკული ილუზიების კრიზისი, შეამზადა პუშკინის გადასვლა ახალ იდეურ-შემოქმედებითს პოზიციებზე, მისი შებრუნება „სინამდვილის პოეზიისაკენ“ — რეალიზმისაკენ. ლერმონტოვის თაობაში დეკაბრისტთა განადგურებამ გამოიწვია რევოლუციური რომანტიზმის ახალი მძლავრი აფეთქება, ხოლო

პუშკინის თაობაში რომანტიზმის აშკარა კრიზისი.

რუსული ლიტერატურის განვითარებაზე 14 დეკემბრის ამ ორგვარი და ორმხრივი გავლენის გაუთვალისწინებლად გაუგებარი იქნება, თუ რატომ დასჭირდა ლერმონტოვს რევოლუციური-რომანტიკული, დეკაბრისტული ტრადიციის გაგრძელება და რატომ არ მოექცა იგი იმთავითვე პუშკინიანული „სინამდვილის პოეზიის“ ნაკადში; რატომ იწყება იგი დაძაბული რომანტიკული ლირიკით, რომანტიკული პოემებით, რომანტიკული დრამით და არა ისეთი ტიპის ნაწარმოებებით, როგორცაა «Сашка», «Сказка для детей», «Тамбовская казначейша», «Герой нашего времени» (ცხადია, ჩვენ აქ ვგულისხმობთ მწერლის არა შემოქმედებითს სიმწიფეს, არამედ მის შემოქმედებითს პოზიციას). ხომ აშკარაა, რომ ახალგაზრდა ლერმონტოვისათვის უფრო ახლობელი აღმოჩნდა პუშკინის «Вольность»-ის ან ჩაადაევისაღში მიმართვის რევოლუციური მიზანსწრაფვა, მიუხედავად იმისა, რომ 1828-29 წლებში იგი უკვე იცნობდა „ონეგინის“ ექვს თავს. ინიც აშკარაა, რომ ამ მოვლენის ახსნა არ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ლერმონტოვის ყრმობისდროინდელი შემოქმედების მოუპწიფებლობით.

ზოგიერთმა მკვლევარმა, რომლებმაც არ გაითვალისწინეს დეკაბრისტთა დამარცხების ეს ორმხრივი ზეგავლენა რუსულ ლიტერატურაზე, ვერ მოგვცა დეკემბრის შემდგომ ეპოქაში რომანტიზმის აღორძინების ისტორიულად გამართლებული ახსნაც. ასე, მაგალითად, ლ. გინზბურგი აღნიშნავს, რომ პუშკინი იკაფავდა „გზას, რომელსაც გამოვყავდით რომანტიკული აზროვნების წინააღმდეგობებიდან“, და რომანტიკული ტენდენციების ახალი ინტენსიური განვითარებას ხსნის იმით, რომ „პუშკინმა, თავისი რეალისტური ძიებით... წინ გაუსწრო უშუალო გარემოცვას“ და რომ ამიტომ „ყოველგვა-

რი ჩამორჩენა პუშკინისაგან“ არ უნდა „ჩაითვალოს ჩამორჩენილად“. ხაზგასმით, კი რა დეკაბრისტული აზროვნისწინააღმდეგობა არა „ჩამორჩენა“ ან, თუნდაც, „ჩამორჩენალობა“, არამედ საზოგადოების ახალ რევოლუციურ ძალთა გამოღვიძება, საზოგადოებრივი ბრძოლის ასპარეზზე გერცენიისა და ლერმონტოვის თაობის გამოსვლა.

## 2

დეკემბერმა მოუწოდა ლერმონტოვს ნოქმედებისაყენ, მაგრამ დეკემბრის შემდგომი რეაქცია თითქმის შეუძლებელს ხდიდა ყოველგვარ აქტიურ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოღვაწეობას. ეს იყო ლერმონტოვისა და მისი თანამედროვეების უდიდესი ტრაგედია, აქ უნდა ვეძიოთ გასაღები ლერმონტოვის შემოქმედებისა და პირველწყარო ყველა მისი წინააღმდეგობებისა. აქტიური მოქმედების, რევოლუციური ბრძოლის, ცხოვრების მკვლევარობაში ჩარევის წყურვილი და ძალაუვნებური უმოქმედობა, ბრძოლის გზათა და ფორმათა გაურკვევლობა, — ამ რეალურმა წინააღმდეგობებმა წარმოშვეს ლერმონტოვის პოეზიის ყველა კონტრასტი, განაპირობეს მისი შემოქმედების ხასიათი და მიმართულება. დეკემბრით გამოღვიძებული ლერმონტოვისა და გერცენის თაობას არ შეეძლო ემოქმედა და არც იცოდა, როგორ ემოქმედა. ბელინსკი წერდა 1834 წელს:

«...гордись, гордись, человек, своим высоким назначением, но не забывай, что ...жизнь есть действие, а действие есть борьба».

ბელინსკის ეხმაურებოდა გერცენი, რომელიც ამბობდა, რომ ადამიანისათვის — «мало блаженства спокойного созерцания и видения; ему хочется полноты упоения и страданий жизни; ему хочется действия, ибо одно действие может вполне удовлетворить человека. Действование — сама личность».

ამასთან ერთად, მოქმედების წყურვილით შეპყრობილი ბელინსკი და გერცენი ხელაღწეონ დეკემბრის შემდგომ რევოლუციის პირობებში აქტიურ საზოგადოებრივი ქმედების შეუძლებლობას. ბელინსკი ამ გამოუვალმა მდგომარეობამ მიიყვანა სინამდვილესთან შერიგების იდეამდე — საზოგადოებრივმა კრიზისმა გამოიწვია ამ დიდი მოქალაქის სულიერი კრიზისი და დრამა. «Тогда нельзя было ничего делать» — გერცენის ეს მწარე სიტყვები საკმაოდ ზუსტად ახასიათებენ იმ პერიოდში საზოგადოებრივ ატმოსფეროს. ბევრად უფრო გვიან მაქსიმ გორკიმ მოგვცა ლერმონტოვის შემოქმედების მთავარი წინააღმდეგობის საოცრად სწორი განსაზღვრა: «Презрение к современности и отрицание ее, жажда борьбы и тоска, и отчаяние от сознания... бессилия» გორკი ხაზს უსვამდა აგრეთვე ლერმონტოვის მისწრაფებას მოქმედებასაკენ. ის მაუთითებდა, რომ მის ლექსებში მკაფიოდ ელერდნენ მძლავრი ნოტები, „სანატრელი საქმის წყურვილი-სა“, „ცხოვრებაში აქტიური ჩარევისა“. ასეთსავე სწორ ფორმულას ვხვდებით ჩვენ ლენინარსკისთან:

«Гигантская заслуга Лермонтова в том, что он, понимая отсутствие выхода на революционную дорогу, не мирился с действительностью».

ლერმონტოვი ამბობდა თავის თავზე, რომ მას „მოქმედი და მგზნებარე სული“ აქვს, ლერმონტოვის მთელი შემოქმედება, მთელი მისი ლირიკა გამსჭვალულია მოქმედების, ბრძოლის დაუოკებელი წყურვილით. ბელინსკის სიტყვები — «Жизнь есть действие, а действие борьба» შეიძლება ბოდა ეპიგრაფად წარგვემდგარებინა ლერმონტოვის მთელი შემოქმედებისათვის. უფროოდ დაღუპვის ტრაგიკული წინათგრძნობით გამსჭვალულ ლერმონტოვს ეშინოდა მხოლოდ ერთის: ვერ მოასწრებდა მოქმედებას, ბრძოლას, ისე დაიღუპებოდა, არავი-

თარ კვალს არ დატოვებდა მიწაზე. ბრძოლის გარეშე სიცოცხლე უაზროდ და სავალალოდ მინახდა მას წერდა იგი ამის შესახებ ერთ-ერთ თავის უმნიშვნელოვანეს შემეჩაპებულ ნაწარმოებში, ლექსში „1831 июня 12 дня».

Печален степи вид, где без препон,  
Волнуя лишь серебряный козыль,  
Скитаются летучий аквилон  
И пред собой свободно гонит пыль...  
„Так жизнь скучна, когда боренья нет  
„Мне нужно действовать, и каждый день  
Бессмертным сделать бы желал, как ты.  
Великого героя, и понять  
Я не могу, что значит отдыхать.  
Всегда кишит и зреет что нибудь  
В моем уме. Желанье и тоска  
Тревожат беспрестанно эту грудь.  
Но что ж? Мне жизнь все как-то коротка  
И все боюсь, что не успею я  
Свершить чего-то! — Жажда бытия  
Во мне сильнее страданий роковых...“

ეს პოეტის პროგრამული გამოხატულება. იგივე აზრები სხვადასხვა ფორმით მეორდება მის მრავალ ნაწარმოებში — ლექსებსა და პოემებში, დრამებსა და პროზაში.

თავიდანვე უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ „მოქმედების წყურვილს“ ლერმონტოვისათვის ჰქონდა სასცებით გარკვეული პოლიტიკური აზრი. ლერმონტოვი ოცნებობდა რევოლუციურ მოქმედებაზე. ამას მკერმეტყველურად მოწმობს მისი პოლიტიკური ლირიკა. ამავე დროს, პოლიტიკური მოტივები ლერმონტოვის შემოქმედებაში არამც და არამც არ დაიყვანება თავისუფლებისმოყვარე მოტივებამდე. ამ სატყვის ძველი პუშკინისეული მნიშვნელობით. ლერმონტოვმა უკვე თავის ყრმობისდროინდელ ლირიკაში გადაღვა დიდი ნაბიჯი წინ და დაუყავშირა თავისი ოცნებები თავისუფლებაზე ან, პუშკინის ენით რომ ვთქვათ, „ბედნიერების წარმატაც აისხე“ («Заря пленительного счастья») სახალხო აჯანყების იდეას, ხალხის უფლების აღიარებას რევოლუციურ მოქმედებაზე, აჯანყებაზე. ეს წინააღ-

დადგმული ნაბიჯი იყო საერთოდ დეკაბრიზმის მიმართაც. თუ ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა «Жалоба турка» (1829 წ.) ანდა «Кавказ» (1830 წლის დასაწყისი), თავისუფლების მოტივები დამუშავებულია ჯერ კიდევ ტრადიციულ-დეკაბრისტულ ასპექტში, უკვე «Предсказание»-დან დაწყებული, ლერმონტოვი მიმართავს იდეებსა და სახეებს, რომლებიც უცნობი იყო როგორც პუშკინისათვის, ისე პოეტ-დეკაბრისტებისათვის. რევოლუციური ?ოქმედების სუბიექტურად ლერმონტოვს გამოჰყავს ხალხი, მასა (ე. წ. «Чернь»).

Настанет год, России черный год,  
Когда царей корона упадет;  
Забудет червь к ним прежнюю любовь,  
И пища многих будет смерть и кровь;  
Когда детей, когда невинных жен  
Низвергнутый не защитит закон...

ეს ლექსი დაიწერა გლეხთა იმ აჯანყებათა შთაბეჭდილებების ზეგავლენით, 1830 წელს ხოლერის ეპიდემიასთან დაკავშირებით რომ გახშირდა. მასში ჩვენ ვხედავთ შეგნებულ მინიშნებას პუგაჩოვის აჯანყებაზეც. გამოთქმა «Черный год» მე-18 და მე-19 საუკუნის ლიტერატურაში თითქმის სინონიმი იყო „პუგაჩოვშინისა“ (და სრულიადაც არ მოწივებდა ამ შემთხვევაში ლერმონტოვის სახალხო აჯანყებისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას, როგორც ოდესღაც ამის მტკიცებას ცდილობდა ზოგიერთი მკვლევარი). «Предсказание»-ში დასახულია მოტივები, რომლებიც შემდეგ განითარდა და გაღრმავდა „ვადიშიში“, ორსავე შემთხვევაში საგულისხმოა ის, რომ ავტორი აღიარებს ხალხის უფლებას აჯანყებაზე, მიუხედავად იმისა, რომ, ლერმონტოვის აზრით, ასეთი აჯანყება არ იქნება თავისუფალი სისხლიანი ექსცესებისაგან. ლერმონტოვი ხატავდა სახალხო აჯანყებას საკმაოდ მუქი ფერებით, ხედავდა მასში სტიქიური, ველური აღვირახსნილობის ელემენტებს, მაგრამ იგი

მანაც აღარ დაარქმევდა მას „ველურ და უაზრო ბუნტს“ («бессмысленный и дикий русский бунт» — პუშკინი), პირიქით, ის ამ შემთხვევაშიც ძალ-ღონეს არ იმუშრება, რათა ახსნას სახალხო აჯანყებათა აზრი და გააშართლოს იგი. ლექსში, რომელიც დათარიღებულია 1830 წლის 10 ივლისით და ამავე თარიღითაა დასათაურებული, ლერმონტოვი კვლავ მიესალმება სახალხო აჯანყებას:

Опять вы, гордые, восстали  
За независимость страны,  
И снова перед вами пали  
Самодержавия сыны.  
И снова знамя вольности кровавой  
Явилось, победы мрачной знак,  
Оно любимо было прежде славой:  
Суворов был его сильнейший враг.

ლექსი დაუშთავრებელია და მასში არ არის რაიმე გარკვეული მინიშნება იმისა, თუ რომელ აჯანყებას ეხება იგი. მთელი რიგი მკვლევარებისა უკავშირებს მას კავკასიელი მთიელების აჯანყებას, სხვები კი თვლიან მას საფრანგეთის ივლისის რევოლუციის გამოძახილად. უკანასკნელი ვარაუდი უფრო სარწმუნოა, რადგან სუვოროვის სახელი ამ კონტექსტში სწორედ საფრანგეთთან შეიძლება იყოს დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, მთავარი ისაა, რომ პოეტი მიესალმება ხალხის აჯანყებას, თუქცა მისი დროშა არის «Знамя вольности кровавой». მალე ლერმონტოვი ქმნის რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ ლექსს — «30 июля — Париж 1830 года» რომელიც ივლისის რევოლუციისა და კარლოს მეათის განგვირგვინების აშკარა და პირდაპირი გამოძახილია. ტირანისადმი ეს მრისხანე მიმართვა მრავალი თავისი ინტონაციით მოგვაგონებს პოეტის რისხვის უფრო გვიანდელ და კიდევ უფრო მძლავრ ამოხეთქვას «Смерть поэта».

... Ты полагал  
Народ унизить под ярмом, —  
Но ты французов не узнал!  
Есть суд земной и для царей! —

Провозгласил он твой конец;  
 С дрожавшей головы твоей  
 Ты в бегстве уронил венец.  
 И загорелся страшный бой;  
 И знамя вольности, как дух  
 Идет пред гордою толпой.  
 ... И брызнула в Париже кровь.  
 О, чем заплатишь ты, тиран,  
 За эту праведную кровь?...  
 ... Когда появятся весы,  
 И их подымет судья...  
 Не задрожит рука твоя?...  
 ...Бессмертной раню убит,  
 Ты обернешь молящий взгляд,  
 И строй кровавый закричит:  
 Он виноват! Он виноват!

ეს ლექსი მრავალმხრივ საგულეიან-  
 მთაა. ჯერ ერთი, იგი ეხმაურება წინა  
 ლექსს «10 июля 1830 г.» აქაც იგივე  
 „თავისუფლების დროშა“ «Знамя  
 вольности», მაგრამ პოეტი უკვე აღარ  
 უწოდებს მას „სისხლიანს“, რად-  
 გან პასუხისმგებლობა დაღვრილი  
 სისხლის გამო შთლიანად ეკისრე-  
 ბა ტირანს. ეს მნიშვნელოვანი იდე-  
 ური შტრიხია, რომელიც მოწმობს  
 ახალ წინსვლას პუშკინთან შედარე-  
 ბით. ამჟამად, როგორც ვთქვით, ამ  
 ლექსის კავშირი „პოეტის სიკვდილთა-  
 ნაც“ თუმცა აქ უფრო მძლავრად  
 ეღერს სამსჯავროს თემა; „ტირანს  
 მსჯავრს ღებს არა მარტო ციური, არა-  
 მედ ამქვეყნიური სასამართლო“ («Есть  
 суд земной и для царей») სტრიქონები  
 «О, чем заплатишь ты, тиран, за эту пра-  
 вдную кровь» — ეხმაურებიან ცნობილ  
 სტრიქონებს «... и вы не смоете всей вашей  
 черной кровью поэта праведную кровь».  
 ამავე დროს, ამ შედარებისა და შეხმა-  
 ურების საფუძველზე „პოეტის სიკვ-  
 დილის“ სტრიქონებიც ახალ აზრს  
 იღებენ.

განხილული ლექსების იდეები და  
 მოტივები განვითარებას პოულობენ  
 ლექსებში «Новгород», «Пир Асмо-  
 дея» და სხვ. „ასმოდეს ღრეობა“ —  
 მძაფრი პოლიტიკური სატირაა. მისი  
 ცენტრალური მოტივია «вино свободы»,  
 რომლითაც «земные опились народы и  
 начали в куски короны бить» ლექსში  
 პავლე I-ის წინააღმდეგ მიმართუ-  
 ლი ისარიც შეიმჩნევა და ევრო-

პაში რევოლუციურ მოძრაობაზე მი-  
 ნიშნებებიც.

1830 წელი დიდმნიშვნელოვანი ის-  
 ტორიული ამბების, მრისხანე სოცია-  
 ლურ-პოლიტიკური კატაკლიზმების  
 წელი იყო. ზოლერა, რომელსაც მოჰყ-  
 ვა ამბოხებანი, სამხედრო დასახლება-  
 თა მღელვარება ნოვგოროდში, ივლი-  
 სის რევოლუცია და მისი გამოძახილი  
 და შედეგები ბელგიაში, საქსონიაში  
 ჰესენში, პოლონეთის აჯანყება, აჯან-  
 ყება ჩეჩნეთში და მეფის კოლონიზა-  
 ტორთა წინააღმდეგ მთიელთა მიერ  
 გამოცხადებული ომი — ყველა ამ მო-  
 ვლენას არ შეეძლო არ ემოქმედა  
 ლერმონტოვზე, არ გამოეღვიძებინა  
 მასში რევოლუციურ-რომანტიკული  
 განწყობილებანი. მწერლის შეგნება-  
 ში დამკვიდრდა აზრი რუსეთში რევო-  
 ლუციური ამბოხების სიახლოვის  
 შესახებ, და, რაც ამჟამად განსაკუთ-  
 რებით საგულეიანია, პოეტი სულ უფ-  
 რად მეტი დაეინებოთ უკვე შირებს რე-  
 ვოლუციას თავის საკუთარ ბედს, ხე-  
 დავს თავის თავს აჯანყების აქტიურ  
 მონაწილედ. ზანდახან მის ბელადადაც  
 კი უკვე «Предсказание»-ს ბოლოში გა-  
 მოჩნდა იდუმალებით მოცული სა-  
 ხე «ძლიერი ადამიანისა» და თუმცა  
 ეს რომანტიკული სახე ძალზე გეგო-  
 ნებს ნაპოლეონს (ამ გარემოებას ხაზს  
 უსვამს ვ. კარპოტინი), მაგრამ ნ. ბრო-  
 დსკის სამართლიანი შენიშვნის თანა-  
 ხვად, სხვა ლექსებთან ანალოგიის ს-  
 ფუძველზე, ეს სახე ჩვენ უნდა ავხს-  
 ნათ, როგორც ერთგვარი გამოვლინე-  
 ბა პოეტის ოცნებისა მომავალ რევო-  
 ლუციაში აქტიური მონაწილეობის  
 შესახებ.

ზაზი უნდა გაესვას ლერმონტოვი  
 მიერ რევოლუციური თემის დამუშა-  
 ვების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს  
 თავისებურებას: ლერმონტოვს არ  
 სწამს მოახლოებული რევოლუციის  
 გამარჯვება. ეს, ერთი შეხედვით ეწ-  
 ინააღმდეგება პოეტის რევოლუციურ  
 მიზანსწრაფვას, მაგრამ საქმე ისაა,  
 რომ ამით ლერმონტოვს სრულიადაც

არ უნდოდა მოეხსნა საკითხი რევოლუციის აუცილებლობის შესახებ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვ. კიკობერი, «Перматов развивался вне среды массового революционного движения», ხოლო «его восприятие опыта прошлого подсказывало ему, что революции будто-бы не побеждают». დამარცხდა პუგაჩოვისა და დეკაბრისტების მოძრაობა; იაკობინელებისა და შემდეგ ნაპოლეონის დიქტატურა ლერმონტოვისათვის ნიშნავდა საფრანგეთის მე-18 საუკუნის რევოლუციის დამარცხებას; 1830 წლის ივლისის რევოლუციამაც საბოლოო ანგარიში, არ გაამართლა ის იმედეები, რომლებსაც მასზე ამყარებდნენ. აქედან — წინათგრძნობა საკუთარი ტრაგიკული დაღუპვისა, როგორც აჯანყების აქტიური მონაწილისა ან მისი ხელმძღვანელისა; აქედან — ის „წინასწარმეტყველური მწუხარება“, რომლითაც გამსჭვალულია ლერმონტოვის მრავალი ლექსი.

Когда твой друг с пророческой тоскою  
Тебе вверял толпу своих забот,  
Не знала ты нанивою душою,  
Что смерть его позорная звует,  
Что голова, любимая тобою,  
С твоей груди на плаху перейдет...

მეორე ლექსშიც, რომელიც უშუალოდ აგრძელებს «Предсказание»-ს ინტონაციას (გავიხსენოთ «Настанет год, Россия черный год».) მეორდება იგივე მოტივი:

Настанет день, и миром осужденный  
Чужой в родном краю,  
На месте казни — гордый, хоть презренный,  
Я кончу жизнь мою...

ფიქრები საკუთარი ხვედრის „რჩეულობაზე“ («избранничество») დამახასიათებელი იყო არა მარტო ლერმონტოვისათვის, არამედ გერცენისა და ოგარიოვისათვისაც. ოგარიოვა იგონებდა: «Мы вошли в жизнь с энергическим сердцем... хотели какого-то мирового зна-

чения, право мы тогда чуть не <sup>вообра-</sup>ждали, что мы исторические люди». გერცენის ანალოგიური დამარცხება კარგად ახასიათებს იმ ტრაგიკულ წინათგრძნობას, რომელიც (როგორც მისთვის, ისე ლერმონტოვისათვისაც) დაკავშირებული იყო ფიქრებთან ამ „რჩეული ხვედრის“ შესახებ. «Странная вещь» — წერს გერცენი, — что почти все наши грезы оканчивались Сибирью или казнью, а почти никогда торжеством. Неужели это русский склад фантазии или отражение Петербурга с пытью виселицами и каторжной работой на юном поколении?»

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ლერმონტოვის სრულიადაც არ უნდოდა მოეხსნა საკითხი რევოლუციის საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ. პირიქით, ლერმონტოვის შემოქმედებას მთელი პათოსი, ერთი მხრით, მიმართული იყო ცხოვრებისადმი პასიურ-მჭვრეტელობითი დამოკიდებულების წინააღმდეგ, და მეორე მხრით, პეროიკული აქტივიზმის დამკვიდრებისაკენ, გავიხსენოთ ლერმონტოვის მეორ თავისი დროის სევდიანი-ირონიული დახასიათება: «Теперь жизнь молодых людей более мысль, чем действие; героев нет, а наблюдателей слишком много».

ლერმონტოვის ყრმობისდროინდელ ლირიკაში საკმაოდ ნათლად არის გამოვლენილი „ფატალიზმის“ ის თავისებური კონცეფცია, რომელსაც ჩვენ უფრო გვიან შევხვდებით „ჩვენი დროის გმირის“ ერთ-ერთ ნოველაში და პოემაში — „მწირი“. ამ „ფატალიზმს“ არაფერი აქვს საერთო არც პასიურ შემრიგებლობასთან, არც სასოწარკვეთასთან. პეროიკის იდეა არ არის მოხსნილი ამ იდეის ლერმონტოვის მიერ თუნდაც ყველაზე ტრაგიკულ გააზრებისას. „სტანსებში“ (1831 წ) პოეტა გამომწვევად მიმართავს ბედისწერას და უარს ამბობს მისდამი დაქვემდებარებაზე:



Ни перед кем я не склонял  
Еще послушного колена,  
То гордости б была измена;  
А ей лишь робкий измена;  
И не пошкну я главою,  
Хотя б то было пред судьбою...

ლერმონტოვს გამოუმთავრებული აქვს „სიამაყის“ კონცეფცია, რომელიც აღნიშნავს ადამიანის ერთგულებას საკუთარი იდეალებისადმი, ბრძოლაში ქედუხრელობას, ნებისყოფის სიმტკიცეს და სულიერ ამაღლებას ცხოვრების თუნდაც ყველაზე ტრაგიკულ წუთებში. „ამაყი სული“ მაშინაც კი თუ ის მარტოხელა და გარიყულია, თუ ის თუნდაც ჩაქოლილი და მოტყუებულია, მაინც არ უნდა ივიწყებდეს „მარადისობას და იმედს“, და ეს იმედი არ უნდა გააციოს თვით სასაფლაოს ქარბა —

И если ветер, путник одинокий,  
Вдруг по траве кладбища пробежит,  
Он сердца моего не охладит;  
Я чувствую — судьба не умертвит  
Во мне возросший деятельный гений...

უკვე არაერთგზის ციტირებულ ლექსში — «1831-го июня 11 дня» ლერმონტოვი გვაძლევს „ამაყი სულის“ თავისი კონცეფციის საოცრად მკაფიო და ლაკონიურ განსაზღვრას:

Под ношей бытия не устает  
И не хладеет гордая душа;  
Судьба ее так скоро не убьет,  
А лишь взбунтует; мщением дыша  
Против непобедимой, много зла  
Она свершить готова, хоть могла  
Составить счастье тысячи людей;  
С такой душой ты бог или злодей...

ამ რვა სტრიქონშია ლერმონტოვის მთელი ფილოსოფია, მთელი მისი მსოფლგაგება, მთელი მისი შემოქმედებითი თუ იდეური კრედო. შემთხვევით როდი მეორდება აქ სხვა, უფრო აღრინდელი ლექსების მოტივები და წინასწარგანჭვრეტლია უფრო გვიანდელ ნაწარმოებთა იდეები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბედისწერა უძლეე-

ლია პირადად შენთვის, შენი თაობისთვის, შენი ეპოქისთვის, მაშინაც კი, თუ ის ცდილობს გაგზინოს, შენი „ამაყი სული“ არ უნდა მიეცეს სასოწარკვეთას. რაც უფრო უძლეველია და გადაულახავი ცხოვრების გარემოებანი, მით უფრო მძლავრად უნდა გაუმკლავდე მათ, გაუწიო წინააღმდეგობა, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს შენში შერისძიების წყურვილი. თუ შენ გაჩენილი ხარ სიკეთისათვის, თუ შენში ცოცხლობს მგზნებარე სიყვარული ადამიანებისადმი, კაცობრიობისადმი, მიწაში, სწორედ იმიტომ, რომ გაიკაფო გზა სიკეთისაკენ, რომ მოიპოვო შესაძლებლობა „ათასობით ადამიანთა ბედნიერების დაამკვიდრებისა“ («составить счастье тысячи людей») შენ დღეს უნდა იბრძოლო, უნდა მზად იყო, „ჩაიღინო მრავალი ბოროტება“ («свершить много зла»), რადგან გზა სიკეთისაკენ არა შერიგებაშია არამედ ბედისწერის დაუძლეველ კანონთა უარყოფაში, ბოროტებაში (ამ სიტყვის ფილოსოფიური და არა ყოფით-ობიექტული გაგებით). აქ პირველად არის ფორმულირებული პოეტის მიერ დემონიზმის იდეაც, რომელიც შემდგომ ეგზომ დიდ ადგილს დაიკავებს მის იდეათა და სახეთა სისტემაში.

3.

მოკლედ შევხვით ლერმონტოვის პოეზიისათვის კიდევ ერთს მეტად დამახასიათებელ მოტივსა და პრობლემას. ეს არის ეგრეთწოდებული „დემონიზმი“ საკითხი. რუსულ პოეზიაში დემონიზმი შემოიჭრა პირველად ქუკოვსკისა და პოლოდინსკის მეშვეობით. მაგრამ ის სავსებით „უჯანბელი“ და „კეთილსაიმედო“ დემონიზმი იყო. პუშკინმა პირველმა განასახიერა რუს მწერალთაგან დემონიური თემა, როგორც ფილოსოფიური უარყოფის თემა. პუშკინის კვალს დაადგნენ პოლუცაევი და ლერმონტოვი, რომელმაც პირველსავე თავის ყრმობისდროინდელ ლექსებში (1829-30 წლებში)

უშუალოდ განავითარა პუშკინის „დემონისა“ და „ანგელოსის“ მოტივები და პრობლემატიკა, მიანიჭა მათ კიდევ უფრო, ბოზოქარა ელერადობა, შთაბერა კიდევ უფრო მეამბოხე სული. გაეხსნებოთ რომ პუშკინმა, რომელმაც თავის 1823 წლის „დემონში“ პირველად დახატა ყველაფრის უარყოფი, უნივერსალური ფილოსოფიური ნეგაციის განმასახიერებელი არსება, 1827 წლის „ანგელოსში“ (1825 წლის 14 დეკემბრის ტრაგედიის შემდეგ შექმნილ ნაწარმოებში) სულ სხვა თვალებით დაანახვინა თავის დემონს ანგელოსი, „უარყოფისა და იქვის სულს“ — „სული წმინდა“, მისი ანტიპოდი მასი ანტაგონისტი, მტერი და მოწინააღმდეგე:

Дух отрицанья, дух сомненья  
На духа чистого взирал  
И жар незольный умиляя  
Впервые смутно познавал,  
«Прости, — он рек, — тебя я видел,  
И ты недаром мне сиял:  
Не все я в небе ненавидел,  
Не все я в мире презирал».

სულ სხვანაირია ლერმონტოვის დემონისა და ანგელოსის შეხვედრა. პოემა „დემონის“ ერთერთ უაღრეს 1820 წლის ვარიანტშიაც კი ლერმონტოვი დემონის ზეცასთან შერიგებასა და ანგელოსისადმი „სინანხის გრძნობის“ შესაძლებლობას საგანგებოდ გამორიცხავს. პირიქით, ანგელოსის ხილვა მასში საბოლოოდ ახშობს თუნდაც წამით გაეღვებულ წყურვილს შერიგებისას და ცოლვითა მონანიებუასს, ახალი ძალით უღვივებს მას ამბოხისა და ჭახვის განწირულ სულისყვეთებას:

... Сми безгрешный рай  
Вдруг разбудил мятежный ум:  
Кипит он, ревностью пылая,  
Явилась снова воля злая...

უფრო მეტიც: პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს დემონის „გარდაქმნის“ შეუძლებლობას, ასეთი ვარაუდის სრულ ილუზორობას:

Но, впрочем, он переменяться  
Не мог бы: это был лишь сон,

И рано ль, поздно ль, пробудиться  
Навеки должен был бы он.

და როდესაც პოემის საბოლოო ვარიანტში პოეტმა წუთით განაცდევინა დემონს „შერიგებისა“ და „სიყვარულის“ ილუზია (სწორედ ის «умиление», რომელიც პუშკინის დემონმა განიცადა ანგელოსის ხილვისას), როდესაც დემონმა ოდნავ დაუშვა შესაძლებლობა თავისი ბუნების გარდაქმნისა.

Я враг небес, я зло природы,  
И, видяшь, я у ног твоих!  
Тебе привнес я в умиление  
Молитву тихую любви...  
Меня добру и небесам  
Ты возвратить могла бы словом —

პოეტმა აქაც დააგვირგვინა დემონის ვნებათაღელვა, მისი „სულის დიალექტიკა“ სიყვარულისა და შერიგების უარყოფით, ზეცისადმი სიძულვილის, ანგელოსისადმი ზიზღის, მარადიული ჩაქრობელი ამბოხის აპოთეოზით:

Каким смотрел он злобным взглядом,  
Как полон был смертельным ядом  
Вражды, не знающей конца...  
...И вновь остался он, надменный,  
Один, как прежде, во вселенной  
Без упования и любви!..

პოემა „დემონის“ ადრეული რედაქციის პარალელურად კი ლერმონტოვმა თავის ცნობილ ლექსში «Мой демон» გვამცნო თავისი გმირის საკუთარ პოეტურ ბუნებასთან მიმართება და კავშირი:

И гордый демон не отстанет,  
Пока живу я, от меня  
И вм мой озарять он станет  
Лучом чудесного огня;  
Покажет образ совершенства  
И вздрог отнимет навсегда  
И, дав предчувствие блаженства  
Не даст мне счастья никогда.

ჩვენ უკვე გვქონდა ადრე შემთხვევა გაეცნობოდით პოეტის ერთ-ერთ ლირიკულ მონოლოგს, სადაც ლაპარაკი იყო „ამაყ სულზე“. რომელიც სიყვ-

თის დიდ პოტენციას შეიცავდა, უძლევდნენ „ნეტარების სურვალს“ განიცდიდა. მომავლის მძლავრი წინათგრძნობით იყო გამსჭვალული, მაგრამ იძულებული იყო უარყოფისა და სიძულვილის გზას დასდგომოდა, არსებული წესწყობის წინააღმდეგ ამბოხებულყო. სწორედ ლერმონტოვის ამ ლირიკული გმირის სახის განვითარებასა და სახეცვლილებას ვხედავთ ჩვენ ზემოთმოყვანილ ატრიქონებში „ჩემს დემონიდან“. აქ ჩართულია მოტივები ჩვენთვის ცნობილი ლექსიდან «Корень в покорности незнаемъ...» მასში ნაგულისხმევია მომავალი შორეული ბედნიერების წინათგრძნობა და ამავე დროს ამ გრძნობის ამოება დღეს, პირადად მისთვის. ყველაზე ნიშანდობლივია აქ ლერმონტოვისათვის მეტად ტიპური შერწყმა ოპტიმიზმისა მომავლის პროგნოზებში და სკეპტიკური უიჟილო სევდისა თანამედროვეობის აღქმისას.

როდესაც ჩვენ ლერმონტოვისა და პუშკინის მიერ „დემონიზმის“ კონცეფციის განახიერებათა ნათესაობაზე და განსხვავებაზე ვსაუბრობთ, სრულიადაც არ გვსურს პუშკინის შემოქმედებაში ამ პრობლემატიკის ზუსტი და სრული განსაზღვრა. პუშკინის მსოფლმხედველობაში დეკაბრისტთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ მომხდარი მტკივნეული ცვლილებების განხილვა იმდენად დიდი ამოცანაა, რომ ჩვენ აქ ამ ამოცანასთან შეპიღების ცდასაც კი ვერ ვიტვირთავთ. ჩვენ ვკმაყოფილებით მხოლოდ ამა თუ იმ კონსტატაციით, რათა გავითვალისწინოთ ის საწყისი წერტილები, საიდანაც უკვე ლერმონტოვის პოეზიის იდეური პრობლემატიკის გაშუქება ხდება შესაძლებელი. ამ თვალსაზრისით ჩვენ გვსურს გავამახვილოთ ყურადღება ორი დიდი პოეტის კონცეფციებში ჩვენს მიერ აღნიშნული განახვებების კიდევ ერთ თავისებურ ვარიანტზე თუ ანალოგზე. ეს შემთხვევა მით უფრო საინტერესოა, რომ

საკითხი შედარებით განყენებულ ფილოსოფიურ-ეთიკური სფეროდან გამოტანილია აქ რეალურად განხილულად კონკრეტულ პოლიტიკურ-ეთიკურ ნიადაგზე. ლერმონტოვის შეკამათება თავის საყვარელ და სათაყვანებელ პუშკინთან, ჩვენი აზრით, წარმოადგენს აქ თავისებურ რეალურ პარალელს იმ რომანტიკულ-ფალოსოფიური შეკამათების მიმართ, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ.

დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც პუშკინმა თავისი „ანგელოს“ შექმნა (1827 წ.). და დემონის ლთაებასთან შეურიგებელი მტრობის კონცეფციას ერთგვარი შერიგების მოტივი დაამყნო, მან დასწერა აგრეთვე ცნობილი ლექსი „სტანსები“ (1826წ.) და „მეგობრებს“ (1828 წ.), სადაც დამარცხებულ დეკაბრისტთა მიმართ ნიკოლოზ პირველას გულში ლმობიერი დამოკიდებულების გალვაების აშკარა მიზნით. დაბატა მეფე თავისებური სიკითხის შარავანდედით მოსილ პიროვნებად, გაატარა ანალოგია მასსა და პეტრე პარვილს შორის, რათა ამ ცრუმსაყვების მინიშნებით ებოძაბინა იგი გარკვეული ჰუმანური მოქმედებისაკენ. არ არის გამორიცხული, რომ დეკაბრისტთა მწარე დამარცხების შემდეგ, რუსულ მოწინავე საზოგადოებაში რევოლუციურ-რომანტიკული ილუზიების კრიზისის ხანაში, პუშკინის თვალწინ გაიღვა ისეთივე გულწრფელმა ცოტუნებამ, რომელმაც მომავალში გერცივიც კი შეაცდინა და მეფისადმი ცნობილი წერილი მიაწერინა. ასე თუ ისე მეფესთან შერიგების, მისდამი მიმართვის, მისი პიროვნების თუნდაც ოდნავი, თუნდაც ტაქტიკური მიზეზებით ნაკარნახევი ამოლოგის ცდამ ლერმონტოვში უდიდესი გულსტკივილი გამოიწვია და პუშკინას ნიკოლოზისადმი მიმართულ სტროფებს „სტანსებიდან“ —

Семейним сходством будь же горд;  
Во всем будь пращуру подобен:  
Как он, неумоим и тверд,  
И памятью, как он, незлобен —

მით უმეტეს კი სტრიქონებს ლექსიდან „მეგობრებს“ —

O нет, хоть юность в нем кипит,  
Но не жесток в нем дух державный:  
Тому, кого карает явно,  
Он втайне милости вдорит...  
...Во мне почтил он вдохновенье,  
Освободил он мысль мою,  
И я ль, в сердечном умиленьи  
Ему хвалы не воспую? —

ლერმონტოვმა დაუპირისპირა უდიდესი გულსტკევილითა და გულსწყრომით გამსჭვალული, სწორედ პუშკინის „ანგელოსთან“ შეკავათების ხანაში (1830-31 წელს) გულის სიღრმიდან აღმომხდარი სტრიქონები:

O, полно изменять разврат!  
Ужель злодеям щит порфира?  
Пусть их глупцы боготворят,  
Пусть им звучит другая лира;  
Но ты остановись, певец,  
Златой венец не твой венец.

...  
Ты пел о вольности, когда  
Тиран гремел, грозили казни;  
Боясь лишь вечного суда  
И чуждый на земле боязни,  
Ты пел, я в этом есть краю  
Один, кто понял песнь твою.

ვფიქრობ, აშკარაა, რომ ის, «сердечное умиленье», რომელმაც გაიღევა პუშკინის სტრიქონებში, იგივე გრძნობაა («жар невольный умиленья»), რომელიც დაეუფლა მის დემონს „ანგელოსში“. ბუნებრივია, რომ ლერმონტოვმა ორივე შემთხვევაში ერთნაირი სულისკვეთებით შთაგონებული პასუხი იტვირთა, ვინაიდან მან სხვაზე უკეთესად იცოდა პუშკინის ქეშმარიტი მრწამსი. მას ყველაზე ღრმად და კარგად ჰქონდა შეცნობილი მისი ნამდვილი ბუნება და ჩვენ არ ვიცით ჰქონდა თუ არ ლერმონტოვს შესაძლებლობა წაეკითხა პუშკინის „წინასწარმეტყველის“ პირველი ვარიანტი, შექმნილი დეკაბრისტთა სიკვდილით დასჯის ცნობის მიღებისთანავე (საბოლოო ვარიანტი დაიბეჭდა მხოლოდ 1828 წელს), მაგრამ, თქმა არ უნდა, რომ მისთვის

სისხლბორცულად თვისტომი უნდა ყოფილიყო ის პუშკინი, რომელსაც უგინიალურესი შედეგის მძილვით კეთილი თავდაპირველად ასე უღერდა:

Восстань, восстань, пророк России,  
Позорной ризой облекись,  
Иди и с вервием на выи  
К убийце гнусному явись.

ეს „ბილწი მკვლელი“ ზომ რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ პირველი იყო.

თუ რას მოასწავებდა და რას ნიშნავდა პოეტისათვის შერიგება, დაცხრომა, ღმერთისადმი თუ მეფისადმი სიძულელიის თუნდაც ნაძალადევი დროება, საკუთარ ყელზე ფეხის დაბიჯება,—ყოველივე ეს ლერმონტოვმა ქეშმარიტი გენიოსის ინტუიციით, თუ რაღაც სასწაულებრივი ზეშთაგონებით სიყრმიდანვე იცოდა და სამარის კარამდე გაიტანა ეს ცოდნა და ეს რწმენა. მან იცოდა და მას სწამდა, რომ შერიგება ნიშნავდა უპირველესად პოეტის ბუნებისადმი, პოეტის მოწოდებისადმი ღალატს, პოეტის გრძნეული ძალის, თვით ნიჭის დაკარგვას. ჯერ კიდევ ხუთმეტე წლის ყრმამ, პირდაპირ მიწიას სიბრძნით განჭვრიტა ზნეობრივი კომპრომისის მომაკვდინებელი შხამიანობა, როდესაც მიმართა ღმერთს ერთადერთი, პირველი და უკანასკნელი ლოცვა-მუდარათი შეუწოდოს მას მისგანვე განდგომა, მისდამი მიმართული ლოცვის უარყოფა და უკუგდება, უღმერთო დაცოდვილ სიმღერათა ახმოვანება, ზეციური სიწმინდის მიწიერ სიბილწეზე გაცვლა, ღმერთის ნაცვლად პოეზიის მსახურება:

Не обвиняй меня, всесильный,  
И не карай меня, молю,  
За то, что мрак земли могильный  
С ее страстями я люблю,  
За то, что редко в душу входит  
Живых речей твоих струя,  
За то, что в заблуждены бродит  
Мой ум далеко от тебя,  
За то, что лава вдохновенья  
Клокочет на груди моей...

... За то, что мир земной мне тесен,  
К тебе проникнуть я боюсь,  
И часто звуком грешных песен  
Я, боже, не тебе молюсь.

ამ საარაკოდ ბრძნული ღაღადისის ბოლო სტრიქონებში კი მგოსანი პირდაპირ მიმართავს უფალს, რომ „ცხოვნების ვიწრო გზაზე“ დადგომა, ცთომილის „მშობლიურ კალთაში“ დაბრუნება იგივეა, რაც მგოსნის გულში პაუზის ალის ჩაქრობა:

Но угаси сей чудный пламень,  
Всесожигающий костер,  
Преобрати мне сердце в камень,  
Останови голодный взор;  
От страстной жажды успоенья  
Пускай, творец, ослобожусь.  
Тогда на тесный путь спасенья  
К тебе я снова обращусь.

ნიშანდობლივია, რომ ამ შესანიშნავი ლექსის „ლოცვის“ შედარება „ჩემს დემონთან“, რომელსაც ჩვენ უფრო ადრე მივმართეთ, ცხადყოფს ლერმონტოვის ეთიკურ და ესთეტიკურ კონცეფციაში „დემონიურისა“ და „პოეტურის“ შეხმიანებას. ამ ორი ლექსის ამკარა საერთო ნათესაობას რომ თავი დაეანებოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ის პოეტური ნიჭი, რომელსაც ლერმონტოვი „ლოცვაში“ „чудесный пламень—“ს უწოდებს, „ჩემს დემონში“ წარმოდგენილია, როგორც მგოსნის გულში სწორედ დემონის მიერ ანთებული სხივი:

И гордый демон не отстанет,  
Пока живу я, от меня  
И ум мой озарять он станет  
Лучом чудесного огня;

არავის არ გაუხსნია ისე ღრმად და ამომწურავად „დემონიზმის“ პრობლემის ფილოსოფიური არსი ლერმონტოვის შემოქმედებაში, როგორც ეს თავის დროზე გააკეთა ბელინსკიმ, რომლისთვისაც ლერმონტოვი რუსული ლიტერატურის დიდ გენიოსთა შორის იქნებ ყველაზე ახლობელი და თვისტომი

მწერალი იყო (თუნდაც იმიტომ, რომ ლერმონტოვი სწორედ ბელინსკისა და გერცენის თაობის სულსკვეთებთან პოეტური გამოშატველი გახლდათ).

ბელინსკი თავის საერთო ესთეტიკურ კონცეფციაში ლერმონტოვს იმ პოეტთა რიგს მიაკუთვნებდა, რომლებიც „უკმაყოფილონი არიან ცხოვრების უკვე მომხდარი ციკლით“ და რომლებიც „გულში ატარებენ მისი მომავალი იდეალის წინათგრძნობას“. და ბელინსკის მშვენიერად ესმოდა, რომ ეს წინათგრძნობა განუყოფელია სინამდვილის მძაფრი კრიტიკისაგან, უარყოფის გზით იდეალის მოახლოვების წყურვილისაგან. ბელინსკი ხაზს უსვამდა იმ განსაზღვრულ და გადამწყვეტ გარემოებას, რომ უარყოფა ლერმონტოვისათვის არ შეადგენდა თვითმიზანს. 1846 წელს, პუშკინისადმი მიძღვნილ წერილში იგი წერდა ლერმონტოვისეული დემონის შესახებ:

„ყველაფრის უარყოფა მხოლოდ უარყოფისათვის და არსებულის არარსებულად წარმოდგენა მისთვის მეტად სათაკილო საქმე იყო, იგი მას წერილმან ეშმაკებს, ცუდი ტონის უგემოვნო ბრბოსა და ნაძირალებს უთმობს. თვითონ კი უარყოფს მხოლოდ დამკვიდრებისათვის, ანგრევს შენებისათვის, ეპვი შეაქვს ჭეშმარიტებაში, მშვენიერებაში, სიკეთეში არა საერთოდ, არამედ გარკვეულ ასპექტში და გარკვეული მიზნით. როდი ამბობს, რომ ჭეშმარიტება, მშვენიერება, სიკეთე—მხოლოდ დამიანის ავადმყოფური წარმოდგენით შექმნილი მოჩვენებებია—იგი ამტკიცებს, რომ ხანდახან ის, რასაც თვლიან ჭეშმარიტებად, მშვენიერებად, სიკეთედ, როდია ჭეშმარიტება, მშვენიერება, და სიკეთე. მას, ამ უარყოფის დემონს თვით რომ არ სწამდეს ჭეშმარიტება, როგორც ჭეშმარიტება, რას დაუპირისპირებდა იგი მას? რა მიზნით დაიწყებდა იგი მისი არსებობის უარყოფას? მაგრამ ის სწორედ იმიტომ არის საშიში, იმიტომ არის ძლიერი, რომ როგორც კი დაბადებს თქვენსა

ექვს დღემდე აღიარებულ გარდევალ ჰეშმარიტების სინამდვილეში, იქვე გიჩვენებთ შორიდან ახალი ჰეშმარიტების იდეალს. და სანამ ეს ახალი ჰეშმარიტება თქვენთვის მხოლოდ ოცნება, შორეული მოლანდება, ვარაუდი, წინათგარძნობა ან მიხვედრაა, სანამ თქვენ ვერ გაიაზრებთ იგი, ვერ დაეუფლებით მას—თქვენ ამ დემონის ტყვე ხართ, დაუოკებელი წყურვილის ყველა ტყვილი, ვპვის ყველა წამება, უსიხარულო არსებობის ყველა ვნება უნდა განიცადოთ, სინამდვილეში კი ეს უკეთილშობილესი დემონია: თუ იგი ღუპავს ხანდახან ადამიანებს, თუ გააუბედურებს ხოლმე მთელს ეპოქას, მხოლოდ კაცობრიობისადმი სიყვარულის გრძნობით და მისთვის დახმარების მიზნით. ეს დემონი—მოძრაობის, მუდმივი განახლების, მარადიული აღორძინების დემონია“.

ბელინსკიმ მოგვცა ლერმონტოვის „დემონიზმის“ ერთადერთი სწორი და ისტორიულად კონკრეტული ახსნა. მან ეს პრობლემა განიხილა სოციალურად მოტივირებულად, როგორც ლერმონტოვის წინაშე მდგარ და მის მიერ გადაჭრილ უფრო ზოგად პრობლემათა ერთი ასპექტი, ერთი ნაწილი. ბელინსკიმ გამოამხუტრა ლერმონტოვის „დემონიზმის“ სოციალური ფესვები, გვიჩვენა, რომ „დემონიური“ მგოსანში იყო გამოვლინება გულისტყვილისა და სასოწარკვეთისა იდეალის განხორციელების შეუძლებლობის გამო და არა შედეგი თვით იდეალისადმი რწმენის დაკარგვისა. ბელინსკი როდი აიგივებდა ლერმონტოვსა და დემონს და ჩვენც, ბელინსკის განმარტებიდან გამომდინარე და, რაც მთავარია, თვით ლერმონტოვის შემოქმედების შესაბამისად, უნდა ვერიდოთ დემონის სკეპტიციზმისა და ლერმონტოვის სკეპტიციზმის აღრევას და სრულ გაიგივებას, არ უნდა დაევიწყოთ, რომ „დემონიური“ მხოლოდ ერთი წახნაგი იყო ლერმონტოვის მსოფლმხედველობისა, რომ

პოეტური სახე როდი გამოხატავს მთლიანად მისი შემქმნელის მთლიან სამყაროს, რომ მხატვრის მიერ შექმნილი მისთვის თუნდაც ყველაზე უფრო სანუკვარი, ახლობელი და თვისტომი პორტრეტი როდი არის ამავე დროს მისი ავტოპორტრეტი. დეკემბრის შემდგომი პოლიტიკური და სოციალური რეაქციის რეჟიმი ქმნიდა და განსაზღვრავდა იმ პირობებს, რომლებიც ლერმონტოვის პროტესტს, მის რისხვასა და ჯანყს „დემონიურ“ ფორმას ანიჭებდა თვით ლერმონტოვიც კი გრძნობდა მშვენივრად ასეთი „დემონიზმის“ ცალმხრივობას და შეზღუდულობას, ამიტომ აღნიშნავდა იგი ხანდისხან და თავისი დემონის მიმართ, რომ «в его устах нередко ложь». დემონისა და ანგელოსის, ზეცისა და მიწის, ჯოჯოხეთისა და სამოთხის ანტითეზებისადმი პოეტის მიდრეკალება გამოწვეული და ნაკარნახევი იყო ამქვეყნიურ მოვლენათა და საკუთარი განცდათა წინააღმდეგობათა ხლართში გარკვევის სურვილით. ეს ამოცანა და მიზანსწრაფვა პოეტისათვის იმთავითვე ნათელი იყო და ამიტომ იგი თავის ყველაზე ადრიან ნაწარმოებებშიც კი აღნიშნავდა მსგავსი მეტაფიზიკური ელფერით დაჩრდილული ანტითეზების უქმარობასა და შეზღუდულობას:

Я к состоянию этому призыв,  
Но ясно выразить его б не мог  
Ни ангельский, ни демонский язык,  
Они таких не ведают тревог,  
В одном все чисто, а в другом все зло.  
Личь в человеке встретиться могло  
Спященное с порочным, Все его  
Мученья происходят оттого.

ამ შეგნებიდან გამომდინარე ლერმონტოვი თავისი შემოქმედებითი განვითარების პროცესში სულ უფრო და უფრო ჩქმალავს დემონის პორტრეტში ავტოპორტრეტის ნიშნებს, ართულებს დემონის სახეს, აშორებს მას თავის ლირიკულ გმირს, ამ სახის ობიექტივიზაციისაკენ მიისწრაფის, აახლოვებს მას



მიწიერ, ადამიანურ საწყისთან, იმ რეალურ ნიადაგთან, სადაც ადვილად გახსახორციელებელია „სიწმინდისა და მანკიერების“ შერწყმა. დემონიზმის პრობლემის განსახიერების ევოლუცია ლერმონტოვის ყრმობისდროინდელი ლირიკის ფარგლებშიაც კი წარმოებს ამ პრობლემის მეტაფიზიკური ნიშნების შეზღუდვის და აცილების მიმართულებით, მისი სოციალურ-პოლიტიკური და რეალურ-ფსიქოლოგიური მოტივაციის გაძლიერებისა და გაღრმავების გზით. ეს იყო რეალიზმის გზა, რომელიც არ გამორიცხავდა არც ამ პრობლემის ფილოსოფიურ-რომანტიკული პირობითობის ხერხებით მხატვრულ გადაწყვეტას (პოემა „დემონი“), არც რეალისტურად და ფსიქოლოგიურად მოტივირებული ლირიკულ-რომანტიკული ლაღაღისის ფორმით აქლერებას („მწერი“), არც კლასიკური კრიტიკული რეალიზმის ფარგლებში, ტიპიურ გმირთა ტიპიურ გარემოებაში ხატვა-აღწერას („ხვენი დროის გმირი“).

ერთ თავის ადრეულ ლირიკულ ფრაგმენტში (1831) წ.) ლერმონტოვმა თვით ახსნა ამოწმურავად, თუ რატომ ჩაიხშო მან გულში პარმონიის, სიხარულის და სიყვარულის გრძნობა, რატომ გადაადნო სიყვარული სიძულვილად, რატომ გამოსჰვედა სულიერი სინათლისაგან წყვედიადი, რატომ შეიკურვა შურისმაძიებელი დემონის ფარ-მუხარადით:

..... Кровь собратий,  
Кровь стариков, растоптанных детей  
Отяготела на душе моей,  
И проринула к сердцу, и насильно  
Заставила его расторгнуть узы  
Свои, и в мшенье обратила все,  
Что в нем похоже было на любовь...

ვფიქრობ, ეს სტრიქონები უნივერსალური გამოხატულებაა დეკაბრის შემდგომი რუსული ლიტერატურის სულიერი დრამისა და ერთადერთი სწორი გასაღები ლერმონტოვის შემოქმედების საერთო შავი კოლორიტის ასახსნელად.

იქ, სადაც სიხარულმა და ზეგმა, უღარდლობამ და მხიარულებამ სულიერად გამოფიტულ, სულიერი და ფიზიკური პარაზიტინებით გახრწნილ დიდაცთა არისტოკრატიულ ხროვაში მონახეს ბინა, იქ პოეტის ჩანგი ტყბილ ჰანას ველარ დაამღვრებდა. რუსეთის თავადაზნაურობა, რომლის მოწინავე ნაწილი ფიზიკურად იქნა განადგურებული ან საზოგადოებრივ ასპარეზს მოკვეთილი, რომელმაც ამგვარად თავისი ისტორიულად პროგრესული მისიის უკანასკნელი ნატამალიც კი ამოწურა, გუშინდელი სინათლის და ბრწყინვალეობის უკანასკნელი შექიცი კი დაჰკარგა, ეს თავადაზნაურობა ლერმონტოვისათვის ვეღარ ითამაშებდა იმ როლს, რომელიც პუშკინისათვის ითამაშეს თავადაზნაურულმა რევოლუციონერებმა — დეკაბრისტებმა, მათდამი ლერმონტოვს მხოლოდ ერთი გრძნობა ჰქონდა გულში დაკვეთებული — სიძულვილი, უარყოფა, რისხვა, წყევლა. მათთვის პოეტს მხოლოდ ერთი პასუხი შეეძლო გაეცა:

О, как мне хочется смутить веселость их,  
И дерзко бросить им в глаза железный стих,  
Облитый горечью и злостью!..

რკინის ლექსი, სიძულვილში და ნალველში ამოვლებული — აი უდიდესი პოეტური, ადამიანური, მოქალაქეობრივი წვლილი, რომელიც ლერმონტოვმა შეიტანა რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში, რუსული ლიტერატურის ისტორიაში პუშკინის ეპოქის შემდეგ. ამით მოამზადა ლერმონტოვმა ნიადაგი ნეკრასოვის, ჩერნიშევსკისა და შჩედრინის თაობისათვის. ამით გომართა მან ხიდი დეკაბრისტისა და რევოლუციურ-დემოკრატიზმს შორის, უღრობის ხანაში, საზოგადოების ერთი მოწინავე ფენის ისტორიულად გაჭრობის და მომავალი მოძრაობის ემბრიონალური ჩასახვის ეპოქაში მან მისცა სულიერი საზრდო იმ თავის თანამედროვეებს, რომლებსაც ელოდათ მისია რუსე-

თის ახალი გამოღვიძებისა. თუ რაოდენ ძნელი სატვირთავე იყო ეს ტვირთი ყველაზე კარგად ჩანს თვით ლერმონტოვის იქნებ ყველაზე გასაოცარია, ყველაზე გულმწარგ, ყველაზე განწირული სულისკვეთებით გამსჭვალული, სასოწარკვეთილი და ამავე დროს თვით ამ სასოწარკვეთის ძლიერებით კვლავ „რკინის ლექსად“ გადადნობილ სტრაქონებში გენიალურ „ფიქრიდან“:

Печально я гляжу на наше поколение!  
Его грядущее — иль пусто, иль темно,  
Меж тем, под бременем познания и сом-  
нения,

В бездействии состарится оно...

... К добру и злу постыдно равнодушны,  
В начале поприща мы вянем без борьбы,  
Перед опасностью похоронно-малодушны,  
И перед властью — презренные рабы...

...Толпой утрюмою и скоро позабытой,  
Над миром мы пройдем без шума и следа,  
Не бросилиши векам ни мысли плодотворной,  
Ни гения начатого труда.

И прах наш, с строгостью судьи и гражда-  
нина,

Потсмок оскорбит презрительным стихом,  
Насмешкой горькою обманутого сына  
Над промотавшимся отцом.

რა გოლიათური სულიერი ძალა უნდა ჰქონოდა ამის დამწერს, რომ შესძლებოდა მის მიერვე ასე მომავლდინებლად მხილებული, ისტორიის სამარცხვინო ბოძზე გაკრული საკუთარი თაობის, საკუთარი წრის, საკუთარი დროის არტახების, ჯებირების, ჯაჭვების, თობობის ქსელის გარღვევა, და სამშობლოს, ხალხის, ადამიანობის, პოეზიის უბოროტესი მტრის, პუშკინის, ღვთაებრივი პუშკინის მკვლელთა ბანაკის შეუაგულში მართლაც რომ „რკინის ლექსის“ გადატყორცნა, მართლაც რომ „ხანჯლისა“ და ლახვრის ჩასობა:

А вы, надменные потомки:

Известной подлостью прославленных отцов,  
Пятаю рабскою поправивше обломки  
Игрую счастья обиженных родов!  
Их, жадною толпой стоящие у \*трона,  
Свободы, Гения и Славы палачи!

Тамтесь вы под сенью закона,

Пред вами суд и правда — все молчи!  
Но есть и божий суд, и алтарь, и раз-  
врата!

Есть грозный судия: он ждет!

Он: недоступен звону алата,

И мысли и дела он знает наперед.

Тогда напрасно вы прибегнете к злословью:

Оно вам не поможет вновь,

И вы не смોете всей вашей черной кровью

Поэта праведную кровь!

მიხეილ ლერმონტოვმა შესძლო პუშკინის ყველაზე ხმაბალალი, ყველაზე მძინევარე, მრისხანე და შემაძრწუნებელი მოწოდებისა და ანდერძის შესრულება. და პუშკინის დაღადისი მართლაც რომ წინასწარმეტყველებად გადაიქცა, რადგან ლერმონტოვმა მოამოქმედა სწორედ ის, რაც პუშკინს სურდა და რისი ლექსად გამოკვეთილი სურათის გამოქვეყნებაც კი ვერ შესძლო:

Встань, встань, пророк России,

Позорной ризой облекись,

Иди и с верием вокруг выи

К убийце подлому явись!

მიხეილ ლერმონტოვმა შეასრულა ანდერძი, რომელიც რუსეთის საუკეთესო შვილთა სისტემა ჩაბრძობით შექმნილებულმა გენიამ იღალადა ამავე სტროფის ლეგალურ, — თავისი წინააღრისით კიდევ უფრო უნივერსალურ და ფორმით კიდევ უფრო ამაღლებულ, — ვარიანტში:

Встань, пророк, и выждь, и сдержи.

Исвольнись волею моей

И, обходя моря и земли,

Глаголом жги сердца людей.

ლერმონტოვი აღსდგა, ლერმონტოვმა დაინახა და ისმინა. ლერმონტოვმა შემოიარა ზღვა და ხმელეთი და სიტყვით შეუნთო ცეცხლი ადამიანთა გულებს. ეს ჩაუქრობელი კოცონი დღესაც გიზგიზებს კაცობრიობის გულში და მისი შექმნილებრივად უერთდება იმ დიდ სინათლეს, რომელსაც მიადწიეს ლერმონტოვის პოეზიის უსაყვარლესმა გამოჩენამა — რუსებმა, ქართველებმა, ჩერ-



### ივ. ანკორაძის

## „ჰატი-აბრეკის“ და „იზმაილ-ბეის“ პირველწყაროების შესახებ

ცნობილია, რომ კავკასიამ გააღრმავა ლერმონტოვში პირველი პოეტური შთაგონებანი. მრავალი მ.სი ლექსი გამსჭვალულია ამ მთიანი ქვეყნის სიყვარულით და კავკასიონით გამოწვეული ალტაცებით. პირველი პოემა კავკასიის ცხოვრებიდან ლერმონტოვმა შექმნა 1828 წელს; მომდევნო წლებში პოეტის ინტერესი კავკასიისადმი გაძლიერდა და ბოლოს მთლიანად დაეუფლა მის შთაგონებას.

კავკასიის შესახებ ლერმონტოვს აინტერესებდა ყველაფერი — ისტორიული სინამდვილეც, აქ მიმდინარე და დიდხანს შეუწყვეტელი ომებიც, ადგილობრივ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაც, მთიელთა ადათებიც, ძველისძველი გადმოცემანი და სხვადასხვა თქმულებები; ამასთან პოეტის მთელი სიმპათია იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი, თავისუფლებისმოყვარე მთიელი ტომების მხარეზე.

მინერალურ წყლებზე თავისი აღრინდელი მოგზაურობის მდიდარი შთაბეჭდილებანი, კავკასიის მკვიდრ თავისი ნათესავეების — ხასტატოვების ნაამბობი, საფუძვლიანი სტატიები და ნარკვევები იმდროინდელ ჟურნალებში, სადაც ოფიციალური უწყებების გარდა, იბეჭდებოდა კავკასიაში მიმდინარე ამბების უშუალო მონაწილეთა ცნობები. კავკასიის ხალხთა ცხოვრებიდან დაწერილი ლიტერატურული ნაწარმოებები — აი, ყოველივე ის, რაც ლერმონტოვმა მასალად გამოიყენა თავის აღრინდელი პერიოდის პოემებისთვის.

მას შემდეგ, რაც ლერმონტოვი იუნკერთა სკოლაში შევიდა (1832 წ. ნოემბერი), კავკასიური თემატიკისადმი მისი ინტერესი უფრო გაძლიერდა. ცნობილია, რომ პოემა „ჰატი-აბრეკი“ აქ დაიწერა. ლერმონტოვის პოემების „იზმაილ-ბეის“ და „ჰატი-აბრეკის“ შინაარსობრივ-თემატიკური მსგავსება საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ პირველი ამ პოემათაგანი დაწერილია იმავე მასალის საფუძველზე, რა მასალის მიხედვითაც შეიქმნა „ჰატი-აბრეკი“. შესაძლებელია, „იზმაილ-ბეი“ დაწერილია იმავე ხანაში, როცა პოეტი იუნკერთა სკოლაში სწავლობდა. ამჭერად ლერმონტოვს, უკვე როგორც სამხედრო პირს, უფრო ადვილად შეეძლო გარკვეულიყო კავკასიაში დატრიალებული ამბების არსში და პოეტური შთაგონებით აეწერა არა მარტო ბუნების სილამაზე და სიდიადე, არამედ ყველაფერი ის, რაც დაკავშირებული იყო მთიელთა განუწყვეტელ მშფოთვარე ბრძოლებთან თავისუფლებისათვის. „იზმაილ-ბეის“ შექმნას რამდენადმე ბიძგი მისცა ბესტუევე-მარლინსკის მოთხრობამ „ამალათ-ბეკმა“, რომელიც გამოქვეყნდა 1832 წლის დამდეგს „მოსკოვსკი ტელეგრაფში“. მარლინსკიმ მართებულად უწოდა თავის ამ ნაწარმოებს „ნამდვილი კავკასიური ამბავი“. ამალათ-ბეკი ისტორიული პირი იყო, რომელმაც მცირე როლი როდი შეასრულა ჩეჩნეთის და დაღესტნის ტომების გამანათვისუფლებელ მოძრაობაში. ლერმონტოვის ჩვენამდე მოღწეული ნა-

ხატი, რომელიც ასახავს პოლკოვნიკ ვერხოვსკის მოკვლის სცენას მარლინსკის „ამალათ-ბეკიდან“, მოწმობს პოეტის გარკვეულ ინტერესს ამ მოთხრობისადმი.

იზმაილ-ბეი ლერმონტოვს გამოყვანილი ჰყავს, როგორც ბეიბულატის ძმისწული. თოთხმეტი წლის ასაკიდან იზმაილ-ბეი იზრდებოდა რუსეთში. იმ ხანებში რუსეთის სამხედრო ზელისუფალნი მიმართავდნენ კავკასიიდან ბავშვების მძევლად წაყვანას, როგორც მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ღონისძიებას; მძევლებად მიყავდათ წარჩინებულ პირთა შვილები, რომელთა დიდი ნაწილი იზრდებოდა კავკასია და თბილისში, სადაც მათთვის საგანგებოდ გახსნილი იყო „ამანათთა სკოლები“. ამ სკოლების დამთავრებისას მთიელი ახალგაზრდები იგზავნებოდნენ კადეტთა კორპუსებში, საიდანაც ისინი ოფიცრებად გამოდიოდნენ.

ზოგიერთ მათგანს ლერმონტოვი პირადად იცნობდა და, ცხადია, ბევრი რამ მათ მიერ ნააშობი ლერმონტოვმა გამოიყენა მასალად „იზმაილ-ბეის“ და „პაქი-აბრეკის“ ფაბულისათვის, აქი ლერმონტოვი თვითონვე ამბობს, — ამ გადმოცემას ვადმოვცემ ისე, როგორც გავიგონეო.

იუნკერთა სკოლაში ლერმონტოვის ყოფნის დროს სწავლობდნენ კავკასიელი მთიელები—შაჰ-ვალი და მესტი-ასან-ბეკი<sup>1</sup>. შაჰ-ვალი ისევე, როგორც ამალათ-ბეკი, ძმისწულად მოხვდებოდა დაღესტნის მფლობელს შამხალ ტარკოვსკის, და ისიც აულ ბუინჯში ცხოვრობდა.

მეორე მთიელთან—მესტი-ასან-ბეკთან ლერმონტოვს ბიოგრაფიულად უფრო მეტი საერთო ჰქონდა. იყვნენ რა ოენკერები, ორივენი ჰუსართა გვარდიულ პოლკში ირიცხებოდნენ და სამხედრო სკოლის დამთავრებისთანავე ორივე იმავე პოლკში გააწესეს.

ამ ორი ახალგაზრდა მთიელისაგან მიწოდებული ცნობები მწერალმა გამოიყენა მასალად პოემების—„იზმაილ-ბეის“ და „პაქი-აბრეკის“ სიუჟეტისათვის. ამიტომ შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ აღნიშნულ პოემებზე მუშაობისას ლერმონტოვი ეყრდნობოდა უაღრესად სარწმუნო მასალას.

პოემებში გამოყვანილი პერსონაჟები იზმაილ-ბეი, სელიმი, როსლამბეკი, ბეიბულატი, პაქი-აბრეკი, ლეილა და მამამისი მეტწილად რეალური ისტორიული პირები არიან. ეს დიდად გვეხმარება მივაცვლიოთ იმ ამბებს და მოვლენებს, რომლებმაც ასე გაიტაცა ლერმონტოვი; ამავე ამბების ჩვენება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ და აღვადგინოთ პოეტის შემოქმედებითი მუშაობა ამ ნაწარმოებებზე.

იზმაილ-ბეის სახელით ცნობილი პირები: კავკასიური ომების ქრონიკა და სამხედრო პირთა ცალკეული ცნობები აღნიშნავენ, რომ იყო ერთი იზმაილ-ბეი ყაბარდოდან, მაგრამ ამბები, სადაც იგი მონაწილეობს, ეყუთვნის 1804 წელს. გაკვრით ეს სახელი მოხსენებულია საბუთებში, სადაც ლაპარაკია მინერალური წყლების გამოყენების და განვითარების შესახებ. „ამ წელს (1809) გააზმა აღმოაჩინა რკინის წყაროები იმის წყარობით, რომ შემთხვევით გაეცნო ჩერქეზ თავადს იზმაილ-ბეის“.

მაგრამ ეს უკანასკნელი თავის გარეგნობით და ცხოვრებით არ ჰგავს იმ იზმაილ-ბეის<sup>2</sup>, რომელიც ლერმონტოვს თავის პოემაში ჰყავს გამოყვანილი. მეორე იზმაილი, რომელმაც მე-19 საუკუნის 20-იან წლებში დიდი ყურადღება მიიქცია, გახლდათ თავადი იზმაილ-ალიევი, რომელსაც მეტ სახელად ყუბანსგალმელ ბოგატირს უწოდებდნენ. 1829 წ. 17 აპრილს იგი მოჰკლეს და ნეკროლოგის სახით მის შესახებ გამოქვეყნდა სტატია ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფში“ სათაურით „ცხოვრება და

1. Исторический очерк Николаевского Кавалерийского училища. СПб, 1873 г. Приложение, стр. 59—60.

2. В. Богословский — Пятигорск и с ним смежные минеральные воды. Москва, 1899 г. стр. 8.

სიკვდილი ყუბანსგაღმელი ბოგატირისა“.

ეს იზმაილი — „რუსეთის სამსახურის პორუჩიკი“, ადრე „რუსთა უბოროტესი მტერი იყო, შემდეგ სხვადასხვა დამარწმუნებელი მოსახრებით იგი დაიყოლიეს გადასულიყო ყუბანში და გამბდარიყო რუსეთის ერთგული ჭვეშევრდომი... ამის მერე, ბევრ შემთხვევაში გამოიჩინა ჩვენდამი თავისი მომხარობა“... „ჩვენდამი არაერთგულად განწყობილ ჩერქეზებს საშინლად სძულდათ იზმაილი, ბევრი ნათესავი მას გიჟურს, რუსს, ქრისტიანს უწოდებდა, რამდენჯერმე ფარულად კაციც კი მიგზავნეს მის მოსაკლავად, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველანი პატივსცემდნენ იზმაილს, რადგან სიმამაცე მთიელის თვალში ისეთი მაღლია, რომ ჩერქეზი პატივს სცემს ამ თვისებას თვით თავის მტერშიც კი, ხოლო იზმაილის სიმამაცე ყველასათვის ცნობილი იყო რუსების წინააღმდეგ ჩადენილი მისი წინანდელი საქმეებით...“

ცხოვრობდა იზმაილი მდ. ყუბანს გაღმა მდებარე აულში ზედ მდ. ურუპის შესართავთან, შვიდიოდე ვერსის დაშორებით პროჩნო-ოკოის ციხე-სიმაგრედან.

ერთხელ, შინ რომ ბრუნდებოდა, იზმაილს შეატყობინეს, ოცამდე ყაჩაღი თავს დაეცა შენი უზღენის იგი-თემირის აულს, გაიტაცეს თვითონ უზღენი, მისი ვაჟი და მთელი რემაო“.

„მხედართა მცირე ჯგუფი, მათ შორის, იზმაილი დაედევნა თავდამსხმელებს, გაჩაღდა სროლა. თეთრ ცხენზე მჯდარი თეთრფაფახიანი ერთი ყაჩაღთაგანი უეცრად მიიჭრა იზმაილთან და ესროლა პირდაპირ. ტყვიამ მუცელში გაუარა“.<sup>3</sup> იზმაილი სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა კიდეც.

კავკასიისმცოდნეობით ლიტერატურაში იზმაილის პიროვნება ყოველმხრივ არის ასახული; მის შესახებ თანამედროვეთა ნაამბობით საფუძვლიანი ცნობები

შეკრიბეს სამსონოვმა, პშესლავსკიმ<sup>4</sup> და სხვ. ამ ცნობებს ეყრდნობს ისტორიკოსი ვ. პოტო საგანგებოდ იზმაილ ალიევისადმი მიძღვნილ თავის ნარკვევში.<sup>5</sup>

ამ ნარკვევში ვტყობილობთ დამატებით დეტალებს, რომლებიც მოხსენებულ იქნა არ არის ჟურნალ „მოსკოვსკი ტელეგრაფში“, გეინატავს რა მის წარსულ ცხოვრებას, იმას, თუ რა დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი მთიელებს შორის, როგორც მამაც ვაჟკაცს, პოტო აგვიწერს გენერალთან მის აუდიენციას, სადაც იზმაილმა ყველა გააოცა „ვაჟკაცური წარმოსადგეგობით, თავდაპირით და ბუნებრივი სიკობრთავით“.. შემდეგ დაწვრილებით არის მოთხრობილი, როგორ დაედევნა იზმაილი გამტაცებლებს და რა ვითარებაში მოჰკლეს იგი... „იზმაილი გამოვიდა სახლიდან თავად აბულოვებთან ერთად, შეჯდა ცხენზე და პირველი გავიდა ალაყაფიდან. მერე ნუქერებთან, რომლებიც შეუერთდნენ, გაცდნენ სოფელს და მთებს მიაშურეს. გზაზე ჯგუფს შეუერთდნენ კიდევ იზმაილის ბიძაშვილი — სელიმ-გირეი, თავადები ხან-მურზა და შუბან ალჩაგროვები, თვითელი თავის ნუქერებით. მალე ჯგუფი წამოეწია გამტაცებლებს და დაიწყო მათ შორის გასშირებული სროლა“.

...„უცებ იზმაილისგან რამდენიმე ნაბიჯზე ცხენიდან გადმოვარდა ნუქერი და ვერ მოასწრო ძირსდავარდნილი მოკლული ცხენისგან თავის დაღწევა, რომ გარშემოერტყნენ ჩერქეზები. იზმაილის ახლოს იმ წუთებში ერთი კაციც არ ყოფილა, იგი მარტოდ მივარდა ნუქერთან მისსაშველებლად და პირველივე გასროლით უნაგირიდან გადმოაგდო ყაზბარდოელი თავადი კუჩუკ-აჟი გირეი. გახურებულ სროლაში ჩაბმულმა იზმაილმა ვერ შეამჩნია, როგორ მიიჭრა მას-

4. Утверждение русского владычества на Кавказе. Тифлис, т. V, стр. 133.

5. В. Потто—Кавказская война в очерках, эпизодах, легендах и биографиях. Тифлис, 1889 г. т. V, стр. 435—450.

3. Журнал «Московский телеграф», 1829, ч. 27, стр. 431—442.



თან თეთრფაფხიანი მხედარი, თეთრ ცხენზე მჯდარი, ეს გახლდათ ისინაფ ბაბუკოვი, უბიხი, ყაჩაღთა სახელგანთქმული ბელადი და წინამძღოლი. მან იცნო იზმაილი და ესროლა მას დამბახა. ტყვიამ იზმაილს ხმლის ვადა დაუღწია და მუცელში გაუარა, კრილობა უთუოდ სასიკვდილო იყო, მაგრამ იზმაილს იმდენი ძალღონე მინც შერჩა, რომ საპასუხო გასროლა მოესწრო, და იქვე ადგილზე გაემირა მკვლელი. როგორც კი უმხედროდ გაქრილი თეთრი ცხენი დაინახეს, ყაჩაღებმა უმაღვე მოუსვენეს...

სასიკვდილოდ დაქრილი იზმაილის პირველი სიტყვები იყო: „სად არის ჩემი ძმა, სელიმ?“ მალე იზმაილმა სული განუტევა.

შემდეგ პოემა „იზმაილ-ბეისი“ მოხსენებულა როსლამბეკი, მაგრამ ეს სახელი თავისთავად არაფერს არ ლაპარაკობს. მთიელებში ეს გავრცელებული სახელია. 20-იანი წლების დამდეგს თავისი სიჩაუქით სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი როსლამბეკ ბერისლანოვს, ასლან როსლამბეკს, როსლამბეკ ბერესენეს. ამათ შორის ლერმონტოვის პერსონაჟის ძიება სხვადასხვაგვარი კახულის წინაშე დაგვაყენებდა.

ლერმონტოვის ორსავე პოემაში ვხვდებით ისტორიულ პირს ბეიბულატს, და უკვე ეს ერთი გარემოება აადვილებს აღვადგინოთ მომხდარი ამბები თავისი ნამდვილი სახით. ბეიბულატი მოჰკლეს 1831 წელს. ეს ფაქტი გვიკარანახებს, რომ ამბები, რომელიც პოემებშია მოთხრობილი, მივაკუთნოთ სწორედ ამ წელს. იმ ისტორიული პირებიდან, რომლებიც სახელათ ლერმონტოვის პერსონაჟებს ჰგვანან, შეიძლება ვიცნოთ შეიხი ჰაჯი-იზმაილი. აი რას ამბობს მის შესახებ ისტორიკოსი პოტო.

„ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში უწმინდესი თარიხათული მოძღვრების წარმომადგენელი იყო შეიხი ჰაჯი იზმაილი, რომელიც შირვანის პროვინციის სოფელ ქიურდამირში ცხოვრობდა. ამ

ბერს, რომელიც განუდგა სოფელს და მხოლოდ და მხოლოდ წინააღმდეგობას ვეღარ ჩვენებთა კვრეტას, ჩაჟირდა წილად ხვდა გამხდარიყო შემქმნელი სისხლიანი იდეებისა, რომელთაც 30-წლის მანძილზე ფანატური ცეცხლით ჰყავდათ ანთებული დაღესტანი და მერე თითქმის მთელი კავკასიონი“.

შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ უბოძა ამ ჰაჯიმ მურშიდის წოდება მოლლა მამბოედს, და როგორ „აქურთხა“ იგი იმისათვის, რომ შედგომოდა თარიხათის ქადაგებას, აქედან დაიწყო და გავრცელდა მოძრაობა, რომელიც ისტორიაში ცნობილია კავკასიური მიწრიდინების სახელწოდებით.

ლერმონტოვის პოემებში აღწერილი ამბები და მათი მიმდინარეობის დრო ცნობილია საომარ მოქმედებათა სრული შეწყვეტით საჩენოსა და დაღესტანში. მეფის ადმინისტრაციამ ამ ხანებში მთელი თავისი ყურადღება ჰარბელაქანის ლეკების დამორჩილებას გაუაღიანა, რაც მიჩნდათ მაშინ მთავარ მიზნად კავკასიის საერთო დამორჩილების გეგმაში. ინგუშეთსა და მის მოსაზღვრე საჩენოში („ისმაილ-ბერს“ და „ჰაჯი-აბრეკის“ პერსონაჟთა მოქმედების რაიონში) 30-იანი წლების სრულ მიწურულამდე დიდი ბრძოლები და შეტაკებები არ მომხდარა. მიმდინარეობდა მხოლოდ ძებნა მოწინააღმდეგეთა ცალკეულ ჯგუფებისა, რომლებიც ოფიციალურ ცნობებში კვალიფიკირებული იყო, როგორც „მტაცებლური“. აქ იქ თავს იჩენდა უკვე ხალხის ყრუ უმეყოფილება. მიწრიდინების პირველმქადაგებელს ყაზიმოლაში ჩაჩენების უმრავლესობა გრძნობდა ერთადერთ თავის დასაყრდენს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ხანებში დიდი ყურადღება მიიქცია ბეიბულატმა, რომელიც საჩვენებლობდა პოპულარობით მთიელებს შორის და რუს ხელისუფალთა პატივისცემით. მაგრამ მის ორმაგ პოლიტიკას ბოლო ეღებოდა.

ბეიბულატზე ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი ლერმონტოვს, და შემთხვევითი არ არის, რომ მწერალი დიდ აღვილს უთმობს მას თავის პოემაში. 20-ანი წლების დამდეგს ბეიბულატი ჩაღრაუსთა სამილიციო სანსახურში, მაგრამ მალე წაეჩხუბა და განუდგა რუს სამხედრო ხელისუფალთ, მთიელები-სადმი მათი ზიზღის გამო, და გახდა მეფის თვითმპყრობელური მთავრობის შეუღლებელი მტერი. მან ფიცი დასალო შური ეძია თავისი ხალხის დამცირებისათვის და მთელი რიგი წლების განმავლობაში მონაწილეობდა რუს ჯარისკაცთა რაზმებზე თავდასხმებში. 1826 წელს მისი მნიშვნელოვანი წამოწყება იყო რუსების ერთ-ერთი ძალიან გამაგრებული ციხე-სიმაგრის — ამირაჯი იურტას აღება და მისივე ცდა დაეტყვევებია კორპუსის უფროსი ერმოლოვი, მთებში მისი მოგზაურობის დროს, და სხვ.

ამავე წლის ზაფხულს კავკასიის ომის ქრონიკაში საყურადღებო ამბავს წარმოადგენდა დიდი თანამდებობის ორი გენერლის — გრეკოვის და ლისანევიჩის მოკვლა. ამ მოკვლეობაში ხედავდნენ ბეიბულატის შურისძიებას. მისი სახელი ლეგენდარული გახდა. სწორედ ამ ხანებში ლერმონტოვი გორიანევილსკი იმყოფებოდა, და ბეიბულატის საბე დიდ ხანს დარჩა პოეტის სოფელში.

შემდეგ წლებში, მთელი რიგი წარუმატებლობის მიუხედავად, ბეიბულატს არ შეუწყვეტია მოქმედება. 1827 წელს თავი მოუყარა რა მნიშვნელოვან ძალებს, ისევე მოაწყო აჯანყება საჩეჩნოში. მთელი ყურადღება გადაიტანა იმაზე, რომ აეღო ციხე-სიმაგრე გროზნო, რომელიც რუსეთის მხედრობის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა. ამავდროს იგი ხელმძღვანელობს საქართველოს სამხედრო გზის რაიონში დასახლებული ოსების აჯანყებას და კავშირს აბამს სპარსეთის სამხედრო სარდლობასთან. 1828 წელს კონტაქტს ამყარებს თურქეთთან და ეხმარება ფაშას ანაპის

დაცვაში. 1829 წლის დამდეგს ყველასათვის სრულიად მოულოდნელად ბეიბულატმა თავისი სამახურე მხარეებზე რუსეთის მთავრობას. მალე 30 მხედრით ეწვია პასკევიჩის ბანაკს არზრუმში. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ, უხვად დაჭილდოვებული ბეიბულატი დაბრუნდა თავის სამფლობელოში.

ლერმონტოვის პერსონაჟთან ბეიბულატის მსგავსების გასარკვევად, ოფიციალურ მონაცემებთან ერთად, გვეხმარებიან თანამედროვეთა მოგონებანი და იმ დროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებები. კერძოდ, ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია ახალგაზრდა ნიჭიერი პოლონელი პოეტის ვლადისლავ სტრეელინიკის თხზულებთა კრებული.<sup>7</sup> ეს პოლონელი პოეტი გადმოსახლებული იყო კავკასიაში, სადაც მან რვა წელიწადი დაჰყო. იგი სხვადასხვა დროს თავისი რაზმით იღდა შემახაში, ხოჯალში, ყუბაში, ბაქოში, თბილისში და კავკასიის სხვა პუნქტებში. კავკასიაში შეგროვალი დიდძალი მასალა, აქ მიღებული ცოცხალი შთაბეჭდილებები და დაკვირვებანი პოლონელმა პოეტმა გამოიყენა მხატვრულ ნაწარმოებთა დასაწერად. მის თხზულებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დაუმთავრებელი პოემა „ბეიბულატი“, ამავე სახელწოდების მთავარი გმირით. პოემაში ჩვენ ვეცნობით უარესად საინტერესო ფაქტებს ბეიბულატის ცხოვრებიდან, ფაქტებს, რომლებსაც ბევრი რამ საერთო აქვთ უფრო ადრე დაწერილი ლერმონტოვის ზემოხსენებული პოემების პერსონაჟთან.

მოკლე შესავლის შემდეგ, სტრეელინიკის პოემის დასაწყისში, სადაც ლაპარაკია ყაზარდოელ ახმედზე და მოლა-ნურზე, რომლებიც უკვე იშვინენ მოხსენებული ლიტერატურაში, ავტორი გულისხმობს რა ბეიბულატს, სვამს კითხვას: „რატომ ერთხელაც

<sup>7</sup> სტრეელინიკი ვლადისლავ, პოეზია. ვიტომირი, 1860 წ. (პოლონურ ენაზე).

არაფინ მიაკითხა არღუნის ხეობებს, რატომ საჩინოს გავლით ერთხელ არაფინ არ შეიარა სუნჯაში! შემდეგ ავტორი ცხოველი ფერებით ხატავს უღრანი ტყით დაფარულ მთაზე წამოღმულ ბეიბულატის სახლს, რომელიც მდსუნჯას უფსკრულს გადაყურებს, წარმოგვიდგენს ბეიბულატს. იმოდენა ცხერის ფარების მფლობელად და ისეთი იარაღ-საჭურვლით აღჭურვილს, რომლებიც შეშურდებოდათ თვით ყარაბაღის ხანებსაც კი, ისეთ უბადლო სიმამაცის ვაჟკაცად, რის გამოც მას ზედმეტ სახელად „არღუნის მგელს“ უწოდებდნენ. ავტორი ასეთი ხოტბადიდებით მიმართავს ბეიბულატს:

ბრწყინავ არღუნის ხეობებიდან,  
დიდო ვარსკვლავო ჭიჭიტებისა,  
დიდება შენდა!

სად არ გიციობენ, რომელ მხარეში?  
ვინ არ შენატრის შენს დიდებულ ხედვს?  
ვის არ აწინებს მუქარა შენი,  
კასპის ზღვიდან ვიდრე შავ ზღვამდე?  
დიდება შენდა!

შენი რაზმებით, როგორც ღვართქაფი,  
ყოელის მომსახობი, თერგის ველებზე  
ფანტავ ჭვალთა მტერს შენი მტრებისას,  
დიდება შენდა!

შთების ძირიდან შავი ქანლივით  
კავკასიონის აღიხარ წვერზე.  
სადაც ნათობენ ვარსკვლავნი, მთვარე,  
თოვლ-მყინვარება, დიდება შენდა!  
და მალაღ მთიდან აღდებულნი  
ნიაღვარით თავს დაატყდები  
ხოლმე აულენს და უღრან ტყეებს.  
დიდება შენდა!

ამ პოემაში ავტორი გვატყობინებს ერთს დამაზახიანებელ დეტალს—ბეიბულატის ახლო კავშირს მეზობელ აულთან — ჩახ-კირესთან, საიდანაც ხშირად „გაისმოდა ხანჯლებს ჩხარუნი“.

პოემა „ბეიბულატის“ მეორე თავში, რომელიც ავტორს დასათარებული აქვს სიტყვა „norwanie“ („გარბაიება“), პოეტი, სხვათაშორის, გვაუწყებს ასეთ დეტალს ბეიბულატის ცხოვრებიდან: „შირვანში, რუის პირზე, ტყეში, ცხოვრობდა გასაოცრად ლამაზი ნორ-

ჩი ჩიტუნა... მაგრამ ავტორი ჩრდილოეთიდან მოფრინავს შევარდენი, ჰყვით პერს უსწრაფესი ქროლვეთი, მუფრინავს წვეტიან იარაღ, და შეითახის ეს მოციქული მებრძოლი ეცემა ძირს, და ყველგან, სადაც არ უნდა მოფრინდეს, მთელს მხარეში, კვამლისფრად შემოსილი, სპობს და ნთქავს ყველა ხორციელს, რასაც კი წააწყდება“.

შემდეგ ავტორი თვითონვე განმარტავს: „თქვენ ისმენთ სიმღერას არა შევარდენზე, არამედ ჩეჩენეთა ტყეების მგელზე, დიდებულ მგელზე—ბეიბულატზე. ამ მგელმა გაიტაცა თავის ბუნავში ქალწული, რომლის სახელია გინულა“.

მერე, ავტორი აღფრთოვანებულ პოეტურ სიტყვებს უძღვნის შახ-დაგს (მთა აზერბაიჯანში), რომლის მახლობლად ცხოვრობდა ეს ტურფა ქალიშვილი.

სტრუქტურული მიერ ბეიბულატის ცხოვრებიდან მოთხრობილი ეს ფაქტი — ახალგაზრდა ქალწულის მოტაცების ფაქტი, როგორც ცნობილია, უფრო ადრე ლერმონტოვმა გამოიყენა დრამატულ კანსად „მაჩი-აბრეკში“. იმას, რასაც პოლანელი პოეტი ბეიბულატზე და გინულაზე გვიამბობს, ადასტურებს ერთი ბარწმუნო ცნობა, სამხედრო კორესპონდენტ ილ. რადოვიცისა,<sup>8</sup> რომელიც ბეიბულატის საგულისხმო დახასიათებას იძლევა. იგი გადმოგვცემს ასეთ ფაქტს ბეიბულატის ცხოვრებიდან, იგი პასკევიჩთან გამოცხადდა არზრანში. ბეიბულატს თან ახლდა მისი საჭურველმტვირთველი — ახალგაზრდა ყმაწვილი, თუ მდიდრულად ჩაცმული ქალი, ფართო ზურგს უკან, ქამარში გარკობილი ორი დამბახით; მას ხელში თავისი ბრძანებლის ჩიბუხი და ქისა ეჭირა“.

ალბათ, იმის შიშით, რომ მტრებს შური არ ეძიათ და ეს ქალი უკანვე არ

8. Ил. Радожицкий — Походные записки артиллериста в Азии. «Военный журнал», 1857 г. кн. I, стр. 75.

გაეტაცნათ, ბეიბულატი მას არ იშორებდა და თან დაყავდა ვაჟურად ჩაცმული.

იგივე შემთხვევა—ბეიბულატის მიერ ტურფა მთიელი ქალის მოტაცება თვით სტრეელნიცის ნაამბობი აქვს მოთხრობაში „ორი უზღენი“, რომელიც დაუწერია 40-იანი წლების დამდეგს კავკასიაში.<sup>9</sup> აქედან შეიძლება ამოგვიფოთ ბევრი საინტერესო და დამახასიათებელი წერილმანი, რაც საშუალებას იძლევა გავარკვიოთ ნამდვილად მომხდარი ამბები, რომლებიც ლერმონტოვმა გამოიყენა პირველ წყაროდ და მასალად „იზმაილ-ბეისა“ და „ჰაჯი-აბრეკისათვის“.

ვიღრე სტრეელნიცი, რომელმაც რუსული ენა ჩინებულად იცოდა, შეუდგებოდა თავისი მოთხრობის „ორი უზღენის“ წერას, უთუოდ კარგად იყო გაცნობილი ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკს“. (ეს პოემა გამოქვეყნდა ქურნალში „ბიბლიოტეკა დღია ჩტენია“, რომელიც საკმაო რაოდენობით მოდიოდა თბილისში).

სტრეელნიცი შედიოდა გადმოსახლებულ პოლონელ ლიტერატორთა წრეში, რომლის სულსჩამდგმელი იყვნენ, ლადა-ტადეუშ ზაბლოცკი და ლ. იანიშევსკი<sup>10</sup>, და მას უთუოდ ნაცნობობა ექნებოდა თბილისში მცხოვრებ პოეტებთან ნიკო ბარათაშვილთან, აბას ყული ალა ბაქიხანოვთან და სხვებთან.<sup>11</sup> ამ პოეტების მსგავსად, სტრეელნიცი გატაცებული იყო ლერმონტოვის პოეზიით, ბაძავდა მას, ამუშავებდა იმავე მოტივებს, იყენებდა იმავე ფაქტობრივ მასალას, რომელსაც იგი პირადად ჩინებულად იცნობდა. საერთოდ, სტრეელნიცი თავისი სულსკვეთებით და განწყობილებით ენათესავება ლერმონტოვს.

მოთხრობაში „ორი უზღენი“, როგორც ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკში“,

მოქმედი პერსონაჟები არიან ლერმონტოვის ბაზა, რომელიც დასწრეს მის წინავე თვისებებით არის აღქმული, როგორც ბეიბულატი. მოტაცებული ლეილას შურისმაძიებლად გამოყვანილია მისი ორი ძმა. როგორც ლერმონტოვის „ჰაჯი-აბრეკი“, ისე სტრეელნიცის „ორი უზღენი“ თავდება მოწინააღმდეგეთა შერყენებით და დაღუპვით.

სტრეელნიცის მოთხრობის მიხედვით შეიძლება დავადგინოთ მოქმედების ადგილი. ეს გახლავთ აული შარი, რომელიც ყარაბულაკოვის საფლობელოს ან ინგუშეთის ესაზღვრებოდა. საფიქრებელია, რომ აული ჩახ-გერიც მდ. არღენის ნაპირზე მდებარეობდა, ორივე ეს აული საშინლად დაზარალდა, პირველი — ტომობრივი შეხლამეობლით, მეორე კი — მეფის ჯარების შეჭრის დროს. ერთს ამ აულთაგანს ლერმონტოვმა სახელად უწოდა ჯემათი, რაც ხალხის კრებას ნიშნავს. ეს იყო მთიელთა უმადლესი სათათბირო ორგანო, რომლის გარეშე ვერ მიიღებდნენ ვერც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. უწოდა რა აულს ჯემათი, ლერმონტოვმა ამით კადევ ერთხელ ხაზგასმით გამოხატა თავისი სიმპათია მთიელებისადმი, რომელთაც ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდათ მმართველობის დემოკრატიული ფორმა.

ლერმონტოვის მიერ მოხსენებულ მთას შაითანს ვხვდებით 1841 წელს ბაქოში დაწერილი სტრეელნიცის ლექსში „მხედარი კასპიის სანაპიროზე“, სადაც ავტორი ამ მთას უწოდებს „უდაბნოს გუშაგს“, საიდანაც მოისმის „კასპიის ზღვის ტალღების დგაფენი“.

დასასრულ, ერთი და იგივეა ოფიციალური ვერსია და „ჰაჯი-აბრეკის“ ფინალური სცენა — ბეიბულატის დაღუპვა მოწინააღმდეგესთან შერკინებაში.

მოვლენები, რომლებიც თანამედროვეთაგან ჰქონდა მოსმენილი და კარგადაც იცოდა ლერმონტოვმა, დაედო სა-

9. Газ. «Кавказ» 1846 г. Тифлис, № 18—23.

10. Я. Полонский. Стихотворения и поэмы. Редакция и примечания Б. Эйхенбаума. 1935 г., стр. 649.

11. См. об. ხელთნული — თუმანიშვილის არქივი, თბილისი, 1938 წ.

ფუძვლად პოემებს „ქაჯი-აბრეკს“ და „იზმაილ-ბეის“.

დაინტერესდა რა ეურნალ „მოსკოვის კი ტელეგრაფში“ იზმაილის შესახებ გამოქვეყნებული ნარკვევით, უნდა ვიფიქროთ, ლერმონტოვი ვატაცებით შეუდგა ნარკვევში მოთხრობილი ცხოვრების მხატვრულ დამუშავებას, ნარკვევის თემის იდეურ გააზრებას, და მხატვრულ გახსნას იმ განზრახვით, რომ მასში შეეტანა ამბებისადმი თავისი დამოკიდებულება, გამოეხატა თავისი სიმპათიები გაუბედურებული მთიელი ტომებისადმი. შემდგომში მწერალმა პოემის ფაბულა გაამდიდრა, შეავსო თავის თანამედროვე იმ პირთაგან ნაამბობი ცნობებით, რომლებიც კარგად იცნობდნენ იზმაილ ალიევს და ბეიბულატს, და როგორც მხატვრულ ნაწარმოებებზე მუშაობისას ხდება ხოლმე, შესცვალა, გადაადგილა ფაქტები — პიიწერა იზმაილს ის, რაც ბეიბულატს შემთხვევით.

ასე, მაგალითად, პირველად იზმაილ-ბეი ნაჩვენებია რუს ოფიცრად, ნელ-ნელა თავისი თვისტომი მხატვრულად შე გადავიდა, მაშინ, როცა სინამდვილეში იზმაილი იყო მთიელი, რომელიც გადუდგა თავისიანებს და მიემხრო რუსებს. ლერმონტოვის პოემაში იზმაილ-ბეის თან ახლავს ვაჟურად ჩაცმული ზარი—სელიმი; სარწმუნო წყაროებიდან კი ცნობილია, რომ ბეიბულატს ლაშქრობაში ასევე თანახლავს ვაჟურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი. ლერმონტოვის პოემაში შერკინების დროს ილუბება ორივე მოწინააღმდეგე, სინამდვილეში კი ბეიბულატის მოქიშვე სალატ-გირევი შეტაკებიდან გამარჯვებული გამოდის.

პოემის პირველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე ლერმონტოვს ემჩნევა აშკარა ტენდენცია გვიჩვენოს თავისუფლებისმოყვარეობა მთიელებისა, რომლებიც მზად არიან გაიღონ თავისი სიცოცხლე სამშობლოს კუთხის შენარჩუნებისა და თავისუფლებისათვის.

ბიკოლა ბაქანი

ბიკოლა ბაქანი

ბიკოლა ბაქანს საბჭოთა მწერლობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს. ბევრნი როდი არიან ისეთი პოეტები, რომლებიც თავისი სამშობლოს გარეთაც მკითხველში ბაქანივით პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდნენ. ეს ფართო დიპაზონის შემოქმედელი და დადი კულტურის პოეტი, პირად ცხოვრებაში იშვიათად უბრალო და მოსიყვარულე ადამიანია. დიდი გარეგნობა და ოცნებაში წასული თვლები ერთი შეხედვით ცივს იერს აძლევენ, მაგრამ გამოელაპარაკებით თუ არა, პირველი შთაბეჭდილება უმალ გაგიჭრებათ, იგი მაშინვე გულს მთლიანად გაგიღებთ და თქვენს შორის ძალდაუტანებელი საუბარი გაიბმევა. საუბარი კი ბაქანმა მომზიბლავი და საინტერესო იცის!

მშობლიურ ლიტერატურაში ბიკოლა ბაქანს თანამედროვეობის დიდი მომღერლების პაელო ტიჩინას და მაქსიმ რილსკის გვერდით იხსენიებენ. ეს პოეტები საბჭოთა უკრაინული პოეზიის დიდებასა და მშვენიერებას წარმოადგენენ, მათ განავითარეს დიდი კომპარის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები, მისი მებრძოლი ჰუმანიზმი და უკრაინული პოეზია იდეური, თემატიკური და გამომსახველობითი საშუალებების სიმდიდრით ახალ საფეხურზე აიყვანეს.

ბიკოლა ბაქანი სამწერლო სარბიელზე საბჭოთა ეპოქაში გამოვიდა, იგი და-

იბადა 1904 წლის 9 ოქტომბერს სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. ჯერ ისევ პროვინციული ქალაქის გიმნაზიის მოსწავლე იყო, როცა ოქტომბრის რევოლუციამ ქვეყნიერება შესძრა. მალე ახალგაზრდა ბიკოლა სწავლის გასაგრძელებლად კიევში გადავიდა, სტუდენტის თვალწინ გაიარა სამოქალაქო ომის სუსხიანმა დღეებმა. იგი ომში არ მონაწილეობდა, მაგრამ მაშინდელმა მძიმე სურათებმა ახალგაზრდის სულა ააფორიაქა, მხოლოდ, პოზიცია უცხად ვერ გაურკვია. გარემო წრემ, რომელშიც ახალგაზრდა ბაქანი ტრიალებდა, და იმ ლიტერატურულმა ატმოსფერომ, რომელითაც იგი საზრდოობდა, მისი გონება ბურჟუაზიაში გახვიეს და ვიდრე სწორ შემოქმედებითს გზასა და მოწოდებას მიაგნებდა, დიდი შინაგანი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა. პირველი ლექსები ბაქანმა 1923 წელს გამოაქვეყნა. ცხრამეტი წლის ახალგაზრდა იოლად აჰყვა ფორმალისტური სკოლების ცდუნებას. მის პირველ წიგნშიც (1926 წ.) სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის გავლენები აშკარად იგრძნობოდა, აზრისა და ფორმის ბუნდოვანება ერთმანეთს ერწყმოდა და რეალურის რაიმე ნიშნების ძებნა ამაო იყო. მაგრამ სწორი არ იქნება, რომ პოეტის წარსული ზედმეტად გავამუქოთ და მისი „ცდომილებანი“ გავაზვიადოთ. მართალია, როცა ბიკოლა ბაქანის პოეზიის დღევანდელი მწვერვა-



ლებიდან უკან ვიხედებით და პოეტის პირველ სტილიზებულ ლექსებს ვეცნობით, გვაოცებს მისი უზარმაზარი ნახტომი, მაგრამ ამაში ალოგიური არაფერია. პირიქით, ბაქანის შემოქმედების ასეთი ნახტომისებური განვითარება კანონზომიერი პროცესია, და ეს პროცესი თითქმის ერთნაირად დამახასიათებელი იყო პირველი თაობის მრავალი საბჭოთა მწერლისათვის.

რევოლუციამ „ხელის ერთი დაკვრით“ გადატრიალება მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და ამ გადატრიალებას, ბუნებრივია, თავისი გამოხატულება მხატვრულ აზროვნებაშიც უნდა მოჰყოლოდა. ამ გამოხატულების, რევოლუციის მიღებისა თუ არმიღების პროცესი ყველა შემოქმედლისათვის ერთნაირი როდი იყო, ბევრმა თუ იოლად მიიღო რევოლუცია, ბევრისათვის დიდხანს შეუცნობელი დარჩა იგი. მიკოლა ბაქანის შემოქმედებითი ევოლუციის პროცესიც რთული იყო, მაგრამ მისი „მეტამორფოზა“ მოულოდნელი არ ყოფილა. ცხოვრების იმ უშუალო შთაბეჭდილებებს, რომლებმაც ახალგაზრდა პოეტს სული აუფორიაქეს და ათასი მტანჯველი კითხვები აღძვრეს, არ შეიძლებოდა უკვალოდ ჩაეველო. აღძვრულ საკითხებზე პოეტს პასუხი უნდა ეძია, და უნდა ეძია პირველ რიგში თვით ცხოვრებაში, რადგან ის ლიტერატურა, რომელსაც მისი გონება ტყვედ ჰყავდა შეპყრობილი, გლვიძებულ ცნობისმოყვარეობას ვერ დააკმაყოფილებდა. ცხოვრებისადმი ნდომით აღტურვილი პოეტი კი სწორედ იმ გზით უნდა წასულიყო, რომლითაც წავიდა. მისი გლვიძებული პოეტური ინტერესი და აშლილი ფანტაზია დიდხანს ვერ ისაზრდოებდა უშფოთველი მთვარიანი ღამისა და წყნარი მზიანი დღის იდილით.

მიკოლა ბაქანის პირვანდელ ნაწარმოებებში გამოხატული იყო მცდარი და ბუნდოვანი იდეური კონცეპცია. ეს კონცეპცია, როგორც ვთქვით, ლიტერატურული გავლენებიდან მოდიოდა და შემოქმედის არსებაში ფესვები ღრმად არ

ჰქონდა გაღმული. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ამ პერიოდშივე ახლგაზრდა პოეტი არაჩვეულებრივად დრამატიკურ ინტერესებას იჩენდა სამოქალაქო ომის თემატიკით. ეს კი ძალიან ბევრის მთქმელი იყო, მიკოლა ბაქანმა თავიდანვე სწორი იდეური თვალსაზრისი და მხატვრული ასახვის რეალისტური საშუალებები ვერ გამოიჩინა, მაგრამ რევოლუციის რომანტიკით გატაცება, არსებითად, ჯანსაღ პოტენციურ რაციონალურ მარცვალს, ახლის გაბედული ძალების მძლავრ შინაგან იმპულსს შეიცავდა: ამ იმპულსს მისი შემოქმედება აუცილებლად და რაც შეიძლება მალე უნდა დაეხვეწა, ზედმეტობისაგან გაენთავისუფლებინა და იდეურად გაენაყოფიერებინა.

ასეც მოხდა. სამოქალაქო ომში გამოჩვებული უკრაინელი ხალხის განუხრეღმა წარმატებებმა სოციალისტური მშენებლობის ფრონტებზე ხელი შეუწყო ახალგაზრდა პოეტის მსოფლმეგობრების დახვეწას და მისი შემოქმედების ჯანსაღი საწყისების სწრაფ განვითარებას. სამოქალაქო ომის რომანტიკა, იმ ადამიანთა გმირული სახეები, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ სამშობლოს მტრების წინააღმდეგ უკრაინისა და ციმბირის ველებზე, ყორიმისა და კავკასიის მთებში, მამაცი ბუდიონელები და ბრძოლაში შეუპოვარი კომკავშირელები ბაქანის ლექსების გმირებად იქცნენ. ვაჟაკური შემართების სულისკვეთებით გამსჭვალულმა მისმა გმირებმა შიში არ იციან, ისინი გაბედულად ებმიან მტერს და რევოლუციისათვის გმირულად იღუპებიან. 1925 წელს დაწერილ პოეტის „მებრძოლის სიმღერას“ დღესაც არ დაუკარგავს მომხიბლაობა. მისი იდეა ნათელია და რევოლუციური რომანტიზმით შთაგონებული. იგი დიდი გზებით არის დაწერილი, იდეური და ემოციური უშუალობაც არ აკლია. პოეტი იშვიათი სიმართლითა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით ხატავს სამოქალაქო ომის გმირის სახეს, გმირი-სას, რომლისათვისაც ადამიანური არა-

ფერი უცხო არ არის, იბრძვის შეუპოვრად, იბრძვის თავდადებით, იცავს სამშობლოს. ლექსს ემოციურ ძალას მატებს მასში ორგანიულად ჩაქსოვილი ადამიანური სევდა. პოეტის გმირს თავგანწირულ ბრძოლებში ცოლწვილი გაასხენდება და წუთით დაღონდება, განსაცდელის ქამსაც მათ ბედზე ფიქრი არ შორდება, ეს ბუნებრივი და გმირის გამაყვითლმობილებელი გრძობაა. დიდი იდეალებისათვის ბრძოლაში ადამიანი არასოდეს არ ივიწყებს თავის პირადს. პირიქით, ეს პირადი კიდევ უფრო აძლიერებს, რომანტიკულ პათოსს მატებს მის საზოგადოებრივ იდეალებს, ლამაზსა და მიწშიდევს ხდის მის საქმეებს. ამიტომ პოეტი თანაუგრძნობს გმირის ამ წუთიერი წშიდა სევდას და იქვე ამხნეებს... „გული გქონდეს მაგარი, შეიყვარე შეიდი ტყვია და ფოლადის აკვანი, შეიყვარე, დღეს არ გინდა სიყვარული სხვაგვარი“:

სიკვდილთან ბრძოლაში  
ძვირია წუთიც,  
დაოვალე ტყეობი,  
პრილობებს ნუ თვლი.  
შენს გზას ნუ დაავდებ,  
გასწიე წინა  
და ვაზნებს გულმკერდთან  
მიეცი ბინა!  
მძინვარე ბრძოლაში  
მოკვდი და არ შედრკე!  
ნაბაჟს ვერ გადავდგამთ,  
რომ ბრძოლას არ შევხედეთ...  
ვიბრძვით იმ სელისთქმით,  
ევოცბობთ იმ სელისთქმით,  
რომ მუშის მუშური  
მარჯვენა დაეცვათ,  
შავი ნახშირისთვის  
და შავი პურისთვის  
მზადა ვართ, თუნდ ორჯერ  
ცეცხლშიც დაუწვიათ.

(თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა)

აქ ნათლად ჩანს პოეტის პოზიცია, მისი დამოკიდებულება მოვლენებისადმი, ის უკვე რევოლუციასთან იყო და რევოლუცია აძლევდა სულიერ საზრდოს; მის პოეტურ ინტერესთა სფეროში მთავარ ადგილს თანდათან საზოგადოებრივი მოვლენები იჭერდა, „მუშის მუშუ-

რი მარჯვენა“ აღლვებდა და იტაცებდა. შეიძლება ვხადავხარშოქონდა“ მბაენი ახალგაზრდობის ცდუნებებს [ჭერს] კიდევ ხარკს უხდიდა, მაგრამ არსებითი ეს აღარ იყო. არსებითი იყო ის რაციონალური მარცვალი, რომელსაც ნიადაგში უკვე ფესვები გადგმული ჰქონდა და გეომეტრიული სისწრაფით ღვივდებოდა და მრავლდებოდა.

და ამ „სიმღერას“ მალე მოჰყვა მთელი რიგი ნაწარმოებებისა, რომლებშიც განახლების გზაზე დამდგარი სამშობლოს მძლავრი მაჯისცემა იგრძნობოდა. პოეტის შემოქმედებაში განსაკუთრებით ღრმა კვალი გაავლო სოციალისტური მშენებლობის მძლავრმა გაქანებამ, პირველ ხუთწლეულებს მან საბჭოთა პარტიოტიზმის გზებით აღსაესე სიმღერები უძღვნა, გულწრფელად აღიდა მისი წარმატებები. ოციაანი წლების დასასრულისათვის ბაენის უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული ესთეტიკური პრინციპები ჰქონდა, მისმა ლექსების ცაკლმა „შენობა“ (1928 წ.) მაშინვე მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება ფორმის დახვეწილობით, სისადავით, აზრის სიღრმითა და მიზანდასახულების სიცხადით. ეს იყო მძლავრი სიმფონია სოციალისტური შრომისა და შემოქმედებითი განახლების, შენებისა და აღორძინების. პოეტი არ ერიდებოდა ცხოვრების სიახლის გამომხატველი და პრეზიისათვის მანამდე უჩვეულო აქსესუარების, ახალი შედარებებისა და სახეების გამოყენებას; როგორც ცხოვრებაში, მის ლექსებშიც „ბეტონი აზავთებულ გორებად დგებოდა, მდინარედ მოდიოდა მძლავრი მზრებით და რკინის მკლავებზე თამაშობდნენ რუხი კუნთები“... „სიცოცხლის მარშად მსოფლიოში იწყებდნენ ქუხილს ხმები შენების და შემოქმედების“.

უკრაინული პოეზიის დიდი მონაპოვარი იყო კიროვის ცხოვრებისადმი მიძღვნილი მიკოლა ბაენის პოემატრილოგია „უკვადება“ (1937 წ.), „მშობლები და შეილები“, ბელორუსული, ქართული და უზბეკური ლექსების ციკ-

ლები (1939-40 წ.). ამ ლექსებში გამოჩნდა ფართო დიაპაზონის ფილოსოფიურად მოაზროვნე მხატვარი, რომელიც აღიდგნა საბჭოთა ხალხის გმირობას, შეპხარის სიცოცხლეს, ადამიანს, ბუნებას. მათში ჭარბადი ოსტატის გამოცდილება შეტყუებულია სიკაბუჯის ენტუზიანსმა და ჭანსად ოპტიმიზმთან. ამ ნაწარმოებებში ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდა დამოუკიდებელი და საკუთარ ძალაში სავესებით დაჯერებული პოეტი.

მიკოლა ბაქანი უკვე შეიცვალა წარმოდგენა პოეზიის დანიშნულებაზე და ცდილობს ახალ შინაარსს შესატყვისი პოეტური გამოსახვის საშუალებები მოუძებნოს. მისი პოეტური ხილვა იწმინდება, სავესებით თავისუფლდება ადრინდელი ბუნდოვანი ნაღველებისაგან და ნათელ კლასიკურ ფორმას, მკაფიო ინდივიდუალურ თავისებურებას იძენს: ენა, რომელიც ხელოვნებაში ეროვნული თავისთავადობის, სურნელებისა და ფერების, ტონებისა და ნახევარტონების გადმოუცემელ მომზიბველობას ჰქმნის, ბაქანის ხელში იშვიათად მოქნილი ხდება, ლექსიკურად, ემოციურად მდიდრდება, ღრმა აზრებსა და რთულ განცდებს სადად და მასობრივი შკითხველისათვის გასაგებად გადმოსცემს. მასობრივს აქ შემთხვევით არ გავესვით ხაზი. ადრინდელი ესთეტიზმის საპირისპიროდ ის ბაქანის პოეზიის ახალი თავისობრივი თავისებურების მთავარი ნიშანი იყო. მიკოლა ბაქანის პოეზიაში შემოქმედებითი წვა ჰარმონიულად შეერწყა „მოაზროვნე გონების სიკაცეს“ და მკაფიოდ გამოკვეთილა რაციონალური ხასიათი მიიღო, ამ სიტყვის კარგი გაგებით. მის ლექსში ყოველთვის წინ არის წამოწეული ნათლად ჩამოყალიბებული აზრი და თემისადმი დამოკიდებულება.

მიკოლა ბაქანი გადაჭრით დარწმუნდა, რომ ახალი ხელოვნების ძალა და დანიშნულება ხალხისა და სამშობლოს სამსახურში, ცხოვრების სიმართლის, სოციალისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის სულიერი სიღიალისა და

სიღამაზის ასახვაში მდგომარეობდა; იგი განუხრელად გაპყვა სოციალისტური რეალიზმის სწორუბნის განსაზღვრა საყოველთაო სიყვარული დაიშახტრა. საბჭოთა ხალხის ფიქრები და მისწრაფებები, მისი ლამაზი იდეალები პოეტის შემოქმედების სულად, მისი ძლიერების, ვაჟაკური ენერჯიის მასაზრდოებელ სათავედ იქცა.

პოეტი მოხიბლულია თავისი სამშობლოს წარმტაცი მიღწევებით, მის აღტაცებას საზღვარი არა აქვს, როცა ხედავს, რომ ოდესღაც მწარე ხვედრით შემოჰკილმა უკრაინელი ხალხის ლაღმა, სიცოცხლისმოყვარულმა ბუნებამ თავისუფალ სამშობლოში ფრთა შეისხა და მთელი მშვენიერებით გამოვლინდა, ეს განცდა და განწყობილება ბრწყინვალედ გადმოგვცა „ცეკვაში“;

თუ არის გარმონი — დე, იყოს გარმონი,  
დე, იყუ, გარმონო, შენი!  
შეფრინდი ზეცაში, ცეცხო ჰაბუკურო,  
მიწას რომ ნაპერწყლებს ჰგენ,  
ყინვაა ცინცხალი, თამაში — მოქნილი,  
სიფხილვე, სიმოგრაღეც შევინს;  
აფრინდი, ისწრაფე, ცეცხო ჰაბუკურო,  
სწორედ რომ დრო არის, შენი.

შენ, ადამიანის სხეულო, იხარე,  
თამაღ იარე წინ!  
ვახედე, ზღვებში რთვილის და სიცოცხლის  
ცინფერი ნათელი წვიმს.  
მეკრეე ყინულს დაპკარე ჰესლები ძლიერად,  
ცეკვა და ს-მღერა ვესურს.  
შენ, ადამიანის სხეულო, პირველად  
შხარობ და იხარე სულ!  
სისხლოც ხარ, ზორციც ხარ და შთავგონებაც,  
მებრძოლო და მარად ნორჩო,  
საუკუნეებში შენ რეკე გულიეოთ,  
ძვირფასო სისხლო და ზორცი,  
ხარ კაცობრიობა, ხალხი და ოჯახი,  
შრომაე დ ზეიმიე გშევენის,  
ამ მიწის სიმღერაც შენია მარადის,  
დღეა სიხარულიე — შენი.  
ერთ დიად ოჯახში შეკრულან ხალხები,  
ერთ დიად მიზნით და რწმენით.  
შენია ზეიმიე, სიმართლეე, სინათლეე —  
და ეს აღმავრენაეც — შენი!

(თარგმანი თ. ჭანგულაშვილისა)

აქ მთელი არსებით არის განცდილი ეპოქის სუნთქვაეც და ხალხის ხასიათის

ეროვნული თავისებურებაც. მარადიული, უკვდავი ეროვნული ხასიათი ორგანიულად დაკავშირებულია თანამედროვეობის გრძნობასთან. ეს არის სწორედ ნოვატორული და თავისთავადი მიკოლა ბაქანის მთელს პოეზიაში. დიადი ტრადიციები ასე უკავშირდება თანამედროვეობას, ახალ შინაარსს იძენს და გამდიდრებულ მემკვიდრეობად გადაეცემა მომავალ თაობებს!

მიკოლა ბაქანი სწორუპოვრად მიჰყვება დიდებულ წინაპრების მიერ გაკვალულ გზას და პოეტი-პატრიოტის ბრწყინვალე მაგალითს იძლევა. მისი პოეზია არ იქნებოდა ასეთი სურნელოვანი, ამაყი და შთამაგონებელი, რომ თვითონ პოეტი დიდი მოქალაქე არ იყოს და აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს თავისი ხალხის ცხოვრებაში. იგი სამშობლოს კეთილდღეობას ახმარს მხოლოდ თავის პოეტურ შთაგონებას კი არა, არამედ სიცოცხლესაც.

მიკოლა ბაქანი ყოველთვის იქ არის, სადაც სამშობლო მოუხშობს, — მშვიდობიანი მშენებლობის დროს კალატონიებით მკლავები დაკაპიწებული აქვს და ახალ ცხოვრებას აშენებს, ცხოვრებას ღამაზსა და დიადს, ბრძოლის დროს კი შანხანა უჭირავს ხელში და სამშობლოს მიწაწყლის სიწმინდეს იცავს.

როცა ფაშისტურმა ურდოებმა ჩვენი დიდი სამშობლოს საზღვრები შელახეს და საბჭოთა ხალხს სამკედრო-სასიცოცხლო ომი მოახვიეს თავს, პატრიოტმა პოეტმა მაშინვე რუხი ფარაჯა გადაიცვა, ხელში იარაღი აიღო და ფრონტის წინა ხაზზე გაეშურა, გვერდში ამოუდგა მამაც მეომრებს, მათთან ერთად სუნთქავდა თოფის წაწლის სუნს, მათთან ერთად იტანდა გაჭირვებასა და განსაცდელს, მათთან ერთად გაიარა მთელი გზა — დროებითი წარუმატებლობიდან ტრიუმფალურ გამარჯვებამდე.

ომის პირველი დღიდანვე ბაქანის პოეტურმა სიტყვამ უდიდესი მრისხანება და ზემოქმედების იშვიათი ძალა შეიძინა. მისი პირველივე ლექსი «ფი-

ცი“ სახალხო სიმღერად იქცა. მასში მთელი სიძლიერით გაჟღერებულია მრისხანება, სულიერმა გაფრთხილებამ და იმის ღრმა რწმენა, რომ უკრაინა არასოდეს დაიჩოქებდა მტრის წინაშე და მისი მონა არ გახდებოდა.

ჩვენ ფიცი დავდეთ, ლბინსა და ჭირში  
ეს ფიცი მარად უნდა გვეტოვდეს,  
ჩვენს უკრაინას ტვეტონთა ჯიში  
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს.

ტვეით და ცეცხლით ჩავეყვებით ძირში,  
რომ ფაშისტ მზეცებს სული ხლებოდეს,  
ჩვენს უკრაინას ტვეტონთა ჯიში  
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს.

საბჭოთა ხალხმა არ იცის შიში,  
შურისძიებით გული მღეროდეს,  
ჩვენს უკრაინას ტვეტონთა ჯიში  
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს.

შელი აღუტრვა ხმლითა და ხიშტიო  
რომ განსაყვალში მამულს შეელოდეს,  
ჩვენს უკრაინას ტვეტონთა ჯიში  
ვერ გახდის თავის მონად ვეროდეს.  
(თარგმანი გრ. აბაშიძისა).

ომის წლებში ბაქანი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობდა, სიმართლით, შეუფერადებლად გადმოგვიცემდა ომის საშინელებას და საბჭოთა მეომრების სოციალისტური სამშობლოსათვის გმირულ თავდადებას, რითაც ფრონტისა და ზურგის მკითხველში გარდუვალი გამარჯვების რწმენას განამტკიცებდა. პოეტი ხედავდა, რომ დასავლეთიდან მომდინარე ურჩხულს აღმოსავლეთიდან მძლავრ წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა არმია. ეს წინააღმდეგობა თანდათან შეტევაში გადადიოდა და ფაშისტთაგან დროებით ოკუპირებელი მიწა-წყლის განთავისუფლების დრო ახლოვდებოდა. ჩვენი არმიის ძლიერებით გამოწვეული ეს სიხარული და აღფრთოვანება დიდებულად გამოხატა ლექსში „ქარი აღმოსავლეთიდან“ (1942 წ.).

რკინითა და სისხლით,  
კვამლითა და ხანჭლით  
გაუღწილია ქარი  
გრილეზს და გრვეინავს...  
მაშ, დაპებერ, ქარო,

და ბრძოლების მაცნელ  
გასწი დანების პირას, —  
სადაც მშობლიური  
ჩემი ხალხი გმინავს.

(თარგმანი მ. ლებანიძისა)

ამ ლექსს დიდ ემოციურ ძალას აძლევს ის, რომ პოეტმა არა მარტო შეიციო, არამედ განიცადა კიდევ სამშობლოს განთავისუფლების მოახლოება. იგი მიმართავს აღმოსავლეთის ქაზს სწრაფად მოედოს დანების ნაპირებს, გაიჭრას კარბატებს იქით, იქცეს ბრძოლის ბუკად და დაფდაფად, ამცნოს ხალხს, რომ ანგარიშის გასწორების ეამი დგება:

ზევას აგრიალებს,  
ქვეყნად აგრიალებს  
საფრეარი დროშის  
საოცნებო კალთას.  
ვანა მართლა დროშა—  
გამარჯვების ღია  
და ვარაყი ბრწყინავს  
დღეთა მომავალთა.  
ვხედავ, ნათლად ვხედავ  
წინამორბედს მზისას,  
ციცქარს იმა დღეთა—  
ჩახახასა და ნათელს;  
ის დაღუპულ ჩვენ ძმებს  
თვალში ჩაბრწყინავს  
და ცოცხალთა გულებს  
მრისხანებით ანთებს.

წაიკითხავთ ლექსს „ქობთან“ (1943 წელი) და გაგაოცებთ ავტორის პოეტური ხილვის სიღრმე და სიფაქიზე; აქ ყოველი სახე, ყოველი შედარება უაღრესად მეტყველია, ისინი აღბეჭდილია ხალხის ცხოვრების თავისებურების, ხასიათის უკვდავი მშვენიერების შეგრძნებით და სიბრძნით. პოეტი ხატავს „მწუხარედ შუბლშეკრული“ ასი წლის მოხუცი ქალის სახეს, რომელიც მტრისაგან გადამწვარ ღონის ნაპირებს კუმტად გაჰყურებს. მის დამკვნარ სახეს „დაბერებული ფესვებივით სევდის ღარები აწინა“, მაგრამ ცრემლი და სასოწარკვეთა არ გაჰკარებია. შეიძლება დიდ მწუხარებას ცრემლი გაუშრია და გრძნობა დაუჩლუნგებია, ან იქნება გონება ველარ სჯის და საოქმელი ველარ

უპოვია? არა. მწუხარებას თავისი ფერი არ დაუქარგავს, მაგრამ ხალხის კონება უფრო შორს იხედება და სწორედ ეს უბერებელი ხალხური სიბრძნეთა მის ხასიათში გამოხატული:

არც ერთი ბგერა — ნივლის და ტირილის მზვავსი  
არც ლოცულობდა სატანჯველის შესამკირებლად,  
თითქოს ამბობდა, ავსებული ძირმწარით თანი  
დაე, ფსევრამდე დასცალონო შეილიშვილებმა!  
დე, დასცალონო, რაც არგუნათ ქვეუნიერებამ,  
არც მოკვდებოიან, არც თვალეში დაუბრმავებდებო!  
თვალი, უფრი და მხარ-მკლავები გაუმაგრდებოთ,  
რათა აღთქმული მოიპოვონ ბედნიერება!

მოხუცი დედათადედის სახეში სამშობლოს ხილვია და მისი მშფოთვარი სულის ებიური განცდა:

რომელსაც ვინდა — აიღე და დააღე ზელო,  
მოიხდის ჩანქქანს მეომარი — დინჯად შედგება  
და თავდახრილი, მშობლიური, კეთილი, წრფელი,  
შენს დამკვნარ სახეს მოწინებით მიაჩრდებდა.  
მაგრამ ნათელი და გორბოზი ნაკეთები სახის,  
ფუჭი, ამო თანაგრძნობის, ცახცახის ნაცვლად,  
გაგიმავდებოა...  
მხოლოდ მზერა იეღებს წამით  
და პირჯვრის წერით მეომრის ვახს დალოცავს შვატარად.

რაოდენი სევდაა, მაგრამ რა დიდი სულიერი ძალა, რაოდენი შინაგანი ეხერგია და ოპტიმიზმია ჩაქსოვილი მთელს ლექსში:

მშვიდობით, დედი! მიწისფერად ჩალამებული  
ვმ შენი სახე წაუღებება ბრძოლებში  
ლაშქარს.  
აღმოსავლიდან დაებრუნდებით გამარჯვებულნი  
და სტანიცაში შენი ქობის მოცებნით  
ნაკარს...  
(თარგმანი მ. ლებანიძისა)

მეომრები სიტყვას აძლევენ დედათადედს, რომ „მშობელი ქვეყნის გადა-

სარჩენად ხანძარს გასტოპავენ და შინ მტრის სისხლით მოსვრილ მახვილს მოიტანენა.

თავისი ბედით სამშობლოს ბედთაზ განუყრელად დაკავშირებულმა პოეტმა მთელი მგზნებარებით უმღერა საბჭოთა ხალხის სულის ამ სილამაზესა და ძლევამოსილებას, გვიჩვენა საბჭოთა ადამიანის გმირობის წყარო, მისი შალაღი შეგნება, პატრიოტული თავდადება.

დიდი სამამულო ომის უკანასკნელ წლებში და მტერზე გამარჯვების შემდეგ მიკოლა ბაქანი იშვიათ ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას ეწევა, იგი აქვეყნებს ლექსების მთელ რიგ ციკლებს, რომლებშიც საბჭოთა ადამიანის მღელვარე ფიქრებს გადმოგვცემს და თანმიმდევრულად აგრძელებს, ანეითარებს საბჭოთა პოეზიის ჰუმანურ მოტივებს, იბრძვის მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლექსების ციკლები „კიევის ეტიუდები“, „ინგლისური შთაბეჭდილებები“, „მიცკევიჩი ოდესაში“, რომლებშიც კიდევ უფრო, მძლავრად გამოვლინდა პოეტის ტალანტი, მისი დიდი კულტურა და ფართო შემოქმედებითი პორიფონტი.

მაგრამ მიკოლა ბაქანის პოეზიაზე, მისი ნიქის მრავალფეროვნებაზე სრული წარმოდგენა არ გვექნება, თუ აქ არ გავიხსენებთ პოეტის მთარგმნელობით მუშაობას, მისი პოეზიის ერთ-ერთ მთავარ თემას, მეგობრობის თემას, რომლის გამოხატვაშიც, შეიძლება, მთელს საბჭოთა ლიტერატურაში მას ბადალი არც ჰყავდეს. მიკოლა ბაქანს თამამად შეგვიძლიან ვუწოდოთ **ხალხთა ძმობის დიდი მომღერალი**. მისი ლექსის სტრიქონებში საბჭოთა ადამიანის, მრავალფეროვანი დიდი საბჭოთა ოჯახის წევრთა სანუქვარი გულისცემა ისმის:

ჰოი, მასათა მეგობრობე, მარადისობის  
ელვარე გზებზე შენი გზებ პირველად მიღის,  
შენ მშვენიერი მისწრაფება ხარ ათასების,  
გაუფართოვე ერთგულებს სიცოცხლის ხიდი  
უაღავებისკენ პიროვნების გზები ვახსენი.

სიცოცხლე, მართლაც, სიცოცხლე, ჯი  
პირველად  
შებრწუო მაღალ ოცნებებს და ნახევრული  
სიხალისეობა.  
დიად კოლექტივს — ხალხთა დიად  
სოლიდარობას  
მტაცედ შეკრული, დარაზებული დიდ გზას  
რომ მისდევს  
(თარგმანი თ. ჯანგულაშვილის)

ბევრ მწერალს შეიძლება მიკოლა ბაქანზე ნაკლები რაოდენობის თარგმანები არ ჰქონდეს, მაგრამ მისი შემოქმედების ანალიზისას ისე აუაროთ მას გვერდი, რომ პოეტის საერთო პორტრეტი სრულიადაც არ დაზიანდეს. ბაქანის მიმართ ასე ვერ მოიქცევით. თარგმანი მისი პოეტური სულისა და შემოქმედების განუყოფელი ნაწილია. ბაქანის თარგმანში არასოდეს არ იგრძნობა გულგრილობა და ინერტიულობა, თარგმანს პოეტი ისეთივე გზნებითა და გატაცებით ეკიდება, როგორც საკუთარ ლექსს; მისი თარგმანები ნამდვილად შემოქმედებითი თარგმანებია. ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას: რუსული და მოძმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურის კლასიკური და თანამედროვე ნიმუშების თარგმანებმა გაანაყოფიერეს პოეტის მხატვრული აზროვნება, გააფართოეს მისი მსოფლშეგრძნება, გაამდიდრეს მისი მხატვრული წარმოსახვის საშუალებები, პოეტური ფერები.

მიკოლა ბაქანმა თარგმნა ა. პუშკინი, ალიშერ ნოვოი, ვ. მაიაკოვსკი და მრავალი სხვა. ჟართველი ხალხი კი უდიდესად უმადლის იმ უმაგალითო სიყვარულისათვის, რომელიც ოცდაათი წლის მანძილზე ქართული მხატვრული კულტურისადმი გამოიჩინა. მიკოლა ბაქანმა უკრაინულ ენაზე ბრწყინვალედ თარგმნა და თავის ხალხს შეაყვარა შ. რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, დ. გურამიშვილის „დავითიანი“, შექმნა შესანიშნავი ციკლი „ქართული ლექსებისა“ „ნანგრევები ქუთაისში“, „თმოვეის გზაზე“, „ვიაჟაშვილას ხსოვნას“ და სხვა, რომელშიც აღიდა



და ქებათა ქება უძღვნა საქართველოს  
ლამაზ ბუნებას, მის ხალხსა და მრავალსაუკუნოვან კულტურას.

სად, საქართველოს რომელ კუთხეში არ ყოფილა უკრაინელი ხალხის ეს სახელოვანი შვილი, და სადაც ყოფილა, ჩვენი სამშობლოს მშვენიერებით ყველგან მოხიბლულა, ყველგან გულწრფელ აღტაცებაში მოსულა. თუ მისი „ნანგრევები ქუთაისისა“ უფრო ერთგვარი ისტორიული „ქრონიკაა“, „იმოგვის გზაზე“ ერთი მთლიანი დრამატული პოემაა, რომელშიც გულწრფელად არის განცდილი ქართველი ხალხის მიერ განვლილი ძნელი გზა და თავგადასავალი, იგი მესხეთის ისტორიულ ციხე-კოშკებს, ტაძრებს, თვალშეუწყვედნ კლდეებში შეჭრილ ქვაბებს განცვიფრებაში მოჰყავს, გონების თვლით ქართველი ხალხის წარსულის შფოთიან დღეებს წარმოიდგენს და წინ ცოცხლად დაუდგება დიდებული წინაპრის აჩრდილი, „ვინც ერთადერთმა მიაღწია აქ უკვდავებას“:

უცებ ჩემს ფეხქვეშ, მოსახვევთან,  
უფსკრულის პირას  
ბოლიკი ვიწრო ლტოლვას შესწყვეტს,  
როგორც არწივი,  
და პორბონტზე მიბნედილი შექი რომ  
ბრწყინავს,  
ნათელმოსილი მოგზაურის დგება აჩრდილი  
\*გი შფოთიან შორეთიდან მოდის ამყად,

საუბნეთა წყველ წყვდიადს იცოლებს  
გზიდან  
რომ ყველა სახლის ფართო, ვიწრო  
სოფლად, ქალაქად,  
ბრძოლით მოღლილმა მოგზაურმა  
იცხოვროს მშვიდად.

მოდის მზესაგეთ „ვინმე მესხი“, ცნობილი  
კაცი,  
გადაღის შექი მთიდან მთაზე გაუთავებლივ:  
დიდ მესხს ღიღებათ ვინც დათრგუნა  
სოკდოლი შკაცი, —  
ემათა წინაშე ქედუხრელად დგას  
რუსთაველი!  
(თარგმანი შ. ამისულაშვილისა)

ოცდაათი წლის წინათ სიყვარულით  
დაწერილი ეს სტრიქონები დღესაც გა-  
მოსცემს მომეჩადოებელ სიბზოს და  
სურნელებას.

ხალხთა ძმობა, მშვიდობა, მიკოლა  
ბაბანის შემოქმედების მუდამ მთავარი  
თემა იყო და არის დღესაც. ხალხთა მე-  
გობრობასა და მშვიდობას ჯერ ისევ  
ომამდე უმღერა პოეტმა მთელი ხმით,  
და მისი სამშვიდობო სიმღერა დღესაც  
მძლავრად ეღერს ჩვენი სამშობლოს  
გარედაც.

მიკოლა ბაბანი არის მიწინავე საბ-  
ჭოთა პოეტი, იგი პრაქტიკულად და შე-  
მოქმედებით აქტიურ მონაწილეობას  
იღებს ხალხის ბრძოლასა და შრომაში,  
ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს კომუ-  
ნიზმის გამარჯვებაში, მომავლის ადა-  
მიანის სულიერ აღზრდაში.

მოთხრობები

## ოლეს გონჩარის რომანი „ტრონკა“

უკრაინელი საბჭოთა მწერლის ოლეს გონჩარის შემოქმედებაში თანამედროვეობის თემატიკაა ძირითადი და განსხვავებული.

მშობლიური უკრაინა გონჩარმა მოიარა როგორც ჟურნალისტმა. სამამულო ომის დროს იგივე გზები და ბილიკები ბრძოლით გაიარა, როგორც გვარდიული პოლკის სერჟანტმანალმტყორცნელმა. შრომასა და ბრძოლაში გაიცნო, შეიყვარა მწერალმა თავისი მომავალ ნაწარმოებთა გმირები. მშვიდობიან შრომასა და სისხლიან ბრძოლებში შეიცნო, შეიყვარა გონჩარმა საბჭოთა ადამიანები; მწერლის შემოქმედებაში მთავარი ადგილი დაიკავეს თანამედროვეებმა, მათმა დიადმა შემოქმედებითმა შრომამ, გასაოცარმა სიმამაცემ ფრონტზე, სამშობლოს სიყვარულმა. ამიტომ ვახდა ახალი საზოგადოების მშენებელი, საბჭოთა ადამიანი, მწერლის ყურადღების ძირითადი საგანი.

ოლეს გონჩარს შესწევს უნარი მონახოს საინტერესო კუთხე, ორიგინალური რაკურსით დაგვანახოს მოვლენები, გამოკვეთილად გვიჩვენოს ადამიანები და მათი საქმე, მათი სულიერი სიღამაზე.

გონჩარის შემოქმედების საწყისები უკრაინული კლასიკური ლიტერატურის პროგრესულ ტრადიციებთან კავშირს, შევჩვენოსა და ფრანკოს შემოქმედებასთან ერთგვარ მემკვიდრეობით ხასიათს ამჟღავნებს და, ამავე დროს, მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო დამახასიათებელი ნიშნების შემკველიცაა. ბუნებრივია, რომ ოლეს

გონჩარის პირველივე მოთხრობებმა, განსაკუთრებით კი რომანებმა, იმავეთვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. გონჩარის შესანიშნავი ეპიკური ტრილოგია „მედროშენი“ და ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორცაა „ბრატუსი“, „ტაერია“, „ბერეკოპი“, „ადამიანი და იარაღი“ დიდი ხანია მთელი საბჭოთა ხალხის კულტურულ შენაძენად იქცა. მათ გარეშე უკვე წარმოუდგენელია არა მარტო უკრაინული, არამედ საერთოდ, საბჭოთა ლიტერატურა.

ოლეს გონჩარის ყველა ნაწარმოებს ახასიათებს ადამიანის შემოქმედებითი შრომით გამოწვეული სიხარული, რაც სამამულო ომის თემატიკაზე დაწერილ ნაწარმოებებშიც კი ნათლად იგრძნობა, ეს განსაკუთრებულად მკაფიოდ წარმოგვიდგა მწერლის ბოლო ნაწარმოებში — „ტრონკა“, რომლისთვისაც ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა.

ტრონკა უკანასკნელი ხალხური გამოთქმაა. ტრონკას უწოდებენ საქონლის, კერძოდ კი ცხვრის კისერზე შებმულ ზარს, ეყვანს, რომანში ამ ზარის მოვალეობას საბრძოლო ჭურვის სპილენძის პილზი ასრულებს, რომელიც გვერდებზე შეუქყვლეტიათ, გაულენავთ და ზარის ენა შეუბამთ. ერთ დროს ადამიანის მოსაკლავად, სიცოცხლის მოსასპობად გაკეთებული, ამჟამად იგი ადამიანებს ემსახურება, მშვიდობისათვის განკუთვნილია და ავტორიც მთელი არსებით სწორედ ამ მშვიდობის ზარის წკრიალს შესტრფის, შეჰხარის, და რომანის მთავარი იდეა სწორედ მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის დიდებაა. რომანის თემა კი — კომუნისტური საზოგად-

დოების მშენებელთა ცხოვრება, 'კოლმეურნეთა ცხოვრება.

რომანის სიუჟეტი ზღვისპირა სტეპში, გიგანტურ საბჭოთა მეურნეობაში ვითარდება. პირველსავე სტრიქონებიდან მკითხველი გრძნობს თვალუწყდენი, აყვავებული სტეპის საამო სურნელს, გრძნობს ცხოვრების მაჯისცემას: მწყემსები დილაადრიან მიერეკებიან საძოვრებზე ცხვრის ფარებს (შეცხვარობას კი წამყვანი ადგილი უჭირავს მეურნეობის ეკონომიკაში), იქვე მდებარე პოლიგონზე დაფრინავენ საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავები, მიმდინარეობს მაგისტრალური არხის მშენებლობა...

რომანი „დასახლებულია“ საინტერესო ადამიანებით, რომლებიც ჩვენი დროის ორ თაობას წარმოადგენენ. უფროსები ეკუთვნიან იმ თაობას, რომელმაც თავისი ხელით ააშენა სოციალიზმი, ფაშიზმთან გააფრთხილ ბრძოლებში დაიცვა სამშობლო და შეუდგა კომუნიზმის მშენებლობას. ეს ის თაობაა, რომელსაც უდიდესი ისტორიული პასუხისმგებლობა დაეკისრა კაცობრიობის მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.

უფროსი თაობის ვაჟკაცურ და სახელოვან ტრადიციებთან ორგანულ კავშირშია მეორე თაობა, — აჯალბადებულები, რომელსაც წარსულისადმი პატივისცემა, ცოდნისადმი შეუწულებელი ღვაწლი და მომავალი ცხოვრების გზების დაუცხრომელი ძიება ახასიათებს.

ნაწარმოების ძირითადი იდეის გადაწყვეტას ავტორი სინამდვილის მართალი ასახვისა და მოქმედ პირთა ცხოვრების ჩვევებით იძლევა. რომანის პერსონაჟთა მკვეთრი და ღრმა გამოკვეთის მიზნით გონიერი ნოვატორულ კომპოზიციურ ხერხს მიმართავს: რომანი თორმეტ დამოუკიდებელ და ამავე დროს სიუჟეტურად ორგანულად ერთმანეთთან დაკავშირებულ ნოველაზეა აგებული.

პირველი ნოველა ერთგვარად ექსპოზიციურია, № 10.

ზიციური ხასიათისა და ამავე დროს დამოუკიდებელი მოთხრობის მქონე მხენკობის ოჯახზე.

უფროსი გორპიშჩენკო ცნობილი სარქალია. ის უკვე მოხუცდა, მაგრამ საქმე უყვარს და თავს არ ანებებს. გორპიშჩენკო ამაყობს თავისი პროფესიით, საქმის ცოდნით, დამსახურებული ავტორიტეტით. პირველი, რაც თვალში გეცემათ ამ კაცისა, მშრომელის პროფესიული სიამაყეა. ნოველა იწყება მოხუც გორპიშჩენკოსა და ოჯახში შეგებულებით ჩამოსული სამხედრო მფრინავის პეტრე გორპიშჩენკოს შეხვედრით. შვილი მამის სანახავად სტეპში, სამწყესურში მიდის. სწორედ იქ ირკვევა, რომ მოხუცი სარქალი პირდაპირ შეყვარებულია თავის საქმეზე და შვილისაგანაც მოითხოვს, რომ მან არ დაივიწყოს ეს საქმე: პეტრეც ხომ მწყემსავდა ცხვარს ბავშვობაში მამასთან ერთად. შრომისადმი დამოკიდებულება ადამიანის შეფასების საზომია მოხუცი სარქლისათვის. მაგრამ მოხუცს არც ის ავიწყდება, რომ თავისუფალ შრომას დაეცა უნდა. ამიტომაც, რომ მამა შვილისაგან არ მოითხოვს მწყემსობას. შენ მფრინავი ხარ და უნდა დაფრინავდე, — მიმართავს იგი შვილს. მფრინავის შრომაც ხომ შრომაა, და, გარდა ამისა, მშვიდობას დაეცა უნდა. და, აი, ასე, უკვე პირველივე ნოველის პირველსავე ეპიზოდში იხლართება ერთმანეთში ომისა და მშვიდობის თემა, რომელიც წითელ ზოლად გასდევს მთელს რომანს.

სამამულ ომის დამთავრების შემდეგ ათ წელზე მეტია გასული, მაგრამ ომის კვალი მაინც იგრძნობა ცხოვრებაში. ომში დასახიჩრდა ამ სოფლის მკვიდრი, სევასტოპოლის ბრძოლების გმირი მარტინ მამაიჩუკი. ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცს ორივე ფეხი წააწყვიტა ყუმბარამ და იგი ფიცარზე დამარტყული პატარა გორგოლაკებით დაგორავს. გერმანელების მიერ ჩამალულ ნაღმს წააწყდა სკოლის პედაგოგი და დაიღუპა, ხოლო პატარა საშკა ლიტვინენკო დასახიჩრდა: არხის

მშენებლები გერმანელების მიერ დატოვებულ ბომბს ნახულობენ გათხრობას.

თითქმის ყველა ოჯახმა დაკარგა ვაკე-კაცი ომში. მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და დაღუპულთა შემცვლელი თაობაც იზრდება. მწერალი მოგვითხრობს, რომ უფესო მამაიჩუკი ტრაქტორებისა და კომბაინების შეკეთებაზე მუშაობს; საშუა ლიტვინენკო ყავარჩენით დადის, მაგრამ გულს არ იტეხს. იგი რადიოს დაეუფლა, „რადიოარწივი“ გახდა და დარწმუნებულია თავის მომავალში. დრო მიდის, წახულთა სახელები საერთო პატივისცემისა და მტკივნეულ მოგონებათა ბურუსში იჩქვალება თანდათან და მხოლოდ უახლოეს მეგობრებს, განსაკუთრებით კი მოხუც, შავთავშლიან დედებს ახსოვთ დიდი სიმწვავეთ ისინი: დედის სიყვარულისათვის სომ დროს მნიშვნელობა არა აქვს.

მშვიდობის პერიოდში ცხოვრობს ხალხი და მწერლის დაკვირვებულ თვალს მაინც არ რჩება შეუშინეველი ომის სუსხი. სოფლის მკვიდრია შორეული ნაოსნობის კაპიტანი დოროშენკო. იგი პირდაპირ შეყვარებულია ზღვაზე, თავის სამხედრო გემსა და ეკიპაჟზე; ურომლისოდაც მისთვის ცხოვრება წარმოუდგენელია. ომის შემდეგ მრავალი წელი გავიდა და დოროშენკო მოცულობიდან ეწვია სოფელს, დედა გაახარა, ალბათ, სულ დავრჩებით. დედის გულში სიხარული მწუხარებას გადაენასკვა: თუ ჯანმრთელია, სახლში რატომ უნდა იყოსო? ატორი მიგვანიშნებს, რომ დოროშენკოს ხომალდი იმ ზონაში მოხვდა, სადაც ამერიკელებმა წყალბადის ბომბი გამოსცადეს და სადაც რადიოაქტიულმა ფერფლმა იაპონელი მეთევზეები დაღუპა. გავიდა დრო და გაჯანსაღებული დოროშენკო სპეციალური დანიშნულების ხომალდის კაპიტანი გახდა.

მაგრამ ყოველთვის როდი თავდება ასე კეთილად ყველაფერი. ხდება უარესიც და ამაზე მოგვითხრობს ნოველა

„პოლიგონი“. ნოველის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, ახალგაზრდა ოფიცერი ურალოვი, გამოჩენილი სამხედრო მფრინავი-გამანადგურებელი იყო. ბგერაზე უფრო სწრაფად, ყველა ფრინველზე უფრო მაღლა დაფრინავდა იგი. მისმა ორგანიზმმა ვერ აიტანა თავბრუსდამხვევი სიმაღლეები და სიჩქარეები. მზრუნველმა სარდლობამ ჩამოაცილა ურალოვი მფრინავის საქმეს. ურალოვი იძულებული გახდა „მიწაზე“ ემსახურა. უაღრესად განათლებულ და ნიჭიერ ოფიცერს, რომელსაც სამხედრო სამსახური თავისი ღირსებისა და პატრიოტიზმის საქმედ მიაჩნდა, სარდლობამ პოლიგონის უფროსობა დააკისრა. როგორც ზოგჯერ იშვიათად, მაგრამ მაინც, ხდება, ურალოვს ცოლი არ წაყვა ახალ ადგილზე: სიყვარული მისთვის უფრო უბრალო და უმნიშვნელო ყოფილა, ვიდრე ზღვისპირა კურორტების სილამაზე და კომფორტი.

ურალოვი არ შედრკა. დაიწყო მუშაობა ახალ ადგილზე, უკაცრიელ უდაბნოში გაშენებულ პოლიგონზე. აქ თავისი ნამდვილი ოჯახური ბედნიერებაც პოვა — შეხვდა ქალს, რომელიც შეიყვარა და რომელმაც შეიყვარა. შემდეგში კი ურალოვი ახალი პოლიგონის უფროსად გადაიყვანეს, სწორედ ზღვისპირა სტეპში, საბჭოთა მეურნეობის მახლობლად.

როგორღაც შეუთვისდა მშვიდობიანი სტეპი, თავისი ადამიანებით, უახლესი საბრძოლო თვითმფრინავებითა და რაკეტებით აღჭურვილ პოლიგონს. თითქოსდა არ არის არავითარი კონფლიქტი მხენელ-მთესველ გლეხსა, მწყემსსა თუ რაკეტებს შორის. პატარა უხერხულობა იგრძნობოდა მხოლოდ: პოლიგონის ტერიტორიაზე ცხვარს ველარ ამოვებდნენ მწყემსები.

მაგრამ გონჩარი ფილოსოფიური სიღრმით ჭკრეტს, რომ მშვიდობიანი ბუნების მშრომელის სულის სიღრმეში ცოცხლობს მუდმივი პროტესტი ომის მიმართ და ამ პროტესტს მწერალი გამოსახავს მეტად დამაჯერებლად.

პოლიგონის უფროსს ურალოვს შეი-  
ლი შეეძინა — ალიონკა. ამ პატარა გო-  
გონას არა მარტო დედ-მამა შეჰხარის  
და შესტრფის. ალიონკა; მისი ბავშვური,  
უცოდველი ღიმილი შეიყვარა პოლიგო-  
ნის მთელმა შემადგენლობამ. მერავე-  
ტენი, მფრინავი-გამანადგურებლები,  
ელექტრო და რადიოდანადგარების მომ-  
სახურენი — ყველა ბედნიერი იყო, რომ  
პოლიგონზე, რაკეტებსა და ყუმბარებს  
შორის დაიბადა და გაიფურჩქნა ახალი  
სიცოცხლე. მაგრამ ბედნიერება ხანმოკ-  
ლე აღმოჩნდა: რაკეტების ქუხილმა,  
თვითმფრინავების გრილმა და ბომბე-  
ბის აფეთქებებმა ჩაკლეს ბავშვის სი-  
ცოცხლის ფესვი. ომიანობის ანარეკლმა  
სუსხმა დააზრო, დააჯკნო პატარა სი-  
ცოცხლე და, ექიმთა ცდების მიუხედა-  
ვად, ალიონკა გარდაიცვალა.

იმპერიალისტური ომის გამჩალებელ-  
თა წინააღმდეგ უდიდეს გულისწყრო-  
მას გამოთქვამს ავტორი, როდესაც ალი-  
ონკას დასაფლავების სურათს აკვიწრს.  
მკვდარი ბავშვი, — წერს გონიარი, —  
მაინც უღიმოდა მამას, დედას, და თით-  
ქოს ამბობდა: „მამიკო! მე ამ შენი რა-  
კეტების გარდა არაფერი მინახავს. არ  
მინახავს ვაზაფხული. არ ვიცოდი არც  
ალუბლების აყვავება, არც ლურჯი მდი-  
ნარეები, არც ზღაპრულად ლამაზი შო-  
რეული ქალაქები. მე მოვასწარი დამე-  
ნახა მხოლოდ ეს მბრწყინავი რაკეტები  
რომელთა შორის ვანველე ჩემი პატარა  
ცხოვრება. ხანმოკლე ცხოვრება მჭონ-  
და მე. გამოჩნდი, ღიმილით გავანათე  
მთელი პოლიგონი, ბედნიერებასავეთ გა-  
ვიელვე შენთვის, დედიკოსათვის და  
მივდივარ სამუდამოდ!..“

ავტორს, წყნარად მობალახე ცხერის  
ზარის — ტრონკას წყრილი ურჩევნია  
რაკეტების ქუხილს. ავტორისეულია  
პოლიგონზე ახალი რაკეტის გამოცდაზე  
ჩამოსული მარშლის სიტყვები: „მაჭვს  
ყველაზე საუკეთესო რაკეტები, არის  
ძალა მსოფლიოს დასათრგუნავად, მაგ-  
რამ არ მინდა ყველაფერი ეს. არაა სა-  
ჭირო დაფერფლილი კონტინენტები.  
მინდა ვიხილო ისინი მწვანესა და

ყვავილებში ჩაფლული, მსურს მესმო-  
დეს ვარსკვლავთა ქვეშე შეყვარებული  
ჩურჩული“.

ომისადმი სიძულვილი და პროტესტი  
უძლიერესია გონიარის ნაწარმოებში.  
ამავე დროს იგი პაციფისტი როდია.  
მეტად დიდი ფასი გაიღო ხალხმა ჩვენი  
ლამაზი ცხოვრების ასაშენებლად და  
უპატრონოდ, უყურადღებოდ ვერ და-  
ტოვებს მას. ისიც ხომ ცნობილია, რომ  
ნადირისაგან თავის დასაცავად თოფი  
სჯობს კომბალს და ამიტომაც აუცილებე-  
ლი ეს შეიარაღება. ამასვე ამბობს მოხუ-  
ცი გორპიშჩენკო პოლიგონის შესახებ:  
„სანამ ბანდიტები სახლის ირგვლივ და-  
დიან, განა შეიძლება მისი (პოლიგონის)  
ლიკვიდირება? არ შეიძლება. აი ის,  
ზედ სვერდლოვსკთან ჩამოადგეს“ —  
დასძინა მოხუცმა, ჰქონდა რა მხედვე-  
ლობაში პაუერსის ჯაშუშური ფრენა.

რომანის პერსონაჟთა ბედის, მათი  
ფიქრებისა და განცდების ჩვენებით იძ-  
ლევა გონიარი ლოგიკურ დასკვნას —  
საბჭოთა ხალხი მთელი თავისი ბუნებით  
შემოქმედი და მშვიდობისმოყვარე ხალ-  
ხია და მისი სულიერი მისწრაფებანი  
ორგანულად ერწყმიან ჩვენი სახელმ-  
წიფოს, პარტიის მშვიდობიან პოლიტი-  
კას. როგორც კაცობრიობის აბსოლუ-  
ტური უმრავლესობის ოცნების გა-  
მომხატველს.

რომანი „ტრონკა“ თავისებური პოემაა  
მშრომელ ადამიანებზე. ავტორის და შა-  
სთან ერთად, მკითხველის სიმშათიები  
სწორედ ისეთ ადამიანებს ეკუთვნით,  
რომელთა სულიერი სილამაზე და მო-  
ქალაქეობრიობა შრომისადმი სიყვარუ-  
ლით არის განათებული, გაკეთილშობი-  
ლებული. ასეთები არიან: საარქალი გორ-  
პიშჩენკო, დეპუტატი რიასნაია, ბულ-  
დოზერისტი ბრაგა, ყოფილი ფრონტე-  
ლი მარტინ მამაიჩუკი და სხვები.

მეტად საინტერესოა ყოფილი მაი-  
ორის იაცუბას სახე. იაცუბა ერთ დროს  
პატიმართა ბანაკებში იყო უფროსად.  
გადაჭარბებულმა ექვიანობამ, უნდობ-  
ლობამ, საკუთარი უფლების გადაშეტე-  
ბის შესაძლებლობამ მას ზომიერების

გრძნობა დააკარგვინა და ბევრი უარყოფითი თვისება შესძინა.

როგორც ცნობილია, ასეთი ადამიანების წარმოსახვისას ლიტერატურაში ზოგი მწერალი უყიდურესობამდე მივიდა. მათ ადამიანური ნიშანწყალი ჩამოარეცხა, უარყოფით ტიპებად გამოიყვანა. სხვანაირად იქცევა ოლეს გონჩარი. მწერალი არ იფიქრებს, რომ იაცუბა ადამიანია, უარყოფითი თვისებები აქვს, მაგრამ მტერი არ არის. მართალია, თავდაპირველად რომანში იაცუბა ერთგვარ უნტერ პრიშიბევეად გვევლინება, რომელიც ზედმეტად „ფიზილოს“, სისულულემდე ეჭვიანია, მაგრამ შემდეგ, ცალკეულ ნოველებში ავტორი თანდათან უფრო ყურადღებით აკვირდება მას. იაცუბას უდიდესი სიყვარული აქვს თავისი ქალიშვილისა, რომელიც რწმუნდება მამის ხასიათისა და ქცევის ბევრ უარყოფით მხარეში, მაგრამ გრძნობს მის დიდ მშობლიურ სიყვარულსაც. იაცუბა სოფელში სახანძრო რაზმის მეთაურია და კარგად აქვს დაყენებული საქმე. რაც მთავარია, იგი ზედაც, თუ როგორ შრომობს და ცხოვრობს მის ირგვლივ ხალხი, როგორ დამოკიდებულებაში არიან ადამიანები ერთმანეთთან. ცხოვრება კარგ გაცვეთილებს აძლევს ყოფილ მაიორს და მკითხველს სადაც რჩება რწმენა, რომ იაცუბაც აღსდგება ნორმალური ცხოვრებისათვის. ამიტომაც თანასოფელთა თვალში მისი ზოგიერთი ქცევა ირონიას, სიცოცხლის უფრო იწვევს, და ყველაფერი ეს ორგანულადაა ჩაქსოვილი მთელ რომანში.

ხასიათით, ჩვევებით თუ მომავალზე ოცნებით, ახალგაზრდები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ბევრიც აქვთ საერთო: შრომისა და ცოდნის წყურვილი. სულიერი და ზნეობრივი სიწმინდე.

ტონია გორბიშჩენკო ლამაზი, მომხიბლავი გარეგნობის ქალიშვილია. ცელქი, ოდნავ კეკლუცი და დაუდგრომელი ბავშვი, რომელიც ქალიშვილობაში შე-

დის, თანდათან ავლენს თავის შესანიშნავ ხასიათს. იგი ამაყობს მკვეთრ მზრუნველ სარქლის საქმიანობითა და სახელოთ. მოსიყვარულე შვილი და დაა, საუკეთესო ამხანაგია. და როდესაც ტონიას პირველი სიყვარული ეწვია, მკითხველისათვის ცხადი ხდება, რომ ეს პირველი, წმინდა გრძნობა სამუდამოა ქალიშვილისათვის, რომ ის ერთგული იქნება ამ სიყვარულისა. ასევე დამაჯერებელია ტონიას სიამაყე თავისი შრომით, მამასთან ერთად ცხვრის მოვლა-პატრონობით.

ტონიას შეყვარებული თანაკლასელი ვიტალიკი, რომელიც გატაცებულია რადიოთი, საერთოდ ტექნიკითა და მათემატიკით, გამოირჩევა ხასიათის სიმტკიცით, დიდი მიზანსწრაფვით. რომანის დასასრულს ვიტალიკი კაპიტან დოროშენკოს მიჰყვება შორეულ ნაოსნობაში, როგორც გემის რადისტი. იგი ტოვებს სოფელს, სადაც რჩება მისი პირველი და სამუდამო სიყვარული ტონიასადმი. მაგრამ ვიტალიკს სწამს, რომ ისა და ტონია მუდამ ერთად იქნებიან.

ტონია, ვიტალიკი, საშა ლიტვინენკო — რადისტი სოფელში, ლინა იაცუბა — არხის მშენებლობის აქტიური მონაწილე, კუზმა ოსაღი — ბულდოზერისტი, გრინია მამაიჩუკი — მექანიკოსი და სხვები მღელვარებით, მაგრამ თამამად, თავის ცოდნასა და ძალაში დარწმუნებულნი, გადიან ცხოვრების ზახზე და სწორედ ერთი რამაცაა აღსანიშნავი კიდევ რომანში. ოლეს გონჩარმა ნათლად შეამჩნია, რომ ჩვენი ახალგაზრდების ცოდნის დონე შეიცვალა, ამაღლდა. როგორც პერსონაჟთა დიალოგებიდან, მათი ყოველდღიური ცხოვრებიდან ირკვევა, ახალგაზრდობა კარგად ერკვევა ლიტერატურისა თუ ხელოვნების, ტექნიკისა თუ სოფლის მეურნეობის საკითხებში, ქვეყნის საშინაო თუ საგარეო მდგომარეობაში.

რომან „ტრონკას“ ახალგაზრდობა კორჩაგინის, მარესიევისა და კრასნოდონელ „ახალგაზრდაგვარდიელთა“



ღვიძლი მემკვიდრე თაობა: ეცნობით ამ ახალგაზრდებს და გწამთ, რომ მათაც შესწევთ უნარი, დაძლიონ ყველა წინააღმდეგობანი, იყვნენ ყამირსა და შორეულ მხარეებში პირველნი, აშენონ ახალი ქარხნები, აიტანონ ყოველივე განსაცდელი, რადგან აქეთ ძალა, რომელიც მისცა მათ ჩვენმა წყობილებამ, ჩვენი ცხოვრების წესმა, ადამიანთა ურთიერთობამ, სკოლამ და მეგობრობამ. გონჩარის რომანში მოდის ახალი თაობა, ღირსეული შემცვლელი უფროსი თაობისა, თაობა პერსპექტიული და საიმედო.

რომან „ტრონაკაში“ მკაფიოდ გამოჩნდა ოლეს გონჩარის, როგორც მხატვრის ძალა. მწერალი დინამიურად, ცალკეული შტრიხებითა და სურათებით იძლევა პერსონაჟთა პორტრეტებს, დიალოგებში ავლენს მათ-თავისებურ ენას და მოქმედებით ხსნის ხასიათებს. ამავე დროს ავტორი ავლენს ნაწარმოების გმირთა სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნას, მათი განცდების,

ფიქრებისა და ოცნების ინტიმური გამოცემის უნარს.

გოგოლისებურად მუსიკალურად

რადი ფრაზებით წერს გონჩარი. უკრაინული ენის მელოდიურობა, მუსიკალობა, გამდიდრებულ ხალხის სალაპარაკო ენით, რომანს განუმეორებელ კოლორიტსა და სურნელს მატებს.

„ტრონაკა“ — უაღრესად ეროვნულ ელფერს ატარებს პეიზაჟით, ენით, გმირთა ფსიქიკის თავისებურებით, ყოფით. ამავე დროს, და შეიძლება ამიტომაც, იგი უაღრესად გასაგები, ნათელი და მახლობელია სხვა ერის მკითხველისათვისაც. ეს ასეა, რადგან ჩვენს ხალხს ერთი ცხოვრება, ერთი მიზნები და მისწრაფებანი აქვს.

ამიტომ რჩება რომანის წაკითხვის შემდეგ ნათელი, ოპტიმისტური გრძნობა. ამიტომაცაა ჩვენთვის ახლობელი და ძვირფასი ტრონაკს წყაროლი, როგორც თავისუფალი შრომის, მშვიდობისა და თვით სიცოცხლის მარადიული ძაბილი.

განსაკრებელი

## კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი გზა

საქართველოს სახელმწიფო გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ამთავრებს გამოჩენილი თანამედროვე ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას რჩეული ნაწერების რვატომეულის გამოცემას. უკვე გამოვიდა ამ გამოცემის ექვსი ტომი, რომლებშიც წარმოდგენილია მწერლის თითქმის ყველა მხატვრული ნაწარმოები, მისი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები.

შეითხველ საზოგადოებრივობას პირველად ეძლევა საშუალება ერთობლივად გაითვალისწინოს მწერლის მიერ განვლილი ვრცელი და რთული შემოქმედებითი გზა, ის თვალსაჩინო წვლილი, რომელიც თავისი ნახევარ საუკუნოვანი შემოქმედებითი შრომით კ. გამსახურდიას შეაქვს ჩვენი საუკუნის მხატვრული კულტურის განვითარებაში.

ეს გარემოება შესაძლებლობას იძლევა და მოთხოვნილებასაც წარმოშობს, რომ გულმოდგინედ იქნას შესწავლილი მწერლის შემოქმედებითი ბიოგრაფია, რომელიც განუყოფელად არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა მწერლობის აღმოცენება-განვითარების მთელს ისტორიასთან.

კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება ქართული საბჭოთა ლიტერატურის იმ საუკეთესო მონაბოვართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ღირ-

სეულად აგრძელებენ და ამდიდრებენ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის სახელოვან ტრადიციებს და თვალსაჩინო ადგილს იმსახურებენ თანამედროვეობის სულიერ ღირებულებათა საგანძურში. თავისი მხატვრული ნიჭიერებით, შემოქმედებითი პოეტურობით, პროფესიული კულტურითა და ერუდიციით კ. გამსახურდია ჩვენი საუკუნის მხატვრული სიტყვის უპირველეს ოსტატთა რიგში დგას და დაუცხრომელი შემოქმედებითი შრომითა და ბრძოლით აქტიურად მონაწილეობს თანამედროვე ესთეტიკური კულტურის განვითარებაში. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია მკერამეტიკული მაგალითია იმისა, თუ რაოდენ კეთილშეოფელი და ამამაღლებელი ზეგავლენა იქონია ჩვენმა რევოლუციურმა ეპოქამ ოქტომბრისწინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციის იმ წარმომადგენელთა ბედზე, რომელთა ნიჭიერება და შემოქმედებითი შესაძლებლობანი განწირული იყო დეკადენტური ინდივიდუალიზმისა, მისტიციზმისა, პესიმიზმისა და უმიზნო ფორმალისტური ექსპერიმენტების წყველიაღში ჩახშობისათვის.

იოლი და სწორხაზობრივი როდი იყო კ. გამსახურდიას გზა იმ იდეურ-ესთეტიკური პოზიციებისაკენ, რომლებზეც ვითარდება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება — არა მარტო

იდეურად ყველაზე პროგრესული და შინაარსობრივად ყველაზე მდიდარი ხელოვნება თანამედროვე მსოფლიოში, არამედ ყველაზე რეალისტური, ჰუმანური და ხალხური, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და მართალი ხელოვნებაც, რომელიც თავისკენ იკრებს და იზიდავს ამჟამად შემოქმედებითი აზრის საუკეთესო ადამიანებს დედამიწის ყოველ კუთხეში. რთულ წინააღმდეგობებისა და სერიოზული სიძნელეების გადალახვის გზით, მაგრამ გაბედულად და თანმიმდევრულად მოეშურებოდა მწერალი თანამედროვეობის ნათელი იდეებით შთაგონებული, ეპოქის დიდი სოციალური კონფლიქტების სიმართლით გამომხატველი, ახალი ქვეყნის მშენებელი ხალხის სულიერი სამყაროს შთამბეჭდავად წარმომსახველი ხელოვნების პოზიციებისაკენ და ამ გზაზე მის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ცხოველ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა, მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების, მწვავე დისკუსიების საგნად ხდებოდა.

კ. გამსახურდია ხშირად აღარებს ხოლმე თავის შემოქმედებითს შრომას ბიბლიური იაკობის თავგანწირულ ბრძოლას საკუთარ მრისხანე ღმერთთან. და მართლაც, იშვიათია ხელოვანი, რომლის შემოქმედებითი ცხოვრების მთელს ისტორიას ასეთი დაუცხრომელი, ბოზოქარი ბრძოლების ვითარებაში გაეცლოს. ეს იმიტომ, რომ კ. გამსახურდიას ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველ დიდსა თუ მცირე საკითხზე მკაფიოდ გამოხატული საკუთარი თვალსაზრისი გააჩნია, რომელსაც იგი ერთგულად გამოავლენს თავის მხატვრულ ქმნილებებში და თავგამოდებით იცავს თავის მრავალ ლიტერატურულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში, მძაფრ საჭარო გამოს-

ვლებში. მას არ უყვარს თუნდაც უძლიესი და საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების შეხედულებები, ურად და მორჩილად განმეორება. მისი მამიებელი შემოქმედებითი აზრი ხშირად ამხედრებია ხოლმე თავის უსაყვარლეს ლიტერატურულ წინამორბედებს და მასწავლებლებსაც კი. ასეთი ხასიათისა და ტემპერამენტის მწერლის იდეურ-შემოქმედებითი ევოლუცია, ცხადია, დაზღვეული არ ყოფილა სხვადასხვაგვარ უკიდურესობათა და გადაქარბებათაგან, ცალკეული შეცდომებისა და ჩავარდნებისაგან. ყოველივე ეს ქმნიდა კ. გამსახურდიას სახელის გარშემო დამაბულობის ატმოსფეროს, რომლის ვითარებაშიც ყალიბდებოდა მწერლის ღრმად ორიგინალური მხატვრული ინდივიდუალობა, მისი მსოფლმხედველობა და ესთეტიკური მრწამსი.

ქართული კლასიკური მწერლობის დიდ პატრიოტულ და დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილმა ქაბუცმა თავისი სულიერი ფორმირების ხანა—ჩვენი საუკუნის ათიანი წლები დასავლეთ ევროპაში გაატარა. გერმანიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებში სწავლისა და ევროპის სხვა ქვეყნებში ხანგრძლივად მოგზაურობის შედეგად, იგი გაეცნო და ეზიარა დასავლეთში იმ დროსათვის გაბატონებული იდეალისტური ფილოსოფიისა და დეკადენტური ხელოვნების მოდურ მიმართულებებს. ასეთი იდეური ტვირთით დამძიმებული დაუბრუნდა კ. გამსახურდია სამშობლოს ოციანი წლების დამდეგს, როდესაც ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული მოწოდებისაგან საბოლოოდ თავდადწეული ქართველი ხალხი ახალი თავისუფალი და სამართლიანი სამყაროს მშენებლობის ფართო გზაზე გამოდიოდა.

უცხოური მოდერნისტული ხელოვნ-

ნებით გატაცებული მწერალი, ბუნებრივად აღმოჩნდა მწვავე კონფლიქტში იმ ახალ ამოცანებთან, რომლებსაც მწერლობასა და ხელოვნებას უსახავდა ჩვენი ქვეყნის განახლებული სოციალური ვითარება, კულტურული რევოლუციის პროცესები. კ. გამსახურდია ერთბაშად მოექცა იმ მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლების შუაგულში, რომლებიც ოციანი წლების ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების შინაარსს განსაზღვრავდა და რომელთა ვითარებაშიც ყალიბდებოდა და გზას იკვლევდა ახალგაზრდა საბჭოთა ლიტერატურა.

მაშინ კ. გამსახურდია ქართული მწერლობის ყველაზე მემარჯვენე ბანაკის ერთ-ერთ მეთაურად გამოდიოდა, თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში გერმანელი ექსპრესიონიზმისა და სხვა მოდური ევროპული ანტირეალისტური სკოლების პროპაგანდას ეწეოდა, ხოლო თავის ლიტერატურულ თანამოსანგრეებთან ერთად ორგანიზებული ჟურნალებისა და გაზეთების ფურცლებზე პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სალიტერატურო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისადმი მკვეთრად დაპირისპირებულ შეხედულებებს იცავდა და ანვითარებდა.

მაგრამ სწორედ ამავე წლებში იწყებოდა მწერლის ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება. მართალია, ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში, ხოლო უფრო მძლავრად სტუდენტობის ხანაში იჩინა თავი მისმა მისწრაფებამ და ძკაფიო ნიჭიერებამ მხატვრული შემოქმედების დარგში. მაგრამ კ. აბაშიასიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულს მის ლექსებსა და ადრინდელს ნოველებს მხოლოდ ლიტერატურული წართობისა და ვარჯიშის, მომავალი დიდი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის საშაღისის მნიშვნელობა ჭონდა. მხოლოდ ოციანი წლებში, ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენებისა და ჩამოყალიბების ამ

პირველს პერიოდში დაიწყო კ. გამსახურდიას თანმიმდევრულ ბრძოლა ქართული მხატვრული პროზის აღორძინებისათვის, ქართული ნოველისა და რომანის ახალი გზების აღმოჩენისათვის, ეპიკური ჟანრების დამკვიდრებისათვის ახალგაზრდა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

„ნაციონალური მწერლობა მხოლოდ მაშინ იქცევა ლიტერატურად, როცა იგი ეპოსის თავკიდურებს დამყარება-ღირიკული პოეზია აზიისა, ავსტრალიისა და აფრიკის ნომადებსაც მოეპოვებათ, მაგრამ თავისთავადი ლიტერატურა ეპოსიდან იწყება მხოლოდ“. ეს რწმენა ამოძრავებდა კ. გამსახურდიას, როცა ოციანი წლების სოციალურ ძვრათა და განახლებათა გამძაფრებულს ვითარებაში დიდი გატაცებით, და შთაგონებით იღწვოდა ახალი ქართული მხატვრული პროზის შემოქმედებითი ტრადიციების დადგენისათვის. ამ ბრძოლაში იგი მხარში ამოუდგა თავის უფროს თანამედროვეებს — ნიკოლორთქიფანიძეს, მიხეილ ჯავახიშვილს, ლეო ქიაჩელს და თავის თანატოლთუ მომდევნო თაობის ბელეტრისტებს, თუმცა როგორც თემატიკითა და შემოქმედებითი მიზანდასახულობით, ისე მსოფლშეგრძნობისა და მხატვრული სტილის მხრივ იმთავითვე ღრმად განსხვავდებოდა ყოველი მათგანისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში კ. გამსახურდია თავისი მსოფლმხედველობით და ესთეტიკური იდეალით ჯერ კიდევ დიდი მანძილით იყო დაშორებული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მაგისტრალურ გზას, მაინც ამ წლების მის მხატვრულ ნაწარმოებებში თავისებურ ანარეკლს პოულობდა ახალი ცხოვრების სურთქვა, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მიმდინარე უორმესი გარდაქმნები და განახლებანი. „დიონისეს ლიმილიცი“ და ნოველებშიც „ხარები გრივალში“, „ქოსა გახუ“, „ტაბუ“, „ლილ“, „დიდი იოსები“ და სხვ. ნათლად იგრძნობოდა



სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი სოციალური ატმოსფერო, თუმცა ამ ნაწარმოებთა ავტორის ყურადღებას უპირატესად რევოლუციის მიერ დამარცხებული და განადგურებული სოციალური ძალების უკანასკნელ ნაშეერთა მახინჯი გამოვლინებანი იპყრობდა და არა ახალი სინამდვილის ნათელი, ახალი სამყაროს მშენებელ ადამიანთა სულიერი მშვენიება და ძალა.

ოციანი წლები კ. გამსახურდიასათვის, ისე როგორც მთელი ქართული საბჭოთა ლიტერატურისათვის, მტკივნეული შემოქმედებითი ძიებების, იდეური წინააღმდეგობების, მრავალი ცდუნებისა და ყალბი გატაცების, მაგრამ მინც ახალი ნათელი ესთეტიკური იდეალისადმი აღმავალი მისწრაფების პერიოდი იყო. გამოჩენილი ქართული მხატვრის ლადო გუდიაშვილისადმი მიძღვნილ თავის წერილში კ. გამსახურდია სამართლიანად აღიარებს: „ჩვენ ყველას, ამ თაობიდან გამოსული, ათასგვარი დემონი გვიდაღვდა გულს, ათასი გზები გვიცდია და საშუალებანი, ათასგვარი სამანი მოგვიჩვენა“. ეს არის ფრიალ მტკივნეული პერიოდი ხელოვანის ცხოვრებაში, პერიოდი საკუთარი ხმის მოპოვებისა და საკუთარი მანერისათვის მიგნებისა. საქმე ის არის, რომ ეს პერიოდი ის ფონია, რომელიც საშუალო ნიჟს ახრჩობს, მაგრამ დიდი ტალანტი მას გადალახავს და საკუთარ გზას მოსძებნის უთუოდ“. საბედნიეროდ კ. გამსახურდია სწორედ ასეთი ტალანტი გამოდგა. მან წარმატებით გადალახა მტკივნეული ძიებების, სამანთა მოსინჯვის ეტაპი, თავი დააღწია ათასგვარი მაცდუნებელი დემონით გატაცებს და ოცდაათიანი წლების დამდეგისათვის საბოლოოდ დაადგა საკუთარ სიმძივო გზას, რომელიც ორგანიზულად შეერთო და დაუკავშირდა სოციალისტური კულტურის განვითარების მაგისტრალურ გეზს.

ოცდაათიანი წლების დამდეგს, რო-

დესაც სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა ცხოველმყოფელმა შემოქმედების მეოხებით მხარვედრობის ვნული საბჭოთა მხატვრული ინტელიგენციის ძირითადი მასა ერთსულვნად ირაზმებოდა სოციალიზმის მშენებლობის ამოცანებისა და კომუნისტური პარტიის პოზიციების გარშემო და იწყებოდა სოციალისტური რეალიზმის მწერლობის დიდი იდეურ-შემოქმედებითი აღმავლობა, კ. გამსახურდიამ შექმნა თავისი შესანიშნავი ტრილოგია „მთვარის მოტაცება“, რომელიც დღემდე რჩება თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ უდიდეს და საუკეთესო ნაწარმოებად.

ამ რომანში კ. გამსახურდიამ პირველად შეხედა თანამედროვეობის მულევარე მოვლენებს ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის თვალთახედეით, პირველად გამოხატა და მხატვრულად დაასაბუთა ბნელეთისა და მონობის სამყაროსთან შექიდებული ახალი. ყველაზე ჰუმანური და სამართლიანი ცხოვრების გარდაუვალი გამარჯვების კანონზომიერება, წრფელად და მთელის გულით უმღერა ქვეყნად სოციალური თანასწორობისა, თავისუფლებისა და სამართლიანობის დიდი ნათელის განუყოფელად დამკვიდრებს.

მართალია, ძლევაში იღობდა აღმავალი ახალისა და მომავლადი რეაქციული სამყაროს სამკედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლის წარმოსახვისას „მთვარის მოტაცების“ ავტორს წარსულის ბნელ გამოვლინებათა გამოსახატავად ბევრად უფრო მკაფიო და მეტყველი საღებავები აღმოაჩნდა, ვიდრე ახალი ცხოვრების სიმართლისა და მისი მშენებელი ადამიანების ტიპიურ სახეთა გადმოსაცემად. მაგრამ რომანში დიდი მხატვრული ძალით წარმოსახული სურათი ემხვარებისა და შერვაშიძეებისა, ტარბებისა და აფაქიძეების, ლუკაია ლაბახუას და მათ მსგავსთა სურათი, ბნელი სამყაროს დამხობისა და კატასტ-

როფისა, შთამაგონებლად გვაგრძნობინებს და განგვაძლევინებს სოციალისტური რევოლუციის საქმის, მისი მასულდგმულზელი იდეების სიმართლეს და უძლეველობას.

ეს რომანი არა მარტო მწერლის იდეურ გადაიარაღებას მოასწავებდა, არამედ მისი შთაგონების მომწიფებას, მხატვრული ოსტატობის გაღრმავებას, წინ გადადგმულ ნაბიჯს ცხოვრების სიმართლით წარმომსახველი დიდი რეალისტური ხელოვნების მიმართულებით, თუმცა ამ წიგნში საბოლოოდ დაძლეული როდი იყო ავტორის მოდერნისტულ გატაცებათა ინერცია.

ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო კ. გამსახურდიას დიდი შემოქმედებითი შრომა ჩვენი ხალხის გმირული და საამაყო ისტორიული წარსულის უმნიშვნელოვანესი მოვლენების მხატვრულად გაცოცხლებისა და წარმოსახვისათვის. მწერალი აცხადებდა „ეგ დიდი ხნის ოცნებაა ჩემი: ქართული ქრონიკების კრებულს გვერდში ამოვუყენო რომანების სერია, რომელსაც თავის დროზე ვუწოდებ „ქართლის ცხოვრებას“. მწერლის ამ კეთილშობილური შემოქმედებითი განზრახვის პირველ ხორცშესხმას წარმოადგენდა რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“, რომელიც ამჟამად საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებად არის აღიარებული და რომლის რეზონანსიც შორს გასცდა საბჭოეთის საზღვრებს და სულ უფრო მზარდი მასშტაბებით ვრცელდება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. დიდი პატრიოტული მკვნიებარებით და მაღალი პოეტური შთაგონებით გამსჭვალულ ამ ქმნილებაში კ. გამსახურდიამ დიდების საჯალობელი უმღერა არა მარტო ქართველი ხალხის ქედუხარელ გმირობასა და ვაჟკაცობას, მის სამაგალითო თავგანწირულებას სამშობლოს თავისუფლებისა და ძლიერებისათვის ბრძოლაში, არამედ აღამიანის შემოქმედებითი გენიის,

შთაგონებული შრომის იმ მაღალ იდეალს, რომელიც საბჭოთა ქალხის სულიერი სამყაროს უპირატესეს კუთვნიებას და მშვენიებას განსაზღვრავს.

„ისტორიული მასალის პოეტიზირებას მხოლოდ მაშინ აქვს თანადროულობისათვის რეზონი, როცა თვით აღებულები ეპოქა, ან მისი გმირნი და მათი ხასიათი ეკორესპონდირება თანადროულობის იდეებს“. ასეთია განმსაზღვრელი დებულება კ. გამსახურდიას კონცეფციისა ისტორიული რომანისტიკის სფეროში. ასეთი კონცეფციის მხატვრულ განხორციელებას წარმოადგენს ტეტრალოგია „დავით აღმაშენებელი“. რომლის პირველი წიგნიც სამამულო ომის მრისხანე დღეებში გამოქვეყნდა და რომელიც თავისი პატრიოტული სულისკვეთებით, გმირობისა და ქედუხარელობის აპოლოგიით მღელვარედ ეხმაურებოდა საბჭოთა ხალხის უმაღლეს მსწრაფებებსა და უკეთილშობილეს გრძნობებს იმ დიდი ისტორიული განსაცდელის ვითარებაში.

„დავით აღმაშენებელი“ ქართული მხატვრული პროზის უფართოესი ტილოა, რომელზეც ცოცხლად არის წარმოსახული ძველი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპოქა და ქართველი ხალხის, დიდი საბრძოლო — პატრიოტული და სახელმწიფოებრივი ტრადიციები გამოხატულია საშუალო — საუკუნეებრივი მსოფლიოს ისტორიული ცხოვრების უმთავრეს პროცესებთან დაკავშირებით.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ძერწავდა მწერალი თავის ამ უდიდეს მხატვრულ ქმნილებას. ხოლო ტეტრალოგიის მესამე და მეოთხე ტომების შუალედში მან დაწერა რომანი „ვახის ყვავილობა“, რომელშიც ასახა ქართველი საკოლმეურნეო გლეხობის ცხოვრება სამამულო ომის პერიოდში და ომისშემდეგი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის პირველ წლებში.

მწერლის მთავარ მხატვრულ ნაწარმოებათა ასეთი სქემატური აღნუსხვა



კი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს მისი შემოქმედებითი ინტერესების იშვიათს მრავალმხრივობაზე. იმაზე, თუ რაოდენ ფართოა მისი პორიზონტი სამყაროს მხატვრული ათვისებისა, თემებისა და სახეების რაოდენ მდიდარ სამყაროს, აღამიანურ ხასიათთა რაოდენ მრავალფეროვან ვალერეას შეიცავს მისი შემოქმედება.

შემოქმედებითი შრომის ინტენსივობის, მხატვრული პოტენციისა და ენერჯის თვალსაზრისით კ. გამსახურდიას იშვიათად თუ ვინმე შეედრება არა მარტო თანამედროვე ქართულ მწერალთა, არამედ ჩვენი ეროვნული ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსთა შორისაც. და ასეთი გამაფრებელი, უხვი და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე კ. გამსახურდიამ არ იცის კომპრომისი მხატვრული ოსტატობის სფეროში. იგი პოეტური გზებით და გატაცებით ძერწავს თავისი მრავალრიცხოვანი ნოველებისა თუ ვრცელი რომანების ყოველ ფრაზას.

სიტყვის ხელოვნება კ. გამსახურდიას ლიტერატურული შემოქმედების საფუძველთა საფუძვლად მიიჩნია. თავისი ნახევარსაუკუნოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობით მან დიდად გაამდიდრა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, შეავსო იგი უძველესი ქართული მწერლობის ძეგლებიდან თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცოცხალი მეტყველების არსენალიდან დიდის აღლოთი და ტაქტით შერჩეული ლექსიკური მასალით, თავისებური ელფერი მისცა პოეტურ სინტაქსს, სიტყვათა წყობას, ფრაზის აღნაგობას. კ. გამსახურდიას ნაწარმოებთა სიტყვიერი ქსოვილი გამსჭვალულია მუსიკალობით, რიტმიულობით. მისი ფრაზა არა მარტო გვიხატავს და მოგვითხრობს, არამედ მღერის კიდევ. მგონი, კ. გამსახურდიამ პირველმა იხმარა ქართულ ლიტერატურაში „პოეტური პართის“ ცნება, და ეს ცნება, პირველ ყოვლისა, თვით კ. გამსახურდიას ბელეტრისტულ შემოქმედებას შეფერის. მართლაც თა-

ვის საუკეთესო ნაწარმოებებში მან საოცრად დაახლოვა და დაინჯვეს ენა-ენი-მანეთთან პოეზიისა და მხატვრული ლირიული და ეპიური საწყისები. ეპიური ენარის თხზულებებში მან ფართო გზა გაუხსნა ლირიკულ ნაკადს. „პოეზია სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სულის პრიზმაში გატარებული და ამ გზით გაშუქებული გარესამყარო და ეს ენება უპირატესად ეპიკასაც“, — ამტკიცებს კ. გამსახურდია. და თავისი შემოქმედებითაც სწორედ ეპიკურისა და ლირიკულის განუყოფელობას განამტკიცებს. მისთვის უცხოა საგნებისა და მოვლენების გულგრილი, განურჩეველი მჭვრეტელობა, მშვიდი ეპიური მომთხრობელობა. მისი ნახატიც და თხრობაც ყოველთვის აღბეჭდილია მღვდვარებით, ვნებიანობით, ემოციური დამახულობით. მხატვრული აღწერის პირველხარისხოვანი ოსტატი, იგი ფლობს აღამიანის უაღრესად ინტიმურ გრანოზათა და ვანცდათა სამყაროში წვდომის ხელოვნებას, პერსონაჟთა უკიდურესად გამაფრებელი სულიერი მღგომარეობის პლასტიკური სიცხადით გადმოცემის საიდუმლოებას. ეს ასე ვთქვათ „ფსიქოლოგიური პეიზაჟები“ — პერსონაჟთა სულიერი ცხოვრების სურათები ამშვენებენ კ. გამსახურდიას მხატვრულ ქმნილებებს.

კ. გამსახურდია გაურბის სიუჟეტის სწორხაზობრივ განვითარებას, თხრობის თანმიმდევრულ მდინარებას ვიწრო ფაბულურ კალაოტში. მას რთული, მრავალწახნაგოვანი სიუჟეტური კომპოზიცია უფრო ემარჯება, სადაც ლირიკული წილითსვლები ორგანულად ენაცვლება ფაბულურ მოტივებს; მოულოდნელი შენაკადები, მოგონებანი, ეპისტოლური ჩანართები და ზოგჯერ მეტად შორეული რემინისცენციების დაუსრულებლივ აფართოებენ და განაშტოებენ თხრობის ფარვატერს.

სხვადასხვაგვარი წყაროები ასაზრდოებენ კ. გამსახურდიას შემოქმედებითს ინდივიდუალობას, მის უაღრესად ორიგინალურს მხატვრულ სტილს, გა-

მოსახლეების საშუალებათა თვითმყოფად სისტემას. ამ მხრივაც არაჩვეულებრივად ფართოა მწერლის ინტერესებისა და მიდრეკილებათა დიაპაზონი. მან შეგნებულად და ხაზგასმულად აღადგინა ცოცხალი შემოქმედებითი კონტაქტი უძველესი ქართული მწერლობის ტრადიციებთან, ჩვენი ჰაგიოგრაფიული და საერთოდ სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ძეგლებთან. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქ. გამსახურდიას ჩვენი ეროვნული კულტურის ამ შორეულ სათავეებთან უფრო მეტი რამ ანათესავენდეს, ვიდრე თავის უახლოეს წინამორბედებთან და უშუალო ლიტერატურულ წინაპრებთან. — მაგრამ ეს სარულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს მწერლის შემოქმედებითი სამყარო განაყოფიერებული არ იყოს გასული საუკუნის ქართული, რუსული და ევროპული მწერლობის კლასიკოსთა გარდუვალი ღირებულების მიღწევებით. მწერალი უხვად სარგებლობს ქართული მითოლოგიის, ლეგენდებისა და თქმულებათა, ხალხური სიტყვიერებისა და კერძოდ პოეტური ფოლკლორის ამოუწურავი სავანძურებით. და ყოველივე ამასთან ერთად მწერლის მთელს შემოქმედებითს ცხოვრებას გასდევს დღემდეც დაუძლეველი გამოძახილი მოდერნისტული ხელოვნების სხვადასხვაგვარი მიმდინარეობათა ზეგავლენისა, რაც მეტნაკლები ძალით და ამათუიმ სახით ვლინდება მის მრავალ მხატვრულ ნაწარმოებში.

ქ. გამსახურდია მხატვრული თარგმანის პირველხარისხოვანი ოსტატთაგანია თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მან მსოფლიო ლიტერატურის არაერთი საუკეთესო ნიმუშის თარგმანით გაამდიდრა ქართული მწერლობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული თარგმანები დანტეს „ღვთაებრივი კომედიისა“ და გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ენებანი“.

თავისი მრავალმხრივი ერუდიციით

და ფართო განსწავლულობით ქ. გამსახურდიას ერთ-ერთი უმნიშვნელო ადგილი უჭირავს ჩვენი დროის მხატვრული კიტყვის ოსტატთა შორის. მწერლის ინტენსიური ინტელექტუალური ცხოვრების ნაყოფს წარმოადგენს მთელი მისი მხატვრული შემოქმედებაც და მისი ლიტერატურულ-კრიტიკულ გამოკვლევათა ორი ტომიც, რომლებშიც იგი აშუქებს მშობლიური და უცხოური კულტურის მრავალ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. რაგინდ სადავოც არ უნდა იყოს ამ წერილებსა და გამოკვლევებში განვითარებული ზოგიერთი დებულება, მთლიანად მწერლის ამ ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ყოველად უდავო და უეჭველია.

ქ. გამსახურდიას მთელი შემოქმედებითი ცხოვრება ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესისა და შეუწელებელი ყურადღების ვითარებაში მიმდინარეობს.

დიდი პოლემიკური ნიჭიერებით და ორატორული ხელოვნებით იცავს ყოველთვის მწერალი ლიტერატურული კრიტიკის იერიშებისაგან თავის მხატვრულ ნაწარმოებებსაც და ესთეტიკურ შეხედულებებსაც. მაგრამ ამასთან იგი დიდ ანგარიშს უწევს მწერლობის ინტერესებიდან გამომდინარე კეთილმოსურნე და კომპეტენტურ კრიტიკას, რაგინდ მკაცრი და მომთხოვნილიც არ უნდა იყოს იგი. თავის „ავტორისეულ რეპლიკებში“ ქ. გამსახურდია წერს: „მხოლოდ განუსჯელს ეშოტება კრიტიკა. მე პირადად დიდად მაღლობელი ვარ იმ ამხანაგებისა, რომელთაც საერთოდ მწერლობისა და ჩემი საქმისადმი ყურადღების გამოვლინების მეოხებით გაუუკრიტიკებია. ეს ყოველ მომენტში მზადყოფნისაყენ და ჩემში მთვლემარე პოტენციის გამძაფრებისაყენ მომიწოდებდა“. თუ ჩვენ დაკვირვებით შევისწავლით და ერთმა-

ნეთს შევადარებთ მისი ზოგიერთი ნაწარმოების სხვადასხვა გამოცემებს, ნათლად დავინახავთ, თუ როგორ გონივრულად უსარგებლია მწერალს კეთილშობილურ და კომპეტენტური ლიტერატურული კრიტიკის სამართლიანი შენიშვნებით. და მაინც ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობა ჯერ კიდევ დიდ ვალში იმყოფება ჩვენი დროის ამ შეპანიშნავი ხელოვანის წინაშე. უკვე მომწიფდა მოთხოვნილება კ. ზამსახურდიას შემოქმედების ფართო მონოგრაფიული შესწავლისა. როგორც მართებულად შენიშნავს კ. ზამსახურდი: „მწერალი რთული ფენომენია. იგი თავის სიკვდილამდის ღვივის და ენთება და არავინ იცის როდის ეტყვის იგი მომავალ თაობას თავის უკანასკნელ სიტყვას“. მაგრამ ყოველივე ის, რაც კ. ზამსახურდიამ უკვე უთხრა ჩვენს თანამედროვეობას და მომავალ თაობებს, უმდიდრეს მასალას წარმოადგენს ფართო მასშტაბის ლიტერატურულ-კრიტიკული გამოკვლევისათვის. არ არსებობს ჩვენი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალისტური რეალიზმის ესთეტიკის, საბჭოთა მწერლობის შემოქმედებითი მეთოდის არც ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც არ აღიძვროდეს და ვარკვეულ პასუხს არ მოითხოვდეს კ. ზამსახურდიას შემოქმედების შესწავლისას.

ჩვენ ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შორსა ვართ ასეთი პრეტენზიისაგან. ჩვენი ამ ნარკვევის ამოცანა მწერლის ლიტერატურული პორტრეტის მოხაზვით განისაზღვრება.

\* \* \*

კონსტანტინე ზამსახურდიას მთელი შემოქმედება ღრმად არის გამსჭვალული მწერლის პიროვნებით, მისი მსოფლშეგრძნობით, სულიერი წყობით და ტემპერამენტით, მისი ცხოვრების ისტორიით. ხშირად მწერალი სრულიად შეუფარველად მონაწილეობს თავის ნოველებში მოთხრობილ ამბავთა მსვლე-

ლობაში. იგი უხვად აქსოვს თავისი ადამიანური ბუნების ცალკეულ სეპებს თუ თავისი ბიოგრაფიული ცალკეულ მხარეებს „დიონისოს ღიმილის“, „მთვარის მოტაცებისა“ და „ვახის ყვავილობის“ ისეთ მთავარ გმირთა სახეებში, როგორც არიან კონსტანტინე სავარსამიძე, თარაშ ემხვარი და ვახტანგ კორინთელი. „მთვარის მოტაცების“ მესამე წიგნში ავტორი თავის სახელითა და გვარით შედის რომანის პერსონაჟთა ანსამბლში და უშუალოდ მონაწილეობს მათს ურთიერთობებში. „დიონისოს ღიმილის“ პირველი გამოცემის ბოლოსიტყვაში მწერალს დასჭირდა საგანგებოდ გამიჯნოდა თავისი რომანის გმირს და მკითხველისთვის ეთხოვა: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებს, რადგან მე საკუთარი ცოდვებიც მეყოფა“. ხოლო ამავე წიგნის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში იგი სჩივის, რომ მისი ეს სათხოვარი შეუწყნარებელი დარჩენილა და ლიტერატურულ კრიტიკას ვანუიოთხვად გაუიგივებია გმირისა და ავტორის ფსიქოლოგია, ზნეობა, აზროვნება. „მე შეირდავენ, სავარსამიძე შენა გგავსო, — ამბობს მწერალი და დასძენს — ასეც რომ იყვეს, მერე რა? განა გმირი ავტორის ძვალი არაა ძვალთაგან და სისხლი სისხლთაგანი?“ მწერლის ეს აღიარება შეეხება არა მარტო სავარსამიძის სახეს. ავტობიოგრაფიული ელემენტები მეტნაკლებად იგრძნობა მის სხვა რომანებსა და ნოველებშიც (რასაკვირველია, ისტორიული რომანების გამოკლებით). ამიტომაც კ. ზამსახურდიას შემოქმედებითი სამყაროს გახსნისა და გააზრებისათვის საჭიროა ვიცოდეთ მისი ცხოვრების ისტორიის მთავარი შტრიხები.

კ. ზამსახურდი დაიბადა 1893 წელს, სამეგრელოში, სოფელ აბაშაში, „შექლებული აზნაურის ოჯახში. მამამისი სიმონი ახალგაზრდობაში ნადირობითა და ცხენოსნობით ყოფილა ვატაცებული, შვილს თურმე სპარტანულად ზრდიდა, ცხენოსნობას, ნადირობას და

ფიზიკურ შრომას აჩვევდა და ენერჯი-ულად ურჩევდა „საქმისთვის“ მოეციდა ხელი და მწერლობას არ გაყოლოდა, რადგან, მისი აზრით, ყველაფერი ადამიანისათვის საჭირო და სასარგებლო უკვე დაწერილია ფსალმუნში, სახარებაში და „ვეფხვის ტყაოსანში“. ამიტომ მამა გაზეთების კითხვასაც გაურბოდაო—იკონებს მწერალი. ხანდაზმულობის ასაკში მამას მონადირეობისა და დროს ტარებისათვის თავი დაუწებებია და ვენახები და ხილის ბაღები გაუშენებია და ერთ-ერთ პირველთაგანს დაუნერგავს კოლხეთის ველზე ციტრუსების კულტურა.

გამსახურების ოჯახსაც „მსახვრალი ხელით“ შეხებია „ახნაურთა ბუდეების“ ნგრევის პროცესი, რაც დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალური სინამდვილისათვის. მწერლის უფროსი ძმა ალექსანდრე სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში ჩაბმულა, მას მონაწილეობა მიუღია 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში; რეაქციის წლებში იგი პარტიზანულ რაზმებს ადგენდა და არალეგალურ მიტინგებს აწყობდა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს მოუთხოვია სიმონ გამსახურდიასათვის — გაცეცა და მთავრობისათვის წარედგინა მემხოხე შვილი და, რაკი მოხუცს ამ მოთხოვნაზე გადაქრით უარი გაუცხადებია, იგი დაუპატიმრებიათ და ციხეში გამოუმწყვდევიათ. ცხრა თვის პატიმრობის შემდეგ მძიმედ ავადმყოფი სიმონი პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ, მაგრამ მალე იგი გარდაცვლილა 80 წლის ასაკში. მწერლის მეორე ძმაც — ბიქტორი უფროსი ძმის გზას გაჰყოლია. მას რკინის გირით თავი გაუტეხია კაზაკთა საეკვეყუციო ასეულის მეთაურისათვის, რის გამოც ბიქტორი შეუპყრიათ და საველე სასამართლოს განაჩენით ციხიბრს გადაუსახლებიათ. „ამგვარად დაგვენგრა ოჯახი“ — ამბობს კ. გამსახურდია თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში.

ამის შემდეგ, დედას სახლი გაუყი-ლია და ქუთაისის გადასახლებულნი და ცემოვალნი მწერალი უკვე უნდა ქართულ გიმნაზიაში. ეს გიმნაზია ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო იმდროინდელს მთელს დასავლეთ საქართველოში, სადაც სწავლა მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდა და პროგრესულად განწყობილი მასწავლებლები ახალგაზრდობას პატრიოტული და ჰუმანისტური იდეების სულისკვთებით ზრდიდნენ. მოწაფეობის წლებში კ. გამსახურდია დიდი ნიჭიერებითა და ნაკითხობით გამოირჩეოდა თანატოლთა შორის. მას თითქმის მთლიანად გადაუყითხავს ქუთაისის საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნების ფონდი. ამასთან, ფრიაღებზე სწავლობდა და თანაც ოჯახის ხელმოკლეობის გამო კერძო გაკვეთილებს აძლევდა ლათინურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში. ქუთაისის ქართულ გიმნაზიას გაუღვიძებია ქაბუჯის პატრიოტული შეგნება და შთაუგონებია მისთვის დიდი ქართული კლასიკური მწერლობის სიყვარული. ცამეტი წლის ყმაწვილი, იგი საგანგებოდ ჩამოსულა თბილისში იმ განზრახვით, რომ შორიდან მაინც შეეხედა ილია ქაქვიავაძისათვის, ხოლო როდესაც ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციური მოძრაობის ამ სახელოვანი ბელადის ვერაგულად მოკვლის ამბავი გაუგია, ქაბუჯს ფიცი დაუდევს, რომ მთელი სიცოცხლე შეეწირა ილია ქაქვიავაძის შველელების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, იმ მაღალი პატრიოტული და დემოკრატიული იდეალების გამარჯვებისათვის, რომელთაც ასე უანგაროდ და თავგანწირულად მიუძღვნეს თავიანთი ცხოვრება და შემოქმედება გასული საუკუნის ქართული მწერლობის უკვდავმა კორიფეებმა.

მართლაც, კ. გამსახურდია გიმნაზიის უფროს კლასებში სწავლის წლებში აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდო-

ბის არალეგალურ წრეებში. ეს წრეები მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს აქვეყნებდნენ და ენერგიულად ებრძოდნენ შავრაზმელ მოხელეებს. ასეთ მეამბოხე გამოსვლებში მონაწილეობისათვის კ. გამსახურდია, სხვა თავის ამხანაგებთან ერთად, ჟანდარმერიამ დააპატიმრა და სასტიკ სასჯელს მხოლოდ ქართული გიმნაზიის დირექტორის — შესანიშნავი პედაგოგის, დიდი პატრიოტის იოსებ ოცხელის ენერგიული გამოქონების შეოხებით გადაურჩა.

ქართული გიმნაზიის წარმატებით დამთავრებისთანავე ქუთაისის ქალაქის გამგეობამ კ. გამსახურდიას, როგორც განსაკუთრებულად ნიჭიერ ახალგაზრდას, სტიპენდია დაუნიშნა და პეტერბურგს გაგზავნა უმაღლესი განათლების მისაღებად.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე კ. გამსახურდია გაეცნო და დაუახლოვდა ნიკო მარს და მუშაობა დაიწყო მის ენათმეცნიერულ სემინარში. მაგრამ მალე მიზანშეუწონლად მიიჩნია დარჩენა პეტერბურგის უნივერსიტეტში და გადაწყვიტა საზღვარგარეთ გამგზავრება უმაღლესი განათლების გასაგრძელებლად. გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის შეამდგომლობით კ. გამსახურდიას მარგანეცის შრეწველთა საბჭოს სტიპენდია დაენიშნა და იგი კენიგსბერგის უნივერსიტეტში ჩაირიცხა, რადგან ამ დროს დიდად გატაცებული იყო კანტის ფილოსოფიით. მალე ლაიპციგის უნივერსიტეტში გადავიდა და ენერგიულად დაეწაფა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფილოსოფიის, ესთეტიკის, ფსიქოლოგიის, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობის შესწავლას.

1914 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე კ. გამსახურდია მიუნხენის ჭეჩხაში შეიპყრო ომის ისტერიით აღტყინებულმა ბრბომ. იგი ისმანინგის კოშკში გადაგზავნეს, სადაც გაეცნო და დაუმეგობრდა გერ-

მანელ მილიტარისტების მიერ დაპატიმრებულ „საეპეო უცხოელთა“ ფრანგ, ინგლისელ, ბელგელ, მეცნიერებს და ლიტერატორებს. ასეთი შეხვედრები და ურთიერთობანი, ცხადია, აფართოებდნენ ახალგაზრდა ქართველი მწერლის გონებრივი ინტერესების სფეროს, ამიღებდნენ მის ერუდიციას და ვიტალურ გამოცდილებას. რამოდენიმე თვის შემდეგ კ. გამსახურდია მის ახლად შეძენილ მეგობრებთან ერთად სამხრეთ ბავარიაში გადაგზავნეს, დაბა ტრაუნშტაინის საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც უცხოელ ტყვეებს სადისტური სიმკაცრით ეპყრობოდნენ. იგი ტყვეობიდან გაათავისუფლეს და მას მიუნხენის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების ნება დართეს.

„ამ პერიოდში, — იგონებს კ. გამსახურდია — ბევრს ვმუშაობდით, მაგრამ მე და ჩემი აფრიკელი მეგობარი სტუდენტურ ანგლობასაც არ ვაკლებდით ხელს. პროფესორის ფრიდრიხ ფონ დერ ლაიენის მეოხებით მე მოვეწყე ბერლინის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის სემინარის ერთ სამთარგმნელო ბიუროში, სადაც წარმოებდა თარგმნა მსოფლიოს უდიდეს ენებზე“. ამ ხანებში კ. გამსახურდიას რამოდენიმე ლექსი თარგმნა გერმანულად და დაიბეჭდა გერმანულ ჟურნალ „ახალ აღმოსავლეთში“ ამავე დროს მან დაწერა პუბლიცისტური ბროშურა „კავკასია მსოფლიო ომში“, რომელიც ვაიმარში გამოიცა, ხოლო შემდეგ გადაბეჭდეს და დიდი ტირაჟით გაავრცელეს ამერიკაში.

1918 წელს არადადეგებზე საშრობლოში დაბრუნებულმა ახალგაზრდა მწერალმა მონაწილეობა მიიღო თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლაში. თუმცა მოკლე ხნით, მაგრამ მაინც განხორციელდა მისი დიდი ხნის ქაბუკური ოცნება სამხედრო კარიერაზე. წერილში „როგორ ვწერ“ კ. გამსახურდია გვიამბობს: „ერ-

თად-ერთ კარიერაზე ვოცნებობდი მთელი ჩემი სიჭაბუკის მანძილზე. ეს იყო სამხედრო კარიერა. 1918-19 წლებში უნივერსიტეტი მინდოდა დამეგდო და პრუსიის გენშტაბის აკადემია დამესრულებინა... სამხედრო კარიერისადმი სიყვარული არც ბარათაშვილს ჩაუგონებია ჩემთვის და არც ლორდ ბაირონს. ოდითგანვე ცხენის კულტი იყო ოდიშის მხარეში. ექვსი წლის ბავშვს განსვენებული მამაჩემი უბელო ცხენზე შემადგებდა და მათრახს გადაუჰერდა ცხენს. ბოლოს შევეთვისე ცხენს“.

იმავ 1918 წელს კ. გამსახურდიამ დააარსა ჟურნალი „პრომეთე“, რომელშიც ქართული მხატვრული სიტყვის ოსტატთა გვერდით თანამშრომლობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. თავისი ხანმოკლე არსებობის მიუხედავად ამ ჟურნალმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა იმ წლების ქართულ მხატვრულ პრესაში და გარკვეული როლიც შეასრულა მენშევიკური რეჟიმის ბატონობის პერიოდის ქართული მწერლობის განვითარებაში.

იმავ 1919 წელს გერმანიაში დაბრუნებულმა კ. გამსახურდიამ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და მიიღო ხელოვნებათა მაგისტრის და ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. მომდევნო წლებში, ისე, როგორც სტუდენტობის პერიოდში, მწერალი მოგზაურობდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, უშუალოდ ეცნობოდა ევროპის ხალხთა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, გულმოდგინედ სწავლობდა მათი უძველესი და ახალი კულტურის ხელოვნებას, მწერლობას, ფილოსოფიას, საზოგადოებრივი აზროვნების მონაპოვართ.

1921 წელს, როცა საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა და საბჭოთა წყობილება დამყარდა, კ. გამსახურდია სამშობლოში დაბრუნდა და მთელის ძალღონით ჩაება იმ მძაფრ იდეოლოგიურ ბრძოლებში, რომ-

ლებიც ახალი საქართველოს ისტორიის პირველ წლებში შემდინარეობდა ქართული საბჭოთა კულტურის მშენებლობისათვის. მაშინ ლეო ქიაჩელთან და გალაკტიონ ტაბიძესთან ერთად იგი რედაქტორობდა ლიტერატურულ ჟურნალ „ლომისს“ და გაზეთ „ქართულ სიტყვას“. ამასთანავე იგი სცემდა საკუთარ გაზეთს „საქართველოს სამრეკლოს“ და ჟურნალ „ილიონს“.

1923 წელს მწერალი ისევ საზღვარგარეთ გაემგზავრა და მთელი წლის განმავლობაში სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს ახალი ფილოსოფიის ისტორიაში. მალე მწერალმა სამშობლოში დაბრუნება არჩია, სადაც მას შემოქმედებითი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფართო სარბიელი მოელოდა. 1924 წლიდან იწყება მწერლის პროფესიული ლიტერატურული ცხოვრება და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა ქართული საბჭოთა კულტურის ასპარეზზე. ზედიზედ ქვეყნდება მისი რომანი „დიონისეს ღიმილი“ და ნოველების წიგნები, რომლებიც მას ორიგინალური და ნიჭიერი ბელეტრისტის სახელს უხვევენ და განსაზღვრავენ მის ადგილს ოციათი წლების ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში.

ხანგრძლივად სამშობლოსაგან მოწყვეტილი და დასავლეთის ბურჟუაზიულ დეკადენტური კულტურის ატმოსფეროში სულიერად მომწიფებული მწერლისათვის, ცხადია, ძნელი იყო ერთბაშად გაეგო და ეგრძნო ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის საქმის სიმართლე და უძლეველობა, გამსჭვალულიყო ახალი სამყაროს ნათელი იდეებით და ყოველგვარი მერყეობისა და წინააღმდეგობათა გარეშე ჩამდგარიყო სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში. კ. გამსახურდია იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და მეთაური ე. წ. „აკადემიური მწერლობის კავშირისა“, რომ-



ლიც ოციანი წლების ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის მწერალთა ყველაზე მემარჯვენე გაერთიანება იყო, ყველაზე დიდი მანძილით დაშორებული პროლეტარული მსოფლმხედველობისაგან, საბჭოთა მწერლობის იდეურ-შემოქმედებითი პოზიციებისაგან. ამ წლების თავის მხატვრულ ნაწარმოებებშიც, ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებშიც თუ სხვა სახის გამოხვლებში იგი გამოხატავდა და ანვითარებდა მრავალ მცდარსა და კულტურული რევოლუციის მიზნებთან და ამოცანებთან შეუთავსებელ იდეებს. ეს გარემოება დიდ სიძნელეებს და დაბრკოლებებს ქმნიდა მწერლის შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ცხოვრების გზაზე.

ოცდაათიანი წლების დამდეგიდან და განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებების შემდეგ, იწყება კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ბიოგრაფიის ახალი პერიოდი. ოცდაათიანი წლებში დაწერილი თავისი თანამედროვე თუ ისტორიული თემატიკის რომანებით იგი თვალსაჩინო ადგილს იჭერს საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ოსტატთა შორის. ამიერიდან იგი აქტიურად თანამშრომლობს მთელს ქართულ პრესაში, მისი საუკეთესო ნაწარმოებნი ითარგმნება რუსულ ენაზე, სხვა მოძმე საბჭოთა ხალხების ენებზე. დიდი სამამულო ომის წლებში მწერალი არა მარტო შთაგონებული, კეშმარიტად პატრიოტული შემოქმედებითი შრომით ეხმაურებოდა საბჭოთა ხალხის საბრძოლო მისწრაფებებს. მრავალრიცხოვან მგზნებარე პუბლიცისტურ-წერილებში, მშრომელთა მიტინგებზე და კულტურის მოღვაწეთა კრებებზე წარმოთქმულ სიტყვებში იგი მომავლი-ნებლად აწვლილებს ფაშიზმის მხეცურ სახეს და თავგანწირულ საგმირო საქმეებისათვის ალაფრთოვანებს სამამულო ომის ფრონტისა და ზურგის მებრძოლებს. დღითი დღე იზრდება მწერლის პოპულარობა, მისი როლი და მნიშვნელობა ქართული საბჭოთა კულ-

ტურის განვითარებაში. 1946 წელს, საბჭოთა საქართველოს არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით „ქვეყანასა ხურდიას დიდი ღვაწლი მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღინიშნა. იგი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. მწერლისადმი ხალხის გულწრფელი საყვარულისა და მადლიერების მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა მისი დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რომელმაც ფართო გამოძახილი ჰპოვა მთელს საქართველოში.



თავის რჩეულ თხზულებათა რვატომეულის მეორე ტომისათვის დაწერილ ბოლოსიტყვაობაში კ. გამსახურდია აღიარებს: „მეორე ტომში მოთავსებულ ნოველებიდან ზოგზოგი ჩემი სიჭაბუკის დეკადენტურ ცოდვათა ანარეკლია. ჩვენ ყველას; ვისაც ოქტომბრის რევოლუციამდე მოგვიხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, უცილოდ დაგვემჩნა ერთგვარი დალი დეკადენტობისა. დეკადენტობა — ეს იყო განსაზღვრული სენი მთელი საუკუნისა“. აი, სწორედ ამ სენით არის აღბეჭდილი კ. გამსახურდიას ოციანი წლების ნოველები და მისი პირველი რომანი „დიონისეს დიმილი“. ინდივიდუალისტური მსოფლშეგარძნობით, ნაღვლიანი და მელანქოლიური განწყობილებით გამსჭვალულს ამ ნაწარმოებებში მწერალი მთელს თავის მხატვრულ ძალას და ენერჯიას სასიკვდილოდ განწირული წარსულის ნარჩენების წარმოსახვას ანდომებს. ზოგჯერ რევოლუციის მიერ განადგურებული რეაქციული ძალების ეს მახინჯი გადმონაშთები მწერლის მიერ რომანტიზირებულად, პოეტიზირებულად არის გამოხატული, არა მარტო სიბრალულითა და თანაგრძნობით, არამედ ერთგვარი დიდების შარავანდედით შემოსილი.

ყველაზე ტიპურსა და დამახასიათებელს — ასე ვთქვათ „საბოგრაჰო“ ნაწარმოებს კ. გამსახურდიას ამ პერიოდის ნოველებს შორის წარმოადგენს

„ზარები გრივალში“. ან ნოველის გმირია სოფლის ეკლესიის მნათე ოქროპირი, რომელსაც „ქვეყნის გამოცვლა“ მხოლოდ მაშინ შეუმჩნევია, როდესაც ეკლესიის გუმბათზე და სამრეკლოზე ჭვრები ველარ უნახავს. „ადამიანი ნელ-ნელა ამჩნევს ცვლილებას. ცვლილება რომ ერთბაშად შეგვენიშნა, ქვეყანა ჯოჯოხეთად იქცეოდა და არავის დასჭირდებოდა მეორე ჯოჯოხეთის გამოგონება“. ამ ავტორისეულ რემარკაში ნათლად არის გამოთქმული „სიბნელეში დაბრმავებული“, „უიმედო გლახაკის“ მნათე ოქროპირის და ამ მხატვრული სახის შემქმნელი ხელოვანის ნეგატიური დამოკიდებულება იმ ღრმა ცვლილებებისა და გარდაქმნებისადმი, რომლებითაც აღსაქვს იყო ჩვენი საუკუნის ოციანი წლების საზოგადოებრივი სინამდვილე.

ღრმად შთაშბეკდავი ძალით მწერალი ხატავს სიმბოლური მნიშვნელობის სურათს უცერად ამოვარდნილი გრივალის დამამბობელი იერიშისა ძირგამომბალი სამრეკლოს წინააღმდეგ, რომლის ჩამონგრეულ საფეხურებზეც გაჯიუტებულად დგას და გრივალს თავგანწირულად ეგებება მოხუცი მნათე.

დიდ ხუთშაბათ საღამოს ოქროპირი დაათრო ახალი ღროების მიერ მიკიტნად ქცეულმა, ცბიერმა და გაიძვერა ნახუცარამ. ღვინით და ბოღმით გაბრუებული მოხუცი ინსტინქტურად მიეშურება მთელი სოფლის მიერ მოძულე ბულსა და მიტოვებულ სამრეკლოსაყენ, რომელზეც იგი ოცდახუთი წლის განმავლობაში გამუდმებულად რეკავდა, ცისკარზეც და მწუხრზეც. „აწვიმდა სამრეკლოს, აწვიმდა საყდარს... ზარების თოკებს ქარი აფრიალებდა“. მნათემ თავდავიწყებით ხელი ჩაავლო სველ თოკებს და მძლავრად დაარისხა ჭერ მციარე, შემდეგ მოზრდილი, ბოლოს დიდა ზარები და სივრცე ერთბაშად აივსო ამ დიდბნით დადუმებული ზარების უცარი ამღერებით და აგუგუნებით. და სწორედ ამ დროს ამოიჭრა ქარიშხალი, რომელიც ხახადაღებული ძუ მგლის გა-

ცოფებით „ემგერა სამრეკლოს, შეარყია, შეანჯღრია, შეატოტქმანა“.

ღვინი ოქროპირის მეტ-მეტულადნელად აგუგუნებული ზარებისა და გაფთრებული ქარიშხლის ორთაბრძოლის ღრმა ექსპრესიით დახატული სურათი შეადგენს ამ ნაწარმოებს უდავო ესთეტიკურ ღირსებას, მწერლის უიქველ მხატვრულ მიღწევას. „ზარების ჭარები ფოლადის აბჯარში, მღვერები უშიშო, თავგამეტებულნი მისდევენ გრივალის გაფრენილ მერნებს. მოჰქროდნენ მთვარისკენ ღრუბლების გემები აღისფერ სისხლით გამურულ აფრებით და პირქვე ეკიდა იესო ზეცაში, ღრუბლების ანძახზე, ვით მავნე მეკობრე. გრივალი მოატა ცაცხვების ქენოს ვით მალი ფოცხვერი სისხლს მოწყურებული. გადრიკა წელში მძლე გოლიათები, სამრეკლო ტყციალით შეირყა, გაქანდა, ტორტმანით დაეცა მიწაზე“. ეს რამდენიმე სტრიქონიც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ავტორის მხატვრული აზროვნების, სახეთა ძერწვის მანერის ანტირეალისტურ ხასიათზე. რაც შეეხება ნოველის იდეურ შინაარსს, ამის გასაგებად საკმარისია ის გარემოება, რომ აქ რევოლუციის სიმბოლოდ ნაგულისხმევი გრივალი ხახადაღებული მგლისა და სისხლს მოწყურებული ფოცხვერის სახითა წარმოდგენილი და მნათე ოქროპირის ასეთ წარმოდგენას არაფრით არ არღვევს და აბათილებს ნოველის მთელ მხატვრული ლოგიკა.

ღვინით და რელიგიური ექსტაზით გონებადაბნეული მოხუცი ფანატიკური სიჯიუტით ჩაბლაუჭებია დასამბობად განწირულ სამრეკლოს და უღრტივინელად იღუბება სამრეკლოს ნანგრევებში. ნოველის ასეთი ფინალი თავისებურად განასახიერებს ჩვენი რევოლუციური ეპოქის კანონზომიერებას — რევოლუციის გრივალი პირისაგან დედამიწისა აღგვის ყველაფერს და ყველას, რაც მას წინ გადაელომება. ეს პირუთენელი ისტორიული სიმართლე დამარწმუნებელი ძალით არის გამოხატული ამ ნოველაში. მაგრამ თავისი შემოქმედებითი ბიოგრა-

უთის ამ ეტაპზე მწერალი ჯერ კიდევ თავისი სიმპათიებით და სულიერი ნათესავობით წარსულის დასაღუბავად განწირულ გადმონათლებთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე ახალი ცხოვრების ძლევამოსილ ქროლვასთან. ამიტომაც ეს ნაწარმოები ქარიშხლის მიერ დამზობილი სამრეკლოს ნანგრევებში დაღუპული მნათე ოქროპირის თავგანწირულების სადიდებელ ჰიმნად ქდერს. „ასწიეთ ადამიანი მალა, სულ მალა და დასვით მნათე ოქროპირ შემოქმედის მარჯვენა მხარეს, რადგან სიბნელეში დაბრმავებულმა ერთხელ მაინც იგრძნო ალტაცება და ექსტაზში დაიღუპა. მე მინდა ვიმღერო ექსტაზში დაღუპული სათვის“ — წერს ავტორი და ამ სიტყვებით იგი ხაზგასმით გაშიფრავს ნაწარმოების მხატვრულ სახეთა კომპლექსში ჩაქსოვილ აზრს. ნოველის მანძილზე ავტორი არა ერთხელ და განზრახ შეუფარველად იმეორებს: „მე მინდა ვუმღერო გრიგალისაგან შერყეულებსაც, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ“, „მე მინდა ვუმღერო უიმედო გლახაკს, რომელმაც დიდების პორფირი უნდა მოისხას, რადგან ასეთი იყო მნათე ოქროპირ“, „მე მინდა ვუმღერო სიბნელეში დაბრმავებულებს“.

განახლებული სოციალური სინამდვილის მიერ ცხოვრების ფსკერზე გადასროლილი ყოფილი ადამიანები შეადგენენ ნოველა „ქოსა გახუს“ გმირებს. ესენი არიან ნახუცარი იონა და თავად მანუჩარის ნაშიერნი — ძმები ტაგუ სამუგია და ქოსა გახუ. სალტის ფაცხაში თავშეფარებული ნახუცარი გულს არ იტებს, ეფუთში ეძებს „ბოლშევიკების წასვლის“ თარიღებს; სასთუმალთან არ იშორებს ლოცვანებსა და წმინდა წიგნებს, დიდის პათოსით კითხულობს იობის წიგნს, რადგან რაღაც იღუმალ ანალოგიას პოულობს თავის ბედსა და წამებულ ბიბლიურ ადამიანს შორის. ტაგუ სამუგია და ქოსა გახუ კი თავადაზნაურული კლასის სულიერი და ფიზიკური დეგრადაციის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენენ. ტაგუ თავადი მანუჩარის და მისი ღვიძლი დის ხათუნის შვილი ყოფილა, რომელიც თავისი შემადარწუნებელი ცოდვის დასაფარავად სამუგიად მოუნათლავს ბატონიშვილს. იგი მთელ მხარეში განთქმული მონადირე, ცხენის ქურდი და აბრაგია, ქალის მოტაცებათა და ყოველგვარ დანაშაულებათა მოთავე და მონაწილე. დიდის თავმოწონებით იგონებს ტაგუ თავისი ბნელი წარსულის საზარელ ეპიზოდებს, გულმოკლული უჩივის ახალ დროებს: „გაფუქდა ჯიმა აჯამი ქვეყანა, გამამაძალდა ხალხი“, „ასეთი დღეები მინახავს და ახლა ქუსლმოქცეული ოჩიგავა დამაჯდა თავზე“. კიდევ უფრო შემზარავია ქოსა გახუს ცხოვრების ისტორია: მისი ძმები — თავად მანუჩარის შვილები — რევოლუციას გაქცევიან და უცხოეთში გადაკარგულან. გახუს ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი ვერ დაუტოვებია და შინ დარჩენილა. როცა ხანგრძლივი არაადამიანური ჩაგვრისა და უსამართლო ძალადობისათვის შურის საძიებლად გლეხებს თავად მანუჩარის სასახლე გადაუწვავთ, გახუს თავისი პარმშო თემრა გადაურჩენია და იმ დღიდან ჰკუპზე შესილილად მოჩვენებია სოფელს. ხალხს შეცოდებია სულით და ხორციით დამაბუნებელი ქოსა და მისთვის ხელი აღარ უხლიათ. ცოლი გაქცევა გახუს, ვიღაც ბერძენს გაყოლია სტამბოლში. თანასოფლელების მიერ სასაცილოდ აგდებულ გახუს ხეზე მოუწყვია პატარა ფაცხა, შიგ მოუთავსებია თავისი თემრა, რომლისადმი სიყვარული და ზრუნვა შეადგენდა ამ უბადრუკი ადამიანის სიცოცხლის ერთადერთ აზრს. მხლის მოსაყრეფად მალალ ხეზე გასულ თემრას შტო ჩამოტვრევიდა, მოწაზე დანარცხებულა და სული გაუცხიდა. ახლა კი ნიღაბი აიხადა ქოსა გახუმ. თურმე თავისი პირმშოს გადასარჩენად იგონებდა იგი სიგიყეს, ეგებ, ხალხმა ჰკუისაგან შესილილ მამა-პაპის ცოდვა აღარ მომკითხოს, ხელი არ მხლოს და პატარა თემრა დაუსჯელად გაიზარდოსო. ახლა კი, როცა თემრა დაიღუპა, ქოსას ცხოვრებამაც ყოველგვარი აზრი

ნუჩარის და მისი ღვიძლი დის ხათუნის შვილი ყოფილა, რომელიც თავისი შემადარწუნებელი ცოდვის დასაფარავად სამუგიად მოუნათლავს ბატონიშვილს. იგი მთელ მხარეში განთქმული მონადირე, ცხენის ქურდი და აბრაგია, ქალის მოტაცებათა და ყოველგვარ დანაშაულებათა მოთავე და მონაწილე. დიდის თავმოწონებით იგონებს ტაგუ თავისი ბნელი წარსულის საზარელ ეპიზოდებს, გულმოკლული უჩივის ახალ დროებს: „გაფუქდა ჯიმა აჯამი ქვეყანა, გამამაძალდა ხალხი“, „ასეთი დღეები მინახავს და ახლა ქუსლმოქცეული ოჩიგავა დამაჯდა თავზე“. კიდევ უფრო შემზარავია ქოსა გახუს ცხოვრების ისტორია: მისი ძმები — თავად მანუჩარის შვილები — რევოლუციას გაქცევიან და უცხოეთში გადაკარგულან. გახუს ცოლი და მცირეწლოვანი ვაჟი ვერ დაუტოვებია და შინ დარჩენილა. როცა ხანგრძლივი არაადამიანური ჩაგვრისა და უსამართლო ძალადობისათვის შურის საძიებლად გლეხებს თავად მანუჩარის სასახლე გადაუწვავთ, გახუს თავისი პარმშო თემრა გადაურჩენია და იმ დღიდან ჰკუპზე შესილილად მოჩვენებია სოფელს. ხალხს შეცოდებია სულით და ხორციით დამაბუნებელი ქოსა და მისთვის ხელი აღარ უხლიათ. ცოლი გაქცევა გახუს, ვიღაც ბერძენს გაყოლია სტამბოლში. თანასოფლელების მიერ სასაცილოდ აგდებულ გახუს ხეზე მოუწყვია პატარა ფაცხა, შიგ მოუთავსებია თავისი თემრა, რომლისადმი სიყვარული და ზრუნვა შეადგენდა ამ უბადრუკი ადამიანის სიცოცხლის ერთადერთ აზრს. მხლის მოსაყრეფად მალალ ხეზე გასულ თემრას შტო ჩამოტვრევიდა, მოწაზე დანარცხებულა და სული გაუცხიდა. ახლა კი ნიღაბი აიხადა ქოსა გახუმ. თურმე თავისი პირმშოს გადასარჩენად იგონებდა იგი სიგიყეს, ეგებ, ხალხმა ჰკუისაგან შესილილ მამა-პაპის ცოდვა აღარ მომკითხოს, ხელი არ მხლოს და პატარა თემრა დაუსჯელად გაიზარდოსო. ახლა კი, როცა თემრა დაიღუპა, ქოსას ცხოვრებამაც ყოველგვარი აზრი

დაყარგა. მან ცეცხლს მისცა ხეზე გაღმული თავისი ქოზი და მდინარეში დაიბრჩო თავი. როცა გლეხებმა მდინარის ნაპირზე გამოჩიყული გახუს ცხედარი იპოვნეს, იგი უკანვე გადაისროლეს მდინარის სიღრმეში იმისათვის გაბრაზებულებმა, რომ ქოსას მიერ თავისი ფაცხის დასაწვავად გაჩაღებულმა კოცონმა კინაღამ მთელი სოფელი არ გადაწვა, დიდი ზიანი მიაყენა მეზობლებს. თავისი ღვიძლი შმის ცხედრისადმი ასე უდიერად მოპყრობის დაშსწრე ტაგუ სამუგამ ხმის ამოდებაც ვერ გაბედა „ქუსლმოქცეული ოჩიგავების“ შიშით.

ასეთია ნოველის სიუჟეტური სქემა. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი და ყოფაცხოვრებითი ურთიერთობანი აქ მხოლოდ წარსულის ამ ბნელი ნარჩენების კატასტროფის მეშვეობით არის მინიშნებული, მაგრამ ახალი სამყაროს ჩანსალი სოციალური ატმოსფერო და მისი შემოქმედი ადამიანების სახეები, მათი შრომა და ბრძოლა ჯერ კიდევ მწერლის შემოქმედებითი ყურადღების მიღმა რჩებოდა.

ნოველა „ტაბუს“ სიუჟეტურ მაგისტრალს შეადგენს მოხუცი დიაკონის ნატიეს მიერ მოთხრობილი ლეგენდა, იმის შესახებ, თუ როგორ გავერანდა სამეგრელოს ერთი, ოდესღაც ძლიერი და მდიდარი სოფელი ნაჭყვედი, როგორ გაპარტახდა აზნაური ბისკაიების ოჯახი და ამოწყდა ხარბედიების გვარი, რომელიც სოფლის მშრომელ მოსახლეობას წარმოადგენდა. ამ მითითური ხასიათის ნაამბობს, ცხადია, არაფერი აკავშირებს საბჭოთა სინამდვილესთან, ჩვენს თანამედროვეობასთან, გარდა იმ გარეგნული ნიშნისა, რომ ეს უცნაური, თავისი მისტიკურობით შემხარავი ამბავი მოხუცმა ნატიემ მოუთხრო ახალგაზრდა ინტელიგენტს, რომელიც დიდი ხნით ყოფილა მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს და ახლა, ოცი წლის შემდეგ, სანადიროდ დაბრუნებია ნაჭყედის მიდამოებს. ამ პერსონაჟის სახით კ. გამსახურდიას შემოქმედებაში პირველად გამოჩნდა განუ-

კურნებელი მელანქოლიით შეპყრობილი, პირველყოფილ პრაგმატიკსა და ულტრა-მოდერნულ ცინილიზაციის შორის მოქანავე გაორებული ბუნების ახალგაზრდა კაცი, რომელმაც შემდეგ უფრო სრული და მრავალმხრივი გამოხატულება პოვა კონსტანტინე სავარსამიძისა და თარაშ ემხვარის სახეებში.

გარეწარი ბანდიტის, მძარცველის და მკვლელის ჩამუს საძულველი სახე დახატა მწერალმა ამავე სახელწოდებან ნოველაში. ჩამუ ქართველი ყოფილა, სელიმ ეფენდიევის გვარით ყაჩაღობდა თურმე თურქესტანში, უკრაინასა და მოსკოვში. ბოლოს ვილაც თავის მსგავს ნაძირალას გაუცია, შეუპყრიათ და ბუტიკის ციხეში ჩაუწყვედევიათ.. და მწერალი დაწვრილებით აღგვიწერს, თუ როგორ დაასრულა თავისი სამარცხენო ცხოვრება ამ გაცოფებულმა ბოროტმოქმედმა, რომელსაც სიკვდილის წინ ყოფნის თავხედობა თავი იმართლოს ციხის საკანში შემთხვევით შეხვედრილ ანანამემამულესთან და ვაჟკაცობა უწოდოს თავის ბნელ, სისხლიან საქმეებს. თავის დროზე ლიტერატურული კრიტიკა სამართლიანად უსაყვედურებდა მწერალს, რომ იგი ამგვარი ნაძირალუბის ცხოვრების გამოხატვას ანდომებდა თავის მხატვრულ ნიჭიერებასა და ენერჯიას, ამასთან მას არ ყოფნიდა მამხილებელი პათოსი, რათა მკითხველთა შეგნებაში პროტესტისა და გულისწყრომის გრძნობა გაელევიებია ამგვარი „გმირების“ მიმართ.

ამორალური, უხამსი სექსუტიკოსების სახეები დახატა მწერალმა ნოველებში „ლილ“ და „ქალის რძე“. პირველ მათგანში მოქმედებს ექიმი აქსენტი შარუხია, — „გულგამოქმული სექსუტიკოსი, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიიჩნდა და ადამიანები სძავდა ან ებრალებოდა“. ეს დიდად განსწავლული ექიმი, რომელსაც თითქმის მთელი მსოფლიო შემოუვლია და ბოლოს ქალაქი სოხუმი აურჩევია სამოღვაწეო ასპარეზად, გულისამრევად უხამს შეხედულებებს ანვითარებს ადამიანის არსის, საზოგადოების,

მეგობრობის, სიყვარულის, ზნეობის საკითხებზე. იგი იმასაც არ თაკილობს, რომ მის ლამაზ ცოლთან გამიჯნურებულ სტუმარს პლაქზე მწოლარე შიშველი თავისი მეუღლე დაანახოს. რათა და არწმუნოს მეტოქე, რომ ქალი რაქიტით არის დაავადებული და ამ საშუალებით „განკურნოს“ სტუმარი სიყვარულის სენისაგან. „ქალის რძეში“ კი მოთხრობილია თავგადასავალი ერთი ახალგაზრდა ინტელიგენტისა, რომელსაც ნადირობისას კაცი შემოაყვდა, შემდეგ ქალაქისაკენ გამობრუნებული შემთხვევით მოკლულის ოჯახში მოხვდა, თავისი მსხვერპლის ახალგაზრდა ცოლი მოეწონა და მასთან ერთიგული სცენების გამართვა მოინდომა ყოვლად უხამსი და ტლანქი საშუალებებით.

შედარებით ახლოს მივიდა მწერალი საბჭოთა სინამდვილის თემატიკასთან ნოველაში „დიდი იოსები“. ეს ამ პეროდის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელშიც კ. გამსახურდიამ სცადა დაეხატა რიგითი მშრომელი ადამიანი და ეჩვენებინა ის ღრმა ცვლილებანი, რომლებიც ქვეყნის სოციალურ ცხოვრებაში სოციალისტურმა რევოლუციამ გამოიწვია. მაგრამ ამ ნოველის წერისას მწერალი ჯერ კიდევ არ იყო მსოფლმხედველობრივად მომზადებული ამ უაღრესად აქტუალური თემის ისტორიული სიმართლით გადაწყვეტისათვის. ნოველაში აღწერილია საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველი დღეები. თბილისში, სოლოლაკის ერთ-ერთ ქუჩაზე მცხოვრები ვიღაც „დიდკაცის“ ოჯახი სასწრაფოდ გარბის ქალაქიდან, რათა თან გაჰყვეს უცხოეთში მიმავალ მენშვეიცურ მთავრობას. მანქანაში ბარგის ჩასალაგებლად მექურტნე

იოსები მოიწვიეს. ოჯახის გაქცევის შემდეგ იოსებმა მოინდომა უპატრონოდ მიტოვებული ბინისა და მასში დარჩენილი ქონების დასაცურება. პატიოსანი მშრომელი ადამიანი, რომელიც მუდამ გაქირავებაში და სიღარიბეში ცხოვრობდა, ერთბაშად აღმოჩნდა მისთვის საესებით უჩვეულო ვითარებაში. და ამ თითქოსდა მოულოდნელმა ბედნიერებამ იმსხვერპლა იოსები. მალე მას თვითნებურად მითვისებული ბინა ჩამოართვეს, მეუბოვედ დანიშნეს და ბინად ალასყაფის კარებთან მიშენებული პატარა ოთახი მიუჩინეს. იოსებმა მწვავედ განიცადა ყოველივე ეს, იგი სულიერმა მღელვარებამ შეიპყრო, კაცმა მოსვენება და სიმშვიდე დაკარგა, ლოთობას მიჰყო ხელი. ასეთ ვითარებაში ჩავარდნილი მეუბოვე ადვილად ჩაიგდეს ხელში და თავისი ბნელი საქმეების მონაწილედ გაიხადეს ბოროტმოქმედმა კომბინატორებმა, რომლებიც ყალბი ფულების დამზადებას და გავრცელებას აწარმოებდნენ. ასე დაექანა მექურტნე იოსები ცხოვრების ფსკერისაკენ. მას მხილება და მძიმე სასჯელი მოელოდა, რომ ერთხელ, როცა ყალბი ბონებით საესე ჩემოდანი მიქონდა, ქუჩაში შემთხვევით მას მანქანა არ დაჯახებოდა და არ დაღუბულიყო. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მწერლის მიერ მოთხრობილი თავგადასავალი მექურტნე იოსებისა, არა თუ ტიპური და დამახასიათებელი არ არის, არამედ ფრიად ყალბად გამოხატავს იმ სოციალურ ძვრებსა და სიძალებს, რომლებიც ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში გამოიწვია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ.

(გაგრძელება იქნება)



როინ მახავაძე

ღავით აღგაგნებლის ზოგიერთი სახელმწიფოებრივი რეფორმის შესახებ

XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ეკონომიურად დაწინაურების საქმეში გარკვეული როლი ითამაშა ფულის რეფორმამ.

ქვეყნის ეკონომიკაში ფული ყოველთვის წამყვანი და მნიშვნელოვანი ფაქტორის როლს ასრულებდა. „როცა აღაშინებო ფულს იგონებდნენ — აღნიშნავს ფრიდრიხ ენგელსი, — მათ ფიქრადაც კი არ მოსდიოდათ, რომ ისინი ამით კვლავ ახალ საზოგადოებრივ ძალას ქმნიდნენ, ერთიან, საყოველთაო მნიშვნელობის მქონე ძალას, რომლის წინაშე მთელ საზოგადოებას ქედღი უნდა მოეხარა“<sup>1</sup>. ფული თავისთავად იყო ახალი საშუალება არამწარმოებელი კლასის ბატონობისა მწარმოებელ კლასსა და მის წარმოებაზე<sup>2</sup>, ამდენად, ფული საზოგადოებრივ ცხოვრებას, ეპოქის სულს გამოხატავს თავის თავში (ზომაში, წონასა და ფორმაში, აგრეთვე მის კერძო). ფასების მასშტაბის დაწესება და ფული მსოფლიო უშუალოდ და მოკიდებული ამათივე სახელმწიფოზე. გამოშდინარე აქედან ფულის მონეტები (ოქრო, ვერცხლი) „ეროვნულ სამოსელს“ ატარებენ, რომლის ვახდა მხოლოდ მსოფლიო ბაზარზე ხდებდა<sup>3</sup> სწორედ ეს „ეროვნული სამოსელი“ და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მხარდამხარ სელა ამდევს ფულის მონეტებს ამ პირველხარისხოვანი წყაროს მნიშვნელობას, რომელშიც განსაკუთრებული კემწარბეობით არის ასახული წარსულში მომხდარი პოლიტიკური ამბები და ელტურული ვითარება. ამასთანავე მონეტებს ის უპირატესობა ენიჭებოთ, რომ ისინი დაეძლი და თავისუფალი არიან იმ სუბიექტურობისაგან, რო-

მელიც ამათივე წერალობით წყაროს შეიძლება ახასიათებდეს. ამ მხრივ არც XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტები შეადგენენ გამონაკისს.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის მონეტები მეტად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან შესაბამისი ეპოქის არსებით მდგომარეობაზე. ასე, მაგალითად, როცა არაბთა ბატონობა საბოლოოდ შესუსტდა (X საუკუნის დამლევი), საქართველომ მკიდრო ურთიერთობა დაამყარა ბიზანტიასთან. ამან კი თავისი ასახვა ჰპოვა ქართული მონეტის გარეგნობაში: მონეტაზე გატარა მუსულმანური ნიშნები და მისი ადგილი დაიკავა ქრისტიანულმა ემბლემამ — ჭვარჭვა, ან ეიდეე ლეთისმშობლის გამოსახულებამ. ძირითადი წარწერები ქართულია და შეიცავს არა მარტო მეფეთა სახელებს, არამედ მათ ბიზანტიურ ტიტულებსაც. ხანჯასახელთა ის გარემოებაც, რომ ამდროინდელი მონეტა მხოლოდ ვერცხლისაა. ასეთობა (დავით კუროპალატის, ბაგრატ IV, გიორგი II, დავით აღმაშენებლის მონეტები). დავით კუროპალატის მონეტაზე გამოსახულია ჭვარი და მოთავსებულია დაქარავებული ასომთავრული ზედწერილი: „ქრისტე, შეიწყალე დავით კუროპალატი“, ხოლო ბაგრატ IV მონეტაზე გამოსახულია ვლადკერის ლეთისმშობელი, ზედწერილში იკითხება: „ქრისტე აღიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე და ნოველისმოსი“ (უკანასკნელისაგან განსხვავდება ბაგრატ IV მეორე სამონეტო ტიპი, რომელსაც „სევასტოსის“ ტიტული აქვს). ერთმანეთის თანმომდევრობით ჩნდება ტიტულები: ნოველისმოსი, სევასტოსი და კესაროსნი<sup>2</sup>.

1. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 154.

2. იქვე, გვ. 228.

3. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 161.

1. დ. კახანაძე, ქართული ნემიზმატიკა, თბ. 1950, გვ. 42-43.

2. სხვებთან განსხვავებით, გიორგი მეორას მონეტათა გარშემოცლებული ზედწერილი შეიცავს დამატებით ცნობებს: „ქრისტე, აღიდე გიორგი — აფხაზთა და ქართველთა მეფე“.



ზემოთაშთვლილი მონეტების უმრავლესობა აღბეჭდილია ვლადიმერის ლეთისმშობლის გამო-სახელებით. ასეთი ტიპის მონეტების უკანასკნელი მომკრეული დავით აღმაშენებელია.

XI-XII საუკუნეებში ქართული მონეტები ვანოცდის შემდეგ ცალკეობენ:

1. კლდულთხს წონა. თუ დავით კერობალა-ტის მონეტა 3,5 გრამს იწონდა, ბაგრატ IV—1,56 გრამია, ხოლო დავით აღმაშენებლის მონეტის წონა 0,51-0,87 გრამს შეადგენს.

2. იცლებფა წარწერები: როგორც მეფეთა ტიტულუბი (კერობალტი, ნოველისიმოსი, სე-ვასტროსი, კესაროსი), ასევე ვლადიმერის ლეთის-მშობლის გამოსახულების წარწერაც; ასე, მა-გალითად, თუ ბაგრატ IV მონეტაზე ხელუბა-ყრობილი ლეთისმშობლის გამოსახულების ირ-გვიდვ წარწერილია „НАГІА ΘΕΟΤΟΚΟС“ ე. ი. „წმინდა ლეთისმშობელი“, გიორგი II მი-რ მოპკრილ მონეტაზე წერია „M-P Θ-V BΛA XEPNITIKH“, ე. ი. „დებდა ლეთისა ვლადიმერის“.

3. გამოსახულებანი თანდათან გადავარებუ-ლი და უხეში ზღუბანი.

დავით აღმაშენებლის ყველა ისტორიკოსი ერთბაშად აღნიშნავს XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს განვითარებულ ვაჭ-რობა-ბელოსნობაზე, იყვავებულ ქალაქებსა და ვაცხოვრებულ აღებ-შიცემობაზე, რაც ქვეყ-ნის ეკონომიური დაწინაურების კანონზომიერი შედეგი იყო. ამ დროს საქართველოში ფართოდ ტრიალებდა საქონელმოპყვეის აუცილებელი კომპონენტი — ფული.

XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქარ-თველოს ზამინა მდიდარი იყო და ამ სიმდიდრის ერთ-ერთი წყარო ვარეშე მტრებთან წარმატე-ბითი ბრძოლები იყო. დავით აღმაშენებლის ის-ტორიკოსი თითქმის ყველა გამარჯვების შემდეგ აღნიშნავს, რომ ქართველებმა „აღიღეს ტყეშე და ალაფი ურაცხე“<sup>1</sup>, ან აიღო დავით აღმაშე-ნებელმა „შარვანს ქილაქი ყაბალა და ალაფსო 1. ამეფხო თვისი ოქროთა და ვერცხლითა და ყოე-ლითა სიმდიდრითა“<sup>2</sup>, ან „მეფე აყორნისა დაე-სხა თურქმანთა, მისრინა და იავარყინა და წარ-ოიღო ნატყუენავი მათიუ რიცხე“<sup>3</sup> და სხვ.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ დავით აღმა-შენებლის წინამორბედ მეფეებს ურთიერთობა ქქონდათ ბიზანტიასთან. ეს ურთიერთობა იმ-დენად მჭიდრო იყო, რომ ქართული ფული ოქ-რებოდა ბიზანტიური სტილით, რაც მისი ფორ-მისა და, ნაწილობრივ, წარწერების შინაარსი-დანაც ჩანს. მეტიც, ზოგიერთი ისტორიული წყარო ვკავშირებინებს, რომ ბიზანტიურ ფულს საქართველოში ფართო მიმოქცევა ჰქონდა.

ბიზანტიური ფულის საქართველოში ფართო ვაერცლებფა დასტურდება ჩვენი ქვეყნის მიწ-წყალზე აღმოჩენილი უამრავი ნემშეხეობით.

XII საუკუნის ქართული ფულია შესახებ მსჯელობა ძირითადად შეიძლება იმ ნუმიზმა-ტიკური მასალების საფუძველზე, რომლებიც დღეს-დღეობით ჩვენს ხელთ არის, თუმცა, უნ-და ითქვას, რომ ეს ფაქტიური მასალა ძალზე მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი.

აღნიშნული პერიოდის ქართული ნუმიზმატი-კური მასალის შესწავლა ვერ კიდევ გასული სა-უკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. შემდეგ ამ საკითხს სხვადასხვა დროს ყურადღებას აქცე-ვენ და სავანებო შრომებს უძღუნან ფრანგი მეცნიერი ე. ლანგლუა, გამოჩენილი რუსი ნუ-მიზმატი, ე. პაბოშოვი, ინგლისელი ქართველო-ლოგი დ. ლანგი.

ამ საქმეში გამსაყურებელი წვლილი აქვთ შეტანილი საბჭოთა პერიოდის ქართველ მეცნი-ერებს.

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ფი-ნანსური ღონისძიების შესახებ ძვირფას ცნობას იძლევა არაბი ისტორიკოსი ალ-ფარაბი. იგი ამბობს, რომ დავითმა მოჭრა ფული, რომლის ერთ მხარეზე ეწერა ხალიფისა და სულ-ტანის სახელები, მეორეზე ალაჰისა და მოციქუ-ლის, ხოლო კიდევ თვით მისი — დავითის სა-ხელით.

ვიდრე დავით აღმაშენებლის მიერ ფულად სამონეტო საქმეში გატარებულ ღონისძიებებს შეეხებოდნოდა, საჭიროდ მიგვიჩნია შევჩერდეთ ამ ეპოქის ზოგიერთ მომენტზე.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დავით აღმაშე-ნებელმა გაავრცელა ვლადიმერისგამოსახულებიანი მონეტების მოჭრა და მანვე დაუსვა წერტილი ამ ტიპის ფულის შემდგომ წარმოებას.

როგორია დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრი-ლი ამ ტიპის მონეტები?

უკანასკნელ ღრმადე დავითის მონეტები ცნობილი იყო სულ ოთხი ცალი. მათი წონა 0,51-0,87 გრ შორის მერყეობს, მონეტის შებ-ლზე გამოსახულია ვლადიმერის ლეთისმშობელი, ზურგზე კი ვჯარი, შემწვლი წერტილებით. ვჯარს ირგვლივ მოვლებული აქვს ზღწერა „+I XW TH XPI WC“, ე. ი. „ქრისტე,

1. თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მა-ტრიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 283-316. დ. კახანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, მისივე, Новый тип монеты Давида Строителя, Византийский Временник, т. VIII, 1957., მისივე Медная монета Грузинского царя Давида, сына Георгия, «Эпи-графика востока», XII, 1958 г.

2. ვ. ფულთრიძე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, ენციკლის მოამბე, XIII, 1943 წ., გვ. 141.

1. დ. კახანაძე, დსახ. ნაშრ. გვ. 44.  
2. ქართლის ცხოვრება, 1, თბ. 1955, გვ. 338.  
3. ქართლის ცხოვრება, 1, თბ. 1955, გვ. 339.  
4. იქვე.

ადიდვ დავით მეფე და...“ ჩვენამდე მოღწეული ამ ტიპის ოთხი მონეტადან გარსემშოვლებული ზედწერილი არც ერთს არა აქვს მთლიანად შენარჩუნებული, ასე რომ, ძნელი დასადგენია, თუ რა ტიტული მოსდევდა წარწერის დღემდე შემორჩენილი ნაწილის ბოლო სიტყვას.

ზაგრატ IV და გიორგი II მონეტებთან შედარებით ვლადიმერის გამოსახულება აქ გაუზრუნველდა.<sup>1</sup> დავით აღმაშენებლის მონეტის წონამ დავით კუროპალატის მონეტის წონასთან შედარებით ერთი ზეთად იყო, წონის დაკლება გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით.

აღსანიშნავია, რომ მონეტების გაუარესება მხოლოდ საქართველოსათვის არაა დამახასიათებელი, მსგავს პროცესებს ადგილი ჰქონდა წინა აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში, რაც, სპეციალისტების აზრით, აღმოსავლეთ ქვეყნებში ამ დროს გავრცელებული ავერცხლის კრიზისის შედეგია. ამის შესახებ რამდენიმე აზრი არსებობს: ნაწილი მეცნიერებებსა შიგნით, რომ ეს კრიზისი აღმოსავლეთი ქვეყნების ვერცხლის სებადობების გამოფიტვის შედეგად უნდა ყოფილიყო, ზოგი მეცნიერი ამ ფაქტს აღმოსავლური მონეტის დასავლურ ქვეყნებსა და ჩრდილოეთში მასობრივ გაზრდას უკავშირებს და ა. შ. ყველა ამ მოსაზრებას აქვს დასაბუთება და ამდენად, მსოფლიო ისტორიის ეს დიდწილად შენელოვანი ეკონომიური მოვლენა — წინა აღმოსავლეთის ქვეყნებში ვერცხლის კრიზისის მიზეზები — ფაქტობრივად დღესაც გაურკვეველი რჩება.

შეგონო თუ არა „ვერცხლის კრიზისი“ საქართველოსაც და სწორედ ეს ფაქტორია თუ არა ფულის დამცრობის მიზეზი XI საუკუნის მთელ მანძილზე?

იმდროინდელი წერლობითი წყაროები ამის შესახებ საკურო ცნობებს არ იძლევა, მაგრამ ქართული ფულის ზომისა და წონის თანდათანობით შემცირება შეიძლება ამ ფაქტორის მიხედვით აღწას მიჩნეულ.

შეიძლება დავუშვათ, რომ „ვერცხლის კრიზისი“ არის მიზეზი ჩვენში მონეტის წონის შემცირებისა, მაგრამ ეს არ უნდა იყოს არსებითი და ძირითადი მიზეზი, რადგან საქართველო XII საუკუნის პირველ მეოთხედში ეკონომიურად მოძლიერებული ქვეყანაა და ხაზინაც მდიდარი აქვს. ესეც არ იყო, მონეტათა შემცირება რომ უნდად „ვერცხლის კრიზისის“ შედეგი იყოს, მხოლოდ ანაბრის გამოსახულებების კარგად ამოკეთება რაღა დაუდგებოდა წინ! მაშასადამე, მხოლოდ „ვერცხლის კრიზისი“ არ ყოფილა ის ძირითადი მიზეზი, რამაც XI საუკუნიდან მოყოლებული ქართული მონეტების წონის დამცრობა გამოიწვია.

ეკონომიურად დაწინაურებულ საქართველო-

ში ფულის კურსი თანდათან უფროდაუფრო მტკიცდებოდა. ფულის კურსის სიმტკიცე მის საქონელთა ფუნქციას დამოუკიდებლად უზღუდა წონისაგან, ე. ი. უფრო ნაკლებმა მონეტებმა ვერცხლის მონეტას შეიძლება წინანდელი ფუნქცია შეესრულებინა. კარლ მარქსი „კაპიტალის“ პირველ ტომში, იქ, სადაც ფულისა და საქონელმომოქცევის საკითხებს იხილავს, მიუთითებს: „ვერცხლისა და სპილენძის ნიშნების ლითონშეცულობა თვითნებურად არის კანონის მიერ განსაზღვრული. ტრიალში ისინი... სწრაფად ეღებინა... ამიტომ მათი სამონეტო ფუნქცია ფაქტობრივად სრულიად დამოუკიდებელია მათი წონისაგან, ე. ი. ყოველივე ღირებულებისაგან.“<sup>2</sup> ბენეზიევი, XII საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოს ფულის მიმოქცევაშიც ასეთ მოვლენებს ექნებოდა ადგილი.

საქიროდ მივყავნია შევხვით დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილ კიდევ ერთ სამონეტო ტიპს, რომელიც იმდროს გამოყვავით დანარჩენებისაგან, რომ უკვე აღწერილისაგან იგი განსხვავებულია. ამ მონეტას, მისივე მსგავს მეორე მონეტასთან ერთად, რომელიც 1949 წ. სვანეთთან ჩამოიტანა პროფ. გ. ჩუბინაშვილმა, აქვთვინებდნენ ვიორგი მეორეს, მაგრამ შემდგომი კვლევისას შევაჩა ზედწერილების ნაწყვეტები და ეს ზედწერილი შემდგენიარად აღდგა: „ქროსტე, აღიდე დავით აღმაშენებელსა სევესტროს“. ამრიგად, გამოირკვა, რომ ეს მონეტებიც დავით აღმაშენებელს ეკუთვნის.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ ტიპოლოგიურად ეს მონეტები არაფრით არ განსხვავდებიან ზაგრატ IV და გიორგი II მიერ მოჭრილი ფულისაგან. აქედან დასკვნა: დავით აღმაშენებელი თავისი მთლიანყოფილი პირველ ეტაპზე იგივე სტიმის მიხედვით სჭირდა ფულს, როგორც ზაგრატ IV და გიორგი II. შემდგომში კი მასვე მოუხდენია ამ მონეტის ტიპის შეცვლა.

XII საუკუნეში პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი საქართველოსათვის დამახასიათებელია ნემიზმატიკის „სპილენძის ხანა“. სპილენძის მონეტებს იძლეობთ ვერცხლის კურსი ჰქონია.<sup>4</sup>

ეს მონეტები საკრედიტო ფულის ფუნქციას ასრულებდა. „საკრედიტო ფული, — აღნიშნავს კარლ მარქსი, — გულისხმობს ისეთ ურთიერთობას, რომელიც მარტივი საქონელმომოქცევის თვალსაზრისით ჯერ კიდევ სრულიად უცნობია ჩვენთვის... აღნიშნავთ მხოლოდ, რომ

1. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 163.

2. Д. Г. Капанадзе, Новый тип монеты Давида Строителя, Византийский Временник, т. VIII, 1957 г., стр. 338—343.

3. დ. კაპანაძე, ქართული ნემიზმატიკა, თბ. 1950, გვ. 45-46.

<sup>1</sup> Е. А. Пахомов, «Монеты Грузии», ч. I, СПб., 1910, стр. 77.

როგორც ნამდვილი ქაღალდის ფული წარმოადგება ფულის, როგორც მიმოქცევის საშუალების, ფუნქციონირება, ასევე საკრედიტო ფულის ბუნებრივად აღმოცენებული ფუნქციები ჩამოახეულია ფულის, როგორც გადახდის საშუალებების ფუნქციონირება.<sup>1</sup>

სპილენძის მონეტები, რომლებიც საქართველოდან გადიოდა, ალბათ, ოქროსა და ვერცხლის ფუნქციას ასახელებდა. სწორედ ამგვარი საკრედიტო მონეტების არსებობაზე იტყობინება იმდროინდელი არაბი მოგზაური აღწერილობები. ამასთან დაკავშირებით შეტად სანიტარესთან გვირგვინოსანი მხედრისგამოსახულებიანი სპილენძის მონეტა შემდეგ ახარბული წარწერით: „მეფეთა მეფე დავით გიორგის ძე, მესიის მახვილია“. ეს მონეტა პირველად ფრანგმა მეცნიერმა ვ. ლანგლემ გამოაქვეყნა და დავით აღმაშენებელს მიაკუთვნა. მაგრამ ასეთი განსაზღვრა დანარჩენმა სპეციалистებმა არ გაიზიარეს. ე. ი. პახომოვმა ეს მონეტა დავით ულუს მიაკუთვნა<sup>2</sup>. და თუმცა ამის დასამტკიცებლად საკმაო საბუთები არ მოუყვანია, ეს განსაზღვრა დღემდე არ შეუცვლია.<sup>3</sup>

დოქ. თ. ლომოურიც იზიარებს ამ მოსაზრებას, რასაც ასაბუთებს იმით, რომ „მოცემული მონეტა თითქმის ასლია რუმის სელჩუკების ქეიხოსრო პირველის (1192-1200) სპილენძის მონეტისა“.<sup>4</sup>

ნუმისმატი დ. კაბანაძე ამ სპილენძის მონეტას დავით აღმაშენებელს მიაკუთვნებს,<sup>5</sup> რისთვისაც მოჰყავს დამაჯერებელი მოსაზრებები და საბუთები. როგორც ზემოთაღნიშნულ მონეტაზე შემდეგ შინაარსის არაბული წარწერაა: მეფე მეფეთა, დავით ძე გიორგის, მესიის მახვილი.

დავით გიორგის ძის სახელით სამი მეფეა

ცნობილი საქართველოში. დავით აღმაშენებელ (1089-1125), ძე გიორგი მეორისა, დავით ულუს (1247-1270), გიორგი ლაშას ძე და დავით XI (1346-1365), გიორგი ბრწყინვალეს შემდეგ დაშვებით, ეს მონეტა ერთ-ერთ მათგანს უნდა ეკუთვნოდეს. უკანასკნელის მიერ ამ მონეტის გამოშვების შესახებ მოხდა თავიდანვე გამოცხადებული იყო და ამას არც ჩვენ დავებობრუნებით. ხოლო, რაც შეეხება XIII საუკუნის ქართულ მონეტებს, მათ აშკარად ემსგავსება მონეტა ზეგაგაენის კვალი, რაც, უპირველეს ყოვლისა, წარწერების შინაარსს შეეხო. XII საუკუნის მონეტებზე თუ ქართველ მეფეთა განდიდების ტიტულები და ეპითეტებია, XIII საუკუნის შემთხვევაში კი ვერცხლისა და სპილენძის ქართული მონეტები ან ანონიმურია, ან მონღოლი მფლობელების სახელებს შეიცავს, ანდა, თუ საქართველოს მეფის სახელითაა აღბეჭდილი, მას დამამკირებელი ტიტულები ახლავს. შევედოთ თუ არა ულუს დავითს, მონღოლთა მკაცრი ბატონობის დროს, თავის მონეტაზე მოეთავსებინა წარწერა, სადაც ის საყოველთაოდ თავისთავს მეფეთა მეფედ და მესიის მახვილად (ე. ი. ქრისტიანობის მიცემლად) გამოაცხადებდა? საესებო დამაჯერებელ პასუხს ამ კითხვებზე XIII საუკუნის შემწვლების ქართული ნუმისმატიკური მატელები, კერძოდ, დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტები იძლევა.

1244-1257 წ. წ. შოკრად სპილენძის მონეტაზე, მაგალითად, დავით ნარინი ასეთი დამამკირებელი ტიტულით არის აღბეჭდილი: „მონა ყუენის, სამყაროს გამგებლისა“, ხოლო მისივე 1247 წლის ვერცხლის დრამაზე ასეთი წარწერაა: „ყუიუყ ყუენის წყალობით მეფე და მონა დავით“. დავით ულუს 1253-1256 წლებში შოკრადი თბილისური დრამების წარწერა — „სამყაროს განმგებლის, მენგუ ყუენის ნებით“ — იგრეთვე ხაზს უსვამს ქართველი მეფის მონღოლებისაგან დამოკიდებულებას. ამ წარწერის შინაარსი თითქოს იმას გულისხმობს, რომ საქართველოს მეფე ფულს პრის მხოლოდ მონღოლთა ყუენისაგან სავალდებულოდ უნდა მიღებულა შეიღებულა, აშკარად ჩანს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულებიანი სპილენძის მონეტისა და დავით ნარინისა და დავით ულუს მონეტების წარწერებს შორის. უდავოა, რომ უკანასკნელი მონეტების წარწერები ამ დროს შემწვლის პოლიტიკური მდგომარეობის პერსპექტივით სარგის წარმოადგენს. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მონღოლთა ბატონობაში მყოფ რომელიმე ქართველ მეფეს და, კერძოდ, „სამყაროს განმგებლის, მენგუ ყუენის ნებით“ ფულის მოშორებულ დავით ულუს ეკუთვნოდეს ტიტული „მეფეთა მეფე“ და ისეთი მრისხანე ეპითეტი, როგორცაა „მესიის მახვილი“.

ამრიგად, რადგან აღნიშნული სპილენძის მონეტა დავით ულუს არ ეკუთვნის, აშკარაა, რომ

<sup>1</sup> ე. მარქსი, კაბიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 163-164.

<sup>2</sup> ვ. ფუთურძე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, ენიშქის მოამბე, XIII, 1943, გვ. 141.

<sup>3</sup> V. Langlois, Supplément à l'essai de classification des suites monétaires de la Georgie, Revue de la numismatique belge, t. V. 3-e serie, Paris, 1861, გვ. 8-9.

<sup>4</sup> E. A. Пахомов, Монеты Грузии, ч. I, СПб., 1910, стр. 80-81.

<sup>5</sup> E. A. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1928, стр. 54.

<sup>6</sup> თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ თბ., 1938, გვ. 293.

<sup>7</sup> Д. Г. Капанадзе, Медная монета Грузинского Царя Давида, сына Георгия, Эпиграфика востока, XII, 1958 г., стр. 30-47.

ის მოჭრილია დავით აღმაშენებლის მიერ, რომლისთვისაც აღნიშნული მდღედერი ტიტული და ამავ ეპითეთი, მართლაც რომ მთლიანად შემაფერის იყო.

როგორც ჩანს, XI-XII საუკუნის მიჯნაზე საქართველოში შეიქმნა პირობები სამონეტო ტიპის შეცვლისათვის. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ვლადკერის ლეთისმშობელის გამოსახულებიანი მონეტის ტიპი ერთგვარ ცვლილებას განიცდის სწორედ ამ დროს, ხოლო XII საუკუნის პირველ მეოთხედში ეს სამონეტო ტიპი ძირფესვიანად იცვლება. შეიცვალა ფაქტურა, წარწერების შინაარსი. დიდხანს გუბრეველი რჩებოდა, თუ ვინ იყო სამონეტო ტიპის ასეთი ძირფესვიანი შეცვლის ინიციატორი — დავით აღმაშენებელი თუ დემეტრე პირველი? ამ პრობლემის გარკვევის საქმეში მნიშვნელოვანი სიანთლე შეიტანა არაბი მოგზაურის აღფარიყის ცნობამ, რომელიც ზახვასმით მიუთითებს, რომ სამონეტო საქმეში ცვლილება სწორედ დავით აღმაშენებელს შეუტანია. ამის დასადასტურებლად განათლებული არაბი უმუშალო ფაქტებს იშველეებს და აღწერს დავითის მიერ ახლდმოჭრილ ფულს, რის შედეგადაც სათელი ხდება, რომ მუსულმანური ტიპის მონეტის მოჭრელი დავით აღმაშენებელი ყოფილა.<sup>2</sup>

ინგლისელი მეცნიერი დ. ლანგი, რომელიც შეუხო დავით აღმაშენებლისდროინდელ ნუმისმატიკურ აზვლებს, სპეციალურად შეჩერდა დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილ კიდევ ერთი ტიპის სპილენძის მონეტაზე, რომელიც 1857 წლიდან იხატება ბრიტანეთის მუზეუმში. ბრიტანეთის მუზეუმის ეს უნიკალური მონეტა საფარველო შესწავლის შემდეგ დ. ლანგმა გამოქვეყნა სათანადო კომენტარებით. მ ეს მონეტა უნიკალურია იმიტომაც, რომ მასში ბიზანტიური და ქართული ეპონოგრაფიის შერწყმას ვხვდებით, უნიკალურია იმიტოც, რომ მასზე მოთავსებულია

სახელოვანი მეფის — დავით აღმაშენებლის გამოსახულება, რომელიც მონეტის შედგენა მოთავსებული. მეფე წყაროიანია, ხელთ უწყარია ბიზანტიური სტილის სფერო. დავით აღმაშენებლის გამოსახულების შარცხენა მხარეს მოთავსებულია ასომთავრული წარწერა „**ՃԸ**“ (დთ-დავით), ხოლო მარჯვნივ „**ԹԳՄ**“ (მეფე).

მონეტის ზურგის ცენტრში ჩვარია მოთავსებული ჩარჩოში, ირგვლივ ასომთავრული წარწერით, რომელიც დ. ლანგს ასე ეჩვენებოდა

**ՆԵՕԻՃԻԹԻՄԻԿԻՄԻԿԻՄԻՃԻ**, ე. ი. „სახელითა ქრისტესითა, დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა.“

საქმე იმაშია, რომ მონეტაზე ამ წარწერისაგან რაკალია შეკრული და დ. ლანგის მიერ წაკითხვის დაწყება „**ՆԵՕ**“ —დან პირობითია. პროფესორმა დ. მ. ლანგმა აქედან, ალბათ იმიტომ დაიწყო წაკითხვა, რომ წარწერა აზრიაანი გამოდიოდა, თანაც მანვე დაყო ცალკე სიტყვებად ასოვლისაგან შეკრული რაკალი: „სხთ“ „წდთ“ მფე“ „აფთ“ „ქ“ „რნ“ „კთ“ —. ისმება კითხვა, სწორად წაკითხა თუ არა დ. ლანგმა წარწერა. „ქრისტე, დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“ — ასეთი სახით წარწერა არ არის უცხო ჩვენთვის, მაგრამ, რაც შეეხება „ქრისტეს“ წინ ლანგის მიერ წაკითხული „სახელითა“ —ს, ამ დასაწყისითა და შემდგომ ზემოხსენებული კომპლექსით წარწერები არ ვხვდებით. აქედან გამომდინარე შეიძლება გვიო იქნას შეტანილო პროფ. დ. ლანგის მიერ წარწერის ზოგიერთი დეტალის წაკითხვაში. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ლანგის მიერ „სხთ“ ასოთა კომპლექსის წაკითხვა და მისი ადგილის განსაზღვრა, საერთოდ, წარწერის კომპლექსში. ე. ი. რაკი ჩვენ ვუშვებთ, რომ „სახელითა ქრისტესით“ დაწყებული წარწერები არ მოგვეპოვება და შესაძლოა არც ამ მონეტის წარწერა იწყებოდეს ასე, მაშინ „სახელითა“ —ს სხვა ადგილას გადატანა (ეს ადგილი აუცილებლად ბოლოა) უნარობას იწვევს წარწერის წაკითხვისას. სწორედ ამ ასოთა კომპლექსის წაკითხვაში უნდა იყოს ლანგის მიერ დაშვებული შეცდომა. „**ՆԵՕ**“ (სხთ) უნდა იკითხებოდეს არა როგორც „სახელითა“, არამედ როგორც „სომეხთა“ მისევე მთელი წარწერა წაკითხვლა ასე: „ქრისტე, დავით მეფე, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა“. მაშასადამე, წარწერის კითხვა უნდა დავიწყოთ არა „სხთ“ —დან, არამედ „**Մ**“ —დან. ასეთ შემთხვევაში „სხთ“ (ამჯერად ჩვენ მიერ წაკითხული „სომეხთა“) ბოლო ადგილზე გადადის წინადადებაში.

რაც შეეხება „სხთ“ —ს „სომეხთა“ —დ წაკითხვის, ეს დასაშვებია პოლიტიკურ

1. ვ. ფუთურიძე, არაბი ისტორიკოსი XII საუკუნის თბილისის შესახებ, ენაიქის მოამბე, XIII, 1943, გვ. 141.

2. საინტერესოა ისიც, რომ აღფარიყა, მუსულმანური ტიპის მონეტის შემოღებისთან ერთად, დავით აღმაშენებელზე ამბობს, იგი ისეთი პატივისცემით ეპყრობოდა მუსულმანებს, როგორსაც ისინი ბაღდადშიც კი ვერ ნახებდნენო.

<sup>3</sup> D. M. Lang, Notes on Caucasian numismatics, „Numismatic chronicle“, vol. XVII, 1957, გვ. 138-146.

დ. ლანგის აღნიშნული ნაშრომი ვადმოგვცა და ლანგის მიერ გამოქვეყნებული მონეტის შინაარსის გარკვევის საქმეში კონსულტაცია გავაციქია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა დ. კაპანაძემ, რისთვისაც მადლობას მოვხსენებთ.

1. დასაბ. ნაშრ. გვ. 144.

რადაც, დავით აღმაშენებელი მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა იმ დიდი გამარჯვებების შემდეგ, რომლებიც მან მოაპოვა (განსაკუთრებით ანისის აღების შემდეგ), ბუნებრივად, სომეხთა მეფედაც იწოდებოდა. ჩვენ მოგვგებოვება მსგავსი ტიტულის შემცველი დავით აღმაშენებლისეული ქვარი, რომელიც ამჟერად საქართველოს სსრ ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ამრიგად, ჩვენ მართებულად მიგვაზიზი ბრიტანეთის მუზეუმში არსებული ქართული მონეტის წარწერა ასე იკითხებოდეს: „ქრისტე, დავით მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა.“ მონეტა უნაკალურია მრავალმხრივ. იგი შეიცავს დავით აღმაშენებლის პორტრეტსა და მის სრულ სამეფო ტიტულს, რომელიც ძალუმიდ ეხმოვანება იმდროინდელი (XII საუკუნის პირველი მეოთხედის) საქართველოს პოლიტიკურ ძლიერებას. მონეტა საინტერესოა იმიტომაც, რომ იგი შეტყველებს დავით აღმაშენებლის ფინანსური მოღვაწეობის მრავალფეროვნებაზე. აღნიშნული მონეტა ახალ ტიპს წარმოადგენს დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილ ფულთა შორის, და იგი რიგის მიხედვით ბოლოს უნდა მოეჭრა დავით აღმაშენებელს.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის ფინანსური მოღვაწეობის ღრმად შესწავლის საფუძველზე, მის მიერ მოჭრილი მონეტების დეტალურად გაეცნობის შედეგად იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული იქნა მნიშვნელოვანი ფინანსური ღონისძიებები, რაც შემდეგში გამოიხატა:

1. შეიკვალა მონეტის ტიპი.

2. მონეტის ტიპის არსებით ცვლილებასთან ერთად, განმტკიცდა ფულის კერძი.

ფულის რეფორმის პირველი მომენტი (მონეტის ტიპის შეცვლა) გამოიხატა ჯერ კიდევ ვლადიმერისგამოსახულებიანი მონეტის შინაარსის

შეცვლაში, ხოლო უფრო დიდმნიშვნელოვანი იყო ბიზანტიური ტიპის მონეტის მუსულმანურ რით შეცვლა.

ეს უკვე არა მხოლოდ მონეტის შინაარსზე ზოგიერთი დეტალის შეცვლა იყო, არამედ არსებითი ცვლილება. ერთი ტიპის მონეტა მეორე, კარდინალურად საწინააღმდეგო მონეტამ შეცვალა; მუსულმანური ტიპის მონეტის მოჭრა გარკვეული მიზეზებით იყო გაპირობებული. XII საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მონეტა გამოხატავდა რა ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, შინაარსის შეცვლისას ლებულობდა იმ ფულის სახეს, რომელიც იმ დროს მსოფლიო ბაზარზე ბატონობდა. სწორედ ამით უნდა იყოს გამოწვეული დავით აღმაშენებლის კარგი დამოკიდებულება მუსულმანებთან და მის მიერ მუსულმანური ტიპის მონეტის მოჭრა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის მიერ მოჭრილი გვირგვინოსანი მხედრისგამოსახულებიანი მონეტა წმინდა ქართულ ხასიათს ატარებს და საქართველოს იმდროინდელ ძლიერებაზე მიუთითებს (მოვიგონოთ წარწერა).

ფულის რეფორმის მეორე მომენტი — ფულის კერძის განმტკიცება, უშუალოდ გამომდინარეობდა პირველიდან. მონეტის შინაარსის შეცვლა ფულის კერძის განმტკიცებას ემსახურებოდა. თავისთავად რეფორმის მთელი არსი ფულის კერძის განმტკიცებაში მდგომარეობდა. ამერიდან უზრუნველყოფილი იყო ფულის მუდარი მიმოქცევა. ფულადი სისტემის გაუმჯობესება აპირობებდა ეკონომიკის წარმატებით განვითარებას.

ამდენად, XII საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოში გატარებული ფინანსური ღონისძიებები დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში და მისი წინსვლის საწინდარი იყო.

1. დავით აღმაშენებელი სომეხთა მეფედ სხვა წარწერებშიც იხსენიება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ დავით აღმაშენებლის ქვარზე მოთავსებულია წარწერა: „პატოსანო

ქვარო, აღიდე უძლეველი აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა და სომეხთა მეფე დავით“.

## ადამიანი მიღის წინ

გრიგოლ ჩიქოვანი წიგნში „ადამიანი მიღის წინ“ წარმოგვიდგება როგორც კარგი მთხრობელი და ნარკვევის ოსტატი. ნარკვევთა მეტი ნაწილი, პირველ ყოვლისა, გვიჩვენებს დიდ ძვრებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

გრიგოლ ჩიქოვანი თავის ნარკვევებში გვიხატავს პერსონაჟთა პორტრეტულ სახეებს, მათ საემბრო საქმიანობას, საწარმოო და საზოგადოებრივი შრომის საამაყო შედეგებს. ამავე დროს იგი არ ერიდება გვიჩვენოს ის სიძნელეები და დაბრკოლებანი, რომლებიც თავს იჩენენ უკეთესი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის გზაზე.

ნარკვევში „ადამიანი მიღის წინ“, რომლითაც წიგნი იხსნება, რელიეფურად წარმოგვიდგება მოწინავე, კარგი ორგანიზატორის ფიგურა, ამ ნარკვევის გმირი ჩვენი დღეების პერსონაჟთა შთაგონებული, ხალხის ცხოვრებით ცხოვრობს, იღწვის საზოგადოების საერთო ღირსებად. იგი ახალი ცხოვრების აქტიური მშენებელია, ერთი იმ მრავალთაგანს, რომლებმაც მოიხსნეს „ტრადიციის მძიმე ტვირთი“, დასძლიეს ჩამორჩენილობა და არსებული სიძნელეები. კერძოდ, ასეთი გმირია ჩვენი თანამედროვე მიზელი ორაგველიძე. მან შეძლო ხალხის გულს მოგება, მისი დარაზმვა და კოლმეურნეობა წაიყვანა გამარჯვების გზით. შწერლის თბრობა ღალია და ძალდაუტანებელი, აქამდე შეფერილია ზომიერი და მსუბუქი იუმორით. გრიგოლ ჩიქოვანს ეხერხება უფრო დეტალურად კარგად გამოყენება განზოგადებისათვის.

მიხაკო ორაგველიძემ სულ მალე მიიშრო რწმუნდაკარგული გლეხობა და ერთსულოვნად ჩააბა ისინი საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. შწერლის თქმით, „ოწამეს ეს გულშართალი კაცი, კეთილი, მოპეტტული თვალებით, რომლებშიც, როგორც სარკეში, ასე დაინახე მისი სულს. დაივიწყეს წინანდელი იმდის ვაცრუება“ (გვ. 7).

გრიგოლ ჩიქოვანის ნარკვევების გმირები, ორიოდე გამონაკლისის გარდა, თანამედროვე მოწინავე მშრომელები არიან. ისინი კონკრეტული სინამდვილიდან წამოსული განზოგადებული სახეებია, ე. წ. „მატერულად გაფორმებული ადამიანური ხასიათები“ და ამიტომაც დიდხანს რჩებიან მკითხველის მესხიერებაში. ნარკვევებში ავტორი იცავს ე. წ. „დოკუმენტურ სიზუსტესაც“, მაგრამ უარყოფს შიშველი ფაქტობრივების გზას. „დრო და ადამიანი“ ნათელს ჰქვინს გმირის შინაგან სულიერ სამყაროს, მის ადამიანურ ზნე-ხასიათს.

ეს ნარკვევი ეძღვნება ცნობილ მეჩაიე ქალს თამარ ყუფუნისას. სხვათა შორის, აქ სათაური — „დრო და ადამიანი“ — მოხდენილად არის შერჩეული. ეს ხომ ცხოვრებაა, რეალური ცხოვრება, რადგან მას დრო და ადამიანი ჰქმნიდა და ჰქმნის ახლაც. ადამიანის ეკოლოგია ჩამორჩენს დროს, გაუთანაწორდეს ეპოქის მოთხოვნათა დონეს. ამდენად, დრო და ადამიანი აქ უბრალო დაპირისპირება როდია. პირობითი, მუდამ განუყრელი ერთიანობაა, უროლისოდაც ცხოვრება წინ ვერ წაიწვეს.

ნარკვევებში მკითხველი ნახავს სატელეანთქმულ მეჩაიე ქალებს, შეეწახებებს, მეზიდებს, მშენებლობის მოწინავე მუშაკებს, მეფოლადეებსა და ელმავალმშენებლებს. ეს არის მრავალრიცხოვანი რაზმი ახალი ცხოვრების ქვემოქმედი ადამიანებისა, რომლებსაც ჩვენი შეყვანა მიუყავთ წინ, გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. ყოველი ნარკვევი გამსჭვალულია აღმშენებლობის პათოსით და იმ აზრით, რომ პატრიოსანი შრომა ერთადერთი წყაროა ადამიანური ზედნიერებისა, რომ შრომით გახდნენ საქვეყნოდ ცნობილი და სახელოვანი ადამიანები: ტატანა ჩხიძე, თამარ ყუფუნია, ამირან ფანცულაია, ვასილ პიპინაშვილი, ივანე მეტრეველი და სხვები.

„მოუსვენარი გული“ ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ, ვასილ პიპინაშვილის შრომითს საქმიანობაზე მოგვითხრობს. ეს ნარკვევი დაწერილია 1962 წელს. ჩვენ მომსწრე ვართ იმ დიდ მიღწევებისა, რომლებიც ვასილ პიპინაშვილის სახელთან არის დაკავშირებული.

კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ვასილ პიპინაშვილი გვიტაცებს სიკოცხლით სავსე, ახალგაზრდული ენერგიით, რაც უანგაროდ ხმარდება ქართულ ელმავლების მშენებლობას. ვასილ პიპინაშვილი წინა პლანზე,

გრიგოლ ჩიქოვანი, „ადამიანი მიღის წინ“, ხაჭოთა საქართველო, 1968.



აყენებს კოლექტივის მოთხოვნას, საერთო, სახალხო საქმეს; იგი უყვამნოდ მიდის ჩამორჩენილი ბრიგადის დასახმარებლად. დასულ მალე ეს ბრიგადაც მოწინავე ზღვება ვასილ პიანინაშვილის ინიციატივითა და თავდადებული შრომით.

ნარკვევების ციკლი „ჩაუქრობელი ცეცხლის ქალაქი“, „ძველი ქალაქის სიკვდილი“ და „დაუმორჩილებელი ქალაქი“ სამი მოძმე რესპუბლიკის დედაქალაქებზე მოგვითხრობს.

„ბაქო, თბილისი ერევანი, რა კარგი თქმაა, რა დიდებული“, — გვახსენდება პოეტ ი. გრიშაშვილის ლექსის სტრიქონები. და სწორედ — ამ ქალაქებზე ვესაუბრება შწერალი ვგ. ზომი დავიერებებითა და სიამაყის ვრცნობით.

„ჩაუქრობელი ცეცხლის ქალაქი“ წარმოგვიდგენს მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქს — ბაქოს. ნარკვევში დამაყრებლად არის ნაწვევნიბი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი, მისი მოწინავე აღამიანები. შწერალი გვიხატავს რევოლუციამდელი პერიოდის მუშათა უზნების ველსაკლავ მდგომარეობას: „ამ რაიონს შვი ქალაქს იპიტომ ეძახდნენ, რომ შვი იყო იქ ყველაფერი: მიწა, ცა, ჰაერი, ქოხები, ქუჩები, ნავთის მრეწველთა გული, მუშათა ცხოვრება“. მაგრამ თავისუფლება ბაქოს, როგორც სხვა მრავალ ქალაქს, ოქტომბრის რევოლუციამ, ბოლშევიკურმა პარტიამ მოტანეს და დღემკვიდრეს: „ის ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელიც ზედნიერებისა და თავისუფლების დიდ ლამბრად ეაშკაშებს დღეს აღმოსავლეთის ზალხებისათვის ბაქოში, პირველად ბოლშევიკურმა პარტიამ დაანთო“.

ნარკვევში ბაქო გვევლინება ერთ-ერთ მოწინავე ინდუსტრიულ და ელტურულ ცენტრად, ინტერნაციონალური მშობის ქალაქად. ამ სიონის ისეთი ბრიგადა, რომელშიც 138-წარტყნების აღამიანი მუშაობს, როცა ნარკვევში თბრობა ამგვარ ფაქტობრივ მასალაზე იშლება, ავტორი ზოგჯერ ემაბიოთელ აღწერილობას მიმართავს.

ნარკვევის „ძველი ქალაქის სიკვდილი“ ავტორი დიდს სიყვარულით მოგვითხრობს ერევანსა და ერევნელებზე, შედარებით უფრო ძლიერად არის დაწერილი „დაუმორჩილებელი ქალაქი“ და ეს არც არის ვასაკვირო. აქ მშობლიური თბილისისა ნავლისხმევეა და ბუნებრივია, შწერალი უფრო ლაღად გრმნობს თავს, როდესაც ამ ქალაქის წარსულ და თანამედროვე ცხოვრების მხატვრულ სურათს აქმნის.

ასეთ უძველეს და დიდ ქალაქებზე წერა, ისიც ნარკვევის ფორმით, ერთობ ძნელია. მართალია, ავტორი თავს ართმევს ამ სირთულეს, მაგრამ აღაგა-ლაგ ციფრობრივი მონაცემების სიჭარბე (ეს შეინიშნება პირველ ორ ნარკვევში) ერთგვარად აღუნებს ვრგოლს ჩიქოვანისათვის დამახასიათებელ დინამიკურ თხრობას და ემოციური ზემოქმედების ეფექტს.

ნარკვევების მიზანი ეჩვენებინა თანამედროვეობის გმირი — შეიიიეს თუ მეფოლადის, ელმავალმუშენბლის თუ წარმოების დირექტორის სახით, ერთი სიტყვით, ჩვენი ეპოქის წარჩინებული აღამიანი და ნოვატორი — ავტორის მიერ მიღწეულია.

სიმონ არველაძე

### წიგნი კ. სტანისლავსკიზე

სტანისლავსკის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემლობა „ნავადულმა“ ვამოსცა ნოდარ გურაბანიძის წიგნი „სტანისლავსკი“ (სერია „გამოჩენილ აღამიანთა ცხოვრება“).

სტანისლავსკის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ რუსულ თუ სხვა ენებზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა შეიქმნა.

როგორც ჩანს, ამ ფაქტმა ნოდარ გურაბანიძე ერთგვარად აადინა ლტერატურული ბიოგრაფიის ავტობის ტრადიციულ წესს, ლიტერატურული ბიოგრაფიის ხასიათს ერთნაირად ვანსაზღვრავს ცხოვრება და შემოქმედება.

ამ ვანისას საუკეთესო ნაწარმოებებდაც მიგეიანია ვარლ სენდბერგის „აბრამ ლინკოლნი“ და მარსელ მიეოს „სენტ-გეიზიუბერი“. მართალია, მიეო ექსიუბერის ცხოვრების მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ეპიზოდის უშუალო

მოწმე იყო, მაგრამ სენდბერგმა ხომ ლიტერატურული მასალების მიხედვით შექმნა ლინკოლნის სახე.

შემთხვევით, არ მიუცია მარსელ მიეოს წიგნის ერთი ნაწილისათვის სათაურად ექსიუბერის სიტყვები: „ვერ უნდა იცხოვრო და მერე დაწერო“.

პრაქტიკულ ფაქტზე რომ არაფერი ვთქვათ, ყოველი ნამდვილი შემოქმედის, მით უმეტეს თეატრალური მოღვაწის, მხატვრული მეწვედრეობისა და პირადაც ცხოვრების განუყოფელობა თეორიულადც დასაბუთებელია. შეიძლება ვთუზვადებულად ითქვას, რომ სტანისლავსკის წუთითაც არ უცხოვრია უთეატრო. ეს არავისთვის და მით უფრო ნოდარ გურაბანიძისათვის ახალი ამბავი არ არის. შინ კარვად იცის სტანისლავსკიც და საერთოდ თეატრიც, მაგრამ ამ ფაქტის აღნიშვნას თავისი გამართლება აქვს. ლტერატურული ბიოგრაფია, ვანობობრივი სპეციფიკის თვალსაზრისით, ცხოვრების, თუნდაც განმსაზღვრელი ბიოგრაფიულ-

ნოდარ გურაბანიძე, „სტანისლავსკი“, „ნავადული“, 1962.

ლი დეტალების გარეშე, სრულსაზიარო ნაწარმოები არ არის.

რა თქმა უნდა, წიგნის შეგნებულ ცალმხრივობას, ავტორი იმით ვერ გააპართლებს, რომ სტანისლავსკის ბიოგრაფია არა ერთხელა და წერილი და მკითხველებისათვის მეტნაყოფად ცნობილი. მკითხველისათვის უცხო არაა არც მასწავლებელი ფაქტობრივი მისაღწევა, რომელზეც აგებულია ნოდარ გურაბანიძის წიგნი. ნაწარმოის ღირსება ძალიანად ამ მასალებისადმი ავტორის მიდგომაში, საკითხების პრაქტიკულ, ინდივიდუალურ ანალიზში ჩანს. ნოდარ გურაბანიძეს აქვს საამისო ერთდროა, ემოციურად წყნარს უნარი, რომ მნიშვნელოვან ბიოგრაფიულ დეტალებთან მაინც გამოენახა საერთო ენა და უფრო სრული სახით წარმოედგინა ეს რთული პიროვნება.

ნოდარ გურაბანიძე დახვეწილი გემოვნებისა და პოეტური გზნების თეატრალური მკვლევარია. იგი იცავს ემოციური, საერთოდ ესთეტიკური ანალიზის პრინციპს. მკვლევარი ხელოვნურად არ „ღამასიტყვავს“, აზრის ნიშანზე აგებს ფრაზას და შესაბამის ადგილს აძლევს სიტყვას. ამ პირობებს ერთგულად აბორცელებს იგი საჩუქრული წიგნშიც.

ავტორის ყურადღების ცენტრში დგას სამი მხარე — სტანისლავსკი როგორც რეჟისორი, მწაბობი და თეატრალური ხელოვნების თეორეტიკოსი. მკვლევარი სამივე „საფეხს თანაბარი გატაცებითა და გულმოდგინებით იბილავს.

სტანისლავსკიმ პირადი გამოცდილებისა და დიდი მხატვრული ფანტაზიის წყალობით თეატრისათვის მანამდე უცნობი, ახალი რეჟისორული ხერხები შექმნა. ნოდარ გურაბანიძე დამაყრებლად ხსნის ამ ხერხების ნოვატორობის საფუძველს და თითოეული მათგანის მნიშვნელობას.

მართალია, სტანისლავსკიმ აქცენტი სპექტაკლის იდეურ მიზანზე და საერთოდ მხატვრულ ხარისხზე გადაიტანა, მაგრამ არა ნაკლებ აწუხებდა რეპერტუარის სიმდიდრის საკითხიც.

მან იმდროინდელი რუსული თეატრის სრულ ორგანულ დაუკავშირა ჩებოვის. მისი შემოქმედების ფსქოლოგიური სამყაროს თეატრალიზაცია სტანისლავსკის დიდ წარმატებად აღიქვამდა თავისი სისტემის სრულყოფისათვის. რუსული თეატრის შემობრუნება ჩებოვისაკენ დიდი მოვლენა იყო, ამიტომაც ამხვეილებს ყურადღებას მკვლევარი ამ მომენტზე.

ნოდარ გურაბანიძე თითოეული სპექტაკლის მთლიანი თუ ცალკეული ნიშნების მხატვრულ თაღისთავადობას სტანისლავსკის ზოგადი პრინციპების ფონზე ავლენს, ლოგიკურად ავითარებს მსჯელობას და მხატვრულ მთლიანობას უნარჩუნებს წიგნს.

სტანისლავსკი მთელი არსებით იბრძოდა თეატრის ხალხურობისათვის. ამ პრინციპის არსს იგი, თუპირველს ყოვლისა, მაღალმხატვრულობაში, ღრმა იდეურობაში ხედავდა და არა პრიმიტიულობაში. ჩვენი აზრით, ამ საკითხისადმი მკვლევარს მჭერი ინტერესი უნდა გამოენიანა.

სტანისლავსკის სამსახიობო მოღვაწეობის დასახასიათებლად არ ცმარა მარტო ინტელიცია, რაოდენ ზუსტიც არ უნდა იყოს იგი. თუ რამდენჯერმე მანც არ გიხილავს სცენაზე ესოდენ თვითმყოფადი მსახიობი, ვერც მის საკადრისს იტყვი რაიმეს ამ მიმართებით. ამ საკითხზე ნოდარ გურაბანიძე ტაქტიანად, თავშეკავებულად მსჯელობს, დროდადრო თითქმის ცოცხალი მსურებლის თვალსაც უცვლი, მაგრამ მისი სრულ სხვაგვარად ელერს გიორგი შავგულაძეზე დაწერილი მისი მონოგრაფიის სტრიქონები, რომლებიც ავტორმა უშუალო მთავონებითა და პროფესიული ხელით შექმნა.

წიგნში აშკარად იგრძობა სტანისლავსკის სისტემის კარგი ცოდნა. ნოდარ გურაბანიძე ამას მარტო უშუალოდ თეორიულ მოსაზრებებზე მსჯელობაში არ ამკლავებს, იგი სტანისლავსკის პრაქტიკული მოღვაწეობის გასაღებს მის სისტემაში პოულობს.

ფილიპე ბარიძე

### მოლდავერი კომედი ქართულად

„ანდრიეში“ პირველი მოლდავერი პოემა, რომელიც ქართულად ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოიცა, ხოლო მისი ავტორი ე. ბუკოვი, საერთოდ, პირველი მოლდაველი მწერალია, რომლის წიგნი ქართულად გამოვიდა. „ანდრიეში“ მოლდაველში დღეად პოპულარული ხ.

წარმოებია, ხოლო მისი ავტორი ემილიან ბუკოვი, ანდრიე ლუპანთან ერთად, თანამედროვე მოლდავერი საბჭოთა მწერლობის უფროსი თაობის წარმომადგენელია. ე. ბუკოვმა ვანკლო ცხოვრების რთული გზა იტაკევეშელო კომედი-შირელოდან სსკ უმადლეს საბჭოს დეპუტატობამდე და მოლდავეთის სსრ მინისტრატობის თავმჯდომარის მოადგილემდე.

ემილიან ბუკოვი, „ანდრიეში“, თარგმანი ზუტა ბერულავასი და რევაზ მარგაინისა, „ნეკადული“, 1964.

„ანდრიეში“ ხალხურ მოტივებზე შექმნილი დიდი პოემა-ზღაპარია. მისი წერა ავტორმა, როგორც თვითონ აღნიშნავს, ქართული გამოცე-

მის წინასიტყვაობაში, დიდი სამამულო ომის დროს დაიწყო, „როცა ერთმანეთს შეეჯახა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალა—ნათელი და ბნელი“. ნაწარმოების გმირი, მწევში ბიჭი ანდრეში მრავალ განსაიდუმლს გამოიკვლის, წარმოედგენელ და ფანტასტიკურ გმირობას ჩაიდენს; ანდრეში უოველთვის გამარჯვებული გამოდის, როგორც კაცს, საერთოდ ფოლკლორისთვისაა დამახასიათებელი. ნაწარმოებში ასახულია, როგორც კრიტიკოსები მიუთითებენ, კუშმარიტებისა და სამარტლიანობის საბოლოო ზეიმი, ჩაგრულთა ერთიანობის ძალა და უძლეველობა. პოემა პირველად ცალკე წიგნად 1946 წელს გამოვიდა. მოლდაველ ხალხში წიგნი უდიდესი პოპულარობით სარგებლობს; „ანდრეში“ ფართო პოპულარობა მოიპოვა აგრეთვე მომხმე საბჭოთა ხალხებში და საზღვარგარეთაც. იგი თარგმნილია მრავალ ენაზე.

ქართულად „ანდრეში“ თარგმნეს ცნობილმა პოეტებმა ხ. ბერუღლავამ და რ. მარჯინაძემ. თარ-

გმანი თავისუფლად იკითხება და ორიგინალის სურნელიც ახლავს. დაცულია კოლორიტიც. რასაც მკითხველი უმალ მოლდაველში გადაყავს. მოწონებას იმსახურებს მხატვრის უკულოლუას — ნაწმეყვარი.

საჭიროდ მიმანია აქვე ზვენი სურვილიც გამოეთქვათ:

1. წიგნში გვხვდება მოლდავერი სიტყვები. უმეტესად ზედსართავი სახელები, რომლებიც ნაწარმოებში გადატანილია არსებითი სახელის ფორმად. სასურველი იყო მათი პირდაპირი მნიშვნელობის განმარტება.

2. რამდენადაც ე. ბუკოვის ავტორები ქართულად პირველად გამოდის და ავტორს ჩვენს მკითხველი არ იცნობს, სასურველი იყო მოკლედ მინც გაგვეცნო ზვენი ახალგაზრდა მკითხველისათვის მწერლის ბიოგრაფია.

„ანდრეშის“ გამოცემით „ნაქაღულმა“ მოლდავერ-ქართულ ლიტერატურის მეგობრობის განმტკიცებისათვის სასარგებლო საქმე გააკეთა.

ველიჩან მახარაძე

## ახალი წიგნები

### „ლიბრარტურა და ბიბლიოგრაფია“

- მინჯუ ნენკევიჩი — ვიღარ პხელა?... თარგმანი ნიკო ავალიშვილისა. რედ. ნ. ავალიშვილი, თ. კობლაძე. გვ. 583, ფასი 1 მან. 66 კაბ.
- ემილ ზოლა — ქალთა ბედნიერება. თარგ. ნუნუ ქალაღიშვილისა. რედ. გ. მელაქე. გვ. 415, ფასი 1 მან. 36 კაბ.
- მიკოლა ბაფანი — ლექსები. რედ. ს. ჩიქოვანი. გვ. 31, ფასი 6 კაბ.
- მაქსიმ რილსკი — ლექსები. რედ. ნ. ავალიშვილი. გვ. 33, ფასი 6 კაბ.
- ოლეს გონჩარი — მოთხრობები. თარგ. გიორგი ნამორაძისა. რედ. მ. ქოიავა. გვ. 76, ფასი 8 კაბ.
- ლუბომირ დმიტრკო — ლექსები. თარგ. კონსტანტინე ლორთქიფანიძისა. რედ. მ. ქოიავა. გვ. 35, ფასი 6 კაბ.
- დმიტრო პავლინო — ლექსები. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 28, ფასი 5 კაბ.
- ოლექსა ნოვიკო — ლექსები. რედ. მ. ქოიავა. გვ. 34, ფასი 7 კაბ.
- ვასილ კოზნაჩენკო — მოთხრობები. რედ. გრ. ჩიქოვანი. გვ. 72, ფასი 10 კაბ.
- ლუბოვ ზაბაშტა — ლექსები. რედ. მ. ქოიავა. გვ. 35, ფასი 7 კაბ.
- მასიელ სტელმახი — ლექსები. რედ. მ. ფოცხიშვილი. გვ. 35, ფასი 6 კაბ.
- სტეფანე ოლინიკი — ლექსები. თარგ. კარლო კალაძისა. რედ. ვ. გორგაძე. გვ. 29, ფასი 6 კაბ.
- პლატონ ვორონკო — ლექსები. რედ. მ. ქოიავა. გვ. 33, ფასი 7 კაბ.
- შარლოტა ბრონტე — ჟენე ეარი. თარგ. თ. შალვაძისა და ზ. ხახანაშვილისა. რედ. ე. მალრაძე. გვ. 547, ფასი 1 მან. 74 კაბ.
- დავრენტი ძიმისტარიშვილი — ლექსები. რედ. მ. ლებანიძე. გვ. 37, ფასი 6 კაბ.
- ოვანეს კარაიანი — ლექსები. რედ. ნ. ავალიშვილი. გვ. 107, ფასი 17 კაბ.

### „ნაკადული“

- აკაკი წერეთელი — ლაშურა. რედ. მ. ქავეჭანიძე. გვ. 12, ფასი 26 კაბ.
- გაზაფხული — (ილია ქავეჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა) რედ. გ. კაჭხიძე. გვ. 16, ფასი 22 კაბ.
- ალექსანდრე პუშკინი — ზღაპრები. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 21, ფასი 26 კაბ.
- კონსტანტინე ფედინი — ჟანრები, თარგ. გ. ნატროშვილისა. რედ. ლ. ქალაღიშვილი. გვ. 17, ფასი 10 კაბ.
- ნიკო კეცხოველი — ფურცელშლა და ფურცელყენა. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 42, ფასი 27 კაბ.
- იოსებ ნონეშვილი — საქართველოს გაზაფხული. რედ. გ. კვიციანიშვილი. გვ. 26, ფასი 13 კაბ.
- დავით ჩაქვეტაძე — ძველი უკიმერიონზე. რედ. ე. ბერიძე. გვ. 52, ფასი 9 კაბ.
- ქანსულ ჩარკვიანი — ცანგალა და გოგონა. რედ. ხ. ბერულავა. გვ. 28, ფასი 50 კაბ.
- ე. მეთელიძის — ბიჭუნა. თარგ. ოთარ შალამბერიძისა. რედ. მ. ქავეჭანიძე. გვ. 16, ფასი 24 კაბ.
- მარია კოვანკია — პლასტისის თავგადასავალი. თარგ. ა. სანადირაძისა. რედ. ლ. ქალაღიშვილი. გვ. 46, ფასი 16 კაბ.
- ზ. ლუვა — თოლოები შპრეზე. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 28, ფასი 25 კაბ.
- გვარიალი — (ლიტვერი ხალხური ზღაპარი) თარგ. რ. ჯაფარიძისა. რედ. ლ. ქალაღიშვილი. გვ. 18, ფასი 22 კაბ.
- სიზმარა — (დაამუშავა გივი კიკილაშვილმა). რედ. გ. კაჭხიძე. გვ. 22, ფასი 28 კაბ.

ББК 80 333.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ  
ԳՐԱԴԱՐԱՆ  
ԻՆԴԵՔՍ  
76128

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„М И А Т О Б И“**

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“